

# გნათობა



8

---

1997

# გნათობი



წელიწადი 73-ე

№ 8

1997 წელი

## საქართველოს მწიგნობართა კავშირის ორგანო

### შ ი ნ ა რ ს ი

#### კოეზია, პროზა

ვივი ქნელაქი — ლექსები	3
ვახტანგ ზულიძე — ჩვენი საშკაუნის პარადოქსები... (მოკლევანი)	14
ოზარ ზამათაძე — ლექსები	71
ნანა მგებია — მოთხრობები	77
მერაბ აბაშიძე — უნეს ნანგრევებზე ამოსული იასამანი. ლექსი	88
გიორგი ზიგაური — ლექსები	91
მიხეილ ანთაძე — ქართული ბიუნისი. მოთხრობა	93

#### კრიტიკა, კულუბისტიკა

თეიმურაზ მიგნუანი — აფხაზები და აფხუები	115
თამარ მაღალურაძე — ლეო გიგალის 1916 წელს გამომცემებული კულუბისტიკური წერილები	125
რევაზ კვიციანიძე — საქართველოს მწიგნობართა კავშირი 1917—1997. გაგრძელება	133

#### მეცნიერება

რუსუდან დარუხილი — ეპროკული ისტორიული რომანი 80-19 ს. მიორა ნახევრის საქართველოში	147
მანანა ჯანაშიაძე — საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების მკვლევარის უადგილები XI-XIV საუკუნეებში	154
ნესტან სულავე — ლვინისფერის სახე დიმიტრი მუხის კოეზიაში	159
რევაზ გოგია — ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობები	167

#### უაქტები, პროგნოზები

უინსტონ ჩარჩილი — მიმართები. გაგრძელება, ინგლისურიდან თარგმნი რუსუდან მახათაძემ	175
---	-----



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

რეზო ავაშუკელი, მერაბ ბერძენიშვილი, გურამ  
ბვერდვითელი, გურამ დონანაშვილი, გენო კალან-  
დია, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, ლადო  
პრელაშვილი, ბიორგი ნატროშვილი, რამაზ კატა-  
რიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვაჟა ჩორდელი (პახუხი-  
შვებელი მდივანი), ნოდარ წულუეისკირი, ოთარ ჭილაძე,  
ბესიკ ხარანაული, რევაზ ჯავახიძე.

გამოჩენილ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, ბატონ გივი ძნელაძეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა.

წურნალ „მხათობის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია, აგრეთვე მისი შემოქმედების თავყვანიშემცემლები ულოცავენ ბატონ გივის ხაიუბილო თარიღს და უსურვებენ ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ.

გივი ძნელაძე

„... ადამიანს აამაყებს და ღირსების შეგრძნებას უძლიერებს იმის შეგნება, რომ მისი (ადამიანის) სიცოცხლე შთლიანად ეკუთვნის სამშობლოს, ხოლო ათასჯერ უფრო აამაყებს და ღირსების შეგრძნებას უძლიერებს იმის შეგნება, რომ ის (სამშობლო) მთლიანად ეკუთვნის მას (ადამიანს)“.

1982 წელს გამოცემული ჩემი ერთტომეულისათვის წანამძღვარი ჩემივე წერილიდან.

## ვედრება

„... რომლის საკურთხად დავსდები შე  
ჩემს გულსა და ხელს...“

ნ. ბარათაშვილი.

... იმად, რომ თავზე შუქსა თბილსა გარდმომაბრწყინებ და, ძალით შენით, თვალთა ჩემთა იმა შუქს შერთავ, — შე ყოველდღილას პირჯერისწერით მადლობას გწირავ, ყოვლის შემძლეო, მადლობისილო, მაღალო ღმერთო!..

... თუცაღა, ზეო, არცოცხალი, თითქმისღა მკვდარი — გემუდარები შეისმინო ვედრება ჩემი: დამანახვეი ოღონდაცღა მამულში დარი, გარდმომადინე ღვეღუნარევი თვალთაგან ცრემლი!..

... აბა, და... ისე რა ფასი აქვს მადლწირვას ჩემსას, — რა ბედუნა თვალგახელა მრუმეში ბრმაის!.. ხულისმიერო! — შენებრ ერთმან — მაღალმა მზემან — ცეცხლი ღვთიური განუღვივოს აღსაეაღს ცაის!..

საბარათველონ  
პროზველი  
გიგლიოთბა

... ოდეს მამულში სანუკვარი დადგება დარი —  
ოდენა მაშინ ეღირება გახელა თვალის!..

... ოდეს ახდება ჩაყოლილი ოცნება ძილში —  
და განიხარებს ყოელი არსი ღირსებით თვისით!..

... ჯერეთ სოფელი დაპირებით გემასბინძოლს ცრუთი —  
ო, ყოელადსრულო! — განგვიბრწყინე ნანატრი წუთი!..

### ნანა ალნაგი საქართველო..

ჩვენი აღნაგი საქართველო

ასად გახლიჩეს, —  
თვალნი დათხარეს,  
გულში დაჭრეს,  
დაასახინრეს...

განძარცვეს ზორცით,  
ხერხემალში მოარაკალოვეს,  
სისხლში მოთხარეს,  
მოთხარეს და მოაკალოვეს!..

... სული ვერ მოკლეს, —  
ღმერთმოსილი ქართული სული,  
ოდენ ზორცით არს  
ჯვარს გაკრული  
და მიღურსმნული!..

... ხულსა უკვდავსა  
ზორცს შეასხამს მალალი ღმერთი, —  
ჩვენი აღნაგი საქართველო  
აღსდგება მკედრებით!..

— სვეტიცხოველი ქვის დროშაა! —  
(ეს გოვლამ ბრძანა!..)

მე დავეუმატებ,  
მე თავს ვამღეუ ამის უფლებას:

სანამ ეს დროშა განთხმულია მიწაზე, —  
მანამ

ვერ ეღირება სული ჩვენი  
თავისუფლებას!..

### (ვახტანგ ჯავახიძეს)

უხაროდა ამაყურად:

— გალაქტიკას ჰგავსო ჩემი სახელი, —

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ...

გ ა ლ ა კ ტ ი კ ა ...

თანაც: — ორივეში ასოა ცხრაო!..

— გ ი ლ ი ო ტ ი ნ ა ? — ბატონო  
გალაქტიონ —  
გ ი ლ ი ო ტ ი ნ ა ?!..

ამდენ ხალხში მისი მძლევი  
ერთი მაინც ერიოს ...

ერთი კაცოც არ აღმოჩნდა —  
სიკვდილს რომ მოერიოს!..

სიკვდილს ღმერთი  
ყველას, ყველას —

თავის დროზე გვიგზავნის ...  
აღამიანს წესად ექცა

მორჩილება მოსდამი!..

ერთიანად მოსდებია

მთათა,

ზღვათა,

ველთაო!..

არაფერი არ მინახავს

ისე საყოველთაო!..

მადლი უფალს..



„- უფალო! - ათი ...

კიდევ ათი ...

მეტს არ ვთხოვ, - ათი!..“ -

შეესთხოვ უფალს, - ოცდაათის ვიყავი როცა!..

მას შემდეგ წელი სამჯერ ათი, აგერ-ა, გადის, -

ათის მაგიერ ოცდაათი სულდიდად მომცა!..

... ახლა ფიქრს ვიჭრობ ფიქრითვე და ენას კბილს ვაჭერ, -  
რავა ვთხოვ რამეს, - ნუ გადამრევთ, ადამის ძენო!..

ვეკრძალები არსთა განმრიგებს და ყველაფრის გამჩენს: -

არ განმირისხდეს,

ძველი თხოვნა არ გამიხსენოს!..

... ჩემთა ბაგეთგან რამ მუღარა ნულა ჩაესმას:

სიხარბე რამე არ დამწამოს უზენაესმა!..

ზ ა მ თ რ ი ს კ ი რ

ცა იყურება მწერომარედ,  
ქარი ქირქილებს ვერანი;  
ქედზე ღრუბელი მიბობდავს,  
მზის აღარ ჩანან ჩქერანი:  
აღარცა ჩიტნი მღერიან,  
არც ხახახაებენ ველანი:  
ტყვიის ფერანი გამხდარან  
დღეები - ოქროს ფერანი:

ჭალაში ყინვა ჭიხვიენებს -  
უჭმელ-უსმელი მერანი:  
თოვს და ... ბალახნი ჰკვირობენ:  
„- რა ფერებია, ე, რანი!..“  
... აღარა ჰბოლვენ ბუხრები,  
აღარ ჰღვივიან კერანი:  
აღარ გაისმის სოფელში  
გადამღერ-გადმომღერანი...

მზის ჩასვლისას ...

მზე დედამიწას თაეზე ადგა  
მბრწყინვალე ჯილად...  
იდგა ხალხი და ქვითინებდა  
სახლში და გარეთ...  
რადაც ფირფიტებს  
ერთმანეთზე ურტყამდა ვილატ  
და ... ექვსი კაცი აკენესებდა  
საკრავებს მწარედ...

ეზოს გადაღმა, მაყვლიანში,  
გალობდა შაშვი  
და ... გაზაფხულის სამოსელში  
ხარობდა მიწა!..

... ხალხი უეცრად შეიძრა და ...  
ატირდა უფრო ...  
სამარადისო განშორების  
წუთები დადგა ...  
... მზემ ჩამაჯალმა  
შემოკხვია სხივები კუბოს,  
მერე ... ასწია ...  
და ნელ-ნელა წაიღო სადღაც.

სახლში დრო და დრო  
ვეირგვინები შევკვირნდა ბაეშევს ...  
მომცრო კუბოში  
ჩვენი ტოლი ბიჭუნა იწვა ...

ჩვენს საუკუნეს რაღაც ეშლება —  
უფლის საქმეში ხშირად ეჩრება, —  
დაუკითხავად სახლში ეჭრება,  
თქვენ როგორ ფიქრობთ, ვითომ  
შერჩება?..

გულმოდგინებით ჯიუტი მწერის —  
სკვე ცისფერი გახერხიჭა ჭერი  
და ... ჩვენი ქობის იატაკს აწვიმს, —  
გვაცვივა ციდან ფერფლი და ჭკარტლი...

თუ არ მოეკანთ ადვირი მაგრად —  
წონასწორობას მერანი კარგავს, —  
ინგრევა, ვატყობ, მოდელი, ქარგა...  
არა! — ეს, ძმაო, ხუმრობას არ ჰგავს!..

... ჩვენს საუკუნეს, მგონი, ეშლება —  
უფლის საქმეში ურცხვად ეჩრება!..  
სიმშვიდეს ურღვევს, სახლში ეჭრება, —  
თქვენ როგორ ფიქრობთ, ვითომ  
შერჩება?..

### სამშობლო — ჩვენი მარადისობა

ვართ ...  
არ ვიქნებით ...  
წავალთ ...  
გაეჭვებით ...  
დარჩება ზეცა —  
ჩვენგან ნაქები!..  
იოლად უთქვამთ:  
— ყველას კართანი  
დაინოქებსო  
ერთხელ აქლემი!..

... ბუნებრივია: —  
სიკვდილის თემამ  
სეუდის ბურუსში  
გაღამისროლა ...  
... ჩვენ ვკვდებით, მაგრამ ...  
სამშობლო რჩება, —  
სამშობლო —  
ჩვენი მარადისობა!..

### მოგაგალი

დღეთა მრავალთა,  
გარდასულთა და მომავალთა —  
ვეხმურები და ... სული შფოთავს ...  
გარდავევლები ღრუბელივით  
თაგზე მრავალ მთას  
და მერე ხვეში ჩაიქცევი  
და ღრიალს მოერთავ ...  
მდინარედ წავალ ...  
თქარათქურით ჩავივლი ხეებს,  
მზით განათებულ მინდორში გავალ ...  
ფესვებში სისხლად ჩაუღვებ

მოთენილ ხეებს  
და შუადღისას განავარილებ  
მზურვალე ჰავას ...  
ბალებში შევალ სიხარულით —  
არხებში ვირბენ,  
შემწედ ვექმნები ყამირის ყანებს ...  
... ფიქრთ გასართევლად  
ჩემთან მოვა საღამოს ვინმე  
და საუბარში გავათენებ  
მთვარიან ღამეს.

მე რატომღაც არ მჯერა  
(შეიძლება ვცდებოდე!)  
მკვდარი ცოცხლდებოდეს და  
ცოცხალი არ კვდებოდეს!..

უპ, ბოდიში, — პირიქით  
(იქნებ ახლაც ვცდებოდე!)  
ცოცხალი კვდებოდეს და  
მკვდარი ... არ ცოცხლობდეს!..

სიზმრის ახსნა ვინც არ იცის ...



სიზმრები მაქვს არეული:

მზისეული ...

მთვარეული ...

ხან — ნამეტან ფხიზლეული,

ხან — ნამეტნავ მთვრალეული!..

ხან — ნამეტურ დაწმენდილი,

ხან — ნამეტურ ამღვრეული ...

ხან — ზეცამდე აწვდენილი,

ხან — უფსკრულში ჩარღვეული!..

ბნელს ვერ ფანტავს ცისკარიც კი,

სულში ვერც მზემ ილაპარკულა ...

სიზმრის ახსნა ვინც არ იცის —

მე აუეხსნი წინაპრულად!..

... ერთხელ უნდა შეგახსენოთ

ძველად თქმული, არ ახალი:

ეს ცხოვრება სიზმარია, —

წამისწამში სანახავე!..

ამ ერთ წამში უნდა ივრძნო

საკუწრო ნეტარება ...

აბა, ისე ჩვენი ყოფა

მოლად ჯოჯოხეთს ედარება!..

სიზმრები მაქვს არეული:

მთვარეული!..

მზისეული ...

ხან — ნამეტურ მთვრალეული,

ხან — ნამეტურ ფხიზლეული!..

ღამის გაოცხადება

ღრუბელთა ჯგროში,

ტოტების ხლართში,

წყლის სიღრმეში თუ კედლების

ჩრდილში, —

მომელანდება მწუხარე სახე

და წამიერი შემთავრობს შიში!

ვერნახვის შიში.

არყოფნის შიში.

წამყოფის გრძნობა —

მყოფე და მჭახე ...

სულ შელანდება —

ცხადშიც და ძილშიც, —

სულ ვხედავ, ოღონდ ...

მარტოდენ სახეს!..

... შუშის ნამტვრევში

ღანდივით ჩნდება,

ჰგავს ... კიდევ არ ჰგავს ...

ხან არ ჰგავს ... ხან ჰგავს ...

... ერთერთის წასვლით კავშირი წყდება!..

ორნივე რომ წაეღო —

სულ ექრებით, აღბათ!..

... ქალაქის თავზე მოქუფრულ ცაში

(რკინა რომ ფხაჭუნის მყოფედ და

მჭახედ!..), —

მიწაში .. ქვაში ...

სიზმარში ... ცხადში, —

სულ ვხედავ, — ოღონდ ...

მარტოდენ სახეს!..

... ჩნდება და ქრება ...

ქრება და ჩნდება ...

მიმზერს და ვუმზერ ...

თან არ გავს ... თან გავს ...

... წმინდა ჩვენება ნისლივით ჰქრება

და ... კენესის ქარი მწუხარე ჰანგად!..

ცას და ქვეყანას მოღებული

ფიქრი ვარ მიძმე:

თვით ურვისა და ჭმუნვის დროსაც

არ ვკარგავ იმედს!..

ზოგჯერ ყველასთან უბრადა ვარ —

ვეძრახვი იმ ერთს:

მას შეკვეთდრებ ჩემი ქვეყნის

ამერს და იძერს!..





ო, ნუთუ მართლა ასე მიყვარს  
სახელი შენი:  
ასე მკონია —  
ერთი სული გვიდგას ორივეს ...

... თუ განა ვინმეს შეუძლია  
იხილოს ზღვარი  
მთასა და მინდორს,  
დილასა და განთიადს შორის!..

### წიფილასაკით წამიყვანს წამსა!..

თავზე ქორივით დამყურებს ზეცა, —  
აჲაღ მზირალი და მოთვალთვალე ...  
აჲა, — ეშუება!..  
აჲა, — ფრთებს კეცავს, —  
ვერძნობ:  
ირაოზე წამოვა მალე!

დამაცხრება და ციმციმ წამიყვანს!..  
ნუ სწუხ, —  
არც რამე დანაკლისობა  
არ დაეტყობა კრუხს, —  
დედამიწას: —  
— შეუუერთდები მარადისობას!..

### შუაღამის ღმკსი ...

გავსებული მაქვს წიგნებით სახლი, —  
ძველით და ახლით...  
ძველით და ახლით!..  
ბანი და კრინი ... ზილი და მზახრი, —  
ავსებული მაქვს წიგნებით სახლი!..  
... მარტოობის უამს, —  
მწუხარს და დაღლილს, —  
მეიმედება ამდენი ხალხი!..

... მესმის ცივი ხმა:  
— მოედივარ! ... დამხვდი!..  
— არ გადამაჭრა ფურეზზე ხახვი ...  
რამდენიც ვინდა — იძახე:  
„— დამხვდი!“ —  
ავერ მყავს ძმები, —  
წიგნების ხალხი!..  
... ახლით და ძველით,  
ძველით და ახლით, —  
გავსებული მაქვს წიგნებით სახლი!..

დროო, ჰე, დროო, — რა ჩქარა,  
რა ჩქარა,  
რა ჩქარა,  
რა ჩქარა, —  
გადიხარ, — ქარი ხომ არ ხარ,

არა, — ქარი ხარ აშკარად:  
წუთითაც გი ვერ გენდობი,  
ქალივით იცი დალატი, —  
შენს საღვურძელოს დაველვდი  
შენივე თავის ქალათი!..

... ღმერთიც ხანდახან  
ულულოდ იქცევა —  
მართალი რომ თქვას კაცმა;  
იქნებ არ მინდა  
იმ სამოთხეზე  
ამ ჯოჯოხეთის  
გაცვლა!..

არც გეკითხება —  
საით და რატომ, —  
ვითომ ბავშვი ხარ მისი ...  
ყურში ჩაგაველებს  
ორივე ხელს და  
მოუსაველიაში გისვრის!..



ჩაფლავს მიწაში, —  
ვითომ მთესვარმა  
თესლი ჩააგდო ხნულში...

...  
ეს ლექსი, სულის დანაკვნებარე,  
უცბე დავწერე გუშინ!

**იმაღი გზაზე — ღაბიძე..**

ქარი ჰქრის და ჰქრის და თან სცრის ...  
მარტო მივალ გორმაღალს ...

გზაზე მოდის ვიღაც კაცი, —  
გაუმარჯოს მომავალს!..

**დეღაბიძის ნათქვამი**

ზოგი კაცი ხულ ზედმეტი ბარგია, —  
მაბიჯებს და ...  
მამძიმებს და ..  
ეკალივით მჩხვლევტს!  
კაცმა რომ თქვას —

მეც ვის რაში ვარგვივარ, —  
იქნებ ...  
იქნებ ...  
ზედმეტი ვარ მეც!

რომ მოეხუცდი — ახლა მიეხვდი:  
წუთისოფელი —  
უწამავო ყოფილა და  
უთვისობელი!..  
მზეში თუ ხარ ათქვეფილი,  
ანუ ბაღლი ხარ, —  
ე, მაშინ ხარ კმაყოფილი,  
მაშინ ნაღდი ხარ!..

... დრო ზურგიდან გვერის გზა და გზა,  
პატარას და დიდს ...  
მიგვატოვებს სიურცეში და  
იმსუბუქებს ტვირთს ...  
... ახლა ვიცი, რა ყოფილა  
წუთისოფელი:  
უგამავო, უთავბოლო, —  
უთვისობელი!..

**ბინდა? — წიხქვილს დაგანახებლ.**

(კარიანტი)

მარტო მე მაქვს ეს ხელობა, —  
ჯადოქარი გახლავარო:  
ვინდა? — წიხქვილს დაგანახებ ...  
ა, ბატონო, — ახლავე:

ხედავ? — შევლას გთხოვს — გადახტი!—  
ვერც წინ მიდის და ვერც უკან ...  
ოხრავს ...  
ბუტბუტებს ...  
ხენეშის!..

... წელში მოკაკვეულ დედაბერს  
კალოში ჩარჩა ტალახში ...  
აგე — თხმელებთან... ხო ხედავ, —  
წყაროს ახლორე, ხევიში ...  
ჩიფჩიფებს ... გესმის?..  
ძაგძაგებს ...

...  
დაგპირდი და ... წიხქვილი დაგანახე,  
ძამიკო, —  
ბრმა თუ არ ხარ — დაინახავ ...  
ბრმა თუ ხარ და ... რა გიფო!..

**მე და სიკვდილი**

... უბედურება ყოველგვარი  
მისგან იწყება:  
მიჭერს მარწუხებს,  
მეგლისება და მეღირწება ...

სამაგიეროს მე ასე ვუხდი:  
ის არ მივიწყებს არც ერთი წუთით,—  
მე კი ...  
ვახერხებ შიგადაშიგ მის ღაფიწყებას!..

## პირობი ღმრთივეს

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

„მზე ჩადის, მზე ხვალ ამოვა,  
უფრო დიდი და ჩახჩახა ...“,  
თქვი შენ და სადღაც წახვედი,  
გელოდეები და ... არ ჩანხარ ...  
ვეირილით გიხშობ:

„— ამოდი!“

გასკდა გული და ჩახჩა ხმა!..

უნახეთ:

შენი მზე, ბრიალა,  
ჩაეშვა თავქვე, თუნაღმა, —  
სიკვდილმა, აუად მზრალმა,  
რქა სულში ჯიქურ გაჯახა:

აუ, რა ომი მოივო

იმ დორბლიანმა ყაჩაღმა!..

ისე კი ... სიტყვათ იების

ამოფეთქილი ბაღრა ხარ,

სიტყვებად ამოფიქვინდა,

თუ რამე დარდი თან ჩაგვვა:

... შენ ხომ მზის ცეცხლში გიყვარდა

სიტყვის ფერვა და განარხვა, —

„მზე ჩადის, მზე ხვალ ამოვა,

უფრო დიდი და ჩახჩახა!“..

## ვაშლის ხე თოვლში ...

გაყინულ

თოვლზე

ეცემა

სხივი

და

სანთელივით

ღნება!..

... ამ ვაშლის ხეზე

გუშინ საღამოს

თეთრი

თიკანი

ება!..

## მეზობლების საუბარი მოხარია ღამეში...

... მეც შარშანწინ შარშანის ვიყავი მოიმედე...

ღმერთმა მეტი საფიქრალ-საწუხი მოიმეტა!..

არც შარშან მომკლებია

აუაჰმე და ვაჰაჰმე...

ღღეკანდელის იმედით

ვათუნე და ვაღამე!..

წელს გაისის იმედით ვარ, როგორც კაცი ყოველი ...

გაის ამდროს, ღმერთო შენით, ბევრ სიკეთეს მოველი!..

გაისადაც ჩემო ძმაო, თუ მომავლის იმედით

ვიქენი და ... ერთი შავის!..

კარგად გნახე ... მიველი!..

... გამოალო ჭიშკარი და ...

— ეჰეიო! — შეიძახა!..

ცოლმა ჰკითხა:

— უი, ბერა, მოწყენილი რეიზა ხარ!..

— მოწყენილი!?!.. არა, ისე... ცოტა ფიქრმა წამიღო!..

... ამის შემდეგ აღარ ვიცი, — როგორ იყო, რა იყო!..

ვინ,

რომელი არ ემდურის ბედს და, გარდა ამისა, —

გაუმართლა თუ არა ნეტა იმ კაცს „გაისმა“?!..



შეიძლება გლვიძავდეს და გეძინოს?..  
არ ხელობია, — გეძინოს და გლვიძავდეს?..  
შენი ღვინო ვერ აჯობებს ჩემს ღვინოს, —  
მთურალი კაცი ვერ მიაღწევს მიზნამდე!  
ლექსი ცოტა არეული გამოდის,  
თუმცა ახლა მოდაშია „არევა“ ...  
მიმდევარი ვერ იქნება ამ მოდის, —  
კაცი თუკი ოდნავ თაემოყვარება!..  
აზრი ოდნავ დაიწმინდა, დალაგდა,

ალაგ-ალაგ, გალა-გალად ეღერს მაინც...  
მეც მაქვს ჩემი კრწანისი და მარაბდა:  
ბედისწერას ვერ წაუხვალ ვერსაით!..  
ძალად მღერა ვის უნახავს!.. არა და  
ღილით რა კარგ ხასიათზე ვიყავი!..  
ღღეს ფარხმალს ვერი, — აჰა, ჩემი  
მარაბდა, —  
ხვალისათვის გადაიდო იგავი!..

### ღონისობური(?)

გრგეინავს და ელავს,  
ქუხს და ჭექს,  
წყალს ყველაფერი მიაქვს,  
ამ ღღეს ველოდი მუღამღღე, —  
შავი ქარები ჰქრიან;

გამოიდარებს?  
ვინ იცის!..  
რამ გადაგრიათ, ხალხო! —  
ერთი თქვენთვისაც მივიცლი  
და მერე ვინ — ვის, ვნახოთ!..

### რბი ზღის ზინ დანახული ...

(ფრაგმენტი)

ცა გადაჩაჩახებულა  
მანდარინის ბაღივით,  
ახლა — შემოდგომაა!..  
მანდარინი — მწიფეა!..  
მთა ისე წევს ზღვის პირას —  
გვეონება დაღლილი,  
ხოლო თვით ზღვა — ფრიალა,  
— დიდი, დიდი სიძია!..

სიბი — გარინდებული,  
პორიზონტზე განროხმული  
და „შავი ზღვის“ სახელით,  
ქვეყანაზე განთქმული!..  
მარტო ჩვენი არაა,  
დაჰკრავს რალაც თათრულიც ...  
... ო, რა კარგი წყალია,  
რა ძნელი და ... რა რთული!..

... სიცოცხლე აღვილია, —  
სიკვდილი — ძნელი ...  
ძნელზე გამახსენდა:  
გვარი მაქვს ძველი!..

... კუნჭსაც ვერ ვერევი —  
ლოდების მძერელი ...  
სიკვდილი — აღვილია!  
სიცოცხლე — ძნელი!..

### ახალი ზალი გათენდა შავად ...

... ცა ჩამოიქცა  
ცეცხლოვან შავად —  
იწვის თბილისი  
და ქართული მთელი ...

... წვეულიმც იყოს —  
აუად და შავად  
ვინც გაგვითვისა  
ახალი წელი!..

## დიდგულუკანო



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ბიპო! — რამხელა გული გაქვს,—დათო!..  
დედას ვუტირებთ, —  
ვინც გვეტყვის „ამუ-ს“!..

სიცოცხლეს უფრო ადვილად დაუთმობთ,  
ვიდრე საყვარელ დედულს და მამულს!..

ადამიანი —  
ფუტკრებივით დასევიან  
ერთ ვეება ვეავილს, —  
დედამიწას ...  
უფრო სწორად —  
დედამიწის ვეება ბუტკოს ...  
იტყენებიან ნექტრით მაძღრისად  
და, თითქოს ჭარბად მიიღესო თაფლი  
ველური, —  
გაბრუებულნი მოცვივიან სიცოცხლის  
ხიდან,  
ვითა ფოთოლნი შემოდგომით, —

მჭკნარნი ...  
ვეითელნი ...  
და, ვითა თესლნი,  
მიწის წვენში გაღვივებიან ...  
გაზაფხულზე კი —  
ღვება ხანა აღმოცენების!..

ეგ რომ არ იყოს —  
რას გვეყოფა ხიერცე და არე,  
ან —  
ერთი ბუტკო ამდენ ფუტკარს  
როგორ დაიტევს?!

„შე იგი ვარ, ვინ ცხოვრებას არ ამოვკრეფ  
კიტრად ბურად“.

შოთა რუსთაველი

... ამოვკრიფე! —  
ბერიცაა ... მწარეცაა ... ცხარეცაა ...  
მზად ხულისა საბინადროდ —  
ერთის ნაცვლად — ცხრავე ცაა!..

## მზიური წამება

წუთისოფელი მოკლეა,  
გზადავ ზა ბარიერია!..  
წუთი?.. რის წუთი, რა წუთი, —  
სიცოცხლე წამიერია!..

წუთიც ხაეხა წამებით,  
წამებიც ყორნისფერია ...  
ხანდახან წვიმიერია,  
ხანდახან თოვლიერია!..

ხანდახან მზისფერიცაა,  
იელვებს, ვით წიწამური, —  
ქამს წამის უსასრულობა,  
რქამს უკვდავებაც წამური!..

წუთისოფელი წამია,  
(გზადავ ზა კარიერია!..)  
დიდი წამების ვარეშე  
სიცოცხლე ცარიელია!..

თუ ბიჭი ხარ, — მოდი!..

ა?.. ხომ?..  
ერთხელ უნდა მოხდეს ...  
ერთხელ მაინც უნდა მოხდეს ...  
მოსახდენი უნდა მოხდეს ...  
მოხდეს ...  
მაგრამ — როდის?!..  
  
... შენ  
ვინც შევიშინებია —

მიდი, —  
იგი შეაშინე!..  
რას შეკუქუქმალავები,  
რა დორბლებს ჰყრი,  
რა ცეცხლს აფრქვევს,  
უკაცრავად პასუხია —  
რა ფეხებს და რა ფეხს მომჭამ, —  
თუ ბიჭი ხარ, — მოდი!..

მარადი მგზავრი ...

ზაფხულ გადის,  
ზამთარ დგება, —  
წუთისოფლის მდგმურობაჲ!..  
ნეტა, როგორ დამთავრდება  
ჩემი მოგზაურობა!..  
  
ბეებეუ ხეტვა,  
მთამთა რება ...  
გზავზა ბედის მღურება!..  
სად, ნეტაი, დამთავრდება  
ჩემი მოგზაურობა!..

ცვალებადი ვითარება,  
ძმობა... მტრობა,, შურუობა!..  
რით, ნეტაი, დამთავრდება  
ჩემი მოგზაურობა!..  
  
სიტყვა მზეში თავთაედება, —  
მალე გახწვევს პურობას!..  
როდის, ნეტა, დამთავრდება  
ჩემი მოგზაურობა!..  
  
... სულო! — გატყობ მირონცხებას,  
აღზევეების... სრულობას!..  
დამთავრებით დაიწყება  
შენი მოგზაურობა!..



## ჩვენნი საუკუნის პარადოქსები

(მოზონებად)

დიდი ხნის წინათ გამიჩნდა ამ წიგნის დაწერის სურვილი, მაგრამ ფეხს ვითრევი — ვფიქრობდი, მემუარები კაცმა სიბერეში უნდა წეროს-მეთქი; სიბერე კი შორს მგონა, და რამდენს მივეუახლოვდებოდი ვინებაში ქვეცნობიერად დასახულ ამ ხანს, პორიზონტისა არ იყოს, იმდენი მშორდებოდა და ხულ შორსა და შორს მიდიოდა. ძალიან უჭირს ადამიანს იმის დაჯერება, რომ სიყმაწვილე უკან მოუტოვებია და სიბერეში შეუდგამს ფეხი — ჯიუტად ცდილობს, არ შეეგუოს ამ უსიამოვნო სინამდვილეს. იქნებ გაუცნობიერებელი შიშით მბორკავდა: მოვინებოდა წერას თუ დაიწევებდი, ამით ის არ მომეახლოვებინა, რაც სიბერეზედაც უფრო საშინელ მოვლენად მიაჩნიათ, და რომლის თარიღი, ჩვეულებრივ, დაბადების თარიღის გვერდით იწერება, მაგრამ პირველი თარიღისაგან განსხვავებით შენთვის სამუდამოდ უცნობია, მას მხოლოდ სხვები გეუბლობენ... ანდერძისა არ იყოს: ვველა გულმოდგინედ იმეორებს საყოველთაოდ გაურცელებულ ანდაზას — და ამით გულს იმაგრებს — ანდერძს კაცი არ მოუკლავსო, მაგრამ მისი შედგენის დროს მაინც ცელმომარჯვებული ჩონჩხი ელანდება...

რაც უფრო ღრმად შემოდის სიბერე შენს ცხოვრებაში, მით უფრო ტკიბილი

ხდება ყმაწვილობის მოვინებანი, მით უფრო ხშირად გიცოცხლებდა ვინებაში ცალკეული ეპიზოდები შენი ბავშვობისა და ახალგაზრდობისა. და როგორი მწარეც არ უნდა ყოფილიყო ის დღეები, ახლა მაინც მიუწეხებული ტკივილის შევებიანი განცდიდა თუ სვედაგარეული სიხარულით ივინებ. ასეთი წიგნის დაწერის ფინიც უფრო ძალუმაღ გეუფლება.

იქნება კი ვინმესთვის საინტერესო ეს წიგნი?

ასეთი კითხვა ალბათ ვველას აეკვირებოდა, როცა კალამს აიღებს ხელში. თანაც ყოველგვარი წიგნის დაწერის წინ. და საეჭვოდ თავდაჯერებული უნდა იყოს კაცი, რომ აბუზარ კითხვას დაღებიოდა უპასუხოს.

იქნებ მართლაც ვერაფერი საინტერესო იყოს ცხოვრება ერთი ჩვეულებრივი კაცისა, რომელიც დიდი ფათერაკიანი თავგადასავლებით ვერ დაიკვებინა. მაგრამ თვით დრო იყო ფათერაკიანი — მეტად რთული, მძიმე, დაძაბული და თავისებურად საინტერესო. არსთა გამრიგემ ეს დრო გამოიმეტა ჩემი თაობის ადამიანებისათვის, ამქვეყნიური ცხოვრებისათვის მოვეიზომა.

ჯერ ისევ ადრე, ახალგაზრდობაში, როცა მეცხრამეტე საუკუნის ისტორიაზე ვემუშაობდი, დავრწმუნდი, რომ სა-



ზოგადობრივი ცხოვრების მართალი და სრული სურათის შესაქმნელად მარტო ოფიციალური წყაროები არა კმარა: ჩვენი წარმოდგენა დიდ მეცხრამეტე საუკუნეზე მეტად მწირი და ძალიან ხშირად მცდარიც იქნებოდა, რომ იმ მღორდ მდინარეს ისტორიოგრაფიული წყაროებისას, რასაც პირობითად ოფიციალური შეიძლება ვუწოდოთ, არ ერთვოდეს, არ ავსებდეს და სულს არ უღვამდეს მეორე მჩქეფარე ნაკადი — გაცილებით უფრო ინტიმური, უშუალო, და ამდენად მართალი და უტყუარი. ეპისტოლარულსა და მემუარულ ლიტერატურას ვუღიწმინდებ...

ჩვენს საუკუნეში ამ თვალსაზრისითაც გაუარესდა მდგომარეობა. ადვილად გასაგები მიზეზების გამო თითქმის აღარავინ სწერს ერთმანეთს გულითად ბარათებს (ამას ტექნიკის ზღაპრულმა განვითარებამ და ცხოვრების რიტმის სიფიქსემდ მისულმა ანქარებამაც შეუწყო ხელი), ამდროინდელი ოფიციალური წყაროები კი უწყალოდ ცრუობენ. მათზე დაყრდნობა თითქმის შეუძლებელია. დარჩა ერთადერთი წყარო, რასაც, ასე თუ ისე, შეუძლია დიდი ხარვეზი შეაფხოს და უწყვეტი ჯაჭვი მრავალსაუკუნოვანი მატრიანისა ერთგვარად გამთლიანოს. ამიტომაც ყოველი ადამიანი, ვისაც კი იმ წლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში რაიმე მონაწილეობა მიუღია, და ვისაც ცოტათი მაინც უჭირს კალამი, თუკი ამასთან, უკულმართი და ცრუ ცხოვრების მიუხედავად, მაინც შერჩა ძალა და უნარი, სიმართლე ილაპარაკოს, მოვალეა ასწეროს, რაც უნახავს და თავს გადახდენია. ბენვენუტო ჩელინი ჯერ კიდევ როდის წერდა: თუ ადამიანი მართალი და წესიერია, და თუკი რამე სასიკეთო გაუკეთებია ამქვეყნაზე, ვალდებულია დაჯდეს და საკუთარი ხელით მთელი თავისი ცხოვრება ასწეროს.

იმის მსაჯულად ვერ გამოვდგები, გამიკეთებია თუ არა რაიმე სასიკეთო ჩვენი ქვეყნისათვის, ეს სხვებს უკეთ შეუძლიათ. თქვან, თანაც მას შემდეგ, როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, იმის

პირობას კი თავიდანვე ვიძლევი, აქედანვე ვიწყებ... და თუკი ცა ჩემს თაობას ტკბილად მოსაგონებელი ბევრი არაფერი აქვს, მაინც ვეძღვები არ გაუამუქო ის, რაც გონებაში ახალგაზრდული ტკივილის სიმწვავეთ მოიწვევს და ჯიუტად შემახსენებს ძნელად განცდილსა და გამოვლილ სიმწარეს.

\* \* \*

რამდენჯერ დაფიქრებულვარ — რა უნდა იყოს ის პირველი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებისა, რამაც ამქვეყნად მოსვლა ცოცხალ სურათად დამამახსოვრა. ასეთი კითხვა ალბათ ბევრს აღძვრის, და თავისთავად საინტერესოცაა; მაგრამ დარწმუნებული ვერ იქნები შენი პირველი მოგონებანი ნამდვილია თუ ყალბია: სხვებისაგან ბევრჯერ მონაცული ადამიანს ზოგჯერ ისე ჩაებეჭვება გონებაში, როგორც საკუთარი თვალით დანახული და განცდილი.

რამდენიმე სურათი მიღვას თვალწინ მეტნაკლები მკაფიოებით.

თბილისში, ჭავჭავაძის ქუჩის კუთხეში, რამდენიმე ბავშვი გამოვსულვართ და საოცარ სანახაობას შევეურებთ: რუსთაველის მამინდელი მოკირწყლული პროსპექტი ჯარს გაუვსია. მაგრამ ერთნაირად ჩაცმულები არ არიან ჯარისკაცები; ზოგს მოგრძო გაზინთული ტყაპუჭი აცვია. რამდენიმე მწკრივად განლაგებულან, ხელში თოფები უჭირათ, კონდახებით მიწაზე დაშვებულნი... სწორედ ასეთი ვიზუალური სიციხადით მაქვს გონებაში აღბეჭდილი. თუმცა სამხედრო პარადის წესით, თოფები ალბათ მომადლოდ უნდა სჭეროდათ, კონდახებით ფერდზე მიკრული. უმეტესად თავშიშველები არიან, და გაბურძნულ თმაში ზოგს ჭაღარა გარეჯია. აქა-იქ წოწოლა ძაბრისებერ ქედებსაც შენიშნავ...

თუმცა ის დეტალი, რომ ტყაპუჭები გაზინთულია და გაბურძნულ თავებს შორის აქა-იქ ძაბრა ქედები მოჩანს, იქნებ შემდეგ დაედო მეხსიერებაში



ბუნდოვანი შთაბეჭდილების იმ მკრთალ სურათს, რადგან უსამოვნო გრძნობა ძაბრა ქულების დანახვისა, მერე წარმოიქმნა და გაძლიერდა, შემდგომ წლებში, როცა წამოვიზარდე... ეს მარტივი სიმღერაც მერმინდელია, ანუ მერე ვმღეროდი, როცა სკოლაში სიარული დაიწყო: „აისო, დაისო, მშვიდობით ქუთაისო, ჩვენი დედაქალაქი სულ ძაბრებით გაიქცა“. ...სალამობით ვმღეროდი, ძილის წინ. კარგა გრძელი რეპერტუარი გვექონდა სიმღერებისა და დიდის ხალხით ვმღეროდი. აქ იყო მამინდელი ქალაქური სიმღერებიც, ვთქვით ისეთი, როგორცაა „ნარიმანა გოცამე“ და სხვა. ვმღეროდი დიდი გატაცებით თუ თავგამოდებით, განსაკუთრებით მაშინ, როცა ზაფხულობით ბიძაშვილები გვეწვეოდნენ ქალაქიდან...

ჯარისკაცები ჩვენგან ზურგშექცევით ღვანან, რუსთაველის პროსპექტის ვაღალმა მხარეს გააყურებენ, და რაღაცას ვყვირან. ეტყობა, მეთაურები თუ მთავრობის წევრები, ვისაც იხინი ამ ვყვირებით მიესალმებიან, იქით ღვანან, ვაღალმა; ან იქნებ სწორედ იმ დროს ჩაიარეს, პარადი მიიღეს... მაგრამ ისინი არ მახსოვს...

და მორჩა. ასე მოკლედ მოჭრილი კინო-ლენტით შემორჩენია მეხსიერებას ჯარისკაცების ჩახლენილი შემახილებით გახმოვანებული სურათი.

როგორ მოვხვდი იმ არეულობაში პატარა ბავშვები რუსთაველის პროსპექტზე, ვინმემ ჩავვიყვანა თუ შინიდან გავიპარეთ (გრიბოედოვის ქუჩაზე ეცხოვრობდით), ეს არ მახსოვს. რაღა თქმა უნდა, იმ დიდ პროსპექტს რომ რუსთაველის სახელი ერქვა და მას ჭაკჭაკადის ქუჩა მიერთვის, ეს შემდეგ ჩამოყალიბდა ვონებაში, ოღონდ ადვილი, საიდანაც ამ ფერდაკარგული სიმკრთალოთ აღბეჭდილ უცნაურ სანახაობას შევეყურებ, კარგად მახსოვს.

ეს ეპიზოდი არ შეიძლება სხვისგან ნაამბობით შემორჩენოდე მეხსიერებას, სხვა ამას ვერ მიაშობდა.

მაგრამ როდინდელია ეს სურათი? იქნებ ერთ-ერთი წლისთავი საქართვე-

ლოს გასაბჭოების! იქნებ მთავრდებოდა წლისთავი — ეხე იგი 1922 წლის მაისის ბერვალი. რადგან ამის შემდეგ ძალევე — არ მახსოვს, სახელდობრ რომელ წელს — სოფელში წავიყვანეს და შვიდწლედის დამთავრებამდე თბილისში აღარც ჩამოვსულვარ.

კიდევ ერთი სურათი ამავე ხასიათისა ამჟამად სხვათა ნაამბობიდან ჩამოყალიბებულია მეხსიერებაში. იმიტომაც ძალიან ბუნდოვანია — მხოლოდ თხელ ნისლში გახვეულ ცხენებსა ვხედავ, დაღმართზე მოაჭენებენ, არც ცხენების ფლოკების თქარათქური შემორჩენია მეხსიერებას და ცხენებზე წინ გადახნილი მხედრებიც ძალიან მკრთალოდ ჩანან. ამ ეპიზოდიდან მხოლოდ ეს მახსოვს ახე ბუნდოვნად; დანარჩენს სხვების ნაამბობი აესებს:

ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ, ძალევე, ძველ ბოლშევიკს ნატალია ქიქოძეს ჩემთვის გულზე წითელი ლენტი დაუბნევია. ალბათ ქუჩაში შეგვხვდა, ჩვენი სოფელი იყო ეს ქალი. ამის შემდეგ — ეტყობა, მამინე, როგორც კი ქალი გავეშორდა — ქუჩის ბოლოში ჯარისკაცები გამოჩნდნენ, ცხენებს მოაჭენებდნენ. სწორედ ეს შემორჩენია მეხსიერებას ბუნდოვნად. „ევერ, მენშევიკები მოდიან, წითელი ლენტი თუ დაგინახეს, ცუდად იქნება შენი საქმეო“, ხუმრობით მითხრეს თურმე. მამინე მომიგლეჯია ლენტი და გადამიგდია... ეტყობა, ძალიან სასაცილო იყო, რადგან შემდეგ ხშირად გაიხსენებდნენ და გულიანად იცინოდნენ.

მეორე სურათი, რომელიც ქრონოლოგიურად იმ პირველს უნდა მოსდევდეს, უფრო მკაფიოა და მეტიც სიცხადით მახსოვს. ოთახის კარი იღება და ორნი შემოდიან: პატარა ბიჭი, რომელიც პირდაპირ ჩემკენ გამოქანება და დიდის გულითადობითა და გულმოდგინებით მანვლის წითელ ვაშლს, და მამაკაცი, რომელსაც ხელში ჩემოდანი უჭირავს. იგი სწრაფად დადებს იატაკზე ჩემოდანს და ხელში ამიტაკებს.

ეს მამაკაცია. ამგვარად აღბეჭდილია იგი პირველად ჩემს მეხსიერებაში. პა-



ტარა ბიჭი ჩემი უფროსი ძმბა. იგი ადრევე ჰყოლიათ ვაგზაინილი სოფელში ბუბასთან და ბაბუასთან, და ახლა ჩამოვიდნენ...

მაგრამ მონაკვეთი ამ კინო-ლენტისა გრძელდება.

მამანემს ეტყობა მოეჩვენა, რომ ბინაში ციოდა, და, ვხედავ, ხელში მომალლოდ აკოკოლაკებული შემსა შემოაქვს. კაფელის ლემელში ცეცხლი ავიზიხდა. მამანემი დიდის ამბით უკეთებს და უკეთებს შემას. თუნუქის მილი, რომელიც კაფელის ლემელიდან კედლის საბუხრე ღრმულში შედის, ეტყობა ძალიან გახურდა, გაკარვარდა და დედაჩემის დიდი საკარცხელი მიიზიდა, აბრიალდა... როგორც ჩანს, დედას ლემელის თავზე ჰქონდა საკარცხელი... შეკელება... სიცილი... ლემელს გრაფინით წყალს ასხამენ... კინო-ლენტი თითქოს გაწყდა...


და ისევ იწყება მოძრაი სურათი. სახლში სამზადისია. სუფრას შლიან, ბოთლებში ღვინოს ასხამენ... მე უკვე ლოკინში ვწევარ, თვალები დახუჭული მაქვს, მაგრამ არ მეძინება: ნეტა რა ხდება დიდ ოთახში, საიდანაც სიცილის და ლაპარაკის ხმები გამოდის, თუმცა სიტყვები გარკვევით არ შესმის. დახუჭული თვალითაც ვხედავ, როგორ გაიარა რამდენჯერმე დედაჩემმა; ფეხბარეფით დადის — დაძინებული ვიონივარ, და მე გუნებაში მეცინება. მეორე ოთახში ხმაური მატულობს, იზრდება, იბერება, და ხელ უფრო ბუნდოვანი ხდება. თითქოს ხმები კი აღარ არის — რაღაცნაირი ფიზიკური გამოსახულება მიიღო და შავ მასად დაეკიდა იმ ოთახში, სადაც მე ვწევარ...

და კიდევ ერთი სურათი, დილიჯანის მიჯაჯვარებს... მერე გაიცნობიერე, რომ დილიჯანის იყო, მაშინდელი კი მხოლოდ ის მახსოვს, რომ დედაჩემის გვერდით ვიჯარ, ცალი ხელი პალტოს ვიბეში მიდექვს, მეორეთი დედის კალთას ვარ ჩაფრენილი. ირგვლივ უცნობი ადამიანები სხედან და ერთმანეთში ლაპარაკობენ, მათ შორის არის მამაც. პა-

ტარა დაი ალბათ კალთაში ჰკავდა და დას — ეს არ შემორჩენია მუხნისურებას, ვერც ძმის ვხედავ. გამაყრუებელი ხმაურით მივხრივივინებთ, და ამ ვაყვავში ვველას სახე უთრთის; ერთმანეთისა არ ესმით და ხმამალლა ლაპარაკობენ. მტვერში არეული ცხენის ოფლის დამახასიათებელი სუნის დვას (ეს სუნი კარგად ნაცნობია, და ალბათ იმიტომაც დამამახსოვრდა: ვრიბოლოევის ქუჩაზე დროდადრო ჩაიხრივივინებს ეტლი; მე ამ დროს ფანჯარასთან მივიჭრები ხოლმე და ერთბაშად მეცემა უცნაურად სისიამოვნო მკვეთრი სურნელი). ხმაურით გაბრუებული, შევიცქერი მგზავრებს, რომელთაც უკვე მოუსწრიათ ერთმანეთის გაეცნობა და ძალიან მზიარულები ჩანან...

ეს სურათი იქნებ არც დამხსომებოდა — ისე როგორც უამრავი რამ არ მახსოვს იმდროინდელი — ერთი შემთხვევა რომ არ მომხდარიყო, თავისთავად უმნიშვნელო და არაღმსახადები... დილიჯანის მოწვევით შედგა და ჩვენ ერთმანეთს მივეხალეთ. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ძირს ჩაუკვივით ვველანი. შეძახილები. ჩონჩოლი. რამდენიმე მგზავრი ძირს გადახტა. დილიჯანის ჩარდახიდან რაღაც გადავარდნილიყო. მამანემის ჩემოდანი აღმოჩნდა. ქვას დასცემოდა და ერთ ადგილას, კუთხეში, შეკვლიოდა. კარგად მახსოვს შეკვლითი მოყვითალო ტყავის ჩემოდანი. რამდენხანს ეგდო სახლში და მერე საღლაც გაქრა.

უნდა ვიფიქროთ, ასეთი შემთხვევა იშვიათი არ იქნებოდა ამ გზაზე, მაგრამ ტყავის ჩემოდანი ალბათ არასოდეს ჩამოვარდნილა, რადგან შედილიჯანის ხამინლად შეწუხებული და დარცხვენილი ჩანდა. რაღა მაინცადამაინც წუვტიან ქვას დაეცო — ქვას აბრალედა. თითქმის ყველა იქ მყოფმა შეატრიალა ჩემოდანი ხელში. ეს ერთგვარ შესვენებასააოთ გამოდგა გრძელ გზაზე, მგზავრებმ. მუხლი გამართეს, და ისევ დაიძრა დილიჯანის, კვლავ გაგრძელდა მზიარული საუბარი.



ეროვნული

მთელი ამ ხნის განმავლობაში ხელი ჯიუტად მიღევს ჯიბეში; წერილი მაქვს ნაბარებული და მეშინია არ დამეკარგოს. ეს ბარათი თბილისის სადგურში საკუთრივ მე საგულდაგულოდ ჩამაბარა მამაჩემის ბიძაშვილმა, რათა თავის ახალშერთულ ცოლისთვის გადამეცა სოფელში; ხელიდან ნუ მოიშორებ და არც არავის წააკითხო, ამის მსურველი აქ ბევრი იქნებაო, ხუმრობით თქვა. მეც ერთგულად ვასრულებ ამ არც თუ იოლ დავალებას: თურმე მთელი ღამე ვცდილობდი თვალი არ მომეხუჭა, რათა ბარათი არ დამეკარგოდა ან ვინმეს არ წაეგლიჯა. ადრესატს რომ მივუტანე ბარათი, თურმე ველარაფერი წაუკითხავს — ხელში ერთიანად დაქექილა. მერე ხშირად იცინოდნენ ამაზე, და ალბათ მეც იმიტომ დამამახსოვრდა ეს ეპიზოდი.

ჩვენ სოფელში მივიღივართ. თბილისბათუმის მატარებლით ჩამოსული ხალხი ნატანებიდან ოზურგეთამდე ლინეიკებით ან ეტლებით მგზავრობდნენ — რკინიგზა აქ უფრო მოგვიანებით გაიყვანეს, და ეს უკვე კარგად მახსოვს, როგორ დიდის ბაქი-ბუქითა და ნიშნის-მოკებით იტვოდნენ ხოლმე: მენშევიკებმა ვერ მოახერხეს ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინიგზის გაყვანა და ეს ჩვენ გავაკეთეთ, ბოლშევიკებმაო. მაკონდება, როგორის რიხით განაცხადა ეს სახელდახელოდ მოწყობილი ტრიბუნიდან ბუღე მდივანმა ხაშურში. მაგრამ ეს უფრო მოგვიანებით მოხდა, 1930 თუ 1931 წელს.

თბილისიდან აყრა და სოფლად გადასახლება, როგორც შემდგომ და შემდგომ ირკვეოდა, შეხმატკბილებულად არ გადაწყვეტილა ოჯახში. მახსოვს, რამდენს აყვდრიდა დედა მამაჩემს, რომ ქალაქს მოწყვიტა და ამ ტალახსა და ჭინჭერში ჩამოიყვანა. დედა ქუთაისში იყო გაზრდილი; ადრე დაობლებული, უფროს, ერთადერთ ძმას სოფლიდან ქუთაისს წაეყვანა და შეიღივიოთ გაეზარდა. დიდხანს ვერ შეეგუა დედა სოფელს, ხშირად მესმოდა მისი წუწუნის და ქმრის მიმართ საყვედურები. ხოლო

გადაულებელი წვიმებში ზგზგნნნნნნნნნნ დაიწყებოდა — რაც ჩვენში კანონზომიერებას მაინცდამაინც არ ემორჩილებოდა, წინასწარ ვერ იტყოდი, როდის დაიწყებოდა და რამდენხანს გასტანდა — არც თუ ტკბილი სიტყვებით მოიხსენიებდა ვინმე მაქსიმე ახვლედიანს, რომელსაც, ეტყობა, უმნიშვნელო როლი არა ჰქონდა მათს შუუღლებაში.

და საოცარია, როგორი მეტამორფოზა მოხდა — სოფლის მოძულე ქალს თანდათანობით ისე შეუფვარდა სოფელი, რომ ბოლოს, როცა უკვე ძალიან მოხუცდა, ქალაქში ორიოდ თვით ჩამოსვლაც უჭირდა, ვეღარა შორდებოდა თავის საგულდაგულოდ მოვლილ ბაღსა და სახლ-კარს. ვველაფერს თავის ხელით აკეთებდა — მძიმე სამუშაოსაც კი. ხელით აფხვიერებდა მიწას, ხელით მარგლიდა; ერთავად ბაღსა და ბოსტანში იყო. ნახად ეფერებოდა ყოველ ახალ-ამოწყვერილ მცენარეს, ახალ გახარებულ წერგს. ეტყობა, სწორედ მიწის მალღმა გადატანინა მძიმე განსაცდელი და უბედურება, მან გააძლებინა გატანჯულ და გაუზარელ ქალს. 93 წლისა გარდაიცვალა — სახვებით საღი გონებით, იმის ნაღვლიანი შეგნებით, რომ თავის სავერელი სოფელს ველარასოდეს დაუბრუნდებოდა...

იმ პატარა მიწის ნაკვეთზე ჰქონდა ყოველნაირი ხილი და ბოსტნეული, სიმინდი და ლობიოც კი მოჰყავდა. ქალაქში სული მეზუთებო, სულ ამას მოსთქვამდა. ჩათავებოდა დაკეპბერი, ვველაფერს მიაღაგებდა სამომავლოდ. სიმინდსა და თხილს გაახმობდა, ჩირებსა და ჩურჩხელებს დაამზადებდა. რაც წამოსახლები იყო, საგანგებოდ შეკერილ ტილოს ტროპრაკებში ჩაალაგებდა — ვველა შვილისა და შვილიშვილისათვის ცალ-ცალკე — და ახალი წელი რომ მოახლოვდებოდა, მაშინლა ჩამოვიდოდა თბილისში. ერთი ამბავი იყო მისი იქიანი გამომგზავრება და აქ ჩამოსვლა...

თებერვლის ბოლოს უკვე ფანჯრისკენ ეჭირა თვალი და დარღით აღარ იყო — მიწის დახენა-დაბარვა, ხეხილის გასხ-

ლვა მიგვიანდება, და ეს რა დამეძრთა წელს, რომ ამ ოხერ ქალაქში გამოვ-  
გქვი და ვეღარ წავედიო.

მაგრამ ეს თანდათანობით მოხდა, პი-  
რველ ხანებში კი სულ ქალაქს მისტი-  
როდა. ვაგბოვილა ქუთაისშივე სავსე-  
ბით ახალგაზრდა — 16-17 წლისა. მა-  
მანქმი სტამბაში მუშაობდა ასოთამწყო-  
ბად, ქუთაისში. თბილისში ადრევე გად-  
მოსულან, რევოლუციამდე. მამანქმა და  
ბიძანქმს ერთ სახლში აუღიათ ბინები  
გრიბოედოვის ქუჩაზე, ერთად დასახლე-  
ბულან. მერე ჩვენი ბინა დაიკარგა, ვარ-  
კვეულ ამბებთან დაკავშირებით, რაზეც  
ქვემოთ შექნება საუბარი. და როცა  
შეიწვლადის დამთავრების შემდეგ თბი-  
ლისში გადმოვედით, საკუთარი ბინა  
ალბა გვექონდა, ბიძას შევეხიზნეთ.

მაშინდელი გრიბოედოვის ქუჩა კარ-  
გად არ მახსოვს, მაგრამ დაახლოებით  
ისეთივე იქნებოდა, როგორც თბილის-  
ში დაბრუნების შემდეგ — 30-იანი წლე-  
ბის დასაწყისში: მშვიდი, წყნარი, უშ-  
ფოთველი; დილით მემანქნეებით ახშია-  
ნებული, რომლებიც სახედრებით ჩა-  
მოატარებდნენ ხოლმე მანქანებს; მემანქ-  
ნეების მერე ყვავილების მიწის გამყიდ-  
ველები ჩამოვიღიან. დიდხანს ისმის  
მათი შეძახილები — „ყვავილების მიწა!  
ყვავილების მიწა!“.

ბუკრი ახარებდა მაშინ ყვავილებს.  
ახლა, სამწუხაროდ, დავიწყებას მიეცა  
ეს კეთილი წესი ცხოვრებისა, ისევე  
როგორც ძველი დროიდან ინერციით  
გადმოყოლილი სხვა მრავალი სიკეთე...  
შემდეგ მალევე შენახვირებები გამო-  
ჩნდებოდა. პირთამდე სავსე დიდდრონი  
ტომრების ქვეშ ალარც კი ჩანან მათი  
სახედრები, თითქოს ტომრებს გამოუ-  
ბამთ ფეხები და მოჩაქჩაქებენო. ეზიდე-  
ბიან და ეზიდებიან ახლო სოფლები-  
დან ნახშირს... ალბათ იმიტომაც ალარ  
აკრავს ტყეები თბილისს. რა ტყე გა-  
უძლებდა!.. მერე და მერე ქუჩებში ალარ  
დაატარებდნენ, ალბათ აუკრძალეს, მაგ-  
რამ ნახშირით მოვაჭრე საწყობები კარ-  
გა დიდხანს შემორჩა ახლანდელი ლე-  
სელიძის ქუჩის მიდამოებში, აგერ ორ-

მოციანი წლების დასაწყისამდე, ეგრევე  
მოგვიანებით ძველმანების მფლობელები  
ჩამოვიღიან სასაცილოდ წამლერებუ-  
ლი შეძახილებით — „სტარიალოვ პაკ-  
პაიუ“... ეტლი ათასში ერთხელ თუ ჩა-  
ივლის და ზოგჯერ ფანჯარაში ცხენის  
სასიამოვნო სუნი შემოიჭრება.

ხალხი კანტიკუნტად დადის, და ლა-  
მით, როცა ძილბურანში ხარ, საოცარ-  
ი კვაფიობით გესმის ტროტუარზე  
გამლელის ფეხის ხმა. ზოგს ცნობ კი-  
დეც — მეზობლები არიან. ბიძანქმი  
ყველაზე გვიან ბრუნდება შინ, ნაშუა-  
ღამევს. ამ დროს ერთი პირი ძილი მო-  
თავეებული აქვს მთელ ჩვენს სახლს.  
ძილში ჩამესმის მისი მძიმე ნაბიჯის  
ხმა და ჯოხის კაკუნი. იგი აქვე ახლოს  
მუშაობს, კონსერვატორიის წინ, ლადი-  
ძის ლიმონათის ქარხანაში, და მუდამ  
ასე გვიან ბრუნდება სამსახურიდან; ნე-  
ლი, მძიმე ნაბიჯით დადის და თუმცა  
ჯერ ახალგაზრდაა, ჯოხი მაინც მოუ-  
მარჯვებია. მოდაში იყო მაშინ ჯოხები.

ჩვენი ბინის ფანჯრები სომხების პა-  
ტარა ეკლესიას გადააყურებს. ეკლესია  
ძალიან ბუნდოვნად მახსოვს. ახლა იქ  
ერთი ულამაზო საცხოვრებელი სახლი  
დგას. არ და მახსოვს ამ სახლის მშე-  
ნებლობა. ოცდაათიანი წლების დასაწყ-  
ისში ააშენეს. მგონი საუწყებო სახლი  
იყო, შინსახკომის თანამშრომლებისა-  
თვის.

სომხურ ეკლესიასთან დაკავშირებით  
ერთი სასაცილო შემთხვევა მაგონდება.  
ბავშვები, ეტყობა, ფანჯრებს მიადგე-  
ბოდნენ და სომხის ახალგაზრდა ტერ-  
ტრას აბრაზებდნენ. ალბათ მეც მივბა-  
ძე სხვებს, და ტერტერა თითოთი დამე-  
მუქრა (ალბათ, ხუმრობით — მაშინ ძა-  
ლიან პატარა ვიყავი). ამას ისე დაუ-  
ფეთებია, რომ მას შემდეგ თურმე  
ფანჯარას ალარ ვეკარებოდი. ეს დიდ-  
ხანს ჰქონდათ სასაცილოდ. ეტყობა,  
მაგრად შევეშინებია. ეს სხვების  
მონათხრობით ვიცი, მე ნამდვილად არ  
მახსოვს.

სამაგიეროდ, კიდევ ერთი იმდროინ-  
დელი ეპიზოდი დამამახსოვრდა. ჩვენს

მეზობლად რუსის დედაკაცი ცხოვრობდა, გვარიც კარგად მახსოვს — ფომინა. მოხუცი დედა და პატარა გოგონა ჰყავდა. ერთი ოთახი ეჭირათ და, კარს რომ გააღებდნენ, ერთბაშად გამოიჭრებოდა ხოლმე მძიმე, მძაფრი სუნი, ერთმანეთში არეული, ყავისა, თამბაქოსი, რაღაც წამლისა და ძაღლისა — პაწაწინა სასაცილო ფინია ჰყავდათ.

ამ ქალთან დროადრო მოდიოდა ერთი ქართველი კაცი, სამხედრო ფრენი 303ა, ოღონდ უპილოტებოთ. ვეკლანი „კნიაზს“ ეძახდნენ ამ კაცს: „კნიაზი მოვიდა“, „კნიაზი წავიდა“, „კნიაზი ელოდება“... ერთხელ კარი შევალე და გამოვაცხადე, კნიაზი მოვიდა-მეთქი. მახსოვს, სიცილით დამტუქსეს და ვამაჩუქეს. ეტყობა, ძალიან ხმაძალდა მოძივიდა. ერთ დღეს, კნიაზი რომ მოვიდა, ქალი სახლში არ დაუხვდა. დაჯდა და ელოდება. ეტყობა, გამოშვებაპარაკა, და მეც თავი გამოვიჩინე, ოჯახში ახალგაგონილი ჭორი ვუთხარი რომელიღაც მეზობელზე — ამ კაცმა ფული შეჭამა-მეთქი. ფული როგორ შეჭამა, ფულის შეჭმა რანაირად შეიძლებაო, გაიკვირვა კნიაზმა. მე თვითონვე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, როგორაჭამდნენ ფულს; და არ ვიცი, როგორ აუვსხენი. სახლში რომ მივედი, გამოვაცხადე, კნიაზმა ასე შეთხრა-მეთქი. და ამაზე კი მაგრად შემახურეს, ენას რატომ ატარტალებო. ეს შემთხვევაც ალბათ ამან დამამახსოვრა.

ქუთაისში მამჩემი ჯერ სტამბაში მუშაობდა და მერე გახეთის რედაქციაში. ეს ჯერ ისეკ ადრე, ჩემს დაბადებამდე. მერე ქუთაისიდან თბილისში გადმოვიდნენ.

სწორედ იმ დროს, როცა მამა ვახეთში მუშაობდა, რედაქციას სწვევია ვაჭა-ფშაველა, რომელიც იმ დროს ქუთაისში ჩავიდა. ეს ალბათ ვაქას მეორე ჩასვლა იყო ქუთაისში, 1913 წელს. პოეტის სტუმრობა ვეკლასთვის სახურველი იყო, და რედაქციაში წილი უფრიათ, თუ ვის დასდებოდა პატივი, ერთერთ სადილზე შინ მიეწვია პოეტი. ვეკლაზე იღბლიანი მამჩემი გამომდგარა.

მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება მქონებოდა მწერალს დედაჩემზე. აგერ, გვიან გაიხსენა ეს სტუმრობა, რაღაც უმნიშვნელო ამბავს მოაყოლა. ვერანაირად ვერ დავკავშირებინა ერთმანეთთან „შელის სუკრის“ ავტორი და ის სტუმარი მწერალი.

უფროსი ძმა და უმცროსი დაი უკვე ვახსენე. მყოლია კიდევ ერთი ძმა, ჩემზე ორი წლით უფროსი, რომელიც პატარაობაშივე გარდაცვლილა ფილტვების ანთებით. ბევრი იღუპებოდა მაშინ ამ ავადმყოფობით. დედაჩემს ვერაფრით ეპატიებინა საკუთარი თავისთვის, რომ არ დაუჯერა მეზობლის ქალს, რომელიც თურმე ურწევდა, იქვე მახლობლად მცხოვრები უსახელო, მაგრამ გამოცდილი ექიმი მოეყვანათ. მაშინ გომართელის სახელი ჰქვხდა, და მამჩემს ის მოუწვევია. საკვირველი კია, მაგრამ გომართელს სწორი დიაგნოზი ვერ დაუსვამს. ხოლო როცა ავადმყოფი ბავშვის მდგომარეობა გაუარესდა და ის უსახელო ექიმი მოიყვანეს, უკვე დავიანებული იყო, ვეღარაფერი უშეველემას შემდეგ დედაჩემს გომართელის გახსენება მზარავდა ხოლმე.

შემომჩენია პატარაობის სურათი, ალექსანდრეს ბაღში გადაღებული. ოთხამდე წლითა ვიქნები. ჯიბეებიანი უჯრულა პალტო მაცვია. ამკარად ჩანს, გუნებაზე ვერა ვარ, კოპები საცოდავად შემიკრავს, სატრილად გავშხადებულვარ. ძალიან დაუფთვებივარ ფოტოგრაფსა და ბნელი საიდუმლოებით მოცულ მის ფოტო-აპარატს. შეკტილო გადაფარებული დიდრონი ყუთისხელა აპარატები მაღალ სამყეხა დგამებზე მქონდათ, თითქოს საგანგებოდ იმისთვის, რომ ბავშვები დაუფთვებინათ. ეტყობა, ვერ იმოქმედა ფოტოგრაფის თავგამოდებულმა შეგონებამ, ამ ყუთიდან ჩიტი გამოფრინდებო. უსიამოვნო განცდას მაინც ვერ მოერევივარ, და იმიტომაც ვერა ვარ გუნებაზე. სურათში თავად ფეხზე ვდგავარ, გვერდით კი, სკამზე, ჩემი პატარა დაი დაუსვამთ. ჯერ ერთი წლისაც არ იქნება. ძალიან არ მიყვარდა ეს სურათი, არ მომწონდა

ახე შეწუხებული საკუთარი თავი. მაშინ თითქმის წესად იყო — ოჯახში რომ შეხვიდოდი, ძაკვიდაზე ფოტო-სურათების ალბომი დაგხვდებოდა. საშინლად არა მსიამოვნებდა, როცა ვინმე იკითხავდა, ამ ფოტოზე ვინ არიანო.

ერთი სიტყვით, მაშინ ყური არ ათხოვდა დედაჩემის პროტესტს, და ჩვენ სოფელში გადავსახლდით. ძალიან მაღლობელი ვარ მაშინვე. ვერ წარმომიდგენია, როგორი უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრება, სოფელში რომ არ გამეტარებინა ბავშვობა. რა სიხასტიკის ვიჩინე ხოლმე ჩვენი ბავშვების მიმართ, როცა ამ განუმეორებელ სიხარულს ვართმევდი, ისეთ სიხარულს, რასაც ქვეყნად ვერაფერი შეედრება. თუმცა არსებობს კი დღეს სოფელი? ეს ხომ სულაც აღარა ჰგავს იმას, რასაც თუნდა ჩემი თაობის ადამიანები მოსწრებინან...

საოცარია — ბუნდოვნადაც კი აღარ მახსოვს, როგორ მივედი შინ, ჩემს სოფელში, სადაც რამდენიმე წლის წინათ დავიბადე, 1917 წლის 10 აპრილს. ეტყობა, ისე დავიქანცე ძნელი მგზავრობითა და მრავალნაირი შთაბეჭდილებებით, რომ შინ მისვლის ამალღვებული სურათი აღარ შემორჩა მეხსიერებას. არა-და, ყველაზე უფრო ცოცხლად ეს უნდა დამახსოვრებოდა, რადგან წარმომიდგენია, როგორ შეგვხვდებოდა ჩვენი დიდი ოჯახი — ჯერ ისევე მთლიანი და განუყოფელი — როგორ შემოგვხვდებოდნენ მამიდები, ბიძები, ბებია და ბაბუა.

დიდი ოჯახი იყო. შვიდი შვილი ჰყავდა ბაბუაჩემს — ოთხი ვაჟი და სამი ქალი, და იმკამად ყველანი სოფელში იყვნენ, გარდა უფროსი ვაჟისა.

ამრიგად, მე დავიბადე მალევე რუსეთის რევოლუციის შემდეგ, რის შედეგადაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. წარმომიდგენია, რა სიხარული იქნებოდა ქვეყნად მომხდარი დიდი მოვლენების გამო, მითუმეტეს გურიამში, სადაც თავი მოქპონდათ მეფის რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობით.

მე, რა თქმა უნდა, ამის მომსწრე ვერ ვიქნებოდი, და ვერ ვიტყვი, რა გრძობა გამოხატავდნენ ამ სიხარულს. მე სულ სხვა რამის მომსწრე და მოწმე ვავხდები. სახელდობრ იმისა, თუ როგორ მწარე თვითირონიით გაიხსენებდნენ ხოლმე არსებული ხელისუფლების გაუგონარი სიხასტიკითა და ანტიეროვნული პოლიტიკით გამწარებული ადამიანები ძველ დროს, რომლის დასამხოზადაც თვითონვე თავგანწირვით უბრძოლიათ; რა ირონიანარევი სინანულით იგონებდნენ ნიკოლოზას (ასე შინაურულად მოიხსენიებდნენ ხოლმე), ვის მეფობაში თურმე თავისუფლებაც მეტი ჰქონდათ და საკმელ-სისქელიც. სახლში დიდხანს უხვდავდი ჩითის ნაჭერში გახვეულ ტკიცინა „ნიკოლოზას ფულებს“, ზედ ჰგონებდნენ მეფის გამოსახულებით. საგულდაგულოდ ინახავდა ბებიჩემი — იქნება იმის იმედით, რომ ოდესმე კიდევ გამოადგებოდა. მერე თანდათან აიყარეს გული და ბავშვების სათამაშო გახდა, სანამ ერთიანად არ გაიციოდა და გაცვდა. „ნიკოლოზას“ სახელი კი დიდხანს მესმოდა სულ სხვადასხვა ვითარებაში: ხან იმდროინდელ თეთრ პურს გაიხსენებდნენ დანაწევით, ხან მაშინდელ ქვასავით მაგარ შაქრის დიდრონ თავებს, რომელიც „კრიაუჭივით ტკბილი იყო“, ურმის ღერძი რომ ჭრიალს დაიწვებდა, მაშინაც კი ნიკოლოზას დროინდელ საპონს გაიხსენებდნენ — „ერთს რომ გასაპნაველი, მთელი თვე ყოფნიდა, ახლანდელი წყალწყალა საპონი დღეში სამჯერ რომ წაუსკა, მაინც ჭრიალებსო“...

რევოლუციას არეული დღეები მოჰყვა. ერთი წლისა ძლივს ვიქნებოდი, რომ გახიზუნა მომიწია. ოსძალები ჩოლოქს მოღვნიენ, და, ეტყობა, საშიშროება შეიქნა, ჩვენს სოფლამდეც არ მიუღწიათ. გამხიზნეს ბებიჩემის დის ოჯახში, სოფელ აცანაში, რომელიც ჩვენი სოფლიდან კარგა მოშორებით, ნაკოეთის ქედის კალთებზე მდებარეობს, მე ეს, რა თქმა უნდა, არ მახსოვს.

ჩვენს დიდ ოჯახში, იმ ადრინდელი წლებიდან, ყველაზე ცოცხლად ბაბუა მასხოვს — მხრებში ოდნავ მოხრილი მოძალლო ბერიკაცი. ას წელს თითქმის აღარაფერი უკლდა, როცა გარდაიცვალა, და სიცოცხლის ბოლო დღემდე გაუტეხელი ჯანი შერჩა. ერთადერთი, მუხლებს უჩიოდა, როცა ძალიან მოხუცდა: ეს ოხერი ისე სწრაფად ვეღარ დაველივარ, არ ვიცი, რა დამემართაო, სწუხდა. და ამას რომ ისმენდნენ, მწარედ ეღიმებოდათ ხოლმე მასზე გაცილებით უფრო ახალგაზრდებს. მაგარი კაცი იყო, ჯანიანი. მგონი თავიც კი არასოდეს წამოსტკივებია. სუსხიან ხამთარში, საშინელ ნესტსა და წინეაში, ცივი წყლით ბანაობდა. მონწილეობა მიუღია რუსეთ-თურქეთის ომში, კავალერისტი იყო, და ომის დამთავრების შემდეგაც დიდხანს უმსახურია ჯარში. შინ გვიან მობრუნებულა, და უკვე ორმოსს მიტანებული ყოფილა, როცა დაქორწინებულა.

კარგი მხედარი იყო, უყვარდა ცხენი, და მთელს ჩვენს დიდ უბანში თუ ვინმეს ცხენის ყიდვა მოუნდებოდა, უსათუოდ ბაბუაჩემს გაასინჯებდა. მკვირცხლად მოახტებოდა ცხენს ას წელს მიღწეული ბერიკაცი, ოდნავ მარცხნივ გადაიხრებოდა (ასეთი ჩვეულება ჰქონდა), და ცხენს ქუსლის ამოკრაც არა სჭირდებოდა, მაშინვე მოწყვდებოდა ადგილს. ლაღად ატარებდა, და ცხენიც ისე ლაღად მიჰყვებოდა, ამკარად ეტყობოდა, სიამოვნებდა. უყვარს ცხენს გამოცდილი მხედარი.

მამაცი იყო, გულადი. შიში არ იცოდა. ასე იცნობდა მთელი სოფელი. მაგრამ არის ერთი რამ, რასაც, ეტყობა, ვერ აღუდგება ბუნება ადამიანისა, რაგინდ გულადი და უშიშარი იყოს. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი მარადიულია და იგი ყველას თავისებურად აწუხებს — ფილოსოფოსსაც და უბრალო გლეხსაც. ზოგი საჯაროდ გამოთქვამს ამაზე თავის აზრს, ზოგი არაფერს ამბობს, თითქოს არც აწუხებს, მაგრამ

თავისთვის, გონებაში, უსრულად უსრურობს, და ეს ფიქრი ყველაზე მეტად ერთბაშად გასტეხს. მე მინახავს სიკვდილის შიშით დაბეჩავებული ადამიანი, თუმცა იგი ღრმად განათლებული და გონიერი იყო. ზოგი თავს იტყუებს, არ მეშინიაო.

ბაბუა არ იმწნევდა, არაფერს გაგრძნობინებდა, მაგრამ ჩანდა, რომ მასაც აწვალებდა ეს ფიქრი. სულ უფრო ხშირად მოაკითხავდნენ ხოლმე ძილში იმქვეყნად წასული წინაპრები თუ ახლობელი ადამიანები. იქნებ ადრეც ესიმრებოდა, მაგრამ ახლა უკვე დაფიქრებულ-დაეჭვებული ყვებოდა ღამით ნანახ სიხმარს. რამდენჯერ შევსწრებივარ: როცა ჩვენს სოფელში ან მეზობელ სოფლებში ვინმე მოხუცი ადამიანი გარდაიცვლებოდა, იჯდა ბაბუა და რაღაცას ითვლიდა, დიდხანს ითვლიდა, დიდხანს ანგარიშობდა — თითებსაც მოიშველიებდა — და ბოლოს უკვე ხმამაღლა გააგრძელებდა შემაწუხებელ ფიქრს: ჩემზე ამდენი და ამდენი წლით უფროსი იყო. მუდამ მასზე უფროსი გამოდიოდა გარდაცვლილი მოხუცი... ასე იმშვიდებდა გულს, ასე გააცურებდა მოდარაჯებულ სიკვდილს...

ერთხელ მეზობლის ქალი გარდაიცვალა, უკვე ღრმად მუხუცი. სასაფლაოზე, დამწუხრებულმა ქმარმა იმქვეყნად გამგზავრებულ ცოლს დააბარა: რაც შეიძლება მალე წავიყვანე მოხუცებულებიო. იმ კაცს მეტყველების დეფექტი ჰქონდა, და მერე მეზობლები ისეთივე გამოთქმით იმეორებდნენ, და იცინოდნენ, მის სიტყვებს: „ემშა (ცოლს ესმა ერქვა), რაც შეიძლებოდა მოგვჭიკე და მოგვჭიკე (ე. ი. „მოგწიწე“ — წავიყვანე) აი მოხუცებულები“... ახალგაზრდები იცინოდნენ, ბაბუას კი გული მოსდიოდა: ნეტა ჩვენთან რა უნდა, ჩვენი სახელით რას ლაპარაკობს? თუ ძალიან მიუწევს გული, თვითონვე გაქვეს თავის ცოლს, ჩვენ თავი დაგვანებოსო.

უყვარდა ძველი ამბების, უმთავრესად ომსა და სამხედრო სამსახურში განცილილისა და ნანახის მოყოლა, და



მისი ნეტარება იყო, მოცილილ მსმენელს თუ იშოვიდა. ყვეზოდა გატაცებით, და ამ დროს თვითონვე დიდ ხიამოუნებას განიცდიდა; მსმენელს არც კი შეხედავდა, სიერცეს გაკურნებდა ანთებული თვალებით. ამიტომ დიდი მნიშვნელობა არცა ჰქონია მისთვის — დაინტერესებულ და გაკვებულ მსმენელს იშოვიდა თუ ვინმე ბავშვს, რომელსაც ჯერ ამ ამბებისა არაფერი გაკვებოდა.

სულ სხვადასხვაგვარი იყო ეს ამბები — ზოგი უშუალოდ მას ეხებოდა, ზოგისა მომსწრე ყოფილა ან გაუგონია. ზოგიერთი ამბავი ნოველასავით ჩამოიქრწებოდა.

მასხოვს, ერთ მაღალი ჩინის სამხედრო პირზე ვკვირდები. რომანტიკული ამბავია და ალბათ იმიტომაც დამამახსოვრდა. რაღაც დაუშავებია იმ კაცს, სამხედრო წესდება თუ ეთიკა დაურღვევია, რაც უსათუოდ ჰაუპტვახტში ჩასმას ითვალისწინებდა. მაგრამ ოფიცერი მაღალი ჩინისა იყო, თანაც, ეტვობა, ახალგადახდილი ომის ვიერი, და რიგით ჯარისკაცებთან ერთად მისი ჰაუპტვახტში მოთავსება უზერხულად მიიჩნეის. საინტერესო გამოსავალი უპოვნიათ: ხმალი ჩამოართვეს ოფიცერს და ჰაუპტვახტში მისი ხმალი მოათავსეს. თანაც, მხოლოდ ერთი ღამით.

და აი, მეორე დღეს საზეიმო ვითარებაში უნდა დაუბრუნონ ხმალი პატრონს. რატომ ასე საზეიმოდ, დღეს ჩემთვის გაუგებარია, თუმცა მაშინ ამით არ დაინტერესებულვარ. გამოიყვანეს დიდ მოედანზე ჯარის ნაწილები, ასეულეზად მოაწყვეს, როგორც წესი და რიგია; ყოველ ასეულს წინ თავისი ოფიცრები უდგანან ჩინისა და დამსახურების მიხედვით, როგორც დიდი პარადის დროს იყო მიღებული. გამოვიდა ბანაკის სარდლობა, დამნაშავე პოლკოვნიკსა თუ გენერალსაც დიდის პატივით მოაცილებენ. საყვირის ხმას მოჰყვა ბრძანება: „Смирно!“ და თითქოს ექოლო, გადაძახილმა ყველა ასეულს ჩამოუარა...

ისეთი ცოცხალი განცდითა და მსმენელის თვით ყველა ამას ბაბუა, თითქოს ეს ყველაფერი ახლა ხდებოდეს მის თვალწინ, მისივე მონაწილეობით...

გაილო ჰაუპტვახტის კარი და პატიმარ ხმალს დიდი პატივითა და მოწონებით მოაცილებს რამდენიმე სამხედრო პირი. ამ ჯგუფსაც წინ გაჯგიმული ოფიცერი მოუძღვის. მზეზე აღეზარდა მოოქროვილი თუ მოვერცხლილი ხმალი, რომელსაც გაფაციცებითა და რაღაც გაუცნობიერებელი მოლოდინის ცნობისმოყვარეობით შეკურნებს ასობით ადამიანის თვალი.

ბანაკის სარდალმა ხმალი აიღო, პატრონს მიუახლოვდა და გადასცა.

ხალხი ვაინაბა...

პატრონმა ზიზღით ჩამოართვა პატივყარილი ხმალი, ზედ არც კი დაუხედავს, მუხლზე გადატეხა და გადააგდო. ყველა იქ მყოფი უდიდესი პატივისცემით განიშჰკვალა ამჟამი ოფიცრის მიმართ.

ყვეზოდა ამას ბაბუა, და ამკარად შეატყობდით, თვითონაც მოხიბლული იყო ოფიცრის საქციელით.

ზოგჯერ ჩვენს ყოველდღიურ მოქმედებას დაუკავშირებდა ხოლმე თავის ამბავს, და მაშინ ეს მორალის ქადაგებასავით გამოდიოდა.

ერთხელ, გვიყვება, ზაფხულის ჯოჯოხეთურ ხვატში, როცა წებოვანი სიცხისგან გათანჯულეებს სუნთქვა გვეკვრის (იცის ხოლმე ასეთი სიცხე დასაგლეთში, ზღვის სიახლოვეს. ბაბუა ჩემის პოლიე ჩოლოქის შესართავთან მდგარა), ოთახში რამდენიმე ჯარისკაცი ეწვევართ, განძრევაც კი გუზარება, და მოუთმენლად მოეცლით შებინდებას; საღამო ხანს ზღვის ნიაგი დაიძრებოდა და ცოტათი შეებას გეპილევა. მომწერდა, მაგრამ წყალი ეზოში იყო და ეზოში რა გამიყვანდაო. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ერთ ახალწვეულს ეთხოვე, ერთი გავარდი და წყალი მომიტანეთ. სამჯერ გაუუმეორე თხოვნა და, უარი კი არ უთქვამს, მაგრამ სამჯერვე ზანტად მიპასუხა: „ცოტა დამაცადე, ახლავე“. უცებ მეორე ოთახიდან



ჩემი ოფიცრის ზმა მესმის, თავისთან მიხმობს. წყალი მომიტანეო, მიბრძანა. დაესტაცე დოქს ზელი და მიუვრბენინე წყალი. დაახსიო, მიბრძანა. როცა დაეუხსი და გავუწოდე, შენ დალიეო, მი-თხრა. მომეხატო, მაგრამ ისე მტკიედ მიბრძანა, რაღას ეიზამდი, დაელიე. კი-დეუ დაიხსი და დალიეო. მეტი მაინცდა-მაინც აღარ მინდოდა, მაგრამ მიბრძანა და რა უნდა მექნა. მესამედაც რომ მი-ბრძანა, შეუკადრე, მეტი აღარ მინდა-მეთქი. ამიერიდან დაიმახსოვრეო, მი-თხრა — როცა მოეწურდება, წყალი შენ თვითონ მოიტანე და დალიე, შენს თავს შენვე მოემსახურეო.

მოვიყვება ამას და თვითონვე გულიან-ნად გაეცინა. წარსული დღეები გაახ-სენდა.

იციოდა ბევრი ხალალობო ამბავი თუ ანეგდოტი, პილიპლგარეული კაფიები. ეს ფოლკლორული ეანრი გურიასიაც საკმაოდ გავრცელებული იყო. ცნობი-ლია, მაგალითად, ძმები გურიელების სახუმარო გაშიარებანი. ზოგი მათგანი სწორედ ბაბუასაგან გამიგონია.

თუნდა ეს ცნობილი კაფია: „სანადი-როდ მიდიოდნენ ტელემაქ და კნიაზ ჯა-ბა“, იწყებს ერთი ძმა; „გზად შემოხვ-დათ ერთი ქალი, კვანწია და შეეთელ-წარბა“, სიტყვას ჩამოართმევს მეორე — სანადიროდ მიმავალ ძმებს, რომელთაც შინაყმა ივანიკაც ახლავთ, ლამაზი ქა-ლი შემოხვდათ და თვალში მოუვი-დათ — ახლა ივანიკას ჯერია, მან უნ-და შეკრას კაფია, და ისიც არ იბნევა: „ამ საწყალმა ივანიკამ გადახტა და ქე მოძღაბა“, თავის სასარგებლოდ დაახ-სრულა მან, თავად ირგუნა ეს ლამაზი ქალი.

ბაბუას საერთოდ კარგი იუმორი აქვს და, როგორც ითქვა, ხშირად ყველა ხაზწარო ამბებს, თანაც ზოგჯერ ისეთ პილიპლგარეულს, რომ ქაღალდზე პირ-დაპირ გადმოტანა უხერხულიცაა. ერთ კაცს ასახელებდა, რომელიც მე არ მე-ნახა, ჩვენ საერთოდ არ მოვსწრები-ვართ და იმიტომაც მისი სახელი აღარ მახსოვს. ეს კაცი გულმღულარედ ნატ-რობდა თურმე: „ერთი, ნაკაშიძის ქა-

ლის ის მომცა, და ბარნეჟე ჩვეულად-შეილის ესო“. საკუთარმა შემსწრმა ფერი ჰქონია იმ უხედურ კაცს, რო-გორც ჩანს, ნაკაშიძის ქალი სილამაზით ყოფილა განთქმული, ნიკოლიაშვილი კი მამაკაცის ფიზიკური მონაცემებით...

ანდა მეორე საწყალი კაცის ნატვრა: ლამაზ ქალს რომ დაინახავდა ეს კაცი, გულზე მჯიღს დაირტყამდა თურმე და იტყოდა: „ახ, ერთი ჩემს ძმას კოსტა-იას... [მისცა] ეს ქალიო“ (აქაც ის ერ-თი სიტყვა შევეცალე)...

ყვებოდა ამეებს ბაბუა და გულიანად კუჭკუჭებდა.

ბოლომდე შეინარჩუნა იუმორი და გონების ჭაბუკური სიმკვირცხლე. ასა-მდე წლისას ისე ცოცხლად ახსოვდა ძველისძველი ამბებიცა და ახლო წარ-სულის მოვლენებიც, რომ ახალგაზრ-და ადამიანს შეშურდებოდა. ამ მხრივ იგი მკვეთრად გამოირჩეოდა მისივე ასაკის სხვა მოხუცებისაგან, რომელთა რიცხვი ჩვენს სოფელში, და კერძოდ ჩვენს უბანში, საკმაოდ დიდი იყო.

გაზაფხულის ერთ თბილ დღეს, სა-ღამო ხანს, ეზოში ვისხედით, ბაბუა რაღაცას გვიამბობდა; ხელები კეფზე შემოეწყო — ასეთი ჩვეულება ჰქონ-და — ცაცხვის ხეს მიყრდნობოდა. დი-დი ცაცხვი ჭიშკართან ახლოს იდგა. ჩვენი ეზოს წინ, შარაზე ვიდაც გამო-ნდა. გზაზე მუდამ გაცხოველებული მოძრაობა იყო, ჩვენს ყურადღება კი იმით მიიქცია ამ კაცმა, რომ ძლიერს მოჩიხავდა, ყველა უსწრებდა. როდის, როდის მოახლოვდა და მაშინდა ვიცა-ნით გაღმელი მეზობელი; ჩვენს უბნებს პატარა მდინარე დურღანა ჰყოფდა; გაგ-ვიკვირდა, რადგან ეს კაცი რამდენი ზა-ნია არავის ენახა შინიდან გამოხული. შუკაში შემოუხვია და ჩვენს ჭიშკარს მოადგა. ჩვენი სტუმარი გამოდგა.

გავიქეციოთ, ჭიშკარი გაუღეთ, შემო-ვიპატივეთ. ყაბალახი მოიხდა ხელის კანკალით, თავი დავეიკრა, მშვიდობის ხალაო ვვისურვა და შეთავაზებულ ტა-ბურეტზე დაჯდა. ბაბუამ რაღაც ჰკითხ-ა. მძიმედ, სვენებ-სვენებით და უხა-ლისოდ უპასუხა. ლაპარაკის თემა



ადარ ქონდა. ცოტა შეიხვეწა და მერე ბაბუას ეკითხება:

— მიხა, ხომ არ გახსოვს, წროულს რა დღეს უწევს აღდგომა. შარშან გონია პარასკევს მოუწია.

ბაბუას თითქოს არც გაკვირვებია ეს უცნაური შეკითხვა, მთელი სერიოზულობით უპასუხა:

— კვირას უწევს, სოფრომ, კვირას, — მის ხმაში სიბრალეულიც იგრძნობოდა და, თუ არ მეშლება, ერთგვარი კმაყოფილებაც, რომ მას თვითონ ასეთი სისულელე არ მოუვიდოდა.

— ავაშენა ღმერთმა, — მადლიერებით თქვა სტუმარმა, შეპატივებულ საუბრეზე უარი გვითხრა, შეჩქარებაი, და ისეთივე ნელი ჩონჩით წავიდა. ბაბუა თვალმოუშორებლად გაკურებდა, და რომ მიეფარა, მერედა ჩაილაპარაკა თავისთვის: „გამოჩურჩუტებულა საწყალი სოფრომა“, — და მცირე ხნის შემდეგ: „ჩემზე კი ხნით უფროსია“.

ჯარში დიდხანს ნამსახურ ხალხს სასაუბრო რუსულის ელემენტარული ცოდნა მაინც გამოჰყვებოდათ ხოლმე. ბაბუას უყვარდა რუსულად გამოლაპარაკება, და როცა ამის შემთხვევა მიეცემოდა, უსათუოდ გამოიყენებდა. მიხეილი ერქვა ბაბუას. ჩვენს დიდ სოფელში ჩვენივე გვარის კიდევ ორი მიხეილი იყო, დაახლოებით მისივე თაობისა, და ერთმანეთისაგან რომ გაერჩიათ სამი ერთნაირი სახელისა და გვარის პატრონი, ხალხს ზედმეტი სახელები შეერქმია, თუმცა გურიიში ისე გავრცელებული არ არის მეტსახელები, როგორც, ვთქვათ, აღმოსავლეთ საქართველოში. უმთავრესად ისეთ ვითარებაში შეარქმევენ, როცა ერთმანეთისაგან უნდა გაარჩიონ ერთი და იგივე სახელისა და გვარის ადამიანები. ბაბუას „მიხელ-რუსკა“ შეარქვეს, როგორც რუსულ ენაზე ლაპარაკის მოტრფიალეს; მეორეს — „მიხელ-უსტა“, ეს კაცი ღურგალი გახლდათ; ხოლო მესამეს — „მიხელ-კაპუსტა“; მართლაც ძალიან დიდი და უცნაურად მრგვალი თავი ჰქონდა ამ კაცს. რაღა თქმა უნდა, გურული ლაღი იუ-

პირით იყო შერქმეული ეს სახელმწიფო და ბაბუას ეამაყებოდა.

ერთი სიტყვით, თუ რუსულად ლაპარაკის შემთხვევა მიეცემოდა, უსათუოდ გამოიყენებდა. ერთხელ, ოცდაათი წლის გამოსვლების შემდეგ ვაჭარბაში რომ ჩამოაყენეს სოფელში, ბაბუას ჩვენი სახლის მახლობლად რუსი ცხენოსანი ჯარისკაცი შეხვედროდა. ასე დანაწილებდნენ ხოლმე სოფელში ქუჩა-ქუჩა, „წესრიგს“ ამყარებდნენ. მთლად ხელსაყრელი შემთხვევა ვერ იყო ეს, მაგრამ ბაბუამ მაინც გამოიყენა, თანაც თანამოსაუბრისათვის შეტად უსიამოვნო ვითარებაში: სწორად არა ზიხარ ცხენზე, და ლავამაც ასე რომ ქანაჲ, პირუტყვი რატომ არ გეცოლებათ, არა მგონია ტლანქად ეთქვას ეს — ბუნებით რბილი ადამიანი იყო, განსაკუთრებით უცხოებთან. ჯარისკაცმა იწყინა, გაგულისდა. ეტყობა, შეაგინა კიდევ, თუმცა ბაბუა შემდეგ უარყოფდა ამას, და ცხენი პირდაპირ მიაგლო მოხუც კაცზე. ისე სწრაფად მომხდარა ეს და იმდენად მოულოდნელად, რომ ცხენის თავი სახეში მოხედა ბაბუას, ცხვირიდან სისხლი წასკდა. გამოიყვირა, უთხრა ჯარისკაცმა, კანცელარიაში უნდა გავარკვიო შენი საქმეო.

ასე მიჰყავდათ ხოლმე, ვინც საეჭვო და პოლიტიკურად არახაიმედო მოჩვენებოდათ, თუმსაპოში „არკვევდნენ“! საქმეს. ზოგს იქვე, სახელდახელოდ მოწყობილი საპატიმროში (საგანგებოდ ამ საქმისათვის დაცული დუქანში) შეაგდებდნენ რამდენიმე დღით, ზოგი ოზურგეთის ციხეში გადაჰყავდათ.

თბილი შემოდგომის დღე იყო, ბავშვები ეზოში ვითამაშობდით. უცებ ვხედავთ, ბაბუა წინ წაუშეშვარებია ცხენოსან ხალდათს და მიჰყავს. ჩვენს სახლს რომ გაუპირდაპირდნენ, ბაბუამ ჭიშკრისკენ გამოიწია, მაგრამ ხალდათმა არ დაანება, და ამ დროს დავუნახეთ სისხლით მოთხვრილი სახე. ვიყვირეთ. სახლიდან დაზაფრული უფროსები გამოიკვირდნენ. ისეთი დრო იყო, ყველაფერზე ფეთდებოდნენ. მითუმეტეს, ჩვენს ოჯახს ის-იყო დიდი ტრა-

გედია გადაეტანა. ამჯერად ვეკლავფერი მშვიდობიანად დამთავრდა — თემკომში შესაძლებლად მიუჩნევიათ, „პირობით“ გაეთავისუფლებინათ.

დროაღდრო ოზურგეთში ჩავიღოდა ხოლმე ბაბუა პენსიის საქმეზე. ჯარში ნამსახურობისათვის რეკოლეციამდე პენსია ეძლეოდა, ახალ დროში კი მოუხსნიათ — მეფის ჯარში ნამსახურს პენსია არ ეკუთვნისო. მერე ვილაყას უთქვამს, პენსიის მოხსნა შეცდომა იყო, აღდგენას შეჰპირებოდნენ. აწვალბდნენ, ეუბნებოდნენ — უსათუოდ გეკუთვნის და აღვიღვეთ კიდევო, მაგრამ არ აძლევდნენ. ვილაყ ბარნაბას ახსენებდა — მატყუებს, თორემ მთავრობა უსათუოდ დამინიშნავდაო. ასე გადიოდა დრო — ჰპირდებოდნენ და არ აძლევდნენ.

ერთხელ ოზურგეთიდან მობრუნებული სიცოლით ვეკბა: გაებუზრდი და გულმოსულმა ვუთხარი ბარნაბას — თუ სიკეთეს შერებით, ბარემ მალირხეთ, ეგება ორიოდე თვის აღება მოვასწროო. ბარნაბა მიუბრუნდა თურმე მეორე თანამშრომელს და სერიოზულად ეკითხება: „ვანიჩკა, აი კომუნისტები მართლა მიდიან თუ იცი?“ ნაკლები ცინიკოსი არც ვანიჩკა გამოდგა, ზელად აუბა მზარი: „არ ვიცი, არ გამოვიცნია. რაჟა, მართლა მიდიან?“ „აჯერ, მიხვილი ბრძანებს, ეგება მოვასწროო, აღებათ მიდიან, აბა ტყუილს ხომ არ იტყვია აი პატროსანი კაცი?!“

ბაბუაჩემი რას გულისხმობდა, და ისინი თითქოს ვერ მიუხვდნენ!..

მერე გავიგე, ეს ბარნაბა ფილიპე მახარაძის ძმა ყოფილა. და მგონი შეუხვდი კიდევ საკმაოდ საინტერესო ვითარებაში.

ეს უკვე დიდი ხნის შემდეგ მოხდა, ბაბუაჩემი ცოცხალი აღარ იყო, და ბარნაბასაც გამოეცვალა სამსახური — რამდენადაც ვიცი, ახლა თავის სახელოვანი ძმის სახლ-მუხუუმის დირექტორად მუშაობდა შემოქმედში. საინტერესო ვითარება რომ ეახსენე, სწორედ ამ მუხუუმთანაა დაკავშირებული.

ეს იყო ორმოცდაათიწიქ წევრებში (მეორე ნახევარში, სახელდებულნი) ტრამპლ წელს, აღარ მაგონდება. თეატრალურ საზოგადოებას რაღაც ღონისძიება ჰქონდა მახარაძის რაიონში. ბატონი შალვა დადიანი ხშირად ატარებდა ხოლმე ასეთ ღონისძიებებს რაიონებში... ერთი სხდომა სოფელ ასკანაშიაც უნდა ჩატარებინათ. ჩავსხედით მანქანებში და ასკანისკენ ვავემართეთ.

მე იქაურობას კარგად ვიცნობ, და გამიკვირდა, როცა გზა გაამრუდეს — განზე გაუხვიეს. ვიფიქრე, პირდაპირა გზა აღბათ გაფუჭებულია და შემოვლით მივდივართ-მეთქი. მანქანები რომ შეჩერდნენ, ბატონმა შალვამ კარი გამოაღო და ცალი ფეხი გადმოღვა. „ასე მალე მოვიდით?“, გაიკვირა მან. ჯერ მანქანიდან არ გადმოსულიყო. არაო, მოახსენეს, ასკანაში ჯერ არ მოვსულვართ, გზად ფილიპე მახარაძის სახლ-მუხუუმის მოსანახულებლად გამოვიართ, ბევრი არ დაგვაგვიანდება, მივაგოთ პატივი და წავიდეთო.

ბატონ შალვას ერთბაშად ფეხი ასტკივდა. „ოპ, ოპ, ოპ!.. ეს ოხერი რა უდროო დროს მღალატობსო“, დაიწივლა. მეორე ფეხი ველარ გადმოღვა. თქვენ დაათვალიერეთ, მე მანქანაში დავივლიდით, მოიბოლორეთ...“

ისევე მალე დაიძრა მანქანები. ასკანამდე არც თუ დიდი გზაა, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა, ბატონ შალვას ფეხი მორჩნოდა. მუხლის ტკივილი არც მას გახსენებია და არც არავის შეუხსენებია.

რაკი სიტყვამ მოიტანა, ერთ შემთხვევას კიდევ გავიხსენებ ამავე მუხუუმთან დაკავშირებით. ეს უფრო გვიან მოხდა, შალვა დადიანი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო.

სვიმონ გუგუნავის ხსოვნის დღეებს აღნიშნავდნენ, და ოზურგეთის რაიონში მიწვეული იყო მწერალთა ჯგუფი. მწერლებს ჩვეული პატივისცემით შეხვდნენ. ნატანებშივე დაგვხვდნენ მტარებელზე და იქიდან მანქანებით წაგვიყვანეს ოზურგეთში, სანამ საიუბილეო საღამოები გაიმართებოდა (ჯერ მწერლის მშობლიურ სოფელ მიმითში და მერე



ობურგეთში), რაიონის ღირსშესანიშნავი ადგილები მოვკატარეს, როგორც წესად იყო მიღებული. გეაქვენს პატარა ელხადგურიც შევისწყალებე, შემოქმედი. ეს სადგური თავის პირდაპირი დანიშნულებით არა მგონია ისეთი მნიშვნელოვანი ყოფილიყო, მაგრამ ადგილმდებარეობის სილამაზით ნამდვილად გამოირჩეოდა. დიდხანს ვერ მოუბრძოდი ამ საარაკო სილამაზეს, და როცა იქიდან გამოებრუნდი, უკვე საღამო მოახლოებულიყო. ახლავა ვიგრძენით შიმშილი. ვახშამი თურმე იქვე გველოდა, შემოქმედი.

ერთ უჩვეულოდ დიდ ეზოში შეგვიყვანეს. ეზოში ორი სახლი იდგა: მარცხნივ, თითქმის ჭიშკრის პირდაპირ — ძველებური პატარა კოხტა ოდა, და მარჯვნივ, ჭიშკრიდან მოშორებით, ორსართულიანი დიდი, თანამედროვე ულამაზო შენობა. ცეცხლის შუქი და საეახშმო საშხადისის ჩვეული ხმაური სწორედ იმ დიდი სახლიდან გამოდიოდა, და, ადენად, მოშიებული ხალხისთვის უფრო საინტერესოც ის უნდა ყოფილიყო, მაგრამ თვალს ძველებური კოქწია ოდა იზიდავდა. მასპინძელი, ჭიშკარშივე შეგვივება, სათითოდ გავკვეთა ვეფლას, დიმილით მოგვეალერსა, და სწორედ იმ ძველებური ოდისკენ წავვიძღვა. ამასობაში შებინდდა კიდეც, და თითქოს ჩვენს შესაკვებლად, ოდაში სინათლეები აინთო, ერთბაშად გაჩანჩახდა ვეფლა ოთახი და აივანი.

„ჯერ მუზეუმი დავათვალიეროთ, თქვენც თუ ინებებთ, მერე უფრო შეგვერება ვახშამი“, ჩვეული გურული ხუმრობითა და თავაზიანობით მოგემართა მასპინძელმა, სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ამჯერად მგონი ფილიპე მახარაძის ძმისშვილმა.

ეს სიტყვები რომ ვაიგონა ლევან ვითუამ, გველნაკებნივით შეხტა, „შე მანდ შემსვლელი არა ვარ! როგორა გკადრეთ?! ასე როგორ შეიძლება!“.. და ენერგიული ნაბიჯით ჭიშკრისკენ გაემართა.

მასპინძელი არ დაბნეულა, თითქოს ელოდა კიდეც ამას. „რასა ბრძანებთ,

ბატონო ლევან, თუ რამე გაწყენინეთ, გეპატიეთ. იქით წამობრძანდით ვახშმით, დაეისვენოთ, ალბათ დადლილიც ბრძანდებით“, მოუფერა იგი ლევანს, ხელი გამოსდო და ტკბილი, თავაზიანი საუბრით ორსართულიანი სახლისკენ წავვიძღვა. პირველი უხერხულობა ხელადვე მოიხსნა და სიცილხარხარით გაეწიეთ სახლისკენ, სადაც მეფური ვახშამი გველოდა.

ერთი სიტყვით, ჯერ ისევ პატარა ვიყავი, როცა ბაბუას წუხილს ვისმენდი, პენსია უსამართლოდ მომიხსნეს და ადღენას ვერა და ვერ ვეღირსეო. დიდი ხნის შემდეგ — ეს იყო ალბათ 1944 წლის ვახაფხულზე, მე უკვე ასპირანტურაში ვსწავლობდი — კეთილი ფიქრი მომივიდა. ახლა ვნანობ, რატომ უფრო ადრე არ მომავიწყდა. წინასწარ მოველაპარაკე სოფელში მცხოვრებ ჩემს ბიძაშვილს, და რამდენიმე თვის განმავლობაში (ბაბუა იმავე წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა) ჩემი სტიპენდიის დაახლოებით ერთ მესამედს ფოსტით ვაგზავნიდი სოფელში ბაბუას სახელზე, როგორც მთავრობის მიერ დანიშნულ პენსიას. ფოსტალიონი წინასწარ გაფრთხილებული ჰყავდა ჩემს ბიძაშვილს. ამ დროს ხომ ომი იყო, და ერთი თვის „პენსიით“ ორიოდე კილო პურს თუ იყიდდი, ისე გაუფასურდა ფული. ჩემი სტიპენდიის მესამედი რაში წაადგებოდა (ასპირანტის ყოველთვიური სტიპენდია მაშინ შვიდას მანეთს შეადგენდა)! მაგრამ ჩვენი განზრახვა ხომ ის იყო, ცოტაოდენი სიხარული მიგვენიჭებინა სიკვდილის პირას მისული ბერიკაცი-სათვის. მართლაც განუზომელი სიხარულით გაიხარა თურმე, როცა პირველი „პენსია“ მიიღო. თვითონ უკვე კარგად ვერა ხელადედა და ბიძაშვილი დაიხმარა. დიდხანს ითვალა ფული: ამ პირველი პენსიით რამდენიმე გადაუღებელი საქმე უნდა მოეგვარებინა, და გაუჭირდა ამის დაანგარიშება. ბოლოს ორად გაკყო: ერთი ნაწილი სიმინდის საყიდლად გადასდო, ხოლო მეორე — სახლის სახურავის გამოსაცვლელად. ბაბუა უკვე ბავშვობის დროინდელი ცხო-

ურებით ცხოვრობდა, და ფულსაც მაშინდელი კურსით ანგარიშობდა.

\* \* \*

ძალიან დიდი ეზო გვექონდა, მეზობლის ბაეშეები სულ აქ იკრიბებოდნენ. დილიდან ხალამომდე ეზოში ვთამაშობდით. ჩვენი საყვარელი თამაშობანი იყო „ლელო-გატანიე“, „დანასობიე“, „კენჭობიე“, რიკტაფელა; როცა წამოვიზარდეთ — ლახტი... ფეხბურთი მაშინ არ იყო მოდამი. მაგრამ როგორც კი შემოვიდა — ამ დროს უკვე მეზუთე კლასში ვსწავლობდი — ერთბაშად მტკიცედ დამკვიდრდა და სხვა თამაშობანი შეაკვიწროვა. საოცარი სისწრაფით ვავერცელდა, სადაც არ უნდა ვაკვებდით, ვველვან ფეხბურთს თამაშობდნენ — ეზოში, ქუჩაში, მინდორში, ყანის განაპირა სასახლერო სერელზე... ნამდვილ საფეხბურთო ბურთს ჩვენ ვინ მოვეცემდა — ვთამაშობდით თხელი რეზინის ფერადი ბურთებით, რომელიც ხელადვე ფუჭდებოდა და მერე ამ დანუტულ ბურთს ვაგორებდით, მანამ სულ დაიფლითებოდა; ჩერებს დავაგორგალებდით, კანაფით შეეკრავდით და ამითაც იოლას ვავდიოდი; ვიყენებდით „ლელოგატანიესთაის“ დამზადებულ ბეწვის ბურთებსაც (ვახაფუხობით საქონელს ბეწვი სცოვა — ჩამოვაცილდით ხოლმე ამ ბეწვს და მრგვალ კენჭს შემოვახვევდით, ისე მტკიცედ შემოეკროდა, ადვილად არ დაიშლებოდა)... სწრაფად დამკვიდრდა ტერმინები „გოლერი“, „უკანა ბეკი“, „წინა ბეკი“, „ხაუბეკი“, „ავსაიდი“, „პენალტი“, „კორნელი“, „პაუტი“ (სწორედ ასე უწოდებდით). ვერცელდებოდა ათასნაირი ლევენები: ვაკვირვებით ვისმენდით, რა საოცარი ძალით არტყამდა საჯარიმოს რომელიღაც მოთამაშე ინგლისში (გვარსაც ამბობდნენ). ძალის გამოხატვლად ვირი დაუყენეს თურმე სამიზნედ და იქვე გაატახებინა სული; ამის შემდეგ გააფრთხილეს მთელი ძალით არ დაეარტყა. კიდევ ათასნაირ დაუჯერებელ რამეებს

ვებოდნენ, მაგრამ ჩვენ ეყრდნობოდით... ფეხბურთი ჩვენს ცხოვრებაში შემოვიტრა და ხალხმა ძალიან ძალე ვითავისა... მაგრამ ეს უფრო მოგვიანებით მოხდა, სკოლაში რომ შევედი მერე. ჯერ კი ისევე პატარა ვარ, ეზოს არც ვავეშორებივარ...

უკვე ჩამოვთვალე ზოგი ჩვენი საყვარელი თამაშობა. მაგრამ ვველაზე ხანაღისო არ მითქვამს: ეს „უჩენიე“ იყო, რასაც დროადრო ვეიტარებდა ხოლმე ბაბუა, როცა კარგ ვუნებაზე იყო, თუ ამავე დროს ამინდიც კარგი შეხედებოდა. თუ კვირადღე დაემთხვეოდა და დღეები სამუშაოდ არ იქნებოდნენ ვასულები, ამ თამაშს განსაკუთრებით სახეიმი ელფერი ეძლეოდა და ბაბუას განწყობილებაც უფრო ამაღლებული ხდებოდა.

იგი სიმაღლის მიხედვით ჩაკვამწკრივებს ხოლმე ბაეშეებს, და „უჩენიეც“ დაწყებულა.

„Солдаты стоят смирно и бодро“... იწყებს ბაბუა მახვილების ხაზგასმულად მკვეთრი გამოთქმით, და ამას მოჰყვება გრძელი შეკონება რუსულადვე. როგორ უნდა იქცეოდნენ ჯარისკაცები. ჩვენ გაჯიგმულები ვდაგვართ მწკრივში და ვისმენთ ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს, ეთიკურსა თუ წმინდა სამხედრო ხასიათის დარღვევებს. მოველით, როდის დამთავრდება ეს შეკონება და პრაქტიკული მეცადინეობა დაიწყება... ვველაზე საინტერესო ნაწილიც ამ „უჩენისა“ სწორედ ეს არის.

სარდლის ბრძანებაზე „პა კონიამ“, ცხენებს მოვახტებით და ხმლების მარჯვნივ თუ მარცხნივ ქნევით (ასევე ბრძანების მიხედვით: „ლიტ, ნალევო!“... „ლიტ, ნაპრაუო“) მორენებით მტრებს დავერევით. „ცხენები“ ხეებზე გვავს ბჟოლის ტყავის აღვირებით მიბმული, ხოლო „ხმლები“ — საგანგებოდ წვერდაბლაგვებული ჯოხები, რათა ერთმანეთს არაფერი დაუშავოთ — ბჟოლის ტყავისავე თასმებით წელზე ვკვადია... როცა ვველაფერი დამთავრდება, გაოფლილ, „ცხენებს“ ერთხანს ხელით დაეატარებთ, ნიავე რომ არ დაჰკრას და არ



გაცივებს; ზუსტად ისე, როგორც უფრო-სები აკეთებენ.

• • •

ჩემი „სამყარო“ ფართოვდება: უკვე მეზობელთან გადავივარ; ზოგჯერ დე-დაჩემის ნებართვით ან თანხლებით, ზოგჯერაც მივიპარები. იმ ოჯახის უფროსი, ბაბუას ძმა, სამზადი სახლის წინ პატარა აივანზე გამოსულა, დაბალ სა-კარცხულზე ზის. მუდამ ასეთი დამიდ-გება თვალწინ, როცა მას გავიხსენებ. ჩემი ფეხის ხმას რომ გაიგონებს, სათ-ვალის ზემოდან გადმოხედავს და უსა-თუოდ შემბავებს: „ვანტანვს ვახლავარ თხოთმეტი ცხენოსნით“, ან ოცდაათი ცხენოსნით, ზოგჯერ ორმოცდაათითაც, როცა კარგ გუნებაზეა, მე, ვერ დავეფი-ცავ, ორმოცდაათი ცხენოსნის ხლება უფრო მახარებს, და ამ დროს უსახლე-როდ ბედნიერი ვარ.

ეს მოხუცი კაცი, თუ თავის დაბლარ-ვენახში არ ტრიალებს, რომელიც სა-განგებოდ აქვს შემოღობილი და მის უნებართვოდ შვიკ ვერაინ შევა, ერთ-თავად იმ პოზაში ზის, ზემოთ რომ ვახ-სენე, და ან კითხულობს ან ნარდს ეთა-მამება ვინმე მეზობელს თუ სტუმარს.

კარგად მახსოვს ორი წიგნი, რომ-ლებიც რელიკვიასავეთ აქვთ ამ ოჯახ-ში; მომცრო ფორმატის შავფდიანი წიგ-ნები ხშირი ხმარებისაგან გაცრეცილა. ერთია ძველი გამოცემა ილიას „დამაკ-ვირდის“ და მეორე — მეონი პირვე-ლივე გამოცემა გუგუნავს „თამარია-ნის“, ყველაზე პოპულარული და საყ-ვარელი წიგნისა იმდროინდელ გურია-ში. „დამაკვირდის“ ხშირად ფურცლავს მოხუცი, უყვარს ბრძნული მაქსიმების გახსენება, შესაფერ ვითარებაში ხში-რად გაიხსენებს ცალკულ გამონათქა-მებს.

„აბა თუ მეტყვი, სადილობის დრო როდის არის?“ გკითხავს იგი, და პასუ-ხი თუ დააყოვნე, თვითონვე უპასუხებს: „მდიდრისათვის — როცა მოუსურვება, ხოლო ღარიბისათვის — როცა საჭმელს

იშოვის“. თავს გადააქნევს: „ბრძნულად არის ნათქვამი“.

კარგი მიზნობელია და ბევრი საინ-ტერესო ამბებიც იცის, განსაკუთრებით გურიის ცხოვრებიდან. ახალგაზრდობა-ში გურიელთან უმუშავნია; და ბევრ კუ-რიოზულსა თუ პიკანტურ ამბებსა ყვე-ბა — ზოგს იმათი ცხოვრებიდან, ზოგს — იქ გაკონილს.

სამზადი სახლის გვერდით ვეება მსხლის ხე დგას — მაღალი, კენწერო-თი ცაში აჭრილი და მუხასავეთ ტო-ტებებაბარჯული. გურიაში, საერთოდ, მაღალი ხეები იზრდება, მაგრამ ეს ხე უჩვეულოდ დიდი და მაღალია. ყველა ვერც ბედავს ზედ ასულას; ელოდებიან, როდის დაბრუნდება ყანიდან უმცროსი შვილი. მარჯვე ბიჭი იყო, მერე ომში დაიღუბა საწყალი. თვალს ვერც კი შე-ავლებ, ისე მოექცევა კენწეროზე. ციყ-ვიეთა ხტის ტოტიდან ტოტზე. შეარ-ხევს ტოტს და დგრიალით წამოვა ნა-ყოფი, ოქროსფრად მოფივნება მიწას. „სხალეკითელას“ ებახიან და ყველაზე ადრე მწიფდება. რამდენჯერ მომნატრე-ბია იმ მსხლის გემო. ნეტა მართლა თუ ისეთი გემრიელი იყო!

ამ დროისათვის აბრეშუმის პარკიც უკვე გამოსარჩევია, შეგროვდებიან ამ ხის ჩრდილში მეზობლის ქალები და დიასახლისს შევლიან. პარკის გამორ-ჩევა მხელი საქმე არ არის, მაგრამ იმის საბაბად გამოდგება, რომ ერთად შეი-ყარონ, ტკბილად ისაუბრონ, ილალონ. დროდადრო მწიფე ნაყოფი მოწყდება ხეს და ჩამოვარდება. არის ერთი სი-ცილ-კისკისი, ვინმეს თუ დაეცა მსხალი.

თავისებურად საინტერესოა ოჯახის დიასახლისი — ალერსიანი მოხუცი ქალი; ახლო მეზობლობაში ისა სწევს წერილმან მკურნალობას. განსაკუთრე-ბით დახელოვნებულია სარძევე კბილე-ბის ამოძრობაში. მოაბამს მორყეულ კბილზე ძაფს — დინჯად, ალერსიანად, თან გამშვიდებს: „ჯერ არა, ნენა, ნუ გეშინია, ჯერ არ ვაძრობ“, და წკაპ! ხანამ შენ ხამინელი ტკივილის მოლო-დინში კანკალებ, იგი ხელში გაჩრის

კბილს. „წაი ახლა, ნენა, და თავგვს აუგდე სახურავზე“.

საოცარი თვალი აქვს ამ ქალს — იმიტომაც ვთქვი, თავისებურად საინტერესოა-მეთქი: ერთი შეხედვა, უბრალო თვალის შევლება, და უკვე იცის, ან რა ნაკლი აქვს ადამიანს, ან რა სხეულისაგან გამორჩეული დამახასიათებელი ნიშანი.

ეს თვისება განსაკუთრებით ძვირფასი და დასაფასებელია საპატარძლოს შერჩევის დროს, როცა დღეობაში ან ტირილში, ან რაიმე თავშეყრის ადგილას შორიდან დაანახებენ ქალს, თითქოს არც კი აინტერესებთ ის ადამიანი. ჯერ არ უნდათ ნამდვილი ზრახვა გამოამღვინონ; პირველი „გასინჯვით“ თუ მოიწონეს, მეტე დაიწყება საერთო ნაცნობებისა და სათესავეების მოძიება, გამოკითხვა, საქმის უფრო საფუძვლიანი შესწავლა, ბოლოს მაქანკლის მიგზავნა...

„მარჯვენა ყურის ძირში სიმინდის კაკლისხელა ზალი მოუჩანს“, — ჩუმი, თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკებს, მხოლოდ იმის გასაგონად, ვინც ეს სთხოვა, თავს არც კი მიაბრუნებს გვედრზე. „რომ გაიცინებს, ზედა კბილზე ღორჯო აქვს, მარცხენა მხარეს“ (ღრჯოლს გურიაში „ლორჯოს“ ეძახიან), ან: „თმის ვარცხნილობა არ უვარგა“... „ტუნს რაცხა გვედრზე ბრეცს სამანძავოდ“... „მარცხენა ფეხს რაცხა ვლახათ ითრევს“... „ნამეტანი თავჩაღუნულია, არ დამთავალიერება სახე“...

ვითომ არაფერიო, წერილად დაგიბახაოთებს...

სიტყვამ მოიტანა: ქალის დანიშვნასა და ოჯახში ახალი წევრის შემოყვანას ძალიან ფრთხილად ეკიდებოდნენ. ზოგჯერ ზედმეტი სიფრთხილითაც. კარგად მახსოვს, რამდენხანს გაგრძელდა საცოლის შერჩევა ერთი ჩვენი ახლობელი კაცისათვის. ოღონდ ეს უფრო გვიან მოხდა, მე ამ დროს სკოლაში ვსწავლობდი, მეხუთე თუ მეექვსე კლასში. ახოვანი ვაჟკაცი იყო, ატლეტური აღნაგობისა, უწყინარი, პატიოსანი, სო-

ფლის პირობაზე ნასწავლად განათლებული. დამთავრებულია უკვე მინდელი ორკლასიანი სასწავლებელი, რაც გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მინდელი საშუალო სკოლა. მერე კარგაბანს ფოთში ემუშავა. ღებსა და ძმათა შეილებს გადაყოლილს, საკუთარი ოჯახის შექმნა დაგვიანებოდა, და როგორც ხაერთოდ დაგვიანებულისათვის ყველაფერი უფრო გამძლეებელია, ამასაც გაუჭიანურდა და გაუჯანჯლდა ცოლის შერთვა. არა-და, მეტი დაგვიანება აღარ იქნებოდა — ახალგაზრდა უკვე აღარ ეთქმოდა ამ კაცს. უცოლოდ კი მაშინ იშვიათად თუ ვინმე დარჩებოდა, განსაკუთრებით სოფელში. ათასში ერთხელ თუ შეხვდებოდი ადამიანს, ოჯახს არ მოჰკიდებოდა, და მუდამ გამკიცხავი შებრალებით მოიხსენიებდნენ ხოლმე ასეთ ადამიანს. ეს მერე მომრავალდა ოჯახის მოუკიდებლად დაბერებული ხალხი...

რაკი ამ კაცმა როგორც იქნა გადაწყვიტა ცოლის შერთვა, ყველა დაფაცურდა — ოჯახის წევრები და ახლობლები — რათა შესაფერი საცოლე შეერჩიათ. თეთონ სასიძო ნამდვილად ღირსეული კაცი იყო. საქმეს ართულებდა მკაცრად განსაზღვრული პირობები: ქალი არც ძალიან ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო (საქმროს უკვე დიდი ხანია აღარ ეთქმოდა ახალგაზრდა), მაგრამ არც შებერებული; კარგი მეოჯახე უნდა ყოფილიყო, კარგი ოჯახისუილი, სხვა საოჯახო საქმეებთან ერთად სასურველი იყო სცოდნოდა ფაქის მოვლა და ძაფის ამოხვევა.

მეაბრეშუმოება იმხანად კარგად განვითარებული იყო გურიაში და ოჯახის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენდა. ამასთან, ზოგს შინნაკეთები საოჯახო დაზგებიც ჰქონდა, და თუკი დახელოვნებული ქალი იყო, საკმაოდ წმინდა აბრეშუმის ქსოვილი გამოჰყავდა. მაშინ ბევრს შეხედებოდათ შინნაქსოვი აბრეშუმის კაბებსა და ბლუზებში გამოწყობილებს...

ერთი დიდი შეცდომა ის მოუვიდა ამ პატიოსან კაცს, რომ თავის გადასაწყ-



ვეტი საქმე სხვებს მიახლო, თვითონ განზე გადავა, თითქოს მას სულაც არ ეხებოდა; მგონი რალაცნაირად რცხვენიდა, ზედმეტი დაინტერესება გამოეჩინა... ახლომახლო სოფელი არ დარჩენილა, ქალი არ მოეჩანებულებინათ (რალა თქმა უნდა, წინასწარი დაზვერვითა და შორიდან გასინჯვით). მაგრამ ამ კაცის შესაფერი თუ საკადრისი ვერა და ვერ აღმოაჩინეს. ზოგჯერ საცოლელ თითქოს არ დაიწუნებოდა, მაგრამ „გადაკარგული“ თუ ტყვისპირა სოფლიდან იყო („ტყვიდან ზომ არ მოვიფიქვანთ ქალს“)...

ძალიან რომ გაჭიანურდა საქმე, და ცალკე სასიძო ვაბეზრდა, ცალკე ოჯახის წევრები, ბედი — როგორც ყველა წუნაბს მოსდის ზოლზე — სწორედ ერთ ტყვისპირა სოფელს მიადგა და იქ შეჩერდა. დიმილისმომგვრელად საჩოთი-რო აქ ის იყო, რომ ამ სოფელს მუდამ ავღებით მოიხსენიებდნენ. ვერც გვარი-შვილობით დიკვეხნიდა საპატარძლო (ამასაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქალის შერჩევის დროს, თუმცა არც სასიძო ყოფილა გამოჩინებული გვარის პატრონი)...

მაგრამ რაკილა სწორედ ამ სოფელს მიადგა ბედი, და აქედან ფეხი აღარ მოიკვალა, ზურგი ედარ შეაქციეს, ხელი ედარა ჰკრეს. ამჯერადაც გამართლდა ანაზის სიბრძნე: „სადაც არის ბედი შენი, იქ მივიყვანს ფეხი შენი“. შუამავლის მეოხებით საპატარძლოს „ნახვოს“ დღე დათქვეს (ასე ხდებოდა — ვერ „ნახვა“: ამ დროს ქალსა და მის ოჯახს უფრო საფუძვლიანად გაეცნობიან; და შერე ნიშნობა).

„ნახვაზე“ მცირე ჯგუფი გაემგზავრა ახლობლებისა — ხუთიოდე ადამიანი. ახლა უკვე საკუთარი თვალთ ნახეს საპატარძლო, მომავალი მოყვრები გაიცნეს, კარგად მოიღვინეს და გამობრუნდნენ. ქალი მოეწონათ, თუმცა ესეცა თქვეს: „მჯობნის მჯობნი არ დაილევა, ამ კაცის შესაფერს, ბევრიც რომ ვუბოთ, ვერ ვიპოვით — აკი ვებნეთ კიდევ — მაგრამ რაკი ბედმა ასე ინება, უნდა დავყაბულდეთო; ცოტა უფრო

მოძალდო ყოფილიყო, აჯობებდა, მაგრამ რას იზამ, არც დაბალა ვიყუარებო, ყოველ შემთხვევაში, ლოგინში არ დაეკარგებო“, ხუმრობდნენ.

„ნახვას“ მალევე მოჰყვა ნიშნობა. ნიშნობას წვიმა დაესწრო, მაგრამ წამსვლელები ამას არ დაუშინებია. იმ ხუთიოდე კაცს სხვებიც ბლომად დაემატნენ, მოიძიეს ქოლგები, კალოშები — ვის რა აღმოაჩნდა — ზოგს ნაბადიც ჰქონდა მოსხმული, და საღამო ხანს გაემართნენ. მაშინაც და ახლაც ფეხით წავიდნენ. ახლა წინდს დაუტოვებდნენ ქალს, მოიღვინდნენ, დროს გაატარებდნენ ახალშექმნილ მოყვრებთან, ქორწილის დღესაც დანიშნავდნენ...

მაგრამ ისე დატრიალდა საქმე, რომ ღზინი და ქეიფი ჩაშხამდათ, კინაღამ საქმეც ჩაიშალა.

სასიძოს მხლებულთა შორის იყო ერთი მოხუცი, ოჯახის ახლობელი, საოცრად მკვირცხლი და ენამახვილი ბერიკაცი, რომელიც თავისდღეში პირდაპირ არ იტყოდა სათქმელს, სულ ქარაგმებითა და გამოცანებით ლაპარაკობდა. „ნახვაზეც“ ახლდა ეს კაცი სასიძოს და, რალა თქმა უნდა, ნიშნობაზეც გაჰყვა.

დიდი პატივით მიიღეს სიძე და მისი მყრიონი. სუფრა უკვე გაშალათ, მაგრამ სანამ მიუხზებოდნენ, ბუზართან შეთბნენ, ერთი-ორი ხელი ნარდიც ითამაშეს, როგორც წესი და რიჯია. დამხვდურები ბლომად იყვნენ — მეზობლები, ნათესავები. საპატარძლო ვერ არ ჩანდა. სუფრასთან რომ მიიწვიეს სტუმრები, მაშინდა გამოჩნდა.

და სწორედ ამ დროს მოხდა ის, რამაც კინაღამ ჩაშალა საქმე. ბერიკაცმა ყელასთვის მოულოდნელად თავისი კალოშები მოიკითხა.

„კალოშები მეცაა გონი, ბაბუ“ (ჩვეულებად ჰქონდა ლაპარაკში წამდღუწუმ „ბაბუს“ ხმარობდა). თქვა და მიიხვდომიხვდა ისეთი მოძრაობით, თითქოს რალაც დაკარგვია და ექებსო.

მასპინძლები დაიბნენ: ვერანაირად ვერ მიხვდნენ, რატომ სჭირდებოდა ამ კაცს სუფრასთან კალოშები. სიძის



მხლებლებმა, რაღა თქმა უნდა, იცოდნენ ბერიკაცის კვიპატი ენის ამბავი, მაგრამ ერთბაშად იმათაც ვერ იახზრეს, რას ნიშნავდა ეს უცნაური ახირება.

„შენ არ გციმა კალშები, ბაბუ?“ — ახლა სასიძოს ძმას მიუბრუნდა. ეს სიტყვები ხშირად იქცა, და მერე ჩუმი დასძინა: „ქალი შეგვიცვალეს, გონია, ბაბუ!“

თითქოს მარტო ერთი კაცის გასავონად იქცა, მაგრამ ზოგმა სხვამაც მოჰკრა ყური, იმათ, ვინც ამასწინათ ახლდა სასიძოს. ქალი ერთბაშად არც ამათ მოუვიდათ თვალში, მაგრამ ეს უბედურება არ უფიქრიათ. ახლა, რაკი ასეთი უცნაური ეჭვი გაჩნდა, უფრო დაკვირვებით მიამტერდნენ საპატარძლოს. დიდ ოთახს ლამპის სუსტი შუქი ანათებდა, და სახის ნაკვეთები მკაფიოდ არ უჩანდა ქალს. ამათაც მოეჩვენათ, რომ სულ სხვა ქალი იყო.

ეს ყველაფერი სწრაფად ხდება. ოთახში ამ დროს არეულობაა — სუფრასთან დასხდომის ჩვეულებრივი ხმაური, სკამების მიწვე-მოწვევა, ერთმანეთისათვის ადვილის დათმობა, გადალაპარაკება, გახუმრება. ბევრს ალბათ არც გაუგონია, როგორ მოვიკითხა ბერიკაცმა კალოშები. მომსვლელთა შორის ჩიჩქოლი შეიქნა — გვედრზე ვახშობა, გადალაპარაკება. ერთადერთს, სასიძოს არ გაუგია არაფერი; იგი შორიდან დარცხვენით ათვალაირებდა თავის მომავალ თანამეცხედრესა და უღლის გამწვევს, და ახლა მგონი კიდევ უფრო მოსწონდა. ხოლო როცა მასაც გადაკვრით აგრძნობინეს, მთლად კარგად ვერ არის ჩვენი საქმეო, დამუნათებთა და მუდარით გადახედა თავისიანებს: მაცალეთ, ამ ბედნიერებას ნუ მომიშლიათო. თქმით არაფერი უთქვამს, მაგრამ მისი თვალეში აშკარად ამას გამოხატავდნენ.

სტუმართა შემოფოთება არც მასპინძლებს გამოჰპარვიათ, მაგრამ რაკი ვაცხადებულად არაფერი თქმულა, თავი ისე დაიჭირეს, თითქოს არც მიმხვდარი იყვნენ რამეს. ყველა სოფელს ჰყავდა თავისი გამორჩეული მომღერლები, რომელთაც დიდ წვეულებებზე უსათუოდ

დაპატიებდნენ და საგანგებოდ შემწავლადვილას დასვამდნენ. მისწავლამ შეიქნა, სწორედ ამ მომღერლებს მიიციეს ნიშანი, და გურული სიმღერის დაღებულ ქანგებში ჩიჩქოლიც გაითქივა და ის წყნა თუ შემოფოთებაც დაითრგუნა.

სინამდვილეში არაფერიც არ მომხდარა, ბერიკაცის გადამეტებულმა სიფრთხილემ თუ უხიაკმა დაეჭვებამ გამოიწვია ეს უხიამოვნო გაუგებრობა. ქალს ვინ შეეცვლიდა! ასეთი რამე მხოლოდ მოთხრობაში ხდება..

ყველაფერი კარგად დასრულდა. დაღებული ოჯახი შექმნეს. ცხოვრობდნენ ურთიერთ სიყვარულითა და სიამტკბილობით, ოთხი შესანიშნავი ვაჟაკი გაზარდეს, და ამქვეყნიდან ისე წაივდნენ, ურთიერთ სიყვარული წუთითაც არ მოკლებიან.

• • •

წერა-კითხვა სკოლაში შესვლამდე ვისწავლე. მანამდე კი ზეპირად ვიცოდი თითქმის ყველა ლექსი, რასაც ჩემს უფროსს ძმას სკოლაში ახწავლიდნენ.

ყველა ოჯახში ასე ხდება: უმცროსი ბავშვი, ხანამ სკოლაში მიიბარებდნენ, ხარბი დაწაფებით ისმენს უფროსი დამძის გაკვეთილებს, და ხშირად მათზე უფრო ადვილად ითვისებს. ძალდაუტანებელი საქმე მუდამ ხალისით კეთდება.

სულ პირველად ბაბუამ დამასწავლა წამღერებით „მეცხვარე“. მამის ჯერ ისევ ძალიან პატარა ვიყავი. ხალალოობით შუაცეცხლის პირას მიუჯვდებოდი ბაბუას გვერდზე და გატაცებით ვმღეროდი, თან შესაბამისი ვესტებით გამოუხატავდი ლექსში აღწერილ მოქმედებას. „უხე-უღავ მე-ეცხვარეს“ — შორს, მთის კალთაზე შეუწინაღებურად ფარას ვაჯვურებ და შუბლზე მიღებული ხელით მზეს ვიფარებ. „ჯოხით მხარზედა-ა-ა“ — ახლა მხართან მივიტანდი ხელს და ა. შ. ვმღეროდი და ბაბუაც ამყვებოდა ხოლმე. შეჩვენებოდა, სხვებ-



საც მოსწონდა ჩემი სიმღერა, და ნეტარებაში ვიყავი.

სახლში რამდენიმე წიგნი გვქონდა. მათ შორის კარგად მახსოვს „ღონ კიხობი“, მომწიწანო ფერის ყდიანი წიგნი. წაკითხვით გაცილებით უფრო გვიან წაუკითხე. მაგრამ სასაცილო თავდასახვალი ორი ახორბული კაცი-სა თაყიდანვე ვიცოდი. იმ წიგნებს შორის იყო გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და „დედა-ენა“, რომელსაც მაშინ სკოლაში უკვე აღარ ასწავლიდნენ. მუხლებზე დავემხოზოდი და, ჯერ ისევე მინამღე, სანამ სკოლაში შესვლამდე კითხვას ვისწავლიდი, დაუსრულებლად ვათალიერებდი ხოლმე. მერე ჩვეულებად შექცა და ძალიან დიდხანს სულ ასე კვითხულობდი წიგნებს. დედა იცინოდა, ხოჯახავით დაემხოზო, მაგრამ არ მიშლიდა.

პირველი მოთხრობა, რომელიც ძალიან შემეფარდა, „თხა და ვიგო“ იყო. ეფორტლავი წიგნს და ერთი სული მქონდა, სანამ იმ პაწაწინა მოთხრობას სახელგებოდი. რამდენადაც ეს პატარა სახუმარო მოთხრობა ვოველ ვახსენებზე უნაურად გამახალისებდა და მხიარულ განწყობილებას მიქმნიდა, იმდენად რაღაც გაუცნობიერებულ სედასა მგერიდა ხოლმე მეორე მოთხრობა და ლექსი - „უაზო და ფრინველები“.

თითქოს უცნაურია: ამ ნათელსა და სიკეთით გამსჭვალულ მოთხრობას რად უნდა მოეგვარა სედა! ეტყობა, ყველაფერი იმდროინდელ განწყობილებაზეა დამოკიდებული, რა ვითარებაშია პირველად წაკითხავ ან მოისმენ ამა თუ იმ ნაწარმოებს. ძალიან დიდხანს ვაგვევბა ეს განწყობილება. მახსოვს, ეს მოთხრობა მაშიდამ წამიკითხა. დედა რამდენიმე ხნით თბილისში წავიდა. მე აუღ გუხდი - სიცხე მომცა და წითელა გამომაყარა. გუშინდელივით მახსოვს, როგორი გულწრფელი სიხარულით შესძახა ორივე მაშიდამ: „უი, წითელ-ბატონები მობრძანებულა!“ თითქო მართლაც ძალიან ვახსარო ვოფილიყო.

ასე მქონდათ ძვალბილში გამეფიწესული რი - „ბატონებს“ მხიარულად უნდა შეხვედროდნენ „ბატონების“ წყვინება არ შეიძლებოდა.

სასთამალთან დამისხდნენ და მიკითხავდნენ. დედასთან ცოტა ხნით განხორბასაც კი ძალიან მტკივნეულად განვიციდიდი, და მოთხრობაში დედის ისე ალერსიანად მიხსენიებამ გული ამიწილა, ცრემლები ვეღარ შევიკავე. არ ვიცი, მიმიხვდნენ თუ არა მაიმიდები ასეთი გულანუგების მიზეხს, მაგრამ რომ დამიყვავეს და მომეფერენ, ამან კიდევ უფრო გაუხსნა გზა ჩემს ფარულ დარდს. დიდხანს გამეფა ეს განცდა, რამდენს წაუკითხავი ან ვაუხსენებდი ამ საოცრად კეთილ მოთხრობას, იმდენი გულზე სედა შემომანუგებოდა და იმ წუთებში დედის უსაზომო სიყვარულით მეგებოდა გული. ასეთივე უნაზეს გრძობისა აღმიძრავდა დედის მიმართ ღუტუ მეგრელის მოთხრობა „ქინაქინა“, რომელიც უფრო მოგვიანებით გვასწავლეს სკოლაში.

ლექსებიდან ყველაზე ძალიან „ყინვა და პატარა მოწაფე“ მიყვარდა. შემდეგ მაშიდამ დამასწავლა „პატარა ქართული“ ღუტუ მეგრელისა.

ამ ღუტუსთან დაკავშირებით ერთი პატარა ეპიზოდი მაგონდება.

იმხანად მაიმიდამეზი ზედაგოგორი სასწავლებელს ამთავრებდა ოზურგეთში, მასწავლებლობისათვის ემზადებოდა. ვეკითხავდა ღუტუსებს, გვაზეპირებინებდა, ზაფხულობით ზოგჯერ პატარა წარმოდგენებს გვაპართინებდა: წაკითხებდა ხოლმე ბავშვებს ღუტუსებს - ეს ჩვეულებრივ სათანადო ესტიკულაციით ხდებოდა; მარტოვე სიუჟეტთან მოთხრობებსაც გაითამაშებდნენ. მაყურებლები ამ ბავშვების მშობლები იყვნენ. ძალიან ხალისიანად ტარებოდა ასეთი საღამოები. ერთხელ წარმოდგენა გამართეს მეზობლის სახლის აივანზე, რადგან ეს დაბალი აივანი უფრო მოსახერხებელი გამოდგა „სცენად“ - „მაყურებლები“ ეზოში ისხდნენ ჯორკოებსა და პატარა სამეფა სკამებზე. ნამდვილ თეატრს რომ დამსგავსებოდა, აი-

ვანზე თოკით ფარდავი გასჭიმეს ფარდად. „სკენის“ გვერდით, ფარდაგებათვე კულიხები იყო მოწყობილი... ამ ხალაშზე ჩემს უფროს ძმას „პატარა ქართული“ უნდა წაეკითხა. წააკითხა ეს ლექსი, და მაშინვე ახალგაზრდა შეზობელი წამოიღო „მაყურებელთა რიგებიდან“, აივნისკენ გაემართა...

ეს კაცი უფრო მოვეიანებით ჩვენი სკოლის დირექტორად დანიშნეს, იშხანად კი რომელიღაც მეზობელი სოფლის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად, და როგორც შემდეგ ამბობდნენ, ინტრიგებს ხლართავდა, რათა ჩვენს სოფელში გადმოეყვანათ — ჩვენი სკოლა ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლად ითვლებოდა მთელს მაზრაში. წამოიღო ეს ახალგაზრდა კაცი, აივანთან მივიდა, ფარდა გადასწია და ხმაძალა და საკმაოდ მკვახედ მიმართა მამიდაჩემს:

— თამარ, შენ არ იცი, მაი ლექსი აკრძალული რომაა?!

მამიდაჩემი გაშრა.

— ნამდვილად არ მახსოვდა, შალვა... — ესღა უპასუხა.

წარმოიდგენა, რა თქმა უნდა, უკემურად გაგრძელდა.

ეს იყო პირველი სუსხი ცენზურისა, რომელიც მაშინ, ბუნებრივია, კარგად ვერ გავიცნობიერე.

\* \* \*

— ზეალ ეკლესიაში წაგიყვან, — გამოიძახა ერთ დღეს ბაბუამ.

ჯერ არ შენახა ჩვენი ეკლესია, მაგრამ ის კი ვიცოდი, რომ რბილად მოგუგუნე ბებრები, დილაობით ჰაერს რომ გაავსებდნენ ხოლმე, სწორედ იქიდან მოდიოდნენ. უფროსები ამ დროს, რა საქმითაც უნდა ყოფილიყვნენ გართულნი, წამით შედგებოდნენ და პირველს გამოიხატავდნენ. ხშირად გამიგონია, რა თავმოწონებით იტყოდნენ, ჩვენი ეკლესიის ზარის ხმა აქეთ მთისპირსა და თავაკიჯვარს უწევს, იქით კი — ძამითსა და აკეთსო. უყვართ გუ-

რულებს თავმოწონება, მითუმეტეს როცა ამის საფუძველი აქვთ.

ვერ ვიტყვი, რა გრძობა დამეუფლა, როცა პირველად შეკველე თვალი მწვანე ქვით ნაგებ ჩვენს ეკლესიას: ერთბაშად განვიცადე პატარა ბავშვმა მთელი მისი სილამაზე, თუ ეს განცდა შემდეგ თანდათანობით ჩამოყალიბდა. ბაბუა მანევენება ხატებს, მაგრამ ამით, ეტყობა, დიდად არ დავინტერესებულვარ. იმ პირველ დღეს სხვა რამემ უფრო გამაოცა.

ბაბუამ ამიყვანა სამრეკლოზე, რომელიც ეკლესიისავე გაგრძელება იყო, თავისი ღია გუმბათით. სწორედ აქ ეკოდა ის ზარი. ქვის საცალფეხო დახვეულ კიბეს რომ აუყუევით, ვერ დაფარავ, შემეშინდა. კიბე წრედ უკლიდა და ნახევრად ბნელოდა. როცა განათდა, უკვე სამრეკლოს გუმბათში ვიყავით. სწორედ აქ ვიხილე საოცრება, რამაც გამაოცნა. ასე შეგონა, ჩემს წინ მთელი ქვეყნიერება გადაიშალა-მეთქი, და იმოდენა მენჯენა ის, რომ ერთბაშად შემაკრითო. თვალსაწიერი შორს გაჭრილიყო. ცისა და დედამიწის შესაყართან მდინარე მიიკლავებოდა. ჯერ ვერც კი მივხვდი, რა იყო ეს დაკლავილი ზოლი, რომელსაც თხელი ნისლის თეთრი ლენაქი ებურა. ეს იყო დასაკლეთი მხარე, ხვეული კიბით ასულს პირველად სწორედ დასაკლეთი გადაგეშლებოდა. ჩრდილოეთითაც შორს იკარგებოდა თვალსაწიერი. ბაბუა იტყვ მიმანიშნებდა მდინარეზე, მაგრამ მე იმას ვერ ვარჩევდი. ეტყობა, ისიც წარმოიდგენაში ხედავდა პირიზონტზე გაფერმკრთალებულ მდინარე სუფსის ზოლს. აქეთ — აღმოსავლეთით და სამხრეთით — მიუბს ისე მოეახლოებიანთ პირიზონტი, ლამის ზელსაც მოუწვდნენ. აქ უკვე არა მარტო ვარკვევით ვხედავდი, არამედ შესმოდა კიდევ მდინარე ბახვისწყლის ყრუ ხმაური. მდინარის გაღმა, ფერდობებზე, ოდა-სახლები შეფენილიყო. ეს იყო ორი ერთმანეთზე გადაბმული სოფელი, რომლებიც ბახვის თემში შემოდიოდნენ. ძალიან ლამაზი სანახავი იყო დაბურულ ხეებში მზით დაფერილი კრამიტის სახურავები. სახელებიც ასეთი-

ვე ლამაზი აქვთ ამ სოფლებს: ოქროს-ქედი და მშვიდობაური. სამხრეთით დიდი მთა მოსჩანდა. ეს გახლდათ ხახმარო, რომელსაც მოწმენდილ ამინდში ჩვენი ეზოდანაც ვხედავდი, მაგრამ მხოლოდ მწვერვალის თეთრ ქედს. აქედან კი მთელი სიღიადით წამოიშართა თოვლიანი მწვერვალი მაღალი მთისა. ეს ალბათ ხაყორნია იყო.

ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ სოფლის ჩვეულებრივი ხმაური, მდინარის ყრუ გრიალსა და კაერშივე წარმოქმნილ რიტმულ ზუზუნთან ერთად, თითქოს აქვე ახლოდან კი არ მოდიოდა, არამედ ხაღდაც ძალიან შორიდან, და რამდენადაც სასიამოვნო იყო ეს განცდა, იმდენადვე მაკრთობდა და მამინებდა. ამის შემდეგ ბაბუაჩემისაგან დამოუკიდებლადც რამდენჯერმე ავსუღვარ სამრეკლოზე, და მუდამ ასეთი განცდა შეუფლებოდა.

იმას, რის სანახავადაც მომიწევდა აქთკენ გული, ვვლახე გვიან შევხედე. ეს იყო ვეებერთელა ზარი, ლამაზი ჩუქურთმებით ამოტვიფრული...

პირველი მსხვერპლი ეს ზარი შეიქნა. მე არ შევსწრებივარ, მაგრამ ძლივს ჩამოუხსნიათ და, იმსიმაღლიდან ზათქით წამოსული, ისე ღრმად წასულა მიწაში, რომ მერე ვეღარ დაუძრავთ. ეს არც ეჩქარებოდათ, მთავარი იყო, რომ ჩამოხსნეს. დიდხანს იყო ასე, მიწაში ნახევრად ჩაფლული, უსამართლოდ შეურაცხყოფილი და დამცირებული, როგორც ნიშანი აღამიანური უმადურებისა, და უკუნურებისა. მერე ამოიღეს და ხაღდაც წაიღეს. ალბათ გადააღწეს. კაცმა არ იცის, რაში გამოიყენეს. პატარა ზარებიდან კი, ერთ-ერთი სკოლის ეზოში დაკიდეს. ამ ზარს უფრო წკრიალა ხმა მქონდა, და განუწყვეტლივ იხმოდა მისი წკრიალი ჯერ ადრე დილით, როცა სკოლაში მოუხმობდა ბავშვებს, მერე ყოველი ვაკეეთილის დაწყებისა და დამთავრებისას. და სკოლის შემდეგაც ჩუმად მიდიოდნენ და რეკდნენ დაუსრულებლად. ენამ რომ ვეღარ გაუძლო და მოძვრა, რკინის ნაკერი მოიტანეს და ახლა იმას ურტყამ-

დნენ გარედან უწყალოდ, გაქვებებო, სანამ ბოლოს არ გაიბზარა და ჩაქვებოდა...

ეკლესიის ვრცელ ეზოს ქვითკირის მაღალი, მტკიცე გალავანი ერტყა. მაღალი და ფართო ბჭის აქეთ-იქით, თითქოს გუშაგებად, დიდრონი ცაცხვები აღმართულიყო. ცაცხვისა და თელის ხეები აქა-იქ გალავნის გასწვრივაც იყო ჩარიგებული. დიდი სოფელი იყო და წირვის დროს, განსაკუთრებით დიდ უქმე-დღეებში ხალხით გაივსებოდა ხოლმე ეს ვრცელი ეზო. დილიდანვე მოედინებოდნენ ეკლესიისკენ — სუფთად ჩაცმულები, კეთილად გაღიმებულები; ერთმანეთს ზოწმებდნენ თავს უზრიადნენ, განუწყვეტლავ ისმოდა: „დილა მშვიდობისა, ბატონო“, „ღმერთმა მშვიდობა ნუ მოვიშალის, ჩემო ბატონო“, „მამაბუციერს შენს დღეგრძელობას ეთხოვ“...

მამაკაცები გალავანზე ან ეკლესიის გარე კედელზე მიაყუდებდნენ ჯოხს, ზედ ყაბალახს ჩამოაცვამდნენ და პირჯვრისწერით შევიდოდნენ საყდარში. წირვა რომ გამოვიდოდა, ასევე პირჯვრისწერით, მშვიდად გამოლაგებოდნენ და დიდხანს იდგნენ ეზოში ჯგუფ-ჯგუფად, გულითად საუბარში გართულნი. ძალიან უყვარდათ ამ დროს ერთმანეთი.

უპისკოპოსმა გაბრიელმა თავის ქადაგებაში, ამ ეკლესიის კურთხევის დროს, სწორედ მაცხოვრის სიტყვებით მიმართა მრევლს: „ამით სცნან ყოველთა, რამეთუ მოწაფენი ჩემნი ხართ, უკეთუ იყვარებდეთ ურთიერთას“, და შემდეგ განაგრძო: „აჰა ქრისტიანობის ნიშანი! რომელს ქვეყანაშიაც არის ჭეშმარიტი ქრისტიანობა, იქ უნდა იყოს სიყვარული, ერთობა, ერთგულება“.

ასეთი ურთიერთ სიყვარული მქონდათ მთელს სოფელში, და ამაში დიდი იყო ეკლესიის დამსახურება. გაბრიელი იმავე ქადაგებაში მრევლს მიმართავდა: „...კაცი, რომელი ერთგულად და გულმოდგინედ ივლის საყდარში და იმუნს წირვა-ლოცვასა, მზურვალთა გულითა და სასოებითა ევედრება ღმერთ-

სა... ის კაცი ცოტ-ცოტად სრულიად გამოიცილება და უმჯობესი და უკეთესი კაცი შეიქმნება. ჭკუა და გონება მისი განათლება, რათგანაც ყოველ წინაგაზე ესმის საღმრთო წერილისგან მრავალი ღვთიური აზრი და მცნება, რომელთა ისეთი ძალა და მადლი აქვს, რომ სრულიად შესცვლიან და გააკეთებენ კაცის ბუნებას. გული და ხასიათი მისი გაკეთდება“...

იმევე ქადაგებაში კიდევ ერთი საგულახსნო შეკონებით მიმართა მღვდელმთავარმა მრევლს: „ადამიანს, ძმანო ჩემო, ისეთი ბუნება აქვს, რომელ თუ ყოველს დღეს თავის თავს თვითონ არ უფროსიხილდება, ანუ თუ ერთი ვინმე სხვა ყოველთვის არ აღვიძებს, არ შეაგონებს, არ ასწავლის, მაშინ იგი თანდათან ფუჭდება, ბოროტდება და ბოლოს შეიქნება მონა ცოდვისა“.

აი წინათგონობა ჰქონდა ბრძენ ადამიანს. ძალიან გვიან მიხვდნენ ამ შეკონების სიბრძნეს, ასე მარტივად და ყველასათვის გასაგებად გამოიქმულს.

ეს ქადაგება იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1867 წლის 8 (21) სექტემბერს წარმოთქვა. გავიდა ამის შემდეგ რამდენიმე წელი, და ის საშიშროება, რასაც ისეთი სიფრთხილით მიანიშნებდა ბრძენი მღვდელმთავარი, უფრო ცხადი და ამკარა გახდა, კონკრეტულად სახიფათო სახე მიიღო საზოგადოებისათვის. და ახლა უკვე, ერთ მერმინდელ ქადაგებაში მღვდელმთავარი უფრო მწვავედ აცხადებს თავის შიშს:

„...ეუდი დროა ახლა! ხალხის ტვინში იბადებიან მრავალნი დამღუპველნი აზრნი და მისწრაფებანი, რომელნიც აქრობენ კაცში ხარწმუნობას“.

რაც დრო ვადიოდა, მომავლის შემამრწუნებელი სურათები უფრო კონკრეტულად და თვალსაჩინოდ აისახებოდა ბრძენი ადამიანის წარმოსახვაში და შესაბამისად ქადაგებებშიაც უფრო მწვავედ და მკაცრად აფრთხილებდა იგი ხალხს:

„გამოჩნდა ერთი საშინელი, გამახინჯებული პარტია, რომლის მსგავსი არ ყოფილა დასაბამიდან ქვეყნისა“...

და იქვე:

„...გამოჩნდნენ ერთობ მრავალნი მონანი, და შეადგინეს დიდი პარტია... არ ერიდებიან არც ერთს ცოდვას, არც კაცის კლასს, არც მოწამლვას და არც სახლების და ქალაქების გადაწვას. სწავლენ ცეცხლით სოფლებს და ქალაქებს და თვითონ ამბობენ და კიდევაც სწერენ ზოგიერთ გაზეთებში, რომ ჩვენ ახლანდელი ქვეყანა უნდა დაეამხით და სულეველნი გავსწყვიტოთ, ვინც ჩვენ არ დაგვიჯერებს და არ დაგვიმორჩილებს. იქნება კიდევ იფიქრო გულში, რომ ქურდები, ავაზაკები და კაცის-მკვლელები ყოველთვის იფხენ ქვეყანაზედ, და ახლა უთუოდ მათ პარტია შეადგინეს... რას ლაპარაკობენ იგინი და რას წინასწარმეტყველებენ? ახლა, ამ მოკლე სიტყვებით ყოველიფერს, რასაც იგინი ჰბოდავენ, ვერ ავიხსნი, მხოლოდ რაოდენსავე მათსა ლაპარაკსა, როგორათაც გამიგონია, გეტყვი... ზოგიერთი კაცი არის ჭკუიანი და მშრომელი, და, რასაკვირველია, ბევრს შოულობს; ზოგიერთი არის ზარმაცი და გარყვნილი, და რაც დედ-მამამ დაუტოვა, ისიც დააბნია. ნუთუ პირველმა თავის ნაშრომი და ნაიფლარი გაუფოს მეორეს? რა სამართალი იქნება ეს? ან რა გამოვა აქედან? გამოვა ის, რომ პირველი წახდება და გაღარიბდება, და მეორეც არ გამდიდრდება. ზარმაცებს, გარყვნილებს, რასაკვირველია, კი იაშუბათ, რომ ჭკუიანთა და მდიდართა გაუფონ და გაუზიარონ თავისი ქონება, მაგრამ რა საშუალებით მოუახდინოთ ეს ცვლილება? აქ, ძმანო, ისინი, ახლანდელი ცრუ წინასწარმეტყველნი თურმე ერთს ისეთს რასმე საშუალებას იტყვიან, რომ არ დაიჯერებ, ზღაპარი გეგონება... ისინი თურმე ამბობენ, რომ ვინც თანახმა არ გახდება ამ ჩვენის პლანისა და წყობილებისაო, იმათ უნდა სისხლი გამოეუშვათ, ამოვწყვიტოთ, და მასუკან კაცობრივი ნათესავი გაბედნიერდებაო“...

რა შემამრწუნებელის სიტყვებით აღწერს ვეულაფერს, რაც ზედმიწევნითი სიზუსტით ახდა ორმოცდაათი-სამოცი



წლის შემდეგ, როცა მღვდელმთავარი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ვხალტირებული ხალხი რევოლუციის გამარჯვებას ზემოდა, და უბადრუკი გამარჯვების აღსანიშნავად ყველაფერს ანგრევდა, რაც ძველად შექმნათ და რაც მშვენიერი იყო.

სწორედ იმ საშინელ წლებს შეეწირა ჩვენი დიდებული ტაძარი, რომლის კურთხევაზეც წარმოიქვა ეპისკოპოსმა გაბრიელმა აქ მოტიანილი ქადაგების პირველი ნაწყვეტი.

ერთი სიტყვით, 1867 წლის 8 (21) სექტემბერს აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა ჩვენი სოფლის ეკლესია და კურთხევის დროს, ზემოთ რომ ვახსენეთ ის ქადაგება წარმოიქვა. ადვილი მისახვედრია, რომ ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე იყო: 8 (21) სექტემბერი ხომ ღვთისმშობლის დაბადების დღეა. ეკლესია გაბრიელის თაოსნობითა და მისივე საფასურით ააშენეს. მშენებლობაში მთელი სოფელი — დიდი თუ პატარა — მონაწილეობდა. ურმებით მოქონდათ ვანისქელიდან და მთისპირიდან იშუაობა სილაშახის მწვენივს, და აქ ხელით აშუშავებდნენ. ტაძრის მთავარი შესახვეული კარის ზემოთ წარწერა იყო: „შეწევნითა ღვთისათა გახრულდა ტაძარი ესე ჩვირ წელსა აშენებული გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსისა და სოფლის ბაზვის შემწეობითა, ხოლო ხელოვნებითა ღვეან და მოსე ბერკაშვილებისა“.

სხვა ღვაწლიც დახლო სახელოვანმა აღმძინამა მშობლიურ სოფელს...

ადრევე უნდა მეთქვა: იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ეროპაში გერასიმე ქიქოძე) ამ სოფლის შეიღო გახლდათ. ქიქოძეების გვარმა, რომელიც კომპაქტურად არის დასახლებული შუა სოფელში, სხვა გამოჩენილი მოღვაწეებიც მისცა ქვეყანას. საკმარისი იქნება ვაიხსენოთ ჩვენი დიდებული მწერალი გეორგი ქიქოძე და მისივე ბიძაშვილი, ნიჭიერი მხატვარი შალვა ქიქოძე, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა...

მშობლიური სოფლისათვის კარგების გაბრიელის გაწეულ ღვაწლებზე ვსაუბრობდით. თითქმის იმავე ხანებში, როცა გაბრიელი გარდაიცვალა, ესე იგი 1896 წელს, თედო სახოკიამ იმოგზაურა გურიაში და ეს სოფელიც მოინახულა, მოგზაურობის შთაბეჭდილებები ჟურნალ „მოამბეში“ გამოაქვეყნა 1897 წელს.

„ჩვენში, იმ დროს მაინც, პირველი მაგალითი იყო, რომ თავის საშობლო სოფლისათვის ვისმე იმდენი ამაგი დაეძღო, რამდენიც გაბრიელმა ბაზვს დასდო“, წერდა თედო სახოკია და იქვე: „...გზით დახერილია აქ მთელი სოფელი. შარა-გზა მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან. განათლებული ქვეყნის სოფელი მოგაფონდებთ ამ მხრივ. ვლებს ზედ კარებთან ჩაუდის კობჭად მოკარწყეული გზა, რომელიც უაღვილებს თავისი ნაწარმოების გადაზიდვას ერთი ალაგიდან მეორეზე. ყოველივე ამას ატყვია მადლიანი მარჯვენა ამ სოფლის შეიღის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა (ქიქოძისა), რომელიც სოფელ ბაზვში დაიბადა, აქ აღიზარდა სიყრმითე და მერე ამავე სოფელს, მის დაჩაგრულ მკვიდრთ ემსახურა მთელი თავისი ცოდნითა, დაუცხრომელი ენერგიითა... მწირი სოფელი ბაზვი დღეს, გაბრიელის მეოხებით, პირველ სოფლად ითვლება მთელს გურიაში; და ცოდვა არ იქნება კაცმა თქვას, როგორც გურიაში, ისე სხვაგან საქართველოში ამას სოფელი არა სჯობსო“.

სოფელი უწყლო იყო, და ვასაკვირი არ არის მწირი იქნებოდა. ალბათ ამას გულისხმობდა თედო სახოკია. ეპისკოპოს გაბრიელის თაოსნობითა და მისივე საფასურით ზედა ვაკეჯვრიდან არხი გაიყვანეს — ეს საქმადი დიდი მანძილია — და მდინარე ნატანეზიდან ტოტი გადმოაღდეს. მაცოცხლებელი წყალი მიუვიდა არა მარტო ბაზვს, არამედ სხვა სოფლებსაც. ამის შემდეგ სოფელში, სულ მალე, გაშენდა ხილის ბაღები, ვენახები. რაღა თქმა უნდა, ერთი ათად გაიზარდა მოსავალი. სწორედ ამაზე წერს იმავე შთაბეჭდილებებში თედო

სახოკია, მთელი მიდამო წალკოტად იქცაო.

არც ამით ამოწურულა დიდი ადამიანის ღვაწლი მშობელი სოფლისადმი. გაბრიელ ეპისკოპოსმა დაუარსა სოფელს სკოლა — ჯერ პირველდაწყებითი, მერე კი ორკლასიანი სასწავლებელი. ზემოთ რომ ხილის ბაღები ვახსენეთ, სწორედ ამ სკოლაში აღზრდილი ახალგაზრდების გაშენებული იყო. სკოლის ვრცელ ეზოში, რომელიც, სხვათა შორის, უშუალოდ ეკერის ეკლესიის გალავანს, მოსწავლეთათვის ერთგვარი საცდელი მეურნეობა იყო მოწყობილი. საგანგებოდ მოწყვეული მასწავლებლები, ამ საქმის საკეთილსიტყვები, ბავშვებს ასწავლიდნენ ვახისა და ხილის გაშენებასა და მოვლას, მყნობას; მეფუტკრეობას... ამ დიდ ეზოში ყოველგვარ ხილს შეზღვევადით, რაც კი გურიამი ხარობს. აქვე იყო რამდენიმე ოჯახი ფუტკარი, ვახი... სკოლაში მიღებული ცოდნით ბავშვები საკუთარ ეზოებში აშენებდნენ ბაღებს, გაიჩინეს ფუტკარი. ერთი სიტყვით, თედო სახოკიასი არ იყოს, მთელი ეუთხე წალკოტად იქცა.

სკოლაში რომ შემოვიყანეს ჯერ კიდევ დარჩენილიყო ნაშთი იმ საოცარი ბაღისა, რაც რამდენიმე ათეული წლის წინათ მოსწავლეებს საკუთარი ხელით გაეშენებიათ. ჩვენ უკვე აღარ გვასწავლიდნენ არც ახალის გაშენებას და არც გაშენებულის მოვლას. ეს აღბათ წარსულის „მაენე გადმონათად“ მიაჩნდათ. ვველაფერი კარგი და ადამიანური „წარსულის მაენე გადმონათი“ იყო. მტკიცედ დამკვიდრდა ეს გამოთქმა, სულ პირზე ეკერათ...

პირველ ხანებში, მე რომ სკოლაში შემოვიყანეს, ძველი მასწავლებელი უკვლიდა დეკორაციულ ბაღს. მოხუცი კაცი იყო, სკოლაში უკვე აღარ ასწავლიდა, მაგრამ უპატრონოდ მიტოვებული ბაღი ენახებოდა; კარგა ხანს ვხედავდი ამ კაცს — ჩვენივე სოფლის მკვიდრს ისაკ მელუას — სასხლავით ხელში დაფუსფუსებდა ბაღში, ნახსლავს ერთად შეეგროვებდა და ხაღდაც გაჰქონდა. მუ-

დამ სუფთად მოვილილი იყო, მისი წყალობით, ეს დეკორაციული ბაღი.

დიდი ნაწილი სკოლის ვრცელი ეზოსი დეკორაციულ ბაღს ეჭირა. დიდებული იყო ეს ბაღიც. ზმირად გამოვიხინა — ამაყად იტყოდნენ ხოლმე — ოხურგეთხაც არა აქვს ასეთი ბაღიო. ეს არ ყოფილა ფუჭი თაემოწონება, მართლაც ღამაში იყო ჩვენი ბაღი. ამას ხელს უწყობდა განსაკუთრებული მდებარეობაც: ერთი მხარე ბაღისა გადაკურებდა დიდ ხევს, ხევაღამა კი მოშორებით აღმართულ ქედზე მიაჩნდა ქოჩორა ტყე (ასეთივე სახელი ჰქონდა — „ქოჩორას“ ეძახდნენ), და მთის ფერდობებზე შეფენილი წაბლის კობტა ოდა-სახლები, რომლებიც ზემოთაც ვახსენეთ. აქ, ამ დეკორაციულ ბაღში ნახავდით სხვადასხვა აიშის ნაძვს, ფუჭვს, ბზას, დაფნას, მაგნოლიას... მოწყობილი იყო სხვადასხვა ზომის ვაზონები — დიდი, პატარა; ზოგი ღია, ზოგს მაგნოლიისა და დაფნის ბურქების სქელი კედლები ერტყა. როცა თბილოდა ზოგჯერ ბაღში გაგვიყვანდა მასწავლებელი და იქ გვიტარებდა გაკეთილს. დეკორაციულ ბაღს ეზოს ვაკე ადგილი ეკავა, ხეხილის ბაღი კი ფერდობებზე იყო გაშენებული. ფერდობები საკმაოდ ვრცელი იყო და ფუტკრის სკებიც აქვე ჰქონდათ, ხეხილის ბაღში...

ხილის ბაღი უფრო ადრე გავერანდა. ერთხანს აქა-იქ კიდევ იდგა ტოტებშიმხმარი მსხლისა და ვაშლის ხეები; ზოგიერთ ტოტს ისევ შერჩენოდა სინდლე, და ეს კიდევ უფრო საციოდაც სანახავსა ხდიდა: წალობდა, ცოდვილობდა, სიცოცხლე არ ეთმობოდა, ცდილობდა, ღონე მოეკრიბა, ჯერ ისევ მთლად გაუხმარი რტოებისათვის მიწის წვენი მიეწოდებინა, თითო-ორიოლა ნაყოფს გამოიღებდა კიდევ, მაგრამ ზრდისა და დამწიფებისათვის ძალა აღარ მოხდევდა. ანკი ვინ აცლიდა დამწიფებას ბავშვები მიესოდნენ, და ქვებსა და ჯოხებს ესოდნენ. სამერმისოდ ის ნელელი ტოტებიც თანდათანობით ხმებოდა. მერე ერთიანად აკაფეს და გავერანდა იქაურობა, შამბა შეჭამა. ფუტკრის სკები



მე არ დამხედრია, იმას უფრო სათუ-  
თი მოვლა სჭირდებოდა და ეტყობა  
აღრევე მოიშალა, რეკოლუციის პირვე-  
ლსავე წლებში. დეკორაციული მცენა-  
რები უფრო გამძლე გამოდგნენ...

სკოლაშივე ასწავლიდნენ სხვადასხვა  
ხელობას, რაც კი ოჯახში დასჭირდებო-  
და ადამიანს — ღურგლობას, კალა-  
ტობობას, აბრეშუმის ჭიის მოვლას,  
ვაზის მოვლასა და ღვინის დაყენებას,  
მწიობას...

ერთი საკმაოდ დიდი ნაკვეთი ამ ვრცელ  
უბოისი ბაღა-ბოსტანს ჰქონდა დათ-  
მობილი, აქ გოგონებს ასწავლიდნენ  
ბოსტნეულის მოვლა-მოყვანას. ჯერ, რა  
თქმა უნდა, ბიჭები ვადაბარავ-ვადაფარ-  
ცხადნენ ნიადაგს. მიძიმე სამუშაო მათ  
ეკისრებოდათ. ბოსტნის ერთ მხარეს  
საყინულე იყო მოწყობილი: ამოთხრილი  
ჰქონდათ ვეება ორმო — ძალიან ღრმა  
და ფართო — სქელი ისლის სახურავით  
ვადახურული. მეც მოვესწარი ამ სა-  
ყინულეს. თოვლი რომ მოვიდოდა, ვაგ-  
ვივანდნენ ბიჭებს და თოვლით ვვა-  
სებინებდნენ ორმოს. თითქმის ზაფხუ-  
ლის მიწურულამდე არა დნებოდა თო-  
ვლი და მთელი სოფელი უსასყიდლოდ  
სარგებლობდა. რა თქმა უნდა, აკადმ-  
ყოფებისათვის. ტემპერატურის დამწვევი  
წამლები მაშინ ხად იყო. მითუმეტეს  
სოფლად. კარგად მახსოვს, როგორ ვა-  
ბოადვით ამ საყინულეში შენახული თო-  
ვლი ამავე სკოლის ყოფილ გამგეს,  
უკვე ღრმად მოხუც კაცს, რომელიც  
აუად ვახდა და ძლიეს გადაარჩინეს...

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე ვავიხ-  
სენებ იმ მოხუც კაცს, რომელსაც ძა-  
ლიან დიდი დამახაზურება მიუძღვის  
ჩვენი სოფლის წინაშე. ვასული ხაუ-  
კუნის ოთხმოციანი წლების ვახეთებს  
თუ ვადაათვალიერებთ, ხშირად შეზე-  
დებით კორესპონდენციებს ვურიიდან,  
რომელსაც ხელს აწერს სოფლის სკო-  
ლის გამგე გიგო შარაშიძე. ეს ვახლავთ  
მისი სახელი და ვგარი. კორესპონდენ-  
ციებში მარტო სწავლა-ვანათლების სა-  
კითხებზე კი არ არის საუბარი, არამედ  
სოფლის ყოფაზე, მის ჭირ-ვარამზე. იგი  
ერთ ღროს ვერონტი ქიქოძის მასწავ-

ლებელი ყოფილა, და მწერალი ძალიან  
ტკბილად იხსენებს თავის მეშუაგულ  
„ახლაც თვალწინ მიდგას სოფლის მას-  
წავლებლის გიგო შარაშიძის მონუმენ-  
ტური ფიგურა, მისი თმის და წვერის  
თეთრი აბრეშუმი, მისი შევკვრემანი სა-  
ხე და ოდნავ ირონიული ტუწების მოძ-  
რაობა. რა შრომისმოყვარე და სამარ-  
თლიანი იყო, რა აკადემიური გარეგნო-  
ბა ჰქონდა! და ის მართლაც ნამდვილი  
აკადემიკოსი იყო, თუ ამ ცნებას პირ-  
ვანდელი მნიშვნელობით ვაგვივებთ: იგი  
იყო... პრაქტიკული ხეობის და ყო-  
ფაქციის მასწავლებელი, ცხოვრების  
სიბრძნის ოსტატი“.

ჩემს ღროს უკვე ღრმა მოხუცი იყო  
ეს კაცი. ჩვენს ოჯახს ახლო ურთიერ-  
ობა ჰქონდა მასთან, ხშირად მონა-  
ხულებდნენ ზოლმე, მოიკითხავდნენ, და  
უფროსებს ზოგჯერ პატარა ბავშვებიც  
დავყავდით. როგორც ამ ხნის კაცს შე-  
ეფერება, სულ შინ იყო, მეუღლესთან  
ერთად, რომელიც ძმისშვილი ვახლდათ  
ეპისკოპოს ვაბრეილისა. ცხოვრობდნენ  
სკოლის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის  
ვადაღმა, მგონი ვაბრეილისავე მამულ-  
ში. რამდენჯერ მივსულვარ, ეზოში  
იჯდა, სახლის წინ, კოხტად და ჰქუე-  
ნიკად წაცემული, თითქოს ხადმე მიემ-  
ვზავრება და საგანგებოდ ვამოწყობი-  
ლო; წიგნს კითხულობდა ან ვახეთებს  
ათვალიერებდა. ვადაჯებდა ზოლმე მო-  
ხუცი წიგნს ვეერდზე — იქვე პატარა  
წული მაგიდა ედვა — და გულითადად  
მომიკითხავდა. სახლში მოფუსფუსე  
ცოლს ვასძახებდა, სტუმარი მოვევი-  
დაო, და ისიც ვამოცუხცუხდებოდა პარ-  
მაღზე. ისიც ალერსით მომიკითხავდა.  
თუ ვინმე აუად ვვყავდა ოჯახში ან მე-  
ზობლად, იმის ამაჯავსაც მკითხავდნენ.  
ვეელაფერი იცოდნენ: ვის რა უჭირდა,  
ვის რა უღზინდა — უფროსი თაობის  
ადამიანები სოფელში სულ მათი ნამო-  
წაფრება იყვნენ, ვველანი კარგად ახსო-  
ვდაო, და ვველას ამაბავი აინტერესებდათ.

მთელი სიცოცხლე სკოლაში ვაეტა-  
რებინა მოხუცს, და უყვარდა ბავშვებ-  
თან ვამოლაპარაკება. ვახალისდებოდა  
ხოლმე, სკოლის ამბებს ვამოკითხავ-



და — რას სწავლობთ, რას გადიხართ, რომელი საგანი უფრო გიყვარს; აბა, რა ანდაზები იცი, ან რა გამოცანებიო. თვალს ეშმაკურად მოწვეურავდა და რამე გამოცანას მკითხავდა, ახლა შენ მკითხე, შენ თუ გამოვიცნობო. ზოგჯერ განკებ მცდარ პასუხს მეტყვოდა, და გაკვირვებულს რომ დამინახავდა, გულიანად გაიციუნებდა. ერთხელ ჩემი პატარა და წავიყვანე. იმასაც იცნობდა, სხვა დროსაც ვყოფილვართ ერთად. მოიციტხა, მოუაღერსა, და მერე, ახალი გამოცანა თუ იციო, ჰკითხა, გოგონა, ეტყობა, მზად იყო ამისთვის და იმასღა ელოდა, როდის მკითხავსო — არც დაფიქრებულა, ისე უთხრა: „სახლი ერთ ბოძზე დგას!“ მოხუცი ჩაფიქრდა. ეს გამოცანა დედა-ენამაც აქვს შეტანილი გოგებაშვილს და შეუძლებელია არა სცოდნოდა. ბოლოს გამოტყდა, ვერ გამოვიცანო. „ქოლგა!“ წამოიძახა გახარებულმა ბავშვმა. „ო რა ძნელი გამოცანა გცოდნია! ნინო, ნინო! — ცოლს გასძახა — შეხედე ამ ეშმაკს, რა კარგი გამოცანა სცოდნია. კი ვერ გამოვიცანი“.

მგონი მთელი სიცოცხლის განმავლობაში მუშაობდა გურული კლო-კავის ლექსიკონზე, რომლის დაბეჭდვას თავად არ მოხწრებია, მისი ვარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. უცნობ სიტყვას ან გამოთქმას რომ გაიგონებდა, მასწინვე ფანქარს მოიმარჯვებდა და უბის წიგნაკში ჩაიწერდა. მერე საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ შეამოწმებდა, და თუ იქაც იპოვიდა აქ სიტყვას, თავს გაოცებით გადააქნევდა: „რა საოცარი კაცია საბა! არც ერთი სიტყვა არ გამოუპარება“. მოხუცი ადამიანების მეტყველებაში აქ ჯერ ისევ გაიგონებდი ისეთ სიტყვებს, რაც ძველ ქართულში გვხვდება, თანამედროვე სალაპარაკო ენაში კი აღარ გამოიყენება, დავიწყებულია. ახლა, როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, აქაც, ყოველდღიურ მეტყველებაში დამახინჯებული რუსული სიტყვები მომრავლდნენ...

დიდი ოჯახი ჰქონდათ, მავრამ ჩემს მახსოვრობაში ამ ორი მოხუცის გარდა შინ არავინ იყო. ერთი შვილი — დავი-

თი, დამფუძნებელი კრების წევრი — 1921 წელს მთავრობას ეკავი უმჯობესობაში და აღარც დაბრუნებულა, იქვე გარდაიცვალა. მეორე — ცნობილი მწერალი და იუმორისტი შალვა, „თაგუნას“ ფსევდონიმით ცნობილი, — თბილისში ცხოვრობდა და სოფელში ჩამოსული არც მახსოვს. უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ ქალები: თამარი (მეუღლე) საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წევრის ნიკოლოზ ქარცივაძისა; ოცდაათიან წლებში, ქმრის დახვრეტის შემდეგ ისიც დააპატიმრეს და დიდი ხნის განმავლობაში ციხიერში იყო გადასახლებული); მეორე ქალი, ქრისტიანი, რომლებსაც ახლობლები ჩიტოს ეძახდნენ, აგრეთვე დამფუძნებელი კრების წევრი გახლდათ. მგონი ერთადერთი ქალი დამფუძნებელ კრებაში. იგი როგორღაც გადაურჩა რეპრესიებს. სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა და ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევის ავტორია საქართველოს ისტორიიდან.

ერთბამად გამოცოცხლებიდა უჩვეულოდ დიდი ეზო და სახლი, როცა შვილები და შვილიშვილები ესტუმრებოდნენ.

დროაღდრო ქეჩამაც გამოვიდოდნენ მოხუცები — ან სატირალში, ჭარისუფლისათვის სამძიმრის სათქმელად, ან ავადმყოფის მოსახანხლებლად... აკი ითქვა, სოფელში ყველა მათი ნამოწაფარი იყო, და ყველას სატკივარი გულთან ახლოს მიქონდათ.

უნდა გენახათ, როგორ შევროდნენ ერთმანეთს. ნელი ნაბიჯით მოდიოდნენ, ძველმოდურ ტანსაცმელში ფაქიზად გამოწყობილები, კეთილად მომღიმარნი, ერთმანეთში ტკბილად მოჭუპჭუპენი, და, გაკადნიერლები ვთქვა, იმის შვენებით გაბრწყინებულები, რომ ყველანი მათ შესცქეროდნენ — მოწიწებით, პატივისცემით, უსახლვრო მადლიერებითა და სიყვარულით.

თავიანთი არსებობით, ისინი არა მარტო ამშვენებდნენ სოფელს, არამედ აკეთილშობილებდნენ, ირველივ სიკეთესა და გულმოწყალებას აფრქვევდნენ, ყოველდღიურ ყოფას ალამაზებდნენ.



ორი მონაზონი ჰყავდათ შეზიზნული მოხუცებს: დიდი ეზოს ერთ კუთხეში, ქუჩის პირას, ორი სენაკი იდგა გვერდიგვერდ. საერთოდ, ოთხი მონაზონი იყო სოფელში — კესარია (რომელსაც ყველანი კესას ვეძახდით), ნინო, თეკლე და ანა. ყველას საკუთარი სენაკი ჰქონდა. კესასა და ნინოს სენაკები კელსიის უკან იდგა, მაღალი ვალენის გადაღმა, დაბალი მესრით შემოღობილ პატარა ეზოში. თეკლე და ანა, როგორც ითქვა, მოხუც მასწავლებლებს ჰყავდათ შეკვდილებული.

ვერ ვიტყვი, რა ურთიერთობა ჰქონდათ ამ მონაზვნებს ეკლესიასთან. უფრო აშკარად ჩანდა მათი ურთიერთობა მოსახლეობასთან და ერთმანეთთან. ამ მონაზვნებს სოფელი თავისებურად ჰქონდათ „განაწილებული“: ყოველ მათგანს „თავის ოჯახი“ ჰყავდა ამორჩეული, და ამ თავისებური „განაწილების“ პრინციპის მტკიცედ იცავდნენ: „სხვის ოჯახში“ არასდიდებით არ მივიდოდნენ, ეს დაუნერულ კანონსავით იყო; თანაც ეს „განაწილება“ ტერიტორიულ პრინციპს არ ემყარებოდა. ჩვენს ოჯახში, მაგალითად, კესა მონაზონი დადიოდა, იქვე, ბაბუჩანების მძის ოჯახში — თეკლე მონაზონი. დროც შერჩეული ჰქონდათ — მამინ გამონდებოდნენ, როცა ოჯახს ხელის წაშველება სჭირდებოდა: ან სიმინდის რჩევაში (როცა მოტეხილ ტარობებს ერთად დაახვევებდნენ — ამას გურიასი კალოს ეძახიან), ან აბრეშუმის პარკის გამორჩევაში, თხილის დაკროლევაში, ჩურჩხელების ამოვლების დროს... წინასწარ შეგეძლო გვეარაუდა, როდის მოვიდოდნენ...

კარგად მახსოვს კესა მონაზონი — დიდი, ფაშფაშა დედაკაცი; სხეულის სიმძიმეს ფეხები ვერ უძლებდა, რუმბებივით დასიებოდა. მოვიდოდა, თან საქმიანობდა და თან ქვეყნის ჭორებს დაბერტყავდა, რაც წინა აქ ყოფნის შემდეგ დავეროვებინა. ლაპარაკობდა დინჯად, სვენებ-სვენებით. ერთ ამბავს დამთავრებდა, ირგვლივ მიმოიხედავდა, შეამოწმებდა, რა შთაბეჭდილება მოახ-

დინა, და ოთქქმის მამინვე, მოკლე პანუხის შემდეგ, ახალს დაიწყებდა. „ლოცვის ცხას არ იყოს“, ჩუმად ჩაილაპარაკებდა, თითქოს უცებ რაღაც გაახსენდა, და ვილაციისაგან გაგონილ იგავს უნდა მოაყოლოს. მაგრამ რა იყო ის „ვინცხას ნათქვამი“ იგავი, და ან რით უკავშირდებოდა ან რით ჰკავდა ამ ახალ ჭორს, ეს მსმენელისთვისაც გაურკვეველი რჩებოდა და არც თავად იცოდა. ეს მოკლე ნეიტრალური ფრაზა ჰკერძო ჩამოკიდული რჩებოდა. მაგრამ სიმართლე არ უნდა დაუეკარგო, სულ სხვადასხვა თემატისა და განსხვავებული ხასიათის ჭორებს კარგად ჰკრავდა, თხრობის სიღალე და ბუნებრიობა არ იკარგებოდა. კარგი მოხრობელი იყო.

ეკლესიის მსახურებად მოქმენდათ თავი, მაგრამ ვერ ვიტყვი, ქრისტიანულ მორალს ერთგულად მისდევდნენ-მეთქი. მოყვასის სიყვარულით დიდად ვერ დაიკვხინდნენ: ერთმანეთში კეთილგანწყობილება ვერ ჰქონდათ. „უბედური თეკლაიე, — სხვათა შორის გამოურევდა კესა, თითქოს მოყვასი მონაზვნის სიბრალეულით, მაგრამ გამოთქმის კილოშიაც ივრძნობოდა არა მარტო ირონია, არამედ შეუკავებელი ღვარძლი, — რაც არ უნდა შეინდომოს, კაი მაინც აფერი გამოუდის მაგ საწყალს“... ან არადა: „ჩემი არ იყოს, არც მაგიზა მიუცია ჭკუა ღმერთს, — საკუთარ თავსაც არ დაინდობდა, ოღონდ ის გაეკილა, — გული კი არ აქვს იმდენად გლახა მაგ საწყალს, მარა ხარბია უბედური!“..

საღამო ხანს გულისპირს გაიხსნიდა კესა, და ჭრელი ჩითის ტომხიკის ყურს გამოაჩენდა. ეს ერთგვარი სიგნალი იყო, წასვლის დრო მოვიდაო.

„რამე ტომხიკა ხომ არ გამოგვყა შემთხვევით, კესა?“ — მიმართავდა ბებიაჩემი.

„უკ, რა ვინდა, თუ ღმერთი გწამს... ავერ ვონია მართლა ქე გამოგყოლია პაწა ტომხიკა“...

ჩაიყოფდა ხელს და ნელ-ნელა ამოადრობდა კარგა ტევად, ტომრისხელა პარკს. ჩაუყრიდა ბებია ბლომად თხილს,

ხაპის ფოთოლში გახვეულ ვეფელს, ხაპის ფოთოლშივე გახვეულ, ურწყულში ამოვლებულ შემწვარ ბადრიჯანს, შუაზე გადაკეცილ ხაჭაპურს, შაქარყინულის ნატებს, მსხალს, ვაშლს... აკვირდებდა ჩვენ, ბავშვებს, და თავის სენაკამდე მივაცილებდით ძლივს მობაჯბაჯე კესას.

თქვე უფრო გამხდარი და მოძრავი იყო, უცნაურად მოყანყალე თავი მუდამ წინ ჰქონდა წახრილი, თითქოს რაღაცა დაუკარგავს და ეძებსო...

მონახუნები ვანუფოფული ნაწილი იყო ჩვენი სოფლისა და ჩვენი ცხოვრებისა, და როცა ერთხელ, თბილისიდან ჩასულს, ის პაწია ფიცრული სენაკები აღარ დამხედა, გული დამწყდა: რაღაც დააკლდა ჩვენს ღამაზ სოფელს. ერთი მონახონი ნათესავებს შეეფარებინა — სენაკიანად გადაეყვანათ, დანარჩენებისთვის კი მიქელ-გაბრიელს მოეკითხა, და ახლა ალბათ მარადიული სამხეჯავროს წინაშე თავიანთ ურთიერთობას არკვევდნენ.

• • •

სოფელს თავის „სავაჭრო ცენტრი“ ჰქონდა. ეკლესიიდან ორასამდე მეტრის დაშორებით, სოფლის გულში, უჩვეულოდ ფართო ქუჩის ორივე მხარეს ჩარიგებული იყო სამრეწველო საქონლითა და სურსათით მოვაჭრე დუქნები, ხაწყოები, საპარიკმახერო, სასადილო, პურისსაცხობი, სახელოსნოები (ხარაზებისა, თერძებისა...), დუქნები კერძო იყო და შეგუძლოთ ყოველგვარი საქონელი გვეყიდათ, რაც კი სოფელში ადამიანს დასჭირდებოდა, მარილითა და ნავთით დაწყებული და ფართილეულით გათავებული. მოვაჭრეები ადგილობრივი მცხოვრებლები იყვნენ. შეიძლებოდა ნისიით ვაჭრობაც, თუკი, რაღა თქმა უნდა, მყიდველს ნდობა არ ჰქონდა დაკარგული, და ეს შეღავათს აძლევდა ვლუხს, რომელსაც ფული მუდამ უჭირდა. მერე ან აბრეშუმის პარკს ჩააბარებდა (სოფელ ნავომარში აბარებდნენ, ურმებით მიჰქონდათ იქამდე), ან არაყს

გამოხდიდა და გაიყიდა, ან ვაშლს ჩააბარებდა.

შესანიშნავი გემოი და არომატის ნაცარა ვაშლი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული გურიაში, არაფრით ჩამოუვარდებოდა ქართლის განთქმულ ჯიშებს, და კარგი მუსტარტიც ჰყოფდა, იქვე იბარებდნენ სოფელში. ერთი სიკეთე ისიც ჰქონდა ამ ვაშლს, რომ უჩვეულოდ ბევრს ისხამდა. მიჰქონდათ და მიჰქონდათ გლეხებს ურმებით; ვაშლს იქვე იბარებდნენ, სოფლის ცენტრში. დაახეჯებდნენ ერთ დიდ საწყობაში, მერე დაიქირავებდნენ ოცამდე ადამიანს, იქნებ მეტსაც და ზომის მიხედვით შეარჩევდნენ, დაახარისხებდნენ ვაშლებს, საითი-თაოდ ჩააწყობდნენ სუფთა ქალაღწაფენილ ფანრის ყუთებში — ფრთხილად და სათუთად; არა ისე, როგორც დღეს ხდება: პირდაპირ რომ მოაპირკვავებენ ულაზათო ყუთებში მწიფესა და უმწიფარს, ძირს ნაყარასა და დაბუეილს, იმის იმედით, რომ უბადრუკ გასამრჯელოს მაინც მიიღებენ, მერე კი მყიდველმა იცეს თავში. კეთილი ინერცია შრომისა და შრომით შექმნილის ჰატივისციემისა ჯერ ისევე არ მოშლილიყო. ამკარად ჩანდა, შემსყიდველიც კერძო პირი იყო. შევახსენებთ, რომ ეს ე. წ. „ნების“ ჰეროიდა. მგონი რუსეთში მიჰქონდათ.

მერე, სამწუხაროდ, ერთბაშად გადაშენდა და მოისპო ვაშლის ეს ჯიში. ხალხში გავრცელებული აზრის მიხედვით, ჩაის მეზობლობა ვერ აიტანა. ალბათ ასეც იყო: სწორედ ჩაის პლანტაციების მასობრივ გაშენებას დაემთხვა მისი გადაკვარება. ეტყობა, შხამ-ქიმიკატებს ვერ შეეგუა, რასაც პლანტაციებში ზედმეტი სიუხვით იყენებდნენ...

დაწყებულ ამბავს დაუპბრუნდეთ. იმ ფართო ქუჩის ბოლოში დიდი ჭადარი იდგა. გახედვობოი ჭადარს და გახვიდოდი ვრცელ მოედანზე, რომელსაც მომალლო ბოძებზე შემდგარი გრძელი შენობა ზღუდავდა. ეს გახლდათ სოფლის კანცელარია. აქ მოთავსებული იყო თემკომი, სოფლის საბჭო — ცალკე თავმჯდომარის ოთახი და ცალკე მდი-



ენისა. უფრო მოგვიანებით აქვე გამოიტანეს ფოსტაც. როგორც ხედავთ, საკმაოდ დიდი შენობა იყო, გრძელად გაჭიმული. გვერდი-გვერდ ჩამწყვრივებული ოთახები ფართო აივანზე გამოდიოდა, რომელსაც შეფიცრული მოაჯირი ერტყა. აივანიდან, და ოთახებიდანაც, ხელისგულივით მოსწინადა მთელი მოეშორებით ეკლესიის ძალიანი ბჭვე. უნდა ვიფიქროთ, ეს მოსახერხებელი იქნებოდა თემკომში მომუშავე ადამიანებისათვის; დუქნების წინ ხალხი ირეოდა, ზოგჯერ ჭადრის ჩრდილში შეჯგუფდებოდნენ და გაცხარებით ლაპარაკობდნენ. უყვართ გურიამი პოლიტიკაზე ლაპარაკი. ასე რომ შენობიდანვე შეეძლოთ ეთვალთვალებინათ, ვინ რას აკეთებდა, ვინ ვისთან იდგა; მახვილი სმენის ადამიანი — თემკომში კი სმენა ყველას უჩვეულოდ მახვილი ჰქონდა — მათ ლაპარაკსაც გაიგონებდა... ეს ძვირფასი ცნობები შემდეგ გამოუყენებელი არა რჩებოდა.

კანცლარიიდან ოდნავ მოშორებით ბიბლიოთეკის შენობა იდგა. სოფლის პირობაზე საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა იყო; ჟურნალ-გაზეთებსაც დებულობდნენ — ოთახის შუაში, გრძელ მაგიდაზე, მუდამ დაგხედებოდათ ახალი გაზეთები. მკითხველსაც მუდამ ნახავდით აქ. ესეც ინერციით. წიგნები მერე თანდათანობით გაიფანტა. ბიბლიოთეკარის შტატიც შეამცირეს და ერთხანს გამოკეტილი იყო შენობა. უკაცური შენობა უფრო ადრე ფუჭდება და ლაქება — კარგა შემალი იყო, როცა აიღეს და გაყიდეს.

ცენტრიდან მოშორებით სამჭედლო იდგა, რომელიც ადრე დიდიდან გვიან ღამემდე მუშაობდა: სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოკვერვისა და გარემონტების გარდა, აქ საქონლის დაჭედვაც ხდებოდა... რამდენიმე კაცი მუშაობდა სამჭედლოში და დიდი ჯაფაც ადგათ. რა დროსაც არ უნდა გაგველოთ, უსათუოდ ნახავდით სამჭედლოს წინ დასაკვდელ წამოქცეულ ფეხებში გრძელ კეტყაყრილ ხარს, რომელსაც მუცელი

გამობეროდა და ქმინავდა; მისი წინაშე რომი სველიანი თვალები თითქმის გაღიზიანებული ლისწყრომას გამოხატავდნენ უმაღური ადამიანების მიმართაც, რომელთაც ასე ვერაგულად და უპატიოდ გააკოჭეს, და უწყალო ბედის მიმართაც. ცხენს ასე უკადრისად არ ექცეოდნენ: მჭედელი ფეხს მოახრევიებდა — მოხრილი ფეხი შევირდეს ან პატრონს ეჭირა — ცხენი დირსეული მოთმინებით ელოდა ამ არც თუ სასიამოვნო პროცედურის დამთავრებას, როცა ნაღბანდი წაზრდილ ჩლიქს მოათლიდა და ნალს დაადებდა.

აფთიაქი და საექიმო პუნქტი ცალკე შენობაში იყო და სოფლის მოედნიდან კიდევ უფრო შორს იდგა...

მოედანზე დილაობით ეტლი გამოვიდოდა და მგზავრებს დაელოდებოდა. სოფელში ერთი ეტლი იყო, და ყოფინიდან კიდევ. ხალხი ჯერ კიდევ არ იყო ასე აღოლებული; იშვიათად თუ დასჭირდებოდა სამაზრო ქალაქ ოზურგეთში წასვლა. თუ რაიმე საყიდელი ჰქონდა, თითქმის ყველაფერს აქვე დუქნებში იშოვიდა. ოზურგეთში რაღა ესაქმებოდა. ამას გარდა, ფეხით სიარულიც მაშინ ასე სათაკილო თუ გამწვლებული არა ყოფილა. დაადგებოდი გზას და ნახევარ საათში ოზურგეთში იყავი. თუ თანამგზავრი გეყოლებოდა, ამას რაღა სჯობდა, უფრო ხალისიანად იმგზავრებდი. მსუბუქი ტვირთიც ხელით მიგქონდა, ან მზარზე შემოიდგამდი. არც ეს ყოფილა ძნელი და სათაკილო. მძიმე ტვირთი თუ გექნებოდა, ურემს გამოიყვანდი. ასე რომ ერთი ეტლი სავსებით საკმარისი იყო. ზოგი წინადითვე დაუჭკეთავდა მეეტლეს ადვილს, თუკი უსათუოდ უკანა, რბილი სივარძელი ერჩინა, რომელიც ორმაგად ძვირი ღირდა, თუ არ ეცდები, სამი მანეთი; წინა მაგარი სკამი ან ადვილი კოფოზე, მეეტლის გვერდით — ნაკლებ საპატიოდ ითვლებოდა და მანეთნახევარი ღირდა. იმ ვარაუდით გადიოდა ეტლი, რომ მატარებელს დახვედროდა.

ვაგზლის მოედანი ოზურგეთში ეტლებით გაიჭედებოდა მატარებლის მოსვლის დროს. მატარებლიდან ჩამოსულ-

მა მგზავრმა წინასწარვე იცოდა, სად იდგა თავისი სოფლის ეტლი და ადვილად მიაგნებდა. ეტლებისაგან ცოტა მოსოროებით ურშები იდგნენ — უფრო „თაქმდაბალი“ მგზავრებისათვის. ურში ვაცილებით იაფი ღირდა. მკეტლეს შეთავსებული ჰქონდა ფოსტის წამოღებაც, და საღამო ხანს, როცა ოზურგეთიდან მობრუნდებოდა, მოედანზე უკვე ხალხი ელოდებოდა, რომელთაც ახალი ვაზიებიც აინტერესებდა და წერილებიც, თუკი ვინმე წერილს ელოდა. ეს იყო უმთავრესად სოფლის ინტელიგენცია.

სოფლის ამ დიდ მოედანს, ჩემი წარმოდგენით, ორი მთავარი დანიშნულება ჰქონდა. პირველი ის, რომ აქ იმართებოდა სოფლის ყრილობები და რევოლუციური თარიღებისადმი მიძღვნილი მიტინგები. დიდი მოედანი იყო და მთელი სოფელიც რომ დაძრულიყო, დაიტყედა. მიტინგის მონაწილეები პირით კანცელარიისკენ იდგნენ, ხოლო კანცელარიის მომადლო იაენიდან სოფლის თავკაცები მათ სიტყვებით მიმართავდნენ. ასეთი თავყრილობები, ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ იმართებოდა — პირველ მაისს და შვიდ ნოემბერს.

მახსოვს საგანგებო ყრილობაც, როდესაც ფილიპე მახარაძე ეწვია სოფელს და სწორედ იმ იაენიდან სიტყვით მიმართა მოედანზე შეკრებილთ.

გურიამში მან აჭარადან გამოიარა, სადაც დიდი მღელვარება იყო, და ხალხის დასამოსმინებლად, მღელვარების დასაცხრობად ვაგზავნეს. იქიდან წამოსულმა, გურიის სოფლებიც მოიარა. ამ კუთხეშიაც ბორკავდა ხალხი. მახარაძის მისია იყო, განემარტა ხალხისათვის, რომ ცენტრალური ხელისუფლება არაფერ შუაში იყო, ადგილებზე იჩენდნენ თვითნებობას, ადგილებზე ამრუდებდნენ პარტიის გენერალურ ხაზს. პირობა უნდა მიეცა ხალხისათვის, რომ სასტიკად აღკვეთდნენ ამ თვითნებობას, სასწრაფოდ გაასწორობდნენ პარტიის გენერალურ ხაზს. ფილიპე მახარაძე მასინ პოპულარული იყო, და არა მარტო გურიამში, არამედ მთელ საქართველო-

ში. განსაკუთრებით ვლესშია მისი მიზნით მარტივი, უბრალო ლაპარაკი შექმნილი. ამაზე იყო დამყარებული მისი ორატორული ხელოვნება და პოპულარობა.

და, აი, იგი ხედებოდა ჩვენი სოფლის მოსახლეობას. მიტინგი გაიხსნა და სიტყვა მიეცა სტუმარს. ორატორმა ლენინის მანერით წინ ვაიშვირა ხელი, პირველი ფრაზა წარმოთქვა... მაგრამ აშკარა უხერხულობა შეიქნა, სრულიად მარტივი ტექნიკური მიზეზის გამო: აიენის შეფიცრულ მოაჯირთან წითელ ნაჭერგადაფარებული მაგიდა იდგა, ზედ წყლიანი გრაფინით. მაგიდის იქით მდგარი ერთი ციდა კაცი სულ აღარ გამოჩნდა მოედნიდან. წინა რიგებიდან კოტიკა ხელებსა და გაბურძნულ წვერს-ლა ხედავდნენ. ამან შეკრებილ ხალხში ჩინქილი გამოიწვია. მაგიდასთან მდგომნი პირველად კი შეცბნენ, მაგრამ მალე მიხედნენ ვველიაფერს, არც დაბნეულან, სულ ადვილად გამოსწორდა უხერხულობა — მაგიდა გვედრზე გააჩონჩეს და ორატორმა წინ წაიწია, მჭიდროდ მიყვრდნო მოაჯირს. ახლა უკვე თავიც კარგად გამოჩნდა და წვერიც, რომელიც არა მარტო ხაზეს, მკერდსაც უფარავდა.

რას ჰმირდებოდა იგი ხალხს, ან მისგან რას მოითხოვდა, ვერ ვიტყვი. ეს კია, რომ, როგორც შემდეგ გამოირკვა, მან, ეტყობა, რწმენისა და რელიგიის თავისუფლებაზე ილაპარაკა. საქმე ისაა, რომ ერთი მიზეზი ხალხის მღელვარებისა ესეც იყო, და ჩვენიანაც, ისევე როგორც ვველგან მიუღეს საქართველოში მწკავედ იდგა ეს საკითხი.

სიტყვა რომ დამთავრა ორატორმა, ეტყობა, შეკრებილთ მიმართა, ხომ არაფერს შემეკითხებით, ხომ არაფერი გაწუხებთ, რომ დაგეხმაროთო. ასეთი ჩვეულება ჰქონდა, პოპულარობასაც ამით უფრო აღწევდა. უცებ შუა ხალხში თეთრწვერა მოხუცმა ასწია ხელი. ეს ბაბუაჩემი გახლდათ. აივანზე მყოფ ადგილობრივ ხელისუფალთ ვერაფრად ესიამოვნათ. იცოდნენ, რომ ბაბუაჩემს უცერემონიო ლაპარაკი უყვარდა, არა-



ვის ეპუებოდა, არავის ერიდებოდა. ალბათ ჩაუღალპარაკეს კიდეც ორატორს, ვერადღებას ნუ მიაქცევო ბერიკაცს, ნუ შეწუხდებითო. მაგრამ ფილიპემ აქი თავად გამოიწვია ხასაუბროდ, და ახლა ვერადღება არ მიექცია, უხერხული იქნებოდა. იქნებ აინტერესებდა კიდეც რას იტყოდა ბერიკაცი. ხელი იქითკენ გაიშვირა და გადასძახა: „რადაციის თქმა ვინდოდა, მოხუციო!“ ბაბუამ ბამბუკის გოზი აიენისკენ გაიშვირა და გასძახა (ხმა ძლიერი ჰქონდა): „ეკლესია რომ დაგვიკეტა მაგან, ახლა რას ფიქრობს, კითხე ერთი!“ ამ დროისათვის ეკლესია უკვე დაკეტილი იყო, ჯერ არ დაეწვრიათ. „ეინ დაგვიკეტა, მოხუციო?“ ძალიან შეწუხდა ორატორი. „მაგან, გვერდზე რომ ვიდავას“. გვერდზე ბევრი ვინმე ედგა, მაგრამ ფილიპე არ დაინტერესებულა, რომელ მათგანზე იყო ლაპარაკი, არც მიუხედავს გვერდზე, ისე განცხადა: „აი, ესაა სწორედ მთავრობის ზანის დამახინჯება, მე რომ ვითხარათ; მარა ნუ შეგაწუხებთ ეს, ეკლესია აღსდგება!“

ამ განცხადებამ ხალხი გაახარა, მაგრამ ტაში არ დაუკრავთ. ტაში არ იყო მაშინ მოდამი.

ბაბუა ჩვენი ეკლესიის თავგამოდებული ქომაგი გახლდათ. ბიძები ზუმრობით „ბლალონის“ ეძახდნენ.

როგორ შესრულდა ფილიპე მახარაბის დანაპირები, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი დამთავრა მან მიტინგი და აღარც დაყოვნებულა, ხანდაზმულობის მიუხედავად, ტანმორჩილი კაციისათვის დამახასიათებელი სიმარდიდ დაეშვა კიბეზე და თანმხლებ პირებთან ერთად ავტომობილიში ჩაჯდა. ავტომობილშივე ჩაუჯდა ერთი სამხედრო პირიც, რომელსაც სხვა სამხედროებისაგან განსხვავებით, წელზე ხმალი ერტყა. ეტყობა, ჩინით სხვებზე მაღალი იყო. დანარჩენი თავით ფეხებამდე შეიარადებული სამხედროები (სხეულზე პატარა ნაფლეთსაც ვერ დაუნახავდი, არაღით ან პატრონტაშებით დაფარული არა პქონოდეთ) ზოგნი ავტომობილის საფეხურებზე გაიწაკანენ (ავტო-

მობილის ორივე მხარეს გამოშვერილი საფეხურები ჰქონდა), ზოგნი ცხენებს მოახტნენ. ათუხთუხდა, აქითქითდა ავტომობილი, მომიტინგებს შავი კვამლის ბოლქვები მიაყარა (ჯერ ისევ განვიითარების დაბალ დონეზე იყო საავტომობილო ტექნიკა), და ფრუტუნით დაადგა ასკანის გზას, ახლა იქ უნდა ჩაატაროს მიტინგი მთავრობის თავმჯდომარემ.

ამ უჩვეულო მიტინგის გახსენებამ სიტყვა გამოგრძელა. ამრიგად, სოფლის მოედანს, ჩემი მაშინდელი წარმოდგენით, ორი მთავარი დანიშნულება ჰქონდა. პირველი უკვე ვთქვი, ერთ-ერთი ვველაზე ლამაზი მოვონება ჩემი ბავშვობისა სწორედ მეორეს უკავშირდება.

ჩვენი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე იყო, და 8 (21) სექტემბერს — ღვთისმშობლის შობის დღეს — სოფელში დიდი ზემი ჰქონდათ. ერთი კვირით ადრე დაიწყებოდა გაცხოველებული სამზადისი ოჯახებში. და ეს უჩვეულო ფუსფუსი გაურკვეველი მოლოდინის სიხარულს ადგვიძრავდა. ეზო და სახლ-კარი ზომ მუდამ სუფთად ჰქონდათ, მაგრამ ახლა საკულდაგულოდ დაასუფთავებდნენ, დარუცხ-დახეხდნენ; დასაკლავ გოჭს, თიკანსა და ქათმებს წინასწარ შეარჩევდნენ, საფქვავს დაფქვავდნენ, ფქვილს გამტკიცავდნენ... ყურძენი ამ დროს უკვე შემწიფებულია, მზის გულზე შერჩევით მოკრეფაც შეიძლება — საფელამუშედ, სამაჭროდ; შარშანდელ ღვინოსაც შეამოწმებენ — ხომ არ დაძმარებულია, სიმჭახე ხომ არ შეპარვია...

დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი და თადარიგს ადრევე იჭერენ. საიდან აღარ ელოდებიან სტუმრებს — აცანიდან, ძიმითიდან, აკეთიდან, აქეთ ვანისქედიდან და მთისპირიდან, ვაკიჯვრიდან, ოზურგეთიდან... დროც სწორედ ისეთია, მოსალხენად განაწყობს ხალხს. თადარიგის გლეხი ამ დროს შედარებით თავისუფალია: ყანის სამუშაოები უკვე დამთავრებული აქვს, შემა სახამთროდ ტყეებში დამზადებულია, ჩამოტანით კი მოგვიანებით ჩამოიტანს, ხამ-

თრის პირზე, როცა მოხავალს დააბინა-  
ვებს. სიმინდს ტანი აუყრია, დამსხვი-  
ლებულა, ტარობი დაუსხამს, ფლოქ-  
კები გამაგრებია, მწიფობაში შესულა,  
მაგრამ ჯერ მოსატეხი არ არის, მოსავ-  
ლის აღება ჯერ ადრეა, ტეხა-კრეფა  
უფრო მოგვიანებით დაიწყება; ღვთის-  
მშობლობის შემდეგ ერთს გააუღარდება,  
რასაც მალევე მოკლე ზაფხული მოყ-  
ვება და ტეხა-კრეფაც დაიწყება.

ერთი სიტყვით, დიდი მზადებაა, და  
ბავშვებსაც სული გველვა, სანამ ნა-  
ნატრი დღე გათენდებოდეს. ეს დღე კი,  
ჩვეულებრივ, მზიანი, ნათელი და სიხა-  
რულის მომგვრელია. შემოდგომის მზე  
ალერსით ელამუნება მოხუცსაც და  
ახალგაზრდასაც. პაერში შემოდგომის  
სიმწიფის საამური სურნელი ტრიალებს.  
სოფლის მოედანი კი იმიტომ ვახსე-  
ნე, რომ აქ ღვთისმშობლობა დღეს დი-  
დი ბაზრობა იმართება.

წინაღამესვე დაიწყება ურმების მო-  
ედნა აკეთიდან, ვანისქედიდან... რათა  
დილით, წირვიდან მოხულ ხალხს, კობ-  
ტად გაშლილ-გაფენილი ნახელავი და-  
ახვედროს. რაღა არ მოაქვთ ბაზრობა-  
ზე! აკეთი მეთუნეობითაა განთქმული  
და აქ დამზადებულ თიხის ჭურჭელს  
ბადალი არ მოეძეება მთელს ვურიაში  
არც სიმტკიცით და არც სილამაზით.  
თვალს ვერა ძღება, როცა კობტად გა-  
შლილსა და დალაგებულს ნახავ სხვა-  
დასხვა ზომის დოქებს, ჭინჭილებს, ჭა-  
რიკებს (ჩაფებს), ქოთნებს, ჯამებს,  
ბადიებს, კოჭობებს, კელამიდებს, დერ-  
გებს, ქვევრებს... ურმით მოაქვთ აკე-  
თიდან, ფრთხილად შეახვევენ ხოლმე  
თივაში, რომ გზაში არ დაემტკრეთ, და  
ფრთხილადვე გადმოიღებენ. თივას რა-  
ციონალურად იყენებენ — მერე ხარებს  
აჭმევენ. სანამ ესენი აქ ვაჭრობენ, ხა-  
რები მოშორებით მიუბამთ ღობეზე,  
ბაზრის იქით, განუწყვეტლივ ისმის ბა-  
ზარში რაკა-რუკი — სახრეები მოუმარ-  
ჯელებით და გაწაფული ხელით, მო-  
ზომილად ურტყამენ თავიანთ ნახელავ  
დოქსა თუ ქოთანს, მუშტარს სიმტკი-  
ცე-სიმაგრეში არწმუნებენ.

ვანისქედიდან ქვის კეციჩქაჩაქაქო  
— სულ სხვადასხვა ზომისა — ხა-  
რო ღრმა — მჭადისათვის, ზოგი — ხა-  
ჭაპურისათვის. შეკეციებს თავისებური  
ხერხი აქვთ: კეცის სიმაგრეში რომ და-  
არწმუნონ მუშტარი, ფეხებით შედგე-  
ბიან კეცის კიდებზე, და შენ კი გაჩ-  
კენებენ, მთელი ძალით ვაწვებიო, მაგ-  
რამ ისე არიან გაწაფული, ისე ეშმაკე-  
რად აიძნატებენ ტანს, რავინდ თხელი  
კელლები ჰქონდეს კეცს, არ გატყდება.

დანარჩენი საქონელი ზოგი შორიდან  
მოაქვთ, ზოგი ახლო სოფლებიდან.  
მრავალფეროვანია ეს ნახელავი. თხი-  
ლის ტკეჩებისაგან დაწნული პატარა და  
დიდი ვიდლები (სულ პაწაწინაც, ბავშ-  
ვების გულის გასახარად), გორიცები,  
გოდრები, კალათები, კარანჩხები (ესეც  
პატარა კალათაა, ოღონდ ვრძელი ტარი  
აქვს ვაყრილი — ვაშლის ან მსხლის  
საკრეფად), ბახმაროზე დამზადებული  
სხვადასხვა ზომის კოთხოები და გვარ-  
დები, ვაყრის ნაჭრებიდან ვაკეთებული  
სატკაცუნა სათამაშოები, რომლებიც  
ბავშვების მისაზიდად ჭიაფერით მოუ-  
ხატავენ; ბარის, თიხისა და სადურგლო  
იარაღების ტარები (ბარის ტარი, ჩვე-  
ულებრივ, თხილისაა, თიხისა — წიფ-  
ლის, ან თელის); გამოუტანიათ ყოველ-  
გვარი სამეურნეო იარაღი: ხახნისი, ბა-  
რი, თიხი, ცული, ნაჯახი, წაღდი...  
მთელი წლის განმავლობაში ამზადებენ  
ამ დღისათვის მკედლები; ლაფერა-ჩოგ-  
ნები, ციცხები, გობები, საკეციები... და,  
რა თქმა უნდა, აკვანიც, თავის შიბაქი-  
თა და „აკეილათი“...

გამივრძელდა სიტყვა, მაგრამ ისე  
ტკბილად მახსოვს, არ მეთმობა. ალბათ  
მაშინდელი გამოძვრა: ახლაც დიდ სია-  
მოვნებასა მგერის შემოდგომის ბაზარ-  
ში გავლა, როცა თვალს ახარებს მი-  
წის ბარაქა — ნაირნაირი, ღვთისაგან  
„უთვალავი ფერით“ ბოძებული. და გლე-  
ხებიც რა საყვარლები არიან ამ დროს,  
რა ნათელი და გაბრწყინებული სახეები  
აქვთ, იმით გახარებულებს, რომ მთე-  
ლი წლის მუხლწაუხრებლმა შრომამ გა-  
უმართლა; რა უშურველად და გულუხ-



ვად გთავაზობენ საკუთარი ხელით მოწვეულს...

სანამ უფროსები ეკლესიიდან გამოვიდოდნენ, ჩვენ უკვე შეგულებული გვაქვს, რა უნდა ვიყიდიოთ. თვალი გვრჩება გამოშწვევად ყელმოღერებულ პატარა დოქებსზე, ვიდლებსა და გორიცეებსზე, და, რაღა თქმა უნდა, სატკაცუნებსზე, ბახმაროდან ჩამოტანილი უკვე გავეფიჟვდა. მარტივი მოწყობილობისა: თხელი ტყეჩის პირი ხის დაკბილულ ღერძს ეხება და ტრიალის დროს (ღერძს სახელური აქვს მიმაგრებული) მჭახე ტკაცუნის ხმას გამოცემს; თანაც, წყვეტილად, ტყვიამფრქვევის კაქანს ჰგავს, და ყანალობანას თამაშის დროს შიშის ზარს დასცემს „მტერს“...

ყველაზე დიდი სიხარული შინ მიბრუნებულებს გველის — სახლი თანდათანობით სტუმრებით ივსება, და შუადღისას დიდი სუფრა გაიშლება. ალბათ, ეზოში, შარშანდელივით. ამინდი ამის საშუალებას გვაძლევს. ძალიან მიყვარს სტუმრიანობა: ამ დროს ყველა კარგ გუნებაზეა, ყველას უხარია, ყველას ერთმანეთი უყვარს... და ეს ჩვენ განუსაზღვრელი სიხარულით გვევსებს გულს.

ბაბუას დაი, რომელსაც ჩვენ ბაბიდას ვეძიებთ, წუხელვე ამოვიდა, რათა დღეს დილის წირვისათვის მიესწრო. ოზურგეოში ცხოვრობს. ეს გაუცინარი და შესახებავადაც კი მკაცრი ქალი ყველას გამორჩეულად უყვარს. ალბათ პირდაპირობისა და პირუთენელობის გამო. მძიმე ცხოვრებასა და სიბერეს სახე ერთიანად დაუნაოჭებია, მაგრამ ძველი ეშხი მაინც შერჩენილი აქვს. ოდნავადაც არ მოხრილა წელში, სკამზე მუდამ წელგამართული ზის. საკვირველია, რომ ამ ხნის ქალი, ბაბუაზეც უფროსია, ზოგჯერ ფეხით ამოდის ოზურგეთიდან შეილის ან შეილიშვილის თანხლებით. წუხს... კი არ წუხს, უკვირს: ძველებურად ვეღარ დაუდვიარო. „აღარ თავდება აი გზაი, — ამბობს გაკვირებული, — მეფიხედავ უკან. ვეგრე ჰე, შორს, გამოწნდება ბუზივით, ვინცხა კაცი. მოდის, დიდდება, დიდდება, წამომეწევა, გამისწრებს... და ახლა წინ ეხედავ: თანდა-

თან პატარავდება, პატარავდება, გრძელდება ისევე ბუზად იქცევა და გაქრება (გზა ოზურგეთიდან დეაბზუს გადასახვევამდე ღარივით სწორია); ...ნესტორამ წამომიყვანა (თავის შვილზე ამბობს), თვარა მარტო რას წამოვიდოდი ...მარტო რაღას წამოვალ“. ამასაც გაკვირვებით უფრო ამბობს, ვიდრე წუხილით. უთქმელი ქალია, სიტყვაძუნწი, დინჯად მიუხარია, გურულებზე გაგრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ. სხვები რომ იტყვიან, „ნამეტანი... ნამეტანი, ერთ რომ ვერ ითქმება, იმფერი კაი კაცია, კაი თვალადი, კაი ტანადი, კაი მეოჯახე, კაი მშრომელი და მარჩენალი, ქალბაღანას ერთგული“... ბაბიდა მოკლედ მოჭრის: „რა უჭირს, ქე უარს (უვლის) თავის ქალბაღანას“. „ბებიამ იცოდა“, იტყვის ზოგჯერ (სხვები იტყვოდნენ: „სულცხოვრებულმა ბებიამ იცოდა, იმის სახელს ვენაცვალე“...), და მე გაკვირებული შევიკვირი, მიჭირს წარმოვიდგინო ამ ასი წლის ქალის ბებია. აღერსი და მოფერება არ იცის, მაგრამ მის გვერდით რომ ზიხარ, რაღაცნაირ შეებას განიცდი. გული გრძნობს, რომ ის შენი ახლობელია, შენი სისხლი და ხორცი, რომ მას უყვარხარ და შენი თავი ყველაფერს ურჩევნია.

ეკლესიები რომ მოშალეს გურიაში, ერთ ზაფხულს სურამში ესტუმრა მამიდაჩემს, რათა იტრიის ეკლესიაში მარიამობა დღეს ელოცა და ზიარება მიეღო. მამიდაჩემი იტრიის ოთხწლიანი სკოლის გამგე იყო. იქ ჯერ არ დაეზურათ ეკლესია (გურიაში ყველაფერი ნაადრევად ხდებოდა. საგულისხმოა, რომ იტრიის ეკლესიის მღვდელი ჩვენი სოფელი იყო, გვარად ჩხაიძე. შეილი რომ გადაუსახლეს, დაავლო შეილიშვილებს ხელი და თავის სოფლიდან გადაიხვეწა. ისიც რომ დაეჭირათ — ამის შიში კი საფუძველს მოკლებული არა ყოფილა — შეილიშვილებს პატრონი აღარ ყოვლებოდათ). ზიარებიდან რომ მობრუნდა მოხუცი, თითქოს დიდი ტვირთი მოხსნესო, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ახლა მოხვენებით მოკვდები“.



ამის შემდეგ დიდხანს აღარც უცოცხლია.

კაკიჯერიდან ბებიაჩემის დისშვილები გვეწვეოდნენ — ორი მოწიფული ვაკაციო. სავსებით განსხვავებულები იყვნენ: ერთი შედარებით სუსტი აღნაგობისა, ძალი, ნათელი, ლალი; მეორე — ჩასკნილი, ჯმუხი, შავკერძიანი, და ძალიან უხდებოდნენ ერთმანეთს. მათი უფროსი მამა კოჯრის მისადგომებთან დიდუბა 1921 წელს, თებერვალში. ის, რაღა თქმა უნდა, არ მახსოვს. ფოტო-სურათით დამამახსოვრდა. და ლექსიც წამიკითხავს მისი, სწორედ კოჯრიდან გამოგზავნილი. თურმე ამ შესანიშნავ ვაკეცებსაც არ ეწერათ დიდი ხნის სიცოცხლე: ერთი წელი არც კი გახულა იმ ლეთისმშობლობა დღის შემდეგ, რომ ერთ დღეს დაიღუპნენ ორივენი...

განსაკუთრებით მიხაროდა ბიცოლას ძმებისა და დების სტუმრობა. აკეთული ჯაფულები იყვნენ. მათი წინაპრები ერთ დროს ალბათ სამცხიდან გადმოიხიზნენ, როცა ოსმალებმა სამცხე დაიპყრეს. საოცრად ტკბილი და ალერსიანი ხალხი იყო, თითქოს უზილავეი ძაფებით გიზიდებოდნენ, გსიამოვნებდა მათთან ახლოს ყოფნა. მათი განსხვავებული მეტყველებაც სახიამოვნოდ ხედებოდა ყურს. გურია ხომ თავად ძალიან პატარაა, და ამ ერთი ციციკა კუთხეშიაც კი მეტყველების მანერა განსხვავებულია. ვინც აჭაურობას კარგად იცნობს, უსათუოდ შეატყობს, ვინ ზემოურია და ვინ ქვემოური, ვინ ხიდისთაველი და ვინ გურიანთელი. ხუთიოდე კილომეტრით არის ჩვენი სოფლიდან დაშორებული ვაკიჯვარი, და ხშირად გაიგონებთ, რა ვაკიჯვრელივით ლაპარაკობო. ვაკიჯვრელები უფრო ამაყები და თავმოქმედები არიან, თავი ყინწად უჭირავთ და მეტყველებაც ამის შესაფერი აქვთ. ასეთივე განსხვავებაა ხასიათებშიაც. გურულები, ჩვეულებრივ, ფიცხებად და სხაპასხუებით მოლაპარაკე ადამიანებად წარმოუდგენიათ. ასეთებსაც შეხედებით. მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, მშვიდი ხა-

სათისა და დინჯად მოლაპარაკე მადონა უფრო მაგონდება...

საზეიმო ვანწყობილება მეორე დღესაც გრძელდება. მაგრამ სიხარული მუდამ მოკლეა ხოლმე. სტუმრები თანდათანობით გაიკრიფებიან და ვულში თითქოს რაღაცნაირი სიცარიელე გაჩნდება. ეს ალბათ ვეულასათვის ნაცნობი ვანცდაა...

წრეგადასული ხმა არ იცოდნენ, მითუმეტეს ასეთი დღესასწაულის სუფრაზე. ეს უფრო გვიან დამკვიდრდა, წლებს შუაღვე. ჯერ ისევე ღვინის ჭიქებით სუამდნენ, წელში გამოყვანილი მომცრო ღვინის ჭიქებით. ჩაის ჩიქებით ხმა მერე დაიწვეს, როცა პოლიტიბუროს წევრების სადღევრძელოები შემოვიდა და თანდათანობით სავალდებულო გახდა. ზოგჯერ გაიზრდებოდა ხოლმე პოლიტიბუროს შემადგენლობა, და, შესაბამისად ჩაის ჭიქებიც იმატებდა — დიდ ლანგარზე დააწყობდნენ და ჩამოატარებდნენ. რაღა თქმა უნდა, ბელადის სადღევრძელოს შემდეგ. თანაც, დასაწყისშივე შემოიჭანდნენ ჩაის ჭიქებიან ლანგარს, სუფრას შემოუსხდებოდნენ თუ არა, მაშინვე. ჯერ პურიც არ გაეტეხათ. უარს ვინ გაბედავდა! ძალიან სიმწრითაც რომ შეესვა, სახეზე მაინც სიამოვნების ღიმილი უნდა ჰქონოდა... მაგონდება კარლო კალაძის ნაამბობი. ანელოტხა ჰგავს, მაგრამ დაუჯერებელი სულაც არ არის. მკითხველებთან შეხვედრა ჰქონოდა კარლოს, და იქიდან დაბრუნებული ყვებოდა.

შემოურსხვებით თუ არა სუფრას, დიდი ლანგარით შემოიჭანეს გააპიანებული ჩაის ჭიქები (აღარ მაგონდება, რამდენი ჩაის ჭიქა დაახახელა კარლომ, ანუ იმ წელს რამდენი პოლიტიბუროს წევრი იყო), ჩაის ჭიქების უკან ორი ღვინის ჭიქა იდგა ლანგარზე. ამან ცოტა არ იყოს დამაბნიაო, კარლო ყვება: ჩაის ჭიქები არ გამკვირებია, მაგრამ ღვინის ჭიქები რაღას უნდა ნიშნავდეს!.. მალე გაირკვა ვეულაფერი: ის ორი მომცრო ჭიქა პოლიტიბუროს წევრობის ორი კანდიდატისა იყო. კარლოს ძალიან ხშირად ჰქონდა ასეთი შეხვედრები სა-



ქართველოს ყველა კუთხეში, და ბევრ ასეთ ბანკეტს შესწრებია, იმასაც კი გაუკვირდა. იქნებ ეს თავისებური ირონიაც იყო ამ შეტად სასაცილო და კურორტული წესის მიმართ. იცოდნენ ჩვენში ასეთი ოინებები.

ისევ გადაუხევიე... ძნელი ყოფილა მოგონებების წერა. იღებ თუ არა კალამს, ზედიზედ გამოიკვეთება წარსულის ბურუსიდან ცალკეული ეპიზოდები და ჯიუტად მოიწვევენ, რათა სტრიქონებში მოექცნენ. აგერ, კიდევ ერთი საღალღობო ამბავი გამახსენა ამ საღღევრძელოებმა. ოღონდ ეს მესამე პირისგან მაქვს გაგონილი.

სტალინს ქართველი ექიმებიც მკურნალობდნენ. გამოიძახებდნენ ხოლმე იმხანად ყველაზე სახელგანთქმულ მკურნალებს. ესეც იქნებ ერთგვარი ნოსტალიგია იყო სიბერეში შესული ტირანისათვის, თორემ რუსეთში რა გამოღვევდა კარგ ექიმებს. უფრო ხშირად პროფესორი ნიკოლოზ ვიფშიძე მკურნალობდა. და ერთხელ თურმე სტალინმა ჰკითხა: ნუთუ არაფერსა მთხოვ, რომ შეგისრულო. სწევოდათ მეფეებს ასეთი გულმონყალება. სათხოვარი კი მაქვს, მაგრამ ვერ გიბედავთო, არ დაიბნა ქართველი ექიმი. იმის უფლება მომეცი, რომ როცა სუფრაზე დიდ სასმისს მომაწოდებენ შენს საღღევრძელოდ, განვაცხადო: სტალინმა თავად გამათავისუფლა ამ საღღევრძელოსგან, და ამრიგად თავი დაიხსნაო... სტალინს ერთბაშად არ უპასუხნია — არც უარი უთქვამს და არც დასტური მიუცია. ეშმაკურად ჩაიციან, უღელაშზე ხელი ვადაისვა, ქვემოდან ამოხედა ექიმს და დინჯად მიუგო: დე, ზღლის ნება შესრულდეს, წესს ნუ დავარღვევთ, სწორი არ იქნებაო...

• • •

ჩვენი ეზოს წინ დიდი შარავნა სკას მოგაკონებდა, დილიდან დაღამებამდე მიდი-მოდიოდა ხალხი — ვინ ფეხით, 4. „მნათობი“, № 8

ვინ ცხენითა თუ ურმით — განუწყვეტელი ზუზუნი იდგა, ცოცხალ ზანტისავეთ ფეოქავდა... ლამის მთელს სამხრეთ-დასავლეთ გურიას გაივლის ეს გზა, მრავალ სოფელს გადაკვეთს, ვიდრე ბოლოს, თავაკეჯვარში, შესაღვომს მიაღებოდეს... სწორედ შესაღვომი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის, საიდანაც ბახმაროს მთების ციცაბო კალთები იწყება. რაც უფრო უახლოვდები მთის კალთებს, თვალსაჩინოდ ხედავ, ყოველ ოც მეტრში როგორ თანდათან მალდდება და მალდდება ეს გზა; ამას მხოლოდ თვალით ხედავ, დაღლასა და გზის სიმძიმეს კი ხულაც ვერა გრძნობ, ისე გასხამს ფრთებს სულ უფრო და უფრო მოახლოებული სუნთქვა ბახმაროს მაცოცხლებელი ჰაერისა...

მთელ მაშინდელ ცხოვრებას გადავიშლიდა ეს გზა, ცხოვრების მაჯისცემის გაგრძელებად, ცხოვრების გულში ჩავახელებდა. ასეთად შემორჩენია ის მეზიერებას. ერთგვარად, ზღლის ხასიათსაც კი ვგააცნობდა, იმ საოცრად თბილ ურთიერთობას, რითაც ერთმანეთთან იყენენ დაკავშირებული ადამიანები. ეზოშიაც გაიკონებდი ნაწყვეტ-ნაწყვეტ მისაღმების ხმებს. ერთმანეთს მოიკითხავდნენ — გულითადად, კეთილად — მშვიდობის დილას ან მშვიდობის საღამოს უსურვებდნენ; ნაცნობი იყო თუ უცნობი, შეუძლებელია არ მისაღმებოდა და მშვიდობა არ ესურვა. ცნობის-მოყვარეობას არ მალავდნენ, ყურადღებით შეათვალიერებდნენ ერთმანეთს; ბავშუს შეაჩერებდნენ და ვინაობას გამოკითხავდნენ — კეთილგანწყობით, აღერსიანად. შეაკვებულო და მოზომილი ცნობისმოყვარეობით. ახლაც ცოცხლად მახსოვს ასეთი უცნაური, უცნაურად თბილი დიალოგი:

„ვისი შვილი ხარ, ბიძია? — აღერსიანად გკითხავს.

ამა და ამ კაცის შვილი ვარო, უპასუხებ და ერთიანად წითლდები, რადგან წინასწარ იცი, როგორ წარიმართება ეს მოკლე საუბარი.

„რომლის? თამადა ვასოსი?“ — სოფელში ჩვენივე გვარის რამდენიმე კაცს ერქვა ეს სახელი.

„ღიას“... — თითქოს ხმა ჩავიწყდა, ტირილს ძლივს იკავებ ცდილობ მოკლედ უპასუხო.

იგი თითქოს ცოტათი დაიბნევა, და მერე მცირე დუმილის შემდეგ ამის თქმასლა მოახერხებს:

„რამხელა ბიჭი ყოფილხარ!“ — ეს ერთგვარი დამხმარე ფრაზაა, პაუზის შესავსებად. თანაგრძნობით გათვალისწინებს, და შემდეგ: „ქალაღი ხომ გაქვთ, ბიძიკო?“ — წერილს გულისხმობს, წერილი თუ მოვდიო, და რაკი შეგატყობს, პასუხისათვის ხმა არ მოვდევს, თვითონვე განაგრძობს: „ნუ გეშინია, ბიძი, მალე ჩამუა“... თავზე ხელს გადავისვამს, „მალე ჩამუა“, გატეხილი ხმით გაიმეორებს და გზას განაგრძობს.

შეღარებით დრამატული დიალოგი გაუცხვია. უფრო ღად გასაუბრებასაც მოისმენდი:

„... უკ, რა მითხარი, რამხელა ვაჟკაცი მოსწრებიხარ!.. რაეა მამაშენი? მოგაკითხა-თქვა, უთხარი. ღვინო ხომ არ დამმარებია?“... ამით გაგრძნობინებდა, რომ დიდი ხანია მათთან სტუმრად არ ყოფილა, და ოჯახში წვეულება დაუგვიანდათ. „ბაბუაშენი რაეა? პურის სუნი არ ასდის?“ ჩვეულებრივ მკაძხ შექცევოდნენ, პური შეღარებით ფუფუნება იყო, ღვინოსა და ჭირის სუფრაზე თუ მოგართმევდნენ, და მონატრედნენ ხოლმე; ახლაც ხუმრობით ის აგრძნობინა, ბაბუამისის იმქვეყნად გამგზავრების დრო ხომ არ დაღვია...

ხან როგორ უცნაურად — მაგრამ ყოველთვის თბილად — წარიმართებოდა ეს დიალოგი და ხან როგორ...

ირიფრაქებს თუ არა, ბავშვების ერთ-ერთი გაავსებს ამ შარავზასაც და მთელ არემარესაც. მოვინებთან და მოვინებთან უწყვეტ ნაკადად — შეიღწელიდ მხოლოდ ჩვენს სოფელში იყო, ახლამახლო სოფლებში დაწვებითი სკოლები ჰქონდათ, და ოთხწლიან სკოლადამთავრებულები აქ აგრძელებდნენ სწავლას. ზურგზე ბიჭებს ჩითის ჩანთები უღაყ-

ლავებო, ჩანთებზევე გამომწერი მწერები პარკუჭანებში სამელნებებ უკლებს, გონებს ხელში უჭირავთ ასევე სამელნის პარკუჭანა გამობმული ჩანთები.

ჯერ ისევ აღრეა და არ უგვიანდებო, ბიჭებს ერთმანეთისათვის მხარზე გადაუხვევიათ ხელი და მღერიან, მღერიან მთელის ვატაცებით; იქნებ ყოველთვის ხმაშეწყობილად ვერა, მაგრამ მუდამ გულიანად და თავდავიწყებით. საერთოდ, სოფელში მღერის თითქმის ყველა, ყოველგვარ ვითარებაში...

დიდ წვეულებაში ზოგჯერ საგანგებოდ კარგ მომღერლებს მოიწვევდნენ ხოლმე. მახსოვს, ჩვენს ოჯახშიაც მოუწვევით ძმები სალუქვაძეები — ლადიკო, აქესენტი და მანასე. სწორედ ამათხეა ერთ დროს საკმაოდ გავრცელებული სახუმარო სიმღერა „სამნი ძმანი ლეკიანში მუშაობდნენ ყანასაო“... ვერ ვიტყვი თავად შეთხზეს თუ სხვებმა. სიმღერაში მოთხრობილი ტრაგიკომიკური თავგადასავალი კი ნამდვილად გადახდათ: ზღვის სიბაზოვეს, „ლეკიანად“ წოდებულ ადგილზე ჩვენს სოფლებს საყანე ნაკვეთები ჰქონდათ აღებული, სიმინდი მოჰყავდათ; და იქ აღიდებულ მდინარეში დაეხრჩოთ უღელი ხარი — კამუშა და აღმასა. სიმღერაში ეს უბედურად დაღუპული ხარებიც უკვდავტევეს — მათი სახელებიცაა მოხსენიებული (აღმასა მანასასთან არის გართმული)...

ერთი სიტყვით, სოფელში თითქმის ყველა მღერის. მღერიან ბავშვები, როცა სკოლაში მიდიან და სკოლიდან ბრუნდებიან; მღერის პატარა ბიჭი, როცა მარილზე ან ნავთზე გაუგზავნიან; მღერის, როცა ურემზე ზის და ხარებს მიერეკება, მღერიან მდინარეზე საბანოდ წასულები; მღერიან ახალგაზრდები — ღამით ალგვროზე მიმავალნი და იქიდან დაბრუნებულნი...

ახე იყო იმ დროს, რომლის ამბესაც ახლა ვიხსენებ.

განსაკუთრებით ტკბილად დამამახსოვრდა ღიღინი. ეს ცალკე თანრია და სახელგანთქმული გუნდებიც ასრულებენ. ცნობილია, მაგალითად, აკეთური ღიღინი...

ნი მშები ზუხუნაიშვილების შესრულე-  
ბით. მაგრამ ამჟამად ამას არ ვგულის-  
ხმობ. უფრო ტკბილად მახსოვს, როცა  
მარტოკა კაცი ღიღინებს — ცხენზე ზას,  
გზას დასდგომია და ღიღინებს, თავის-  
თვის მიდის და ღიღინებს. ეს ღიღინი  
იმ „ლულუნს“ არა ჰგავს, ილია „გლო-  
ვისხარით მწუხარეს“ რომ უწოდებ-  
და; ესეც თუ ფიქრების აღმძვრელია, მა-  
გრამ არა მწუხარე ფიქრებისა. ეს უფ-  
რო ლალია, სვედვარეულიც. მაგრამ  
არა მწუხარე, არა გულისდამამძიმე-  
ლი. ეს უფრო ოცნებისმიცემული ადა-  
მიანის ღიღინია.

ალეგრო ვახსენე. ასეთი ალევროები  
უმთავრესად ზაფხულობით იმართებო-  
და, როცა სტუდენტები და აქედან წა-  
სული სხვაგან მოღვაწე მასწავლებლე-  
ბი არდადეგებზე სოფელს დაუბრუნდ-  
ბოდნენ. ზემოთ ერთგან ნახსენები სოფ-  
ლის ინტელიგენციაც ეს იყო, ადგი-  
ლობრივ მასწავლებლებთან ერთად. ეს  
ადამიანები აქტიურად ემშობოდნენ შრო-  
ბიური სოფლის ცხოვრებაში. ზოგჯერ  
ლექციებსაც ატარებდნენ, ღრმა ფილო-  
სოფიურ საკითხებზეც კი, იმ თემატი-  
კით, რა ფარგლსაც ამავე სოფლიდან  
წახსული ესა თუ ის ადამიანი ეუფლე-  
ბოდა ან ემსახურებოდა.

მახსოვს, როგორი შიში მომიცავდა,  
როცა, ოზურგეთისკენ მიმავალი, მეზო-  
ბელ სოფელ დეაბზუში გამოსანენ ად-  
ვილას გამოკრულ დიდრონი ასოებით  
დაწერილ აფიშას წაუკითხავდი: „მო-  
სპობა თუ არა სიცოცხლე დედამიწა-  
ზე“... „ჩაქრება თუ არა მზე“... ეს ლექ-  
ციების თემები ვახლავთ — ასეთ დიდ  
საკითხებზე უნდა ესაუბროს არდადე-  
გებზე ჩამოსული სტუდენტი თანასოფ-  
ლელებს. თავად არხეინად ისვენებს,  
სხვებს კი მოსვენებას უფრთხობს. ავის-  
მომასწავებელ მუქარად ფლერდა ეს სი-  
ტყუები. მანამდე ასეთ რამეებზე, ბუნე-  
ბრივია, არ მიფიქრია. აბა რა მომადიქ-  
რებდა, რომ შეიძლებოდა ოდესმე მზე  
ჩაქრალიყო ან სიცოცხლე მოსპობი-  
ლიყო ქვეყანაზე! გული ჩამწყვდებოდა,  
ამას და ანაირ რამეებს რომ წაუკით-  
ხავდი, თანაც სოფლის გულში გამოკ-

რულს, ქვეყნის დასანახად... ქვეყნის  
ბიერად ვეშურებოდი შინ დაბრუნების  
რათა, თუ ეს საშინელი უბედურება მო-  
ხდებოდა, შინ მაინც ვყოფილიყავი, დე-  
დასთან და ჩვენებთან ახლოს. ისე ღრმად  
გაჯდებოდა გულში ეს შიში, რომ რამ-  
დენიმე დღეს სულ ამაზე ვფიქრობდი.

მადლობა ღმერთს, ჩვენს სოფელში  
არა ყოფილა ასეთი განსწავლულობის  
სტუდენტი. ჩვენიან უფრო ლალი სა-  
დამოები იმართებოდა. ზოგჯერ ტრაგე-  
დიებსაც წარმოადგენდნენ, ეს ტრაგედი-  
ებიც გულს მძიმედ აწვებოდა, მაგრამ  
ეს ხომ მაინც კერძო, პირადი ტრაგე-  
დია იყო და იმ საშინელებას ვერ შეედ-  
რებოდა, რასაც დეაბზუში გამოკრული  
აფიშები იუწყებოდა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი  
ასეთი ალევრო, რომელიც საქველმოქ-  
მელი მიზნით მოაწვევს. სექტაკლი  
სკოლის ფართო აივანზე გაიმართა. აქ  
იმართებოდა ზოლზე წარმოდგენები. აი-  
ვანს, ბუნებრივია, სცენის სიღრმე აკლ-  
და, ამიტომ მოქმედება სივრცეზე იშლე-  
ბოდა, მიზანსცენებიც შესაბამისად იყო  
ჩაფიქრებული — სივრცე კი აივანს დი-  
დი ჰქონდა. ვრძლად გაკეცილ „სცენას“  
ანათებდა ჭვრიდან ჭვლებით ჩამოშვე-  
ბული ორი დიდი ლამპა, რომლებიც,  
სხვა რეკვიზიტებთან ერთად, მოსახლე-  
ობაში იყო მოგროვებული. ხალხს ყო-  
ველნაირად უწყობდა ხელს სექტაკ-  
ლების გამართვას და არაფერს იშუ-  
რებდა. ჩამოუვლიდნენ ალევროს წინა  
დღეებში ოჯახებს და მოკრფდნენ, სა-  
დაც რას მოიხელოებდნენ — ძველებურ  
დამბანებსა და უკარგის სანადირო თო-  
ფებს, ხანჯლებსა და ხმლებს, ხალი-  
ჩებს, ლამპებს... თვით ეს საშხადისიც  
და მოლოდინი მომავალი წარმოდგენისა  
დიდი სიხარულის მომგვრელი იყო...  
მაყურებლები ღია ცის ქვეშ ისხდნენ,  
ეზოში. ვირლიანდებით მორთულ ბაღ-  
ში (როგორც ზემოთ ითქვა, ბაღი სკო-  
ლის ეზოს ეკრა) მოწყობილი იყო ლა-  
ტარიები და „ფოსტა“. ამიტომაც ერ-  
ქვა საღამოს ალევრო და არა უბრალოდ  
წარმოიქმნა. სწორედ „ფოსტა“ ჰქონ-  
და წარწერილი ერთ-ერთ გაზონში ნაძ-

ვის ხეს. მეტად სახალისო გასართობი გამოდგა. „ფოსტას“ ემსახურებოდა „გამგე“ და „მისი მოადგილე“ (ახალგაზრდა ქალ-ვაჟი) და მთელი რაზმი ფოსტალიონებისა ანუ წერილების დამტარებლებისა, რომელთაც მკვრდზე და მხრებზე ქაღალდის ნაჭრები ჰქონდათ ქინძისთავეებით დამკვრებული; ამ ქაღალდებზედაც „ფოსტა“ იყო წარწერილი. „ფოსტალიონები“ სკოლის მოსწავლეები იყვნენ და ერთგვარად ამურის მოვალეობა ჰქონდათ დაკისრებული: ელვის სისწრაფით დაჰკროდნენ და „სატრფიალო ბარათები“ დაჰქონდათ. რა თქმა უნდა, სახუმარო ბარათები. ადვილი წარმოსადგენია, რა სიცილესკისი და მზიარულეობა იქნებოდა, თუ გავითვალისწინებთ გურულების იუმორსა და ენამახვილობას. ამიტომაც წარმოდგენის დაწყება გაჭიანურდა, და შეხვეწებებიც მოქმედებათა შორის მეტისმეტად გაიწეა. რაღა თქმა უნდა, აჯობებდა იმ საღამოს რაიმე კომედია წარმოედგინათ: ბაღში მოწყობილ გასართობთა სავსებით საპირისპირო განწყობილებას ქმნიდა ის, რაც სცენაზე ხდებოდა; მოქმედება სცენაზე ძალიან დრამატულად ვითარდებოდა...

უნდა ითქვას, რომ კომედიებიც დაუდგამთ ჩვენს „სცენაზე“. კარგად მახსოვს „დარისპანის გასაჭირი“, სადაც კაროენას როლს ასრულებდა იმეამად უნივერსიტეტის სტუდენტი, შემდეგში კი სახელმწიფო მუხუშუმის მეცნიერი თანამშრომელი ქალბატონი დუდანა მკელაძე, შეილი ცნობილი პედაგოგის ალექსანდრე მკელაძისა. მისმა თამაშმა დიდი მოწონება დაიმსახურა. სხვა დროსაც დაუდგამთ კომედიები, მაგრამ აქ აღარ ჩამოვთვლი...

იმ დამის სპექტაკლში კი განსაკუთრებით დრამატული იყო ბოლო სურათი. მოქმედება წარსულში ხდებოდა, და მთავარი მოქმედი პირები, ეტყობა, მაღალი წოდებისხანი იყვნენ. სამ მთავარ პერსონაჟთგან საფინანსო სურათში თავიდან ორნი იყვნენ სცენაზე — ერთმანეთის მოტრფიალე ახალგაზრდა ქალი და ვაჟი. მათი დამაბული საუბრიდან ირ-

კვეოდა, რომ შიში ჰქონდათ ერთმანეთს ჰერსონაჟისა — ახალგაზრდა ქალისა — კმრისა — რომელიც თავიდან ბრძოლაში დაღუპული ევონათ, ხაერთოდ მისი ბედი გაურკვეველი ჩანდა; გვიან გაიგეს, ეს კაცი ცოცხალი გადარჩენილიყო, და სცენაზე მყოფი ახალგაზრდა მანდილოსანი და ვაჟი ხინანულს მისცემოდნენ, რომ ბრმა ბედის ძალით ერთმანეთი შეუვევრდათ და უნებურად მოღალატეები გახდნენ. კარგა ხანს ვაგრძელდა ხინანულისა და ტრაგიკული ტრფიალის გულისამაწყვებელი სცენა, და მაყურებელთა „დარბაზში“ რომანტიკულად განწყობილმა მანდილოსნებმაც ბევრი ცრემლი ღვარდა. ყველა მოხიბლული იყო მსახიობთა თამაშით. ალბათ უინტერესო არ იქნება შევნიშნოთ, რომ ახალგაზრდა ქალის როლს ასრულებდა იმ დროს შეკვბულებით სოფელში დასახვეწებლად ჩამოსული მშვენიერი ქალბატონი თამარ ანდლულაძე, გამოჩენილი მომღერლის დავით ანდლულაძის და. ვაჟი კი ჩვენივე სკოლის მათემატიკის მასწავლებელი სანდრო თოდრაძე იყო, ახლა რომ ვიხსენებ, შესანიშნავი ვაჟკაცი, რომელიც საბოლოოდ ვერ გადაურჩა რეპრესიებს — ოცდაათიანი წლების დასაწყისშივე დააპატიმრეს და გადაასახლეს. აღარ ვიცი გადასახლებიდან დაბრუნდა თუ არა. წარმოედგენას, სხვათა შორის, ესწრებოდა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი არეთა ქიქოძე, ჩვენივე სოფლის მკვიდრი, რომელიც რამდენიმე დღით თავისიანების სანახავად ჩამოსულიყო სოფელში. მას ძალიან მოეწონა თოდრაძის თამაში. ამ ვმარწვილ კაცს ნამდვილ თეატრშიაც შეუძლია იმოღვაწეოსო. მგონი ასე ეთქვა. ასე გამოვიდა ხმა ხალხში.

მესამე პერსონაჟი ჩემი ახლო ნათესავი იყო. იგი აჭარაში მასწავლებლობდა, მგონი მახუნცეთის სკოლაში, და ზაფხულობით არდადეგებზე ჩამოდიოდა სოფელში. გატაცებული იყო თეატრით. დანანებით იტყვიდა — დიდ თეატრში უნდა შემოღვაწა, იყო კიდევ ამის შანხი, მაგრამ ახლა რაღა ეშველება,

თავის დროზე უნდა მეხმარა ჭკუაო. ჩამოვიდოდა თუ არა სოფელში, ხელად-ვე შეუდგებოდა საქმეს, სცენისმოყვარეებს შეკრებდა და იწყებოდა ვერეთ წოდებული რეპეტიციები. ერთხელ აკაკოს „პატარა კახა“ წარმოადგინეს, მთავარ როლს თვითონვე ასრულებდა. დი-ფინა, კახური (თუმური) ქუდი მიმო-ვით სადმე, მეფე ერეკლეს ჭაბუკობაში კახური ქუდი ეხურაო. გურიამა მამის სად იშოვიდნენ ასეთ ქუდს. მერე ვილა-ცას უზბეკური ფეხი აღმოაჩნდა, და იმითაც იოლას გავიდა.

თავისებურად საინტერესო იყო ეს ახალგაზრდა კაცი. მალაღმარდოვანი ლაპარაკი იცოდა, ათასწიარ მართალ-სა თუ მოვინილს ყვებოდა ხოლმე, და ვერ დაუჟარგავ, კარგი მთხრობელი იყო. ყვებოდა დინჯად, სათანადო პაუ-ზებითა და თეატრალური აქცენტებით. მსმენელის დანდობა არ იცოდა — მუ-დამ დაძაბული მჟავდა. ერთხელ მოყვა, მაგალითად, როგორ ვადეყარა ღამით აჭარის მთებში კონტრაბანდისტებს. ახალგაზრდა კაცის სიოცხლე ბეწვზე დაეკიდა: კონტრაბანდისტებს მოსწეუ-ნებით, რომ იგი შესახლერე მილიცი-ის თანამშრომელი იყო... ახალგაზრდა მასწავლებელი არ დაიბნა, უცებ გაახ-სენდა, რომ პალტოს ჯიბეში ბუტაფო-რული დამბაჩა ედო, დაძრო დამბაჩა, ერთი მაკრად შეუძახა კონტრაბანდის-ტებს, რომლებიც, უნდა ვიფიქროთ, კარვად შეიარაღებულნი იქნებოდნენ, და დაიფრინა. მე უბრალოდ გადმოეცემ. მისი მონათხრობი დაზუნძლული იყო შიშისმიმოგვრელი ფრაზებითა და მა-ღალღარდოვანი გამოთქმებით.

როგორც ამ ამბიდანაც ჩანს, ცოტა წატრახახება უყვარდა ამ კაცს, მაგრამ ისე გულიანად და დამაჯერებლად ყვე-ბოდა, ისე დამაბუფდა მსმენელს, რომ ყველა გაფაციცებული ყურადღებით უს-მენდა. მერეღა იტყოდნენ სიცილით, ტყუილებით გაგვაკვსოთ, უბეებს დაი-ბერტყავდნენ — ტყუილებს გამოიკეკ-დნენ. გურულებისთანა ხალხი დედამი-წის ზურგზე არ მოიძებნებო, ამტკი-ცებდა; ამერიკის მახლობლად ყოფილა

ერთი პატარა კუნძული და, გარკვეულ-ხალხი ოდნავ თუ შეედრებოდა, კუნძულს არ დაასახელებდა. არც არა-ეინ შეეკითხებოდა.

ერთხელ მართლაც რომ ბეწვზე გა-დაურჩა ხიფათს ეს კაცი, და ეს თა-ვისივე სოფელში მოხდა, თავისივე სა-ხლში. ამ დროს ქვეყანაში გამწვავებუ-ლი „კლასთა ბრძოლა“ მძინეზარებდა, როგორც ამას იმდროინდელი გაზეთე-ბი იუწყებოდნენ... და აი, ერთ ზაფ-ხულს ეს კაცი არადადევებზე შინ ჩა-მოვიდა. იმავე დღეს, საღამო ხანს, რო-ცა სამზადი სახლის წინ სამფეხა სკამ-ზე მჯდარი თავისიანებს რაღაცას გა-ტაკებით უყვებოდა, ჭიშკარს მოადგა თემკომის ერთ-ერთი თანამშრომელი, ჩვენივე სოფლელი თავგადაკული აქ-ტივისტი, გვარად დოლიძე, ყოვლად ოდიოზური კაცი; ყოველი მისი კიდუ-რი თუ ნაკით მორწეს არ ესადაგებო-და, და ისე უყანყალებდა, როგორც გვერდზე ჩამოკონწიალებული მაუხერი, რომელსაც სიარულის დროს, მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად, ხშირხში-რად გაჰკრავდა ხელს; ცალი თვალის ქუთუთი უჩვეულოდ ჩამოწეული და ჩანისხლიანებული ჰქონდა, დადიოდა რა-ღაც უცნაურად — ცერად, გვერდულად, თითქოს შემხვედრ პაერის ტალღას მკერდს არიდებსო... გაალო ამ კაცმა ჭიშკარი და პირდაპირ სამზადი სახ-ლისკენ აიღო გეზი. ეზო დიდი იყო, და სანამ მიუახლოვდებოდა, ამ უსიამო-ვნო სტუმრობით შემტარი და დაბნეუ-ლი მასპინძლები ნელ-ნელა წამოიკრი-ფენ სკამებიდან. სტუმარი არც კი მი-სალმებია, როცა მიუახლოვდა, დაბალი ხმით, მაგრამ მუქარავარეული სიმტკი-ციით მიმართა შინახალდაბრუნებულს:

„შაქრო, გირჩენია, შენით ჩაგვაბა-რო იარაღი, სახლის ჩხრეკას ნუ დაგ-ვაწყვები!“ ...

ეს სიტყვები, თუმცა კი დაბალი ხმით იყო წარმოთქმული, მეხის გაკარდნასა-ვით ვაისმა. ხმის ამოღება ვერაეინ მო-ახერხა, თითქოს ვეულას ერთბაშად ჩა-უვარდა ენა; დედამ უნებურად ლოყაზე ჩამოიხევა ხელი, მამას ნერწყვის გადა-

ვლახეა გაუჭირდა, გამშრალმა, ახალ-  
ნამოსულ შვილს გადახედა, არანაკლებ  
გამშრალმა შვილმა ხელები უმწეოდ გა-  
შალა.

„აბა, პე!.. ახლა უფრო ხმაძალა მი-  
მართა, „ნულარ გეცდევებ, ამდენი არ  
გეცალია“.

ამასობაში სახლს თემკომის მდივან-  
ნიც მიადგა, წელში მოხრილი, ხანში  
შესული კაცი; ამასაც გვერდზე ტყავის  
ბოლჩით ნაგანი ეკიდა. იგი უფრო თა-  
ვაზიანი გამოდგა, საღამო მშვიდობისა  
უსურვა მასპინძლებს და შორიახლო  
დადგა. ჭიშკართან კიდევ ორი კაცი გა-  
მოჩნდა, მაგრამ ისინი იქვე გაჩერდნენ,  
წინ აღარ წამოსულან.

„აბა, პე!“ კიდევ გაიმეორა პირველად  
მოსულმა.

„მეხუმრები? ვინ მომცა იარაღი!“ —  
ამის თქმალა მოახერხა ახალგაზრდა კა-  
ცმა, „საიდან მოვიტანო?“

„საიდან და, ბათომიდან! გაიჭყანა  
დოლიძე, — „ხომ იცი, ჩვენ აფერი და-  
გვეშალუბა. აბა, პე!“ — კიდევ ერთხელ  
გაიმეორა, — „თუარა, დაეწვეთ ჩხრე-  
კა... თუ გინდა, გავიადვილებთ საქმეს“,  
ისევ გაიჭყანა, „ის მაფრამა გავიხსენი,  
დღეს რომ ჩამეიტანე ბათომიდან“.

მასპინძლებმა შვებით ამოიხსუნტქეს,  
ერთბაშად მოეშვათ გულზე. იმ დღეს  
მართლა ჩამოეტანა ახალგაზრდა კაცს  
ბათომიდან რევოლვერი, ძველებური  
დამბანა, ხმალი და ხანჯალი, მაგრამ  
ესენი სულ ბუტაფორიები იყო, სასცენო  
რეკვიზიტები. და როცა წინ დაუ-  
ლაგეს თემკომის მესვეურებს, ნირწამ-  
ხდარი დოლიძე კიდევ ერთხელ გაიჭ-  
ყანა, აპკურად „შკარა წყენითა და იმე-  
დისგაცრუებით, მდივანს გადაულაპა-  
რაკა:

„ენდე ახლა კოსტიელას ბაღნებს!“

კოსტიელა ახლო მეზობელი იყო,  
ერთადერთი აქტივისტი ბოლშევი-  
კი ჩვენს გამოცემა უბანში, და მისი ბა-  
ვშეები თურმე მართლაც იქ იყვნენ, რო-  
ცა სცენისმოყვარე მასწავლებელმა მა-  
ფრამა ვახსნა და სასცენო რეკვიზიტე-  
ბი ამოაღაგა...

ერთი სიტყვით, გადარჩევიყვედი  
არადა, შეიძლებოდა სულ ჩხვეწიროდ  
წარმართულიყო საქმე; ოხურეთში თუ  
ჩაიყვანდნენ, მერე იქიდან გამოხსნა —  
სულერთია, გაიმართლებდა თავს თუ არა  
— ძალიან ძნელი იქნებოდა...

ერთხელ ნამდვილი თეატრიც ესტუმ-  
რა ჩვენს სოფელს „გამსვლელი საქე-  
ტაკლით“. ეს იყო ალბათ ხანკულტურის  
თეატრი. პიესის სახელწოდება არ მა-  
გონდება, მაგრამ იმის დაეწვევა, რაც  
სცენაზე ხდებოდა, არანაირად არ შეიძ-  
ლება, რადგან ეს მწვავედ აქტუალური  
იყო იმ დროს, ალბათ ყველაგან, და ჩვენს  
კუთხეში იქნებ მომეტებულადაც. თავის  
მოგონებებში ექვთიმე თაყაიშვილი სა-  
განგებოდ აღნიშნავს ამას... ჭლეკი გა-  
ნუკურნებელ ხენად ითვლებოდა და ში-  
შის ზარსა სცემდა მოსახლეობას. ჩვენს  
დიდ სოფელში ყველამ იცოდა, ვინ იყო  
დაავადებული ამ სენით, და ისეთი სი-  
ბრალებით მოიხსენიებდნენ, როგორც  
სასიკვდილოდ გადადებულ ადამიანს. ბა-  
ვშეები რამდენიმე კილომეტრით გაემი-  
რუდებდით გზას, ოღონდ იმ სახლთან  
ახლოს არ გავვევლო, სადაც ამ სენით  
დაავადებული გვევლებოდა... საჩუღ-  
ტურის თეატრის საქეტაკლიც ამ თე-  
მას შეეხებოდა: ახალგაზრდა ქალი ჭლე-  
კით დახსნულბულიყო და, ლოგინად  
ჩავარდნილი და ღონემიხდილი, ძლივს  
სუნტქავდა; წამოუვლიდა სუსტი ხველა  
და ლაპარაკს არ აცლიდა. სახთუღალ-  
თან დედა ეჯდა და, დააღუპით ცრემლ-  
მომდინარი, მაყურებელს შესწიოდა, რა  
ქნა, რა წყალში ჩავეარდე, რა ვუშვე-  
ლო ჩემს ერთადერთ შვილსო. მისი  
წყვეტილი, დაულაგებული ნაამბობიდან  
ირკვეოდა, რომ რაღაც დაეშალა შვი-  
ლისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი რა-  
ღაც. ამის გამო ახალგაზრდა ქალი  
დარდს მიხეცმოდა და დახსნულბული-  
ყო, ჭლეკი მორეოდა. დედას ეს ვერ  
ეპატიებინა საკუთარი თავისთვის, სი-  
ნანულს მოეცა... მერე საიდანღაც ექი-  
მი გამოჩნდა — ძალიან, მზარბეჭიანი  
მამაკაცი, უწვეულოდ დაობებული ხმა  
ქონდა, მოახიბებებს აქეთ ასეთი ხმა.  
ექიმი ავადმყოფს ვახინჯავს და მერე

დარიგებას აძლევს დედას, რბილად სტუქსავს, რომ დროზე არ მიმართა ექიმს; შვიდამდე მაყურებელსაც მიუბრუნდება შევინებით, რომ საჭიროა დროულად მიმართონ ექიმს, და არ გააკარონ ექიმბაშები...

როგორც ხედავთ, ეს იყო საავტობიო სპექტაკლი. ასე ზრუნავდა ხელისუფლება ხალხის კეთილდღეობისათვის, ავტობიოსა და პროპაგანდას არ აკლებდა...

უფრო კონკრეტულ ღონისძიებებსაც ატარებდნენ. ერთხელ ექიმი ამოვიდა ოზურგეთიდან, რათა ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეესწავლა და სათანადო დარიგებანი მიეცა. ეს ერთგვარი დისპანსერიზაცია იყო. რა შედეგს გამოიღებდა ასეთი დისპანსერიზაცია, ადვილი მისახვედრია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დიდიდან საღამომდე შეუსვენებელივ სინჯავდა ეს ექიმი ხალხს. დანამდილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ალბათ ხუთასზე მეტი კაცი მაინც გასინჯა იმ დღეს. იქნებ ათასიც. ამის განსაზღვრა ახლა ძნელია. ოთახი დაიხუთა, სუნთქვა ჭირდა, დაღლილობისაგან ფეხები ეკეცებოდა საწყალ ქალს (ქალი გახლდათ ექიმი), ხალხის ნაკადი კი არა წყდებოდა. დიდი სოფელი იყო, ხალხმრავალი. ვინც ახლოს ცხოვრობდა, დილითვე გაიგო ექიმის ამოსვლა და ადრე მივიდა საექიმო პუნქტში, შორებელმა უფრო გვიან მოახერხა მისვლა. ქალაქიდან ამოსული ექიმი ახალი ხილივით იყო და ყველამ მოინდომა სწვენებოდა, თორემ ჩვენს სოფელში ამის საჭიროება სულაც არა ყოფილა: შესანიშნავი ფერწალი გვყავდა - გამოცდილი, მცოდნე, გულისხმიერი და ყურადღებიანი. არცერთ ექიმს ტოლს არ დაუდებდა. მისი დაავროზი შეუმცდარი იყო. ზებირად იცოდა, ამ დიდ სოფელში ვის რა სტაიაოდა და ვის რა აწუხებდა, ვის აჩქარებული მაჯა ჰქონდა და ვის შენელებული... ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, უსიტყვო კაცი იყო. ჰქონდა კარგი იუმორის გრძნობა და ეს ავადმყოფებთან ურთიერთობაშიც შეელოდა. მძიმე

ავადმყოფი თუ იყო სოფელში, იმტარებულნი ხვდებოდით, რომ ჩვენი ექიმი ამდგომარეობა დაღერებოდა და დიდა, დანა პირს არ უხსნიდა. შეტყობინება არცა სჭირდებოდა - დღეს არ გამოტოვებდა, ასეთი ავადმყოფი არ მოენახულებინა. და როცა პაციენტი მოიკეთებდა, ამასაც მაშინვე მიხვდებოდით - ექიმს სახე კვლავ გაუნათლებოდა, თვალებში ჩვეული ემპაქური ღიმილი ჩაუდგებოდა, თითქოს რაღაც საზომარო ამბავი გაახსენდა და უნდა გაიმბოხო... ჩვენივე გვარისა იყო, ხარითონი ერქვა, და ყველა სახელით მოიხსენიებდა; ბუნებრივი, დიდი პატივისცემით სარგებლობდა მთელ სოფელში. ნამდვილი სახალხო მოღვაწე იყო, ძველებური მოღვაწე, მეცხრამეტე საუკუნის ყაიღისა. ჯერ ისევე შეხვდებოდით სოფელში ისეთ ადამიანებს. მე პირადად დიდად დავალებული ვარ მისგან, მუდამ მადლიერებითა და სიყვარულით გაიხსენებ ამ დიდებულ კაცს. მე რომ მახსოვს, იმ დროს უკვე მიხუცი ეთქმოდა; ალბათ ამიტომაც გადაურჩა იმ წლების რეპრესიებს. თუმცა რაღა გადარჩენა - უმცროსი შვილი დაუჭირეს და გადაასახლეს, კარგი ვაჟაკი, უნივერსიტეტი ახალი დამთავრებული ჰქონდა...

ერთი სიტყვით, ხელისუფლება ღონისძიებებს არ იშურებდა, ოღონდ ხალხი ჰყოლოდა ჯანმრთელი...

იმავე ხანებში - ეს იყო 1928 თუ 1929 წელი - სურამის ერთ მთიან სოფელშიაც შევესწარი ამგვარ „ღონისძიებას“. სოფელი ღიზის მთის კალთაზეა შეფენილი. აქ ხუთი-ექვსი ექიმი ამოვიდა სურამიდან. ანდაზისა არ იყოს, ერთდროულად ორი კეთილი საქმე მოითავსეს - მამიდაც ნახეს და კვიციც გახედნეს: ერთი აქაური ქალისთვის სურამში ოპერაცია გაეკეთებინათ და მშვიდობით გადარჩენილ ქალს სამალარიწო წვეულებაზე დაეპატიჟებინა ექიმები. რაკი საქმიფოდ მოდიოდნენ, ბარემ ამ ღონისძიებასაც იოლად მოვითავებთო, გადაწყვიტეს, საჭირო აღარ იქნებოდა სავანებოდ ამოსვლა; თვითონვე ხომ კარგად იცოდნენ, რომ მაინც



ფორმალური და ყოველად უსარგებლო იყო ეს ღონისძიება. ამ ექი თავან ერთი, რაღა თქმა უნდა, ქიურგი იქნებოდა, დანარჩენები — ზოგი ბიანე-გინეკოლოგი, ვენეროლოგი, ალბათ ლარინგოლოგიც... მაგრამ წელამდე გაშიშვლებულ ხალხს ყველა გულსა და ფილტვებს უსინჯავდა...

ხანამ ხალხის გასინჯვას დაიწყებდნენ, ჯერ ლექცია ჩატარებ, კითხვებზეც უპასუხებ. ლექცია ერთ მთვანს — უფრო ენაწვლიან ექიმს — ჰქონდა დაკისრებული. ლექტორმა თავიდანვე დაძაბა სიტუაცია: ქვეყნად ხუთასი ავადმყოფობააო, განაცხადა; სწორედ ამ სიტყვებით დაიწყო, და გამოცდილი ორატორივით დააცადა, რათა ნათქვამის მწარე მნიშვნელობა კარგად აღეჭვა აუდიტორიას. ხალხმა მართლაც მწარედ ამოიგმინა. ექიმმა მოწყალედ გაიღიმა, და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: მაგრამ სამაგიეროდ ხუთი ათასი წამალი არსებობს! — ხალხმა შევებით ამოიხუნთქა...

დიდი ხნის შემდეგ საღღაც ამოვიკითხე, ოცდაათი ათასი ავადმყოფობაა ცნობილიო. ეს რომ იმ ექიმს სცოდნოდა, რაღა თქმა უნდა, უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა.

• • •

მაგონდება ერთი უცნაური პლაკატი-დიაგრამა, რომელიც ასახავდა სწავლა-განათლების დონეს საქართველოს კუთხეთა მიხედვით. დიაგრამაზე მოხაზული სვეტები აჩვენებდა, თუ რომელ კუთხეში უფრო მაღალი იყო ეს დონე და რამდენით უსწრებდა სხვა კუთხეებს. უცნაური კი იმიტომ ვუწოდებ ამ პლაკატს, რომ ავტორს ორიგინალურად ჩაეფიქრებინა: ყოველი სვეტის თავზე იდგა ეთნიკურ სამოსში ჩაცმული წარმომადგენელი ამა თუ იმ კუთხისა. და ვინც ქართული სამოსის ეთნიკურ განსხვავებულებას არჩევს, შეხედვისთანავე მიხვდებოდა, რომელ კუთხეში რა დონე იყო სწავლა-განათლებისა, წარ-

წერების წაკითხვა აღარც შეეძლო. დებიდა. ალბათ იმანაც დანაშაულოვანა ეს დიაგრამა, რომ ჩაქურაში გამოწვობილი გურული ყველაზე მაღალ სვეტზე იდგა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სწავლა-განათლების დონე, დიაგრამის მიხედვით ყველაზე მაღალი გურიაში იყო. ვერ ვიტყვი, რამდენად ესადაგებოდა ეს სინამდვილეს, მაგრამ ეტყობა ქვეყნბიერად ელამუნებოდა ბავშვის თავმოყვარეობასა თუ პატივმოყვარეობას; და ამან ერთხელ ისეთ უხერხულ ყოფაში ჩამავდო, რომ, როცა გავიხსენებ, დღესაც ვწითლდები, ამდენი ხნის შემდეგ.

ეს მოხდა ზაფხულის ერთ საღამოს, როცა არდადეგებს მამიდასთან ვატარებდი სურამის ერთ-ერთ სოფელში. მეხუთე კლასი დამთავრებული მქონდა და შავ მუქვებზე კლასელი მეთქობოდა. ზაფხულს იმ სოფელში ნათესავებთან თუ მოკეთებთან სხვა კუთხეებიდან ჩამოსული ბავშვებიც ატარებდნენ — ხაშურლები, გორელები, მგონი კახეთიდანაც იყვნენ... ყოველ შაბათ-კვირას — ზოგჯერ სხვა დღეებშიაც — აქ აფილიობრივი ახალგაზრდები ღზინის მართავდნენ. შეიკრიბებოდნენ ხოლმე საღამო ხანს სკოლის წინ პატარა მოედანზე და დროს ატარებდნენ. დოლგარმონის ხმა გვიან ღამემდე მთელ სოფელს ეფინებოდა. შეღერებული ახალგაზრდები ცმკვავდნენ, თამაშობდნენ, სახუმარო ამბებს ყვებოდნენ, თავისებურად არმოივობდნენ... უფრო პატარები შორიდან ვუცქერდით, ჩვენ მათ მარაქაში ვინ ვაგვრევდა; ჩვენებურად ვატარებდით დროს — უფრო მარტივ ამბებს ყვებოდით, სკოლის ამბებს ვიხსენებდით...

ერთი ამბევით, სოფელი თავის ცხოვრებით ცხოვრობდა, ჯერ კიდევ არ დაეგრია მისი ცხოვრების წესი მოახლოებული კოლექტივიზაციის სუხსს. ეს მომდევნო წლებში მოხდა.

პირველად რომ მითხრეს, ამაღამ ღზინი იქნება და ჩვენც უნდა წაივითო, მე გაშლილი სუფრა და ნადიმი წარმოვიდგინე, და გამიკვირდა კიდევ, ჩვენი ხნის ბიჭებს ვინ გვეპატივებოდა ღზინში... უფრო გაკვირებული მა-

შინ დაერწი, როცა ამ ლხინის ნამდვილი არის გაიგე. ჩვენში ლხინი სხვა რამეს ერქვა, ხოლო უსუფროდ დროის გატარება სხვანაირად იცოდნენ; ჩვენში, როგორც უკვე ითქვა, ალექსროებს მართავდნენ, და ამას უფრო გრანდიოზული ხასიათი ჰქონდა. აქ უბრალოდ და მარტივად სცოდნოდათ, და, ვფიქრობ, ორივე — აქაურიცა და ჩვენებურიც — თავისებურად კარგი იყო. მთავარი ის არის, რომ ხალხი ცდილობდა ყოველდღიური ყოფის სიმძიმე შეეძახებოდა, გაეადვილებინა და გაეღალატებინა, ცხოვრება გაეღამაზებინა. ჩვენი ეროვნული თავისებურება და ხასიათიც ხომ ეს არის...

მაგრამ უხერხულობა ვახსენე და ჯერ არ მითქვამს, რას ვგულისხმობდი.

აღარ მაგონდება, რას მოჰყვა ეს — ეტყობა სკოლაში სწავლაზე ესაუბრობდი — და უცებ ერთ ბიჭს მივმართე: კი ნუ გეწყინება, მაგრამ ჩვენთან უფრო მალეა დგას სწავლის დონე-მეთქი. ეს ბიჭი გორელი იყო, სახელი აღარ მახსოვს, გვარი არც მაშინ ვიცოდი; ძალიან სასიამოვნო ბიჭი იყო — ზრდილი და კარგი საამხანაგო. როგორც ახლა ვფიქრობ, იქნებ ქედმაღლურად არა, მაგრამ ხაზგასმული სიამაყითა და გამოძწევადაც კი უუთხარი ეს. ბიჭი უყოყმანოდ დამეთანხმა: „კო, რა თქმა უნდა! რა შედარებაა“, — მითხრა მან და მკითხა: „რომელ სკოლაში სწავლობ?“ მე იმას თბილისის ერთ-ერთი სკოლიდან ვეგონე.

ხელაღვე მივხვდი, რა უხერხული შეცდომა მომივიდა; ბაქია, ბუნებით, არასოდეს ვყოფილვარ, და ახლა ნამდვილი კვებნა გამომივიდა; ერთბაშად სირცხვილის აღმური მომაწვა სახეზე. ნორწამხდარმა, ამჯერად უკვე ისე ყინნად აღარა, უხალისოდ ვუპასუხე, მე გურიამი ესწავლობ-მეთქი. ბიჭმა ერთი კი შემომხვდა — როგორც მომეჩვენა, გაკვირვებით — მაგრამ თქმით აღარფერი უთქვამს...

სულ იმ დიაგრამა-პლაკატისა და იმ განწყობილების ბრალი იყო — განუწყვეტლივ მესმოდა სიამაყითა და თავ-

მოწონებით თქმული: სწავლა-განათლება გურიამი ყველაზე მაღლა დგასო, და მეც შეამაყებოდა; როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, ზომიერე მეტადაც...

მაშინ ხომ მწვავედ ვინანე, მაგრამ მას შემდეგაც მუდამ უსიამოვნოდ ვამახსენდება ის შემთხვევა. იმიტომაც დამამახსოვრდა ასე ცოცხლად თითქმის სამოცდაათი წლის წინანდელი ამბავი.

საერთოდ, უბრალო რამეზეც მწვავე სინანული ვიცი ხოლმე, და დიდხანს გამყვება ეს დარდი, თითქოს სხვა სადარდებელი ცოტა იყოს ამკვეყნად; ვთქვით, ვინმეს ისე ვერ შევხვდი, როგორც საჭირო იყო, ან ისეთი რამე ვუთხარი, რამაც იქნებ გული ატკინა, ან ისე ვერ მოვიქციე... ამაზე შერე დიდხანს ეფიქრობ და ვდარდობ. მკაცრად ვაანალიზებ ჩემს ყოველ მოქმედებას, და ეს შერე დიდხანს მტანჯავს და მაწვავლებს. ბევრი სულაც არ აქცევს ამას ყურადღებას, და ის უფრო ბედნიერია, თავისებურად ბედნიერი. ყველას თავისი ხასიათი აქვს, ეს თანდაყოლილია, და ამას დრო ვერა ცვლის.

სიტყვამ მოიტანა, და ხშირად დაუფიქრდები ხოლმე, როგორი ადამიანი ვარ მე, რას წარმოვადგენ; სხვების თვალში როგორი ვარ — როგორც მე მაქვს ჩამოყალიბებული აზრი სხვებზე. ეტყობა ძნელია საკუთარი თავის შეცნობა, თუმც კი ამას ბევრი ცდილობს, ბევრს აწვავლებს ამის ფიქრი. მუდამ ასე ყოფილა და ასე იქნება, სანამ ადამიანი არსებობს. ღმერთმა ნუ ქნას, ყველა ადამიანი თავდაჯერებული და საკუთარი თავით კმაყოფილი იყოს. თავისი ცხოვრების თავდადასავალს რომ წერდა სტენდალი, იმედოვნებდა: როცა ამ წიგნს მოვრჩები და თავიდან ბოლომდე წავიკითხავ, იქნებ ბოლოს და ბოლოს გავივო, რა კაცი ვიყავი და რას წარმოვადგენდიო. ეტყობა, გენიოსებსაც აწვავლებდათ ასეთი ფიქრი. ვეჭვობ, იმედი გამართლებოდა.

\* \* \*

ჩვენი შარავზა გავიხსენე. ჩვენში სოფლები ერთმანეთზეა გადაბმული, და გზას რომ მიჰყვები, გული ვინათღლება, თითქოს წალკოტში შედიოდე. ორივე მხარეს ჩარიგებულია დაბალ ბოკონებზე შემდგარი, წითელი კრამიტით დახურული კობტა ოდა-სახლები, უმთავერესად წაბლისა; და თუ, ამასთან, ახალია ეს წაბლის სახლი, შზის სხივები ოქროსფრად ააელვარებს ხოლმე. ალბათ ამ ოდა-სახლებმა მოხაბლეს ერთ დროს სტრაბონი, როცა იგი სავანგებოდ აღნიშნავს მათ ხილამაზეს. მაგრამ ყველაზე საოცარი აქ ეზოებია — მუდამ სავანგებოდ მოვლილი, დეკარცნილდაკრიალებული მწვანედ გადაშლილი ვრცელი ეზოები. გურია მთელს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მცირემწიან კუთხედ ითვლება, ტერიტორიის დიდი ნაწილი აქ ყანებისათვის გამოუყენებულ ტყით დაფარულ მთა-გორაკებს უჭირავს. ვლებები იძულებული იყვნენ, ზღვის მახლობლად, ვგრეთ წოდებულ „ლეკიანში“, ჯერ ისევ აუთვისებულ ტერიტორიაზე, აეღოთ საყანე ნაკვეთები; პერი იქ მეტად არახელსაყრელი იყო — ცხელი, ნოტიო, წებოვანი, კოლოებით გატენილი. მაგრამ რაკილა სხვა არაფერი სახსარი ჰქონდათ, იძულებული ხდებოდნენ, იქ დაემუშაებინათ მიწა და სიმინდი მოეყვანათ. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ ასეთ ვითარებაშიაც კი, აზრადაც არავეს მოსდიოდა, ვრცელი ეზო დაევიწროებინა და საყანედ გამოეყენებინა. ეზო ერთგვარი მისი სავიზიტო პარათი იყო, თვალისა და გულის გასახარელი. და ისევე ეამყებოდა, როგორც თავისივე კარვად მოვლილი პირუტყვი — ხარები თუ ცხენი, თავისივე ოდა...

ახე იყო იმ დროს, ჩემს ბავშვობაში. ახლა ის ლამაზი ოდეები აქა-იქ თუ შემორჩენილა. იმ დიდი შარავზის ორივე მხარეს, უკვე მეტსმეტად დაევიწროებულ ეზოებში ქვეთკირის ულაზათო, და ხშირად უაივნო, ორსართულიანი სახლები წამოუჭიპაეთ. თუნუქის სახურა-

ვებზე ბევრგან შეხვდებით (თუნუქისავე) სავანგებოდ შეკრულ-შეკრულ-შეკრულულაზათო ფიგურებს, ზოგს მოსოვის კრემლისთვისაც მიუმსგავსებია ეს ფიგურა...

მაგრამ ეს შერე მოხდა, თანდათანობით. მე კი ჩემს ბავშვობისდროინდელ ამბებს ვიხსენებ...

პო, ეზოში, ოდის მახლობლად უხათოოდ ნალიასაც დაინახავდი, ასევე კრამიტით დახურულ, მაღალ ბოქებზე შემდგარ, სავანგებოდ მოჩუქურთმებულ ნალიას. ესეც უმთავერესად წაბლისა იყო...

გუშინდელივით მახსოვს ჩვენს ეზოში ძველის ადგილზე ახალი ნალიის დადგმა. მიხელ-უსტა დილაადრიან მოვიდოდა და დაღამებამდე მუშაობდა. ჩია ბერიკაცი იყო, წყნარი, უხმო, ისე დაჩაუნებდა, გეგონებოდა, მიწას იბრალეებს, თავისი სიმძამით არ შეაწუხო. ზოგჯერ ცოლი მოზრდილ კალათში ლამაზად ჩაულაგებდა საკურთხის და გაატანდა. ეკლესია მისგან კარვად მოშორებით იყო, და მთელს ამ ვრძელ გზაზე მოდიოდა კალათის სიმძამისაგან ცალ მხარეს ოდნავ გადაზნეილი, თანაბარი ნაბიჯით, ფეხს არც აუჩქარებდა, არც შეანელებდა, არ შეისევმებდა, ხელსაც არ შეინაცვლებდა; მოდიოდა თაქანდუნული, მიწას მიშტერებული, ერიდებოდა ამ დროს ვინმესთან გამოლაპარაკებას. უკან არასდღებით არ მიიხედავდა. ცაც რომ ჩამოქცეოდა ზურგსუკან, თავს არ მიაბრუნებდა — უკან მიხედვდა, როცა საყდარში საკურთხი მიქონდა, არასდღებით არ შეიძლეოდა, ეს მომაკედანებელ ცოლად ითვლებოდა. და მიხელ-უსტაც, როგორც ღრმად მორწმუნე ადამიანი, რაღა თქმა უნდა, ამ წესს არ დაარღვევდა. ეს სოფელში ყველამ იცოდა, და განგებ დაუძახებდნენ ხოლმე — განსაკუთრებით ახალგაზრდები — მაგრამ მიხეილი არა ტყდებოდა, ამ დროს ცოტათი აჩქარებდა ფეხს...

ტკბილი მოხუცი იყო, და ტკბილად დამამახსოვრდა ის დღეები; დიდხანს გავრძელებდა ჩვენი ახალი ნალიის შენება, ნელა მუშაობდა, აუჩქარებლად; ისეთი უნდა გამოვიყვანო, თვალი ყვე-

ღას ზედ რჩებოდესო, და მართლაც ღამაში ჩუქურთმები გამოჰყავდა. ხელით მუშაობდა, მაშინ არაერთი ტყინკა არ არსებობდა. ჩორკინდა, თლიდა, და თან ბავშვებს ზღაპრებს გვიყვებოდა. მეტყველების დეფექტი ჰქონდა, რადიკანირად ჩიფინფებდა, და ეს კიდევ უფრო საყვარელსა ხდიდა. პირველად არც კი გვესმოდა მისი ლაპარაკი, მაგრამ ყური თანდათანობით შევანვიეთ. „სახუაის ხელი არ მომიკიდოთ“, გვეტყოდა ხოლმე ყოველ საღამოს, როცა სადურგლო იარაღებს ბრუნების ჩანთაში ჩააღებდა და კუთხეში მიდგამდა (სადურგლო, და საზოგადოდ ყოველგვარ სახელოსნო იარაღს გურიაში „სახელოსნოს“ უწოდებდნენ; მიხელუსტა, ჩვეულებრივ, ამახინჯებდა სიტყვას — „სახუაის“ ამბობდა). თითქოს მკაცრად გვაფრთხილებდა, მაგრამ მისი კითხვი თვალები კვლავ აღერსით გვიღიმოდა. მერე ვახშმად დასხდებოდნენ — ღვინო უყვარდა და მალე მოეკიდებოდა ხოლმე. ჩვენ, ბავშვები, სუფრას არ ვშორდებოდით, მოუთმენლად ვვლოდით, როდის დაიწყებოდა თავშესაქცევი ამბები.

ეს საოცრად მორიდებული და უწყინარი კაცი ხანოთირო ამბების მოყოლას არ ერიდებოდა, ძნელად თუ დაიჯერებდი, ამ ბუნწულა კაცს გადანდომოდეს, თუმცა ისე ყვებოდა, როგორც საკუთარ თავგადასავალს. ზოგი ამბავი დღემდე კარგად მახსოვს.

წვეულებაში ვყოფივარ სტუმრადო, ყვებოდა, გვიან ღამით მილი მოძვრია და გვერდზე ოთახში ტახტზე დავწვიქი, საბანი წაეხურეო. ცოტა ხანში შეზარხოშებული ახალგაზრდა კაცი შესულა იმავე ოთახში, ტახტზე მწოლი პირტიტველა ბიჭი ქალიშვილად მიუღია და საბანში შეგორებია; სასაცილოდ ყვებოდა, ამ პირტიტველა ბიჭმა შეზარხოშებულ ჭაბუკს ხელში როგორ შეაგება იგივე იარაღი, რითაც იგი თვითონვე მიიწვედა მიწვევებითი ქალიშვილის დასაყვაროდა — „ამეილი და მომსა ხელში, ამევილე და მივესი ხელში... იფიქრა აქანა ფარსავი რაცხაო და გა-

ვარდა კარში“... მერე ელდაჩუქმუნული ახალგაზრდა ასევე გამოშვლებულა და რაღათ შევარდა მოქიფეთა დარბაზში, სადაც თამადა სწორედ იმ დროს მორიგ სადღევრძელოს წარმოთქვამდა... ყვებოდა და ჩამქრალი თვალებით გვიყურებდა, აბა თუ გაიცინებენო...

ღვინო რომ მოერეოდა, ეს ბუნწულა მოხუცი უკვე აღარ ერიდებოდა დეკამერონისებური ამბების მოყოლას. საერთოდ მოხუცების იუმორი უფრო სკაბრეზული იყო, როცა ახალგაზრდები პოლიტიკურ ანეკდოტებს არჩევდნენ.

კიდევ ერთი ამბავი დამამახსოვრდა, მისი მონაყოლი. ოღონდ ეს საკუთარი თავგადასავალი არ ყოფილა, ერთ შორებულ მეზობელს შემთხვევოდა. მახსოვს ის კაცი — სისხლხორციით სავსე, მხნე და ჯანიანი. ამ კაცსო, ყვება ჩვენი ბუნწულა უსტა, დიდი წვეულება ჰქონდაო, დილაძე ვაგრძელოდა ქიფი; როცა სტუმრები წამოიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო ქალები სუფრის ალაგებას შეუდგნენ, კარგა შემთვრალი მასპინძელი თავის ოთახში შევიდა და, ნახვერად გაუხდელი ლოვინში შეწვა. ლოვინი თბილი დახვდა — შივ ქალი იწვა. კაცი, რაღა თქმა უნდა, არც დაეჭვებულა, რომ ცოლი იქნებოდა და ქმრის მოვალეობის შესრულებას შეუდგა; ხოლო როცა ქალმა კრუსუნი დაიწყო, შემთვრალმა კაცმა შეუტია: „რას კრუსუნობ, რომ კრუსუნობ, პირველია თუ?!“. ვითომ პირველად ხომ არ ეასრულებ ამ ადამკამიდან დაწესებულ მოვალეობასო. მერეღა გამოირკვა, რომ ეს ქალი გაუთხოვარი ცოლისდა ყოფილიყო: საერთოდ არეულობის დროს, თურმე დის ლოვინში შეწვა და, დაღლილს ჩაეძინა. მოასწრო თუ არა ცალღებულებისადმი ერთგულმა კაცმა თავისი მოვალეობის შესრულება, აღარ მახსოვს. ეს მგონი არც ჩვენს საყვარელ მოხუც დურგალს დაუზუსტებია.

სოფლიდან წამოსვლის შემდეგ, პირველსავე არდადეგებზე ჩასულს, ცოცხალი აღარ დამხვედრია მოხუცი, და ძალიანაც დამწვდა გული. გვიყვარდა მოხუცი უსტა.

საღალბო ამბები ვახსენე. ჩვენს სოფლებში ყველგან, მიუღს საქართველოში, უფვართ ასეთი საღალბო ამბების ვახსენება. ეს ჩვენი ბუნება და ხასიათია. ღმერთმა ნუ ქნას, მოვეშლოდეს. ესეც თავისებურად აღამაზებს და საინტერესოსა ხდის ცხოვრებას.

ბიძანემი ენამახვილობას არ ჩემულობდა, მაგრამ კარგი იუმორის გრძნობა ჰქონდა. და მოყოლაც საინტერესოდ იყოფა. მეზობელი გვყავდა, ახალგაზრდა, ლამაზი ცოლის პატრონი. თავად უკვე აღარ ეთქმოდა ახალგაზრდა. ამბობდნენ, ცოლი დიდი ერთგულებით ვერ გამოირჩეოდაო. კაცი განათლებული იყო, მაგრამ ცოტა არ იყოს აზირებული, თანაც ძუნწი და თავკერძა. ქუთაისში მსახურობდა და იქვე ცხოვრობდა, მაგრამ სახლი სოფელშიაღ კქონდა და ხშირად ჩამოდიოდა, ზაფხულს ხომ მუდამ სოფელში ატარებდა. ცოლის ორგულობის ამბავს ჩუმუმად ყველა ღამარაკობდა და ეს ხმები ალბათ კაცის ყურამდე აღწევდა, მაგრამ თითქოს არა სჯეროდა და არც აწუხებდა.

ასე ჩანდა გარედან. როგორც შემდეგ ვაირკვა, თურმე ყველაფერი კარგად იცოდა, და დარდს გულში იკლავდა.

ერთხელ ეს კაცი ბახმაროდან ჩამოიყვანა ბიძანემი თავის ცხენით. შვევიანებოდათ, და შუალამეს მიტანებული იქნებოდა, შინ რომ მივიდნენ. შევიდნენ ეზოში, სახლი ჩაბნელებული დახვდათ. ავიდა კაცი აივანზე და კარზე აკაკუნებს. ხმას არავინა სცემს. უფრო მაგრად დააკაკუნა, და ახლა დაუძახა კიდეც: „ჭანეტა, ჩამოვედი. კარი გაიღე“. ხმის გამცემი მაინც არავინაა. კაცი დაეკვდა, აწრიალდა — ცოლი უსათუოდ შინ უნდა იყოს. უფრო ხმაძაღლა დაუწყეო ძახილი და ახლა ხმაზედაც დაეტყო აღელვება: „ჭანეტა! ჭანეტა!“ როდის, როდის უპასუხა ცოლმა შემკრთალი ხმით: „რომელი ხარ?“ „მე ვარ, ჭანეტა, კაპიტონი ვარ. გაადე კარი“. „ვაიმე, რომ არ იყო კაპიტონი, მაშინ რა მეშველება“. კაცს აშკარად გულზე მოეფონა, ბიძანემს გადმოხედა და — „ხედავ, საწყვად ქალს რაეა შე-

შინებია?“ და გახარებულმა ხსენების-ძახა ცოლს: „მე ვარ, ჭანეტა, მე ვარ, შეს თავს ვუფიცები, მე ვარ“. „ვაიმე, რომ არ იყო, მაშინ რა ვქნა“. სულ უფრო ძაბავს ცოლი სიტუაციას. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა კიდე ერთხელ გაამეორებინა გულმხურვალე ფიცი, ბოლომდე ვერ დარწმუნებულმა, შიშინანი ხმით გამოსძახა: „კაი, აბა, ვაგიღებ, მარა რომ არ იყო, ხომ დავიღუპე!“

და ამითვე დამთავრდა ეს გულისშემძვრელი დიალოგი ცოლქმრისა კარს იქიდან და კარს აქედან. ასე მარჯვედ გაუქარწყლა ცოლმა ყოველგვარი ეჭვი ქმარს.

• • •

ძველი სიბრძნე — წარსდგა მშვიერ და არა ტიტველიო, ასე მგონია, ჩვენში ყველაზე კარგად ჰქონდათ გათვითცნობიერებული, ანუ ყველაზე უფრო ჩვენს მაშინდელ მდგომარეობას მიესადაგებოდა. საერთოდ, ძალიან ცოტას ჭამდნენ, საკვებიც ცოტა იყო. უმთავრესად ფხაღელულს შეეკცეოდნენ, ნივჯითა და სანელებლით კარგად შეკმაზულ-შეზავებულს, ან ლობიოს, ბადრიჯანს... როცა იშოვიდნენ — თევზს. ტარანი, რომელიც ახლა დელიკატესად ითვლება, მაშინ უფრო იშოვებოდა, კანაფზე ჰქონდათ აცმული, სამზადი სახლის კედელზე ჩამოკიდებული. ზოგჯერ ურმით ფოთს წავიდოდნენ და ქაფშია მოჰქონდათ. დამახასიათებელია ერთი ფრაზა, რითაც ხშირად მიმართავდნენ ზოლმე ხანში შესული ქალბი უმთავრესად ბაეშებს: „რას მისაკმელობთ, ნენა?“ ამ კითხვიდანაც ჩანს, რომ საკვების პრობლემა მწვევედ იდგა. ვერონტი ქიქოძე წერს, ერთხელ ნინოშვილის იუბილეზე მიგვიწვიეს და გაკვირვებული დავრჩი — ამდენი კარგი საკმელი ჩვენს დროს არა ჰქონიათო.

ესეცაა, რომ დიდ ყურადღებას არ უთმობდნენ ჭამასა და მუცლის ამოყორებას. მიუღს ჩვენ დიდ სოფელში ერთადერთი ღიბიანი კაცი იყო — პარიკ-



მახერი, და ზოგი იბრალებდა იმ კაცს, ზოგი დასცილდა. მგონი, პათოლოგიური სიმსუქნე ქონდა... ახლა საწინააღმდეგო სურათია. ახლა ახალგაზრდებსაც მოზრდილი დიბი ადევთ. და, სამწუხაროდ, ასეთი ახალგაზრდები ცოტა-ნი არ არიან.

მაგრამ დაწყებული ამბავი უნდა დავამთავრო. სხვა იყო ტანთშესამოსი. სულ გამოწყვეტილი თუ არ იყო გლეხი, ხაგარეო ჩასაცმელად უსათუოდ ექნებოდა შევიოტის ან კოვერკოტის შარვალ-ხალათი, ქალებსაც — კოვერკოტის ქვედა კაბა და კოვერკოტისავე პლაშნი, ფეხზე „ვიქტორიას“ სიფრიფანა შალაყელიანი წინდები ეცვა, და ხახვსაც „ლორიგანის“ ბუდრით იპუდრავდა...

იმ ხანებში ფართოდ იყო გავრცელებული კონტრაბანდისტობა და უხვად შემოქონდათ ეს საქონელი. ისე უბრალოდ და შინაურულად ახსენებდა ჩვენებური გლეხი „შევიოტს“, „კოვერკოტს“, „ლორიგანს“, თითქოს ეკლავზე და კეკერა ფხალზე ლაპარაკობსო. თუმცა მონონე ხალხი იყო, უყვარდათ კარგად და ლაზათიანად ჩაცმა და იმშვენებდნენ კიდევ, იფერებდნენ...

ესეც აღვინდელი, ჩემი ბავშვობის დროინდელი ამბავია.

ახლაც თვალწინ მიდგას მოყვრებში სტუმრად მიმავალი თუმცა მონონე ოჯახი: კაცს შევიოტის ბლუზა-შარვალი აცვია, გრძლად გადმოშვებულ ბლუზაზე აბრეშუმის ლურჯი, ფიჩიანი ქამარი არტყია, მხარზე აბრეშუმისავე სირმა-მოკლებული თეთრი ყაბალაზი გადაუგდია, ნაპატივებ ცხენზე ზის და, თუ დააკვირდები, უნაგირის მოვერცხლილ კოტებსაც შენიშნავ; ქალს კოვერკოტის კაბა და კოვერკოტისავე პლაშნი ჩაუცვამს, იგი „ხელლოზე“ წამოქადარა (ქალის კოტიან უნაგირს აქ, მამაკაცის უნაგირისაგან განსასხვავებლად, „ხელლოს“ ემახდნენ; ქალი რომ მამაკაცსავით გადაქადარიყო ცხენზე. საუგო იქნებოდა, იქნებ დაეცინათ კიდევ); პატარა ბიჭი — ისიც შევიოტის ბლუზა-

სა და შევიოტისავე მოკლე შარვალში გამოწყობილი — მამას უზის უკან მდებარეობდა. მაგრამ მთავარი, რამაც ეს სურათი გამახსენა, მათი ჩაცმულობა კი არ არის, მთავარი მამაკაცის ამეფი გამომეტყველება; ამკარად შეატყობთ, რომ თავი მოაქვს ლამაზი და კარგად ჩაცმული ცოლითა და ასევე ლამაზი და კარგად მოვლილი შვილით... ნაკლებ შემძლებულიც რომ ყოფილიყო კაცი, თავი მაინც შეძლებულად უნდა გამოეჩინა.

• • •

სანამ შრომა იძულებითი გახდებოდა, სოფელში ყველა შრომობდა — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. ყველას თავისი საქმე ქონდა. ქალს რომ მამაკაცის საქმე გაეკეთებინა — ან ბარი დაეჭირა ხელში ან ცული, ან ყანის სათიხნელად წახულიყო — ეს მამაკაცის შეურაცხყოფა იქნებოდა, მამაკაცს დასცილებდნენ. მაგრამ საქმე მაინც ძალიან დიდი და მომქანცველი ქონდა ქალს — ბავშვების მოვლა, დაბან-დარეცხვა, საჭმელის მომზადება, ძროხის მოწყვლა, ყველის ამოღება, ფრთოსნების მოვლა, ყაჭის მოვლა-პატრონობა, რაც ძალიან დიდ შრომას მოითხოვდა, და უფრო მოკვიანებით, დასასრულ ეტაპზე, როცა ჭიები დაიზრდებოდნენ და მათი თუთის ფოთლებით გამოკვება უკვე პრობლემად იქცეოდა, — ვეღარ აუდიოდნენ, სულ ჭამა უნდოდათ და აღარაფერი ყოფნიდათ — ამ დროს მამაკაციც შეელოდა ქალს და ბავშვებიც, მარტოც ამას ვერ გასწავდებოდა. ბავშვები ასაკის მიხედვით იყვნენ დასაქმებულნი და მათაც დიდი შრომა ხვდებოდათ. უშრომელი და უქნარა კაცი თითოთი საჩვენებელი იყო და ასევე თითებზე ჩამოსათვლელი.

დამახასიათებელია, რომ უქნარა ოჯახის უფროსს მთელი ოჯახი უქნარა და ზარმაცი ჰყავდა. დასცილდნენ ასეთ ოჯახს, აგლებით მოიხსენიებდნენ. ზოგჯერ მშრომელ ოჯახსაც გამოერეოდა

ცულუბი წვერი, და ისიც სასაცილოდ ჰყავდათ.

ჩვენს მეზობლადაც იყო ერთი ასეთი ახალგაზრდა კაცი: თითქოს ცულს არაფერს აკეთებდა — ეს იყო, რომ მუშაობა არ უყვარდა, ყოველნაირად ცდილობდა თავი აერიდებინა საქმისათვის; გაძვრებოდა, გამოძვრებოდა, მამასა და ძმებს გაეპარებოდა, სახლის სხვენზე ან დეღეში ნარდს თამაშობდა. მამამისი, ყველასაგან პატივცემული კაცი, შუწუხებული იყო, აღარ იცოდა, რა ეღონა; ერთი შორეული მეზობლის ბიჭს აბრალედა ყველაფერს — „ფორფიკამ გამოფუჭა ბიჭი!“ ხშირხშირად იტყოდა ხოლმე შუწუხებული და სასოწარკვეთილი. ხულ ეს ეკერა პირზე ყველაფერს ფორფიკას აბრალედა. ხალხს ამაზე ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა, რადგან ფორფიკა ამ კაცის ვალიკოზე ხუთი-ექვსი წლით უმცროსი იყო.

ერთი ხიტყვით, მთელი სოფელი შრომობდა... მაგრამ ეს იყო აღრე. იმიტომაც სავანებოდ შეეპირე უურადლება. მერე ყველაფერი შეიცვალა, ცხოვრება გაუკუმართდა. მერე უკვე კარგი მშრომელი გახდა თითოთი სანქვენებელი. ძალიან სწრაფად მოხდა ეს მეტამორფოზა, სწრაფად დაირღვა ინერციით გამოყოლილი კარგი ტრადიცია... მაგრამ ამაზე ქვემოთაც ვიტყვი.

• • •

შრომაც იცოდნენ და დასვენებაც. ზაფხულობით ბევრი ბახმაროზე მიდიოდა დასასვენებლად.

ბახმაროზე ჩვენც გვედგა სახლი საზაფხულოდ, ფაფარას ქვემო კალთაზე. ფაფარა მთაა, ხშირი ნამყნარით დაფარული, გარდა ქვემო კალთისა (თუ სადღეისოდ ერთიანად არ გაჩეხეს; მე სამოცდაათი წლის წინანდელ ამბავს ვკვებ). ზედ ტყის ნაპირას, მთელი ფერდობის გასწვრივ, ერთ ზოლად, დასახლება იყო — თავმოწონედ ვაწყალებიყვნენ დაბად ბოკონებზე შემდგარი, ყვერით დახურული, ფიჭვის კონტა სახ-

ლები. ჩვენი უშუალო მეზობლები: გურიის სხვადასხვა სტრუქტურის მქონე — ცხემლისხიდიდან, ვაკიჯურიდან, გურიანთიდან... და თუშკა წლის განმავლობაში სულ ორიოდე თვეს ატარებდნენ ერთად — ბახმაროს სეზონი ასე მოკლეა — ისეთი სიყვარული, და როგორც გურიაში იტყვიან, თვისობა გვექონდა ერთმანეთში, როგორც ხისხლით ნათესავენ.

ჩვენი სახლიდან გამოსული, ჩაირბენდი ფერდობს და ბროლივით ანკარა, ვინულივით ცივ, მდინარეს მიადგებოდი. ბავშვებს გვეამაყებოდა, რომ ამ ლამაზ მდინარეს ჩვენი სოფლის სახელი ერქვა. მაგრამ მთის მდინარე იყო და გაავებაც იცოდა: ერთბაშად მოვარდნილი მთის წვიმა და ქარიშხალი ისე გაახელებდა, რომ მისი მრისხანე გრგვიწვა იქაურობას ზარავდა.

ჩვენი უბანი განაპირად ითვლებოდა, და ალბათ ამიტომაც უფრო სუფთა და კოლორიტული იყო, ვიდრე ძირითადი ნაწილი აგარაკისა, რომელსაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, დიდ ბახმაროს ეძახდნენ. იგი ბაზვისწყლის მარჯვენა მხარეზე იყო გაშენებული. გადაივლიდი მდინარეზე საცალფეხო ხიდს, ციცაბოდ დაკიდულ აღმართს აივლიდი და ძირითად ნაწილს მიადგებოდი. აქ უკვე პატარა ქუჩებით იყო დასერილი კურორტი. უფრო ღრმად, ცენტრში, ბაზარი ქონდათ მოწყობილი, სადაც ბარიდან ამოტანილ სანოვავესა და ხილუელთან ერთად, შეგემლოთ გევიდათ ფიჭვის ყავრისაგან ადგილობრივ გაკეთებული, ჭიაფურით მოხატული სათამაშოები, ყავრისგანვე დამზადებული სხვადასხვა ზომის კოთხიები, ჩუქურთმიანი ჯოხები...

ბაზარში ყველაზე ძვირი ხილი იყო, რადგან ბარიდან ცხენებით ამოტანა ჭირდა; ხოლო რძის მრავალფეროვანი ნაწარმი, რაც უმთავრესად ზოტელ აჭარლებს ამოქონდათ — გაცილებით იაფი. ბაზრიდან ოდნავ მოშორებით იყო რესტორნები და სხვადასხვა გასართობი ატრაქციონები — კვლეი, ტირი, ლატარეები... აქ მუდამ ხალხმრავლობა იყო.



აქვე ტრიალებდნენ ოზურგეთიდან ამოსული ფოტოგრაფები, რომლებიც მუშტრებს ძლივს აუღიოდნენ. ზოგ მათგანს — უფრო საზრიანსა და მოხერხებულს — მუშამბის ვეება ნაქერზე, ვალზე შემდგარი ცხენი დაუხატინებინა; ცხენზე ჩოხა-ახალუხიანი მხედარი იჯდა, რაღა თქმა უნდა, საბრძოლოდ გამზადებული: წელზე ხმალ-ხანჯალი ერთყა, მაღლა შემართულ ხელში მომარაკებული დამბანა, ეტყობოდა, ახლანჯნ დაეცალა — დამბანის ლულიდან გამოსული კვამლი ჯერაც არ გაფანტულიყო. მხედარი უთაყო იყო — თავის ადგილი, მუშამბაზე, გამოჭრილი გახლდათ: გაყოფილი თავს გამოჭრილ მუშამბაში და სამუდამოდ აღიბეჭდებოდი, როგორც უშიშარი მებრძოლი. რა გასაკვირია, რომ ჩვეულებრივ ფოტოზე ძვირი დაგიჯდებოდათ ფაღბი საბუთი ბრძოლაში გამოჩენილი სიმამაცისა და გულადობისა.

სეზონის დასასრულს მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ჩვენგან მოშორებით, საგანგებოდ შერჩეულ დაუაკებაზე, დიდი დოღი იმართებოდა, რომელშიც, გარდა გურიის სოფლებისა, აჭარელი და შვერელი ცხენოსნებიც მონაწილეობდნენ.

თუ კარგი ამინდები დაიჭირა, საავარაკო სეზონი აქ ივნისის მიწურულს იწყება, ან არადა, ივლისის პირველ კვირაში მაინც. არ ვიცი, ქვეყნად კიდე არის თუ არა ისეთი პოპულარული და სასწაულმოქმედი კურორტი, როგორადაც იმხანად, და ალბათ დღესაც, ბახმარო იყო მიჩნეული გურიაში. არა მგონია, ისეთი სნეულება არსებობდეს ქვეყნად, რის განკურნებაც, აქაურების წარმოდგენით, ბახმაროს არ შეძლებოდა: გულის დაავადება იქნებოდა, ფილტვებისა, ნერვული სისტემისა, თუ რა ვიცი კიდე რა (მაშინ ადამიანის სხეული უფრო მთლიანობაში წარმოდგინათ, ასე დაქუცმაცებულ-დასაწვევრებელი არა ჰქონია მედიცინას, როგორც დღესა აქვს), უსათუოდ ავადმყოფის ბახმაროზე აყვანას გირჩევდნენ. ლეკვნიდ დადიოდა ხალხში, როგორ განი-

კურნა ჭლექისაგან დოროთე მარამიძის რომელიც შემდეგ, წლების განმავლობაში ამავე კურორტის დირექტორად მუშაობდა. ამ კაცმა — ეს სინამდვილეა — მთელი ზამთარი გაატარა ბახმაროზე დარაჯებთან ერთად, და იმ ერთ ზამთარში სავსებით განიკურნა. აქ დიდი ზამთარი იცის, 2-3 სავენ თოვლს დადებს ხოლმე, მიმოსვლა ამ დროს, რა თქმა უნდა, შეწვევტილია, მხოლოდ დარაჯები თუ მეტეოროლოგები იზამთრებენ. მთელი ზამთარის სანოვავე წინასწარ აქით მომარაკებული.

ჩვენთვის, ბავშვებისათვის, ბახმაროს სამკურნალო თვისებებს, რაღა თქმა უნდა, ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ სულ სხვა რომანტიკა გვიტაცებდა. მთელი წელი ვოცნებობდით იმ ნანატრ დღეზე, როცა ჯერ ისევ დილის ბინდუნდში წამოვებტებოდით და ფანჯარას მივკარდებოდით, რათა ეზოში, დიდი მსხლის ქვეშ, ორი ცხენი დაგვენახა. ერთი ჩვენი იყო, მეორე ნაქირავები. ცხენებს უნაგირის მაგივრად ხის მომალლო კეხები ედგათ. იქვე ელაგა ბარგი და ორი დიდი გვარდა. გვარდებს ჩვენს ცხენს აკიდებდნენ ხოლმე და შიგ ბავშვებს ჩავესამდნენ — მეტად სახიფათო გზა იყო და უწნობ ცხენს ვერ ანდობდნენ ბავშვებს (საავტომობილო გზა ჩოხატაურიდან უფრო მოგვიანებით გაიყვანეს. არც მინახავს ეს გზა. ჩვენ ვაკოჯერიდან დავიდოდით ცხენებით). ვეკლაფერი მზად იყო, ჩვენს გაღვიძებასლა ელოდნენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, წინა დღითვე ვიცოდით საზგალოდ გამზავრების ამბავი, და მიუხედავად იმისა, რომ ჩვეულებრივზე ადრე დაგვაწვევდნენ დასაძინებლად, ძილი დიდხანს არ ეკარებოდა თვალს. ველავდით, ვერ მოგვესვენა. ბავშვური მოლოდინის თორთოვით წარმოიდგენდით ხოლმე ყოველ მონაკვეთს იმ საოცარი გზისა, რასაც ზგად გაივლიდით. მარმანდელი შთაბეჭდილებები ვერ ისევ ცოცხალი და გაუხუნარი იყო. და რაც უფრო ახლოვდებოდა ნანატრი დღე გამზავრებისა, მით უფრო ცხოვლოდ შეგვახსენებდა თავს.



ყველაზე რომანტიკული განცდა სწორედ ამ გზასთან იყო დაკავშირებული. და რამდენადაც ხილამაზე გზიბლავდა ამ გზისა, იმდენად სახიფათო და საშიში გახლდათ. ყველა ცხენი ვერ ივლიდა აქ-მარტო ფიზიკური ძალა როდი ადგა ამ ციკაბო კლდეებზე და ღრანტებში. შეუდეგბოდით აღმართს, და შეუძლებელი იყო, არ შეეკმნნია, როგორ თანდათანობით იძაბებოდა ცხენი, ძარღვები და ნესტოები ებერებოდა, თვალები უფართოვდებოდა... ეს თითქოს უკვე აღარა ჰგავდა იმ ლალ ცხოველს, როგორადაც ჩვენ ცხენი წარმოვიგებდით. დამაბული ადამიანური ხიფთხილე მოიცავდა მთელს მის არსებებს. გაფაციცებით შეარჩევდა ხოლმე ადგილს, სადაც უფრო მარჯვედ და საიმედოდ მოიკიდებდა ფეხს. საკმარისი იყო ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი, და უძირო უფსკრულში გადაიხეხებოდა. ბევრ ასეთ სახიფათო ადგილს შეხედვოდით გზაზე. გაივლიდა ამ მონაკვეთს, და ერთბაშად თითქოს შევებით ამოიხუნთქავდა, სწორედ ისე, როგორც ადამიანი.

რამდენიმე საღვური იყო გზაზე, სადაც უსათუოდ უნდა შეესვენებინათ ცხენები; და ჩვენც, გვარდებში მოკუნტულეებს, არა ნაკლებ გვეკირდებოდა მუხლის კაშლა, დაჭიმული სახსრების მოსვენება: „შესადგომი“ (იგივე ისტორიული „საბაყო“), „წიფლნარა“, (აქ ვინაუხმებდით ხოლმე, ამ საღვურებზე ყველგან რესტორნები ჰქონდათ გახსნილი), „სომლია“ (აქ ყველაზე დიდი შესვენება იყო და აქვე სადილი გველოდა), „ბაისურა“ (თანდათან უუახლოვდებით და გული ძალუშად იწყებს ძგერას, აქ აღარ ვისვენებთ), „პატარა ბახმარო“... და სულ მალე, დაბურული ტყვიდან გასულეებს, ბახმარო გადაკვეშლება მთელი თავისი ზღაპრული მომხიბლაობით.

შეიძო ათეული წელი გავიდა, რაც ბახმაროზე აღარა ვყოფილვარ; აუსრულელები სურვილის ბავშვური თრთილვით ვიხსენებ ხოლმე დღემდე ამ გზას, და საერთოდ, ბახმაროზე ვატარებულ დღეებს. ერთხელ, სოფელში ვოფნის

დროს, თითქოს შემთხვევით მოხერხებულა იმ ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა ყავი (ჩვენი ძველი გზა, ეკიჯკვიდან, დიდი ხნის ვაუქმებული იყო), მაგრამ თან, ეტყობა, იმედისგაცრუების ვაუცნობიერებელი შიში მიპყრობდა — ერთბაშად არ გამქრალიყო ის ლამაზი რომანტიკა, რაც მეხსიერებას ბავშვობიდან ტკივილიანი განცდით შემორჩენოდა. ხოლო როცა პირი შემთხვევით და წასვლა ვერ მოხერხდა, ერთბაშად მომეშვა გულზე. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ იმედისგაცრუების ქვეცნობიერი შიში ჰქონდა.

ტკბილად გაიხსენებ ხოლმე „ლამპრობას“. ეს იყო თვითშემოქმედებით მოწყობილი გასართობი ხალაპო, რომელიც ყოველ კვირას — ზოგჯერ უფრო ხშირადც იმართებოდა, ხან ერთ უბანში, ხან მეორეში, ზოგჯერ აქაც და იქაც, პარალელურად.

ხის ოთხ მომადლო ბოძზე ფიცრებს დაამაკრებდნენ და ზემოდან მიწას დააფრიდნენ, რათა ხის ფიცრები და ბოძები ცეცხლისაგან დაეცვა. ამ მარტივ მოწყობილებაზე დააწყობდნენ კვირის ნაჭრებს და ცეცხლს მოუკიდებდნენ. ალი ტკრციალით აიჭრებოდა ცაში და ირგვლივ ფიჭვის სააპური სუნი დადგებოდა. ლამპრობის დანახვაზე თანდათანობით იკრიბებოდა ხალხი, ზოგს, უფრო ახლო ტახიორებს, თავისი სკამი მოჰქონდა, ახალგაზრდობა მოლზეც კარგად მოიკალათებდა; დაიწყებოდა მხიარული თამაშობანი, ისეთი თამაში ენამახვილობა-გამაირებანი, რაც სხვა ვინთარებაში იქნებ ეთიკის დარღვევად მიეჩნიათ... იყო გულიანი სიცილი და მხიარულება. შიგადაშიგ დეკლამაციასაც ვაურევდნენ. მახსოვს, აქ წაიკითხა ერთმა ახალგაზრდა კაცმა, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ვალაკტიონის „მესაფლავე“. შთაბეჭდილება ძალიან ძლიერი იყო, აქა-იქ მანდილოსნებს ცხვირსახოციც მოეპარაკებინათ. იმდენად დიდი იყო შთაბეჭდილება, რომ რამდენიმე დღის შემდეგ, უკვე სხვა უბანში გამართულ ლამპრობაზეც მიიწვიეს ეს ახალგაზრდა. ლექსის პერსონაჟთა მო-



რალური საქციელის შესახებ მოაგარაკეთა აზრი გაიყო, და მომდევნო დღეებშიაც ვრძელდებოდა დაჟა. საგულისხმობა, რომ მანდილოსნები უფრო შკატრი მორალის მომხრეები გამოდგნენ.

ზოგჯერ ლამის დილაამდე ვრძელდებოდა ლამპრობა — თუ კარგი ორგანიზაცია იყო და საქმეც კარგად აეწყობოდა. კვარი იქვე ელავა; როგორც კი შეატყობდნენ, ალმა იკლო, მაშინვე მიუძარჯვებდნენ. ორგანიზატორები ამ გართობისა, ჩვეულებრივ, ახალგაზრდები იყვნენ; კვარის მოგროვება ბავშვებს გვევალებოდა. ეს არც იყო ძნელი — გავიდიოდით იქვე ფაფარას ტყეში და კვარს უხვად ვპოულობდით.

ლამპრების აღს ლამაძობით ბევრგან დაინახავდით. მოდამი იყო ეს გასართობი. ზემოთაც ითქვა: ინერცია ღალი ვართობისა და ცხოვრებით ტკობისა ჯერ კიდევ არ მოშლილიყო. ანუ ჯერ კიდევ არ ჩაეკლათ. ეს მომდევნო წლებში მოხდა, თანდათანობით...

იქნებ ვინმემ იკითხოს: ვინ ისვენებდა ამ აგარაკზე? უმთავრესად გლეხები, გურიის სოფლების მცხოვრებლები, და სოფლის ინტელიგენცია. სეზონის დაწყების დროს თადარიგიან გლეხს დამთავრებული ჰქონდა საგაზაფხულო სამუშაოები: აბრეშუმის პარკი უკვე გამოვლო და ჩაებარებინა, სიბინდის მარგვლაც მოთაებული ჰქონდა; ვაზი ხომ აღრვევ გაეხსლა, ხოლო შეწამულა ჩხავერსა და იზაბელას არა სჭირდებოდა... აიყვანდა ცოლ-შვილს ბახმაროზე, ორიოდ კვირას თვითონაც დაისვენებდა, მერე „ერთს ჩამოირბუნდა“, სიბინდს გათიხნიდა, ოჯახს მიხედავდა და ისევ აბრუნდებოდა, კიდევ ორ კვირას დარჩებოდა, და ცოლ-შვილთან ერთად ჩამოვიდოდა დასვენებული, კმაყოფილი, მზარული (ოჯახში მოხუცები რჩებოდნენ, აგრეთვე მორიგეობით თითო-იროლა ახალგაზრდა — დიდი ოჯახები ჰქონდათ, ქალაქისაკენ ჯერ არ დამრულიყო სოფელი)...  
 მოსაელის აღებამდე ჯერ დიდი დრო იყო, და ამასობაში ტყეში შემას დაამ-

ზადებდა, ქვევრებსა და რთვლისსა საჭირო ჭურჭლეულს დარეცხავდა, სატეხაკრეფო სამეურნეო იარაღსა და ურემს შეაკეთებდა, გამართავდა... შემას ტეხა-კრეფისა და მოსაელის დაბინაების შემდეგ ჩამოზიდავდა, ზამთრის პირზე, ამასობაში ქორწილების სეზონიც დაიწყებოდა... მანამდე ღვთისმშობლობის დიდი დღესასწაული იყო. ყველაზე უფრო დიდი სიტკიოთი და სიყვარულით მავონდება ეს დღე. დიდი სიხარული მოჰქონდა მას ჩვენი ოჯახისათვის. და, რაღა თქმა უნდა, მთლიანად სოფლისათვის. ჯერ ისევ შერჩენოდა ხალხს უნარი, მთელი არსებით მისცემოდა სიხარულს. შრომაც ხალი-სიანი იყო და დროსტარებაც; საერთოდ ცხოვრება იყო ღალი და ხალისიანი. ეს მერე იქცა შრომა წამებად და ცხოვრება სატანჯველად. მერე, უფრო მოგვიანებით. ჯერ კი სოფელი ისევ სოფელს ჰგავდა. ჯერ კიდევ არ მოშლილიყო საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი. ძნელი გამოდგა ამ წესის მოშლა, ძნელად გადასალახავი ვახდა ძალა ინერციით გამოყოლილი კარგი ტრადიციებისა. თუმცა ბოლშევიკების უგუნურ მმართველობას უკვე მოესწრო სისხლიანი კლანჭების გამოჩენა...

ხალხი ჯერ მაინც არ ეპუებოდა, ჯერ კიდევ ვერ დაეთრგუნათ, ვერ მოეხრევიებინათ მორჩილად ქედი. განსაკუთრებული რეჟიმი დასჭირდა ამას, განსაკუთრებულ ელსასტიკე, რითაც უჩვეულო ცინიზმით უსწორდებოდნენ ხალხს.

• • •

მახსოვს, როგორ ერთბაშად გავრცელდა ხმა, გოგია ღლონტმა ჩეკისტი ობოლაძე მოკლაო; ეს ჩეკისტი ხალხის დასასჯელად იყო გამოგზავნილი, და სისხლის გუბეები დააყენა ლიხაურსა და მის ახლომდებარე სოფლებში, ცეცხლს მისცა „ურჩი“ გლეხების სახლკარი. და ის-იყო, გამარჯვებითა და

უპველი დაწინაურების მოლოდინით ფრთაშესხმული, თავისივე დამკაშების თანხლებით, ეტლით ბრუნდებოდა ღიხაურიდან ოზურგეთში, როცა გზაზე დახვდა ღიხაურელი ახალგაზრდა გლეხი და ჩააძაღლა. ეტლშივე ჩაკლა...

დაწინაურებას ვერ ეღიბა სისხლიანი ჯალთი, მაგრამ მისი სახელი მაინც „უკუდაუკვევს“: წლების განმავლობაში, ჩემს მასწავლებელთან მიმავალი, ყოველდღიურად ვხედავდი ლურჯ ფირფიტაზე ამოკვეთილ მის გვარს; ვერ ვიტყვი, შემთხვევით მოხდა თუ საგანგებოდ გააკეთეს: მისი სახელობის ეს პატარა ქუჩა, თბილისის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ უბანში, მთაწმინდის კალთაზე, ემიჯნებოდა უფრო დიდი მასშტაბის ჯალათისა და გარეწრის ძერქინის ქუჩას. ქუჩა, ეტყობა, მაშინვე მიუძღვნეს „ტრაგიკულად დაღუპულ გმირს“. კიდევ უფრო სამარცხვინო ის არის, რომ ვაცოდებით უფრო გვიან, როცა ქვეყანა ერთგვარად დამოშმინდა და იმ მძიმე წლების სისასტიკეს თითქოს უკვე ინანიებდნენ კიდევ, პირველ ქართულ ენციკლოპედიაშიაც „უკუდაუკვევს“ მისი სახელი, როგორც გამოჩენილი ეროვნული მოღვაწისა...

რა იყო ეს? ცინიზმი?

ახეთი ცინიზმით იყო აღსავსე მთელი ჩვენი ცხოვრება...

იქნებ არც დამხსომებოდა ობოლადის მოკვლის ამბავი — ჯერ ისევ პატარა ვიყავი: ეს 1923 წელს მოხდა — თუ არა ერთი შემთხვევა.

გვიანი შემოდგომის იმ ცივ დღეს დედა და უფროსი მამიდა ბათუმიდან ბრუნდებოდნენ. როგორც იტყვა, ოზურგეთში ჯერ რკინიგზა არ ყოფილა გაყვანილი, და ნატანებიდან ლინეიკით მოდიოდნენ. ოზურგეთს რომ მიუახლოვდნენ, ცხენოსანი ჯარისკაცები გადაუდგნენ ლინეიკას, ხალხი ჩამოსხეს, დააკავეს. იქვე ჰყავდათ შექურებული სხვებიც, ამათზე უწინ დაკავებულები. იმათ უკვე იცოდნენ, რა მოხდა ღიხაურ-ოზურგეთის გზაზე. ამათაც რომ გაიგეს, ვერ ვიტყვი, კიდევ უფრო დაფეთდნენ, თუ ცოტათი გულზე მიეშ-

ვით, რადგან გაურკვეველი მდგომარეობა იყო. თურმე სასწრაფოდ შეწყვეტილი ოზურგეთში შემავალი გზები, და გაზურგეთში ყველას — დიდსა თუ პატარას — ვისაც კი ქუჩაში დაინახავდნენ, უტყუროდნენ სტაცებდნენ ხელს აგზნებული ჯარისკაცები, უმთავრესად უცხოტომელები.

დედასა და მამიდასაც ეს ბედი ერგოთ. ვერავითარმა განმარტებამ, რომ ისინი ბათუმიდან მოდიოდნენ, და შეუძლებელი იყო, ამ საქმესთან რაიმე კავშირი ჰქონოდათ, ვერ გასჭრა. არც კი უსმენდნენ გამხეცებული ჯარისკაცები; თოფის კონდახებს უღერებდნენ, თუკი ვინმე თავის უდანაშაულობის დამტკიცებას სცდიდა. ეს სხვადასხვა ადგილას მოქურებული ხალხი ოზურგეთში ჩაიყვანეს და შერევეს სადღაც დიდ შენობაში — ქალები ცალკე და მამაკაცები ცალკე. ორი დღე აფურყუტეს მშიერ-მწყურვალნი და მერე გამოუშვეს.

მე კი იმან დამამახსოვრა ეს ეპიზოდი, რომ მამიდა, რომელსაც მახვილი ენა ჰქონდა და კარგი მთხრობელი იყო, გურულებისათვის ჩვეული იუმორით ყვებოდა, ჯერ როგორ დაიხაფრნენ, და მერე კი, ერთ დიდ საკლასო დარბაზში შეყრილ ასამდე გურულ ქალს რა დღეში ჰყავდათ დარაჯად მიჩენილი მილიციელები თუ აქტივისტი ბოლშევიკები, რომლებიც მკაცრად მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ, ქალები კი არ ეუბებოდნენ, ათასნაირ თავშესაქცევ ამბებს ყვებოდნენ და იყო ერთი ღრიალცელი.

ამ უსიამო სიტუაციაში სასაცილო და თავშესაქცევი ის იყო, რომ გუშაგებს პატიმრებზე მეტი უხერხულობა შეეჭმნათ: შენობაში არ აღმოჩნდა ის დაწესებულება თუ ადგილი, სადაც შეფეხებოდა ფეხით დადიან; ის მოშორებით იდგა, ეზოს კუთხეში. გუშაგები იძულებული იყვნენ რიგრიგობით მიეცილებინათ იქამდე თითო პატიმარი — ხან ქალი, ხან მამაკაცი. და სწორედ ის იყო სასაცილო, როგორ უხალისო ფრატუნით მიაცილებდა იმ დიდ ეზოში „პატიმარს“ გატრეცილ მახრაში გახვეუ-



ლი, გამოუძინებელი „აქტივისტი“, რომელსაც ფეხები საქუსარ ჩაკეცილ ჯღანებში შევევო, გახინთული ძაბრა ქუდი ყურებზე ჩამოუშვა, რადგან ნოემბრის ცივი, ნესტიანი ქარი ქროდა; ხიშტიანი მაშინა კი მაინც შემართული ეჭირა ხელში.

\* \* \*

1924 წლის ამბები ბუნდოვნად მახსოვს, მხოლოდ ცალკეული ფაქტებით, უმთავრესად იმ ეპიზოდებით, რაც აჯანყების დამარცხებას მოჰყვა, როცა სოფელში რუსის ჯარი ჩამოაყენეს და აჯანყების მონაწილეთა ძებნა დაიწყო... სოფელი თითქოს მოკვდა; სიმღერით ხომ აღარავის ემღერება, მაგრამ ველარტ იმ რიხიან ლაპარაკსა და მზიარულ სიტყვებს გაივარდა. გზაზე კანტიკუნტად დადის ხალხი — თაყაქინდრულები, მხრებში მოხრილები, უმთავრესად მოხუცები. დროდადრო ხან აქ, ხან იქ შეცხადების კვილი გაისმის, რასაც ძაღლების გაბმული ვშუილი მოჰყვება. განსაკუთრებით ღამით არის საზარელი ეს ვშუილი. ძილში ჩაგვისმის და გული გვეუშუება.

ბევრი ახალგაზრდა მოკლეს მაშინ. სწორედ იმ დღეებში დაიღუპნენ მამანების დეიდაშვილები, ორი ძმა — თოფილე და კიროსი ინწყირეულები... გამწარებით დასდევდნენ უმცროსს — თოფილეს. ვერა და ვერ დაიჭირეს. სამხედრო ფერშალი იყო და თავისი პროფისიის წყალობით ყველა იცნობდა ჩვენს სოფელშიც და მეზობელ სოფლებშიც. კეთილი კაცი იყო, ლალი, გულისხმიერი, და უვევარდათ, ყველგან მიესვლებოდა, უშიშრად იფარებდნენ. ჯერ კიდევ არ იყო ხალხში გამჯდარი შიში; შიშმა მერე იმძლავრა, თანდათანობით. ალბათ ვერც მოახერხებდნენ მის შეპყრობას, და, აღენად დახერხეტასაც გადარებოდა... მაგრამ მოხდა საბედისწერო შემთხვევა...

უფროსმა ძმამ, რალა თქმა უნდა, იცოდა მისი სამყოფელი, და როცა ერთ დღეს სანახავად მიდიოდა, რუსის ჯარისკაცებმა გადაუჭრეს გზა, განხრეკა მოუნდომეს. თავმოყვარე ბიჭი იყო, გული ერჩოდა, ღონეც მოსდევდა, და გაუძალიანდა... ხიშტზე აავეს და მერე ტყვიები დაახალეს. გვამი საღდაც წაიღეს და სხვა მოკლულებთან ერთად მიწაში ჩაფლეს... უმცროსმა ძმამ მაშინვე გაიგო ყველაფერი, შინ მიბრუნდა, თავის ოთახში შევიდა და საფუთქელში ტყვია დაიხალა: გადაწყვიტა, რომ მისი გულისთვის მოკლეს ძმა; სინდისის ქეჩნით გამწარებულ სიცოცხლეს სიკვდილი არჩია.

დედა ოდის აივანზე იყო, ეს უბედურება რომ მოხდა. სროლის ხმაზე პირველი შეეარდა ოთახში... როცა პირველი ელდის შემდეგ ცოტათი გონს მოვევო, უფროსი შვილი მოვიკითხა. უფროსი შვილისგან ელოდა შეეღას თუ ნუგვებს, ჯერ არ იცოდა, რომ იგი უფრო ადრე მოკლეს. ეს მეორე დღეს შეუცხადეს მეზობლებმა.

ერთი შვილი დაიტირა და დაკრძალა ჯერ ისევ გამოუგლოველი უფროსი შვილის გვერდით, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, კოჯრის მისადგომებთან დაიღუპა 1921 წლის თებერვალში... ახლა მესამე შვილის ცხედარი უნდა მოექებნა და მოეპარა უბედურ დედას.

როგორც ითქვა, მოკლულთა ცხედრებსაც არ ანებებდნენ ჭირისუფალს. როცა ცოტათი მიწყნარდა არუელობა, ბაბუაჩემი წავიდა ცხედრის მოსაპარავად.

ხიდისთავში მოეკლათ და იქვე ჩაეფლათ მიწაში. ეს კი გაიგეს, მაგრამ ზუსტად ვერაინ მითითთა, რა ადგილას იქნებოდა დასაფლავებული. სახელდახელოდ გათხრილი საფლავები აქ ბევრი იყო. თანაც ისე იყვნენ დასახინრებულები, რომ ცნობა ძნელი გამოდგა. უკვე გახრწნაც დაეწყო გვამებს. იძულებული გახდა, უბედური დედა წაეყვანა. დედა, რალა თქმა უნდა, უფრო იცნობდა შვილს.

მოპარეს და ურმით წამოასვენეს.

თითქოს ახლაც ჩამესმის ბაბუას გატეხილი ხმით ნათქვამი სიტყვები: ეტყობა ჰკითხეს, დედამისმა როგორღა გამოიცილო; „ჭინჭით იციო“, უბასუხა ბაბუამ. სწორედ ეს გულისშემძვრელი სიტყვები დამამახსოვრდა. სახით ვერც დედა იცილობდა, და თურმე ტანსაცმლით იციო.

ასე გაუბედურდა ეს დიდი ოჯახი.

ამ ბიჭების მომდევნო ძმა, ვალერი, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია, გამოსვლების შემდეგ დიდხანს იპალებოდა. მასაც დასდევდნენ დასაქვრად. იგი თავიდანვე „ჰყავდათ აღრიცხვაზე“, გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე უფროს ძმას რომ მარხავდნენ 1921 წლის თებერვალში, საფლავთან ფიცის მიუცია: რასაც თქვენ შეეწირეთ ამ უსამართლო და უთანასწორო ბრძოლაში, ჩვენ დაეკვირვებით, ჩვენ დაეპარცხებთ მტერსო... ბოლოს მოახერხა და უცხოეთში წაიქცა (ბევრი ახალგაზრდა გადაიხვეწა მაშინ უცხოეთში). ეს იყო ემიგრაციის მეორე დიდი ტალღა. უფრო მოგვიანებით, ავერ ორმოციან წლებში, ხმა მოვიდა, პარიზში ვახით მოიწამლაო. იმასაც ამბობდნენ, აქედან მიჩენილმა ავერტებმა მოწამლესო. ასეც ხდებოდა ხოლმე.

ჰყავდათ გასათხოვი და, რომელიც ამ უბედურების შემდეგ დაქვდა და დიდხანს აღარ უცოცხლია. დედას ენა წაერთვა. საცოდავად ხრიალებდა, დიდხანს არ ვლირსა სიკვდილი და მოხვენება. საბეშუმლილი და ცრემლგამშრალი გიყურებდა და თითქოს ვერა გცნობდა. მართლაც ვერა გცნობდა. არც ჰამდა რამეს, არც დასაძინებლად წვებოდა. ერთთავად იჯდა ჯოჯოხე კერასთან, ცეცხლს ჩასცქეროდა და თავისთვის რაღაცას ჩიფჩიფებდა. ბევრი იწვალა საწყალმა და ბოლოს, როგორც იქნა, მოიხვენა...

ორი ბიჭი კიდევ დარჩა ოჯახში, ხულ უმცროსები — დიდი ოჯახი გახლდათ. იმ დროს პატარები იფუნენ და გადარჩნენ. როცა გაიზარდნენ, ხულ უმცროსი, ნაპოლარა, ომში გაიწვიეს. აღარც

დაბრუნებულა. მეორე კონკლავიდან მითხრობისა არ იყოს, თითქოს განგებამ გადაარჩინა შთამომავლობის გასაგრძელებლად. კარგი ვაჭაკი იყო — წესიერი, პატიოსანი, მშრომელი. ნათესაებმა და მეზობლებმა ადრევე, ჯერ ისევე ხავხებით ახალგაზრდას შერთეს ცოლი. კარვად მახსოვს მისი ქორწილი. დიდ-თოვლიანი ზამთარი იყო და იმ დღესაც გადაუდებლად თოვდა. ნეფე და მაყრონი ცხენებით წავიდნენ პატარძლის მოსაყვანად, ჩვენ კი, ბავშვები, სუროს ნაყოფისა და კურკანტელის მოსაკრეფად გავევრდით სასაფლაოზე, რათა ნეფე-დედოფლისათვის ლამაზად მორთული სახლი დაგვეხვედრებინა. მეზობლები ფოვლნაირად ცდილობდნენ, ჯიუტად შემოჩვეული შწუხარება დაეთრგუნათ და ამ ტრადიციულ ოჯახში კვლავ სიხარულს დაესადგურებინა.

კარგი ოჯახი შექმნეს. მაგრამ გადატანილი უბედურების მძიმე ტვირთი ბოლომდე ვერ მოეხსნა ამ კაცს. სულ დაღვრემილი დადიოდა, გაცილებული არ მინახავს. „სად მიდიხარ, ათინოვე?“ — ჰკითხავდნენ. „ოზურგეთში მივეთრევი“, უპასუხებდა. „აქეთ, ათინოვე, სუფრასთან დაბრძანდი“, — „ავერ, ჯოჯოხე დავევადები“; „საუზმეზე დავეწვივი, ათინოვე“, — „უკვე ჩაეციცხლე ამ დილას“; „ლეკიანში როდის აპარებ?“ — „შაბათს წავეთრევი“... ამ პასუხებით ნაც ჩანს, რა მძიმე კვალი გაავლო მის ცხოვრებაში ტრაგიკულმა წარსულმა.

ეს ოჯახი გამოჩაკლისი არ ყოფილა. ბევრი ოჯახი გაუბედურდა მაშინ.

ცალკე ეპიზოდები მახსოვს, ზემოთ შევნიშნე. ცოცხლად შემორჩენია მეხსიერებას ეს სურათები.

ერთ დილას დედაჩემმა ეზოში თიკები გააბა და ქვეშაგები გამოიტანა გასამხუერებლად. ბავშვები ეშველოდით, შერე იქვე დაკრჩით ეზოში. დედა დიდ ოთახში შევიდა, საღაც იმ დროს მამიდები, ბიცოლა და მეზობლის მოხუცი ქალი იყო. დიდი ხანი არ გახულა ამის შემდეგ, რომ ჭიშკარში ბიძაჩემი შემოვიდა — გაცრეცილი, გაფითრებული. ბავშვებს არც კი გაგვიღიმა, ქუშად

გეითხრა: „ეს ქვეშევრდები ვინ გამოიტანა, ბაღნებო? დედას უთხარით და ახლავე ჩამოსხენით“. გეითხრა და სახლისკენ გაემართა. ბიძა ხულ ალერსიანად გვექცეოდა და ახლა, ამ უჩვეულო ტონით გაკვირვებულებმა, თვალი გავაყოფეთ. ხოლო როცა სახლიდან ხმაბალი ლაპარაკი შემოგვეხმა, ჩვენც იქითკენ ვაქცანდით. უკვე დაწყებული დაძაბული დიალოგი გრძელდებოდა:

—... ვასო? — მამანემზე ჰკითხავდა რაღაცას დედა.

ბიძანემი თავს არიდებდა პასუხს, მაგრამ ისე გაფაციცებით მისჩერებოდნენ ოთახში მყოფი ქალები, იძულებული გახდა ეპასუხნა:

— არა, ვასო არა, — რაღაც უსუსურად უპასუხა.

— აბა, მოსე აგერ ახლა იყო ეზოში! — შეორე ბიძახე უთხრა დედამ.

— არც მოსე... — ძლივს ამოღერდა.

აღარ მახსოვს, კიდევ ჰკითხა თუ არა რამე დედამ, ან ბიძამ რა უპასუხა. ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი. ეტყობა, ბიძა გატყდა, რადგან ქალებმა უცებ შეჰკივლეს... და უკვე ჩვენს ეზოშიაც გაისმა შეცხადების გულისწამლები კივილი... ეზო ხალხით გაივსო, და ამის შემდეგ ჩვენს ეზოში ტირილი და მოთქმა დიდხანს არ შეწყვეტილა.

დღესაც არ ვიცი, დაქვმა მიიღეს თუ როგორ გაიგეს: უფროსი ბიძა, ვიორგი, დაეხერტათ. იგი დუშეთში მდვლად იყო გამწესებული.

როგორც უკვე ცნობილია, სასულიერო პირებსაც დაერივნენ.

როცა დასახვერტად მიჰყავდათ, ერთი პირობა გაქცეულა. ჩეკისტს თოფი გამოსტაცა თურმე და გაიქცა. ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი იყო, ჯანდონით სავსე. უცებ გონება დაებინდა, თორემ არ გაიქცეოდა. მაღვე მოეგო გონს და მიბრუნდა. საქმე ის არის, რომ უფროსი შვილი, 15-16 წლის ბიჭი, ციხეში ჰყავდა, იქვე, დუშეთში. უმწეოდ მიბრუნდა და თოფი ფეხებთან დაუგდო ჩეკისტს.

არ ესროლეს, იქვე არ მოკლეს. ქალაქიდან გაიფანეს, იხიც და სხვებიც,

ვინც მასთან ერთად დასახვერტად მიჰყავდათ, დიდი ორმო გაათხრებენს ორმოშივე ჩახოცეს ყველანი.

კარგა ხნის შემდეგ ბუბია და ბაბუა ჩავიდნენ დუშეთში, იქ ვიღაც ქრისტიანს შეხვდნენ. ღამით მიიყვანა იმ კაცმა ბაბუაჩემი სამარეტთან, თვითონაც დაეხმარა, ამოასვენეს ცხედარი და იმავე ღამეს ეკლესიის ეზოში დაკრძალეს.

რკინის გული ჰქონდა ბაბუას.

გამოირკვა, რომ ბერბიჭაშვილს მიუძღოდა დიდი „ლეწლი“ ბიძანემის დახვერტაში. ეს ვაგბატონი მამინ იქ „მოღაწეობდა“, დუშეთში, და როგორც დუშელები ყვებიან, ცხარე ლაპარაკი ჰქონია მღვდელს, გარეწართან, ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით. მამინ ხომ იგი არც მალავდა, პირიქით, ჯილდოებს მოითხოვდა ილიას მოკვლისათვის.

ბიჭი გადარჩა მამინ. ერთხანს დააპტიმრებული ჰყავდათ, მერე კი თავდებით გამოუშვეს. ოზურგეთში დაამთავრა საშუალო სკოლა, მერე თბილისის უნივერსიტეტიც. ნიჭიერი კაცი იყო, კარგ მომავალს უქადდნენ. მამის ბუღს მაინც ვერ აცდა. ჯერ ოცდამეცხედამდე გადაასახლეს. ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდა, და რაკი თბილისში ცხოვრების უფლება არა ჰქონდა, საინვილოში წავიდა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. იქაც დააპტიმრეს და მეორედ გადაასახლეს. ამჯერად აღარ დაბრუნებულა გადასახლებიდან. იქ დასწეულდა და გარდაიცვალა. დიდი ოჯახი ჰქონდა ბიძანემს — ხუთი შვილი ჰყავდა, ორი ვაჟი და სამი ქალი. დანარჩენი შვილები მისი დახვერტის დროს პატარები იყვნენ. როცა გაიზარდნენ, იმათაც მამის ბუღი ერგოთ. მომღვერო ბიჭი — შესანიშნავი ვაჟკაცი, რომელმაც აგრეთვე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, ომის დროს დააპტიმრეს და დახვერტეს. ერთი ქალიშვილი, განათლებით ისტორიკოსი, მმასთან ერთად დააპტიმრეს და ისიც ციხეში გარდაიცვალა.

ასე დაიღუპა ეს დიდი ოჯახიც. რატომ? რისთვის?

ისევ ჩემს სოფელს უნდა დაუბრუნდეს.

მამანქეში სოფელში ჰყავდათ დაპატიმრებული. ერთი დიდი საწყობი გაათავისუფლეს და იქ შერეკეს ხალხი. საწყობს, რაღა თქმა უნდა, შეაარაღებულნი დაცვა ჰყავდა. მამანქეში იქვე გაიგო ძმის დახვერტის ამბავი.

...მასხოვს, მე და ჩემ ძმას საღამოხანს სადელი მიგვაქვს მამასთან. ყოველ გზავარედინზე თოფიანი დარაჯები დგანან. უმთავრესად ადგილობრივი აქტივისტი ბოლშევიკები. დღემდე მიკუირს, სად მიკრიფეს ამდენი ბოლშევიკი: თითქმის მთელი სოფელი, განსაკუთრებით ზემოუბნელები, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ანტიბოლშევიკურად იყო განწყობილი. ეს კიდევ რბილად არის ნათქვამი. დაუფარავად დაცინოდნენ ბოლშევიკებს, ტილიანებსა და ნაცარქეჩებს ემახდნენ. მართლაც, ვინც მე მასხოვს, უკიდურესად ლატაკები და უქონლები იყვნენ საშინელი სიზარმაცისა და უქნარობის გამო.

... პირველი გლეტისა და რხევის შემდეგ ხალხის ჭერა, ერთი პირობა თითქოს შენულდა. რომელიღაც დიდი თა-

ნამდებობის პირს — მკონდს თქმით — ღრჯონიკიძეს — გაუგონარნი ცხნისძმით უთქვამს კიდევ: ცოტა მეტი მოგვივიდა, მაგრამ ასე იცის რევოლუციამო. ცოტა მეტიო!.. ვაგონებში რომ ჩახოცეს ჭიათურელი მუშები, ქართლსა და კახეთში სისხლის რუები რომ დააყენეს და მთელი საგვარეულოები ამოწვეტეს, გვარის გამგრძელებლები რომ აღარ დატოვეს, ამაზე ამბობდნენ, ცოტა მეტი მოგვივიდაო!

მერე ხშირად უთქვამთ, რაც მეექვსეება სინამდვილე იყოს, თითქოს გურია ფილიპე მახარამეს ეხსნას ზედმეტი მსხვერპლისაგან. მსხვერპლი არც გურიას დაჰკლებია, თუმცა იმ წელიწადს იქნებ არა იმ მასშტაბით, როგორც ეს ქართლსა და კახეთში მოხდა, სადაც, როგორც ითქვა, მთელს ოჯახებსა და საგვარეულოებს დაერივნენ.

ციხიდან გამოუშვეს მამანქეში და სხვებიც, ვინც მასთან ერთად იყვნენ დაპატიმრებულები. ეს იყო ერთგვარი ტაქტიკური უკანდახვევა, რათა უფრო საგულდაგულოდ მოემზადებინათ ახალი დიდი რბევა და უბედურება, და ამ რბევის თავისებური გამართლება ჰქონოდა.

### სწორედ ის დროა

მწერალთა გაერთიანება „ოტარიდის“  
მხარდასაჭერად.

ითვალისწინებს შეცდომებს, ცოდვებს,  
წუხილსაც გაგრის, ფსოუს, ოთხარის;  
მიზეზთა ძირი მიზეზის მცოდნეს, —  
არ შეეშლება გეზი „ოტარიდს“.

არ ეძებს „უცხოს“, არ ეძებს „ახალს“...  
და იცის — დროა დარჩება ფიცად,  
თუ გამარჯვების სიმღერა ახლავს,  
თუ მის ღირსებას ქვეყანა იცავს.

რომ შრიალებდა სიბრძნის ფერებად,  
საუკუნეთა სიღრმიდან რომ ჩანს,  
ერს რომ ასწავლა არდაბერება,  
სწორედ ის ძველი ვკვირდება დროსა.

— სწორედ ის დროა,  
რომელიც მღერის,  
გულში იმედის ჩანერგვაც იცის,  
რომ ისევ შეჰკრას დაღლილი ერი  
სადროშოების ურღვევი ფიცით.

— სწორედ ის დროა,  
რომელსაც გაშლის  
თეთრ მწვერვალებზე, ზღვებზე,  
მთვარეზე,  
ოლიმპიური ბრძოლების ცაში  
ქართული თარგით მოასპარეზე.

— სწორედ ის დროა,  
ათასჯერ ას წელს  
არ შეეცლება რომელსაც ფერი,  
სამშობლოს საქმეს ხარივით გასწევს,  
რომლის ქვეშ მთელი დადგება ერი.

ათას მტრისაგან რომ გვიფარავდა  
გორგასლის დროსაც, დაეითის დროსაც  
და მიგვიძლოდა დიდგორს, მარაბდას, —  
გორგასალიან — დაეითიანი  
მოგვეცით დროსა!

ცას თუ ღრუბლებით შეუკრავს თავი  
და ქარიშხალიც გემბანზე ბღაის,  
ზღვაა მშვიერი მგელივით ავი...

მაგრამ თუ ზეობს ცის პატარძალი —  
მზე — ულაყების მოთოკვის ძალის, —  
ციხფერ სიჩუმედ იძინებს წყალი...

ასეთ სიჩუმეს — სამოთხის პურებს,  
როვორც მემახტე ქანებში შპურებს,  
ბურღავს თოლია — მოშარიშურე.



მწიფობელების ისმინა ზეუნა  
და ჩაითაფლა აგვისტოს ლელვი...

ნაწნავეს წითლად იღებავს ძეუნა,  
ძუძუს წოვს ნესვი — ჰუტკუნა ლეკვი.

რადგან ლეიბილში არ მწყალობს ბედი,  
მზე ლურჯი სივრცის ვადაღმა ჩადის  
და ჩემს საეაღზე ყინულის ქედი  
ბილიკებს მალავს ნისლეების ჩადრით, —  
ღმერთო,  
მასიზმზე ტყილი სიზმრები,  
როდესაც მთვარე ვერცხლის ზარია,  
ისეთი ნაღდი სილოგიზმებით,  
რომ არ ვეჭვობდე —

„ეს სიზმარია“.  
სიზმარში წყარო არ დამიშრება,  
ნუშებს ფიფქები ცვივა უღვევად.  
ალარ მომიწევს უღელში შებმა  
და ჭაპანწყვეტა დაუსრულებლად.  
მექნება ფაცხა — საეანე ხმათა —  
ჭალაში, სადაც თეთრი ლელვა...  
რომ სიზმრის შემდეგ არა ვთქვა ცხადად:  
„თურმე, სიზმარიც სისულელეა“.

### სამაზე გვიანს დავა

ღამეს ჟამთააღმწერელი  
ეტრატებზე ათევს,  
სანთლებს უნთებს ჭყონდიდელის  
განსწავლული მნათე —  
და წერს:  
კურტნით არ უვლიათ —  
ჩვენი სულის სანთლებს,  
გუგულებად კი არ გავჩნდით, —  
არწივების მართვედ.

ჩვენს წინაბრებს ერთი პირი,  
ერთი სული ჰქონდათ,  
ჭყონდიდს, მცხეთას შენაწირით  
მათი სული ცხონდა.  
გადმოუნერგეთ ოჯალეში  
უფლის საუფლოდან.  
ამერ-იმერს განახლების  
ქარიც ერთი ჰქროდა.

არავის ძმა ფაზისია,  
მცხეთის — ციხე-გოჯი,  
ზღაპრის გუდაც აგვივსია  
ფიქრით ოჩოკოჩის,  
წმინდა წყალში გავებანიღვართ  
ზანისა და კორჩის,  
ქართულ თარგზე დაგვიყვინა  
შულთა სული ნორჩი.

ცოტნეობაც შესძლება  
ჭყონდიდელის მოდგმას,  
ღიღი ქართის სიყვარული  
აკვნიდანვე მოხდგამთ.  
ძმები ძმებად მიუღიათ  
დარბაზსა და ოდას...  
კაცი — ჟამთააღმწერელი  
ამას ამბობს... ჰოდა...

ლებარდზე შეიღჯერ შეიღი  
ჯოჯიც გვეყვება, არვეც-  
ზღვის ნაპირზე თეთრად ვშლიდით  
აბრეშუმის კარებს...  
საელარჯოდ ღამის ბინდი  
პატივებდა მთვარეს.  
ჰყავდა ყველა საქართველოს  
ერთი მტერ-მოყვარე.

უმიწაწყლო არ ვეგონოთ  
მაჟანსა და მაჟანს...  
ჩვენი ლოცვა საბას ენით  
ცაში ღმერთთან ავა.  
საქართველო მიგვანინა  
მთავარ ხალოცავად...  
და ის რომელს უფრო გვიყვარს, —  
ამაზე ვეაქვს ღაჟა.



რა უფრო არის,  
რა უფრო არის  
შენს ხასიათში შენივთებული;  
უფსკრულის პირას ცახცახი ქარის,  
თუ შემართება ლომისებური?

რა სჭარბობს სისხლში,  
რა არის შეტი —

სიცოცხლე გარბის  
როგორც არაგვი  
და მიაქვს სითბო  
გულის ღადარის.  
ილევა ნათელ  
დღეთა მარაგი.  
დღე, — ბოლოსწინა,  
მაინც სად არის?

ადრენალინის რომელი სახე?  
განსაცდელისგან გესხმევა რეტი,  
თუ მკვლეი ხარ და კურდღელი ნახე?

ცარიელი გაქვს ლულაც, მჭიდებიც  
და მაინც ცეკვა უფსკრულის პირას...  
ქარიშხალს როგორ შეეჭიდები,  
გულში რომელი ვარსკვლავი ბრწყინავს?

წვაროც განიცდის,  
ალბათ, იმ წუხილს,  
რასაც სიკვდილი  
ქქვია შროშანის...  
თუმცა ეშვება  
ციდან მიმწუხრი,  
თავს ვიიმედვს:  
„კიდევ შორს არის!“

### 306 შიგვლისი?

არის კი რაიმე ხულს იქით,  
როდესაც სხეული ქვაუდება?  
სიცოცხლე იწყება მუსიკით,  
სიკვდილი მუსიკით თავდება?  
მუსიკის რიტმებში  
უმთაერესს —

გულის რიტმს განაგებს განგება...  
ვინ შეცვლის,  
ვინ შეცვლის,  
ვინ შეცვლის  
სიცოცხლის სიკვდილით გაგებას?

### სიკეთის გზაზე

ჩემს ვოფილ სტუდენტებს, რომლებიც  
საკლესიო გუნდებში გალობენ.

ვიღაც პოულობს,  
რასაც სხვა კარგავს...  
ეს წუთისოფლის გზების წესია.  
ის ქაცვი ღობეს დაიცავს კარგად,  
რომლის ეკალი უეკლესია...

შეგფერით სანთლით ვარდების დარგვა,  
გალობით ლოცვა და ეკლესია...  
ღმერთამღე ბევრი გზა არის, მაგრამ  
ეს ერთი,  
ალბათ, უმოკლესია.

### მიზეზთა შუაში

მახვილი მხერა წვდება წერილმანებს,  
გონების თვალით არსი შიშვლდება.  
ლოღნამოს მარცვლებს მწკლარტეს და  
მწვანეს  
მზე აქცევს ღამაზე, ცოცხალ ვიშრებად.

ბრმენკაცი ერთი შეხედვით იღებს  
სურათს ტყვისა და დაშლილი ტყვის,  
წვდება არსსა და მიზეზთა მიზეზს  
წმინდა გონების ობიექტივით.

ნიათის ფრთებზე ფართქალებს მთვარე,  
ლანდი ბონდიდან შორეულში ზტება,  
ცისკარი მოდის, მოაბნევს ცვარებს,  
შეგუბებული შრიალი ტბებად.

გონების თვალი უფსკრულს წყდება,  
შავი თვალები — სივრცეებს უშვებს...  
პირამიდათა ტორტმანებს წყება,  
მაგრამ მყარია მიზეზთა ფუძე.

### ალექსანდრა მაკედონელს

როცა რაიმე ტოლია ნულის,  
მასზე ათასჯერ მეტიც რომ იყოს  
სხვა რამე,  
ის სხვა არ არის სრული

და ნულოვანიც არ არის თითქოს...  
არ იყავ ღმერთი,  
უკვდავი სული,  
შენს ძარღვში რატომ ეძებდი იქორს?!

ეს თებერვალში ნამქერებს გაჰყვა,  
როდის გაიყოფთ მამულებს, თაყა?

როდის გავმართავთ სახნისს და გუთანს,  
როდის დავამყნობთ ატამს და თუთას?

და გავიხსენებთ მას, რაც ვიცოდით, —  
შრომას, —  
სამირკველს ერის სიცოცხლის?!

ყველგან იგრძნობა ბედის კარნახი,  
აქლემთა ჩრდილი ქარაუანს მიხედვს,  
შეუპოვრობით არღვევს ბალახი  
შავი ასფალტის დატკეპნილ ხისქეს.

შეუპოვრობა, ალბათ, გულისხმობს  
ვერდაშორებას ცივი ვერსებით.

ციცინათელა ეძებს გულის სწორს  
სასიყვარულო შუქის კვებსებით.

შეფაკლულია ცისკრის ციცრებად  
თეთრი ოცნება ფაწვილკაცური,  
მაგრამ ალურსში არ გაიცვლება  
ჭინი არაგვის აღმა გაცურვის.

წყველი იმ ხანჯლებს —  
გრძელსა და მოკლეს, —  
იულიუსი რომლითაც მოკლეს.

ზნე არ შეცვლიათ  
შეთქმულთა კბილებს, —  
ღმერთი შენდობას არ აძლევს  
კილერს.

რაც წლები გადის,  
ერწმუნდები უფრო, —  
კაცი მაღალი არ რჩება უმტროდ...  
კოლხეთში ბრბოზე  
იტყვიან „უტუს“...  
ნუთუ კვლავ სისხლი გწყურია, ბრუტუს?!

\* იქორი — ბერძნული მითოლოგიის  
მიზეღვით, ღმერთების სისხლი.



სიყვარული შეუძლიათ,  
სიძულელი არა  
გაზაფხულზე  
იაიას და პოეტის კალამს.  
იაიას — თვალცრემლიანს —  
შინდის ტოტი ფარავს,  
კალამს ცრემლის არ რცხვენია, —  
გულში გაშლის კარავს,  
მწვანე ჩრდილი გორ-გურების

იებს იკრავს ღილად...  
ყველა ასე ერთგულებად  
მომინათლე, დილაე, —  
ყველამ შესძლოს სიყვარული,  
სიძულელი არა,  
როგორც იამ გაზაფხულზე,  
იამ — იისთვალამ,  
რომ ცრემლი არ დაედინოს  
დავიწყებულ კალამს.

აბა, ის რა ბუნარია,  
ანთებულს თუ თვითონ სცივა?!  
ხარს, ნამდვილად თუ ხარია,  
მოაკლდება განა თივა?!

ფრთხილადკრილი არის ქალი,  
თუ ვაჟკაცი არ ინატრებს,  
არ მიართმევს პირველ ყვავილს,  
გულში თუ არ აბინადრებს.

ტყე ლამაზიც რა ტყე არის,  
თუ არ ვარგა საგუგულედ,  
თუ მერეხის სატყეართთ  
ნეკრჩხლებს არ აგუგუნებს?!

უსანთლოდ რომ ეძებს სანთელს,  
ბილიქს კარგავს უცხო მგზავრი,  
მგზავრს თუ გზებს არ გაუნათებს,  
ელვა რადა ელვა არის?!

ისე მოწვევითაც  
თეთრი სხივი —  
მსუქანი ვერბო,  
ყველი არ არის, —  
ვერ ვარწმუნებ  
კატას სულ უგუნრს...

მაგრამ ეს ბუბო  
რად უხარშავს  
ლომს ხანაქების  
შთვარეს —  
ცის სხვენზე დაკიდებულ  
მეგრულ სულუგუნს?!

ჩვენსავით მოსდგამს  
ბუნებას ცოცხალს  
სხვათა კენესაში არჩაძიება,  
თუმცა მან იცის  
მზურვალე ლოცვა:  
გვალუაში ნამის გადამძიება.

ბუნებაც ცოდავს  
და ინანიებს  
და, როცა იწყებს მონანიებას,  
სანთლებად ანთებს  
ატმებს და ბიებს,  
ცრემლებს ჩამოყრის იაიებად.

**კვილი რკეული**

ოცნების კოშკებს ვაკვებდი ცაში,  
ციხფერ ღრუბლებზე პირველად ეწერდი...  
— შენ პოეტი ხარ, მითხარი მაშინ, —  
საგანთიადო ფოთქენით მტრედის.

ტყეს დავესესხე გამა ფერების,  
ზღვაც ფერებისთვის მოვითარეშე,  
მაგრამ ნამდვილად ვერ ვიმღერებდი  
შენი თვალების ხიბლის გარეშე.

ზღვა გვიმალავდა ხავსიან რიფებს,  
შუქურა ჰგავდა ანთებულ წერტილს,  
ნიფარებიდან ვიღებდი რითმებს,  
ყვითელ ქვიშაზე სახელებს ვწერდი.

მიზეზთა არსში არჩაძიებით,  
კარვის ნახვით და ცუდის არნახვით

ამიკვსია მარწყვის მძივებში  
შენი ცისფერი სულის კბრნა

ახლა, როდესაც თმებში ნისლია,  
მიზეზთა არსშიც ვართ გარკვეული,  
ქმარმა თუ გვითხა:  
ქალო, ვისია  
ლექსებით სავსე ძველი რვეული?

აფრენილი ოფოფი...  
თეთრონებით ჯირითი...  
ცაში უამი ტოფობის, —  
ვარსკვლავების ქვირითით...

ტყისპირ — ყვითლად შვინდები,  
წყლისპირ — თეთრად ნუშები...

სულის დასამშვიდები  
სხვა წამლები შუშებით?!

### ყვავილით არის

გრძელდება თრობა  
ვარდის სურნელით,  
რითაც ხავსეა მაისის თასი.  
პეპელა განა არის სულელი?!

არ ესწავლება ყვავილთა ფასი.  
ყვავილით არის განსაკურნელი  
ჩვენი კაცობაც და ჩვენი არსიც.



## გეოგრაფიკული სივრცის სახელი

მოთხრობები

### ყვითელი სფერო

ფანჯარასთან იჯდა. ხანდახან გადახედავდა უღიმღამო პეიზაჟს: მსხმოიარობანაკლილ, დაკრეფილ თალარს, ტოტე-სნამომტირალ ხეებს, გაბარჯღულეებს. თავს ხანდახან განიერი ტახტის საზურგეს მიაყრდნობდა, ჭერს ააქკერდებოდა. მარტო იყო, სინუშე და ის. გაცრეცილი, კუბოკრული ბიჭური პერანგი ეცვა, დაუდევრად ამოწეული; ღია ფერის შარვალი, სპორტული ფეხსაცმელები, წითელი წინდები. ფეხები ტახტზე ამოიკეცა. შეაწუხა ფიქრის გაწევილი ჯაჭვმა, ხელები საფეთქლებთან შემოიჭირა, თვალები მაგრად დახუჭა. ისე, რომ წარბებმა ბორცვები შემართეს. მღრღნელი თავისას განაგრძობდა. კეფისკენ მიიწევდა. ნოყიერი სივრცეებისკენ.

წამოდგა. გაიარა კარებამდე. კუბოკრული პერანგის კალთები ბოლომდე ამოიფარა. ხელები კეფაზე შემოიჭდო. წამით გაირინდა. მერე ღრმად ჩაისუნთქა და მკლავები უღონოდ ჩამოუშვა. მივიდა ფანჯარასთან. რაფას დაყრდნო. კაქტუსმა დასუსხა. მტკივანი თითი ტუჩებით ამოწოვა. მთელი ეს ბორიალი მობუზრებული ჰქონდა. ერთი და ორი დღის ენერგია კი არ მიჰქონდა. ეეჰ... ეუზღებოდა სხეული: ორი ფეხი, ორი ხელი, თვალები, ტუჩები... ცალ-ცალკე ვეწვალა, ერთობა რომ ვერ შეეფერებინათ.

ტახტის კიდეზე ჩამოჯდა. სარკე გამოიძრო და თმა ჩამოიშალა. თითები შე-

იყო და მადლა აჭიმა. ღონივრად. ძირები ეტკინა. შეეშვა. მეზობელ ოთახში მკლავიძარა აზუზუნდა. დროს ინიშნავდა ხოლმე. ადგა. კარადასთან მივიდა. უჯრა გამოაღო. იფათურა აბებში. აარჩია. ჩავიდა სამზარეულოში. ონკანი მოუშვა. აცალა წყალს დაწმენდა. ჭიქა აავსო. აბები სათითაოდ გადაყლაპა. ჭიქა უხმაუროდ დაღო. ტუჩები სახელოთი აიმშრალა. გამოიხურა სამზარეულოს კარი. კიბის თავთან შემოფეთებულ სარკეს თვალი აარიდა და საფეხურებს აჰყვა. ჩუკეტავი ფანჯარა ნიავს გამოეღო. ჭრელ ხალიჩაზე ფურცლები ეყარა. აკრიფა სათითაოდ. გადაათვალიერა. ო, როგორ სურდა, თეთრი ფურცლის ყოვლისშემძლეობას მაინც დაეტია ვეწვალა ჭრიალი, ტკაცუნა, პზარები. ვახაკებად, ეტყობა, მაინც ვერაფერს ამბობდა. აკი, სხვათა ბაგეებს სულაც შეუფერებელი რამეები სწედებოდა. შუბლს ისრესდა: „ღმერთო, იმდენი სიბრძნე მაინც შემარჩინე, ოდნავ რომ მიმიხედნენ რამეს, თორემ... თორემ...“ უმწუბობისგან შეძრწუნებულმა ფურცლები მოიხროლა. ფეხზე დგომის ძალაც გამოეცალა და ტახტზე დაემხო. კი არ ტიროდა. ხელები კეფაზე შემოიჭდო და ჩურჩულებდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ: „ღმერთო, ღმერთო... როგორ, როგორ ახერხებ... ასე... ახე ამეფოფო აღამიანი...“ - წვრომახსაც ამ სიტყვებში ატეწდა, ღოცვასაც, ვედრებასაც. არაფერი ღარჩე-

ნოდა სხვა. თვითონ უბრალო მოკვდავი იყო. როგორღა გადაახტებოდა ზეციერის უწყებრივო წესრიგს. გულში წყენის ვავლებიხაც ემინოდა. თვალს რომ დახუჭავდა, თავის ქალის შიდა სივრცეებში დაბუდებულ წყვდიადს უმწეო სარკმელსაც რომ მიუხურავდა, შორს, საღდაც, შესაძლებლისა და შეუძლებლის ზღვარზე, დიდ ყვითელ სფეროს (დედამიწურად: მზე) დალანდავდა თუ ფიქრს აიძულებდა, მსგავსი რამის აღმნიშვნელი მარტივი წინადადება ეზებირებინა, გაკყავდა დღეები, წლები. დღეები. წლები და...

## აიბა

სამნი წაეიდნენ საქმეზე. ერთმა დაასმინა დანარჩენები. თანამზრახველებმა დაჰქერა მოასწრეს, ისიც: ენა ამოეჭრათ და კლდიდან გადაეგდოთ. მაინც გადარჩა, თუმცა, ცხაურებიანი სახლის მუდმივი ბინადარი გახდა. კარგ ამინდში, როცა ბინადრები პატარა შემოღობილ ეზოში გამოჰყავთ, განუწყვეტლივ ისმის მისი ვაუგებარი „ააჰ... ააჰ...“ დაკონჯებული სხეულით ხან მეხერზე აცოცდება, ხან მილსაწრეტთან შედგმულ თუნუქის კასრს უბრაზუნებს ჯოხს. მკლავლონიერი სანიტრები მალევე ამორებენ ამ აკრძალულ გართობებს. იბოღმება. მით უკეთესი მისი ძველი ხელუხლებელი ნიჭისთვის — ხანიტრებთან ასმენს ურჩ ბინადრებს: ზოგი უყურადღებობით დარჩენილ კარებში მალულადაა გამძვრალი და განყოფილების წინა ვრცელ მინდორზე წამოგორებული, ზოგი ხის ჯოხებით მიწაში იჩიქნება და ჭიაყელას ათამაშებს.

უენო მახუნღარა გასამრჯელოდ ყოველთვის იღებს თუ მრთელ სივარეტს არა, ნახევრამდე დაყვანილ ნამწეავს მაინც.

## ძაბული

თეთრ-ცისფრად შეღებილი პალატა. დაცხაურებული ფანჯრები. ზერეღედ. ქარისაგან მორყეული ანჯამა — შეიძ-

ლება გალება. საწოლზე ზრს შინაგონი  
გინგლინიქსი

თავისთვის:

— იმ არგასახარელმა თავისი არცხონებული და გამომიგზავნა.

— გადახტი, ძაბული!

— კი ოცი წლის მიცვალებულია, არცხონებული.

— გადახტი, ძაბული!

— რას შემართლები, ჩემი გადახტომით რა ხეირს ნახავ?

— გადახტი, ძაბული!

— შენი არგასახარელი და გადაახტუნე, რომ შემოუსია თავისი გასაწყვეტი ხარძროხა ჩემს მოვლილ ვანას.

— გადახტი, ძაბული!

— არაფრით არ დაგიჯერებ.

— გადახტი, ძაბული!

— თუმცა...

— გადახტი, ძაბული!

— ჰოოჰ...

## მზვიინარი

ეჭვები. პალუცინაციები. ყორნები.

პალატაში შემოდის მზვიინარი.

— გამარჯობათ.

— ვაგიმარჯოს, მზვიინარ!

პაუზა.

ის:

— მთავარია, ბიჭვს უყვარდე. გეფიცებით.

— შენ მაგას უყვარხარ?

— ვაგიფებით. აი, მოვა, ვვაილესა მომართმევს. ქორწილის დღესაც დამინიშნავს... არა, ჯობია მომიტაცოს... ას-

მე ვეტყვი... იცით, როგორ უყვარვარ?..

თვალეები უფართოვდება, ირინდება.

გამოერკვევა.

— არა, ნამდვილად მოვა. აი, ნახავთ.

— ქორწილში დაგვატიფებ?

— კი. აუცილებლად. დედას გეფიცებით.

გადის. მალევე ბრუნდება.

ჯდება.



— იცით, მთავარია, ბიჭს უყვარდე...  
აი, ნახავთ, მოვა შაბათს და ვველაში  
გამოარჩევთ...

— ქორწილში დაგვაპატიეებ?  
— აუცილებლად. დედას გეფიცებით.  
აი, ნახავთ.

გადის.  
მალევე შემოდის.

— იცით...  
— მთავარია, ბიჭს უყვარდე...

— დედას გეფიცებით...  
— არა გჯერათ?

— ქორწილში დაგვაპატიეებ...  
— დედას გეფიცებით...

— აი, ნახავთ...  
— მე... წავალ...

მიდის.

ვევლანი საკუთარ ეჭვებს, ძალუცი-

ნაციებს, ყორნებს ეომებიან...

შემასუსებლები: მომვლევები, ექთ-

ნები, იშვიათი მნახველები.

### თორღვა

ქალები? — ჯანდაბას ქალები, ისე-  
დაც უმწიონი არიან.

მაგრამ: მალალი, სრული, სათოფაბ-  
ჯრედ დაბადებული ახოვანი ხევსური,  
ჭორიკანა სანიტრებისა და ექთნების  
შეგულიანებაზე რომ ჰყვება, უმიზეზუ-  
მიზნოდ გაბადრული: „იმდენი ძროხა  
მყავს; ორ ურვადს ეყოფა, აბა... მეტსაც...  
მაისა... ჭრელა...“ — ჩაათავებს მერამ-  
დუნელაცამდე, მერე დააულებს ხელს ნა-  
გვით ხავსე ვედროებს და საერთო სი-  
ცილში მიაქანებს, ვითომ... ფარეხისა-  
კნ...

### ელისო

აბსტრაგირებული ფაქსიმილე ქიმიუ-  
რი იარაღის გამოყენების აკრძალვის  
საერთაშორისო შეთანხმებაზე.

ამ აბსტრაგირებული ფაქსიმილეს ავ-  
ტორის ქვეყანაში:

ეზო: მრავალნაირი ხეხილფრთხილი  
ბი. ბალახი. დეკორაციული მცენარეები  
ქვის მასიური კიბეები-ჭიშკრიდან ეზო  
გორაკად მალღდება კორპუსებისკენ.

სახეები: ქალის. კაცის. ბიჭის. გო-  
გოს. უკვე უფრომოდო. ნახევრად ადამი-  
ანური მოყვანილობის ჯერაც. ახალბე-  
დები — აბსტრაგირებული ფაქსიმილეს  
ავტორის ქვეყანაში (სხვაგანაც) ნების-  
მიერ გამზირს დაამშვენებდნენ მიხერა-  
მოხერით. ჯერაც.

მიზეზები: ჭრელი, ყოფითი. ყოფიე-  
რული. ცნობიერული. წერილმანური.  
მსხვილმანური. საბოლოო დაკვირვე-  
ბით — ბედისწერული (ვინ აკვირდება).

ვერ გაუძლო: ფსიქიკამ. სულმა. სხე-  
ულმა. გულმა.

სამომავლოდ: არარსებობა არსებობა-  
ში. არსებობა არარსებობაში. სიბლანტე-  
რეფლექსები. გადაუბმელი მეტყველება.  
უაზრო თვალები. უაზრო სიცილი. უა-  
ზრო სუნთქვა. უაზრო ყნოსვა. უაზრო  
ხრაშინი ყბების. ღრძილების შესიება.  
უკბილობა. ჩიფჩიფი. საერთო ზედაი-  
რული თხრილები ჭანჭყრობში. ხალვათ-  
ად მიყრილი მიწა.

ცივა. ტანზე ვეელას ჯერაც მთელი  
გარდერობი აქვს ახონხლილი.

ელისო ჩითის ფერადი კაბით, მოკლე  
სახელოებით, უწინდო ფეხებით, ხალვა-  
თი ნუსტებით ზის ქვის მასიური კიბის  
თავეში. მეთვალყურეს ესაუბრება:

— კარგი ვქენი, რომ ჩითის კაბით გა-  
მოვედი. დილით მთელი ხეხილი აყვა-  
კებული დაგვხვდება.

— არა, ელისო, ჯერ რა დროს ვვაი-  
ლობაა. ცივა.

— ჩემი კაბა აყვავებს. ავერ, შეხედე.  
ტყემალი როგორ ამოდის! შეხედე, შე-  
ხედე, რა მალე რამხელა ხედ იქცა.  
ყვავილებსაც შლის. გამალა. გამალა.  
უი, ტყემალი კი არა, ალუნა ყოფილა.  
შეხედე...

— ელისო, იქ ბუნჯიც კი არა დგას.

— ამოვა. სუნს ვერ გრძნობ? ამოვა.

დაიცა, გახჭურა ხომ არ დაგრჩა? ან  
„ღიხლოფოსი“ ხომ არ მოასხურე? —  
ელისოს სახე ეცვლება. დეკა. თვალე-  
ბი უმეტრდება.



აბსტრაგირებული ფაქსიმილე ემზადება ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის საერთაშორისო შეთანხმებაზე დასასკუბებლად. მოსაკალათებლად. თავმოსაკაოწიებლად.

ამ აბსტრაგირებული ფაქსიმილეს ავტორის ქვეყანაში ზოგი მშვენიერად შეტყველებს და ზოგიც მშვენიერად აზროვნებს: „წუხელის ბიჭი დაბადებულა, ისეთი კარგი დაბადებულა...“

ამ ქვეყანაში ლექსაობით კი ლექსაობენ, მაგრამ ერთმანეთს კი არბევენ მიტინგებზე თუ მთავრობის სასახლეში...

ელისო ჯდება ქვის მასიურ კიბეზე.

ნახევარი ეზო უკვე ააფავა. ნახევარს სახვალოდ იტოვებს ასაყვავებლად და კარგახნის ღუმილის მერე მეთვალყურეს თხოვს პალატაში დაბრუნებას.

მიდის. მიიწვევანაყოფსაუხურო სხეულით. აკვანს გადასაწოლი ძუძუებით. მთვლემარე ქალური ვნებით.

ის: თავისი ქვეყნის ურთიერთდაპირისპირებული ძალებიდან ერთ-ერთის მხარდასაჭერ მიტინგზე გამოყენებულმა „ქიმიამ“ მოწამლა.

აბსტრაგირებული ფაქსიმილე კი: მიემგზავრება ქიმიური იარაღის გამოყენების აკრძალვის საერთაშორისო შეთანხმებაზე დასასკუბებლად. მოსაკალათებლად. თავმოსაკაოწიებლად.

## უარყოფილი

— გამარჯობათ, ვინდათ, ვიმკითხათ? — თმა უშნოდ შეკრეჭილი ახალგაზრდა ქალი მიდი-მოდის მასავით სახაზინო ხალათიან მობინადრეებს შორის. ბინადრები ცხვირს უზხუებენ და თავიდან იცილებენ. ქალი არ იშლის. განსაკუთრებით მამაკაცებს აფინდება. ისინი სიცილს აყრიან, ზოგი უწმარწვრადც შეუძახებს, ქალი ჯდება. მიტყუებულ საწვევებელ და შუა თითებს ერთ დროს ხანდომიან სახეზე ისევამს. უფრო სწორად, ნაწიბურიან ნაჭრილობებზე, მარჯვენა ღოფას რომ უუშნობს. ცოტა ხნით თვალები უშტერდება. მერე, გვერდით მჯდომ მოხუც ქალს მიუბრუნდება. მო-

ხუცი თავის მოციმიციმე არსებობაში მყოფრადებული, უაზროდ მიხსენებია ახალგაზრდა ქალს, რომელსაც, რაც უნდა დაუჯდეს, თავისი თავგადასავლის მოყოლა გადაუწყვეტია.

— იცი, რა ქმარი მყავდა? — მთელი დერეფნის გასაგონად ამბობს ის. ჯერჯერობით არაეი უსმენს. მხოლოდ ახალმა მობინადრეებმა შეატრიალეს თავები ზანტად. სხვები საკუთარ წერტილებს მიხსენებია.

ახალგაზრდა ქალი აღვხეებული ავრძელებს:

— ღამაზი კაცი იყო, ქალებს თვალს უბრძაკებდა. ვეღარ გაძლა ვნებებით, მე ცოლი ვიყავი, როდემდე მეთმინა... უღამაზო არც მე ვიყავი... — ნაწიბურზე მოისვა თითები, — წაივლოდა შინიდან, კარგახნით გადიკარგებოდა. მობრუნებული მაინც დიმილით უნდა მიმელო, მბრძანებლობა უყვარდა...

ქალი წამით შეჩერდა. თვალები გაუშტერდა, მერე კი ავი ნაპერწკლები გაუკრთა, სისხლი სახეზე მოაწვა და ფეხის ძარღვები დაებერა:

— მაგრამ არ გაეახარე, არ ვაბატონე... ხედავთ ამას, ხედავთ? — ხელი ნაწიბურიან ნაჭრილობებზე მოისვა, — მოკვლა დამიპირა, როგორ შემომედავეო... გამამწარა... შეილიც არ ვამინდა. ნეტავ, მყოლოდა, იქნებ, არც ქმარი ყოფილიყო მოხეტიალე...

ქალი აქვითინდა. ექთანმა აყენება დაუპირა. ის გაუძალიანდა. სანიტრებს დაუძახეს. ისინი აქვითინებულს მხრებში შეუდგნენ და პალატაში შეიყვანეს.

— მერე რა ქნა ამ ვადარეულმა? — ერთერთი ახალი მობინადრე დაინტერესდა.

— რა ქნა და, გამოსჭრა ფელი მძინარე ქმარს. შემოსწრებული მეზობლის კივილზე გამოერკვა. გვიანლა იყო. მოინდომა ფანჯრიდან გადახტომა, მეზობელმა გააკევა და კი არი მას მერე აქ. — ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებული მობინადრე ფანჯარასთან ჩამოჯდა.

გვიანი შემოდგომის ცივი ქარი მიწებს აზრიანებდა. პალატიდან ხმადაბალი ზღუქუნი ისმოდა.



საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

ყველა საკუთარ დარდს ებლაუჭებოდა ბინდვადაკრული ტვინით და პალატიდან გამოძვავალი ხმა ყველას ისეთივე მონოტონურად და ბუნებრივად ეჩვენებოდა, როგორც კედელზე დაკიდებული გუგულიანი საათის წიკწიკი...

## ვერბლუდი

მეოთხე იზოლირებული განყოფილება. მამაკაცები. ვისოსებიანი ფანჯრები. ეზო. რკინის მაღალი მესერი. ეზოში თხელი პიჯამოების ბორიალი — ლანდებივით. მოჩვენებებივით. პიჯამოებილა მოძრაობენ — ზოლიანები. ჭუჭყიანები. ვახუნებულები. გამზდრები — იმის იქით აღარცკია სივამზდრე. რეფლექსებითლა — იმის იქით მხოლოდ ვანგზადის შენერებაა. იმის იქითაა: სიმშვიდე. მარადიული. ჯერჯერობით, მარადიულ დასასრულამდე, მხოლოდ რეფლექსებია. მხოლოდ მიჯამოების ბორიალი. მხოლოდ დარღვეული სხეული. მხოლოდ დაძიმებული სული. დაშლილი თიხა. გამოფიტული. ერთადერთილა საფეხურდარჩენილი: შეწყდეს მბჟუტავი ვანგზადი და დაშლილ თიხას თიხავე წაყვაროს. სამადლოდ მაინც — აბა, დააკლავენ თავს. ზედაპირულ ორმოსაც მხოლოდ იმიტომ ამოთხრიან, რომ ნახი ნესტოები მძორის ხუნმა არ შეუწუხოთ...

ჯერჯერობით: ვანგზადი ბჟუტავს. რკინის მესრისგან გამომწყვედულ ცის ნაგლეჯსა და ასფალტის ბუღს ფორმარსდარღვეული მსუნთქავები ვანგზერია.

ერთ-ერთი პიჯამო სხვებზე უფრო ომახიანადაა. მაღალი. მხრებში შპპ მოხრილი. შესამჩნევად მოხრილი. კუზიც კი. წინაცხოვრებაში: შესაშური აღნავობისა, ალბათ. ჯერაც შეიძლება მიხედვრა:

— ვერბლუდ, როგორ ხარ? — ეძახის ახალგაზრდა ქალი.

— ვაა, გურანდუხტ — სამთავროს დედოფალი (ასახელებს სამთავროს), — *გ. მნათობი*, № 8

მესრის ვისოსებისკენ მოდის ჯერჯერობით მსუნთქავი პიჯამო.

— გამომართვი, კაი ხარისხის ჩაია, — ახალგაზრდა ქალი პოლიეთილენის პატარა პარკს უწვდის.

— ამას ახლავე ავითვისებთ, — შერჩენილი რამდენიმე კბილით იკრიჭება ჩეფირისტიების ბელადი.

— სივარეტები თუ ვაქვთ?

— ბიოკებსაც ვერ იპოვი, — ბელადი ჩაის ყნოსავს და მიხედვები: ნიკოტინკოკაინს დაჩვეული სხეული — ლანდი როგორ ეძახება. ახალგაზრდა ქალმა იცის, როგორ გამოადწიეს ზამთარს — რამდენიმე ათეულიდან მხოლოდ რამდენიმემ: საუკუნოვანი სიბინძურისგან გახრწილ ქვეშაგებს ფხრეწდნენ, აბულულუბდნენ და მის გროვაში ექებდნენ სითბოს — სხეულლანდები სოროს პოულუბდნენ ვანგზადის ბოლო ფორმულების შესატოვებლად. ბევრმა შეატოვა — რამდენიმე ათეულიდან გადარჩა მხოლოდ რამდენიმე... სიცოცხისა და შიმშილისაგან დაოსებული ლანდები ნიკოტინის იმედითლა იყვნენ... მკაცრმა ზამთარმა კანტიკუნტად მომხველელი მნახველებიც გააქრო: ეს მოწყვეტილ-გადაწყვეტილ-დამსხვრეული ქვეყანა ისედაც იშვითად ახსენდებოდათ ვანსალებს, რადგან: თვითონ ჭკუები ჭკონდათ განსაკუთრებულად ხალი და: უსალო-ებ-ი რაში ედარდებოდათ, მაგათი არსებობის მიწუნმათებას ცდილობდნენ მუღამ. სხეულ-ლანდები კი: არსებობდნენ. არსებები იყვნენ ჯერაც... არსებები იყვნენ მხოლოდ და არსებობდნენ უ-არს-ოდ... და რომ ნიკოტინის იმედითლა იყვნენ, ეზოს თითო-ოროლა ზეს მალე შემოაცალეს ქერქი. დანავეს. წვალებით ნაშოვნ ქაღალდის ნაქუწებში შეახიფს. პირველანთება ასანთის შოინის მერე ჩამოატარებდნენ ანთებულ თვითნაწარმს და... მოჩვენებითი არსებები მოჩვენებითი ნიკოტინით ტკბებოდნენ. ქვეშაგების ნაკუწებსაც იყენებდნენ იგივე დანიშნულებით... გაათრიეს ზამთარი — რამდენიმე

ათეულიდან რამდენიმეჯერ გადაჩნა. ამ ვრცელ გავრცელების ბუდის ყველა განყოფილებაში...

— „პრიმა“ და „ასტრა“ იშოვება მხოლოდ, — ეუბნება ახალგაზრდა ქალი სხეულანდებს — მესერს აკრია ყველა ყველა რაღაცას ლულულებს. ახალგაზრდა ქალს უყურებენ — ძლივს, მზრუნველი გამოჩნდა. იქნებ, სხეულებს უწილადოს რამე. თან: ვერბლულსაც უყურებენ. ვერბლული ძველი „რამკიანი ქურდია“ და უყვარს თავისებური რიდი და წესრიგი — საშუა ჩერქების პრაქტიკაში ვარო ამბობს და ასახელებს ეროვნულ ბულვარულ დეტექტივს. ერთი-ორჯერ სანიტარსაც აქვს დადასტურებული...

ახე თუ ისე, უარსო-ებ-ს ვერაცა აქით შიში თავიანთი ასევე უარსობელადისა. მონურს გადაცილებული მოწინაა. უმწეოები, გადმოცევილი თვალებით უმზერენ ქალის ხელების მოძრაობას. ქალი პარკიდან იღებს პურის თანაბარ ნაჭრებს — რაც სადილიდან და ვახშმიდან მოიტოვა. რაც სხვა რამდენიმესაც გამოაზოგინა. სადილ-ვახშმისას შეიძლება, საუზმობისას თვითონაც სჭირდებათ ძალა და... თანაბრად დაჭრა თითოეული ლანდსხეულისათვის. ის ორორი ლუკმა პარკიდან გადადის გასაცოდავებულ პეშუებში: ძვლებზე გადაკრული კანის ნაფლეთები... ჭუჭყიანი, დაკნეტილი ფრჩხილები... ახალგაზრდა ქალს უნდა, მალე გაცილდეს აქაურობას: ცრემლებ-აღრიალებებისა ეშინია. ცოტაც და, ვეღარ შეიკავებს თავს, მკერამ ვერბლულს უთვალთვალეებს. რომ წაიღებს, ბელადი ამ საცოდავებისთვის თავის უზენაეს სამართალს დაამყარებს — წაართმევს საწყალობელ ლუკმას. ოღონდ, ფიზიკურად კი არ ჩაერევა — ხელს გაიწვდენს, მეორე ხელის საჩვენებელ თითს გაშლილ ხელისგულზე დაიკაკუნებს და... საწყალობლები ნახევრადგადაყლაპულ ლუკმასაც ამოაბრუნებენ... ვერბლიუდის მუკში მოეშვედევა ქვეყნიერებისგან გა-

მომეტებული ეს უსაზღვრო დასუსტების სიმდიდრე...

ახალგაზრდა ქალი იცდის, რომ ეს არ მოხდეს. ზოგმა უკვე მოასწრო ნეტარების დასრულება. ზოგი ვერაც ნეტარებს. ორნი წაიკინკლავდნენ. ახალგაზრდა ქალი გარკვევას ცდილობს — მოძალადეს უბრაზდება. დაზარალებულს სიტყვითა და მიმიკით უხსნის:

— შეჭამე, შეჭამე და კიდევ მოგიტან, — ძლივს გააკვირნა.

— მიდი, შეაფოლე! — დამარცხებული ვერბლული სხვა სამართალს აღგენს და ჩაის ყნოსავს.

ახალგაზრდა ქალი ანამუხებს:

— სხეულებსაც დააღვივებ, თორემ სხვა დროს არ მოგიტან, ვაიფე?

— არის! — მხრებში იმართება ვერბლული, — ეგრე ვიზამ, გურანდუხტ, ძველი სამთავროს დედოფალი (ასახელებს სამთავროს)!

ვერბლული მიდის ნეტარების მოხადულვლად. ცდილობს, სანიტრებმა ვერ შეუშინონ აკრძალული ნედლეული...

სხვები: იფანტებიან მესობისგან გამოშვედებული ცის ნაგლეჯისა და ასფალტის ბულის წებოვანებაში...

ახალგაზრდა ქალი შეძრწუნებული სცილდება მესერს და თითქმის სირბილით მიდის თავისი განყოფილებისაკენ. ის განყოფილება ამ ვრცელ ადგილსამყოფელს ეკუთვნის. ოღონდ, იქ მყოფები სხეულანდებთან შედარებით მსუბუქად არიან. მათთვის სამყარო მთლიანად არაა დაკარგული. არც თვითონ არიან მთლიანად დაკარგულები. მაინც ყველასათვის საკუთარი ტკივილია ყველაზე ზეალმატებული და გაუსაძლისი.

## ნატო

ფსიქიატრიული კლინიკა თავისი უბადრულობით ცხოვრობს: მკურნალობის უბადრუკი მეთოდები. მედპერსონალის

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ცენტრი

უკულობა და სისხტიკე - აქ მუშაობისთვის კუნთმავარი სანატრება საჭირო, აუადმყოფთა აგრესიულობას ხშირად ახალგაზრდა ვერ ერევა და მაშინ მუშტით ჩაერევიან... თვითონ ქვეყანაც შიმშილისა და ომის შემადრწუნებელი პოლიტ-სოციალური კრიზისის ზღვარზეა - გარეთ მყოფები უფრო გვიან შიზოიდებს. აქაური ბინადრები „პროსექტების“ ვაშს წააღერებენ ხოლმე: „ასეთია შიზოიდის ბედი, (ფათურაკი მუდამ დაგდებს თან) და ცხოვრების ნახევარზე მეტი, ღურღოებში უნდა გაატარო... ოი...“

ცალცალკეა მამაკაცთა და ქაღთა განყოფილებები. აუადმყოფები გამუდმებით ჩაკეტილები არიან ცხაურებიანი ფანჯრების მიღმა. უკვე ქრონიკულად უწყინარობამდე დასულებსა და პერიოდული გამონათებების პაციენტებს მზიან ამინდში ეზოში უშვებენ შეთვალეურთა თანხლებით. ზოგი: ნახამთრალი მწიდან ახალამომწვანებულ მოლზე წაზოვრდება, ზოგი: ქვის მასიურ კიბეზე ჩამოჯდება, ზოგი: ხეხილის ახალგამონასკეულ ნაყოფს ეტანება, ზოგი: კნტად დაბორიადობს, ზოგი: ვჯუფ-ჯაუფად არჩევს მასიური მესრიო შემისახდრული ტერიტორიის წრიულ შემოვლას - ვინ იცის, კიდევ როდის გაშიდარებს და როდის შემღებენ მოუცლელი სანატრები ჭორაობისა და საქსოვის მიტოვებას და აუადმყოფთა სთკალთვალოდ გამოყოფას... ერთი სიტყვით, ვინც როვორ ახერხებს, ისე ცდილობს შეიტკბოს დროებითი ბედნიერება...

მექქსე განყოფილების ქაღები მასიურ კიბეზე სხდებიან. ასოჩემებით. აღნავობადაკარგულები ან დუფის წმენდით არიან დაკავებული... ან ფილტრამდე დაფიხილ ნაშწვავებს ჰკრეფენ კიბის საფეხურებზე და ნიკოტინის გემოს გახსენებას ცდილობენ... ან ილღივიდან მტებნარების ამოცლითაც ერთობიან...

- ამ ნატო ვანნაძეს რა უნდა ამდენი თხვეულებში? - უკვიროთ გარესამყაროდან შემოსულ შემთხვევითებს და მშვიდად მჯდარ ქაღზე უთითებენ ერთმანეთს.

მართლაც, იმ უმშვენიერეს ნატოსავით ლამაზია ეს ქაღი. მისი სეხნიაცაა, მაგრამ ამ ნატომ შეურაცხადად ყოფნისას საკუთარი მცირეწლოვანი შვილი გაუდა... ახლა მშვიდადაა, მაგრამ ს მუცამოდ სულგამობრული.. ასეთების ფსიქიკის გამონათებების შუალედები ლოიკას არ ექვემდებარება. ნატო ჯერჯერობით მშვიდადაა: ჩვეულებრივად საუბრობს, ჩვეულებრივად ენატრება თავისი სოფელი, ჩვეულებრივად ენატრება მშობლები და დამძები... არავინ აკითხავს, კარგახანია..

ფსიქიატრიულ კლინიკაში არის შერეული პროფილაქტიკური განყოფილება. აქ დროიადრო, ხანმოკლე დროით მოდიან დებრესიულები. მათ ცნობიერება მუდმივად საღი აქვთ, მაგრამ აპათიის შესკნელებიც იმორჩილებთ ხანდახან და უმწეონი ხდებიან... ნაწილობრივ მაინც ახერხებენ ენერჯის აღდგენას და მალევე მიდიან - მომდევნო უმწეობამდე...

ამ პროფილაქტიკური განყოფილებიდან ნატოს ერთი ახალგაზრდა ქაღი აკითხავს. ხან პური მოაქვს, ხან სიგარეტი, ერთხელ სანატრის ვალიც გადაუხადა. ნატო კი ელის ახლობლებს... ერთ დღეს ექთანმა ახალგაზრდა ქაღს ნატოს ნახვავზე უარი უთხრა:

- იმდენს დარდობს თავისიანების უნახობაზე, რომ ცუდად გახდა და წემსი გავუკეთე. რამდენიმე დღე თავი აარიდე. ისე, ასეთი აუადმყოფის მგომარეობა საერთოდ უიმედოა, მაგრამ დროებითი კარგადყოფნისას გარანტირებულია უწყინარობა...

ახალგაზრდა ქაღი:  
- იცით, მე შევეუთვალე ნატოს ახლობლებს და იქნებ, გამოჩნდნენ...  
- არ ვიცი, გენაცვალე, დროებითი კარგადყოფნისას შინ გაშვებაც შეგვიძ

ლია... აქ მოსულა და მონახულება უფრო ადვილია...

— კარგით, კიდე ერთხელ შევეუთელი, სანამ მე თეთონ გავეწერები... ჩემებს დაეკაბარებ...

— გენაცვალე, ქვეყანა ისეა აწეწილი, გარეთმყოფებსაც უჭირთ და აქაურები წარმოიდგინე: მწირი ულუფაც მცირდება, მედიკამენტები არაა, გუშინ ორი უკვე გავასვენეთ...

ახალგაზრდა ქალი მალევე გაეწერა პროფილაქტიკური განყოფილებიდან. ნატო უკვე მომჯობინებული იყო და კვლავ ახლობლებს ელოდა...

მალე: ომის ცეცხლი დაანთეს იმ ტერიტორიაზე, სადაც ფსიქიატრიული კლინიკა მდებარეობდა. იქაური მისავათებული აუადმყოფები სხვადასხვა ქალაქების ასეთივე პროფილის დაწესებულებებში გადაანაწილეს... ნატოც... იმ დაწესებულებებში უარესი მდგომარეობა იყო... ქვეყანა უფრო აიწეწა... გარეთმყოფები უფრო დაემსგავსნენ შურაცხადებს...

ახალგაზრდა ქალს მალე ნატოს გარდაცვალება აცნობეს...

ახალგაზრდა ქალი ნატოს შეცხადება-გასვენებაზე არ წავიდა...

ახლობლებმა ნატო დაიტირეს, შაკეხიცი ჩაიციეს, თმებიც იწეწეს, გულისპირზე გარდაცვლილის სურათიც დაიბნეეს, ზორავიც იყო...

— მალაღეც, ამ ომიანობის კვალობაზე მშვენიერად დაიტირეს! — მსჯელობდა ნაქელხარი ხალხი...

ახალგაზრდა ქალი ნატოს შეცხადება-გასვენებაზე არ წავიდა: ჭირისუფალთა ნაკვიანვეი ჭირისუფლობისა და ნაქელხარების ყურება არ შეეძლო...

ახალგაზრდა ქალს არ უნახავს გარდაცვლილი ნატოს გატანული ცხედარი... სამაგიეროდ, ათეულობით ასე გარდაცვლილის ათეულობით ცხედარი უნახავს...

ნატოს ცხედრის გულით დამტირებელი რამდენიმე ჭირისუფალი კარგახა-

ნია, სიბრალულ-გულმისტრეფის ნაკრემეველარ სადილ-ვახშობის მსგავსად...

ახალგაზრდა ქალი ნატოს შეცხადება-გასვენებაზე არ წავიდა: სანთელი დაუნთო მაცხოვრის ხატთან...

## ზიტა

თავისი მოღმის საუკეთესო ქალი იყო. ასეთ ქალებზე ამბობენ: ჯიშინი. ჯერ გარეგნობა: სრული არ ეთქმოდა, მაგრამ არც ტანმორჩილი იყო. სხეულის ყოველი ნაკვთი უღიმოდა და მთელი სხეულიც, მთლიანობაში, თვალერილი რწვეა-რწვეით მიმოუდიოდა. ძველი ტრადიციის გრძელი თმა გაწაფული მანერით კეფასთან ჰქონდა დახვეული — რამდენიმე ათეული სარჭი ემსახურებოდა ამ სილამაზეს. ქალის სახელი და გვარიც ძალზე სასიამოვნოდ ღვინდა ლილი დბარი. სიჩაუქით განთქმული აფხაზური გვარიდან იყო. ლილის ძმა მთელ აფხაზეთში ახლაც საუკეთესო მონადირედ და ძველი ადათ-წესების უერთგულესად ითვლებოდა...

ზიტა? — ეს გათხოვების მერე შერქმეული სახელია... ძველი ტრადიციით: პატარძალს ქმართან თანაცხოვრებისათვის ახალ სახელს ურჩევენ... ლილისთვის უხეირო რამ კი შეეჩინათ — რომელიღაცა ინდური ფილმის პერსონაჟისა... ჰოდა, უხეიროლაც წავიდა ზიტას ქმართან თანაცხოვრება — აფხაზი გუმბა ვერ აღმოჩნდა ზიტასათვის ერთგულმოსივგარულე (ვგონებ, იმავე ინდური ფილმის პერსონაჟი ზიტა სივარულში უფრო ბედნიერია... თუკი მესლება, მომიტყვეო... კარგახანია, ამ აღრენილსა და უთავებოლ ქვეყანაში აღარც რეტროსპექტივა მინახავს და აღარც ინდური ფილმების გულშემატკივარი თვალცრემლიანი მყურებელი... ისე, შეცოდება ინდური პარალელური კინემატოგრაფი — მართლა პარალელურად არსებობს და ჩვენში (შეიძლე-

ბა, სხვაგანაც) პირდაპირპროპორციული რაოდენობის მიფურებულიც არა ჰყავს)... პირველ რიგში; ასაკში იყო დიდი სხვაობა — ზიტა ჯერაც სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლში ცეკვადა და თითხმეტი წლისა შესრულდა, როცა ორმოცდაათი წლის განთქმულმა თამადამ და მოჯირითემ იქორწინა მასზე... თანდათან სხვა კალიც გამოჩნდა ცოლქმრული სარეცლის მოზიარედ და: ოცდაწვიდმეტი წლის ლილი დბარი ხანგრძლივი ოჯახური კინკლაობა-ჩხუბ-ისტერიკების მერე საბოლოოდ დაუბრუნდა მშობლების სახლს. უკვე სრულწლოვანი ქალ-ვაჟი მამამ ცოლს არ დაანება და ამითაც იმია შური არსემდგარ ბედნიერებაზე...

ლილი მცირეწლოვანი ძმისშვილების თავგამოდებული მამიდა ვახდა. განსაკუთრებით, გვარის მემკვიდრე გულისაზე ამოსდიოდა ცისკრის ვარსკვლავი და ყველა დანარჩენი მნათობი... გულისა ხუთი დის ნაბოლარა ძმა იყო და ყველასგან განებეიერებული... მაინც: მკაცრი ზნეჩვეულებითაც ზრდიდნენ...

ზიტას ახლობელთა ბედნიერების მოწმობამ ვერ უშველა — გულამაყი ქალის ღირსებას ჩრდილად ადგა ქმარგაყრილის სახელი... ერთ უსახურ დღეს თმენებმა ავად იფეთქეს და... ზიტა ფსიქიატრიული კლინიკის ხშირი სტუმარი ვახდა — სტუმარი კი არა, ლამის, მასპინძელი — რამდენიმე თაობის ავადმყოფები და მედპერსონალი წელთაღრიცხვის სისტემას თითქმის მის მიმოსვლასთან აიკვივებდნენ:

— ეგ ხომ მაშინ მოხდა, როცა აფხაზი ზიტა ჩვენთან მესამედ იწვა...

— მე რომ გამწერეს, ზიტა ახალი შემოსული იყო...

ზიტა კი: სატკივარმინელებულ შუალედებში სიცოცხლით სავსე ქალი იყო — ცეკვადა აფხაზურ ცეკვებს და მისი გრძელი თმის შრიალი გარესამყაროს მოწვევტილი ამ უცივესი სახ-

ლის ბინადრებს დროებით მაინც უკმაყოფილებდა სამყაროს — ანატრებდა გაურკვეველ ბურანად ქცეულ სიჯანსაღეს... ზიტას აფხაზურ სიმღერებს კი მწვერვალებისა და ჩანჩქერების გამჭვირვალე შუქისკენ მიჰყავდი...

საზრუნავები? — ხშირად თვითონაც ლამის დავრდომილს, არანაირი დავრდომილის არანაირი მოვლა არ ეზარებოდა. ზოგჯერ, თავმოებზრებული და უყურადღებო მედპერსონალი შეცდომით (ოი, სული ცოდეილო, იქნებ, წინასწარგანზრახვითაც!) ახალტკინის ან სხვა, ძლიერმოქმედი ხაძილეს ზედმეტ დოზას შეაპარებდა რომელიმე ავადმყოფს დანიშნულების ფლაკონში და: მთელი კვირა ზიტა იყო უაზროდავადებულის ჩასველებულ-ჩასვრილი ლოინისა და უთავბოლო ბორილის მიშხედავი და მეთვალყურე...

განსაკუთრებულად მეგობრობდა ერთ ქართველ ვოვოსთან — უკვე მეორედ შეხედნენ ამ ციკკედლება სარკოფაგში. საზიარო თეფშზე უმცირეს ლუკმასაც კი შუაზე იყოფდნენ... ერთმანეთზე ზრუნვაში ეკვიბრებოდნენ ურთიერთს — მსგავსი სატკივრები აერთხულოვნებდათ, განმარტოებამოსურვებული, ავფიქრ-აშლილი რომელიმე რომ გაუჩინარდებოდა, მეორე აუცილებლად ეძებდა და მთელი კლინიკა მეგზურად ჰყავდა:

— წელან კიბეზე იჯდა...

— ჭიშკართან დაბორიადლებდა...

— გუბურაში კენჭებს ისროდა...

ერთხელაც: ცხრამეტი წლის ქართველი ვოვონას დაბადების დღე იყო. ზიტა დილიდანვე ცუდად გრძნობდა თავს — ორჯერ მოაბრუნეს ძლიერი ტკივილდამაფურებლობით. ნაშუადღევისთვის მაინც წამოჯდა ლოინზე და მის მოყურადე ქართველ ვოვოს მიმართა:

— Ну, мы не поздравили еѐ?

ქართველმა ვოვომ მხრები აჩვენა.

ზიტამ:

— Дава, поехали в Дранду, купим что-нибудь!

სანიტარს დაუბარეს და დანარჩენებს გაეპარნენ.

დრანდის ბაზარში იყიდეს:

ყვავილები — ავადმყოფი იუბილარი-სათვის, სიგარეტები — თავზემდგომი მისი ძმისათვის, ორი ბოთლი ღვინო და ერთი არაყი — თავიანთი ავადმყოფების გამოჯანმრთლებას მიდარაჯებული მამებისა და დედებისათვის, რომლებიც განყოფილების პალატებში გაცილებით მეტ ადგილს იკავებდნენ, ვიდრე თვით ავადმყოფები...

გაჩერებაზე:

სამარშრუტო ტაქსი იგვიანებდა. კლინიკა კი ტრასიდან დაცილებული სოფლის სიღრმეში იყო.

მოულოდნელად:

ქართულმა გოგომ ზიტას ვრძელი თითები იგრძნო მკლავზე:

— Погибла... და: ნელნელა ჩაიკვცა.

თვითონაც ვონებადაწიწკნილი ქართველი გოგო ამჯერად არ დაიბნა — შორიახლოს მდგარ ქალებს გასძახა. ისინიც მოეშველნენ და ზიტა ხელკავებით ფეხზე შეაყენ-შეამარგეს.

სამარშრუტო ტაქსი იგვიანებდა. ამ დროს, კომერციული ჯიხურების მწკრივთან მსუბუქმა მანქანამ დაამუხრუჭა. თვით ჭიკულში ოთხნი ისხდნენ — ახალგაზრდა ქართველები მეგრულად საუბრობდნენ...

ქართულმა გოგომ იმათ მიმართა საშველად.

ბიჭებიდან ორი გაჩერებაზე დარჩა — თავიანთ ადგილას ზიტა და ქართველი გოგო მოათავსეს და დანარჩენები კლინიკისკენ გაქანდნენ ტრასაზე აკრძალული სინქარით. გზადაგზა ზიტა კნესოდა:

— Все я опять пропала... Мамо-чка... Все...

ბიჭები თანაგრძნობით უსმენდნენ ქართული გოგოს მოკლე განმარტებას — მეგრულად ყვებოდა ზიტას ავადმყოფობაზე. შეაშინია, მონატრებოდა კლინიკისგარე სამყაროსთან მშობლიური კუთხის ენაზე ურთიერთობა...

დაუჯერებლად მოკლე დროში მან-

ქანა ზედ განყოფილების <sup>ქართული</sup> <sup>კლინიკის</sup> <sup>კვანძის</sup> <sup>ქვეშ</sup> აყენეს.

ზიტა საკაცით შეასვენეს პალატაში...

ქართულმა გოგომ მანქანიან ბიჭებს გულითადად მადლობა გადაუხადა და ზიტას მისახედად გაიქცა...

ბიჭებიც თანაგრძნობის გამომხატველი ფეხტით დაცილდნენ...

სალამოს:

ზიტას მიერ კოხტად გაშლილ სუფრასთან იქური ფოფისთვის აკრძალული ღვინო და არაყი უკვე მომჯობინებულმა ავადმყოფებმაც კი მოხვეს... იუბილარი-სათვის გამოჯანმრთლების სურვებისა და სხვა რამ სიკეთეთა ნატვრასთან ერთად, ზიტას სადღეგრძელო განსხვავებული ფინჯნით დალიეს — თამადად არჩეული ერთერთი მამა საკმაოდ ენაწყლიანობდა:

— ვიღაცვიდაცვები რომ ავად სისინებენ, აფხაზება ისეო, ქართველები ისეო, სისულელეა მაგი... ჩვენ ერთმანეთს ვერ გავუშკვევით...

მაისის ბოლოს ქართველი გოგო კლინიკიდან გაეწერა. იქ დარჩენილ ზიტას მალე შეხვედრის იმედით დაემშვიდობა — სექტემბრის თვეში ზიტასა და კლინიკაშივე გაცნობილი ზეამბას ჯვრისწერა იყო მოსალოდნელი და მას მეჯვარეობა მოუწვედა...

ავვისტომდე:

ქართულმა გოგომ ზიტას რუსულენოვანი ბარათი მიიღო — აფხაზურის გარდა ზიტა მხოლოდ ამ ენაზე წერდა და მეტყველებდა...

ქართულმა გოგომ საპასუხო ბარათის გაგზავნა ვეღარ მოასწრო — ავვისტოში ომი დაიწყო და გუდაუთაში, ზიტას მისამართზე, ბარათი კი არა, ქართული ავიაცია ვერ აღწევდა...

თუმცა:

ქართულ ავიაციას აფხაზეთში მიანიცდამაინც დიდი გულმოდგინება არ გამოუჩენია — უმალღესი პილოტაჟი მან უფრო სამეგრელოსა და იმერეთ-გურიის სიმიინდის ყანების დაცხრილვას

მოახმარა სამოქალაქო ომის ტრაგიკომიკურ სცენებში...

## თვითონ

პატარა ქალაქის პატარა საავადმყოფო. ფსიქო-ნევროლოგიური განყოფილება. ახალგაზრდა ქალი დერეფნებში დადის და პალატებში იხედება. აქაურობა თითქმის დაცლილია: საავადმყოფოს სურსათი და მედიკამენტები აკლია... გარესამყარო თავისი უნებებით დაჭვნაობს და აქაურობა საიდანღა ვაახსენდება. ძალაუფლება... ხელისუფლება... ბოიკოტი... არჩევნები... დაუმორჩილებლობა... ჭეშმარიტება... ეროვნული მოძრაობა... „ენა, მამული, სარწმუნოება...“ ჩვენი ქალაქი თავისუფლების კუნძულია... — გარეთ ესლა ისმის...

უფრო ხშირად კი: საკუთარი უზეირობის გამართლება — „ომია, ბატონო, ომი...“

ახალგაზრდა ქალმა რამდენიმე პალატაში ავადმყოფები დალანდა. უფრო ხალხმრავალში შევიდა:

— იცით რა, მე მყავდა თქვენნაირად ავადმყოფი ახალგაზრდა ახლობელი ქალი... წლების მანძილზე ავადმყოფობდა... ახლა კარგადაა... ანტიდებრესანტებსა და ნეიროლეპტიკებს უკვე აღარ ხმარობს...

— აქ გეწვა, შვილო?

— არა, სხვაგან... თუმცა, თითქმის

ყველგან ერთნაირობაა... იცით, ახლობელი რაკი წამლებს აღარ ხმარობს, თქვენ მოვიტანეთ...

— ეეპ, შვილო, ახლა უბრალო წამალიც კი უკვდავებად ფასობს... ყველაფერი მხოლოდ რუსულ ფულზეა... ეს კუპონები კიდევ... ეეპ...

— არა, განა ვასაყიდად... ვაწუქებთ... ზოგი თქვენ გამოვადგებათ... ზოგი სხვებსაც გაუნაწილეთ...

ავადმყოფებმა გაოცებით შეხედეს ერთმანეთს. ერთერთი ადგა და ახალგაზრდა ქალს წამლებით სავსე საკმაროდ მოზრდილი პოლიეთილენის პარკი გამოართვა.

— ჯერჯერობით ყველა ვადაგაუსვლელია, ოღონდ, ექიმს აწვეწეთ და ის დაგიდგენთ, ვის რომელი გჭირდებათ! — ახალგაზრდა ქალს ავადმყოფთა სიბრალულისგან ქვედა ვბა უკანკალებს და სწრაფად დამშვიდობებას ცდილობს.

— შენ გაიხარე, შვილო!.. დმერთმა კარგად გიმყოფოს შენი ავადმყოფი!.. ნუმც დასჭირვებია წამლები!.. — ახალგაზრდა ქალს დერეფნამდე გამოსვლია ერთერთმა ავადმყოფმა.

ახალგაზრდა ქალმა კიბის საფეხურები სწრაფად ჩაათავა. ეზოში მოძებნა სასმელი წყლის შადრევანი. ჩანთიდან ანტიდებრესანტისა და ნეიროლეპტიკის სათავისოდ მოტოვებული ფლაკონები ამოიღო. საცობები მოაძრო და ორ-ორი აბი ერთდროულად გადაყლაბა — შუა დღის დოზები...





მერაბ აბაშიძე

შენს ნახვრევევზე ამოსული იახამანი

წრიალებს სული, რა სურს ნეტავ,  
რომ ვერ გავიგე,  
იქნება უნდა  
შეუერთდეს არსთაგამრიგებს,  
მას — უზეშთაესს, შეერიოს,  
ვით სხივი მერთალი,  
სულის ნათელი,  
დაბლა დარჩეს ხორცი და ძვალი?  
არ ვიცი, არა,  
გაფიქრებაც მთრგუნავს და მზარავს,  
და ვფერმკრთალდეები, ვით სიზმარში  
დილის არილი,  
ზილვანი ჩემნი გამჭვირვალე  
ზამბახებს გვანანს,  
და თოვლში ვდგავარ — დაღლილი და  
პატივაყრილი...

ბარდნის და ბარდნის,  
მოდის თოვლის ფანტელი თეთრი,  
მოდის თოვლი და თითქოს მესმის —  
— შორსაა ღმერთი!  
არ მსიამოვნებს ამ სიტყვების  
ჩქამის ვაღებაც,  
— მე თვითაც ვიცი! —  
ვამბობ ჩუმად...  
ირგვლივ დამდება.  
დამღებ: სულში, სულის გარეთ,  
წველუან დამდება,  
დამღება, მაგრამ  
ის ტკივილი არ მიამდება...  
და ისევ მესმის დამცინავად:  
— შორსაა ღმერთი!  
და ეს სიტყვები მკაწრავს, როგორც  
გვირგვინი ეკლის!  
და სისხლი დამდის,  
მოთქრიალებს სისხლი ფიცხელი,

ვიღაც კი ამბობს —  
— არეინ მოვა! არეინ ვიშველის!  
და მე ვიციანი,  
(თითქოს როსმე შეთხოვნოს შველა),  
ციცხა და ამავს,  
გადაქცეულს კაციდან — მგელად!  
ამიხდა წყველა —  
სატანჯველად მექცა საწუთრო,  
შენი ჯვრია, სული, —  
ტანჯვის ალში ნაწურთნი!  
შენი ჯვრია, შენ კი  
მგონი, — მღალატობ შენაც!  
ნუთუ ვერ ჩაჰკალ შენივ არსში  
წყენა იმაზედ,  
რომ ჯერ ადრეა  
ქცევა ცივ და ლამაზ სინათლედ,  
ჯერ არ გეძახის,  
არ მოგვლის სამყარო ზენა!  
შენ უნდა იქცე  
ახლა ქვად და ლოდებად კლდისად!  
უნდა იწოდე!  
მაგალითი აჩვენო წვისა!  
მიწიერიც ხარ დიახ, მაგრამ ამავე დროს —  
ციხაც!  
შენ უნდა იქცე  
ახლა ქვად და ლოდებად კლდისად!  
მერე, როსმე თუ  
დაინგრევი და დაიშლები,  
თუ შევირფევი,  
გავშლევადები და გავკვიგდები,  
შენს ნანგრევებზე ამოსული იახამანი  
სიმშვიდის მწყურვალთ  
უფლისაქენ გზას მიასწავლის!  
სიმშვიდის მსურველთ,  
თუმცა იმის ვერსად მპოვნელთა,

გლახაკთა, ბრმათა, ყარიბთა და  
მწირთა ყოველთა!  
პოი, უფალო! შემწედ გვექმენი  
აჰა, ვემთხვევით  
შენს ფერხთა მტკერთა,  
ვინც ტანჯვაში შევივერცხლენით!  
ვისაც სიყრმიდან აგვერია  
ციხეკენ მავალი, —  
გზა,  
ვისაც ასე გავეიმწარდა  
სვე, მომავალი!  
ქარი კი მოთქვამს,  
მოთქვამს ქარი შესულილ ქალღვივით,  
მოდის ქუნაში მღერეი წყალი  
ნიაღვარივით!  
თან ქუხს და ელავს,  
ზეკას აპობს უფლის მახვილი,  
ელგვეარ! უფლისკენ  
ვედრებით მაქვს მკლავნი აწვდილი!  
შეუცნობლობა  
ამქვეყნიურ არყოფნა-ყოფნის  
აღარ ასვენებს სულს,  
რომელსაც მცირედიც ყოფნის,  
რათა უარყოს კანონები  
უგვან ბრბოისა,  
იყოს გამსწრები  
არსებული ეამის, დროისა...  
და ტირის ქარი, ისე ტირის,  
როგორც ეული  
ბავშვი,  
ქუნაში უპატრონოდ მიტოვებული!  
მე კი, მე რა ვქნა,  
ბოროტებით ფრთებდალეწილმა,  
უარმყოფელმა ამა სოფლის, ამა  
ქვეყნისამ,  
სად ვპოვო ვანი  
აბორგებულ, მშფოთვარ სულისა,  
როცა ჩამესმის ზარის რეკვა —  
დასასრულისა!  
დასასრულისა და ამავე დროს  
ახლის საწყისის,  
და თითქოს ებოდავ,  
ამ სიახლეს ისე განვიციდი!  
ებოდავ, ვით სადღაც,  
ტრიალ ველზე შლეგი ქადაგი,  
დიდი ხანია, შხამიანი შევსვი ბადაგი!  
ვერ მიმკურნალეხს აწ ვერაჲნი  
სიკვდილის გარდა,  
რაც მიმკითხავეს ბავშვობაში,

ყოველი ახდა!  
და მეც ვტირივარ  
იმ ბალღივით და იმ ქარივით,  
წვიმა კი მოდის,  
მოდის წვიმა ნიაღვარივით!  
შემშალეს ცოფის ღვართქაფებმა  
კოკისპირულმა  
და გააფთრებამ სათნოების ჭერი  
აგლიჯა,  
ჩემზე მრავალი ქირქილებდა —  
— მგონი გაგიჟდა!  
ღიახ, გავეციფდი,  
მათსავით კი არ წაებლწულვარ!  
სიშლევე ჩემი  
კუთხე-კუნჭულ არ იმალება,  
სიშლევე ჩემი  
ამ სტრიქონთა არს ბრწყინვალემა!  
მოდის და მოქუხს,  
მოაგორებს ტალღებს ვეებას,  
არ ითხოვს არრას —  
არც სახველს და არც მიტყუებას!  
დაქპროლე!  
უფრო მაგრად დაქპროლე  
ქარო,  
ოღონდაც ნუღარ დამიშლი  
დაუტკბე მრისხანე ცეცხლის ქარიშხლით  
და ძირს არასდროს აღარ დაუშვა  
დროშა — ამ ცათა წყროშა—ქარბუქმაც,  
რომ ვერ შეახო თავის ტორები!  
ხილვანი, მე რომ ვხედავ ყოველდამ,  
ამაოების მწვანე კედლებზე,  
მღვეენ ყოველგან,  
მღვეენ ყოველგან,  
თვითვე მოდიან,  
თვითვე მექებენ!  
რატომ ვეცადო განმარტოებას!  
აზრი არა აქვს  
ფიქრსაც კი მასზე,  
ხომ სულ ერთია — ხალხში თუ მარტო,  
შევსვამ ფიალას,  
სიმწარით ხავსეს!  
შევსვამ და წაეალ ქარში სიმღერით,  
ამაოების სადავით მთურალი,  
გზაზე შემზედება ქალი ცისფერი,  
გზაზე შემზედება ცისფერი ქალი...  
შევაელებთ ერთუროს მზერას დუმილით,  
მერე კი წავალთ  
სხვადასხვა გზებით,

გზაზე ნაფლეთი დარჩება სეედის,  
 იმ ქვეყნისაკენ შიშაულ გზაზე...  
 ო, ამოუცნობ ჭეშმარიტების  
 გზადაბურდული ლაბირინთები!  
 დიდი ხანია აქ დაწრიალებს  
 პოეტის სული  
 და თუმც იმედი  
 დაკარგა უკვე გარეთ გასვლისა,  
 მაინც დაეძვებს ხელის ცეცებით,  
 რაც უნდა ივრძნო, უნდა აღიქვა,  
 (ხოლო ხელით კი ვერ შეეხები)...  
 ვწერ ამას, ვწერ და სისხლის შხეფები  
 რჩება ფურცელზე, როგორც იები,  
 მე სუნთქვა მიჭირს,  
 ო, სუნთქვა მიჭირს,

ვერძნობ — ვბოლოედები <sup>მარქვისული</sup>  
 და ვიძირები... <sup>ზიზლირთისა</sup>  
 სულის სიღრმეში,  
 აღარ მაქვს ძალა ამოსვლის ძალა,  
 მე — განბანილი ცისფერ წვიმებში,  
 ედგავარ და ვერძნობ რომ  
 სიზმარი ახდა:  
 სიზმრად კი ენაზე პირქუში დილა,  
 აწვიმდა ბალებს ცოფით და რისხვით,  
 ისე ღელავდა მთელი სამყარო, —  
 როგორც ქაოსი პირველად ქმნის წინ...  
 და ამ ქაოსში ისმოდა ჩუმი  
 და თან ღღერადი ხმები მკაფიო  
 და ამოზეთქილს ცაზე დაფიონს  
 ეწვეთებოდა ცრემლები უფლის.



## პირობი პიპაური

### შენდავი მიქაველი ლექსების კამო

იხინი შენთან დარჩენ მძევლებად —  
გზაბნეული ჩიტის გუნდები,  
ხოვნი წურნულით თავზე გვევლება  
და გაიმედებს,  
რომ დაებრუნდები.

მათ არ იციან გულისთქმა ჩემი  
და სიყვარულის ძველი სახშილით

ავიფურადეს ოცნების ჭერი,  
გავიფრთიანეს ფიქრის მარხილი.

ჩაგწერებიან თვალში აღერსით  
და დაეძებენ ძველებურ ხალისს,  
ბედნიერ დღეთა სიანკარეში  
ვერ დაინახეს ნაღველი ზვალის...

### ბოლოს შენ შემჩნი მწედ და იმედად

გამიუცხოვდა ჟამთა დინება,  
ამ მდინარეში ვერ მოვიხათლე,  
ბოლოს შენ შემჩნი მწედ და იმედად,  
შენ იტყვი, ალბათ, ნამდვილ სიმართლეს.

შენ იტყვი ჩრდილში  
ჩუმად ყოფნისას  
ამბებს ტკივილის და მწუხარების, —  
როგორ მიბღვერდნენ წუთისოფლისა  
დაუნდობელი მღვრიე თვალები.

ოლოლი როგორ მოთქვამდა ბედზე,  
როგორ ცხვებოდა ობლის ხშიადი;  
მე უღიმღამო ღამეებს ვენდე,  
მენატრებოდა მზე განთიადის.

მძიმე ვჯარივით ვზიდე ოცნება,  
ღბინიდან ფეხი ამოვიკვეთე,  
ვედარ მიშველეს უხმო ლოცვებმა,  
ვერც დაღებულმა ქვაზე სიკეთემ.

ერთგულებაში სიცრუე ვპოვე,  
მეგობრობაში — თოვლის სიცივე,  
ბაღში გაცრეცილ ხეხილის რტოებს  
შეაქვს თვალი და ჩაიცინეს...

ეკლიან უღრანს მაინც მივარდევე,  
გზად ნადირივით მხედება მეშურნე,  
დეე, იღნავლოს ვიღაც შეარღნემ,  
ღვე, იბღავლოს ვიღაც მეზურნემ.

ოღონდ არ ჩაქრეს ის ნაღვერდალი,  
ფრთაჩაქანგებულ ჩრდილს რომ  
გაათბობს,  
არ დამიძვირდეს ნაღდი მხედარი,  
არც მასთან ტკბილი სამასლაათო.

...მადლობელი ვარ,  
ღმერთმა ინება,  
ღმერთმა ინება — გაკრთა სინათლე,  
ჭირში შენ შემჩნი ბოლო იმედად  
და შენ ბოლომდე იტყვი სიმართლეს.

## სიკვდილს ვაშინებ...

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მტკივან გულს  
მხოლოდ ლექსი ახარებს,  
ლექსი ამშვიდებს სულის ფეთებას,  
როცა ბუღრაობს რითმა სახარე,  
მოულოდნელად ისევ თენდება.

თანდათან ვხედები  
ჩემი ცხოვრება  
გამოჭრილია მრუდე არშინზე...  
და თეთრ ღამეებს ემახსოვრება,  
რომ ლექსის წერით  
სიკვდილს ვაშინებ.

## წერილი მამობარს

სად დაიკარგე,  
რას მემალეები,  
ნუთუ შეგცვალა სხვათა გაცნობამ,  
სად არის შენი „თეთრი ქარები“,  
რა იქნა შენი კაცურკაცობა.

რა პასუხს გასცემ ამღვრულ იორს,  
მოძმის წინაშე თავს რით იმართლებ, —  
როცა არ ეტებს გასაძრომს იოლს,  
სტრიქონს მაშინ აქვს მეტი სინათლე!

## წ ლ ე ზ ი

ჩემი დღეები ქარტეხილს გაჰყვა,  
ვით დამსხვრეული გემის ანძები,  
მაინც შევხარი სიცოცხლის მყარს,  
არ დამიძვიროს,  
ღმერთს ვეაჯები.

მიმოფანტულა ქედებზე ფარა,  
მომძალებია წელთა სიავე,

მაინც ვუმღერი სიყვარულს მარადს,  
არაგვის სიო შუბლს მინიავეს.

წუთისოფელი წამივით მიქრის,  
სიმწარის იქით სიმწარეს ეხედავ,  
მაინც მამხნევეს ხვალეზე ფიქრი,  
ხელს ვუწედი  
გზაზე დაცემულ მხედარს.

## ა ბ რ ნ ი ა

დადგა მაისი და მაინც ცივა,  
გაცრეცილი მზე ამაოდ წვალობს,  
ფიქრის ორმოში მხრებამდე ეზივარ  
მწუხარებისგან გაზრული ვალო.

წუთებს რომ ვითვლი,  
რა შემართება,  
რამ შემაძულა დილა თუ მწუხრი,  
ობოლი სული ობოლ ხანთლებთან  
ვარ დაჩოქილი ორივე მუხლით.

ვინ განმიკითხოხ  
ჩუმი მლოცველი,  
ნამცეცა იმედს ვინ მაზიაროს,  
ხმელ ფოთოლს ვვევარ,  
ქარით მოცელილს,  
გაკიდებული ჭიუხს ფრიალოს.

მომწატრება სულის სანათი,  
დაულეველი დარდით ებერდები,  
გაუვალა ჩემი ქარაფი,  
იმედის ძაფი — მოუხელთები.



## პაროქული გიჟნემა

მროთხრობა

„გამების დამუშავება აუცილებელია სწავლების საწყის ეტაპზე“.

ფორტეპიანოზე დავრის  
სახელმძღვანელოდან.

### გამა № 1

აგერ გამოჩნდა ჩემი ვასკო და გამა. უფალო ღმერთო — შეეწიე, გაუმართლე, გაამარჯვებინე.

ამბობენ, დღეს მზეზე მაგნიტური ქარიშხალი მძვინვარებსო. ეგ არ ვიცი და აქ — თბილისში — მშვიდი, ღრუბლიანი, ამინდია. ათას ცხრაას ოთხმოცდაათხმეტი წლის ოცდარვა ოქტომბრის უფური დილაა.

მანქანას ავტოსადგომზე ვაჩერებ. იქვე მათხოვარი შიღობავს გზას — ინტელიგენტური გარეგნობის სათვალისანი მოხუცი ქალი.

— ახალგაზრდავ, დამეხმარეთ, ღვთის გულისათვის.

— ინებეთ, — ნახევარმილიონიანს ვუწვდი. გზას განვაგრძობ. ღმერთო, გევედრები, ბედნიერი გამოდგებოდეს დღევანდელი დღე. საქმიანი ნაბიჯით კუახლოვები ჩემს ვასკო და გამას.

ჩემსას?

ე-ეჰ..

თუმცა რატომ „ეჰ“?! მტკიცედ მწამს: დადგება დრო და ეს ახლა სულმთლიანად ვასკო და გამა იქნება, აი. ეს ძველი,

მეცხრამეტე საუკუნეში აგებული, ერთ დროს დიდებული, ამჟამად მოუვლელი, ჩამოძინილი სახლი. ოდესღაც აქ მორკმით ცხოვრობდა მავანი დიდვაჭარი — მედიდური, ქველი, დარბაისელი. მერე დაჰბერა რევოლუციის გრივალმა და შენობას დიდი ხნით დაუპატრონენ ნაირ-ნაირი ჩინოუნეკნი უწყებათანი: კომისარიატთა სახალხოთა, კომიტეტთა სახელმწიფოთა, საბჭოთა, სამინისტროთა... ხოლო აწ სახლი იგი ახალბედა კერძო მეწარმეებს გვეძლევა ოთახ-ოთახ არენდად ჩვენი-ჩვენი ფირმებისა და კომპანიებისათვის. პირველი სართულის მარცხენა მხარის ნახევარი ჩემი ვასკო და გამაა.

— გამარჯობა, ვასკო, — შესალმება ნაცნობი გამელელი.

— როგორა ზარ?

— დაფიქრდი, რას მეკითხები!

ავტოსადგომიდან მოვოღებული ტროტუარის მთელ სიგრძეზე ნაკავი ყრია. იქვე ის მოხუცი ქალი და კიდევ სამი მისნაირი გლახაკი დაბორიანლებს. მე მეტი ქართული კუპონი აღარა მაქვს, ოცდაათი ათასი რუბლი და ხუთი დოლარი მიღვეს საფულეში, ერთი სიტყვით, უპო-

ვართა ვასაკითხად არა მამადია რა. ჰოდა, ცდილობ შორით ვუქციო ვვერ- დი ნავაგსაცა და მათხოვრებსაც.

— გამარჯობათ, ბატონო ჩემო, — ზრდილად შეგებება კარისკაცი.

— სალამი, ძია ვანო. ჩემები აქ არიან?

— ჯერ არ გამოჩენილან. აი თქვენი გასაღები.

— გმადლობთ.

მივაბიჯებ ბნელ, ჭუჭყიან ღერეფან- ში. ღმერთო, შემეწიე, ღმერთო, დამეხ- მარე, ღმერთო, იღბალი მომე... ვალებ შავად შეღებულ მასიურ რკინის კარს, სახელად „ალიბაბას ცხრაკლიტულს“. ფირნიშზე ოქროსფერი დიდრონი ასო- ები ბრწყინავს: ტურისტული სააგენტო ვასკო და გამა, ქვეშით კი წვრილი შრიფტით — ერთი პირის საწარმო.

რესპექტაბელური ფირნიშით შემკუ- ლი „ალიბაბას ცხრაკლიტული“ ერთად- ერთი ძვირფასი ნივთია ვასკო და გამას კუთვნილ მატერიალურ ფასეულობათა ნუხხაში. რაზების, ურდულებისა და ში- ფრიანი ბოქლომების რთული სისტემის მიუზღდავად კარს მხოლოდ ერთი უბრა- ლო გასაღებით ვკეტავთ, რადგან მის მიღმა არაფერია დასაცავ-მოსაპარი. ის გასაღებიც ბერეკაც ვახტიორის აპარია, მაგრამ მე მტკიცედ მწამს: მალე დადგე- ბა დღე, როცა ოფისს კალაშნიკოვებით შეიარაღებული „გორილები“ დაიცავენ.

სამაგიეროდ, კარს რომ გაივლით, მოთუთხნული კორიდორიდან სუფთა, სინდისიერად გარემონტებულ, საქმიანი ატმოსფეროთი გაქვნილი ინტერიერში აღმოჩნდებით...

არა, არ მივარგა სახელწოდება — პომ- პეზურია, იაფფასიანი, თანაც პრეტენ- ზიულიცაა დიდი მოგზაურის სახელი პანია ტურისტული ფირმისათვის, რო- მელმაც იაფად ნაქირაუები, მინგრეულ- მონგრეული კანტორა სახელმწიფო სეს- ხით მოაწესრიგა და გრანდიოზული კა- რი შეაბა, მან შემდეგ კი ათასში ერთ- ხელ ძლივს ახერხებს ათკაციანი ჯგუ- ფების გაგზავნას გერმანიაში, ანტალი- აში, ემირატებში ანუ იქ, სადაც ნების- მიერ კონკურენტსაც იოლად მიუწევება

ხელი. რალა შუაშია კასტრეუნიკო- კოლუმბის, მაგელანის და მინიანების უკვლავი სახელები. ძველი კრედიტი რა ხანია შემომეხარჯა, ახლის შოვნა მთავ- რობამ შეუძლებელქნა. შემოსავალი ისე მცირეა, ძლივს ვინახავ ფირმას: ექ- ვისი თანამშრომელის ზულფასს, ბენზი- ნის, რეკლამის და არუნდის ხარჯებს რომ ვისტუმრებ, გროშებიცა მრჩება ჯიბის ფულად. ეგებ ცული სახელწოდე- ბის ბრალიცაა ეს... როცა სააგენტოს ვაარსებდი და ენათლავდი, მიმზიდველ- ად მეჩვენა ცნობილი ზღვაოსნის საქმი- ანობისა და სახელის თანხვედრა ფირმის საქმიანობასა და მუკატრონის სახელთან. ახლა გვიანდაა: საზოგადოება უკვე ამ სახელით გვიცნობს... თუმცა „გვიცნობს“ არა, ტოროლა...

„ალიბაბას ცხრაკლიტულის“ გაკლით კოპწია პოლში შევიღივარ. წამსვე ტელე- ფონი რეკავს. ტატას მაგიდაზე მდგარ. აპარატის ყურმილს საჩქაროდ ვიტაცებ ხელში.

- ალო.
- პეტრე ვარ, ვასიკო.
- ჰო.

— ვველაფერი რიგზეა, სასტუმრო და- ჯავშნულია, პურ-მარილი გამზადებული. ახლა ერთი-ორი წვრილმანილა დამრჩა მოსაგვარებელი.

- მოხვალ?
- მანდ რალად გინდივარ, კაცო. კაკო გამოიგზავნენ. ვველაფერს გავაიმახვქნებ და პირდაპირ აეროპორტში გავალ.

— კარგი. მეც იქ მოვალ. ზომ იცი, ვველაზე დიდი კენგური მე უნდა მერ- გოს.

პეტრეს ხითხითს წვევტილი ზუმერი მოსდევს.

ესეც ასე.

არაფერიც — მშვენიერია სახელწო- დება. ეჭვები „ალიბაბას ცხრაკლიტუ- ლის“ პირქუშობის ბრალია. აგერ, ვუ- ყურებ ჩემი კაბინეტის სადა, სოლიდურ კარს და მუხის ვალაქული ზუღაპირი ხიამაყნარევი ხიმშვიდეს აფრქვევს. ამ



ფეკალური მორევივით აბობოქრებულ-  
აქოთებულ ქვეყანაში რაც მოვახერხე,  
არ არის ცოტა. ყოველ შემთხვევაში:  
ძირს ეჭვები. მთავარია სიმხნევე, მა-  
კურთხე, უფალო.

ჩემს საბრძანებელში შევდივარ.  
ისევ ზუზუნებს ტელეფონი.

— გამარჯობათ, ბატონო ვასიკო, კაკო  
ვარ.

— გაგიმარჯოს. რა ჰქენი, როგორაა  
საქმე?

— კარბიურატორი გავწმინდე, ბენზი-  
ნიც ჩავახსნი. ახლა რა ვქნა, მოვიდე მან-  
და თუ?..

— არა. ტყუილად გზა რომ არ გაიმ-  
რულო, პეტრეს დაურეკე, შეუთანხმდი,  
გუარე და აეროპორტში წადით.

— გასაგებია, ევრე ვიზამ.

— აბა, ჰე!

ჩემს რბილ ხავარძელში მწუდროდ  
ვთავსდები. რაღა თქმა უნდა, დღევან-  
დელ ვულგარულ სიტუაციას ძალიანაც  
შეესაბამება სახელწოდება „ვასკო და  
გამა“. მასში არის იმპულსი, მეყსეულად  
რომ გადავისვრით საუკუნეთა მიღმა: დი-  
ადი მოგზაური ოკეანის თვალმუეღამ  
სივრცეს შიპაობს, გზადაგზა იხვეჭს სიმ-  
დიდრეს (საკუთარი თავისა და თანამო-  
ძმეთათვის) დიდება-ძლიერებას (სამ-  
შობლოსათვის), ცოდნას (კაცობრიობი-  
სათვის) ...მართალია, ის ცოდნა, რაიც  
კაცობრიობამ დღემდე დააგროვა, არარა-  
ობაა ზამყაროს უსასრულობის წინაშე,  
მაგრამ მაინც დიდებულია, როცა კაცი  
ეპოქალური მოგზაურობის მონაწილედ  
გრძნობ თავს. არის ამასი რაღაც ძლივს-  
მოსახელთებელი ტრანსცენდენტური კმა-  
ყოფილება.

— ვასკო და გამა! — ვამბობ ხმამაღლა,  
წერმილს ვიღებ და ნომერსა ვკრეფ.

— ალო, ტატა!

— ბატონო...

— სად ხარ აქამდე?

— გამოვდივარ უკვე.

— არ გეკადრებათ, ქალბატონო, სამ-  
სახურში დაგვიანება.

— თვალის დახამხამებაში მანდ  
— გვლადება შენი ვასიკო და  
მიხი გამა.

— ჰო, კაი, კაი. მოვდივარ-მეთქი...

ცხვირი მტკივა. ვაითუ ძირმაგარაა.  
რა სირცხვილია სტუმრებთან. მივრბი-  
ვარ საპირფარეოში, სადაც ოფისის  
ერთადერთი სარკვა. ძლივდასნანაზი მუ-  
წყვი ამოსხლეტილა. არა უშავს რა. იმ-  
პოზანტური ბიზნესმენი მიცქერის სარ-  
კიდან, მოხდენილი კოსტუმში აცვია, გა-  
ქათქათებულ პერანგზე ძვირფასი პალ-  
სტუხი უკეთია, ჭალარანარევი თმა კოხ-  
ტად აქვს გადავარცხნილი, სუფთად გა-  
პარსულ პირისახეს ბრიალა თვალები და  
კაქკასიური ჯიშის კეხიანი ცხვირი ამ-  
შვენებს.

**პაპა № 2**

ქალბატონი ვთერი და ქალბატონი ნე-  
ლი, რომლებსაც კლიენტებთან უშუ-  
ალო მუშაობა ევალებათ, უკვე თავიანთ  
ოთახში აღვიღებზე სხედან და ყავის  
დალევას აპირებენ. ერთ ფინჯანს, ცხა-  
დია, მეც მომართმევენ. თუ არ ვეღები,  
მოგზაურობის მსურველი ორიოდე მო-  
ქალაქე უკვე გაისტუმრეს. ბეჯითი ქა-  
ლები არიან. კარგია, საქმე, ასე თუ ისე,  
დაიძრა, მაგრამ ამგვარი ვაივაგლანზი კი-  
დეუ ერთხანობას რომ გაგრძელებული-  
ყო, სულ მალე ფეხებს გაუფშკდით. მა-  
დლობა შენდა, ღმერთო დიდებულიო, მა-  
დლობა შენდა! ისტორიული დღეა, გა-  
დამწყვიტი, სამკედრო-სასიცოცხლო!  
ოთხ საათზე აეროპორტში ავსტრალიე-  
ლები ჩამოფრინდებიან. ამ ვიზიტის მო-  
წვობას სისხლი ჩავაქციე, ყველა ღონე  
ვიხმარე და მეღბურნის ერთი საკმაოდ  
ცნობილი ტურისტული ფირმა, სახელად  
„ეი-თი-კოროპორეიში“ მოქმანგლე, ვავა-  
ბი საქმიანი ურთიერთობის ძაფი და  
ეს ნანატრი დღეც დამიდგა: მომავალი  
პარტნიორები სტუმრად მობრძანდებიან,  
მართალია, ხვალეუ სტამბულში უნდა გა-  
ემგზავრონ, მაგრამ განა ნახევარი დღე



ცოტა? მოლაპარაკებისთვისაც და მოსახიბლავი გამასინძლებისთვისაც ყველაფერი მზად გვაქვს. დაგერხათ, ბატონო კონკურენტებო, გულზე გავგებთქავთ „ვისკო და გამას“ არანხული წარმატება.

ტელეფონი რეკავს. ყურმილს ვიღებ.

— ალო, თუ შეიძლება, ტატას სთხოვეთ.

— ტატა ჯერ არ მოსულა, რა გადაეცე?

უცნობმა ყურმილი დამიკიდა.

უგუნებობა მიყრობს. ჩემი ოთახის ფანჯარა უგერგილო სურათს მთავანობს: ჩამოქუფრული ცა, ფოთოლშემხმარი ხეები, მზის შუქზე მუდამ უღამაზესი რომ არიან ხოლმე, უმზეოდ ფერმკრთალად და მიამხად მოსჩანან მოპირდაპირე საცხოვრებელი კორპუსების უგევანო ფონზე. სახლებს ავადმყოფური კუშტი იერი აქვთ. ფასადის წინ ვალია-გარაკების გრძელი მწკრივი გაჭიმულა, თითქოს გისოსების გაღვანიაო. ვაითუ ფრენა არ იყოს, ვერ ხედავ, რა ამინდია.

კრეკავ.

— ალო, ავიაკომპანია? თუ შეიძლება მითხარით, არის დღეს ფრენა?

— ჩვენი მონაცემებით, ჯერჯერობით არის.

— გმადლობთ.

რა ვიცი, ხანდა კია ვე თქვენი მონაცემები?! ტელეფონს თავს ვანებებ და გულისგადასაყოლებლად ტელევიზორს ერთვ. ეკრანი უაზროდ შრიალებს, არც ერთ არხზე არ არის გადაცემა, ეტყობა ტელევიზიაში დენი გამოირთო. თითქოს ამ ვარაუდის დასტურად ტელევიზორი ბუზუნით ქრება. ფაფუ დენი. დიდი ხანია, არ წახულა. გადაირევიან ავსტრალიელები, იტყვიან. ამ უშუქო ქვეყანაში რა ბიზნესი გამოვაო. მოდი, დაერეკავ სადმე, გავიგებ. ეკონომიის მიზნით გერმანურ-გრაფიკისულ-ჩაოულბრივი ამორთვია, ავარია-კატასტროფა თუ დიერნია. ტელეფონიც მკადრებით დუმს. ეტყობა, არც სატელეფონო სადკურს შერნა ხინათლე.

სიბრმავე იწვევს სიყრუეს.

ბრმა, ვრუ და ბლუ ქვეყანაში მცხოვრობთ.

მისაღებში გაუდვიარ. უიმედობა მეძალემა, კოლში აბსოლუტური სიბნელეა, როგორც ურნხულის სტომაქში.

— ეი! — ვეძახი თანამშრომლებს, — აანთეთ ის იაპონური ფანარია თუ რაღაც ჯანდაბაა.

— ფანარი გაუფუქდა, აკუმულატორი დაჯდა და აღარ იტენება.

— ხანთელი დაანთეთ მაშინ, კისერს მოიმტკრევს კაცი.

— ხანთელი გაგვითავდა, თან ყივის მოდულეზაც ვერ მოვისწარით.

ინქარეთ, ბატონო, ავსტრალიელებო, დროზე გაეფორმით დიდი, კეებერთელა, კენერალურ-გენიალური კონტრაქტი. გამოგვიგზავნეთ თქვენი ბედნიერი, უზრუნველი ტურისტები, ნახონ, როგორია უფულო, უშუქო, უტელეფონო, უბატრონო ქვეყანა. ეს ბევრად საინტერესოა, ვიდრე ამაზონის ჯუნგლები, აფრიკის ტროპიკული ტყეები, პოლონეზიის კუნძულები. არსად არაა უფრო მეტი ვილური ვებოტიკა, ვიდრე ჩვენთან. თქვენ გელით განსაკვიფრებელი ხანაზობანი. აქ შეგიძლიათ შეღავათიან ფასად იხილოთ საფონდო ბირჟა უაქციებოდ, ბანკი — უფულოდ, მრეწველობა — უწარმოებოდ! კანონიერი რეკრეაციონები, მომშენილე პარლამენტარები, მთფითია ქუჩის ომები საშუალო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით! დაგაღვივებთ ქართულ ღვინოს, გამღერებთ ხალხურ სიმღერებს, გასროლინებთ კალამნიკოვის ავტომატს, სტენკინის პისტოლეტს და მცირე ყალიბის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტას, ავაფეთქებინებთ ხიდს, დაგაწვეინებთ სამინისტროს, გაგატაკებინებთ ბიზნესმენებს, გაგაძრკვინებთ ბანკებს პოლიციასთან ერთად. ყოველივე ამას გთავაზობთ ტურისტული სააგენტო ვისკო და გამა. ინქარეთ, ჩავაბარეთ თქვენი დოლარები, რომელთა წყალობითაც ჩვენი ფირმა გაფართოვდება, გახსნის წარმომადგენლობებს მთელს მსოფლიოში, თქვენ იქნებით



ჩვენთან, ჩვენ კი ვიქნებით თქვენთან. თქვენც ვაერთობით და ჩვენც მოვიხვეწებით, ბატონო ავსტრალიელებო.

ვდგავარ ჩალუსკუმებულ პოლში და ფიქრით ამ უმაზვილეონიერულეს რეკლამას ვრანდავ. ამ დროს „ალიბაბას ცხრაკლიტული“ მძიმედ იღება და დერეფნიდან შემოჭრილ მკრთალ შუქზე ტატას უებრო სილუეტი ილანდება.

— ვაი, სინათლე არ არის? — უკვირს.  
 — აბა, აბა, საოცარია პირდაპირ, — ვხშიანები წყვლიადიდან.  
 — კი მაგრამ, ავსტრალიელები? ბედი არ გინდა!

— მაგაზე ვფიქრობდი ახლა. შესაძლოა, ასეც ვობდეს.  
 — ეგ როგორ? მეტყვი?

სიბნელით ვსარგებლობ და ტუნებში ვკოცნი. ერთ ხანს მომეკვება, მერე მიშორებს, კაბინეტში შევდივართ, ჩემს საკარძელში ვუდები და მუხლებზე ვისუჯამ, ერთხელაც ვიპყრობ მის დიდროს, ვნებიან ბაგეებს, ხელს იდეალურად მრგვალ მუხლზე ვადებ. ტყავადაკრული ღრმა საკარძელი თითქოს ნეტარებით ჭრიალებს. ზურვით ვვრძნობ ამ შესანიშნავი ნივთის კომფორტაბელურ სირბილეს, მაგრამ ტატა უეცრად სხიპაჲს ალერსს და ჩამწურჩულებს:

— დაიცა ახლა, ნუ ამწეწავ. სამი საათი ვიპრანჭებოდი.  
 — სტუმრები ვინდა გამივიეთ? — ჩურჩულითვე ვპასუხობ.  
 — როდის ჩამოდიარ? — სამზე აეროპორტში უნდა ვივით.  
 — ახლა რა დროა?  
 თერთმეტი ხდება.

— კარგი, თავი დამანებე-მეთქი, ამას ვლობია, რაღაცა მოვიფიქრეო, ის მითხარი, — ჩემს ტყეუობას თავს აღწევს, სამოსს ისწორებს და დივანზე ჯდება.

უცებ ტელევიზორი შემაშინებლად იწყებს ზრიალს, პოლში სინათლე კაშკაშებს, ოფისის სიღრმიდან ალტაცების შეძახილები მოისმის. ათასობით ადამიანს უზარია და ქალაქში მძლავრი და-  
 7. „მნათობი“, № 8

დებითი აურა ტრიალებს. ვერსად იფიქრებდა ბატონი ედისონი, რომ მანამ — ოდესმე მის შესანიშნავ გამოგონებებს — ნათურებს, ტელეფონს და მისთანებს — ასეთნაირი სიხარულის ვეკრდითი ეფექტი აღმოაჩნდებოდა. კაცობრობა ნამცეცობით მოიპოვებდა ცოდნას. მეცნიერული მიხვედრები და აღმოჩენები კაპიკაპიკ გროვდებოდა ცივილიზაციის ვულაბაში. პროგრესის ვენელოგიურ ხეს მძლავრი ღეროც გაანჩია და პატარ-პატარა უღლეური შტოებიც, საღლაც — კენწეროსკენ ატფორცნილან დისპლევები, პალოგრამები, კიბერტვიენები... აქ კი, ტალახიანი მიწის სიახლოვეს უადგილოდ განზე გაშვებულ შეუფოთლავ ხმელ როკზე ბედნიერება მოაქვს იმ უბრალო ამბავს, რომ ნათურა ანათებს, ტელეფონი რეკავს, ონკანში წყალი მოდის, მთელს დუნიაზე აქლა შეშხარაინ ედისონის გამოგონებებს... იქნებ ეს აზრიც გამოდგეს ავსტრალიელთა დახანტერესებლად, იქნებ ესეც უნდა ჩაიწეროს იმ საღალობო რეკლამაში.

— ახლა ვველაფერ ამას ტატას ვუამბობ და სიცილით გულს მოვუჯერებ, მაგრამ ლაპარაკი მეზარება.

— ედისონი და გამა! — წარმოვთქვამ ამოოხვრით.  
 — რა თქვი?  
 — არაფერი... მოდი ჩემთან.  
 — არა. არ ვინდა, რა, ვასიკო! ხალხი მიდი-მოდის.  
 — აილე ვასალეუი და გადაკეტე კარი.  
 — არა. დღეს არა. არავითარ შემთხვევაში.  
 — რატომ?

— აი რატომ, — დგება და მთელი სიგრძე-სიგანით მენახვება. ახლავა ვხედავ. რა საგულდაგულოდ მორთულ-მოკაზმულა. ერთის მხრივ, საქმის საკეთილდღეოდ, ჩემი წარმატებისთვის გამიზნული გულმოდგინება გულს მიჩუყებს, მეორეს მხრივ — ხუნთქვას მიგუბებს მისი ენითაუწერელი სიღამაზე. მართალს ამბობს — არ შეიძლება ახლა მისი კოხტა ვარცხნილობის აწეწვა, მი-

სი მოკლე, ელევანტური კაბის დაჭმუჭუნა, მის სახეზე დიდი გემოვნებითა და ზომიერებით დაფენილი ფერ-უპარილის ახელა.

არ შეიძლება!

### ბაბა № 3

მე მიყვარს ეს ქალი, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, მის გარეშე არსებობა არ შემძლია, მთელს ქვეყანას მიჩრქვინია, მზე და მთვარე მასზე ამომდის. კიდევ ათასი ხალხური იდიომა შემძლია მოვიშველიო ჩემი გრძნობის განსაცხადებლად. ასევე მზად ვარ, ბარე ორჯერ ათასი ორიგინალური მეტაფორა შევთხზა და ვთქვა, რომ მე მიყვარს იგი, როგორც, ხან მღელვარე და ხან მოლივლივე ზღვას, მზით ახურებული კუნძულის ნაპირი, რომელსაც მუდამ ეხვევა და ირგვლივ ევლება, ანდა როგორც ხან კამკაპა და ხან ღრუბელაქონრილ ატმოსფეროს ნაყოფიერი და კეთილი დემამიწა უყვარს.

მასაც ვუყვარვარ. კვლავ ცნობილ გამოთქმას თუ მოვიშველიებ, ერთმანეთისთვის უარტ გაჩენილები. ორი წელიწადია, ერთად ვსუნთქავთ, მაგრამ კანონიერი ცოლ-ქმარი მაინც არა ვართ, რადგან ერთობ ყოფითი, ტრივიალური მიზეზი გვაფერხებს. არ გავგანძობია კუთხე, სადაც ჩვენს კერას მოვიწყობდით, საკმაოდ ახალგაზრდა დედ-მამა და სამი უმცროსი და მყავს, ხოლო ტატა უფროს ძმასთან, რძალთან და ხუთ დიშვილთან ერთად ცხოვრობს. ბინები ორივეგან ერთნაირია, სამოთახიანი. მეორეს მხრივ, რა გვეჩქარება? ისედაც ერთად ვართ. თანაც იმდენ დროს და ენერჯიას მართმევს ჩემი საქმე, ახლა ოჯახის შენებისთვის არც მცალია. ფეხზე დავდგებით, წელში გავიშართებით და მაგასაც მივხედავთ. ეგ კი არა, ორი წელია მეხვეწება — ერთხელ გავისეირნოთ ქალაქგარეთ და ბუნების წიაღში მცირე ხანი დაყოთო. ვერასოდეს მოვახერხებ ამ სურვილის ასრულებას. განსაკუთრებით

შემოდგომის ყვითელ ფოთლებზე უსვენობს. შარშან ამ დროს მთხოვნიდან ბუზღუნზე გადავიდა, შემდეგ კი — ჩხუბზე: მომებზრდა კაბინეტური რომანი, ყვითელ ფოთლებთან მინდაო. ქმელება უკუქმედების ტოლია — მეც პრინციპულად დაუხვდი: რა დროს მიაპიტური რომანტიზმი ამ გაგანია ბიზნესობას, მოცლილი კი არა ვარ-მეთქი. ჭიდილში ვძლიე და აი, ჩენი ნანინანატრი ტატა დღეისდღემდე პირადი მღვინისა და ასე ვთქვათ, ოფიციალური საყვარლის სტატუსს სჯერდება, თუმცა გულის სიდრემში კვლავაც ოცნებობს ყვითელ ფოთლებზე, რომლებიც მისთვის, ცოტა არ იყოს დამამაცირებელი მდგომარეობიდან გამოსვლის სიმბოლოდ ქცეულა.

— წელან ვილაცამ დაგირეკა, — მახსენდება უცებ.

— ვინ იყო? — შეკითხება.

არ ვპასუზობ, ვუცქერი და მხრებიდან მუცლისკენ ტკბილი ჟრუნტელი მივლის. ვგრძნობ, რომ კაცი ვარ, ცა ვარ, წყალი ვარ, შემძლია მიწას ვესხურო და დაეარწყულო. კელური სურვილი და უნაზესი სიფაქიზე ერწყმის ერთმანეთს ჩემს გულში. შესაძლოა მხეცად ვიქცე და დაუნდობლად, მაღიანად დაეფლითო ხორცი, ან კი ხელი ისე ნაზად გადაუუსვა ალუბლის ყვავილებს, რომ ერთი ფურცელიც არ ჩამოვარდეს. ჩემი ბედნიერებით მავსებს იმის შეგრძნება, რომ ეს მომზიბლაჟი ქალი ჩემი სათუთი მეგობარია, რომელსაც ყოველ საიდუმლოზეაშიადას ვუზიარებ და ამავე დროს თავაყვეტილი დიაციკაა, მუდამ რომ მზადაა, ენება დამიცხროს და დამიურვოს.

— კაცი იყო თუ ქალი? — შეკითხება.

— შენ ვინ გინდოდა, რომ ყოფილიყო.

— ვინც იყო, ის მინდოდა.

არ ვეჭვიანობ, სრულად დარწმუნებული ვარ მის ასპროცენტთან ერთგულებაში. ამიტომაც ვეჭილიკები ასე იოლად ამ საგანზე. გასაღებს ვავლებ ხელს, რადგან სურვილი მიპყრობს, კარი ჩაერაზო, მკლავებში მოვიმწვდიო და... თავს ვიკაეებ... დღე არ შეიძლება... რა რიჯ არ უთავსდება ეს საზიზღარი არ



შეიძლება სიყვარულს. მაგრამ ზოგჯერ „არ შეიძლება“, „შეუძლებელია“ ნიშნავს. იდიოტურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელშიც არსად არის სასტუმრო, სადაც შეგვეძლებოდა ადამიანურად შეგვეტებო ურთიერთობა. აბა ეს ნორმალურია, რომ საყვარელ ქალთან ლოგინის ნაცვლად ოფისის საყვარძლებსა და ღიანებზე ვეძღვები სიყვარულს.

უწყლო, უშუქო, უფულო, უპატრონო და... კიდევ უსასტუმრო, უბინაო, უსახლკარო.

- მაშ, არ მეუბნები, ვინ ღამირეკა.
- ვილაც მამაკაცმა.
- ვინ მამაკაცმა?
- რომ ვიცოდე, დაუყოვნებლივ მოეკლავდი.

იციინის და კიდევ მეტად მიყვარდება. არავინ იცის უფრო მზისადარი სიცილი. „ეარღი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალად“. ნუ გეშინია, ჩემო სიზარულო, მალე ყველაფერი მოვვარდება. ავსტრალიელები ჩამოდიან დღეს. საქმე აღწუხე დაჯდება. ბინასაც ვიყიდით და ეგებ სახლსაც გამოვკრათ ხელი სადმე სიდნეის გარეუბანში, ლაფვარდოვან სანაპიროზე. ყველაფერი მზადაა საამისოდ. პატივით ვხვდებით სტუმრებს, „მეტეხ-პალასში“ დავუჯავშნეთ ადგილი, პურ-მარილიც მეფური გავამზადეთ, ერთი სიტყვით, ქართული სტუმართმოყვარეობით მოვაჯადოვებთ.

თერთმეტი საათი შესრულდა.

ხუთი საათიღა რჩება ავსტრალიელუბის ჩამოსვლამდე.

- საქმე ბევრი გვაქვს? - მეკითხება ტატა.
- საქმეც ის არის, სანატრელო, რომ საქმე სულ არაფერი გვაქვს.
- აბა რა ვქნათ?
- რა ვქნათ? რა უნდა ვქნათ, სიყვარულის გარდა.
- ეგ ათი, პა-პა თხუთმეტი წუთი და დანარჩენი, - იციინის ტატა და ღიანზე პოლიეუდელი კინოვარსკვლავის პოზაში ჯდება, მარცხენა ფეხს მაღლა იწვლის გამომწვევად, მოხდენილი ფეხსაცმელით შემკულ პატარა ტერფს ათა-

მაშებს, მერე კიდევ ასრულებს რამდენიმე მოძრაობას სტრიპტიზის პრეზენტაციად, თვალს მზიარულად მიკრავს, მერლენ მონროსებრ პაეროვან კოცნას მიგზავნის და საყურნალო დიმილით მასაჩუქრებს.

- პა, თორემ იცოდე მოვედი ახლა...

- არა, არა, - უმაღ სერიოზულდება და კლემპოხილად დაბლა უშუებს თავის გასაგიჟებელ წვივებს.

- ისე რა მოხდება, პა? აეროპორტში წასვლამდე მთელი ოთხი საათი გვაქვს. იმ საქმეს, შენი თქმისა არ იყოს, ათი, პა-პა, თხუთმეტი წუთი უნდა... მერე ისე მოწესრიგდები, უკეთესადაც გამოიპრანჭები. დრო თავზე საყრელადაა.

- მაგაში არ არის საქმე. განწყობილება არა მაქვს. როგორ ავიხსნა, სულ სხეანაირ, საზეიმო გუნებაზე ვარ, - რატომღაც ცრემლი უკრთება ხმაში.

- პო, კარგი, ნუ ნერვულობ, გეზუმრე. განა არ მესმის შენი, - ვამშვიდებ მე.

- იცი, ძალიან მიყვარხარ, - მეუბნება, თვალები მართლაც თავგანწირული ერთგულებით აქვს სავსე.

ღმერთო, შენ გვიხსენ და დაგვიცევი. დაიფარე ჩვენი გრძნობა, ნუ ჩაკეითელი სიძვის ცოლვად მე და ჩემს ქალს ყოფითი სიდუხჭირისგან გამრუშებულ სიყვარულს. შენ იცი, არა გცოდავთ, ღმერთო... შენ წინაშე რა ცოლვა აღარ ჩაუდენია ადამიანს: წარღვნამდელი წარწყმედით და სოლომომორით მოყვლებული, რა აღარ უნახავს შენს მოწვალე თვალს: კუნძულ ლესბოსისა თუ ძველი რომის ბაკხანალიები, კალიგულას და ნერონის ბილწება, შუასაუკუნეთა მონასტრების ორგები, თანამედროვე გრუპენსექსები თუ პორნოინდუსტრია. დიდება შენდა...

- კახანოვა და გამა! - ვამბობ და ვიღიმები.

- რა მითხარი?
- არაფერი. ერთი აზრი მომივიდა.
- რა აზრი?
- მთელი ოთხი საათი ჩვენს განკარგულებაშია. საქმე არაფერი გვაქვს, გა-

რეთ შემოდგომაა, მანქანაში სავსე ბაკი ბენზინია... — ჟერდები, ეფექტურ პაუზას ვიჭერ.

— მერე? — აღლევებას ვერ მაღავს ტატა. ერთხანს კიდევ ედუმვარ და ბოლოს უბრალოდ ვეუბნები:

— წაიდე თუ ვითელ ფოთლებთან.

ვერძნობ, რომ მზად არის მომვარდეს და სიხარულით კისერზე ჩამომეკიდოს, მაგრამ თავს იკავებს, დგება, მოდის, საქმიანად მისწორებს ჩემს სოლიდურ — ბიზნესმენურ — ჭადარანარევ ვარცხნილობას და თუმც ხელი უთრთის, სრულიად მშვიდად, აულელვებლად მეუბნება:

— კარგი, წაიდე.

#### ბამბ № 4

წვიმს. ჩემი „ტიგული“ სარკმლის საწმენდი ცოცხების შარიშურით მიუყვება თბილისის ქუჩებს. სალონში სიმყურღოვია. გვერდით ტატა მიზის. ქალაქი მოწყვნილი და დაბლვერილია. ჯერ მხოლოდ მორიდებით ეინქლავს, მაგრამ გამვლელებს მაინც უიმედობას ვატყობ. ცხადია, არ გამოიადარებს, პირიქით: ახლა თუ ცრის, მერე და მერე თქორი, თქეში და დელგმა არ აკცდება. უხვად გვექნება აგრეთვე ტალახი, სეტყვა, ქარიშხალი, შხვა, ჭყაბი, წუნწუხი და კოკისპირული თავსხმა.

— ვინდა გაკოცო? — მეკითხება ტატა.

— მინდა.

ჩემკენ მოიწევს, ტუნებს და ენისწვერს საფეთქელზე ოდნავ მაკარებს, მერე ყერიმალს ნაზად დაუყვება და ამბორს კისერზე, ყურისძირას ამთავრებს. გზას თვალს არ ვაშორებ, საჭეს მტკიცე ხელით ვმართავ, თითქოს ნიშნს ვუკვებ ცრიატ ქუჩას, მოქუფურულ სახლებს და მოსაუბედებულ ადამიანებს.

— რა ხდება? — ტატა სავარძელში სწორდება და გულმოსული შექყურებს გზისგადამლობავ ბრბოს, რომლის გამოისობით იძულებული ვარ ხვლა შევანელო.

— მიტინგი თუა, — ეტყულებოდა იმ ბედოვლითმა სადღეისოდ გამოაცხადა, მოდით და მხარი დამიჭირეთო.

— არა მგონია, მაგის მოწოდებას ამდენი ხალხი გამოეყვანა ასეთ წვიმაში, — ვადაჭრით უარყოფს ტატა ჩემს ვარაუდს.

ვიღაც მრისხანესახიანი პიროვნებები მუქარით მიბრძანებენ, ვაჭერლე ან სულაც მივბრუნდე და უკან წაიდე. სხვადასხვა ასაკისა და სოციალური სტატუსის მქონე ქალები და კაცები მაგისტრალზე ჯგროდ მწკრივდებიან და ქუჩას ერთიანად ღობავენ. იქვე პოლიციელები დაბორიანლებენ უმწეოდ. ადამიანები ალაგ-ალაგ პატარა ჯგუფებად შეჯარულნი გაცხარებით ბჭობენ, დანარჩენები დახეულნი ლანდურად მიმოიხზრიან. ვხედები, რომ ვაკლა შეუძლებელია. ვცდილობ, მანქანა მოვატრიალო, ამასვე სწადიან სხვა მძღოლებიც.

— ესენი ვაკოტრებული შეანბრებები არიან, — ამბობს ტატა.

— მე ამას დიდი ხანია მივხვდი, — ვბასუხობ და საჭეს გამწარებული ვატრიალებ, ჯერ მხოლოდ სანახევროდ ვახერხებ შემობრუნებას, გამოხერილი ვარ შუა ქუჩაში.

— უბედურები, — ებრალება ტატას საწყალი ხალხი.

— შენ ისა თქვი, ამ ცხელ გულზე მართლა თუ იმ მიტინგს დაუჭირებს მხარი.

გზის მოვლით ვცდილობ ქალაქიდან გახვლას, ვიწრო შუკაში მივიზღახნები სხვა ჩემებრ იძულებით შეფერხებულების კვალდაკვალ, წამდაუნუმ მიხდება მანქანის შეჩერება, მარცხენა ფეხით პედალს ვაწვავლებ, ლამისაა დაეწვა კონუსი. ისედაც ძლივსაა ჩემი მანქანა, ცოტაც-და ჯართად ვადაძეკევა. ჯანდაბას. ახალს ვიყიდი, „მერსედესს“ ან „სიტროენს“. ვისეირნებთ მეღბურნის ქუჩეში. კოცნობა მერე ნახე. მე შენ გეტყვი და, ვისიმე მოგვერიდება, ვინმეს გაუკვირდება ავტომობილში მოაღერსე წყვილი, თუ რა... ისე, კაცმა რომ თქვას, დიდად აღარც აქ შეგიცხადებენ, ამ თვალსაზრისით, უკვე დავეწიეთ კაპი-

ტალისტიკებს. სინქარების ბერკეტის ნაცვლად მარჯვენა ხელს, ვითომ შემთხვევით, ტატას მუხლზე ვათავსებ და ისეთ მოძრაობას ვაკეთებ, თითქოს სინქარე მესაქე პოზიციიდან მეოთხეში გადავადვალეს.

— განერდი, სირცხვილია.  
 — სირცხვილი ეს კი არ არის, არამედ მოქალაქეების გაცუცურაკებაა ფალბი სატრასტო კომპანიების და ფინანსური პირამიდების საშუალებით, — ვეუბნები და ხელის ფათურს განვაგრძნობ, — ასევე ძლიერ სირცხვილია მთავრობის საკონტროლო ორგანოების მიერ ხელოვნური აფიოტაჟის შექმნა კერძო ფირმების გასაკოტრებლად, გარდა ამისა, ყოვლად სამარცხვინო პოლიტიკურ მიტინგზე მხარდამჭერებად გამარცხვული მეანობრების მოხმობა. აგრეთვე...

— ვასიკო, რას შერები! — ძალისძაღლით იშორებს. ჩემს აცელქებულ ხელს ტატა.

— მთავრობის ორგანოები არ ვიცი და, ქემები ნამდვილად კარგავენ კონტროლს, — ვამბობ სერიოზულად, — დაიცადე, კავიღეთ ქალაქიდან და გინეენებ სეირს. გზა მითაეისუფლდება, თამამად ვუმატებ სელას. მიქრის მანქანა, მიაშიშინებს ტლაბოებს. წელან „მერსედესზე“ და „სიტროენზე“ რომ ვოცნებობდი, ამით უსამართლოდ ვექცეოდი ჩემს „ფიგულს“. რა ხანია, ერთგულად დამატარებს, დამახეირნებს. ეს იგივეა, მელბურნში წვაღ და სხვა ქალს შევირთავმეთქი, რომ მეფიქრა. რას იზამ, ძვირფასო ავტომობილო, შენ ზომ ქალი არა ხარ, რომ თან წავიყვანო. ძალიან მიყვარხარ, მაგრამ უნდა გავცილო ან გავასაჩუქრო, აბა რა გიყო, ჩემო შიდაწვის კარბიურატორიანო მეგობარო.

— ვაი, რა სიღამაზეა, — ბავშვივით ხარობს ტატა, — ვააჩერე რა, აი ამ ზესთან.  
 — დაიცა, ვერ ქალაქიდან არც კი ვავსულვარო.  
 — გეუბნები. ნახე, რა წითელი ფოთლებია, ასეთი შეიძლება იქით აღარც კი შეგვხედეს. თანაც წვიმამ გადაიღო.

— ნება შენია. ოღონდაც თმავეღვალსიველდება, იცოდე.

— არა უშავს, არ დამისველდება.  
 — კი, ბატონო, როგორც გეუნბოს.

გახარებული მირბის ცეცხლისფერ ხესთან და მართლაც საოცარი სიღამაზის ტოტებს ასცქერის, მერე თითის წვერებზე იწვევა, ცდილობს ერთი რტო მოწვევითოს, სველი ზე წვეთების კასკადით უმასპინძლდება, თითქოს აღმასვლის სეტყვით იგერიებს აბუზარ მომზვდურსო. ამ სურათის ფერწერული ხიბლი ნათლად მიჩვენებს ქალური ლტოლვის მიზანს, რომელსაც მე მუღამ უაზრო აკვირებად მივიჩნეე, მაგრამ იმავ დროს ვერაც თვალში მაქვს ჩარჩენილი გამწარებულ-გადატაკებული ადამიანების ლანდები, ქუნის გადაღობვით რომ ცდილობენ ნაგვიანევი საშველის პოვნას, იქვე კი ხელკეტხიანი პოლიციელები მუქარიით დაბორიღებენ და ეხვები, რომ მართალი მე ვარ, რომ ფუჭია ამ ხის სიღამაზე, რადგანაც ღმერთმა დიდი ხანია გამოგვამევა ედემიდან და მას შემდეგ ზეღაც აღარ გვიყურებს. მან მოგვატოვა და ვერ ვაგვივია, რატომ განვეირისხდა, გადავავიწყდით, გვემალება თუ სულაც მოგვიკვდა. დიახ, ის მოკვდა და წითელფოთლება ხის ფონზე ჩამოქუფრულ ვეება ღრუბელში შეფრიღან ათიათასწლოვან ომებში დაბოცილების, რბევებში წამებულების, კოცონზე ცოცხლად დამწვრების, გაზის კამერებში გამომღრჩვალების, აფეთქებებში დაფერფლილების, გამოსხივებით სისხლგამშრალების ტანჯული სულელები.

— ნიცშე და გამა! — ვამბობ და ტატას დასახმარებლად მივეშურები.

— აი, ის ტოტი მომიტეზე!  
 — ინებეთ, ქალბატონო, კიდევ რომელი?

— მეტი არა, დანარჩენი იქით ვნახოთ, ქალაქიდან რომ გავალთ.  
 — ესე იგი, მთელი ქალაქის შემოგარენი უნდა გადავლევოთ?

— პირიქით, მხოლოდ ულამაზესი ნი-  
მუშები უნდა ავარჩიოთ. ცოტა და საუ-  
კეთესო.

— აბა, ეს „ვეითელი ფოთლების კონ-  
სტიტუციაში“ წერია, არა?

ტატა თანხმობის ნიშნად თავს მიქ-  
ნევს და თავის ნადავლს შექხარის. მე კი  
ამ დროს უეცარი კუჭის ტკივილი მიე-  
ლის, თითქოს წვრილი შამფური გამი-  
ყარეს გულისკოვზის ქვეშ. ნამდვილად  
წყლული მაქვს, საკმარისია ოდნავ მომ-  
შვიდევს, იშწამსვე მწარე გვემას მიწყებს  
სტომაქში. ნეტავ რა მიკვირს. ამბობენ, კუ-  
ჭის დაავადებებს უთავბოლო კვების  
რეჟიმში, სისტემატური სტრესები და  
მიუსაფრობის პერმანენტული განცდა  
იწვევსო. არც ერთი მათგანი მე არ მაკ-  
ლია...

ერთ დროს ამ მხარეში, თუ მეხსიებე-  
ბა არ მღალატობს, რამდენიმე ჩინებუ-  
ლი სახინკლე იყო. იქნებ ჩვენს დღეებ-  
საც შემორჩა იმათი ძველი დიდება. ნამ-  
დვილი მგელი ვარ: რაიმე უნდა ჩავახ-  
რამუნო.

## ბაბა № 5

წვიმა ძლიერდება. ქალაქი უკან რჩე-  
ბა და ნისლოვანი ფარდის მიღმა თვალს  
ეფარება. ვზის ორთავე მხარეს ბორ-  
ცები და გორაკები ჩარიგებულან, თი-  
თოეულ მათგანს თითო სოფელი შეუს-  
ვამს მხარზე. საღდაც აქეთ, მარჯვნივ  
მეგულება ერთ დროს განთქმული დუ-  
ქანი. მგონი, ტატაც არ იტყვის უარს  
ცხელ-ცხელ ხინკლებზე. თუმცაღა  
ფრთხილად უნდა ვიყოთ, თორემ ბანა-  
ფური კონფლიქტი არ ამცდება, ყვაი-  
ლების, სუფთა ჰაერის და ხმელი ფოთ-  
ლების სანაცვლოდ მთვრალი კაცების,  
ლუდისა და ხორცის ოხშივარს თუ შე-  
ვთავაზებ. დავიჯერო, იმ ოხერი სახინ-  
კლის მახლობლად ხე არ იდგება?! პო-  
და, ტაქტიკურად მოვიქცევი — შორიახ-  
ლოს მივალ და ბუნების ნობათით გულს  
რომ იჯერებს ეს ჩემი ქალი, იქნებ მე-  
რე კუჭის საზრუნავიც გაახსენდეს. ასე

ვიზამ, ახლა მარჯვნივ <sup>გაქვს</sup> და <sup>ჩემი</sup> გზაც  
გზაც ასეთი უნდა: მთვარის ზედაპირი-  
თაა დათხრილ-დაკრატრებული, ასფალ-  
ტისაგან მკრთალი ხსოვნადაა შემორჩე-  
ნილი. ასეთ ტალახში აღმართზე ან ავა,  
ან ვერა ჩემი მანქანა. აბა უცალოთ, ოღ-  
ონდ ფრთხილად, ემანდ უფსკრულში არ  
გადავიჩხოთ. აუჰ, მგონი მოცურებას  
ვიწყებ, ლაფი საპოხივით ასრიალებს  
ბორბლებს. არა, არა!.. მანქანა კონტ-  
როლს კარგავს. მარცხნივ მივექანებით.  
წამიც და ხრამში გადავეშვებით... ვვი-  
შველე, ღმერთო... ისე მოვეცურდი, რო-  
გორც ვინულზე იცის... საჭე იქით უნდა  
მივმართო, საითაც ინერცია მიგვითრევს,  
მხოლოდ იქით და არავითარ შემთხვე-  
ვაში პირიქით, თანაც მუხრუჭს არ უნდა  
გავვკარო, თორემ სიკვდილი არ აგვი-  
დება! ასე, ან ასე... მგონი გადავარჩიო...  
ძრავი ხრიალით ქრება, ტალახში ჩაფ-  
ლული ეჩერდება... ყოჩაღ მე... გამა-  
ლობ, უფალო...

— რა იყო ეს, ვასიკო? — მეკითხება  
ტატა.

— არაფერი, ტალახზე მოვეცურდი, —  
ვეუბნები, კიდევ კარგი, ეს ყველაფერი  
ისე სწრაფად მოხდა, შემინებაც ვერ  
მოასწრო. მეც ახლავ ვიგრძენი მანდ-  
რავი. აუჰ, რა გადავარჩიო, ბიჭო! ახლა  
ფრთხილად უნდა მოვეშორდე უფსკრუ-  
ლის კედლს. თუმცა დაიცა, ჯერ სული  
მოვითქვა. გავფურებ ჯანდმორეულ მთა-  
გრებილს. „ეს ჩემი სამშობლოს მთე-  
ბია“. მართლა რა ლამაზია, ეს უპატ-  
რონო. ბუნების სურათი დამამშვიდებუ-  
ლი ფლუიდებით მასაჟურებს, თითქოს  
მარადიული აუღელვებლობის უსაზღვ-  
რო მარავიდან ერთ მცირე წილს მეც  
მითმობსო. წვიმა, ბურუსი, ბექობი, ხე-  
ები და ამ პარმონიის სხვა მონაწილეებს  
გულარხინიად მიმზერენ, აქაო და, რა-  
ღა გინდა, ხომ გადარჩიო. თუმცა ეგენა  
არც მაშინ შეიზრიდნენ წარბს, ჩემი მან-  
ქანიან-ქალიანად ამ ციცაბო ფლატზე  
კისრისტეხით რომ ჩავეყრავებულაყავო.

— აქეთ რა გინდოდა? რატომ ამოუხ-  
ვიე? — მეკითხება ტატა.



— რა ვიცი, ზემოთ კარგი ადგილები მეგულებოდა.

— არ გეინდა, ნულა წავალთ ზემოთ.

ძრავს ექოქავ და ფრთხილი უკუსვლით ვეცლები შემთხვევის ადგილს. კელაე ტრასაზე ვბრუნდებით და გზას განვაგრძობთ, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს. კაცმა რომ თქვას, მოხდა რო?

ყურადღება! წინ საგზაო პოლიციაა! არაფერი დამიშვებია, მაგრამ მაგათთან საქმის დაჭერა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. კიდევ კარგი, ჩემთვის სულ არა სცალიათ — ევება სატვირთო მანქანები ჰყავთ გამოჭერილი. ვაჭრებს, ალბათ, პროდუქტები მოაქვთ გასაყიდად თბილისში. პო-პო-პო, რას გაფცქვნიან საწყალ კომერსანტებს საწყალი პოლიციელები! ვაზურებული კამათია, ეტყობა, ქრთამის ფასზე ვერ შეთანხმებულან. ყველაზე კარგი ისაა, რომ მე ზედაც არ მიყურებენ, სულ არა სცხელათ ჩემთვის ამ წვიმაში.

— რა ხდება? — ინტერესდება ტატა გზად შექმნილი ვითარებით.

არაფერი ისეთი. ჩვეულებრივი სამტატო მარცვია, კვარტლის გრაფიკის მიხედვით, ზემდგომი ორგანოების მითითების თანახმად. კორუფციის წლიური გეგმა ვადაზე ადრე შესრულებულია. გზებზე ამოღებული ქრთამის საერთო ოდენობამ ორჯერ გადააჭარბა შარშანდელ მაჩვენებელს.

— ნეტავ აი იმ მთის მწვერვალზე ვცხოვრობდეთ, — ნატრობს ტატა.

— აბა რომლის? აჰ, ეგ მწვერვალი დაკავებულიაო, მითხრეს. რომელიმე სხვა მწვერვალი ავირჩიოთ და დღესვე შევუდგეთ სახლის შენებას.

ტატა არ იცინის, ეტყობა მაინცდა მაინც არ მოსწონს ჩემი სატირა და იუმორი. მართალიც არის: საირონიო და საშაყირო არაფერია — დედამიწის რომელ კუთხეში იპოვი უკეთეს სააგარაკო ადგილს. რატომ არ უნდა მქონდეს აგერ, თუნდაც აიმ მაღლობზე ერთი კოხტა ორსართულიანი ვილა, თავისი პარკით, ბაღით, პატარა ვენახით, აუზით, გა-

რკით, ვერტა-ლი-ოტით! პოდა, ყველა ფერიც გვექნება! დაიცა, ჩამოვიდნენ ჩემი მი აესტრალიელები, ეგ აესტრალიელები ევები ევანი!

— ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე, ორი აგარაკი გვექნება, ერთი აქ და მეორე ფლორიდაში, — ვეუბნები ტატას და გაბალისებული სიჩქარეს ვუმატებ.

— ფრთხილად იარე რა, ვასიკო, წვიმაა, შენი ჭირიმე.

— როგორც მიბრძანებ, ჩემო თვალის სინათლე, — სვლას უკიდურესად ვანელებ, — ასე კარგია?

— ასე სჯობია.

— მაშინ ერთხელ კიდევ მაკოცე.

ტატა იხრება და ჩემი მარჯვენა ფურის ბიბილოს ტუნებით ფრთხილად ისრუტავს, ნელნელა მთელს ნიჟარას პირში იქცევს და ენისწვერით უნახესად მეაღერსება. მარცხენა ხელს თმებში მიცურებს და კეფიდან ისეთი ფრუანტელი მეღვრება სხეულში, ლამისაა საჭკვს ხელი ვუშვა. ფრთხილად, თორემ ტალახსაც ეს უნდა: ჩასაფრებულა ბორბლებქვეშ, ფლიდურად განრთხმულა გზაზე და შემთხვევას ეძებს, რომ დაგვდუპოს და გაგვანადგუროს, იმიტომ, რომ ტალახი-ტალახია, მატერიაა, რომლისგანაც ღმერთმა ადამიანის სხეული გამოქერწა. მატერიაა არაარობაა, სიბნელეა, რადგან სინათლე არ აბადია, ბოროტებაა, რადგან სიკეთე არ გააჩნია, სიცარიელეა, რადგან სული რა უდგას.

— შეგჭამ, — ჩამწურჩულებს ტატა.

— ვნახოთ, ვინ ვის შეჭამს, — ეპასუზობ მე.

— მიყვარხარ ძალიან, ძალიან.

— შეხედე, წვიმამ ისევ გადაიღო.

— ვიციოდი, რომ გადაიღებდა. არ შეიძლებოდა, რომ არ გადაეღო. ნახე, რა ლამაზია ირველივ ყველაფერი.

— ყველაზე ლამაზი შენ თვითონ ხარ, — ვეუბნები და ვცდილობ მეტი ყურადღება მივაქციო გზას, რადგან უცაბედი შიში მიპყრობს — წელანდელი მოსრი-ალბა მახსენდება. ტალახი, ლაფი, მწვირე, წუშვე — ჯოჯოხეთის და ეშმაკის სინონიმი. ტალახში ჩაფლობა, ლაფში



ამოსვრა, წუმბეში ჩაძირვა მსოფლიოს ყველა ენაზე ემპაისთვის თავისმინებუბას ნიშნავს. დიდი სიფრთხილე მართებს ადამიანს, თორემ „ცა“ და წამში შევიხუნთქავს ქვესკნელი. ვინც საიქიოში მოხვალ, იკითხავ: რატომ, რის გამო გადავეკარდი უფსკრულში, რატომ დაეხეთქა მანქანა კლდეს, რატომ აფეთქდა ბენზინის ავზი და ასე ახალგაზრდები, ასე სიცოცხლით სავსენი ცეცხლმა რატომ გვეშთანთქა? მამ რა გესაქმებოდით ტალახში, ძვირფასებო, მივიღებთ პასუხს, რატომ მოსცხეთ თქვენს სულს მწვირე და ლაგაზი, რატომ ამოგანგულზხართ უზნეო ჭუჭყში. აგერ, იცნობდეთ მილიონობით თქვენნაირებს, ვინც ოდესმე გაუფრთხილებლად ჩაუვარდა ხელში სატანას. დიახ, ახეთი იქნება პასუხი და ამიტომაც, რასაც არ უნდა აკეთებდე კაცი, ტალახის საფრთხე არ უნდა გამოგჩრქეს მხედველობიდან, თუნდაც ყველაზე სუფთა საქმეს ემსახურებოდე, თუნდაც ლოცულობდე, თუნდაც საღვთისმეტყველო ტრაქტატს წერდე, თუნდაც თავად რწმენის სიწმინდეს იცავდე — მაინც ფიზიკლად უნდა უთვალთვალო არემარეს, რათა დროულად შენიშნო შეშპარავად მოცოცებული მაცდური და, შენიშნავ თუ არა, დასწვდე პირველსავე ხელთმოხვედრილ საგანს, თუნდაც ეს ყოვლად მშვიდობიანი ნივთი იყოს, ვთქვათ და სამელნე, რომელიც მხოლოდ დამხმარე ხელსაწყოა კეთილ შრომაში და არამცდარამც არ არის იარაღი და მაინც უნდა მოიმარჯვო, ვადააქციო მძუსკრელ ძლიერებად და შეძახილით: „განვედ ჩემგან“, უწმინდურს სტფორცნო.

— მარტინ ლუთერი და გამა! — ვეუბნები ტატას.

— რას აგინებებია ეს „გამა, გამა“?! — უკვირს მას.

— არაფერი. ისე. ცხელ ზინკალზე რას იტყვოდი.

— ჭამას საღამოს ბანკეტზეც მოვასწრებთ, ახლა კი, სანამ არ წვიმს, იქნებ ცოტა კიდევ დავეკრიფო რამე საეკიბანო.

დღესვე გავაკეთებთ თავიგულეზს [საქმარაქმ] ტო დარბაზის მოსართავად [საქმარაქმ] სტუმრებს მოეწონებათ და ესე იგი საქმესაც წაადგება.

— ორიგინალური აზრია, უაღრესად პრაქტიკული ქალი ხარ, მიუხედავად რომანტიულობისა: დავეყაროთ მოძმე აესტრალიელებს სამი ცენტრები ხმელი ფოთოლი.

— რა ხუმარა ხარ?

— ოხ, შენი თავი მომცა ახლა ყვითელი ფოთლების დიდ ზეინში.

ახლაც მართალს ამბობს ტატა, ჭამასის საკითხში ბანკეტამდე მოთმენა ჯობია. მოსო, რა პურმარული გველის ამ საღამოს. იფ-იფ-იფ... ვარვენებთ ნადიმის ხელეწიებას დასაველელ პარტნიორებს. თუმცა, რატომ „დასაველელებს“? აესტრალია ხომ სამხრეთ-აღმოსავლეთშია. მაინც დასაველელები არიან ეგენი და ჩრდილო პოლუსიდანაც რომ იყენენ, მაინც გავაბამთ სტუმარ-მასპინძლობის კაკანათში. შევასწავლით სუფრული დემოკრატიის საფუძვლებს და ვაზიარებთ პახმელიაზე გამოსვლის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს.

მიყვარს ქეიფი და რა კენა?

## პაპა № 6

აგერ, შემოდგომის ყვითლებით მოფარდაგებული ერცელი ბუჩქნარი, მის მიღმა კი ვადახუნებული მინდორი. მართლაც, რა მშვენიერია. მივალწიეთ მოგზაურობის ძირითად მიზანს. ვაშა! სხვა ამქვეყნად აღარაფერი გვინდა. ინებე, ჩემო ოცნების ქალბატონო! პორიზონტიდან პორიზონტამდე გაზიდული ეს თავიგული მუხლმოდრეკილს მომირთმევი.

მანქანას ვაჩერებ, გადმოვივიარ და პომპეზური ფესტის თანხლებით ვაბობ:

— ეს ყველაფერი ჩენგან — შენ!

— მაღლობთ, — მეუბნება ტატა და გახალისებული მიღიმის.



შეცქერით დიდებულ გამოფენას. ნაწიმიარზე ისე კამკამებს ყველაფერი, თითქოს ღვთაებრივ მხატვარს ამ წუთს დაუმთავრებია შედეგების ხატვა და საღებავი ტილოს ჯერ არ შეშრობიაო. ყვითლის ათასგვარ ინტონაციაში ალაგ-ალაგ ქაობისფერი მწვანის შტრიხი ან შეშორჩენილი კენკრის წითელია შეზავებული. თითოეული ფოთოლი ხუნთქავს და ტენიან სურნელს გაუქვინთავს მთელი პერი.

— გუმინ შუქი არ იყო ჩვენთან, — მუხუნება ტატა და გაფაციცებით ირჩევს თავის წილ ნატიფ დედაბუნებას.

— ჩვენთან არც შუქი იყო, არც გაზი, — ეპასურობ მუ და ჯიბეებში ხელნაწყო-ბილი, მოღური ლაბადის ფრიალით დინჯად ვათვლიერებ საოცარ კერნისაფს.

— ჩვენთან გაზი კი იყო, ოღონდ ძალიან დაბალი, ძლივს ბჭუტავდა, — მეზმიანება ტატა.

მე ოციოდე ნაბიჯით ვწინაურდები და უცებ შივ ბუნქნარიდან გამოშვერილ შავ გაქქილ ჩექმას ეხედავ. შესაძლოა, ეს ჩექმა მხოლოდ ჩექმაა — უფეხოდ, მაგრამ ვაიდა — ფეხიანიცაა. იქნებ, უბრალოდ ლოთი ღვთის გლახაა და ტბილ სიზმარს ხედავს ჩირგვში თავშეფარებული, მაგრამ ევბ წამებით მოკლული ვიღაცა უბედურის ნახევრად გახრწნილი გვამიცაა. ერთი პირი, ვფიქრობ მივიდე და ნათელი მოეფინო საიდუმლოს, მაგრამ თავს ვიკავებ. ჯობია, ტატა აქაურობას გაეარიდო, რათა ზემი არ ჩაუშხამო, ჩექმის რაობა-ვინაობა კი სამართალდამცავი ორგანოებისთვის დამითმია, თავად მიხედონ ქვეყანაში შექმნილ უკიდურეს კრიმინოგენულ სიტუაციას.

სწრაფად მივრბივარ ტატასთან, თან მხიარულად ვიღიმები, ხელს კვილებ და ვუბნები:

— წამო ჩქარა! — და მანქანისკენ მივარბენინებ.

— რა იყო, რა მოხდა! — მომდევს და თან ცდილობს შეგროვებული ტოტები არ დაეფანტოს.

— ერთი ბრწყინვალე იდეა მაქვს! — მანქანაში ვსვამ, მეც ვჯდები და მანქანისკენ ვიქვლივ.

— რა ბზიკა ვიკბინა?

ალბათ რაიმე უნდა მოვიფიქრო. ნელი სვლით მივდივარ წინ-წინ. იმ ადგილისკენ, სადაც ავისმომასწავებელი ფეხი მეგულება, არც ვიხედები. მოსახვევში ბედად კიდევ უფრო ღამაზ ბუნქნარს ვხედავ. იქვე პატარა ბილიკი შედის ჯაგის სიღრმეში. დაუფიქრებლად ვატრიალებ საჭეს და წამის შემდეგ ჩვენი მანქანა უკვე ისეა დამალული შემოდგომის ვითეულ ფოთლებში, რომ მისი მოძებნა სუპერკრიმინოგენული სიტუაციის აღძვევით ორგანოებსაც კი გაუჭირდებათ. ტატა დაუფარავი აღტაცებით უცქერის ირგვლივ შემოჯარულ წარმტაც სანახაობას, მე კი ამ სანახაობაზე უფრო წარმტაც ტატას მივჩერებივარ. უღამაზესი ცოლი მყავს. უკეთ რომ ვთქვათ, უღამაზესი ცოლი მეყოლება, როცა შევიერთავ, როცა შეძლებულად ვიცხოვრებ, როცა ჩემს საქმეს სარფი ექნება, როცა ავსტრალიელები ჩამოვლენ — დღეს!

— დღესვე ცოლად შევიერთავ, — ვუბნები, — თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ.

— მეც თანახმა ვარ, — მარჯვენა ხელს მხრებზე ვხვევ და ჩემსკენ ვიზიდავ.

— მაშ დღესვე?

— დიახ, დღესვე.

კოცნი ჯერ შუბლზე, მერე თვალებზე, მერე ღაწვებზე, მერე ტუჩებში. ჩვენი მანქანა ჯადოსნურ წყალმცენარეებში გახლართულ წყალქვეშა ნავს ჰგავს. ზედ სარკმელებზე მოუდევით ფერადი ფოთლები სველ მცენარეებს. დღის შუქი აქ ნაკლებადლა აღწევს, თითქოს მართლა ზღვის ფსკერზე ვივით დავანებული. დიდხანს ვრძელდება ჩვენი ამბორი, ბავთა თითოეულ უჯრედს, თითო მილიმეტრს ვიტკობ, მერე კი ჩამოვუწვები მფეთქავ ძარღვს ყელზე.

— მიყვარხარ, — მუხუნება ტატა.

— მიყვარხარ, — ეპასურობ მუ.

— მინდიხარ, — მუხუნება ტატა.

— მინდიხარ, — ვუბნები მე.

— მოდი ჩემთან, — შეუბნება ტატა.

— მოდი, ჰო, მოდი, — ვუბნები მე.

მკლავებს კისერზე მაჭდობს და კიდევ ერთხელ ერწყმიან ერთმანეთს ჩვენი ტუჩები. ბრძენთა არსებაა ქალი პირველქმნილი მშვენიერებისადმი ასეთი სიყვარულისთვის. სიზმრისეულ სიჭრელიდან სიტკბოება მეღვრება ტანში და ვხედობი, რომ შესაძლებელი რამაა ყოველგვარი მიეთ-მოეთის, ამაო საზრუნავისა და ყოფიერი ფორიაქის გარეშეც ბედნიერი იყო ამ ქვეყნად, დასეირნობდე წალკოტში, რომელიც თვით მამაბეციერს შეუქმნია, ჭურეტდე სამყაროს და კოსმიურ მედიტაციაში, თბობაში, ტკობაში, სიყვარულსა და ნეტარებაში იძირებოდე.

— ეპიკურე და გამა— ეწურნულე და ხელით დაეკეპე სავარძლის რეგულატორს.

— შემომიტყუე, არა? — თვალმინაბული ილიმის ტატა.

— შენ თვითონ შემომიტყუე.

— ჩემო ზარმაცო, არათუ დაკრეფა, ფოთლების თვალღერებაც კი დაგეზარა.

— მაქსიმალისტი ვარ, საუკეთესო ფოთოლი თუ არ მოეწვიტე, ისე რა აზრი აქვს ცხოვრებას.

— ჭკვიანი ხარ, — მაქებს ტატა.

— უჭკვიანესი, — მეც ვაქებ ჩემს თავს, ბოლოსდაბოლოს, ვპოულობ დილაკს და სავარძელი ვნებიანი სიზანით გადაადის ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.

კიდევ ერთხელ, მერამდენედ მართალია ტატა: მიუხედავად მთელი ჩემი ბიზნესმენობისა, საქმიანობისა, ენერჯიულობისა და მონალიჩეობისა, რაიც ვარსია მხოლოდ, მაინც სადღაც ძლიერ სიღრმეში უადრესად, უუადრესად ვეებერთელა უზარმაცი ხარმაცი სახლობს.

## პანაქა № 7

ავტომობილში ოქტომბრის დამლევს, წვიმიან აედარში სრულიად გამიშვლება დაუჯერებელი რამ არის, მაგრამ ჩვენ სწორედ ამგვარ დაუჯერებელ რასმე ჩავ-

დივართ. ჩვენი ელევანტურნი, გეტკანდლებულ-გატკიცინებული ტანსაცმის მსახურების კუთხეებში ყრია, საეკიბანე ტოტებში ალუფხული. მანქანის სარკმლებზე შემობურული ჯავნარი დახშულ სივრცეში განმარტობის ილუზიას ვეიქმნის, თითქოს თვით შემოდგომის ხელით დაგებულ ფერად ლოგინში ვეალერსებოდეთ ერთმანეთს.

— ღმერთო, რა საოცრებაა, — ამბობს ტატა და პარპრიზს იქით იცქირება.

— შენ თვითონ ხარ საოცრება, — ვუბნები ერთულაატანილი.

ასე დედიშობილნი ვერწყმით ირგვლივ ალერსით მოლივლივე სტიქიას. ქალის სხეულის სავსე სითთრეს თავბრუდამხვევად მიწვდის ღეთაებრივი კოლორიტით მოელვარე ფონი. ისე ფაქიზად ვეკარებით ერთიმეორეს, თითქოს სხეულთა ყოველი ნაკეთი აედრისგან აცხცახებული ხმელი ფოთოლიაო, რომელსაც ოდნავ უხეში შეხედაც კი დაზიანებს.

— კიდევ, კიდევ, — ალერსის უსასრულობას გამოთხოვს ტატა.

— ჰო, კიდევ, კიდევ, — ექისავით ვეზმიანები და ღეთით ნაქანდაკარი ფიგურის თითოეულ მოცულობას ხელის ფრთხილი მოძრაობით ვიმეცნებ.

— გამათხე, გამათხე, — მთხოვს ტატა და ნიშანს მაძლევს უფრო თამამად, უფრო ძალუმად ჩავეზვიო ცახცახა რტოებს, რადგანაც ვიცით, რომ ვერა ქარი ვერ მოიტაცებს ამ ყვითელ ფოთლებს, ვერა გრიგალი ვერ დალენავს ამ მოქნილ ტოტებს, მხოლოდ შეარხევს, აახმიანებს, აამღერებს, აალამაზებს, გადახლართავს ერთიმეორეს, გამთლიანებს და ცხოველ ძალას, დაულეველ სითბოსა და შევბას მოიტანს.

ჩემი უხეში მოძრაობისგან იჭმუჭნება რბილ სავარძელზე მიმოფანტული კაბა, პიჯაკი, პერანგი. პალსტუხი და სხვა სამოსელი, ხოლო ტატას ფრანგული კოლგოტკა, არც მეტი და არც ნაკლები, იფხრინება რომელიღაც რკინის შეერილზე წამოდებული. კრთის ფიქრი იმ პრობლემათა კომპლექსის შესახებ, რაც

ამ მაღალი კლასის დასავლური ძვირადღირებული პროდუქციის შექმნას სჭირდება ჩვენში და უნებლიედ გაძირბის ხელი, რომელიც ცდილობს ტანსაცმლის გროვა რამენაირად მოაწესრიგოს.

— რა მოგივიდა? — თითქოს შორიდან მობრუნდაო, მეყვსეულად შეწუხებული მეკითხება ტატა.

— არაფერი, — ვუბნები და კვლავ ენებიანად მივიწვევ მასზე, ახლა უფრო გახელებით, ვიდრე აქამდე.

— მოდი ჩემთან, მოდი, მოდი, მოდი...

— ჰო, ჰო, — და მივდივარ მასთან, თავდაცნევებით ვუერთდები ყველაფრის მშობელ ქალურ დასაბამს. ჩემში ხეობს ველური დამპყრობელი, პატრონი მიწის წიაღისა, ქვესკნელში წვიმისა და მეხის ჩამტანი დემონი. იმავე დროს ავტოსალონის არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო შექმნილი დისკომფორტი მაგრძნობინებს, რომ მანქანა შესაძლოა ფუფუნების საგანი იყოს, ანდა მხოლოდ გადაადგილების საშუალება, მაგრამ არამც და არამც — კოიტუსის ადგილი. კოიტუსისთვის — ჰო — საჭიროა კაცს ჰქონდეს ბინა — ჰო — ბინის ყიდვისთვის — ჰო — საჭიროა კაცს ჰქონდეს ფული — ჰო — ფულის შოვნისთვის — ჰო — საჭიროა ბიზნესი — ჰო — ჰო — ბიზნესისათვის საჭიროა კონტრაქტი — ჰო — ჰო — კონტრაქტისთვის — ჰო — ჰო — საჭიროა პარტნიორები — ჰო—ჰო—ჰო—ჰო—ჰო — რომლებიც არიან ავსტრალიელები და ღღეს ჩამოდიან...

— ჰოოოოო...

— ჰოოოოო...

— ჩემო სიცოცხლე!

— ძალიან მიყვარხარ...

— მეც ძალიან მიყვარხარ...

სიტკბობის მწვერვალიდან ნება-ნებით ვეშვები დაბლა, ვდუმდები და მადლიერი ვარ ჩემი ბედის, ტატასი, ბუნების, მანქანის და საკუთარი ფალოსის, რომელსაც ფრთხილად ვიბრუნებ ჩემს განკარგულებაში და, როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ახლაც გულაზიზობის ზიზღიანი შეგრძნება მეუფლება, თით-

ქოს ყველაფერი დასკრილი და დაბინძურებულია, მით უმეტეს, რომ მანქანის ინტერიერში ეს ნამდვილად ასეა.

— რომელი საათია? — მეკითხება ტატა და რადგანაც ჩემი მაჯის ქრონომეტრი სადღაც შმოტკეპშია ჩაყოლილი, ამიტომ ტორპედოს გაყვრებ ფაშთალრიცხვის მიმდინარე მომენტის შესატყობად.

— ორის ნახევარია.

— ვაი, რა კარგია. მე კი შემეშინდა, ზომ არ დაგავიანეთ-მეთქი.

— დაგვიანება კი არა, ერთი-ორჯერ კიდევ მოვასწრებ.

— ვაიმე, გავიყინე, ვასიკო.

— ჩავიცვათ, თორემ ფილტვების ანთება არ აგვედება.

გახზა იოლია, ჩაცმია ძნელი, მით უმეტეს, მანქანაში.

ცდილობ ნელ-ნელა, მისხალ-მისხალ დაჯურუნო ჩემს ტანს სოლიდური ბიზნესმენის კოსტუმირება. თან მეცინება: რა აღარ გადახდება თავს ადამიანს, უფრო სწორად, რას აღარ გადაიხდენს თავს ადამიანი. ეჰ, ვინ მოთვლით, ვის რა უცნაურობა ჩაუდენია, ვის რა სიგიჟე მოუმოქმედნია ამ ქვეყანაზე. ასეთი ამბების გასაგებად, შესატყობად, გამოსაჩხრეკად, გამოსაძიებლად მარადეამს მიმართულია კაცობრიობის ჭორიკანა ცნობისმოყვარეობა, მაგრამ ვაი რომ ისტორია ჯერაც არ იცნობს ამ ტიპის ქმედებათა შემსწავლელ მეცნიერებას. „ბევრი რამ ხდება, ჰორაციო, ქვეყნად ისეთი, რაც ფილოსოფოსთ სიზმრადაც არ მოლანდებიათ“.

— შექსპირი და გამა! — ვამბობ და ვცდილობ შარვალი ჩავიცვა.

— რა შუაშია შექსპირი? — მეკითხება ტატა.

— მართალი ხარ, შექსპირი არაფერ შუაშია.

— აბა რატომ თქვი?

— მე ვთქვი?

— აბა, მე ვთქვი?

— დიახ, შენ თქვი და ამისათვის ღირსი ხარ ერთხელ კიდევ გაგაუპატიურო, — ბოლოს და ბოლოს ვახერხებ შარვლის

ჩაცმას. ეკ, სიცივე რომ არ იყოს, არც ჩაიცივამდი — იქნებ ცოტა ხნის მერე ისევე გახდა დამჭირდეს. დრო მაქვს, ქალი მყავს, მანქანა მაქვს, ყვითელი ბურჯები მყავს, ჩემი გაუმადლარი და დაუცხრომელი თავიც — ჩემს განკარგულებაშია. რა ჩემი ბრალია, ასეთი ხნე რომ მჭირს: დაცლას ვერ ვასწრებ და მყისვე ვივსები ახალი სურვილით. ბრალი კი არა, გულში ვამაყობ კიდევაც ამ უებრო მამრული ძაღლმოსილებით. ან კი სხვა ვინ არ იამაყებდა ნეტავ...

### პაპა № 8

ტატა კატური მოქნილობით ახარხებს კვლავ შემოსევას, უკვე სარკე მოუმარჯვებია და მაკიაჟის წესრიგში მოყვანას ცდილობს. მე პიჯაკის ჩასაცმელად მანქანიდან გადმოვდივარ, ხარბად ვისუნთქავ მაცოცხლებელი ხალისით გაკლენთილ პაერს და უცებ ისეთ რამეს ვამჩნევ, რომ შემფთოებისაგან სული მიგუბდება: ჩემი მანქანის თელები ერთობ ღრმად ჩაფლულან სველ მიწაში. ავიწინათგრძნობით ატანილი ვუბრუნდები მძღოლის ადგილს, ძრავს ვქოქავ, ბრუნთა სათანადო რიცხვს ვაგროვებ და ფრთხილად ვიღებ ფეხს კონუსიდან. შენც არ მომიკვდე — ბორბლები გააფთრებული ტრიალებენ ადგილზე და კიდევ უფრო ღრმად ეფლობიან ნიადაგში, რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ სიმწრის ოფლით მეცვარება შუბლი.

— ვერ არის კარგი საქმე, — ვამბობ ნირწამხდარი.

— გავიჭედეთ? — ხედება ტატა.

მანქანიდან გადმოვდივარ მდგომარეობის შესასწავლად. ვნახოთ, რა გამოვა. ტატა საქვსთან იკავეს ადგილს, მე რაც ძალი და ღონე მაქვს, ვაწვები ავტოს, ეგება თელები ღრმულებიდან ამოვადო. საბურავები ტალახის შხეფებს აფრქვევს და ოფლად გახვითქული ვხედები, რომ ვერც ამგვარად გახვდები რამეს.

უმწიფდ ვიცქირები აქეთ-იქით. ცასაც კი აყურებ, თითქოს ზემოდან მოველო-

დე ნანატრ დახმარებას. ბუნებრივად წაულს — ვეებერთელა ნაჩვენავად ღარკალულ ცისარტყელას ვხედავ. რას მეუბნება ეს ცისარტყელა, რას მომანიშნებს? არა მგონია, რაიმე სასიკეთოს მაირღებოდეს.

— არა ვქნათ, ვასიკო? — მეხშიანება ტატა.

— რამეს მოიფიქრებ, — ვასუსხობ ორტოფულად.

— ჯობია, გზაზე გავიდეთ და ვინმე დავიხმაროთ.

დაიცა, დაიცა, ჯერ ადგილობრივი ძალები მაქსიმალურად გამოვიყენოთ. გამხმარ ტოტებს უხეშად ვამტრევე და თითოეულ ბორბალს მჭიდროდ ვარს ვუწყობ, ეგება ფიჩხს მოეჭიდოს საბურავი. რაც შეიძლება, ღრმად ვტენი ჯოხებს მანქანის ქვეშ და ხან წინსვლით, ხან უკუსვლით ვცდილობ, ხოფანგს თავი დავაღწიო. ტატა თავის სუსტ ჯანს მახმარს — მთელი ძალით აწვევა მანქანას. არაფერიც არ გამოდის. ამასობაში უღმერთოდ იწვის ბენზინი. ასე თუ ვაგრძელებდა, ქალაქამდე გავვითავებდა. რაღაი აეროპორტში ვარ გასასვლელი, მთელი ბაი მაქვს სავესე. იყო დრო, როცა საბარგულში საუაღლებულოდ მედო ხოლმე საწვავის მარაგი, მაგრამ ეს ძველად იყო, ძვირი იყო არ ღირდა ბენზინი მაშინ. იაფი იყო, მაგრამ დუფიციტური, საათობით უნდა მდგარიყვი რიგში და ამიტომ ბარემ მარაგიც აუცილებლად უნდა აველო, ახლა კი პირიქითაა: ქალაქში ყოველი ფეხის ნაბიჯზე იყიდება, მაგრამ ისეთი ფასი ადევს, ბევრს რომ ვერ ვასწვდები, თუ კი განსაკუთრებით მდიდარი არ ხარ. ჯანდაბას ბენზინი, ოღონდ ერთი ამ სველი და ტალახიანი ჯავნარის ტყვეობიდან თავი დამალწვევინა.

— იცი, რა ვქნათ?! მანქანა ოდნავ ავწიოთ და ადგილი ვუცვალათ, — მეუბნება საზრიანი ტატა.

— მაგას მძიმე წონის ძალოსნები უნდა, — ეჭვი შემაქვს წამოწვევის ეფექტიანობაში.

— ეცადოთ, რას ვკარგავთ?

— კი, ბატონო, ვცადოთ.

ვეჭიდებით რკინის გველეშაპს. არ გინდა ამის ადგილიდან დაძვრა? ერთი, ორი და... ო-ოპპ!.. ტყუილად ვიჭინთებით. ძალა შელევა, უიმედობის გააფთრება მივჭრობს. ეს რა ცხოვრებაა, ეს რა ქვეყანაა, მე ამის დედა ვატირე, შეიძლება, ჭკუათმყოფელმა კაცმა აქ გაატაროს ერთხელ ბოძებული სიცოცხლე? არა, ძმაო, არა! ჰაიდა საზღვარგარეთ! დაილოცოს იქაური კომფორტი, მომსახურება. იქ ადამიანს პატივს სცემენ, აქ — ვინ ხარ, ვის დაკარგვისხარ! აღარ შემიძლია, აღარ მინდა საყვარელი სამშობლო! ამერიკა მინდა, ინგლისი მინდა, პარიზი, ფლორენცია, მადრიდი, მონტე-კარლო, ბუენოს-აირესი, ანტარქტიდა, მადაგასკარი... თუმცა ამგვარ ვითარებაში, ახლა რომ ვარ ჩაყარდნილი, სადაც გინდა ვიყო, ვერსად მოვახერხებდი მსუბუქი ავტომობილის აღებას და განზე გადადგმას. ახია ჩემზე.

— რა ჯანდაბა მოუვიდა! — მანქანას უჯვარდება ტატა.

- არაფერიც არ მოხვლია.
- მომეცი ერთი სიგარეტი.
- სალონშია, ერთი მეც მომიტანე.
- რა ვქნათ, ვასიკო?

შეკითხვა რიტორიკულია. სიგარეტს ვუკიდებ, ღრმა ნაფაზს ვურტყამ და ისევ ცას ავცქერი. მზე ღრუბლის სიღრმიდან საცოდავად ჭიატობს. თუკი მეტეოროლოგიისა რაიმე გამეგება, უახლესი წუთების განმავლობაში ნაღვეიანობაა მოხალღნელი. ასეთი ჩამოჯდნული ცა იმედის უკანასკნელ ნატეხსაც უმოწყალოდ მამსხვრევს.

— გზაზე უნდა გავიდეთ, ვინმეს ვთხოვთ დახმარება, — გამოსავლის ძიებას არ ეშვება ტატა.

— ამის აქედან ამოთრევას ტრაქტორი უნდა.

— ტრაქტორის მეტი რა დადის, ბიჭო, ამ ტრასაზე.

— ისე ორზიდიანი მანქანა ან ნებისმიერ საბარგო გამოდგება.

— რაღას უცდი, წამო, — მანქარებს ტატა.

მოთხუანულ ბამპერზე ჩამოვდებარე ვეწევი სიგარეტს არაქათვამცოდნე, გუნებაშიმსხამული. ასეა, ძმაო ვასილ, რას იხამ, ხდება ხოლმე, რომ იღბალი თუ განგება გაუთავებლად ხაფანგს გვიგებს, რადგან ცხოვრება გამოცდაა და ეს ყველამ იცის, ვინაც ცოტალიენი ჭკუა და განათლება გააჩნია. დროებით, გავლით ვართ ამ ქვეყნად, ძირითადად იმისათვის, რომ ჩვენი საქციელისდა მიხედვით გაირკვეს, სად უნდა დავიდეთ საუკუნო ბინა — სამოთხის უსასრულო სიმშვიდეში თუ ჯოჯოხეთის მარადიულ სატანჯველში. ამის გადაწყვეტა, ეტყობა, არც ისე ადვილია და ამიტომაც ბედის განმრიგე ზედიზედ გვახლართავს გარემოებათა თავსატეხ კვანძებს, რომელთა ამონასკვა მხოლოდ მოთმინებითა და ვინიერებითაა შესაძლო, ხოლო თუ სულსწრაფობა მოვეძალა და სიკეთით ინდომე ხლართის გამოხსნა, კიდევ უფრო დაიბურდება, შემოგზებვევა და მოგადრინობს კიდევ. ამიტომაც რაიმე გამოუვალ მდგომარეობაშიც არ უნდა აღმოჩნდე, მაინც თავი უნდა დაიოკო, აზროვნებას უხმო და აუცილებლად მიიგნებ ხსნის გზას, მაგრამ ვაი რომ განსაცდელს იქვე მოსდევს სხვა ახალი განსაცდელი, გამოცდას — სხვა ახალი გამოცდა და კაცის წვალუბას საშველი არა აქვს. რამდენჯერაც აზიდავ ციცაბო აღმართზე იმ დაწვევლილ ლოდს, წამსვე გრუზუნით უკან გორდება და შენც ვეღარ გაგივია, სად იმყოფები: ამქვეყნიური არსებობის საგამოცდო პოლიგონზე ჩალიჩობ ჯერაც თუ უკვე ჯოჯოხეთში იხდი სამარადისო ვადით მისჯილ სასჯელ-სატანჯველს. ეს მანქანა კი — ეს რკინის მონსტრი — ყველა ლოდზე მეტად მძიმეა.

— სიზიფე და გაპა!

— რომელი საათია? — უღმობელ შეკითხვას სვამს ტატა.

— ოცი უკლია, — ყრუდ გაისმის ჩემი პასუხი მოქუფრულ ტევრში.

— რას უკლია ოცი?

— სამს.

- რაღა ვქნათ?
- ავიდეთ გზაზე.
- დროზე პქენი, ეგებ მოვასწროთ.

ფეხზე ედგები, სიგარეტის ნამწვავს შემოდგომის ყვითელ ვერნისაქს უხეშად ვესვრი. გულისგამხეთქაეი, ამძაგმაგებელი, ამღრიალებელი, ამამწველებელი ბრაზი მივლის გულ-გვამში, მთელი ძალით ვურტყამ ფეხს ტალახიან ნიკლის ბამპერს და მისი სახით წიხლს ვთავაზობ ჩემს თავსაც, ტატასაც, შეოდგომის პეიზაჟსაც, მიწასაც, ზეცასაც, აქვეყნიურ გამოცდასაც და იმქვეყნიურ წამებასა თუ ნეტარებასაც.

თუ გაებრაზდი, მართლა ძალიან ბრაზიანი ვარ.

## ბაბა № 9

გავდივართ დიდ გზაზე. თავით ფეხამდე ტალახში ამოსვრილები და სველები. ჯიბრზე კარგა გვარიანი წვიმიც იწყება, უფრო სწორად, გრძელდება. ირგვლივ ციდან ჩამომავალი ჭაულებისა და ჩვენ ორის გარდა არცერთი მოძრაეი საგანი არ ჭაჭანებს. ბურუსში ჩაკარგული მთები, გზა და გზის ორივე მხარეს შემოდგომის ფერებით მოფარდაგული ბურქნარი - ეს ყველაფერი უძრაობით ვასუდრულა.

- ტრაქტორი არა, ტროლია, - ვამბობ მე.

- გამოჩნდება რამე, - მაიმედებს ტატა.

წვიმა სვედიანად მღერის და ცდილობს ტანისამოსი გაგვირეცხოს, თურცა ამოდ შერება, პირიქით, უფრო მეტად გვითხუნის და ვეწუწავს. ეპ, ყველაფერი სულ ერთია, ჯანდაბა ჩვენს თავს.

- ნუ გეშინია, მოვასწრებთ სახლში მისვლას და ტანსაცმლის გამოცვლას, - ამბობს ტატა და საცაა ატირდება.

- ამ ჩემს ფეხებს, თუ ვერ მოვასწრებთ, - ანჩხლად ვასუხობ და ჩანჩალოთ მივდივარ წინ, ქალაქისკენ. აღარაფრის იმედი აღარა მაქვს.

- მოვასწრებთ-მეთქი, - მუყუნებამ ტატა და ერთგულად მომდევს.

ასე მივაბიჯებთ წვიმიან მღუშარებაში უთაებლოდ, უილაჯოდ, უსიტყვოდ, უდროოდ, უსასრულოდ... კარგა გვარიანი ხანი ვადის და უცებ რიტმული რაკარუკი მოისმის. თავდაპირველად ვერ ვხვდები, რის ხმაა, მერე გასამქლავებელ წამალში ჩადებული ფოტოსურათით წვიმიდან იკვეთება მშვენიერი სურათი: მონაქჩაქებს ოთხთვალაში შებმული წაბლა ცხენი, ოთხთვალაზე კი სამი შუახნის გლეხკაცი ზის და ჩვენსკენ მოტაატობენ. დამთხვეულებივით მივრბივართ მათკენ.

- ხალხო, - ვუუბნები განაწამები სახით, - უნდა დაგვეხმაროთ, უნდა გვიშველოთ.

- რა იყო, რა დაგმართინათ? - მხნელ მეკითხება ერთი წარბებდაფანჯული გლეხი.

- აგერ მანქანა ჩამეფლო ჭონჭყოში, ეგება ამომავყავინოთ, თორემ იმისთანა საქმეზე მაკვიანდება, იმისთანაზე, რომ დავიღუპე და ეგაა!

- ნუ გეშინია, კაცო, მივიდეთ, ვნახოთ, - დიჯად მეუბნება კოფოზე მჯდომი თავზე ცხვირსახოცადაფარებული გლეხი.

აჩქარებით მივეუძღვებით მე და ტატა ჩვენს მხსნელ ფორანს შემთხვევის ადგილისაკენ. იმედი ძლევამოსილად იყვრობს ჩემს გრძნობა-გონებას. ეს წვიმი-თა და ოფლით დამბალი გაუპარსავ-დაუეარცხნული სოფლები უმაღ მიმართლებენ მივიწყებისგან დახრულ-და-ღარულ პატრიოტულ ფესვს, მიბორგებენ ძარღვებში გამდოვრებულ წინაპართა სისხლს და მყესულად მიბრუნებენ მშობელი ხალხის სამსახურში გატარებული სიცოცხლის ყრმობისდროინდელ იდეალს, ისეთი სიცოცხლისას - აი მა-ღლიერი სამშობლო რომ სათანადო პატივს მიაგებს ერის კეთილდღეობისათვის სანთელივით ჩამწვარ შენს პიროვნებას და ცხედარს შენსას სხვა დიდებულ მამულიშვილთა გვერდით საზოგა-



დო მოღვაწეთა პანთონის წმინდა მიწას რომ მიაბარებს.

— აქეთ რა ქარმა შემოგაგდოთ, კაცო? — ჩამესმის წარბაფანწლის ხმა.

— იცით, ჩვენ შემოდგომის ყვითელი ფოთლების დაქრეფა გვინდოდა, — მორცხვად უხსნის ტატა, — დღეს ავსტრალიელ სტუმრებს ველოდებით და გადაწყვეტიტ ლამაზი თაიგულებით მოგვერთო ოთახი... — ერთობ გაუგებარი მკონია ტატასეული ვანმარტება, მაგრამ წარბაფანწულს მშვენიერად ესმის ყველაფერი.

— ჰო, ავსტრალიაში ახლა ვაზაფხულია, — დაუფარავი ირონიით ამბობს იგი, — შემოდგომა იქა მარტის ბოლოს ღებება ხოლმე.

— აქეთ, აქეთ უნდა ჩაუხვიოთ, — გზას უჩვენებს ჩემს ასაბიას და მანქანასთან მიმყავს.

— ო-ო, მაგრაა ჩალამული, — დიაგნოზს სვამს ცხვირსახოცწაფარებული, ხოლო წარბაფანწული და მესამე გლეხი საქმიანად ხსნიან ფორნიდან ცხენს. ცხოველს უხარია, ჰკონია ახლა საბაბაბოდ გაუშვებენ, ის კი არ იცის, მსუბუქი ოთხთვალას ნაცვლად ამ ჯართის გროვაში შემბას რომ უბირებენ. თავისუფლებას გრძნობს თუ არა, წამსვე კუდს მალლა პრებს და ზედ ჩემს ფეხებთან ახვავებს ნეხვის ცხელ-ცხელ კვერებს, რომელთა სურნელიაანი ოხშივარი პარმონიულად ერწყმის ნემოს, ხმელი მცენარეულობის, ოზონის და სხვა ნატურალური არომატების წარმტაც თაიგულს. ღრმა ამოოხვრით ვისუნთქავ ახალი კომპონენტით გამდიდრებულ ჰაერს და ისეთ რაიმეს ვამჩნევ, მიწა გამსკდომოდა და ეს არ შემემჩნია: წინა მარჯვენა სავარძელი ამ ფაცი-ფუცში ისევ ისე ბოლომდე გადაწვენილი დაგვრჩენია. იქვე იმასაც ვამჩნევ, რომ გლეხებმაც შეამჩნიეს ეს ამბავი და ერთმანეთს ძლივს შესაძწნევად ჩაუღიმიდეს. სირცხვილით აღწეილი მზად ვარ აგერ ამ ნეხეში ჩაეძერე და დავიმადო. ტატასკენ გახედვასაც კი ვერა ვებღავ, თუმცა გახედვა რად მინდა — მისი გულისცემაა, ასე აჩქა-

რებით რომ მირაზუნებს საფეთქვეთს.

— მოდი, კაცო, დაქოქე რაღა! — მკაცრად ქარბაო, — დამბახის ცხვირსახოციანი. მანქანა უკვე ცხენზეა გამობმული. საჭეხთან ვჯდები და სანამ ძრავას ავამუშავებ, ნაჩქარევად ვაბრუნებ ჩვენს შემარცხვენელ სავარძელს ნორმალურ მდგომარეობაში.

— თქვენც დაბრძანდით, ქალბატონო, — ეუბნება მესამე გლეხი ტატას და ეს უაღრესად ზრდილობიანი მიმართვა რატომღაც აშკარად შეურაცხყოფელ დაცივად ჩამესმის. ტატა გვერდით ჯდება განურჩეველ-აუღელვებელი სახით, თითქოს ანკუს ჰერცოგინი იყოს და სულ არ აღარდებდეს, თუ რას ფიქრობენ მის შესახებ მსახურები, რომლებმაც გზად დაზიანებული კარეტა უნდა შეაკეთონ.

მანქანას ვქოქავ.

— აჩუ, აჩუ! — დასჭყვიან მოტორის ხმით ისეღაც დაზაფრულ პირუტყვს გლეხები.

— ჰა! ჰა! წავიდა! წავიდა! — და მართლაც მანქანა მძიმედ ამოდის ლაფიდან, მტკიცედ ღებება ბორბლებზე და წინ-წინ მიიძვრის კიდეც! ვაშა!

— ფრთხილად კაცო, დაიცა! ემანდ ცხენს არ მიაჯდ შენა! — მივეივის წარბაფანწული და სამივენი ხორხოცხარხარით იღრნობიან.

— დეგენერატები! — კბილებში ცრის ტატა. სიჩქარის ბერკეტი ნეიტრალურ მდგომარეობაში ვადამყავს და ადგილზე მდგარი, მოტორის ღრიალ-ღრიალით ველოდები, როდის მომამორებენ თავიანთ ცხენს გზიდან. მართალია ტატა, ერთბაშად სოლიდარაბას ვგრძნობ ცივილიზაციის ისტორიაში ცნობილი ყველა ტირანისა და დესპოტის მიმართ — ტუტანახამონიდან, ქსერქსედან, ნახუქოდონოსორიდან მოყოლებული პიტლურ-სტალინ-მუსოლინის გავლით აგერ ფილელ კასტროთი და სადამ ჰუსეინით გათავებული, რადგან ამ პატივცემულმა გვაქვს უბრალო მშრომელი ხალხის სისხლი სვეს და სწორიც ქნეს, რადგან ხალხი — აი ასეთი ხეპრეები და ბოკა-



ნოები — დანდობის ღირსნი არ არიან. უცნაური ისაა, რომ მოცემულ შემთხვევაში ამ კეთილმა ადამიანებმა დროული დახმარების ხელი გამოიწოდეს, რისთვისაც გულით ვმადლობ მათ და არც ის უნდა ჩაუთვალო დანაშაულად, გამჭრიახი, ყველაფრის შემჩნევი თვალი, მახვილი გონება და ჯანსაღი იუმორი რომ გააჩნიათ. პოლიტიკა კი, წელან ცხენმა რომ ქნა, იმაზე უარესია და პოლიტიკოსებს ცხენის ის ადგილი მირჩევნია, რომელიც იმ ცხენურ პოლიტიკას ქმნის. და მაინც ახლა დიქტატორი რომ ვიყო, სამივე ამ გლეხს უფრომანოდ დაესჯიდი სასტიკი სიკვდილით — ტაჯ-განავით, ანწუხზე დასმით, ცხენის კულზე გამობმით, ჯვარცმით, ვილიოტინით, ჩამოღრჩობით, დახერტით, ელექტროსკამით, მერე კი, საკუთარი უმადურობით დამკიმბეული, სიკვდილის წინ უკანასკნელ სიტყვებად წარმოვსთქვამდი: „ყველაფერი მეზიზღება“ — თქო.

— უინსტონ ჩერჩილი და გამა! — ვამბობ ტატან გასაოცებლად.

— აბა მშვიდობით იმგზავრეთ, გენაცვათ, მშვიდობით! კარგა იყავით! — მოგვძახიან გლეხები.

— ვმადლობთ, იცოცხლეთ, ავაშენოთ ღმერთმა, დიდი მადლობა, თქვენ ნამდვილად გადაგვარჩინეთ! — ვუყვირით ჩვენს.

— რომელი საათია? — შეკითხება ტატა.

— ოცდახუთი წუთია.

— რისი ოცდახუთი წუთია?

— ხუთის.

კომენტარები ზედმეტია, უკან ვიბრუნებ ცხენს, ფორანს და გლეხებს, ამოვდივართ გზაზე და რაღაც არცთუ უჩვეულო, მაგრამ ერთობ მტანჯველი გრძნობა მომყვება თან. რა არის ეს? რა გრძნობაა? დაიცა... რაღაც ძლიერ ნაცნობია... ტრავიალური... და უცებ ეხვევა: ეს ხომ შურია, ჩვეულებრივი შური, რომელიც ქვეყნად აბა ვის არ გამოუცდია.

მშურს, ოღონდ ნაღდად არ ვიცი — რა მშურს, ვისი მშურს. უბრალოდ მშურს, ეს არის და ეს.

## ბაზა № 10

ეროვნული  
გენერაციონალი

ვბრუნდებით უკან, მოვათოხარიკებ ჩემს მანქანას. კოკისპირულად წვიმს. ტატა გვერდით მიზის. უცნაურად და გაუგებრად მეჩვენება თავსგადახდენილი ამბავი და, რაც ყველაზე უარესია, ჯერაც გრძელდება ეს აბლაუბდა სიზმარი.

— რომელი საათია?

— ექვსის ათი წუთია.

შორს ნაადრევად ჩამოლამებულ ცისკიდურზე ქალაქი მოჩანს — იმედისმომგვრელი, საყვარელი, მონატრებული, ავღრის სიღრმიდან გულმოსული გვიცქერის და არ ვგვატიობს: ზურგი რად მაქციეთო, რად მიმატოვეთო, სად გამიბოდიეთ რო გამიბოდიეთო, გაჯავრებულა და ამიტომ არ ვიცი, მოინდომებს კი ჩვენს დახმარებას — დაგვახვედრებს წყალს თმებსა და სხეულზე მიმზმარი ლაფის ჩამოსარეცხად თუ დამშრალი წყალსადენით გადაგვიხდის სამაგიეროს, ანკი შემოგვაშველებს ელდენს, რომ ღათხერილი ტანისამოსის ნაჩქარევად გამოცვლა და სარკეში ჩახედვა მაინც მოვახერხოთ?

ყოველივე ამას, იმ შემთხვევაშიც კი თუ ქალაქი გულმონყაულად შეგვივრდომებს, კიდევ ორი საათი მაინც დასჭირდება.

აეროპორტში გასვლა ჩაიშალა, ვეინაცაა და თანაც ქალაქის მეორე მხარეს, აქედან თითქმის ასი კილომეტრია. ბენზინი არ მეყოფა და ასე გვიან ვეღარსადაც ვეღარ ვიშოვო.

ერთი სიტყვით, არ ვიცი, რა ვქნა.

თავში ერთადერთი დაზაფრული ფრაზა ბუბუნებს:

— კი მაგრამ, ავსტრალიელები?!

— იმ ვიომებისთვის ფული უნდა გადაგვხადა! — ბრაზიანად მეუბნება ტატა, ოღონდ არ ვიცი, მე მიჯავრდება თუ გლეხებს. ალბათ, ორთავეს. ახლა ტატასთან ჩხუბილა მაკლია.

— მაინც რომელი ფული უნდა გადაგვხადა, — უგერგილო ხუმრობას ვცდილობ, — გაითვალისწინე, რომ ამჟამად



ჩვენს ქვეყანაში ძირითადად სამი სახეობის ფულია ბრუნვაში: ქართული კუპონი, რუსული რუბლი და ამერიკული დოლარი.

— სულ ერთია, ფული უნდა გადაგვხადა და მორჩა, მეტი არაფერი, — კიდევ უფრო კაბასად ამბობს ტატა.

არა, საფვარელო, არა! ის ხალხი ფულის გულისათვის არ დაგვხმარებია. ნუ ცდილობ, დაცინვის სამაგიეროდ ანგარება დააბრალე. ეგ კი არა, ღმერთს მადლობა შესწირე, წესიერი ხალხი რომ აღმოჩნდა, თორემ ჩვენს დროში ათიდან ცხრა შემხედრი იარაღს დაგვაღებდა, მანქანას წაგვართმევდა, ჩვენში მოქმედ სამთავე პარალელურ ვალუტას უკანასკნელ კაპიკამდე წაგვკვლევდა, გაგვხდიდა, გაგვაუპატიურებდა (ეს მეტწილად შენ გეხება) დაგვბოცავდა (ეს კი ორივეს თანაბრად) და იმ შესს ხაოცნებო ყვითელ ბუნქნარში ჩაგვყრიდა მოკლულებს. ღმერთს მადლობა მოახსენე-მეთქი, ათიდან მეათე შემთხვევას რომ გადაგყვარა.

- რომელი საათია?
- ნახევარია.
- ექვსის?
- ჰო, ექვსის.

უკვე ბნელა, აბა, ეს საქმეა?! ავტორალიელები ნეტავ სად არიან? ჩამოფრინდებოდნენ უკვე, თუკი რა თქმა უნდა, რეისი გრაფიკით შესრულდა. ვაიმე, დედიკო! აღარაფერი აღარ მინდა. მეძინება. „რა კარგია ძალი, ხელები აქვს თბილი, ფეხები აქვს რბილი, სიხმრები აქვს ტკბილი“. დედასთან მინდა, შინ მინდა, თბილ და ტკბილ საწოლში, გაქათქათებულ თეთრეულში ჩაწოლა და დაძინება მინდა, მინდა დედამ საფეთქელზე მაკოცოს და მერე გულუბრყვილო, მზით და იმედით სავსე ფერად-ფერადი საბავშვო სიხმრები ენახო. აი ეს მინდა ახლა და მეტი არაფერი მინდა.

— არ მოგშივდა? — შემრიგებლურად მეკითხება ტატა და თავის ჭუჭყიანი ხელით ჩემი ჭუჭყიანი თმების მოწესრიგს. „მართალი“, № 8

გებას ცდილობს... ვითომ... სინამდვილეში კი — მეფერება.

— ისე მომშივდა, რომ სიამოვნებით შეგხანსლავდი, თანაც ზედიზედ ორჯერ, — ვეუბნები.

— გიფი ხარ! ნამდვილი არანორმალური! — იცინის ტატა.

— არც შენ ხარ ჩემზე ნაკლები.

— მე შენზე უარესი გიფი ვარ. არადა, მართლა მშობია. ჩემი სხეული ნაწლავები ისე იკლავებიან, როგორც მეთევზის მიერ მიწიდან ამოთრეული, ანკესზე წამოგებული ჭიაყელები. კუჭი იერიქონის საყვირივით შემომღრიალებს.

- გაართმევენ თავს უშენოდ ბიჭები?
- რამეს იზამენ, არ დაიკარგებიან.
- რას იფიქრებენ ჩვენზე. გაგიფდებიან, რაღაც უბედურება მოხდაო, ეგონებათ.

— მთავარია, არ დაიბნენ.  
— დაიბნევიან თუ არ დაიბნევიან, შედეგი მაინც ერთნაირი იქნება.

დიახაც: „ამოუბა ამოუბათა და ყოველივე ამაო არს“. ჩამოვლენ ავსტრალიელები ფირმა „ეი-თი-კორპორეიშნ“-იდან. არ დახვდებით აეროპორტში ფირმა „უასკო და გამას“ პატრონი. დახვდებიან უპატრონოდ დარჩენილი დაბნეული თანამშრომლები: პეტრე, კაკო. დაიბნევიან ავსტრალიელებიც. მერე წაელენ საბანკელოდ და იქეიფებენ ყვითელი ფოთლების ვარეშე. მერე გამოჩნდება პატრონი და მისი მიჯნური, რომლებიც ყველას დაღუპულები ეგონათ. გაიხარებენ. გამართავენ მოლაპარაკებებს, დაღებენ კონტრაქტებს. შეუდგებიან საქმეს და იცხოვრებენ ბედნიერად. ბოლოს ყველანი მოკვდებიან და ამით დამთავრდება ეს ამბავი, ისევე, როგორც აბსოლუტურად ყველა სხვა ამბავი ამ ქვეყანად. ყველა გზა სიკვდილისკენ მიდის.

— ეკლუზიასტე და გამა! — ვამბობ და ჩემს ჭუჭყიან ხელს ტატას მუხლზე ვათავსებ.

- ბოლო, ბოლო, ხომ მივაღო!
- მივაღო!

- ჩემი ბრალია ყველაფერი, ვასიკო!
- შენ რა შუაში ხარ.
- მიყვარხარ.
- მეც მიყვარხარ.

უცერად კიდევ ერთი, უკანასკნელი ელდა: მანქანა ძალაგამოცლილი იმჩვარება და სისწრაფეს თვალსადახელსშუა კარგავს: ბენზინი გათავდა! გესმის! ბენზინი გათავდა! უკვე ქალაქში ვართ შესულები, ამ ბნელ და უზარმაზარ ქალაქში, ბენზინი კი გავეითავდა! კოკისპირულად წვიმს. სიტყვის უთქმელად გადმოვდივართ მე და ჩემი ქალი ამ უკუნეთში და თითქმის სირბილით მივაპობთ უსულგულო თქემს. ვგრძნობ, რომ ტატა არ ტირის და არც მე ვტირი.

მივასწრებთ, მივასწრებთ, ჩემო სიყვარულო, ნუ გეშინია! არაფერი დაშავდება მსოფლიო ბიზნესის კარნავალზე ცოტათი თუ დაივიკინებთ. ეგ კი არაა, სულაც რომ ჩაფლავდეს ეს ბედნავი ავსტრალიური წამოწყება, სულაც რომ განქარდეს ჩვენი იმედი და ოცნება, მე მაინც არ ვინანებ. ერთი წამითაც არ ვინანებ, რომ ავდრიანი შემოდგომის ეს ღამეა დღე შენ მოგიძღვენი. ჩვენ ზომ ყვითელ ფოთლებთან ვიყავით.

ძალა არ გველევა. მივდივართ თქემიდან მშობლიურ ქალაქში.

ვიართ, ჩემო სიყვარულო, ასე ვიართ.

## აპილოზი

„ბოინგის“ კომფორტაბელურ სალონში ილუმინატორთან სავარძელში ზის ბატონი ჯონათან სულბრიჯი, ფირმა „ეი-თი-კორპორეიშნ“-ის გენერალური მენეჯერის ბატონ ქანთ ბრაიტონის შოადგილე და მარჯვენა ხელი, ლოყებდაქაფა, თმაშვეერცხლილი ახალგაზრდა კაცი.

ქვემოთ, თვალუწვდენელ ფართობზე ღრუბლების ქათქათა მახივები ამობურთულან. მზე დასავლით გადაწვენილა და

სტრატოსფეროს მუქ ღურჯანჭურჭურჭურ ფიოდ დამსხდარან ვარსკვლავებში ტატონობი ვარდისფრად კაშკაშებს, ტატონობის მახლობლად განაპირა ღრუბლებიც ოქტომბრის ვარდებსა ჰგვანან. დიახ, ოქტომბრისა და არა მაისისა, რადგან ვარდები ავსტრალიაში სწორედ ოქტომბრის დამდეგს ჰყვავიან.

თვითმფრინავის სატვირთო ნაკვეთურში კოხტად შეფუთული ჰუმანიტარული დახმარება აწყვია: მედიკამენტები, ახალშობილთა საკვები, ტკბილეულობა. ერთჯერადი შპრიცები. ყველაფერი ეს კარგა ბლომადაა.

ხანგრძლივი მგზავრობისაგან გადაქანცულ მისტერ სელბრიჯს თვლენა ერეკა და ძილ-ბურანში ჩაფლულს თავის შეფის — მისტერ ბრაიტონის სახლის წინ აყვავებული ვარდები ეზმანება, სწორედ ისინი, აქეთ, ამ შორულ ქვეყანაში გამოგზავრებისას რომ ნახა. ვარდების მახლობლად მისტერ ბრაიტონის შეილების საყვარელი კატა ელაიზა მისტერ სელბრიჯის შეილების საყვარელ კოალას-შიმის საქმიანად ესაუბრება, საბოლოო ინსტრუქციებს აძლევს მოგზავრობის წინ. ეს, რა თქმა უნდა, სიზმარია, თორემ ცხადში ელაიზა და მიმი არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. რომც შეხვედროდნენ, სად გაკონილა კატისა და კოალას საქმიანი საუბარი.

მისტერ სელბრიჯი ძილში პირჯვარს იწერს და თან მზიარულად იღიმიება.

მერე მკაფიოდ ჩაესმის შეფის — მისტერ ბრაიტონის შეილების საყვარელი კატის — ელაიზას ხმა:

აბა წარმატებებსა და მშვიდობით მოგზავრობას გისურვებთ.

და იქვე: საკუთარი შეილების საყვარელი კოალას-შიმის პასუხი:

— დარდი ნუ გექნებათ, ბოს. ყველა თქვენს დავალებას პირნათლად შევასრულებ.

მისტერ სელბრიჯი უსამველო კამოფილებას განიცდის და უსიზმრო ძილში იძირება.

## თავიშურაზ მიხეუანი

### აფხაზუბი და აფსუბი

„ქრისტიანი აფხაზუბი ქართუველებია, წარმართი აფხაზუბი — ჩრდილოეთ კავკასიელები“.

ველია ჩელები (XVII ს.), თურქი მოგზაური.

აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხში ვველა გაუგებრობის თავი ისტორიულ აფხაზთა (ქართუველთა) და ჩრდილოკავკასიელ აფსუათა (აბაზთა) ერთ ეთნოსად წარმოდგენის აბლაბუდას ქსელში იმალება.

სინამდელიეში აფხაზუბის ავტოქტონური მოსახლეობა-ისტორიულ აფხაზუბი და აფსუბი ორ სხედასხვა ეთნიკურ წრეს ეკუთენიან და არავეთარი საერთო გენეტიკური წარმომავლობა არ გაანჩიათ. აფსუათა დღევეანდელ აფხაზუბში ჩამოსახლების საწყის თარიღად XVI საუკუნე უნდა ჩაითვალოს, რადგან მანამდე საქართველოს შავიზღვისპირეთში ადიღური ეთნიკური ელემენტების არსებობა არანაირი ფაქტებით არ დასტურდება. თუმცა გამორიცხული არაა, რომ მანამდე ადვილი ქონებოდა ცალკეული ოჯახების მიმოქცევა კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ორივე მხარეზე. მაგრამ მათი არავეთარი კვალი არ ჩანს არც ერთ სფეროში. ამ შემთხვევაში ისინი, ცხადია, ქართულ ეთნიკურ

პროლექტად იქცენ. ან რატომ უნდა ვეძებდეთ ანტიკურ ხანაში ადიღურ-აბაზურ-აფსუური მოდემის ზალხს დღევანდელი აფხაზუბის ტერიტორიაზე, როდესაც გაგვანჩია XV-XVI სს. ამ მხარის მოსახლეობის გვარ-ჩამომავლობითი ნუსხები, სულთა მატეანეები (მიჭვინთის დიდი იადგარი, ბიჭვინთის დიდი დავთარი, აფხაზუბის საკათალიკოსო სამწყვოს მეკომურთა აღწერები, შეწირულობის წიგნები, აფხაზუბის ეკლესია-მონასტერთა ემა-მამულების ნუსხები და სხვა წერილობითი ძეგლები), რომელთა მიხეღეითაც 1621 წლამდე აფხაზუბის ტერიტორიაზე მცხოვრები 250-ზე მეტი გვარიდან არც ერთი ადიღურ-აფსუური არ არის, ვველა ისინი ქართულია (ძირითადად მეგრული). მხოლოდ XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ჩნდება გვარები: ზეანბაია, ლაკირბაია (ბზაბში), შამბაია (სოფელი ჭალა, დღევ. ჭლოუ). ამ გვარების ნუსხა უკვე გამოვაცქევენეთ (იხ. თ. მიბზუანი, აფხაზუბის მოსახლეობა XVII საუკუნემდე, გაზ. „ლს“, 21-28 იელისი, №29-30 1995.



არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ 1559 წლის შავი ზღვის აუზის რუკაზე, რომელიც ესპანეთის სამეფო კარის კარტოგრაფის დიეგო პომპეის მიერ არის შედგენილი, არც ერთი ადიღურ-აფსურური გეოგრაფიული სახელი არაა დაფიქსირებული არამც თუ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ ამჟამინდელ სოჭის რაიონშიც ყველა ეს გეოგრაფიული სახელი ქართულია (ძირითადად შვედური). იგივე ითქმის XVII საუკუნემდე შედგენილ სხვა რუკებზეც, რომელთა გამოქვეყნება აფხაზი ავტორები თავს არიდებდნენ. დასახელებულ რუკაზე აფხაზეთს „სამეგრელო“ ეწოდება.

იმ ისტორიულ აფხაზეთა შთამომავლები არიან ის გააფხუებული აფხაზები, რომლებიც დღემდე ატარებენ ქართულ გვარებს (აბაკელია, ადამია, აკობია, ანუა, ანჩაბაძე, არდაშელია, ბარქაია, ბარკალაია, ბაზია, ბენია, ბერულაყა, ბესელაა ბიგვაყა, გვაძამია, გვარამია, გვეგნაყა, გუბლია, გურგულია, დავითაია, დამენია, დუშაყა, კოლონია, კუბრაყა, ლაბაზუა, ლავგილაყა, ლასურია, ლომია, მარხოლია, კოჯარია, კილასონია, ბერაია, მარშანია, შაპასკირი, შაპასკუა, ტყეზუნაყა, კაშია, შარვაშიძე, შარია, ხარეპუა, საღარია, ჩხოტუა, და სხვ.). ხოლო ადიღური მოდგმის გააფხაზებული აფსუები სრულიად განსხვავებულ გვარებს ატარებენ (აბგაგ, ავიძა, აკაბა, აბუზბა, ადღეიბა, აიბა, აყუსბა, არძინბა, აძიბა, არშბა, ბლაგბა, მუთბა, ვიცბა, დღუბა, ეშბა, ლეიბა, მაცბა, ნანბა, ოტარბა, სამბა, ტარბა, შამბა, შინკუბა, ძიბა, ცვიტბა, ზინტბა და სხვ.). ქართული გვარის მატარებელ აფხაზებს მოგვარებები ქართველებში ჰყავთ, აფსურური გვარის მატარებლებს ნათესავეები ჩრდილოეთ კავკასიაში ეგულებათ. სულ სხვაა, რომ ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ძირძველი აფხაზები (ქართველები) და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსული აფსუები დროთა განმავლობა-

ში დანათესავდნენ, მაგრამ მათ შორის ეთნიკური სხვაობის ნიშანი დღესაც არაა გამჭრალი. ამ თვალსაზრისით აფხაზი სეპარატისტებისა და მათი დამქაშების მიერ საკითხის გაბუნდოვნება გარკვეული პოლიტიკურ ინტერესებიდან გამომდინარეობს, რასაც ქართულ მეცნიერთა ერთი ნაწილი არამც თუ კრიტიკულად არ ეკიდება, არამედ ამაში აფხაზ სეპარატისტებს სოლიდარობასაც კი უცხადებს. ამის შედეგია რუსულ საცნობარო ლიტერატურაში გაბატონებული აზრი: „აფხაზები (საკუთარი სახელწოდება — აფსუა)“. იგივე მეორდება ქართულ საცნობარო ლიტერატურაში, მათ შორის ენციკლოპედიაში. ამით თავსაც ვიტყუებთ და სხვასაც ვატყუებთ. ეს სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერული უმეცრობა, ან გულუბრყვილობა, ან კიდევ საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულება.

განა დიდი ნიჭი, აღლო და ცოდნა საჭირო იმისათვის, რომ ეს ორი სხვადასხვა ზალხი, თუნდაც გვარების მიხედვით, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ? დღევანდელი აფხაზების დაახლოებით 80% ქართულ გვარ-მოდგმას ეკუთვნის. დანარჩენებიც აბაზ-აფსუებთან ერთად გააფხუებული ლაზები, თურქები, სპარსელები, ზანგები და რუსები არიან. ქართულ-აფსურური გვარების ერთი და იმავე ეთნოსიდან წარმომავლობის არც მეცნიერული და არც ლოგიკური საფუძველი არ არსებობს. ასეთი ელემენტალური საკითხის არგაგება სამეცნიერო ტიტულის მქონე მკვლევართათვის, ყოვლად გაუგებარია.

„აფსუა“ აფხაზეთა საკუთარი სახელი კი არა, ნამდვილი სახელია ჩრდილოეთ კავკასიიდან გვიან შუა საუკუნეებში ჩამოსახლებული ადიღურ-აბაზური მოდგმის ზალხისა და არა მთლიანად აფხაზების. ამ ზერხით აფსუებმა შესძლეს ტერმინ „აფხაზის“ ქუდქვეშ მოკალათება, რის საფუძველზეც შექმნეს რა ანტიქართული იდეოლოგია, ხა-



ლხთან (ისტორიულ აფხაზეთთან) ერთად ტერიტორიაც მიითვისეს და დღეს ხმამაღლა აცხადებენ, რომ ჩვენ ადიღეური პოლემის აფხაზები, ამ ტერიტორიის აბორიგენები ვართო და სხვ.

აფსუები დღესაც აბაზურ ენაზე მეტყველებენ, რასაც რატომღაც აფხაზური უწოდებს. ისტორიულ აფხაზეთა აბსოლუტური უმრავლესობა ბრწყინვალედ ფლობს ძველ მშობლიურ მეგრულ ენას. უმცირესობამ აფსურულიც იცის.

ისტორიულ აფხაზეთა (ქართველთა) გააფსუება აწყობდათ თურქებს, (ეისი გავლენის ქვეშაც აფხაზეთი იმყოფებოდა XVI-XVIII საუკუნეებში) და შემდგომ – რუსეთის იმპერიის ხელი-სუფლებას.

200-300 წელია, რაც ძირძველ აფხაზეთა (ქართველთა) ადიღურ ეთნიკურ ნიადაგზე მოქცევა მიმდინარეობს, მაგრამ იგი დღესაც არ არის დასრულებული. ვინც ეს სიმართლე აღიარა, მას ისევე ჩვენ აუუმხედრდით. სამურზაყანოელები (გალის რაიონი) XIX საუკუნეშიც კი, როცა იქ არც ერთი აფსუა არ ცხოვრობდა, საკუთარ თავს აფხაზებს უწოდებდნენ, ენგურს გამოიღმა მეგრელები ოდიშელებად იყვნენ ცნობილი და ა. შ. რაზე მეტყველებენ ეს ფაქტები, თუ არა იმაზე, რომ ისტორიული აფხაზეთი-ქართველები (ძირითადად მეგრელები) იყვნენ?!

ამდენად, ისტორიულ აფხაზეთა და აფსუათა ეთნიკური იდენტურობა აბსურდია და იგი ვერაერთარ კრიტიკას ვერ უძლებს.

ხელოვნურად შექმნილ აბლაბუდას ქსელში ორიენტირს უფრო ადვილად კარგავენ დილეტანტები, რომელთა მოძალემა ისტორიული მეცნიერებისადმი საგრძნობლად შეიმჩნევა. ისინი პროფესიონალ ისტორიკოსებზე უფრო პრეტენზიულნი არიან. მათ რიცხვს ეკუთვნის ინჟინერი გ. ერაძე, რომელმაც ცრუმეცნიერული ვარჯიშობებიც უფრო გაითქვა სახელი, ვიდრე საკ-

უთარი პროფესიით. ბ-ნი გ. ერაძე თავის თავს ყველა დროის ისტორიკოსად და ენათმეცნიერზე მალა აცხადებს. ერთნაირი სიმკაცრით „მუსრს აუღებს“ ძველი, თუ ახალი თაობის სხვადასხვა პოზიციის მქონე მკვლევარებს: ივ. ჯავახიშვილს, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილს, არ. ჩიქობავას, ქ. ლომთათიძეს, გ. მელიქიშვილს, ზ. ანნაბაძეს, პ. ინგოროყვას, მ. იმნაძეს, ალ. ონიანს, ეპისკოპოს ანანიას, ბ. თავაძეს, რ. ჩხეიძეს, თ. მიბჩუანს, ბ. ჭყონიას, დ. გოგოლაძეს, და სხვ. ინჟინერი გ. ერაძე წერს: „მათი მტკიცებულების მიმართულებას ერთი საერთო დედაპარისაკენ მივყავართ: „ძველი“ აფხაზები არის მოსხი, ხოლო აფსუად წოდებულნი არიან აფხაზეთში ჩრდილოეთიდან XVII საუკუნეში გადმოსულნი. აფხაზი არ უდრის აფსარს“ (აფსუას) (გურ. „რიწა“, 1996, № 3-4).

მიუხედავად იმისა, რომ ადრე იგი ამ აზრს თითქოს დიდი მონდომებით „ასაბუთებდა“, ამჯერად აღნიშნულ მეცნიერთა ასეთ პოზიციას ბ-ნი გ. ერაძე უკვე არ იზიარებს და იქვე კატეგორიულად აცხადებს: „ვღებები რა „აფსუათა პოზიციასზე“, ლოგიკურად შეზადება კითხვა, ახალი თაობის ისტორიკოსებთან (იგულისხმებთან: ალ. ონიანი, ეპისკოპოსი ანანია, ბ. თავაძე, რ. ჩხეიძე, თ. მიბჩუანი, ბ. ჭყონია, დ. გოგოლაძე და სხვ.,-თ. მ.): მაშინ რა ეუფოთ „ფს“ და „ბზ“ ბეერათკომპლექსიდან აღმოცენებულ შავიზღვისპირეთის უძველეს ტერმინოლოგიურ ოაზისებს? რა ეუფოთ „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამ ფრაზას: „ბედსა და სევსა ზედა ლაშას, რომელი განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა ენითა“; თამარ მეფის ვაჟის დაბადებას რომ მიუძღვნა (ლაშ)ქრობა ქართულმა მხედრობამ?“

დააკვირდით, რა კონტექსტში ხმარობს სიტყვას „ლაშქრობა“, რაც მისსაკვე მოსაზრებებს ეწინააღმდეგება, რადგან ბ-ნი გ. ერაძე ყველაფრის

ამოსავალს თითქოს ქართულში ეძებს, მაგრამ საბოლოოდ ყოველივეს ადიღურის სასარგებლოდ წყვეტს. ბონ გ. ერაძის აზრით, რადგან თამარ მეფის შვილს ზედსახელად „ლაშა“ შეარქვეს, რომელიც აფხართა ენის კუთვნილებაა, ეს თურმე იმას ნიშნავს, რომ ისტორიული აფხაზები იგივე აფხარები (აფსუები), ანუ ადიღეელები არიან. მაგრამ ბონ გ. ერაძეს იმედი უნდა გაუცნოთ და მოვახსენოთ, რომ სწორედ ეს ცნობაა ვველაზე ნათელი დადასტურება იმისა, რომ ისტორიული აფხაზები აფხარები არ არიან.

აღნიშნული ცნობა ეკუთვნის თამარ მეფის ანონიმ ისტორიკოსს, რომელიც ავტორია შესანიშნავი თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარაუანდეთანი“. მართალია, ქართველი მემკვიდრეები ბევრ რაღაცაში სცოდავენ, მაგრამ XIII საუკუნის ზემოთ დასახელებული ავტორი ამ შემთხვევაში არ ცდება. მისი ცნობით „ლაშა“ რომ აფხართა ენის კუთვნილებაა და არა აფხაზთა, ეს კვლავ იმაზე მიუთითებს, რომ აფხარები სხვა ხალხია, აფხაზები კიდე სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მემკვიდრე დაწერდა „აფხართა და აფხაზთა ენითა“. XIII საუკუნეში და მანამდეც, არამც თუ ქართველმა, უცხოელებმაც იცოდნენ, რომ „აფხაზი“ ქართველს ნიშნავდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი ფაქტებიც: „იბერები და აბაზგები ერთი ტომისანი არიან“ (იოანე ცეცე XII ს. ბიზანტიელი კომენტატორი და ფილოსოფოსი);

„აფხაზეთი ქვეყანა, გურჯებად წოდებული ქრისტიანი ხალხით დასახლებული“. (იაკუთი, XIII არაბი ავტორი); „სოხუმი, ამბობენ გურჯთა ქვეყნის ნაწილია“ (არაბი ავტორი, აღ-კაკაშანდი, XIII-XIV სს.);

„სოხუმი საქართველოს ქალაქია“ (არაბი ავტორი, აბულ ფიდა, XIII-XIV სს.);

„აფხაზეთის მეფეები ქართლის მეფის ვახტანგ გორგასლანის შთამომარები არიან“ (სომეხი მემკვიდრე ვარდან ვარდაპეტი, XIII ს.). მეზობელმა სომეხმა სწავლულმა ნუთუ არ იცოდა, რომ, „აფხაზეთი“ და „ქართლი“ ერთი და იგივე არ იყო. ან რატომ უწოდებს XV საუკუნის რუსი მოგზაური, ათანასე ნიკიტინი სოხუმს „გრუზინსკაია ზემლია“-ს; ან რატომ წერს დიდი ქართველი გეოგრაფოსი და ისტორიკოსი, ვახუშტი ბატონიშვილი (XVIII ს.); „აფხაზები ეგრისის ჩამომავალი არიან“-ო და სხვ. არაფერს ვამბობთ აფსუთა ჩრდილოეთ კავკასიიდან აფხაზეთში ჩამოსახლების შესახებ არსებულ მასალებზე.

„აფხართა ენითა“ ქართველი მემკვიდრე იმიტომ ამბობს, რომ იგი არ იყო მისთვის ნაცნობი აფხაზთა ენა, რომელიც ცხადია, უფრო პოპულარული და ცნობილი იყო. სულ სხვა საქმეა, თუ სად ცხოვრობდნენ იმ დროს აფხარები (აფსუები). უსათუოდ აფხაზეთის მეზობლად, ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც დღესაც ზელენუკის რაიონში აბაზთა 16 სოფლიდან ერთის სახელწოდებაა „აფსუა“ (იგივე „აფსარი“). დანარჩენი აბაზები იმიერკავკასიის სხვადასხვა რაიონებსა და რეგიონებში ცხოვრობენ, რაც წარსულში მათ მომთაბარულ ბუნებაზე მიუთითებს. მომთაბარე ხალხები თუ ტომები ხშირად დაქირავებულ ჯარში მსახურობდნენ (გაევისენოთ თუნდაც ლაზიკის მეფე გუბაზი, რომელმაც სამას დინარად ჩრდილოკავკასიელი ალანები და საბარები დაიქირავა სპარსელების წინააღმდეგ).

სხვათა შორის, ლაშა-გიორგი არ იყო გამონაკლისი, რომელიც უცხო ზედსახელს ატარებდა. შორს რომ არ წავიდეთ, განა „გორგასალი“ სპარსული სიტყვა არ არის? მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ქართლი სპარსეთად ქვიფულისხმობთ, ან სპარსელები მის ამორიგებებად?!



ინტინერ გ. ვეკიძეს ადილეური ენის კუთვნილება ჰგონია აგრეთვე „აფსირტე“ (ლევკენდარული მედეას ნახევარძმა და არა ძმა, როგორც იგი წერს) და ფოთის ძველი სახელი „ფაზისი“.

არც ერთი და არც მეორე ადილეური არ არის. მდ. ჭოროხის ბერძნული სახელია „აკამფსისი“ და „აფსაროსი“. ორივე ბერძნულია და ნიშნავს: „აფსაროსი“ („ა+ფსაროს“, სადაც ა უარყოფითობის აღმნიშვნელია, ხოლო „ფსაროს“-თევზი)-მდინარე სადაც თევზი არ არის; „აკამფსისი (ა+კამფსისი, სადაც „კამფსისი“ ნიშნავს მოხრას, მოხრილს) – მდინარე, რომელიც მუხლს არ იკეთებს, ანუ კუთხეუქმნელი. „აფსაროს“ ბერძნ. ლაქებიანსაც აღნიშნავს.

ბერძნებს თან გააკვიათ ეს გეოგრაფიული სახელები, ხოლო მდინარეს შერჩა ადგილობრივი სახელი „ჭოროხი“, რაც სვანურად სამერცხლეს ნიშნავს („ჭუერ-მერცხალი). სვანურ წარმოშობისად მიაჩნიათ ტოპონიმი „ბათუმი“ (ა. ინაიშვილი, მ. ქალდანი...), „ლანჩუტი“ (ს. ჯანაშია...) და სხვა მრავალი. სახელი „აფსირტე“ მომდინარეობს ბერძნული სახელიდან „აფსაროსი“. „ტე“ – ბერძნულია (შდრ. „აიე-ტი“-აიელი). „აფსირტე“ – ე. ი. აფსაროსის ბინადარი (შდრ. სვანური „აბსასტ“-ნადირთა და მონადირეთა ღვთაება).

რაც შეეხება ფ ა ზ ი ს ს, ისიც ადგილობრივი წარმოშობისაა. „ფაზ“-ს სვანები უწოდებენ ერთგვარ სამკურნალო ბალახს, რომელიც იშვიათად თუ სადმე მოიპოვება. (იხ. სვანური პროზაული ტექსტები, IV, თბ., 1979, გვ. 255). აქედან გამომდინარე, „ფაზიშ“ სვანურად ეწოდება იმ ადგილს, სადაც ხსენებული ბალახი ხარობს. მაგრამ ბერძნებმა იგი მიამკვანეს მათ ენაზე არსებულ სიტყვას „ფაზან“-ს (ხოხობი), პოლიტიკური მოხარებებით ეს გეოგრაფიული სახელი

ბერძნულად მონათლეს, რაც ერთადერთი შემთხვევა არ არის. თვით სახელი „რიონი“ უნდა მომდინარეობდეს სიტყვიდან „რივენ“, რაც სვანურად „წყალუხვს“ ნიშნავს და სხვ.

ბერძნულ სამყაროში ძველი კოლხეთის გეოგრაფიული სახელები უნდა ვეძებოთ იმ შემთხვევაში, როცა მათი ახსნა შეუძლებელია ამ რეგიონის ძირძველ ბინადარ მეგრულ-სვანურ ენებზე. ადილეურ ენებზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან ისინი ამ ადგილებს არც არასოდეს ფლობდნენ და არც კოლონიზატები არ ყოფილან. მათი წინაპრები ამ დროს მეოტის (აზოვის) ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. ეს მეოლიტები აერთიანებდნენ კერკეტებს, ზიხებს, ფესესებს, სინდებს...

საქართველოს ტერიტორიაზე ტოპონიმიკისა თუ ონომასტიკონში ასეთივე კვალი დატოვებს სხვა დამკვრობლებმა: არაბებმა, სპარსელებმა, ოსმალებმა, რუსებმა და სხვ.

რაც შეეხებათ აფსილებს, რომლებიც ბერძნულ-ლათინურ წყაროებში I-VIII საუკუნეებში მოიხსენებიან, ასევე ქართველური ტომია, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. ბერძენთაგან აფსაზეთის განთავისუფლების შემდეგ (VIII ს.-ის მეორე ნახევარი) ზმარებიდან ქრება ტერმინი „აფსილოს“.

მართალია, „აფსუასა“ და „აფსილს“ შორის ფონეტიკური მსგავსება არსებობს, მაგრამ შინაარსობრივად ისინი ორ სხვადასხვა ენას ეკუთვნიან, კერძოდ ბერძნულსა და აფსურს (აბაზურს). ბერძ. „აფსილოს“ ნიშნავს „თმიანს (ბანჯგელიანს)“ (შდრ. ბერძ. „მაკრონი“-დიდი; „ფთიროფაგი“-გიორჩის მჭამელი და ა. შ). ხოლო „აფსუ“ აფსურად (აბაზურად) – „სული“ („სუფსუ თოუპ“ – სული მიღვას; „აფსხუხრა დაჭაუპ“ – სულს ღაფავს). სხვა ვაგებით „აფსუ“ – მკვლარი,



ცხედარი, მიცვალებული („აფსუ აკუ-  
ბა ღთარწეიტ“—მიცვალებული კუბო-  
ში ასვენია).

აფსილების განსახლების ტერი-  
ტორიაზე ყველა გეოგრაფიული სა-  
ხელი არის მეგრულ-სვანური (მდ. ღა-  
ლიძგასა და დღევ. ახალ ათონს შო-  
რის). მაშასადამე, აფსილები რომე-  
ლიმე ამ ენაზე მეტყველებდნენ. უფრო  
მეტეც, პროკოფი კენარიელის ცნობით  
აფსილები თავიანთ ციხეს „წიბელს“  
ემახიან (გეორგიკა, II, გვ. 162). მა-  
შასადამე, ეს სიტყვა მათი ენის კუთ-  
ვნილებაა. წიფელი (ახვ ეწოდებოდა  
ამ ადგილს XIX საუკუნემდე) ქართ-  
ველური სიტყვაა და ნიშნავს: ქართლუ-  
ლად — წიფელი, рык. Fagus, ჭანურად—  
წიფრა, წიფური, მეგრულად — წიფური.  
აფსუები „წიფელს“ უწოდებენ „ამი“-ს,  
სვანურად—წიფ, წიფრა. ციხე-სიმაგ-  
რეს აფსურად „აბაა“ ეწოდება.

თუ აფსილები ადიღური ტომი  
იყო, მაშინ რატომ უნდა ეწოდებინათ  
თავიანთი ყველაზე მნიშვნელოვანი  
პუნქტისათვის ქართველური სახე-  
ლი?

საგულისხმოა ერთი ფაქტიც: აფ-  
სუები თავიანთ თავს „აფსუა“-ს უწ-  
ოდებენ. იგი ორი სიტყვის კონგლო-  
მერატს წარმოადგენს: აფს(სული)  
+ უ ა ა (ხალხი, ადამიანები). ამასთანა-  
ვე ა ფ ს თ ა აფსურად „ხეობას“  
ნიშნავს. ამ ტერმინში-თა აფსურში  
გეოგრაფიული სახელებისათვის და-  
მახასიათებელი დაბოლოებაა (მდრ..  
გუმის-თა, გუდაუ-თა, ბიჭვინ-თა და  
სხვ.). გამომდინარე აქედან, ა ფ ს უ ა ა  
ნიშნავს „ხეობის ხალხს“. გასათვალის-  
წინებელია ის გარემოებაც, რომ  
აფსუებს სამშობლოს აღმნიშვნელი სი-  
ტყვა არ გააჩნიათ. ყველაფერი ეს მეტყვე-  
ლებს იმ ისტორიულ რეალობაზე, რომ  
აფსუებს (აბაზებს) მკვიდრი სამშობლო  
ქვეყანა არასოდეს არ გააჩნდათ. დღე-  
საც ისინი მიმოფანტულნი არიან

მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში, ნაწი-  
ლიც (აფსუების სახით) საქართვე-  
ლოს ზღვისპირეთში დამკვიდრდა.

„აფსნი“ არც ერთ წერილობით სა-  
ბუთში არ დასტურდება. იგი ხელოვნ-  
ური შემოქმედების ნაყოფია. ამ ტერ-  
მინის გაჩენა ხალხის (აფსუების)  
თვითცნობიერების (გინა თვითგამორ-  
კვევის) ევოლუციასთან არის დაკავ-  
შირებული. ეს სიტყვა ჩნდება მას შემ-  
დეგ, როცა აფხაზ სეპარატისტთა შე-  
მეცნებაში (ცნობიერებაში) დამოუკი-  
დებულ სახელმწიფოს შექმნის იდეა  
წარმოიშვა.

„სამშობლოს“ შემცველი აფსური  
სიტყვაა „აფსადგვილ“ (ე. ი. აფსუათა  
განსახლების ადგილი). ამ ე. წ. „ად-  
გილს“ (რომელიც აგრეთვე ქართვე-  
ლურია) დაკონკრეტება არ ახლავს.  
გააჩნიათ „სამშობლოს“, „მამულის“  
აღმნიშვნელი მეორე სიტყვაც — „აჯ-  
ნჯტილა“, მაგრამ მას ისინი აფხაზე-  
თის მიმართ არ ხმარობენ, და საერთ-  
ოდ ეს ტერმინი უფუნქციოა, პრა-  
ქტიკულ მნიშვნელობას მოკლებული.

იგივე შეიძლება ითქვას „ყვა“ და  
„ფს“ ელემენტთან ტერმინებზე. ისი-  
ნი ან ბერძნულია, ან ქართველური  
(ძირითადად მეგრულ-სვანური). თუ  
მაინც და მაინც ადიღური შეიძლე-  
ბა ყოს, მაშინ იგი მხოლოდ XVI სა-  
უკუნის შემდგომ არის გაჩენილი.  
მანამდე მათი არსებობა არც დასტუ-  
რდება.

ჩვენთვის გაუგებარია, როცა ზო-  
გიერთი ქართველი ავტორი სრულიად  
უსაფუძვლოდ, მაგრამ დიდის მონდო-  
მებით იღწევის ანტიქართული ძაღე-  
ბის სასარგებლოდ. მათ რიცხვს ამ შემ-  
თხვევაში ბ-ნი გ. ერაძეც ეკუთვნის.  
გასაოცარია ისიც, რომ ამ „ნაღვა-  
წის“ გამოქვეყნება მათთვის პრობ-  
ლემას არ წარმოადგენს. ბ-ონ გ. ერ-  
აძის დასახელებული ვრცელი სტა-  
ტია გამოქვეყნდა ჟურნალში „რიწა“  
(რედაქტორი გივი ბერაია). ასეთი აე-  
ტორები ამასთანავე თითქოს აფხაზ

ავტორებს კიდევაც ძალიან მკაცრად აკრიტიკებენ, სინამდვილეში ბრწყინვალე სამსახურს უწევენ მათ თავიანთი მოხერხებული მეთოდით, ერთდროულად ორი კურდღელის დაჭერას ცდილობენ.

დიდი ტრადიციების მქონე ქართულ ისტორიოგრაფიას, რომელსაც საქვეყნოდ გ. ნთქმული მეცნიერები, ჰვაგდა, ასეთი დაკნინება არ ეკადრება. დღეს ბევრმა, ვისაც თავის სპეციალობაში ხელი მოეცარა, ისტორიასა და ენათმეცნიერებაში (ან კიდევ პოლიტიკაში) ჰპოვა თავშესაფარი, რითაც შესძლეს იმიჯის შექმნა, პოპულარობის მოპოვება, ზოგ-ზოგნი სხვა სიკეთესაც ეზიარნენ, მაგრამ ამით აგებს ქვეყანა, ხალხი და მეცნიერების ცალკეული დარგები.

ინჟინერ გ. ერაძეს რა უნდა უსაყვედუროთ, როდესაც იმავე პოზიციაზე დგანან პროფესიონალი, სათანადო სამეცნიერო ხარისხების მქონე ისტორიკოსთა ერთი ნაწილი, რომელთაც დღემდე ვერ დაუძლევიან იმპერიული იდეოლოგიის სტერეოტიპებიდან გამომდინარე პოსტულატები. თუ კი მათი აზრით აფხაზი (ისტორიული გაგებით) იგივე აფსუაა, მარტოა, რომ განემარტოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ადიღური აძიბებები და არძინებები და ძირძველი აფხაზი არდაშელია, ან გოგუა ერთი ტომის, ერთი ეთნოსის კუთვნილებას წარმოადგენენ. ვანა ამაზე მეტი მეცნიერული უმეცრება შეიძლება? ამ რაივის მკვლევარები ყოველნაირად ცდილობენ ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებში, როგორმე დასაფრღენი მოუძებნონ თავიანთ პოზიციას, და პირუკუ - საფუძველი გამოაცალონ საწინააღმდეგო მიმართულებას, ანუ ისტორიულ აფხაზთა ქართული ეთნიკური კუთვნილების უტყუარ ჭეშმარიტებას. ანტიკური ხანის ავტორები ხან აშკარად, ხანაც ქვეტექსტით მიგვანიშნებენ

აბაზთა (აფხაზთა) ქართველურ ტომულ მებად (სუან-კოლხებად, მეგრულ მებად, თუ მოსხებად) აღიარების ფაქტზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქართველ თუ არაქართველ მეცნიერთა პოზიციის სასარგებლოდ მუშაობდა მძლავრი საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა, მაინც ამ მიმართულებით მთელი მათი ნაღვაწი ოჩოფებებზე შემდგარ ზუზულასავით ინგრევა. ამ მკვლევარებს რატომღაც ჰგონიათ, რომ ადიღურ-აბაზურ-აფსუური მოდგმის ხალხი მცირე აზიიდან დასავლეთ საქართველოს გავლით ჩრდილოეთ კავკასიაში მოხედნენ. სამზრთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის ასეთი ფაქტი გამორიცხული არაა, მაგრამ თუ ის მეცნიერულად არ დასაბუთდა, მაშინ როდემდე უნდა იბოვინოს ამ თეორიამ? თუ როდის მოხდა მათი ასეთი გადაადგილება, ამაზე კონკრეტული პასუხი არ არსებობს. სამაგიეროდ ადიღური ტომების სამზრთიდან ჩრდილოეთისაკენ მიგრაციის საწინააღმდეგოდ მეტყველებენ შემდეგი ფაქტები:

1. ძველი მცირე აზიის მკვიდრი - აბეშლა და კასკი, ადიღელთა წინაპრებად მიაჩნიათ. ისინი მოხსენიებულნი არიან ძვ. წ. XII-XI სს, როცა ბრძოლას აწარმოებდნენ ხეთების წინააღმდეგ. თუ ძვ. წ. II-I ათასწლეულში ადიღელთა წინაპრები მცირე აზიაში ცხოვრობდნენ, მაშინ ძვ. წ. III ათასწლეულში როგორღა შექმნეს მათ მაიკოპური კულტურა ჩრდილოეთ კავკასიაში? ხომ არ გავუწიოთ ზოგჯერ ანგარიში იმასაც, რომ ხშირად ამა თუ იმ ტერმინთა დამთხვევა ყოველთვის ჭეშმარიტების დასტურად არ გამოდგება?

2. ვერც იმას უარეყოფთ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში ადიღური ტომები მეოტის (აზოვის) ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, რომელიც მცირე აზიიდან ძალიან შორს მდებარეობს.

3. ძვ. წ. III--II სათასწლეულში ქართველური ტომები — სვანთა და მეგრულ-ჭანთა წინაპრები უკვე დასავლეთ საქართველოს ბინადარნი არიან. ამ დროს აბჰმლა და კასკი თუ მცირე აზიაში (დღევანდელ თურქეთის ტერიტორიაზე) ცხოვრობდნენ, მაშინ როდის და რა გზით მოხვდნენ ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში? იქნებ საგანგებო კორიდორით გაატარეს? მაგრამ მაიკოპის კულტურა? ის ზომ უფრო ადრინდელია?

4. ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებით თარიღდება არკონავტთა ლაშქრობა კოლხეთში. სვანთა და მეგრელთა მეზიერებამ დღემდე შემოინახა თქმულების ვარიანტები ოქროს საწმისზე. აიას კულტზე (აიას კოლხეთის ძველი სახელწოდებაა, არკონავტების დროინდელი) და ა. შ. აფხუბებმა და საერთოდ ადიღეურმა ტომებმა ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ წიგნებიდან თუ იციან. სამაგიეროდ მათში ფართოდაა გავრცელებული ეპოსი ნართების შესახებ, რომელიც სკვითურ-სარმატული წარმოშობისაა. ეს ფაქტი აფხუათა ისევ ჩრდილოეთიდან მოსულობაზე მიგვანიშნებს.

5. აფხაზ მკვლევარებს სურთ მიჩქმალონ პლინიუსის (ახ. I ს.) ცნობა იმის შესახებ, რომ „აბზოა“ (Abzoae)-აფხუა ამ დროს კასპიისპირეთში, სკვითურ-სარმატულ ტომებს შორის ცხოვრობდა.

6. საკმაო ხანია არსებობს ჰაიოთეზა ადიღეური ტომების სინო-ტიბეტური და ენისეური წარმომავლობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ა. სტაროსტინმა წამოაყენა. მას მხურვალედ დაუჭირა მხარი პროფ. ი. ვორნოვიმა — აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგიის იმპერიული ცენტრის წარმომადგენელმა. მაშინ როგორ შევესაბამოთ ერთმანეთს აფხუათა წარმომავლობა ერთის მხრივ მცირე აზიიდან და მეორეს მხრივ სინო-ტიბეტურ-ენისეური აზიიდან? აფხაზი სეპარატიზტები ამ

თეორიას, რომ იზიარებენ, ეს ამკარად გამოხატეს 1993 წელს მარსელში გამოსული მოცემულ წიგნში: „აფხაზეთის თეთრი წიგნი“. მსოფლიოს მერვე საოცრებად ჩათვლება ალბათ აფხუათა ერთდროულად ორი ურთიერთ ასტრონომიულად დამორიშორებული რეგიონებიდან წარმომავლობა.

ზომ არ არის ეს მეცნიერული ვარჯიშობანი, პოლიტიკური თამაშისათვის გამოგონილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩრდილოეთიკა და სამხრეთიკა აფხუა-ადიღელებისა იყოს, ვიდრე ეს რუსეთის იმპერიის მეჯვარეებს სჭირდებათ. დღევანდელი ვითარება, რომ ამაზე მეტყველებს, ეს ჭეშმარიტებაა. ჭეშმარიტებაა ისიც, რომ „აფხაზი“ და „აფხუა“ სხვადასხვა ეთნო-ლინგვისტური კატეგორიებია. მათი ერთმანეთთან შერწყმა-ასიმილაციისა და ინფილტრაციის პროცესი ჯერაც არ არის დასრულებული. მათ შორის ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირება ბოლო წლებში სისხლიანი შეტაკებებშიც გადაიზარდა. ეს შემთხვევითი და მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ამკარა თუ ფარული ანტაგონიზმი ეთნიკურ ნიადაგზე მათ შორის ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ქართულ სამყაროსთან მჭიდრო კონტაქტები მისი გამწვავების საშუალებას არ იძლეოდა.

პ. ინგოროყვასეულ მტკიცებას იმის შესახებ, რომ ისტორიულ წარსულში აფხაზეთში მოსხების (მესხების) განსახლება უნდა ჰქონებოდა ადიღი, მკვლევართა გარკვეული ნაწილის მიერ დღესაც არ არის გაზიარებული, იმის გამო, რომ თითქოს ამის შესახებ სარწმუნო წერილობითი წყაროები არ გავგანხილეს და სხვ. შესაძლოა ეს ასეც იყოს. მაგრამ ფაქტია, რომ წერილობით წყაროებში პ. ინგოროყვამ, აფხაზეთის ტერიტორიაზე 136 გეოგრაფიული სახელი ქართულ ენაზე ახსნა. ყველა თუ არა, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ქართულია, რა-



საც მეცნიერი მოსხურს ეძახის. მათ ვინდა ქართული ვუწოდოთ, ვინდა მოსხური, ფაქტი ის არის, რომ ამ გეოგრაფიული სახელების ახსნა მხოლოდ ქართული ენის მეშვეობით გახდა შესაძლებელი. სად გავუქცეთ ამ ფაქტს? ან რატომ გვაწყობს ამ ჭეშმარიტების ხელაღებით უარყოფა?

არც ისაა გამორიცხული, რომ საქმე გვეკონდეს მეგრულ-სვანურ-მოსხურ ნარევე ტომთან. სხვათაშორის აკად. კ. კეკელიძე შიდა ქართლში ძვ. წ. IV-III საუკუნეებში სვანურენოვან მესხთა ტომის არსებობას ვარაუდობდა. ამას ტომოპიკური მასალაც ადასტურებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სვანურში ათეულობით გეოგრაფიული სახელის ახსნა მხოლოდ ძველი ქართული ლექსიკონების მეშვეობით გახდა შესაძლებელი (თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს... გვ. 33-47). ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა აკად. ნ. მარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ მის სვანთა თავდაპირველ სახელად „მოსოხი“-დან მომდინარე „აბასხი“ მიიჩნედა, ამასთანავე შენიშნავდა, რომ ჯერ თამარ მეფის დროს სვანური ენა მესხურ ელფერს ატარებდაო და სხვ. (Н. Я. Марр, К зате эмиграции мосхов из Армении в Сванетию, ИАН, 1916, с. 1689).

ანგარიშგასაწევია ის ფაქტიც, რომ ნიკოფსიას (რომელიც დღევანდელ ნოვოროსისკსა და ტუაფსეს შორის მდებარეობდა), ახ. წ. II ს, ავტორი ფლავიუს არიანე „ძველ ლაზიკას“ უწოდებს. იგივეს იმეორებს XI ს. ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის ცნობა იმის შესახებ, რომ ეგრისის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი აღწევდა მდ. ყუბანამდე („მდინარე მცირისა ზაზარეთისა“).

ამ ისტორიულ რეალობას ადასტურებს მდ. ჭოროხიდან ანაამდე მეგ-

რულ-ჭანურთან ერთად ათეულობით სვანური გეოგრაფიული სახელების დღემდე ფუნქციონირების ფაქტი (თ. მიბზუანი, კ. მერეტუკოვი, ზ. რატიანი...). თავისი არქაულობით ეს ტომონიშები თუ ჰიდრონიშები ვეულაზე აღრიდელი ჩანს.

ჭეშმარიტების მაძიებელმა მკვლევარებმა სწორედ ამ მასალას უნდა მიაქციონ ყურადღება და არა თითო-დან გამოწოვილ აფსუთა ავტოქტონურ წარმომავლობის ცრუ დებულებას.

არც იმის უთქმელობა ივარგება, რომ ზოგიერთი აფსუა ქართველებისა და საქართველოს მიმართ უფრო კეთილგანწყობილია, ვიდრე გააფსუებული აფხაზების ერთი ნაწილი.

ისტორიულ აფხაზეთში ქართულ-მა (ვინა მესხურმა) ეთნიკურმა ელემენტმა, რომ თავისი კვალი დატოვა მხარის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნომენკლატურაში, ეს უდაო ფაქტია და ამ თვალსაზრისით პ. ინგოროყვას კრიტიკა უსაფუძვლოა.

ვეულაფრიდან ჩანს, რომ ძირძველი აფხაზი ზალხის ფორმირება ხდებოდა მეგრულ-სვანურ და მესხურ (ვინა ქართლულ) ეთნიკურ ნიადაგზე, რომელიც VIII-X საუკუნეებში უნდა დასრულებულიყო მეგრული (ზანური) ენის გარკვეული კილო-კავის დომინანტობით. სათანადო მასალა არსებობს იმის შესახებაც, რომ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა საოჯახო ენაც მეგრული იყო, ხერო და სახულიერო კი ქართული.

აფხაზი ზალხის ხელახალი ფორმირება (ანუ მეტამორფოზა) XVI საუკუნიდან იწყება. ამჯერად უკვე სრულიად ახალი-ადილური ეთნიკური ელემენტის მონაწილეობით. ამას ისიც ადასტურებს, რომ XVII საუკუნემდე

აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქართულ (ძირითადად მეგრულ) გვარებს ატარებდა (თ. მიბზუანი, აფხაზეთის მოსახლეობა XVII საუკუნემდე, „ლს“, 1995, №29-30).

საერთო მეგრულისაგან განსხვავებული ე. წ. აფხაზური ტიპიც ამ ისტორიული პროცესის ნაყოფია.

ამგვარად, ისტორიულ-ეტიმოლოგიური წარმოადგენდა მეგრულ-აფხაზური იდეური ერთობებისათვის დამახასიათებელი თვისებების სინთეზურ კონგლომერატს, რაც მას უმაღლესი ხარისხით მოსაედა, ვიდრე მისი შენტალიტეტი ველიკორუსული იმპერიული იდეოლოგიის ბინძურ ოკეანეში არ იქნა დეგრადირებული.

## ლო ქაინოს 1916 წელს გამოქვეყნებული პუბლიცისტური ნაწარმი

ხელოვნების რობახა და დანიშნულებაზე, ფორმისა და შინაარსის ურთიმართობაზე დაუაკამათი „არ ახალია, ძველია“ და XX საუკუნეში არ დაწვებულა. ამას, უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ადასტურებს, ხოლო თერგდალეულებმა ნამდვილი ლაშქრობა მოაწყვეს „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ მომხრეთა წინააღმდეგ. თუ სამოციანელები „ესთეტთა“ ანტიხალხურ განწყობას ებრძოდნენ და თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება მისაწვდომი უნდა ყოფილიყო საზოგადოების ყველა ფენისთვის, XX საუკუნის დასაწყისში ფორმისა და შინაარსის საკითხი სხვაგვარად დადგა, კრძოლ: რა ქმნის ნამდვილ ხელოვნებას, ფორმის განუმეორებლობა — სინატიფე, თუ შინაარსის სიღრმე — ფილოსოფიურობა.

როგორც ცნობილია, აღნიშნული კითხვა ჩვენს საუკუნეში სიმბოლისტებმა დასვეს და უპასუხეს კიდევ — რასაკვირველია, ფორმა, მხოლოდ და მხოლოდ ფორმა! ცხადია, ცნობილ ლიტერატურულ პროცესებს უკავლოდ არც საქართველოში ჩაუვლია და 1916 წლის გაზაფხულზე ქუთაისში გამოვიდა ჟურნალ „ციხფერი ყანწების“ პირველი ნომერი, რომლის პირველ გვერდზე დაიბეჭდა პაოლო იაშვილის „პირველთქმა“ — ქართველ სიმბოლისტთა მანიფესტი „პირველთქმის“ ძირითადი დებულებები შემდეგში მდგომარეობს: „უდიდ-

სი თვისება არსებობისა არის სიამაყე... ხალხი, რომელიც უარყოფს დიდების სურვილს, ჰკავს ავთმყოფს, რომელმაც იგრძნო კოცნა სიკვდილისა და კიდევ ელის სიცოცხლეში დაბრუნებას, ჩვენ ვკვლავთ შიშს თავის ბნელ მანტიასი და ვუმღერით რაინდობას, სიჭაბუკეს და აღურ სიხარულს... შიშის სამყარო სიბნელეა — ჩვენ ნათელში ეცხოვრობთ. ეცხოვრობთ ნათელში და სიმთვრალეში... ჩვენ ვვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსახლურო მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვაილოვანი ველების ზურმუხტობას...“<sup>1</sup> კეთილშობილური სურვილია და ამის საწინააღმდეგო არავის არაფერი ექნებოდა, აქტორს იქვე რომ არ დაეწერა: „უადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას, უარყოფთ წარსულს, როგორც მზით განათებულს ისე დამეში შეწუხებულს. წარსულის ოქროს ავირკინებს გამოვსტაცეთ ძვირფასი მარგალიტები და გადვსროლოთ დაიწვივება ზღვაში... (ხაზი ჩვენია — თ. მ.). ჩვენ გვსურს შექმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები... გაიყარდეთ მიწური მისტერიები, იცეხლის მოკიდება მისი, რაც წარსულმა გააღიდა, გაუღიდავი სიკვდილის ძახილს, დაივიწყეთ სწეული და მახინჯი, უარყოფითი ლმობიერება და ქალური სინაზე. ვიფარდეთ ქალი ვნებაანად და დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხი...“<sup>2</sup> წინასიტყვიანობის შემდეგ ჟურნალში დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის, ტიციან ტა-

ბიძის, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ი. გრიშაშვილის, ელენე დარიანის (პ. იაშვილის ფსევდონიმა), ნ. ლორთქიფანიძის, ლელი ჯაფარიძის, ალ. ცირკეიძის, არნ. ჭუმბაძის, აკაკი ფაღავის ნაწარმოებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პ. იაშვილის ლექსი, რადგან სწორედ მან გამოიწვია საზოგადოების, ჩვენი აზრით, საესებით სამართლიანი, აღშფოთება:

„პაოლო იაშვილს — მომეწინა  
ვეითელი დანტი,  
ვაქებდი შექსპირს — მაგრამ ფარდა!..  
შექსპირს უარი!..  
რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთლემი  
მხოლოდ ვრუ არი,  
და რომ წარსულმა ვერ გადმოცა მე  
ანდამატი...“<sup>3</sup>

1916 წლის 12 მაისს გაზეთ „სამშობლოს“ 353-ე ნომერში გამოქვეყნდა ლ. ა. შენგელაიას (ლევო ქიაჩელის) წერილი, სათაურით „ლიტერატურული მეშინობის პირველი მერცხლები“. ავტორის აზრით, „ციცფერი ყანწები“ ლოგიკური შედეგია იყო „იმ იდეურ ამჩატებისა, რომელიც ჩვენს მხატვრულ მწერლობას ამ ბოლო ხანებში დაეტყო“.<sup>4</sup> ლევო ქიაჩელმა შეუძლებლად მიიჩნია, შეუფასებლად დაეტოვებინა შინაარსის უგულვებელყოფა თანამედროვე ლიტერატურაში, რადგან სწამდა, რომ „იდეური სიმკრივის უქონლობა ჩვენი თანდაყოლილი ეროვნული თვისება“<sup>5</sup> არ გახლდათ და „ბელეტრისტიკის დაქუცმაცება და პოეზიაში უშინაარსობის გამეფება დიდ უარყოფით მოვლენად“<sup>6</sup> უნდა ჩათვლილიყო. პუბლიცისტი იმ ესთეტიკურ და ეთიკურ იდეალებზე აღიზარდა, რომელთა თანახმად „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების, და ვით ყვაილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნების“, ხოლო „უკადავება მშვენიერსა სულში მდგომარობს“. და თვლიდა: „შემომქმედი, რომელმაც უშინაარსობა პრიციპად გაიხადა, უკვე მოკვდა!.. მან თვით უარყო უკვდავება, რადგან უკვ-

დავი მხოლოდ სულის სესხებულნი ხიდრქმეა“<sup>7</sup>

ლევო ქიაჩელმა შესანიშნავად უწყობდა, რომ ადამიანი ახალ საგანსა და მოსაზრებას უფრო ადვილად აღიქვამს და ითავისებს, თუკი ძველსა და მისთვის კარგად ცნობილს შეადარებს და შეუპირისპირებს. ამიტომაც თავისი მოსაზრების ნათელსაყოფად ავტორმა სიმღერა და სიტყვა შეადარა ერთმანეთს. მან შეახსენა მკითხველებს, რომ სიმღერის მთავარი დანიშნულება მსმენელის დატკობა, ჯერ გრძობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ გონებაზე ზემოქმედება იყო, ხოლო სიტყვის მთავარი დანიშნულება „აზრის გადმოცემა, გონებაზე მოქმედება“<sup>8</sup> გახლდათ, რაც შეეხება ფორმას, ლ. ქიაჩელის აზრით, მას ერთადერთი დანიშნულება ჰქონდა — „მძაფრი განცდანი უფრო მკაფიოდ“ გამოეხატა. სწორედ ამიტომ „შოთხოვენ მწერლისგან ფორმისა და შინაარსის სრულ პარმონიას“<sup>9</sup>.. პუბლიცისტმა ვველასათვის ნაცნობ ავტორიტეტებს მიმართა და აღნიშნა: „დიდი მწერლები — გიორგი, შილერი, შექსპირი, შოთა, დოსტოევსკი, ტოლსტოი — დიდი ფილოსოფოსებიც იყვნენ! ამიტომაც დასტოვეს მათ ღრმა კვალი“-ო<sup>10</sup> წერილის ავტორი თვლიდა, რომ საღი აზრი, თუნდაც უხეიროდ გამოითქმული, შინაარსიან პროზას მაინც მოგვეცემდა, ხოლო თუ მწერალი მარტო საოცარ სიტყვებს გამოეკიდებოდა, ხელში შეგვრჩებოდა „მხოლოდ ქალბატონი რახარუხი“.<sup>11</sup>

იმდენად, რამდენადაც ციციფერყანწელები თავიანთ სულიერ მოძღვრებად „ლოთ ძმებს“, ბოდლერსა და ვერლენს, აღიარებდნენ, ლ. ქიაჩელმა, უპირველეს ყოვლისა, მათი შეფასება განიზრახა და აქაც შედარებას მიმართა. მან შესთავაზა მკითხველს, წარმოედგინა აბობოქრებული ოკეანე, რომელიც თავის უძირო მკერდში სამყაროს ჩანთქმას ლამობდა, კლდესთან მებრძოლ ტალღებში ჩაჯარდა ვიღაც. აზვირთებული ზღვა თვის სიღრმეში ეპატივებოდა უცნობს, თით-

ქოს ჩაითრია კიდევ. მაგრამ საბრალომ კვლავ ამოყო თავი, გაიბრძოლა უკანასკნელად. მაგრამ ცხოვრების უღმობელომა უფსკრულმა გაიმარჯვა — ადამიანი ჩაიძირა. ლ. ქიანელს ამ უკანასკნელის ხვედრს ავიწყებდა ბოდლერის ცხოვრება: ოკეანე ფრანგი სიმბოლისტიისთვის უზარმაზარი ქალაქის სწრაფი და რთული ცხოვრება იყო, დროებითი მარცხი (ჩაიძირვა) — პოეტის მიერ სიმბოლისტის გაღობა, კვლავ ამოვიწითვი, უკანასკნელი გაბრძოლება — ღრმა და წრფელი ღირებებით აღსავსე ჯადოსნური ლექსები, მაგრამ საბოლოოდ — მაინც ლოთობის ჭაობში ჩაბრძოლა. თუკი მკითხველი ამ სურათს წარმოიდგენდა, მიიღებდა ბოდლერს. ხოლო ვერლენი მწერალს დასავლეთში გადასახლებულ ლერმონტოვის პეჩორინს მოაგონებდა, რომლის ერთი არსება ცხოვრობდა, მეორე კი პირველის მოქმედებას განსჯდა და წრფელად ამბობდა: „დაე, ღორმაც ილაპარაკოს!“ ლ. ქიანელს, როგორც რეალისტს, ღორის ამტყველებების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, თუკი გოგოლის სიტყვებით, ეს დაავანახებდა „ВСЮ ПОШЛОСТЬ ПОШЛОГО ЧЕЛОВЕКА“<sup>12</sup>, მაგრამ როცა „ღორის ხსენებას საერთო და დადებით ნორმად“<sup>13</sup> აქცევდნენ, პუბლიცისტი „მეშანობის ასეთ ამოთეოზს“ ვერ შეეუებოდა.

რადგან მეშანობისადმი, როგორც ცხოვრების წესისადმი, თავისი შეურაცხებლობა აეხსნა, ლეონტიძემ მკითხველს განუმარტა ამ მოვლენის არსი, მორალური ფასეულობები: „თუ ყველაფერს იქით მისცემ — საყვარელი იქნები, თუ არაფერს მოსთხოვ — საჭეები იქნები, აი. დაფასების სახომი და მთელი ფსიქოლოგია მეშანობისა! ამიტომ მეშანობი სასტიკი ომს უცხადებს ყველაფერს, რაც კი მის პირად გემოვნებას ეწინააღმდეგება. მოვალეობა, ვალდებულება, საზოგადო ნორმა „პრინციპი მას სახატილოდ არ ყოფნის, ცეცხლი, ყველაფერს, რაც კი ვიწრო ეკოიზმს არ ემსახურება, — აი, სამოქმედო პროგრამა

მა მეშანობისა!“ ჩვენი აზრით, უფრო ზუსტად და ობიექტურად ლენის ჭეშმარიტი არსის გადმოცემა და ფართო საზოგადოების მის წინააღმდეგ განწყობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანები ყველაზე უფრო მტრულად იმით მიმართ განწყობიან, ვინც ხელყოფს დაკანონებულ ზნეობრივ ნორმებს, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ შეხედულებებს სიკეთესა და ბოროტებაზე, მშვენიერებასა და სიმამინჯუზე, მოვალეობასა და დაღატუე, და მნიშვნელობა არა აქვს, მორალური სიფუძვლების ხელშეყოფი ზნეობრივი გმირია თუ ავაზაკი. საზოგადოება ერთნაირად შეურიგებელი და სასტიკია მათ მიმართ. ყველაზე უკეთ ამას მაცხოვრის ისტორია ადასტურებს. ლეონტიძემ ეს შესანიშნავად უწყადა და სწორედ ამიტომ სიმბოლისტებს ბრალად დასდო კაცობრიობის ზნეობრივ ფასეულობათა ხელყოფა.

ბუნებრივია, რომ როცა ადამიანი „წარსულის „მარგალიტებს“ დაიწყების ზღვაში ყრის“<sup>15</sup> დაინტერესდები. სანაცვლოდ რა ფასეულობებს ვთავაზობს. სწორედ ამ მიზნით, ლ. ქიანელმა მკითხველს გააცნო „ციხფერ ყანწუბში“ დაბეჭდილი ნაწარმოებები, კერძოდ: ლექსები გრ. რობაქიძისა, ი. გრიშაშვილისა და ელენე დარჩიანისა, საერთოდ, ირონიას, როგორც პუბლიცისტურ ხერხს, ძალიან იშვიათად მიმართავდა მწერალი. ბუნებით უადრესად თავმდაბალსა და მოკრძალებულს, არ სხვეოდა მოწინააღმდეგეთა გაკილეა. ყოველთვის ერიდებოდა ოპონენტთა შეურაცხყოფას, მაგრამ სიმბოლისტთა პირველთქმამ და მათი შემოქმედების ზოგიერთმა „ობოლმა მარგალიტმა“ იმდენად აღაშფოთა, რომ სასტიკად გააკრიტიკა მათი ავტორები. ი. გრიშაშვილის ლექსი „სმინავს ღედოფალს“ მორიგ სასეზონო ნომრად მონათლა და შენიშნა, რა გასაკვირია, კაცმა სატრფო ზამთარში აბანოში მიიწვიოს, თუკი ზაფხულში ტყეში ეპატივებოდაო. და „საერთოდ, ეს ნიჭიერი



მგოსანი, ეტყობა, ცოტა წათამამდა, მას ცა ქუდად მიაჩნდა და გაიძახის: რას მიქვია: ხალხი მილეთით!<sup>16</sup> მართალია, ლ. ქიაჩელმა შოთა რუსთაველის სიტყვები არ მოიხმო, მაგრამ ფაქტიურად, გრიშაშვილი იმ მელექსეთა შორის მოიხსენია, რომელნიც ერთ-ორ უმსგავსო და შორი-შორ ლექსს დაწერდნენ და შემდეგ ვითა ჯორნი უცილობდნენ, „ჩემი სჯობსო“.

მეორე ავტორი „ციხფერი ყანუებისა“, ვისაც მწერალი შეეხო, გახლდათ გრიგოლ რობაქიძე — ქართველ სიმბოლისტთა მიერ პეტრად შერაცხული. ჩვენი აზრით, ქიაჩელმა ზუსტად მიაგნო ამ ესთეტიკსა და უაღრესად საინტერესო შემოქმედის მთავარ სისუსტეს: „მის ლექსებს ეტყობა ნამძალადევი, დიდი ხელოვნური მუშაობა და არა ხელოვანის ნიჭი“.<sup>17</sup> (ხაზი ჩვენია). ლ. ქიაჩელის აზრით, ვრ. რობაქიძეს, როგორც კრიტიკოსს, ჰყავდა „ერთი მკვლე ჯორი, რომელსაც სახელად მისტიციზმი“<sup>18</sup> ერქვა და ამ ჯორზე ხან თვითონ შეჯდებოდა და ხან სხვას შეისვამდა. ზოგჯერ ეს ჯორი „თეთრ რაშად“ გადაექცეოდა მწერალს და მერანის მხედარივით ეძახდა იმას, „რაც ამქვეყნად არ არსებობდა“.<sup>19</sup> მაგრამ განსაკუთრებით ლ. ქიაჩელი აღაშფოთა ელენე დარიანის (პ. იაშვილის) შემოქმედების ნაყოფმა და განაცხადა: „ელენე დარიანის მდგომარეობა ფრიალ საშინაია: მას ტემპერატურა ფრიალ აწეული აქვს“-ო.<sup>20</sup>

მხოლოდ მას შემდეგ, რაც მკითხველს გააცნო ქართველ სიმბოლისტთა ორიგინალური ნაწარმოებები, წერილის ავტორი „პირველთქმის“ ზოგადთეორიულ დებულებებზე გადავიდა და აღნიშნა, ამ ლიტერატურული მანიფესტის კილო, წარსულის უარყოფა და ცხოვრების მარგალიტების ზღვაში გადასროლა — „ვგელა ეს ფუტურისზმია“-ო.<sup>21</sup> ხოლო ამ ლიტერატურული მოვლენის შეფასება მკითხველს მიანდო, თავად მხოლოდ ერთი ფუტურისტული საუბრისა და ლექსის ფრაგმენტები მოიყვანა მაგალითად:

«— Сорча кроа, буга на вихром!

Зю, цю, э спрум! ერქონული  
— Беля матокняй...ბინჯლიქითხა  
და  
«О засмътесь смъехачи!  
О разщътесь смъехачи!  
Дорогая Линочка  
Сейчас очень ско, сто сверю,  
Но не вети меня если  
Мо воскресенье»<sup>22</sup>.

აღბათ, ძალიან არ შეეცდებით, თუკი ვივარაუდებთ, რომ აღნიშნული ნაწევრები მასობრივ მკითხველს ფუტურისზმის თაყვანისმცემელთა რიგებში არ მიიყვანდა, მით უმეტეს, რომ პ. იაშვილი ეს მოუწოდებდა, შექსპირს უარი ეუთხრათ, ძირს დანტე და ყრუ ბეთპოვენიო, ხოლო სამაგიეროდ „ბინძური მზის“ მშვენიერებას სთავაზობდა. „პირველთქმა“ ჰპირდებოდა საზოგადოების გაუგებარი და საოცარი სიტყვების შექმნას, სიმღერებში მრავალი ფერის ჩვენებას და სიცოცხლითა და სიმკვიცხლით სავსე, ამაყ ლექსებს. ამის საწინააღმდეგო, ცხადია, არავის არაფერი ექნებოდა, მაგრამ ქიაჩელის აზრით, როდესაც პაოლო იაშვილი ქადაგებდა „გიგეარდეთ ქალი ვნებიანად და დაუზოგავათ ამრავლეთ ხალხი, გაუმარჯოს ყოველგვარ ორგაისი და ელენე დარაანა გულწრფელად“ ამცნობდათ: „ჩემს უცელს ვილაღ ვაჭი ეამბორებო — ეს კი ტლანქი უტილიტარიზმი და პორნოგრაფია“<sup>23</sup> იყო, ხოლო უაღრეს დაღლილობად უნდა ჩათვლილიყო ის სუღიერი მდგომარეობა, „როცა ადამიანს უზარმაზარ ქვეყანაში ქალის მკერდზე უფრო იდეალური ვერა მოუნახავს რა!“<sup>24</sup> მწერალს გულწრფელად უკვირდა, როგორ შეიძლებოდა ესთეტიკური კულტურის უქონლობა ესაყვედურა იმას, ვისთვისაც გამბძარი კატა და მისი ლოკვა პოეზია იყო<sup>25</sup> და აღნიშნა, „ვისთვისაც „ბეთპოვენი მხოლოდ ყრუ არი“, ის, ცხადია, ესთეტიკურ გემოვნებას ჩვენ ვერ დაგვიწუნებს!“-ო.<sup>26</sup>

ქიაჩელისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ახლად შექმნილი პარნასის ამაყი ბინადარი დედამიწაზე მოფუთფუთე საბრალო მოქალაქეებს, „ვილაღ საჭუ-

რისებს, ვეკილებს, ექიმებს და სხვა ასეთებს“ ლაწრობაში სდებდნენ ბრალს, „გულში ერთს ფიქრობთ უნით კი სხვას ლაპარაკობთო, ჩვენ ისა ესთქვით, რასაც ყველა ფიქრობს და სწადისო და დაუმატებდნენ კიდევ: თქვენ პოეზიის, ესთექიის რა გესმით“-ო.<sup>27</sup> პუბლიცისტმა არ უარყო, რომ მას, მართლაც, განსხვავებული შეხედულება ჰქონდა მშვენიერსა და ამადლებულზე, არ იზიდავდა ორგია და ხალხის დაუზოგავად მრავლების ხიბლი. მას სწამდა „ისეთი ოჯახი, სადაც ცოლ-ქმარი დაქორწინების 20 წლისთაზე ისეთივე გულის ტოკეითა და გატაცებით ეპყრობა ერთმანეთს, როგორც დაახლოების პირველ დღეს!“<sup>28</sup> მწერალმა ივარაუდა, რომ ამგვარ ურთიერთობებს არასებულად და შეუძლებლად შერაცხდნენ სიმბოლისტები და აღნიშნა: „შეუძლებელია?! — მაშ, ჭეშმარიტებასთან ჩვენ ახლოს ვყოფილვართ, როცა ასეთ ოჯახს პოეზია უწოდეთ!“-ო.<sup>29</sup>

მხოლოდ ამის შემდეგ აღნიშნა კიანელმა: „ვაივით, ჩვენ ახალს არ ვებრძვით. ჩვენი დევიზია: გაუმარჯოს ახალს, რომელიც თავის სისპეტაკით ძველს დაჩრდილავს!..“

და თუ თქვენ, მართლა, ნგრევისა და ქარიშხლის მოციქულები ხართ, თუ თქვენ დაამსხვრევთ ყველა იმას, რაც დრომოჭმულია, რამაც დაკარგა არსებობის ყოველივე აზრი და ადამიანს მხოლოდ სულს უზუთავს და მის ესთექიკურ აღმოჩენებას ახშობს, აჩლუნგებს, მაშინ ჩვენც თქვენთან ვიქნებით, მაგრამ, თუ თქვენ ცხოვრების „მარგალიტებს“ დავიწყების ზღვაში გადაიხვრით, თუ თქვენ დაანგრევთ ყველა იმას, რითაც ამყოფს ჩვენი ეროვნული კულტურა და ახალი მომავალი, თუ თქვენ უარყოფთ და შეაფურთხებთ ყველა იმას, რაც ჩვენს წმინდათა წმინდას შეადგენს, მაშინ ჩვენ გეტყვით: ხელოვნება წმინდა ტაძარია, იქ ადგილი აქვსთ მხოლოდ რჩეულთ, ხელი შორს!..“<sup>30</sup>

9. „მნაობი“, № 8

რა არის მწერლობა? რა განასხვავებს ჭეშმარიტ ხელოვნებას „უსხივო ფორტიგრაფირებისგან“? როგორ ავიცილოთ შაბლონი და ნიჰილიზმი? რას ვეთავაზობენ თანამედროვე მწერლები? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემა სცადა ლევ კიანელმა 1916 წელს გაზეთ „სამშობლოში“ დაბეჭდილ წერილში „შემოქმედება და კრიტიკა“. წერილი ხუთ დეხად (ტერმინი ავტორისეულია) არის დაყოფილი: 1) მწერლობა და მწერალი, 2) ძველი და ახალი, 3) შაბლონი და ნილილიზმი, 4) მიმართულებანი ჩვენს პოეზიაში, 5) ამოიწურენ! 6) რას მოვიითხოვთ მწერლისგან? პირველი სამი დეხი ზოგადთეორიული ხასიათისაა და მიზნად ისახავს ხელოვნების რიობის გარკვევას, მეოთხე და მეხუთე დეხი კი ავტორის თანამედროვე მწერლობას მიმოიხილავს.

უპირველეს ყოვლისა, პუბლიცისტი ახუხტებს საფოველთაოდ მიღებულ ფრახას, რომელიც მწერლობას ცხოვრების სარკედ მიიჩნევს. ლევ კიანელის აზრით, ლიტერატურა „მხოლოდ მაშინ არის სარკე ცხოვრების, როცა უკანასკნელს ეყრდნობა, როცა გამოხატავს მასში არსებულ მოვლენებს და თავის წილში თავს უყრის და ანახიერებს ცხოვრების მრავალფეროვნებას, მის ორთომტრიალს, ინტერესთა შეხლა-შემოხლას“.<sup>31</sup> მაგრამ მწერლის ღრმა რწმენით, მარტოოდენ უკვე არსებული სინამდვილის ასახვით დიდი ხელოვნება არ შეიქმნება. პოეტის, ხუროთმოძღვრის, კომპოზიტორის, მხატვრის სინონიმად სიტყვა შემოქმედსაც ხმარობენ. შემოქმედის მთავარ ღირსებად კი ოდიოგანვე ახალი რეალობის შექმნა ითვლებოდა. ვერ კიდევ პლატონი და არისტოტელე კამათობდნენ აღნიშნულ პრობლემაზე. პლატონს პოეზია ასახვის ასახვად მიანდა, ზოლო არისტოტელე კი თვლიდა, რომ ნამდვილ ხელოვანს იდეალურის უბადრუკი ასლი კი არ უნდა აეხაზა სრულყოფილად, არამედ სწორედ იდეალის ჩაწვდომა უნდა ეცადა. საქართვე-

ლოში ყოველთვის აღექსანდრე მაკედონელის მასწავლებლის მოსაზრებას იზიარებდნენ. ამას ამტკიცებს რუსთაველის ცნობილი ფრაზა, „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი...“ ამდენად, ლეო ქიაჩელმა კიდევ ერთხელ შეახსენა მკითხველებს მათთვის კარგად ცნობილი ჭეშმარიტება: „მწერლობა არა მარტო ხატავს ცხოვრებას, ის აგრეთვე ანათებს მას. ამიტომ თუ ლიტერატურა ერთის მხრივ, სარკვა, მეორეს მხრით ის ლამპარია. ცხოვრების ახალი ვაგება, იდეალი ახალი სამართლიანობისა და მშვენიერებისა — აი, ის სხივები, რომლებიც ასე უხვად ვგვრდნენ ამ ლამპარია... ამიტომ ყოველი მწერალი, თუ კი ის მართლა მწერალია და არა შემთხვევით გამვლელი, თავის ნაწერებში გვევლინება ორნაირ რილში: რამდენად ის გამოხატველია თავის დროის, წრის, ერის ყოფა-ცხოვრების და არსებულ წოდებრივ-კლასობრივ ურთიერთობათა, — იმდენად ის არის მიწიერი მიწისშვილი... ხოლო რამდენად ის სცილდება წრესა და გარემოს, რამდენად ამსხვრევს ზღუდეებს დროისა და სივრცის — იმდენად ის არის ზეციერი, შვილი ზეცისა.“<sup>32</sup> როგორც ვხედავთ, მწერალს ლეო ქიაჩელი ორ რამეს ავალბებს: არსებულის პირუთვნელ ასახვას და ახალი სინამდვილის შექმნას. მხოლოდ ერთ-ერთი მისიის შესრულება დიდ ხელოვნებას ვერ მოგვცემს. „იქნება ერთმა მწერალმა მთელი თავის გულის ყური მიწის დღიურ ჭირვარაშხ მიაპყროს, იქნება მან ბევრი რამ ღირსშესანიშნავი და ძვირფასი მოგვცეს, მაგრამ მისი შემოქმედება მაინც ფრთა შეკვეცილი გამოვა, ხოლო თვით მწერალ-მგოსანი იქნება უსხივო ფოტოგრაფი და არა სრული ხელოვანი!.. შეიძლება მეორემ მიწას ხელი ჰკრას“, მას ვეუბნები აუაროს და მხოლოდ და მხოლოდ შეუქურა ვარსკვლავთ უძღვნას თავის სიმღერა. შეიძლება!.. მაგრამ მისი შემოქმედებაც

იქნება უსირცხვილო და მიუხედავად მზის სიახლოვისა — ცივი!“

ცხადია, წერილის ავტორმა კარგად უწყობდა, რომ საკუთარ შემოქმედებას ყველა მწერალი ობიექტურად ვერ შეაფასებდა. მხატვრული სიტყვის ყოველ ოსტატს ჰქონდა და აქვს პრეტენზია, რომ რაღაც ახალი მოიტანა მწერლობაში და მამინაც კი, როცა ამკარად ძველს ექცავდა, გაიძახოდა, გაუმარჯოს ახალს, ძირს ძველიო“.<sup>34</sup> ქიაჩელის აზრით, ეს გასაკვირი სულაც არ იყო, რადგან სიტყვა „ძველის“ ხსენებაზე ყველას თვალწინ „უფრო და უსიცოცხლო, თვალეზიაცვიფრული, წელში მოხრილი, უკვე გამზადებული კუბოსათვის“,<sup>35</sup> რაღაც წარმოუდგებოდა, მაგრამ შეამბოხე ცხოვრება ახალს მალე დაძველებდა, დააბერებდა.

რომელია ახალი და რომელია ძველი? ამის განსაზღვრისას, წერილის ავტორის სიტყვებით, სცენაზე ორი რაინდი გამოდიოდა — შაბლონი და ნიპილიზმი. ერთი ერთსა და იმავეს ექცავდა გაუთავებლად, ხოლო მეორე ხელალებით უარყოფდა ყველაფერს. პირველი ქართულ პოეზიაში დიდი ხნის დამკვიდრებული იყო, ხოლო მეორეს მხოლოდ ახლა შემოედო კარი.

ამ თვალსაზრისით თუ გადავხედვამკითხველი თვალს ჩვენს პოეზიას, პუბლიცისტის აზრით, ორ მთავარ მიმართულებას, დაინახავდა — სოციოლოგიურ ინდივიდუალიზმსა და ესთეტიკურ ინდივიდუალიზმს, რომელსაც მესაქე, „ჩვენში ახლად შობილი ნილილისტური ულტრა-ინდივიდუალიზმი“ ემატებოდა.<sup>36</sup> ლეო ქიაჩელი თვლიდა, რომ ვერც ერთი ამ მიმართულების მწერალმა ვერ შექმნა ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოები, რადგან პირველი ბანაკის პოეტებმა, მართალია, მთელი არსებით იკრძინეს რევოლუციური ქარიშხლის სილამაზე და მდგრად მოუწოდეს ყველას ბრძოლისაკენ, მაგრამ მხოლოდ ამ თემით შემოიფარგლნენ და, ცხადია, ამოიწურნენ. რაც შეეხება „ესთეტიკონ-ინდივიდუალისტებს, მათ „ააწყვეს ოქ-



როს სიმები. აღმასმა მათმა ენამ დაატკობო ჩვენი ყურთასმენა. სხივმოხილ სიყვარულისა და მშვენიერების კიბნმა ჩვენს გრძნობათ მოჰფინა ახალი შეება. ამაღლდა სული, სირინოზება სიმღერამ ოცნების ფრთები შეგვასხა და... ამოიწურნენ ისინიც!..<sup>37</sup> ამ, საკმაოდ მკაცრი, შეფასების დასახულების მიზნით, მწერალმა მოკლედ მიმოიხილა თანამედროვე პოეტთა შემოქმედება და პირველ რიგში ყურადღება ი. გრიშაშვილზე შეაჩერა, რადგან აღნიშნული მგოსანი იშვიათი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა და იმხანად უნიჭიერეს შემოქმედთა შორის მოიხსენიებოდა. ლ. ქიანელის აზრით კი, მართალია, გრიშაშვილის ზოგი ლექსი „ჯადო მუსიკალური იყო“, მაგრამ უმრავლესობა ავტორის მიერ უკვე დაწერილის უბრალო გამეორება გახლდათ მხოლოდ, აშკარა სიმჩატიხ ბეჭედი ესეა და „მიუხედავად დიდი ტალანტისა, ვიტყვი ვულგარულად, „იუბკას“ ვერ გასცილდა!..<sup>38</sup> ერთ-თემიანობა კი, წერილის ავტორის ღრმა რწმენით, გენიოსისთვისაც კი დამლუპველი იქნებოდა. შავალითისთვის პუშკინს მიმართა და აღნიშნა, ტატიანას წერილის სინატიფეში ეჭვს ვერავენ შეიტანს, მაგრამ პუშკინს მხოლოდ სატრფიალო ბარათები რომ შეეფიხა, ახალი რუსული ლიტერატურის ფუძემდებლისგანაც კი არაფერი დარჩებოდაო.<sup>39</sup> რაც შეეხება ჩვენს პოეტებს, წერდა ქიანელი, „ჩვენ წინდაწინ შეგვიძლია ვსთქვათ, რომელი პოეტი რას დასწერს, რადგან ყოველი ჩვენი პოეტი ერთფეროვანია, ყველა მათგანს აქვს აღებული ერთი რაიმე და სხვა რამეებისთვის „აღარ სცალია“ (ვ. რუხაძის სიტყვებით): ერთი მუდამ ტირის, მეორე მუდამ კონაშია, მესამე მუდამ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს და სხვა“.<sup>40</sup>

თანამედროვე ლიტერატურაში გავსეფებული შაბლონის წინააღმდეგ ბრძოლაში წერილის ავტორი მარტო არ ყოფილა. მის გვერდით იდგნენ სიმბოლისტები, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ლ. ქიანელი, ულტრაინდივიდუალისტები ერთ შაბლონს მეორით ცვლიდნენ. არული, შექსპირსო, გაიძახოდნენ, სამაგიეროდ კი ბოდლერს სთავაზობდნენ მკითხველს. ქიანელმა კი აღნიშნა, რომ მოძვეალი პოეზიისთვის ბოდლერიცა და ბალმონტიც ისეთივე შაბლონი იქნებოდნენ, „როგორც შექსპირი, შილერი და სხვები. ამიტომ ულტრაინდივიდუალისტების ლოზუნგს, ძირს სხვისი შაბლონი, გაუმარჯოს ჩემს შაბლონსო, დაუბირისპირა საკუთარი ლოზუნგი: „ძირს ყოველგვარი შაბლონი!“<sup>41</sup> „პიროვნების საესე და ფერადიანი ცხოვრება, ამაყი ძაბილი ადამიანისა და ხელოვნების ბრწყინვალე განახლებაზე და სხვა ხალასი ინდივიდუალისტური ტენდენციები სიმბოლისმისა“<sup>42</sup> მწერლისთვის უადრესად ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო, ზოლო ორგინისა და ხალხის ქადაგება მუშანობად მიანნდა, რადგან თვლიდა, რომ ხელოვნება არსებობდა მხოლოდ ადამიანისათვის „რაც უფრო მეტ მხატვრულს, ზნეობისა და იდეურ-ფილოსოფიურ ღირებულებას“ შეიცავდა ლიტერატურული ნაწარმოები მით უფრო მაღლა იდგა იგი,<sup>43</sup> ზოლო ხელოვნების უდიდეს ღირსებას სიმარტივე წარმოადგენდა და ირონიულად დასძინა, ჩვენებური სიმბოლისტები თავის მოწოდებას საოცარი სიტყვების შექმნაში ხედავენ და „ვისაც სურს მაინცდამაინც გაუგებარი დარჩეს, მოვაგონებ. რომ ყველაზე უფრო გაუგებარი ის აზრები იყო, რომ ლუბაკ მათი ავტორების თავშივე რჩებოდნენ!“<sup>44</sup>

შ ე ნ ი შ ვ ე ნ ი ა ი :

1 პ. იაშვილი, „პირველთქმა“, ყურნალი „ციხური ვანწები“, 1916, № 1.

2 იქვე.  
3 იქვე.

## ბრძანებანი

- 4 ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 353, გვ. 2.
- 5 იქვე.
- 6 იქვე.
- 7 იქვე.
- 8 იქვე.
- 9 იქვე.
10. ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 353, გვ. 2.
- 11 იქვე.
- 12 იქვე, გვ. 3.
13. ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 353, გვ. 2.
- 14 იქვე.
15. პ. იაშვილი, „პირველთქმა“, ჟურნალი „ციხფერი ყანწები“, 1916 წ. № 1, გვ. 1.
16. ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 353, გვ. 3.
- 17 იქვე.
- 18 იქვე.
- 19 იქვე.
- 20 იქვე.
21. ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 354, გვ. 2.
- 22 იქვე.
23. ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 354, გვ. 2.
- 24 იქვე.
- 25 იქვე.
- 26 იქვე.
- 27 იქვე.
- 28 იქვე.
- 29 იქვე.
- 30 ლ. ა. შენგელაია, „ლიტერატურული მეშინაობის პირველი შერცხლები“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 354, გვ. 2.
- 31 ლეო ქიანელი, „შემოქმედება და კრიტიკა“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 475, გვ. 2.
- 32 იქვე.
- 33 ლეო ქიანელი, „შემოქმედება და კრიტიკა“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 475, გვ. 2.
- 34 იქვე.
- 35 იქვე.
- 36 იქვე.
- 37 ლეო ქიანელი, „შემოქმედება და კრიტიკა“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 475, გვ. 2.
- 38 იქვე.
- 39 იქვე.
- 40 იქვე, გვ. 3.
- 41 ლეო ქიანელი, „შემოქმედება და კრიტიკა“, გაზეთი „სამშობლო“, 1916 წ., № 475, გვ. 3.
- 42 იქვე.
- 43 იქვე.
- 44 იქვე.



# საქართველოს მწერალთა კავშირი 1917-1997

(მთავარ მოვლენათა ქრონიკა)

პროლეტარულ მწერალთა  
ათწლიანი ბატონობა (1922-1932)

## 1922 წელი იანვარი

„1922 წ. პირველი დღე ხელოვნების სასახლემ გახსნა ჟურნალ „ლომისით“, რომელიც გალაკტიონ ტაბიძის ხელმძღვანელობით გამოდიოდა“ („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, №5). ეს იყო საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი, რომლის პირველ ნომერში დაბეჭდილ წერილში „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ გ. ტაბიძე წერდა: „ხალხის სახელით ჩვენ უნდა უარყოთ კაფე-შანტანების პოეზია, იგი დამახასიათებელია საშინლად დაცემის მდგომარეობის ხანისა, დეკადანსის. აქ პოეზია ჭექება „სკანდალების“ ხელოვნებად, ისეთი ხალხის გამართობად, რომელთაც არავითარი მორალური იდეოლოგია არ ახასიათებს“.

7 - ცისფერყანწელებმა საბჭოთა პერიოდში კვლავ გამოაქვეყნეს დეკლარაცია:

გაგრძელება იხ. „მნათობი“ № 7.

„ცისფერი ყანწები“ ერთადერთი შკოლაა პოეტების საქართველოში, რომელიც თავის თავს ამტკიცებს მხოლოდ ესთეტიურად“.

„ქონდა გამართლება იმ ანომალიას, რომ ქართველმა მწერლებმა მეცხრამეტე საუკუნე გახადეს ერემი-ადათ და მწერლობა საშუალებათ ეროვნული ბრძოლისათვის“.

... „მაგრამ სულ დაიდუპება ის ერი, რომელიც დღეს ვერ შექმნის კულტურას, რომელსაც არ ექნება უნივერსალური ზანიათი და რომელიც არ იქნება გამართლებული კაცობრიობის მასშტაბით“.

„პოეზია აყვანილი ეტნოგრაფიიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ზერხემალს და ამართლებს ერსაც“ („ბარიკადი“, 1922. 7. I. № 4).

12 - მორიგი „ლიტერატურული ხუთშაბათი“ ეძღვნა დანტე ალიგიერის გარდაცვალების 600 წლისთავს. თავმჯდომარეობდა ი. გრიშაშვილი. მოხსენებები: ლ. ქიაჩელი - „დანტეს წინა ეპოქის ტრუბადურების პოეზია“, კოკი აბაშიძე - „დანტეს ცხოვრება

და მოღვაწეობა“. კ. გამსახურდიამ აღნიშნა, რომ ეს იყო საქართველოში ევროპელი მწერლის ხაიუბილეო საღამოს გამართვის პირველი შემთხვევა („ლომისი“, 1922. 15. I. № 3).

საქართველოს მწერალთა კავშირი მომდევნო თვეებშიც მართავდა „ლიტერატურულ ხუთშაბათებს“, ახალი მწერლობის კავშირიც აქტიურობდა „ესთეტიკის საღამოებით“, სხვა დაჯგუფებებიც თავიხას ცდილობდნენ. ცხადია, ყველა ამ საღამოს ვერ მოვიხსენიებთ.

ხოლო პროლეტარულ მწერალთა გაცილებით დაბალი დონის საღამოებზე უფრო დაწვრილებით იმიტომ შეგერდები, რომ გამოჩნდეს ხელისუფლების რა მხარდაჭერით სარგებლობდნენ ისინი.

ასევე დაწვრილებით შეგერდები პროლეტარულ მწერალთა პრესაზე. მიუხედავად ხელისუფლების ყოველმხმრთი მხარდაჭერისა პროლეტმწერალთა ჟურნალ-გაზეთები თითო-ორთა ნომრით ამთავრებდნენ არსებობას, რადგან ვერავითარი ფული და ვერანაირი ხელისუფლების დეკრეტი ვერ უშველიდა პროლეტმწერალთა უნიჭო, უსუსურ კლასკატურ ნაწარმოებებს, თანაც ასეთი მასალითაც არ შეეძლოთ შემდეგი ნომრების უზრუნველყოფა...

ხოლო თუ ნამდვილი მწერლობის ჟურნალ-გაზეთებიც ადრე წყვეტდნენ გამოსვლას, აქ, პირიქით, სწორედ უსახსრობა და ხელისუფლებისაგან ხელშეშლა იყო მიზეზი.

ახლა კი პროლეტარმწერალთა (და ფუტურისტთა) აქტიურობის შესახებ: 18. II — „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ს. ეულის წერილი „ლიტერატურული ფრონტი“. გააკრიტიკა ციხფურყანწელები, სხვა დაჯგუფებები.

18. III — გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალ „ქურას“ პირველი ნომე-

რი ს. თოდრიას, ს. ეულის (არსებობის რედქტორობით (სტატიის შესახებ)). მოწინავე წერილიდან:

„პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში ჰუმანიტი პოეზია შეიძლება იყოს მხოლოდ პროლეტარულ-კომუნისტური და ამ რეკოლუციონურ კლასის დიქტატურის გატარების როლი შეასრულოს“.

28. III — თბილისში ჩატარდა თათბირი საქართველოში პროლეტკულტის შექმნას თაობაზე. საორგანიზაციო ბიუროში შევიდნენ: ს. ეული, ს. თოდრია, რ. კალაძე („კომუნისტი“, 1922. 5. IV)

23. IV — ქართველმა ფუტურისტებმა კონსერვატორიის დარბაზში მოაწყვეს საღამო — ფუტურისტთა ლიტერატურული დაჯგუფების შექმნა ს. ჩიქოვანის ხელმძღვანელობით.

## მაისი

6 — ფუტურისტებმა გამოსცეს მაინფესტი „საქართველო — ფენიქსი“ (თბ. 6-7. V), რომელსაც ხელს აწერენ: ს. ჩიქოვანი, ბესო ფლენტი, ნ. ჩაჩავა (ნიკოლ თავდგირიძე), ა. ბელიაშვილი, დავით გაჩეჩილაძე პავლე ნოზაძე, აღ. გაბესკირია, გ. ორაგველიძე, მ. ერისთავი.

დაჯგუფებას დაერქვა „ფენიქსი“.

6 — განხეთქილების გამო ახალი მწერლობის კავშირმა ცალკე გამოუშვა ერთდროული სალიტერატურო გაზეთი „პოეზიის დღე“ ტ. ტაბიძის მოწინავე წერილით.

7 — საქართველოს მწერალთა კავშირის ერთდროულ გაზეთ „პოეზიის დღის (№3) მეთაურ წერილში ტაბიძე წერდა: „ცხოვრება მიდის წინ და პოეტი გრძნობს, არ შეიძლება ჩამორჩე მას... ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები, ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა. ქართველმა პოეტმა იცის, რა არის ზიზღი, მაგრამ იცის სიყვარულიც, იცის შურისძიება და

იცის თავგანწირვა. ახლა მას სწყურია ახალი ცხოვრება, ახალი ბუნება. მან უნდა მოიცილოს შემოტყვევლი სიცივე გარდამავალი ამბებისა“.

კ. გამსახურდია კი უფრო პირდაპირი იყო: „ისინი, ვინც ათეულ წლებს ატარებენ ჩვენი ეროვნების წრეში და ქართულად ლაპარაკს და წერას არ კადრულობენ, ღირსნი არ არიან ჩვენ მათ გასაკვებ ენაზე ველაპარაკოთ. ვისაც საქართველო და ქართული კულტურა ქართველებიდან უყვართ (და არა უქართველებით), მათ კეთილი ინებონ და ჩვენი ენაც ისწავლონ“.

— გამოვიდა ყოველკვირული სალიტერატურო გაზეთ „ბახტრიონის“ პირველი ნომერი გ. ლეონიძის რედაქტორობით (სულ 32 ნომერი)

## აპრილის

— „ქურას“ მეორე ნომერში დაიბეჭდა „საქართველოს პროლეტარულ მწერელთა ასოციაციის დეკლარაცია“:

„ჩვენ, პროლეტარული პოეტები და მწერლები დარწმუნებული ვართ და ამავე დროს საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ პროლეტარული მხატვრული ლიტერატურა განსაკუთრებით ჩვენში უკვე კიდევ ახალგაზრდაა, არც ფორმით და სტილით არ არის სრულქმნილი. მაგრამ ჩვენ ვამტკიცებთ მაინც ერთს: რომ ის არის ერთადერთი ნამდვილი მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასაწყისის პოულობს ჩვენს სარდამავალ დროში და რომელსაც ძალუბს განვითარდეს და დაიპყროს სულიერი კულტურის მწვერვალები“.

— გამოვიდა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალ „ილიონის“ პირველი ნომერი კ. გამსახურდიას რედაქტორობით.

3. IX — ჟურნალ „ლომისის“ ნაცვლად დაიწყო საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირული სალიტ. გაზეთ „ლომისის“ გამოცემა ლ.

ქიანელის რედაქტორობით (გამჭიდრულად იყო 1923 წ. 13 მაისამდე. შემდეგ კომისიის წლის 30 სექტემბრიდან განახლდა „ლომისის“ სახელწოდებით).

2. X — კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ქართველი ხალხის მეგობრის, გერმანელი მწერლის არტურ ლაისტიხის მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილე. მოხსენებები: შ. ნუცუბიძე, ვალ. გუნია. მწერალთა კავშირის სახელით გერმანულ ენაზე მიესალმა კ. გამსახურდია („ლომისი“, 1922. № 9).

## დემკმბერი

3 — გამოვიდა ყოველკვირული სალიტ. კრებულის „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ პირველი ნომერი. „წინათქმასი“ გ. ტაბიძე წერდა:

„ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი.. მე ვგმობთ თქვენ, ვმირებო, შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდობა, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი! ძირს ყოველგვარი რუტინა, ძირს დრომოჭმული და შემოქმედების უნარს მოკლებული ელემენტები, გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას!“

10 — „სახელმწიფო ოპერის თეატრის ბაღში დადგმული იქნა აკაკი წერეთლის ბიუსტი, შესრულებული მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ. ეს ძეგლი იზიდავს დიდძალ საზოგადოებას და ყველას ხიბლავს იმ მდიდრ სახის ხაზებით, რომლითაც მომავალეობელი იყო პოეტი აკაკი სიბერის ხანის, ყელის დამბლით მიცემული სილამაზით.

აკაკის ბიუსტი გამოქანდაკებულია უბრალო ქვისაგან“ („გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922. № 24; „მუშა“, 1922. 10. XII).



## 1923 წელი

1. I — გამოვიდა აკადემიური მწერლობის გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ (რედ. — კ. გამსახურდია, მხოლოდ ერთი ნომერი).

ამავე დღეს გამოუშვეს ახალი მწერლობის კავშირის ყოველკვირეულად ჩაფიქრებული გაზეთი „ლაშარი“ (ესეც მხოლოდ ერთი ნომერი). დაბეჭდილია პ. ინგოროყვას „დეკლარაცია ახალი მწერლობის“. უფრო იღბლიანი გამოდგა მისი გაგრძელება „რუბიკონი“ — 16 ნომერი (ტ. ტაბიძის რედაქტორობით).

16. II — მოხდა თბილისელ და ქუთაისელ ფუტურისტთა გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ (ანბანზე): ბიძინა აბულაძე, შალვა აღბაზიშვილი, ალ. გაბესკირია, დ. გაჩეჩილაძე, მხატვრები ირაკლი გამრეკელი და ბენო გორდუზიანი, პ. ნოზაძე, ბ. ფლენტი, ჟანგო (ივანე) დოლობერიძე, ნიკოლოზ შენგელაია, ნ. ჩაჩავა, ს. ჩიქოვანი... მათ თავიანთ თავს უცნაური სახელი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>-ის სკოლა“ უწოდეს. ისინი არ სცნობდნენ წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

აპრილი — საქართველოს საბკომსაბჭოს დადგენილებით ზელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს გადაეცა დ. ყიფიანის სახლი ქვიშხეთში („რუბიკონი“, 1923. X № 9).

8. V — საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ გამოყო კომისია (კ. მაყაშვილი, ი. გრიშაშვილი, ს. თავაძე, არჩილ ჯაჯანაშვილი), რომელსაც დაევალა ახალი მწერლობის კავშირთან მოლაპარაკება გაერთიანების თაობაზე.

მოლაპარაკების შემდეგ 27-28 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირისა და ახალი მწერლობის კავშირის მეხუთე გამაერთიანებელი ყრილობა.

ყრილობამ ხმების დიდი უმრავლესობით (67 დამსწრედან 58 მომხრე)

მხარი დაუჭირა კავშირების გაერთიანებას. გამოდიანებულ მწერალთა კავშირის სხდომის თავმჯდომარე შ. დადიანი მიესალმა მწერალთა ოჯახის გაერთიანებას, ყოფილი ახალი მწერლობის კავშირის ხელმძღვანელმა გრ. რობაქიძემ წაიკითხა კავშირის გაერთიანებული ბიუროს სხდომის ოქმი, რომელსაც რამდენიმე დღით ადრე მოაწერეს ხელი კ. მაყაშვილმა (თავმჯდომარე), ვ. კორტეიშვილმა, პ. იაშვილმა, პ. ინგოროყვამ, ლ. ქიანელი, ი. გრიშაშვილმა და რომელშიც ნათქვამი იყო: „მწერალთა კავშირი, რომელიც აერთებს მთელს ქართულ მწერლობას განურჩევლად მიმართულებისა, ღირსეულად შეასრულებს ქართული კულტურის წინაშე იმ დიდ დანიშნულებას, რომელიც ისტორიულად აქვს დაკისრებული ქართულ ლიტერატურას“ „ახალი მწერლობის კავშირი იხსნის „კავშირის“ სახელწოდებას და რჩება ლიტერატურული მიმართულება. მას, როგორც ერთ ნაწილთაგანს სრულიდ საქართველოს მწერალთა კავშირისა, აქვს საკუთარი გამომცემლობა და ლიტერატურული გამოსვლება“.

ახლად არჩეულმა საბჭომ შექმნა შეიდაკიანი პრეზიდიუმი: კ. მაყაშვილი (თავმჯდომარე), ა. აბაშელი (მოადგილი), ი. გრიშაშვილი (პ/მ მდიანი), პ. იაშვილი, პ. ინგოროყვა, პ. სავარელიძე, ლ. ქიანელი. საბჭომ დაადგინა: მწერალთა კავშირების გაერთიანების აღსანიშნავად საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი „ზომლს“ ეწოდოს („ივერია“) — „კომუნისტი“, 1923. № 250, 252; „ზომლი“, 1923. № 1; ლხცსა, 6-1-50-1).

## წოდებები

4 — გამოვიდა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“ (რომელშიც გაერთიანებას მიესალმნენ: ლ. ქიანელი, პ. იაშ-

ვილი, შ. დადიანი, ვ. კოტეტიშვილი), მეორე ნომრის შემდეგ კი — მისი გაგრძელება „ქართული სიტყვა“ (1924 წლის ივნისამდე).

— საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან, მის შურნალ „მომავალთან“ ჩამოყალიბდა კომკავშირულ მწერალთა ჯგუფი „მომავალი“: კარლო კალაძე, გლიზბარ პოლუმორდინოვი (ზედგინიძე), შ. რადაიანი, კალე ფეოდოსიშვილი (ვეკუა) და პლატონ ქიქოძე. წრის გამგეობა: ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), ი. ლისაშვილი, ვალერიან ლუარსაბიძე („კომუნისტი“; 1923. № 261).

— ქუთაისში ბენიტო (მირიან) ბუაჩიძისა და კონსტანტინე ლორთქიფანიძის თაოსნობით შეიქმნა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის განყოფილება (ლხცსა, 38 საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ფონდი — 1-15-30)

უფრო ორგანიზებული ვახდა 1926 წლიდან.

## 1924 წელი თებერვალი

— გამოსვლას იწყებს ყოველთვიური სალიტერატურო და სამეცნიერო შურნალი „მნათობი“. ჩვენი დროის ქართული მწერლობის ეს ერთგული თანამგზავრი და შემწე, მისი სარკე და ავ-კარვის გამკითხავი დღემდე გამოდის. რედაქტორები: 1924. №1 — ლავრენტი ქართველიშვილი, 1924-1926 — ვალია ბახტაძე, 1926-29 — მიხეილ კახიანი, 1930-31 — შალვა რადინი, 1932-36 — გიორგი ყურულაშვილი, 1936-37 — აკაკი თათარიშვილი, 1937 — დავით დემეტრაძე, 1937-46 და 1953-55 — ალიო მაშაშვილი, 1946-53 — ირაკლი აბაშიძე, 1955-60 — სიმონ ჩიქოვანი, 1960-67 — გრიგოლ აბაშიძე, 1968-73 — ელგუჯა მადრაძე, 1973-82 — გიორგი ნატროშვილი,

1982-დან ყველაზე ხანგრძლივად რედაქტორობს არჩილ სულაკაური. — გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური შურნალ „კავკასიონის“ № 1-2, რომლის რედაქტორი იყო პავლე ინგოროყვა, — „პოეტი ადრე და მერე დარდი წარსულ დიდების“ (პ. იაშვილი).

„რედაქტორმა პ. ინგოროყვამ უდიდესი სიმსუღე სძლია და შურნალს როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით ისეთი სახე მისცა, რომელიც გამოცემას ქართული ხელოვნების დღესასწაულად ხდის“ (არჩილ ჯაჯანაშვილი, „ქართული სიტყვა“, 1924. № 1).

ნომერში დაიბეჭდა ი. გრიშაშვილის „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, კ. ჭიჭინაძის „რიონის აბოლოგია“... 1. III — გამოიცა ფურტურისტების შურნალი „H<sub>2</sub>SO<sub>4</sub>“. ამათაც უჭირდათ თავიანთი აბურდულაზრინი შურნალ-გაზეთების გასაღება. ამის გამო იყო, რომ მხოლოდ დეკემბერში გამოჩნდა მათი შურნალი „ლიტერატურა და სხვა“ და კიდევ ერთი წლის შემდეგ — ორკვირეული გაზეთი „დროული“ (სამი ნომერი). ბოლო ორზე ნ. ჩაჩავა თავის ავტობიოგრაფიაში წერს: ჩემი რედაქტორობით. გამოვიდაო (იხ. მწერალთა კავშირის არქივში).

## მაისი

7 — გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის ერთდროული გაზეთი „პოეზიის“ დღე“ № 5.

— „პოეზიის დღეს გამოვიდა აგრეთვე, ვ. „კავკასიონის“ მეორე წიგნი № 3-4. „კავკასიონის“ რედაქტორის დიდს ენერგიას და საქმის ცოდნას უჭდა მიეწეროს, რომ მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა (ტექნიკური, მატერიალური და სხვ.) შურნალი დროზე გამოდის და „დაუბერებელ“ შინაარსით ხიბლავს ყველა გულწრფელ მოქალაქეს. „შურნალი „კავკასიონი“,

ჩვენი სიამაყეა“ — აცხადებდა მწერალთა კავშირის საბჭო 1924 წლის 18 მაისს (ლხცსა, 8-1-47- II)

მაგრამ ცენზურა სხვანაირად ფიქრობდა:

„ეინაიდან ჟურნალი „კავკასიონი“ არის ნაციონალისტური, შოვინისტური და კონტრრევოლუციური, რომელიც არ სდგას საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, ამიტომ „კავკასიონი“ დაიხუროს. თამეჯდომარე — გოგბერიძე, მდივანი — ნ. დოლიძე. ესწრებოდნენ საგანგებო კომისიიდან — ბოროვოი, ცკ-ის ავტორიდან — ხოფერია“ (ამონაწერი მთავლიტის კოლეგიის სხდომის ოქმიდან № 3. 1924. 3. VI — ლხცსა, 8-2-6 საიდუმლო საქმე — I)

### იხილეთ

15 — გამოვიდა პროლეტარულ მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ყოველთვიურ ჟურნალად ჩაფიქრებული „დინამიტის“ ერთადერთი ნომერი.

მალე ამ ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი, თბილისში გადმოხული ქუთაისელ პროლეტმწერლების — დინამიტელების ნაწილი საქართველოს კომკავშირის ჟურნალის ირგვლივ დარაზმულ მომავლელებთან ერთად ასოციაციაში გაერთიანდნენ პროლეტარულ მწერალთა პირველთაობასთან. მაგრამ ეს კავშირი არამყარი გამოდგა. ამიტომ მომავლელები თბილისიდან (კ. კალაძე, ვ. ლუარსაშიძე, ა. მამაშვილი, ე. პოლუმორდვიანოვი, შ. რადიანი, კ. ფეოდოსიშვილი, პ. ქიქოძე) და დინამიტელები ქუთაისიდან (ბ. ბუაჩიძე, კ. ლორთქიფანიძე, გიორგი მდივანი, დავით რონდელი-ცაგარეიშვილი) 1924 წელს ისევ გამოეყვნენ პროლეტმწერალთა ასოციაციას და შექმნეს „პროლეტარულ მწე-

რალთა ახალი ფრონტი“ — პროლეტარული, დარაზმენ შემდეგ 1925 წლის მარტში გამოცემული ჟურნალ „პროლეტარული“ ირგვლივ (სულ ოთხი ნომერი) და დაიწყეს ზრუნვა პროლეტარული ლიტერატურის გადასაყვანად ახალი ყოფის ასახვასა და ამის შესაბამისი ფორმის ძიებაზე.

„ამ ორგანიზაციული და შემოქმედებითი გაერთიანების ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო ბენიტო ბუაჩიძე“ (ა. მირცხულავა, „ლს“. 1963. № 50)

იელისი — „მათობში (№ 7-8) დაიწყო მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაფოს ხიზნების“ ბეჭდვა.

ავგისტო — 1922-23 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის ავტორიტეტმა იხსნა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ტრფილისთვის დაპატიმრებული რამდენიმე მწერალი: ი. მჭედლიშვილი, ი. გრიშაშვილი, იასამანი (მიხეილ კინწურაშვილი), აკაკი ფალავა, სიო ჭანტურიშვილი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები, დ. თურდოსპირელი და ს. ფირცხალავა — შესანიშნავი მოქალაქეები, მოღვაწეები, პიროვნებანი.

1924 წლას ზაფხულის მიწურულს აჯანყებასთან დაკავშირებით დახვრიტეს პატრიოტი პოეტი დავით მენონგურე (ქარცივაძე), აგრეთვე დრამატურგი კ. გერგესელი (კვერნაძე).

პირველი წლების დაპატიმრებულთაგან ი. მჭედლიშვილს მოგვიანებითაც გაუხსენეს დამოუკიდებელი საქართველოს ერთგულება და 1942 წელს დაპატიმრებულს ორი წელი ახეხინეს შინსახკომის შინაგანი ციხის კედლები, ხოლო ბებერი ძელების მშობლიურ მიწაში ჩასასვენებლად ემიგრაციიდან დაბრუნებული ს. ფირცხალავა 79 წლის ასაკში უსინდისოდ გაუყენეს ციმბრის გზას და არავინ იცის, სად გარდაიცვალა...

## 1925 წელი.

გრძელდებოდა 10-იან წლებში დაწყებული წუხილი ჩვენი მწერლობის, განსაკუთრებით პროზის დაკნინებაზე. ამ დროს კი პროლეტმწერლები, რომლებიც ქართულ მწერლობას უფროსებად დაუნიშნეს, რაც იყო, იმ მწერლობას ხომ არაფრად თვლიდნენ, მის გაუმჯობესებასაც ვზახს უკმაყოფილებს. ამ წლების ცხოვრების დაძაბულობას კარგად ახახათებებს მ. ბოჭორიშვილის ცოტა ადრე („ლომისი“, 1923. № 32) ნათქვამი: „არის დრო ბოხოქარი, დაუდეგარი და ქართველი მწერალი, ისედაც ჩქარი და მოუსვენარი, დღეს მარტოოდენ ნერვების ცახცახით ცხოვრობს“.

27. VI — საქართველოს პროფსაბჭოს დარბაზში ილია ვარდინმა (შველამე) წაიკითხა მოხსენება „რევოლუცია და ლიტერატურა“. კამათში გამოხსულმა პროლეტმწერლებმა და მემარცხენე ფრონტელებმა (ყოფილმა ფუტურისტებმა) ლანძღეს ეროვნული კულტურის დამცველნი:

ნ. შენგელაია: „იმ ნაციონალურ შემოქმედებაში, რომლის შესახებაც ასე ბევრს ლაპარაკობენ პაოლო იაშვილი და გამსახურდია, მათ არაფერი ესმით. გამსახურდია — გერმანული ლიტერატურის მთარგმნელია, ხოლო იაშვილი ფრანგი პოეტების გუელენას განიციდის. პ. იაშვილი კარგი თამადაა, ხელოვნებასთან კი საერთო არაფერი აქვს“ („ზარია ვოსტოკა, 1925. № 871, 877).

(„მთარგმნელ“ კ. გამსახურდიას კი უკვე დაწერილი ჰქონდა რომანი „დინისის დიმილი“, რომელიც კიდევ გამოსცა ამ წელს)

ციხფერყანწელი და აკადემიური ჯგუფის მწერლების გამოსვლებში კი

\*დაწერილებით იხ. „მნათობი“, 1992 № 4.

ეროვნული კულტურის ბედზე მწერლობის ღია ვაისმა:

ტ. ტაბიძე — „ვიღაც ბოგდატიევმა 4 წლის წინათ ლათინურ შრიფტზე გადასვლა გვირჩია, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, ახლა ცოტა უკან დაიხია“.

ამ ბოგდატიევს ბრინჯინოვთან ერთად 1921 წელს საქართველოს განათლების კომისარიატში ხელმძღვანელი ადგილი ეჭირა და სასტიკად უტევდა მწერალთა კავშირს, „ჩვენი კავშირი კომუნისტური მწერლების სათარეშოდ უნდოდათ გაეხადათ“ (აკ. პაპავა).

## ოქტომბერი

— „მნათობში“ დაიწყო გრ. რობაქიძის „გველის პერანგის“ ბეჭდვა.

— გამოვიდა ორთეიური სალიტერატურო ალმანახი „დარიალი“ (რედ. — ნ. ჩაჩავა).

## 1926 წელი.

## თებერვალი

21-24 — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ხუთი წლისთავზე ხელოვნათა სასახლეში გაიმართა „სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა“.

ჩათვალეს რა ეს ფორუმი პირველ ყრილობად, კომუნისტურმა ხელისუფლებამ და პროლეტმწერლებმა ამით ხაზი გადაუსვეს წინა მწერალთა კავშირის, ქართველ მწერალთა ადრინდელ ხუთ ყრილობას — მთელ ქართულ მწერლობას არ მოიცავდაო. და ეს იმიტომ, რომ იქ არ მონაწილეობდნენ პროლეტარული მწერლები (მწერლობას მონდომებული, მაგრამ ნაკლებნიჭიერი ხალხი) და ფუტურისტები (აბდაუბდას აყოლილი მემარცხენე კალმოსნები). რომელთა იქ ყოფნა ან არყოფნა არაფერს აკლებდა და

არც შეჰმატებდა ქართულ მწერლობას.

ახლა, ახალი იდეოლოგიის მორჩილი შემოქმედებითი ორგანიზაციის ჩამოსაყალიბებლად მოიწვიეს და სუფრის თავში დასვეს რა პროლეტარლები, ჩათვალეს რომ სწორედ ეს იყო „სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა“.

ყრილობაზე წარმოდგენილი იყო მაშინ საქართველოში არსებული ოთხივე ლიტერატურული დაჯგუფება: აკადემიური მწერლები — 44 დელეგატი, ცისფერყანწელები — 25, პროლეტარალთა ასოციაცია — 25, ფუტურისტები — 5.

ყრილობამ განიხილა შემდეგი საკითხები:

1. მიმდინარე მომენტი და ქართველი ხალხის ამოცანები — ფ. მახარაძე;

2. სახელმწიფო გამოცემლობის მუშაობა — გამოცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგე ნ. მიწისუილი;

3. ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭოს მუშაობა — საბჭოს თავმჯდომარე ი. გუდვიანიშვილი;

4. ხელოვნთა სახახლის მუშაობა — ხელოვნთა კომიტეტის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი.

მორჩილება გამოიხატა უხუცესი მწერლის ვ. ბარნოვის მისალმებაში, მაგრამ ჰქონდა კი მას უფლება მთელ ქართულ მწერლობაზე ეთქვა — ყოველთვის მოელოდა ამ დიდებულ ხანას, იღვწოდა ამ ხანის დამყარებისთვისო?

ერთ-ერთი მთავარი კომუნისტი ფუნქციონერის ფ. მახარაძის გამოსვლიდან: „ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს ყველა მიმდინარეობას მწერლობაში, ოღონდ კი რევოლუციის მხარეზე იდგენ და ამასთან არცერთ მიმდინარეობას არ შეეძლება ჰქონდეს ჰეგემონობა“.

ფ. მახარაძეზე მეტად გამოიხატა კი ბ. ჯენტილა (ყოფილი ფუტურისტი, შემარცხენე ფრონტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი): რევოლუციის დეკლარაციულად ცნობა-არცნობა კი არ არის მთავარი, არამედ „როგორ ქმნიან ისინი (მწერლები) ბაზისს ახალი ქართული კულტურის მშენებლობისათვის, როგორია ამ მხრივ მათი ორიენტაცია. სხვაგვარად მათი დეკლარაციული პათოსი, თუვინდ გულწრფელიც, არაფერს შემატებს არც საქართველოს, არც მომენტს, არც რევოლუციას“.

ეს ყრილობა სწორედ ახალი, საბჭოური ქართული კულტურის შესაქმნელად მწერლების დარაზმისათვის იყო გამართული.

თავიანთ საწუხარზე ეროვნულ პოზიციაზე მდგარმა მწერლებმაც ილაპარაკეს:

ვ. კოტეტიშვილი — „გვინდა ერთხელ და სამუდამოდ მოედოს ბოლო იმ უნდობლობას, რომელიც საქმიანობის საშუალებას არ გვაძლევს“

კ. გამსახურდია — „ჩვენს შორის ყოფილა რაღაც ბინჯი, ხიდი ყოფილა ჩვენს შორის ჩატეხილი. ქართულ მწერლობას ახასიათებს ყოველთვის კეთილშობილება და სიყვარული ქართული კულტურისადმი და ჩვენს შორისაც იყოს ხიდათ ეს სიყვარული ქართული კულტურისადმი და მოციქულად კეთილშობილება“.

(სხვათა შორის, ხელისუფლებას კ. გამსახურდიას გამოსვლა არ მოეწონა. არც აღრინდელი ქცევა-გამოსვლებისათვის ემადლიერებოდა და მწერალი ათი წლით სოლოკის კუნძულების ბანაკში გაგზავნეს, საიდანაც ორი წლის შემდეგ დაბრუნდა).

ყრილობაზე გაერცელდა „რევოლუციონერი ახალი მწერლობის“ („რამ“) დეკლარაცია (იბ. 1926). დალაგებულმა მწერლებმა ამ გაერთიანებას ქართული მწერლობის „ბრამი“ შეარქვეს უგუნური გეზისათვის.



ყრილობამ შექმნა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“, რომელშიც გაერთიანდა ოთხივე ლიტ. ჯგუფი, მიიღო წესდება, აირჩია საბჭო, რომლის თავმჯდომარე გახდა პროლეტმწერალთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი, კომუნისტი ფუნქციონერი ს. თოდრია, რაც ნიშნავდა ქართველ მწერალთა შეკავშირების დაწყებას მათი გასაბჭოებისა და პროლეტმწერალთა უპირატესობის ნიშნით.

მოადგილეზად დაუნიშნეს ორი მთავარი ჯგუფის წარმომადგენლები გრ. რობაქიძე (ცისფერფანწელთაგან) და ა. აბაშელი (აკადემიურ მწერალთაგან) — (სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. თბ. 1926; „კომუნისტი“, 1926, № 42, 44, 46, 47).

— 1925 წლის მიწურულს ჭეშმარიტი პოეზიის მოყვარულებმა მწვავედ განიცადეს ს. ესენინის (თვით)მკვლელობა: ცისფერფანწელმა ტ. ტაბიძემ ძმასავით დაიტირა უდროოდ დაღუპული პოეტი („ხერგვი ესენინი“, 1926. 28. 11) და, საოცარი ის იყო, რომ მაშინვე იგრძნო თავისი და თანამოკალმეთა მომავალი უბედობა: შეესვამთ საწამლავს ჩვენ როგორც მირონს — პირველად შენ სთქვი ეს ალავერდიო. ისიც დაუშვა, იქნებ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე დაგორდესო... ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც მალე სადმე ჩავაძაღლებენო!

პროლეტარული პოეტი კ. ლორთქიფანიძე კი გამკიცხავი ღექსით გამოეხშაურა ამ ტრაგიკულ ამბავს. ათეული წლების შემდეგ აქცენტები შეცვალა და ის ღექსი საზოგადოებას გაკეთილშობილებულად წარუდგინა. მაგრამ მკითხველებს, პირველ რიგში კი აკ. ბაქრაძეს ეს მზაკვრობა არ გამოეპარა.

## მაისი

— გამოვიდა პროლეტმწერალთა ასოციაციის ერთდროული გაზეთი „5

მაისი“ № 1. დაიბეჭდა ბ. შარაშიძის წერილი „სრულიად საქართველოს პროლეტარული მწერლობის პირველი ყრილობისათვის“. გაზეთი გამოდიოდა 1926-29 წლებში. ეს იყო ცდა ხალხისთვის დაევიწყებინათ ძველი დღესასწაულა, ასეთი გაზეთის გამოცემის დღე — 7 მაისი და გაზეთის გამოხველა დაეკავშირებინათ ახალ საბჭოთა დღესასწაულთან — ბექვლითი სიტყვის დღესთან. მაგრამ გაზეთის გამოცემის დღის შეცვლა საქმეს არ შეელოდა.

6-8 — ხელოვანთა სასახლეში ჩატარდა პროლეტარულ მწერალთა პირველი ყრილობა. ყრილობას მივსალმა, მიმდინარე მომენტსა და პროლეტარულ მწერალთა ამოცანებზე ილაპარაკა ფ. მახარაძემ. საანგარიშო მოხსენება — ნოე ზომლეთელი (ქურიძე), პროლეტარული ლიტერატურის განვითარების გზები — ალ. დუდუჩავა, ყრილობამ დაამტკიცა წესდება („კომუნისტი“, 1926. № 101, 103-105).

— მაისში პროლეტმწერალთა ყრილობაზე პროლეტმწერლების დარაზმვის, მათთვის ხელისუფლების თანადგომის გამოცხადებას კვალობაზე მალე, ამავე წლის ნოემბერში ხელმძღვანელობაში ახალგაზრდა მწერლების მოხვლა და მათი გამოიჯვნა 1926 წელს შექმნილ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისაგან, მიუხედავად იმისა, რომ იმ კავშირის პროლეტმწერალთა პირველი თაობის ერთერთი ლიდერი ს. თოდრია ხელმძღვანელობდა და იქ პროლეტმწერლებს მთავარი ადგილი ეჭირათ, — იმაზე მეტყველებდა, რომ პროლეტმწერალთა ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობა უფრო მეტი პრეტენზიულობით შეუტყვედა სხვა ლიტ. დაჯგუფებათა (უპირველესად ფოლისა აკადემიურული ასოციაციის და ცისფერფანწელ) მწერლებს.

და ეს ასეც მოხდა! ეს სულ მალე მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებების მომრავლებაშიც გამოჩნდება.

იენისი — გამოსვლას იწყებს სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველთვიური ჟურნალი „ქართული მწერლობა“, რომელშიც დიდი იყო აკადემიური მწერლობის გავლენა (გამოდიოდა 1930 წლამდე, რედაქტორები: ნ. მიწისვილი — 1926-28, ს. ბუნდაძე — 1928-30).

24. XI — პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობამ პასუხისმგებელ მდივნად გამოყო ბ. ბუაჩიძე. ის ამ თანამდებობაზე იყო 1931 წლის სექტემბრამდე (ლხცხა, 38-1-3). მალე მასთან ერთად მდივნად აირჩიეს ა. მამაშვილი.

ახალმა ხელმძღვანელობამ განაცხადა: ვინაიდან სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი (1926 წ. შექმნილი) არ შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა მწერლების კავშირად, აღნიშნული კავშირის წესდებაში პროლეტარულ მწერალთა ავტონომიურობა გარკვევით უნდა აღინიშნოს.

პროლეტმწერლების სამდივნომ თავისი ჟურნალისათვის ოთახი მოიხზო.

## დეკემბერი

— პროლეტმწერლების ასოციაციისა და კომკავშირის ცკ-ის თაოსნობით გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან დაარსდა ლიტერატურული წრე. სხვადასხვა დროს ამ წრის წევრები იყვნენ: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ნიკა აგიაშვილი, ერეკლე ასტუცატუროვი (ქარელიშვილი), დიმიტრი ბენაშვილი, ალექსანდრე ვომიაშვილი, როსტომ ელანიძე, ვლადიმერ თორდუა, ვიორჯი ლომიძე, ვიორჯი ნახუცრიშვილი, შაქრო სამადაშვილი, ვიორჯი შატბერაშვილი, ალექო შენგელია, არჩილ ჩაჩიბაია, ლავ-

რენტი ჭიჭინაძე, ილია ხუციშვილი, ვიორჯი ჯიბლაძე...

## 1927 წელი

სულ უფრო მეტად აქტიურობდნენ პროლეტმწერლები:

### იანვარი

2 — ხელოვანთა სახალღში შედგა მოხსენებები: „შემოქმედების რაობისათვის“ — ლეო ესაკია, „რომანტიკული რეალიზმისა და ქართული პროლეტარული ლიტერატურის პერსპექტივები“ — პლატონ ქიქოძე.

15 — პროლეტმწერლებმა ფამართეს დისკუსია თემაზე: „1926 წლის ლიტერატურას შეფასებისათვის“. მომხსენებები: ბ. ბუაჩიძე, ლ. ესაკია, შ. რადიანი, დ. რონდელი, პ. ქიქოძე, („კომუნისტი“ 1927. № 23).

— სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანოსთან — ჟურნალ „ქართულ მწერლობასთან“ დასაპირისპირებლად (რომელშიც დიდი იყო აკადემიურ მწერალთა გავლენა) გამოსვლას იწყებს პროლეტმწერალთა ასოციაციის ყოველთვიური ჟურნალი „პროლეტარული მწერლობა“ (რედ. — 1927-31 — დ. რონდელი, 1931-32 — ვ. ლუარსაბიძე).

— ქუთაისში გამოვიდა პროლეტმწერალთა აღმანახი „გრადმლი“, სულ 4 ნომერი.



„ვაუწყებთ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, რომ ქვემოთ ჩამოთვლილმა მწერლებმა დააარსეს ახალი სალიტერატურო კორპორაცია „არიფიონი“. წევრთა სია (აღფაბეტი): გორგაძე ვახილი, დადიანი შალვა, კაპანელი კონსტანტინე, მეტრეველი ლევანი, მოსაშვილი ილო,

სულიაშვილი დაეთი, ტაბიძე ვალაკ-ტიონი, ტატიშვილი იოსები, ქავთარაძე პეტრე, ქიქოძე ვერონტი, შანშიაშვილი სანდრო, ჭიჭინაძე კონსტანტინე, ჯავახიშვილი მიხეილი.

კორპორაციის სალიტერატურო განცხადება (დეკლარაცია) გამოქვეყნებული იქნება ჩვენს ალმანახ „არიფიონში“.

ზემოსხენებული ვთხოვთ მიიღოთ ცნობათ.

თავმჯდომარე მიხ. ჯავახიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგები: კ. კაპანელი, სანდრო შანშიაშვილი“ (ლხცსა, 8-1-175-1).

„ფაქტიურად ჯავახიშვილის მიერ არის შექმნილი „არიფიონი“, მაგრამ იგი არასოდეს არ გამოდის როგორც ლიდერი. იგი ეფარება ჯგუფს, იგი თავს იცავს ამით თავდასხმებისაგან. თუ დრო მოითხოვს, ლიდერადაც გამოდგება (ეს ისეთი ჯგუფია, რომ ყველა ლიდერები არიან)“ (გ. ტაბიძე, არიფის შენიშვნები — როგორ მოქმედებს ჯავახიშვილი, ტ. 12, გვ. 79).

## ოქტომბერი

15 — შეიქმნა აფხაზეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია. უნდა ყოფილიყო განყოფილება, მაგრამ ამ სეპარატიზმს მუდამ ჰყავდა მძლავრი მხარდამჭერი იმპერიული ძალების სახით და სუსუტი მოწინააღმდეგე უხერხემლო ქართველების მხრივ.

— ფუტურისტებისა და მემარცხენე პროლეტმწერლების გაერთიანების შედეგად ვ. მაიაკოვსკის „ლევო ფრონტის“ გავლენით შექმნილმა მემარცხენე ფრონტმა გამოსცა ჟურნალი „მემარცხენეობა“ ს. ჩიქოვანის რედაქტორობით. 1-ლი ნომრის მოწინავედან: „მემარცხენეობის მიზანს შეადგენს ჩამოაყალიბოს ნამდვილი მემარცხენე ხელოვნება, გაერთიანოს ამ პრინციპით მომუშავე ხელოვანნი და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადოს მემარჯვენე ხელოვნებას“.

მემარჯვენე ხელოვანად კი თვლიდნენ ყველა ნიჭიერ მწერალს, რომელიც ხოტბას არ ასხამდა საბჭოეთს.

## აპრილი

7—შეიქმნა აჭარის პროლეტმწერალთა კავშირი. შეხსენება დასჭირდათ, რომ შეეცვალათ განყოფილებად (ლხცსა, 38-1-18; 38-1-21).

29 — გარდაიცვალა კ. მაყაშივილი — საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი, უცვლელი თავმჯდომარე 1917-1926 წლებში.

„საქართველოს მწერალთა კავშირი კოტე მაყაშილის ქმნილება იყო. მას სწირავდა ფიქრებსა და გრძნობებს, გვევლინებოდა მის მხსნელად ყველაზე მძიმე წუთებში. მისი ხელმძღვანელობისა და საოცარი ტაქტის წყალობით მწერალთა კავშირი იქცა მსხვილ საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებად, რომელსაც ყურს უგდებდნენ ლიტერატურის ფარგლებს გარეთ“ (ნ. მიწისვილი).

## 1928 წელი

პროლეტმწერალთა მეორე ყრილობაზე (13-17. I) რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელობისაგან (მ. კახიანი) დამოძღვრებზე, საანგარიშო მოხსენებასა და შემოქმედებითი პლატფორმის წარმოდგენაზე (ბ. ბუანიძე, შ. რადიანი, დ. რონდელი) მთავარი მაინც ა/კ პროლეტმწერალთა გაერთიანების წინადადების წამოყენება იყო (ა. ვართანანი).

მართლაც, ხელაღვე (19-23. I) რაპკის გენერალური მდივნის ლ. ავერბახის და კიდევ ერთი ხელმძღვანელის ელ. ერმილოვის და ისევ და ისევ პარტიის ლიდერის მიერ (მ. ორახელაშვილი) გეზმციმულმა ა/კ პროლეტმწერლების ყრილობამ შექმნა ასეთი შემოქმედებითი ორგანიზაცია, აირჩია საკავშირო



პროლეტმწერალთა ყრილობის დელეგატები და საკუთარი გამგეობა, რომლის სამდივნოში შევიდნენ ბ. ბუჩიძე, ვლ. სუტირინი, თ. გუსეინოვი, ალ. ახანი (ვ. გაბუნიანი) და მიხ. იურიანი (ლხცსა, 38-1-41, 38-1-42; „კომუნისტი“, 1928, №16-20).

ა/კ პროლეტმწერალთა ასოციაციის შექმნა იყო ერთიან საბჭოთა მწერლების კავშირში ქართველი მწერლების შეყვანის დასაწყისი.

## თეატრალი

— გამოვიდა წინა წელს შექმნილი ლიტ. კორპორაციის აღმანახი „არიფიონი“.

ბ. ქიქოძის წერილიდან „არიფიონი პერეთში“:

„ჩვენ არ გვინდა კარის მგოსნების როლი ვითამაშოთ და მწერლობა ვიწრო პოლიტიკის იარაღად ვაქციოთ, ამ მხრივ დიდად განესხეალებით იმ გულმოდგინე პოეტებიდან, რომელნიც ერთმანეთს ეჯობებოდნენ შებლონურ ოდების წერაში. ისინი თანადროულობას იჩემებენ და ჰკონიათ თანადროულობა იმაში მდგომარეობს, რომ გაუხედნელი კვიციეთი მისდით და უჭიხინო რევოლუციის ეტლს. მაგრამ ჩვენ არც იმ მუდამ პირქუშ ცრუმამუღიშვილებს ვგავართ, რომელნიც იმავე ეტლს წვევლითა და ლანძღვით მიხლდევენ“.

წერილში გამოთქმული იყო ეპქო, — ძველი კულტურა, ძველი ღმერთები მოკვდნენ. რევოლუციამ კი მათ მხოლოდ ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია და კოოპერაცია დაუპირისპირა. მაგრამ დაცარიელებულ ხულს ელექტრონის ნაკადი ვერ ამოავსებსო.

სულ მალე, მარტში საქართველოს მწერალთა ყრილობაზე სასტიკად დაგმეს ახლადშექმნილი კორპორაცია. შემდეგ საქართველოს კომპარტიის

ცკის 1928 წლის პლენუმის (საქართველო) დიდან გ. ქიქოძე საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელმა მ. კახიანმა გაჯოხა: „ამ ცარიელ ქართველ ნაციონალისტს, რომელიც, როგორც სჩანს, საბჭოთა დაწესებულებაში მუშაობს, არ სჯერა არც ელექტროფიკაცია, არც ინდუსტრიალიზაცია, იმიტომ რომ ევროპაში ყველაფერი უკეთესად არის გაკეთებული, რომ იქ ელექტრონი უკეთესად ანათებსო.“

ის ვერ ხედავს განსხეალებას, ხარისხობრივ განსხეალებას იმას შორის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება და იმას შორის, რაც ევროპაში არის“.

კორპორაცია იძულებული შეიქმნა თვითლიკვიდაცია გამოეცხადებია. 11 ავლისს მწერალთა პრეზიდიუმის სხდომაზე გამოცხადდა: ყოფილი არიფიონელები ფედერაციის წევრებად რჩებიანო (ლხცსა, 8-1-152-19).

## მარტი

6-14. — ჩატარდა სრ. საქართველოს მწერალთა მეორე ყრილობა. მასზე ძალთა შეცვლილი თანაფარდობით წარმოდგენილი იყვნენ: უფლებრივად დარიცხობრივად გაზრდილი პროლეტმწერალური ასოციაცია — 55 დელეგატი (1926 წ. I ყრილობაზე — 25), შესაბამისად დაჩაგრულ-გამეჩხვრებული აკადემიურ მწერალთა ასოციაცია — 36 (44) და ცისფერყანწელები — 12 (25), აგრეთვე ახლად წარმოქმნილი ჯგუფები: მემარცხენე ფრონტი — 12 და მის საპირისპირო პოზიციაზე მდგარი „არიფიონი“ — 12, ბოლოს დაჯგუფებათა გარეშე მყოფნი — 15.

ყრილობამ შექმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“, რომელშიც დამარსებულ წევრებად შევიდა ყრილობაზე წარმოდგენილი ხუთი დაჯგუფება (მალე გამოაკლდება „არიფიონი“).

ეს იყო შემდგომი ნაბიჯი მწერლობის გასაბჭოების გზაზე.

ფედერაციის საბჭოს კვლავ ს. თოდრია ჩაუყენეს სათავეში, საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩიეს ვრ. რობაქიძე, პ/მგ მდივნად — ა. მაშაშვილი (ლხცსა, 8-1-147-1; 8-11|12-19; „ქართული მწერლობა“, 1928. № 4).

5. V — ფედერაციამ ახალი ნუმერაციით გამოსცა ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“.

## ივლისი

13 — ფედერაციის საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა, რომ ზელოვანთა სასახლე მთლიანად გადაეცათ მწერლებს და ეწოდა „მწერალთა სასახლე“ (ლხცსა, 8-1-156; „ქართული მწერლობა“, 1928. № 5).

18 — ფედერაციის საჯარო სხდომაზე რ. კალაძე გამოვიდა მოხსენებით „ნიწოშვილი და გორკი“ („კომუნისტი“ 1928 № 165).

## აგვისტო

ნ. ლორთქიფანიძე იძულებული შეიქნა რევოლუციის თემის დამუშავებისათვის მიემართა — „მათობში“ ბეჭდავს მოთხრობას „ბილიკებიდან ლიანდაგებზე“.

## ნოემბერი

მწერალთა სასახლეში ჩატარდა აღ. დულუჩავას მოხსენება „ოქტომბრის რევოლუცია და ზელოვნება“.

## 1929 წელი

24. II — მწერალთა სასახლეში გამართა აღ. გრიბოედოვის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავი 10. „შინათბი“, № 8

საღამო. მთაწმინდაზე გ. ლეონიძის ხელმძღვანელობით მოეწყო მწერლის მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა (მალე ამ გამოფენის ბაზაზე ტ. ტაბიძის წინადადებით შეიქმნება მწერალთა, შემდეგ — ლიტერატურული მუზეუმი), გაიხსნა მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი.

23. III — რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ო. თუმანიანის ხსოვნის საღამო.

## ივნისი

— „მნათობში“ ქვეყნდება ვრ. რობაქიძის „უღვევა“.

— მწერალთა სასახლეში ჩატარდა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსული მწერლების საღამო.

## ივლისი

13 — თბილისში ჩამოვიდა უკრაინელ მწერალთა დელეგაცია.

— მეორედ ჩამოვიდა ა. ბელი. ცხოვრობდა საჩხერეში, ა. წერეთლის სახლში.

27. X — მწერალთა ფედერაციის საბჭომ საჭიროდ მიიჩნია ლიტერატურული გაზეთის დაარსება (ლხცსა, 8-1-179; „ქართული მწერლობა“, 1929. № 10).

— წლის განმავლობაში მწერალთა კავშირთან შეიქმნა საავტორო უფლებათა დაცვის („საული“) უწყება (ლხცსა, 8-1-201-1)

— 1928 წელს დაიწერა, ხოლო 1929-ში კ. მარჯანიშვილმა პირველად დადგა პ. კაკაბაძის „ფვარეყარე თუთაბერი“.

## 1930 წელი.

1. III — შეიქმნა დრამატურგთა, კომპოზიტორთა და კინოსცენარისტთა საზოგადოება „დრამკომი“. თავმჯდო-

მარე — გრიგოლ (გუგული) ბუნიკაშვილი, მოადგილე — ზ. ფალიაშვილი, პ/მგ მდივანი — ბ. ფლენტი, გამგეობის წევრები: ვრ. რობაქიძე, დ. რონდელი, პ. სამსონიძე, ა. ფალავა, ს. შანშიაშვილი, ნ. შიუკაშვილი, მ. ჯავახიშვილი. დრამკომა აწარმოებდა მატერიალური და უფლებრივი ინტერესების დაცვას, ახალი კადრების აღზრდას, შემოქმედებითა საკითხების გარჩევა-შესწავლას („აზ. კომუნისტი“, 1930, № 58)

## აპრილი

„პროლეტარულ მწერლობაში“ ს. ჩიქოვანის ხელმოწერით დაიბეჭდა „მემარცხენე ფრონტის დეკლარაცია“ (რომელიც მანამდე წაიკითხა პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობის მესამე პლენუმზე) და პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობის პასუხი პროლეტმწერლებისა და „მემარცხენე ფრონტის“ ერთიანი ბლოკის შექმნის თაობაზე.

## ივნისი

გაიმართა დ. კლდიაშვილის სამწევრო მოღვაწეობის 40 წლისთავის აღსანიშნავი დღეები: 29. VI — საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში; 31. VI — საქართველოს სახალხო მწერლის სახელის პირველი შეხვედრა.

— „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის სხდომაზე ტიციან ტაბიძემ გააკეთა მოხსენება მთაწმინდაზე დასაფლავებულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთიანი მუზეუმის ორგანიზაციის შესახებ.

ფედერაციის პრეზიდიუმის საბჭოთა კავშირის სენო ასეთი მუზეუმის მოწყობის შესახებ“ („აზ. კომუნისტი“, 1930. № 138).  
მალე ამის შედეგად გაიხსნა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი (შემდეგში ლიტერატურული მუზეუმი). — „კომუნისტი“, 1928. 24. VI.

## ოქტომბერი

— როდესაც პროლეტმწერლების ასოციაციის ხელმძღვანელები მიხედნენ, რომ ძველ მუშა-პოეტებზე ორიენტაციის აღება შეეძლო იყო, რადგან მათ საამისო მცირე ნიჭს გაუნათლებლობაც ემატებოდა — გადაწყვიტეს გეზი აეღოთ ლიტერატურაში ახალგაზრდა მუშების განვითარება. მაგრამ ამ ახალგაზრდობაში მწერლური ნიჭის ძიების ნაცვლად მათ დამკერვლობას გაუსვეს ხაზი — „კომუნისტი“ დაიბეჭდა (18. X) პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამდივნოს ღია წერილი ლიტერატურაში ახალგაზრდა დამკერველ მუშათა განვითარების თაობაზე.

15. XI — საბჭოთა მწერლების ფედერაციის საბჭოს პლენუმზე განახლდა სამდივნო: პ/მგ მდივანი გახდა პ. ჩხიკვაძე, მდივნები — ა. მაშაშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ჩიქოვანი, ა. ტუმბაძე, საბჭომ მოითხოვა ფედერაციას გადაეცემოდა „მათობი“, დაადგინა აკადემიური მწერლობის ასოციაციის გაუქმება. ამ ასოციაციის სახელით ა. აბაშელმა დაშლილად გამოაცხადა ეს ასოციაცია, (ლბცსა, 8-1-216 — ფურც. 3-8; 8-1-210).



## გვრძული ისტორიული რომანები

### მე-19 ს. გვრძული ნახვების საქართველოში

მე-19 ს. გვრძული ნახვების ევროპის ისტორიით ქართული საზოგადოების დაინტერესებასა და მისი შესწავლის საქმეში, სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომებსა და მეცნიერულ გამოკვლევებთან ერთად, დიდი როლი შეასრულეს ევროპულმა ისტორიულმა რომანებმა. მათ მალე მოიპოვეს მკითხველის სიყვარული, რის მიზეზიც, ალბათ, ძველ საქართველოში არსებული „სასულიერო რომანის“ — აგიოგრაფიული და პატრისტიკული ლიტერატურის პოპულარობა და თარგმნის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია იყო. საერო რომანების თარგმნას მე-7 ს. იოანე მოსხის მიერ „ბალავარანის“ ქართული ვერსიის შექმნამ ჩაუყარა საფუძველი. თარგმნის მაღალი კულტურა, ზუსტი ქართული შესატყვისების დაქმნა და ორიგინალის ტოლფასი შედეგის შექმნა შემდეგ საუკუნეებშიც გაგრძელდა. საერო ლიტერატურა ძირითადად აღმოსავლეთიდან შემოდიოდა, ამიტომ მე-12-17 სს. სპარსული სიუჟეტები გადმოქონდათ, სარგის თმოგველის მიერ ფარხედ-დინ გორგანელის „ვის ო რომანის“ დიდოსტატური თარგმანი, თემურაზ I მიერ გადმოღებული ცნობი-

ლი სპარსული სიუჟეტები „ვარდბულბულიანი“, „შამიფარვანიანი“, „იოსებ-ზილიხანიანი“, „ლეილაჯუნიაანი“ ქართული ლიტერატურის შემადგენელი ნაწილი გახდა. გერონტი ქიქოძე ქართული ენისა და ეროვნული ენერჯის შესახებ წერდა, რომ „სპარსული პოემები და რომანები მან უფრო გადმოაქართულა, ვიდრე გადმოთარგმნა. ერთი გერმანული მეცნიერის არ იყოს, „ვისრამიანი“ უფრო თამამად შეიძლება ქართულ ეპოსად ჩაითვალოს, ვიდრე „ტრისტან და იზოლდა“ გერმანულად“ (1).

რაც შეეხება ევროპულ რომანებს, ყველაზე ადრინდელს, 502-533 წწ. ასურულ ენაზე მონოფიზიტი ბერის მიერ ედესაში დაწერილ „ივლიანეს რომანს“ იცნობდნენ ქართული ისტორიკოსები ჯუანშერი (2) და დავით სუმბატის ძე (3). მაგრამ რომანი, როგორც ჟანრი მხოლოდ XV ს. ჩამოყალიბდა და მასში იგულისხმებოდა საგმირო-სარაინდო რომანები. ამგვარი შუა საუკუნეების ევროპული რომანებიდან აღსანიშნავია 1699-1710 წწ. არჩილ II მიერ თარგმნილი „ალექსანდრიანი“, ალექსანდრე მაკედონელის ლეგენდარული თავგადასავალი, რომლის უფ-

რო აღრინდელი თარგმანი შემორჩენილი არ არის, არჩილისეულმა კი რამდენიმე ნუსხით მოაღწია (4). მართალია, როგორც ისტორიული წყარო, იგი მოკლებულა მნიშვნელობას, მაგრამ ძალზე გავრცელებული იყო ძველ საქართველოში რისი მიზეზიც თვით ალექსანდრეს პიროვნების პოპულარობა იყო. მე-18 ს. 20-იან წწ. გაბრიელ ჩხვიძემ თარგმნა, კვინტუს კურციუსის „საქმენი ალექსანდრე დიდისა“ (5), ხოლო გ. ავალიშვილმა — „ალექსანდრე და მეუღაბნოე კავკასიასა შინა“ (6). ასევე პოპულარული იყო „ველისარიანი“, რომელშიც აღწერილი იყო იუსტინიანე დიდის სახელოვანი სარდლის ცხოვრება მარმონტიელის „ველისარიანი“ გაიოზ რექტორმა თარგმნა 1787 წ. (6), ფანლისის „ველისარიანი“ — დავით ფანასკერტელ-ციციშვილმა 1848 წ. (7).

მე-19 ს. პირველ ნახევრის საქართველოში ძირითადად სენტიმენტალური თხზულებები გადმოქონდათ — რომანებიდანაც სენტიმენტალურ-აგენტურისტულ ფანრს აქცეულენ ყურადღებას, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ი. ჭავჭავაძემ: „რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალური მწერლების გაცნობა?.. იქნებ ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება?“ თუ არ გაიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე. და ცდომილება?“ (8). უკვე 1864 წ. ფრაგმენტურად ითარგმნა ჰენრიკ სენკვიჩის რომანი „ვიდრე მხვალ“ პირველ ქრისტიანებზე და რომის ისტორიის I საუკუნის მოვლენებზე. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი ისტორიული რომანი, რომლის ფრაგმენტები საქართველოში ითარგმნა, პოლონური იყო. პოლონეთი და პოლონელები დიდი სიმათით სარგებლობდნენ საქართველოში. 1832 წ. და 1863 წ. პოლონეთის აჯანყებებმა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ თანაგრძნობა და გამოხმარება ჰქონა საქართველოში. 1863 წ. აჯანყების შეწყობის ვარშავიდან ინფორმაციებს გზავნიდა პეტრე ნაკაშიძე, რომლის „სამგზავრო წერილები“ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ (9). საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ქართველები მართო ფულით კი არ ეზმარებოდნენ პოლონელებს, არამედ მოხალისეებადაც წავიდნენ და იარაღიც მიაწოდეს (10). საქართველოში გადმოსახლებულმა ავღილად გამოძებნეს საერთო ენა ერთ ბელქვეშ მყოფ ერთიან და ბევრ რამ გააკეთეს ორი ზალხის დასახლოებად. პოლონური მწერლობის გაცნობაში დიდი როლი შეასრულეს ვარშავის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა, განსაკუთრებით — გ. ერისთავმა. საქართველოში კი — გერმანელმა არტურ ლაისტმა, რომელიც პოლონეთში დაიბადა და განათლება პოლონურ ენაზე მიიღო. ამიტომ წერდა როგორც გერმანულად, ასევე პოლონურად და თარგმნიდა კიდევ ამ ენებიდან. პოლონელი მწერლებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჰენრიკ სენკვიჩი, რაც კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან ხმა აიმაღლა ქართველი ხალხის დასაცავად დ. ერისთავის „სამშობლოს“ დადგმის გამო კატკოვისა და სუეოროვის შოვინისტური გამოხდომების წინააღმდეგ. ითარგმნა რამდენიმე მოთხრობა და სტატია. პრესაში დაიბეჭდა ცნობები მის შესახებ. 1894-1896 წწ. კი ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი ტრილოგიის „ცეცხლით და მახვილით“ პირველი ნაწილი, რომელშიც აღწერილი იყო მე-17 ს. ისტორიული ეპოქა — პოლონელი ხალხის გმირული ბრძოლა კაზაკობასთან (11). ფრანგი მწერლებიდან, განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მე-19 ს. მეორე ნახევრის საქართველოში სარგებლობდა ვიქტორ ჰიუგო, რასაც ხელი შეუწყო „ცისკარში“, „საქართველოს მოამბესა“ და „დროებაში“ დაბეჭდილმა მისმა თხზულებებმა და პირადად კონტაქტებმა ქართველ საზოგადოებასთან.

ველოში. 1863 წ. აჯანყების შეწყობის ვარშავიდან ინფორმაციებს გზავნიდა პეტრე ნაკაშიძე, რომლის „სამგზავრო წერილები“ დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ (9). საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ქართველები მართო ფულით კი არ ეზმარებოდნენ პოლონელებს, არამედ მოხალისეებადაც წავიდნენ და იარაღიც მიაწოდეს (10). საქართველოში გადმოსახლებულმა ავღილად გამოძებნეს საერთო ენა ერთ ბელქვეშ მყოფ ერთიან და ბევრ რამ გააკეთეს ორი ზალხის დასახლოებად. პოლონური მწერლობის გაცნობაში დიდი როლი შეასრულეს ვარშავის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა, განსაკუთრებით — გ. ერისთავმა. საქართველოში კი — გერმანელმა არტურ ლაისტმა, რომელიც პოლონეთში დაიბადა და განათლება პოლონურ ენაზე მიიღო. ამიტომ წერდა როგორც გერმანულად, ასევე პოლონურად და თარგმნიდა კიდევ ამ ენებიდან. პოლონელი მწერლებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ჰენრიკ სენკვიჩი, რაც კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან ხმა აიმაღლა ქართველი ხალხის დასაცავად დ. ერისთავის „სამშობლოს“ დადგმის გამო კატკოვისა და სუეოროვის შოვინისტური გამოხდომების წინააღმდეგ. ითარგმნა რამდენიმე მოთხრობა და სტატია. პრესაში დაიბეჭდა ცნობები მის შესახებ. 1894-1896 წწ. კი ჟურნალ „მოამბეში“ დაიბეჭდა მისი ტრილოგიის „ცეცხლით და მახვილით“ პირველი ნაწილი, რომელშიც აღწერილი იყო მე-17 ს. ისტორიული ეპოქა — პოლონელი ხალხის გმირული ბრძოლა კაზაკობასთან (11). ფრანგი მწერლებიდან, განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით მე-19 ს. მეორე ნახევრის საქართველოში სარგებლობდა ვიქტორ ჰიუგო, რასაც ხელი შეუწყო „ცისკარში“, „საქართველოს მოამბესა“ და „დროებაში“ დაბეჭდილმა მისმა თხზულებებმა და პირადად კონტაქტებმა ქართველ საზოგადოებასთან.



დო მოღვაწეებთან (ს. მესხი, ი. მეუ-  
ნარგია, ნ. ნიკოლაძე, დ. კარიჭაშვილი  
და სხვები). საფრანგეთში ყოფნისას,  
1874 წ. ევროპაში სამოგზაუროდ წა-  
სული „დროების“ რედაქტორი ს. მეს-  
ხი მკითხველებს აუწყებდა პარიზიდან,  
რომ მალე დაიბეჭდებოდა პიუგოს ახ-  
ალი რომანი (12). მართლაც, როგორც  
კი დაიბეჭდა წიგნი „92 წელი“, იქვე  
შეასრულა რომანის შემოკლებული თა-  
რგმანი და გაზეთს გამოუგზავნა (13).  
„ეს ახალი რომანი უწარჩინებულებსა  
ევროპის მწერლისა საფრანგეთის პი-  
რველის რევოლუციის დროინდელ  
ცხოვრებას შეეხება. საუბედუროდ,  
ღონისძიება არა გვაქვს, რომ სულ გა-  
დმოგვეთარგმნა ეს მშვენიერი რომანი,  
რომელზედაც მთელი ევროპა ლაპა-  
რაკობს... მაგრამ ზოგიერთი ადგილე-  
ბის წაკითხვაც დაარწმუნებს მკითხ-  
ველს ამ რომანის სიმშვენიერეში და  
მისი ავტორის ნიჭის სიღრმეში“ (14).  
შემოკლებული თარგმანით არ შემოფა-  
რგულდნ კართველი მოღვაწეები.  
1892 წ. „ივერია“ აცნობებდა მკითხ-  
ველს, რომ დ. ფიფიანს პიუგოს ეს რო-  
მანი ჯერ კიდევ 1889 წ. უთარგმნია  
ქვიშხეთში და რომ ნაწილ-ნაწილ აპი-  
რებს მის დაბეჭდვას (15). მაგრამ  
სხვადასხვა მიზეზთა გამო თარგმანი  
არ გამოქვეყნებულა. მხოლოდ 1938  
წ. გამოვიდა ივ. მაჭავარიანის მიერ  
შესანიშნავად თარგმნილი „93 წე-  
ლი“, რომელმაც რამდენიმე გამოცე-  
მას გაუძლო და ბოლოს 1987 წ. და-  
იბეჭდა.

ევროპული ისტორიული რომანე-  
ბი სრული სახით მხოლოდ ჟურნ. „ივ-  
ერიის“ დაარსების შემდეგ გამოქვეყნ-  
და. ესენი იყო ფელიქს დანის „ბრძოლა  
რომისათვის“, 1877 წ. გეორგ ებერსის  
„რამეთუ კაცნი ვართ“, 1878 წ. და  
მისივე „ფარაონის ასული“ 1885 წ.

ცნობილია მწერალმა და მკვლევა-  
რმა ფელიქს დანმა 1861-1900 წწ გა-  
მოსცა 20 ტომიანი გამოკვლევა „გე-  
რმანელი მეფეები“. ამ სერიის ერთ-  
ერთი რომანი „ბრძოლა ქრომისთვის“

აღწერს გერმანელთა შეჭრას იტალი-  
აში იმპერატორ იუსტინიანე II-ის  
დროს. „ივერიაში“ დაიბეჭდა რომა-  
ნის ნაწილი. ქართული თარგმანი I  
ტომის მე-3 ნაწილით იწყება, გოთე-  
ბისაგან რომის განთავისუფლებით.  
ამიტომ აქცენტს გერმანელებიდან,  
რომელზედაც აიღებოდა ფ. დანი,  
ბიზანტიაზე იქნა გადატანილი და  
რომანის ცენტრში აღმოჩნდნენ არა  
ვითები, არამედ საქართველოს ის-  
ტორიიდან კარგად ცნობილი იმპერა-  
ტორები იუსტინიანე და იმპერატრიცა  
თეოდორა, აგრეთვე მათი სარდლები  
ველიზარი და ნარზეგი – საქართვე-  
ლოში კარგად ცნობილი რომანის „ვე-  
ლიზარიანის“ გმირები. როგორც ვხე-  
დავთ მთარგმნელის არჩევანი და მა-  
სალის ამ სახით მოტანა შემთხვევითი  
არ არის, სწორედ ის თხზულებაა თარ-  
გმნილი, რომელზეც დრამატულ ეპოქას  
მე-ნ ს. კოლხეთში „დიდი ომიანობის“  
პერიოდს შეეხება და იმ პერსონაჟებს,  
რომლებიც პოპულარობით სარგებ-  
ლობდნენ საქართველოში (16).

გეორგ ებერსის თხზულებათა არჩე-  
ვაც არ იყო შემთხვევითი. მისი წიგ-  
ნები, „განსაკუთრებით ეგვიპტური  
ციკლის ქმნილებები დატვირთული არ-  
იან მოწინავე პოლიტიკური იდეე-  
ბით,“ – შენიშნავდა შ. რევიშვილი  
(17). მისი რომანი „რამეთუ კაცნი  
ვართ“, აღწერს ორი მსოფლმხედვე-  
ლობის-ეპიკურულ წარმართულისა და  
ასკეტურ-ქრისტიანულის ჭიდილს ევ-  
როპის ადრექრისტიანული ისტორიის  
ფონზე (18). „ფარაონის ასული“. კი  
გადმოგვეცემს სპარსეთის მეფის კამ-  
ბიზის მიერ ეგვიპტის დაპყრობის  
ისტორიას და მის მიერ ეითომდა ფა-  
რაონის ასულზე დაქორწინებას (19).  
როგორც წესი, ჟურნ. „ივერიაში“ არ  
გვხვდება მითითება, თუ ვის მიერაა  
ნათარგმნი მასალა. შ. რევიშვილის ახ-  
რით, სამივე რომანის მთარგმნელი უნ-  
და იყოს ილია (20).

ისტორიული რომანების ბეჭდვა 90-იანი წწ. განაგრძო ჟურნ. „მოამბეში“. პირველი რომანი, რომელიც ამ ჟურნალშია მოთავსებული, არის ვალტერ სკოტის „აივენო“ (21) მე-19 ს. დასაწყისში ვ. სკოტმა საფუძველი ჩაუყარა ისტორიული რომანის ჟანრს, წინამორბედ ფსევდოისტორიულ რომანს მან შესძინა პრობლემათა სერიოზულობა და ისტორიული სიზუსტე. ისტორიული სინამდვილის მხატვრულად გადმოცემამ მალე მიიპყრო ევროპელთა ყურადღება და სწრაფად მოუპოვა აღიარება ავტორსაც და ისტორიული რომანის ჟანრსაც, მაგრამ საქართველოში სკოტის რომანები მხოლოდ მე-19 ს. 90-იან წწ. ითარგმნა. „აივენო“ თარგმნილია ცნობილი პოეტისა და თეატრალური მოღვაწის იოსებ ბაქრაძის მიერ. რომანში აღწერილია ჯვაროსნული ომების ისტორია. რეალისტურადაა გადმოცემული მე-12 ს. მეორე ნახევრის ინგლისის ცხოვრება და ის წინააღმდეგობანი, რაც არ არსებობდა ადგილობრივ მკვიდრ შოტლანდიელთა, საქსონელთა და ინგლისელთა შორის.

1896 წ. დაიწყო და 1899 წ. გავრძელდა „მოამბეში“ ისტორიული რომანი „გლეხი კაცის ისტორია“, რომელიც შესანიშნავი ქართულით თარგმნა ივანე მაჭავარიანმა (22). ეს რომანი შედის ფრანგი მწერლების — ემილ ერკმანის და შარლ ლუი შატრიანის მიერ 60-იან წწ. გამოქვეყნებულ I რესპუბლიკისა და ნაპოლეონ I ომების ამსახველ ისტორიული რომანების სერიის, რომელიც 4 ტომად დაიბეჭდა საფრანგეთში 1868-1870 წწ. ქართულ თარგმანს 1897 წ. გამოეხმაურა „ცნობის ფურცელი“: „თარგმნის ენა უმწიკვლოდ უნდა ჩაითვალოს, რაც იშვიათია ჩვენს დროში“ (23), ხოლო 1899 წ. როცა დამთავრდა ბეჭდვა, მაღალი შეფასება მისცა რომანს: განთქმულს მთელს ევროპის მწერლობაში, ვითარცა უტყუარი სურათი წარსულ საუკუნის საფრანგეთისა, ეს წიგნი ერთსა და

იმავე დროს ისტორიაც ეკრძებოდა. ნიკოლა და პოეტურად დასურბული ინდელ მოქმედ პირთა და მოვლენათა (24). თხზულება იმდენად რეალისტურია, რომ ნ. ნიკოლაძე როდესაც ფრანგული საზოგადოების სამშვიდობო განწყობაზე მსჯელობდა, ხშირად იმეორებდა ერკმან შატრიანის ნაწარმოებებს და განსაკუთრებით მისი „გლეხი კაცის ისტორიას“ (25).

ბულგარელი მწერლის ივან ვაზოვის რომანის „დამონებულების“ თარგმნას თედო სახოკიამ 1896 წ. ივანოვიჩის „ბულგარეთის თავისუფლებისათვის მებრძოლნი და წამებულნი“ გამოქვეყნების შემდეგ მოჰკიდა ხელი. ქართველი და ბულგარელი ხალხის ბედი ბევრი რამით აღმოჩნდა მსგავსი და მკითხველმაც დიდი ინტერესი გამოიჩინა თხზულებისადმი. ვაზოვის რომანში აღწერილია 1876 წ. აპრილის აჯანყების ისტორიული დღეები. ქართველი მწერლის ინტერესი ალბათ იმიტაც იყო გამოწვეული, რომ თურქების მიერ აჯანყების ჩახშობისა და ბულგარეთში დატრიალებული სისხლიანი ტრაგედიის მსოფლიოში გახმაურება შესამდგომელი გახდა ქართველის, ალექსი ნიკოლოზის ძე წერეთლის, იმ დროისათვის ბულგარეთში რუსეთის ვიცე-კონსულის თანამდებობაზე მყოფი დიპლომატის მეშვეობით. ცნობებმა ბულგარეთში თურქთა ბარბაროსობაზე მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანების აღშფოთება გამოიწვია, ხოლო რომანმა ვაზოვის მსოფლიო სახელი მოუხვეჭა. ეს მონუმენტური თხზულება 1889-1890 წწ. დაიბეჭდა ბულგარეთში. სახოკიასეული თარგმანი კი 1898-1900 წწ. ჟურნ. „მოამბეში“. (26). 1901 წ. რომანი ცალკე წიგნად გამოიცა და ერთი ეგზემპლარი, ძვირფას ყდაში ჩასმული მთარგმნელს ი. ვაზოვისათვის გაუგზავნია დიდი პატივისცემის ნიშნად, რაზეც მწერალმა მაღლობის წერილით გამოხმაურებია (27).

1899 წ. „მოაპბის“ 4 ნომერში დაიბეჭდა იტალიელი რომანისტის ვიქტორ ოტოლინის რომანი „გარიბალდიელები“ (28), რომელშიც ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარულის ფონზე ნაჩვენებია გარიბალდის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი — 1865 წ. გარიბალდელთა გამარჯვება ავსტრიელებზე ქალატაფანთან. სქოლიოში მთარგმნელი, რომელიც, სამწუხაროდ, მითითებული არ არის, წერს: „ფაქტი ნამდვილია, ისტორიული“ (29). ოტოლინი დიდად სახელგანთქმული და პოპულარული ავტორი სამშობლოშიც კი არასოდეს ყოფილა, მაგრამ გარიბალდი ისეთი დიდი სიყვარულით სარგებლობდა საქართველოში, რომ, როგორც ჩანს, არა თუ შინაარსი, არამედ სათაურიც, კი საკმარისი აღმოჩნდა ქართველი მთარგმნელისათვის. ეს რომანი იყო ერთგვარი ვაგრაჟელობა იმ „ქართული გარიბალდიანისა“, რომელიც 60-იან წწ. დაიწყო ქართულ პრესაში.

1898-1900 წწ. „მოაპბის“ 5 ნომერში დაიბეჭდა ინგლისელი მწერალი ქალის ეთელ ლილიან კოინინის რომანი „კრაზანა“, რომელიც 1897 წ. გამოიცა ინგლისში და ეძღვნება იტალიის 30-40-იანი წწ. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ქართველი მკითხველის ინტერესს იწვევდა არა მარტო რომანი თავისი გმირულ-რომანტიკული პათოსით, არამედ პოლონელი რევოლუციონერის ირლანდიელი, მუდღეც, ცნობილი მათემატიკოს ჯორჯ ბულის ქალიშვილი და მისი რომანის მთავარი გმირი, რომლის პროტოტიპიც არის ფარული ორგანიზაციის „ახალგაზრდა იტალიის“ დამარსებელი, რისოჯიმენტოს, ერთერთი ბელადი და გარიბალდის თანამებრძოლი ჯუზეპე მაძინი, რომელიც ასევე ძალზე პოპულარული პიროვნება იყო საქართველოში. რომანის მთარგმნელია ნატალია გიგაური (30), მაგრამ „კრაზანა“ ცნობილი სერგო კლდიაშვილის თარგმანით გახდა, რომელიც

რამდენჯერმე გამოიცა 1926-1972 წლებში. მე-19 ს. მეორე ნახევარში თარგმნილი ევროპული ისტორიული რომანებიდან ერთადერთი, რომელიც ჟურნალში არ დაბეჭდილა და პირდაპირ წიგნად გამოვიდა, იყო იტალიელი მწერლის რაფაელო ჯიოვანოლის „სპარტაკი“. (31) გარიბალდის თანამებრძოლს, რომელმაც გარიბალდის მგზნებარე სული შეიტანა იტალიურ ლიტერატურაში, არ შეიძლებოდა ქართველთა ყურადღება არ მიეყრო. ჯიოვანოლის პირველ რომანებს სამშობლოში წარმატება არ ჰქონიათ. 1874 წ. გამოქვეყნებულმა „სპარტაკი“ კი, რომელშიც I ს. რომაელთა წინააღმდეგ მონათა აჯანყებას ეძღვნება, ერთბაშად მსოფლიო სახელი მოუტანა მის ავტორს და 1877 წ. გარიბალდის აღტაცებული წერილიც დაიმსახურა. სპარტაკი, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა, ასევე მახლობელი იყო ეროვნული უფლებებისათვის მებრძოლი საქართველოსათვის. მით უმეტეს, რომ ავტორი გარიბალდელი იყო და მარტო ამ ნიშნითაც კი მას ადრევე უნდა მიეყრო ყურადღება, მაგრამ რომანი მხოლოდ 1900 წ. ითარგმნა და საინტერესოა, რომ ასეთი გმირული ხასიათის ნაწარმოები თარგმნა ქალმა — ცნობილი თეატრალის, მსახიობისა და მწერლის კოტე ყიფიანის მეუღლემ, ნინო ყიფიანმა. „ამ ბოლო წლებში მკითხველმა მიიღო ორი კარგი თარგმანი, — წერდა გაზეთი „კვალი“, — „გლეხი კაცის ისტორია“ ივ. მაჭავარიანისა და „სპარტაკი“. პირველი დიდია, მაგრამ მინც სიამოვნებით კითხულობს ხალხი“ (32). აქვე გაზეთი აკრიტიკებდა ნ. ყიფიანს რომანის საუკეთესო ადგილების სუსტი თარგმნისა და რუსიციზმებისთვის. მიუხედავად კრიტიკისა, რომანი ქართველი ახალგაზრდობის საყვარელი საკითხავი შეიქნა. 1932 წ. იგი ხელახლა გამოიცა, ხოლო მცირეოდენი სწორებების შემდეგ



1964 წ. დაიბეჭდა ნ. ყიფიანისეული თარგმანის ახალი გამოცემა.

როგორც ვხედავთ, ევროპული ისტორიული რომანებიდან მე-19 ს. მეორე ნახევარში ძირითადად გადმოქონდათ პროგრესულად მოაზროვნე ავტორთა ზოგადსაკაცობრიო იდეალებითა და ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით გაკლენთილი ნაწარმოებები, რომელთა ავტორები სკოტი, პიუგო, ებერსი, სენკევიჩი, ვაზოვი, ვოინიჩი, ჯიოვანოლი და სხვები მახლობელი იყვნენ თავისი შემოქმედებით, ან პრობლემატიკით. ამ თხზულებებით ქართველები ეცნობოდნენ ევროპის და მსოფლიოს ისტორიის ამა თუ იმ ეპოქას, რომელიმე კონკრეტულ ეპიზოდს ისტორიიდან. იგებდნენ, როგორ წყვეტდნენ საჭირობოროტო საკითხებს ეროვნულს, სოციალურს და

ზნეობრივს ისტორიული პირობებში მწერლის ფანტაზიით შექმნილი სონაჟები. ამ რომანებმა და მათი ავტორების შემოქმედებამ დააჩქარა საზოგადოების დაინტერესება ევროპის ისტორიით, ბიძგი მისცა ეროვნული ისტორიული რომანის ქანრის განვითარებას საქართველოში ევროპულმა ისტორიულმა რომანებმა დიდი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურის, ისტორიული მეცნიერების, საზოგადოების განათლებისა და ეროვნული თვითშეგნების ვაღვივების საქმეში. ეს თხზულებები შეიყვარა და შეისიხსლხორცა ქართველმა ხალხმა. ბევრმა მათგანმა რამდენიმე გამოცემას გაუძლო და დღესაც შეუნულებელი ინტერესით კითხულობენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები.

### შენიშვნები

1. ქიქოძე გ. წერილები, ვხვები, ნარკვევები. თ. 1985. გვ. 158.
2. ქართლის ცხოვრება. ტ. I 1955. გვ. 165.
3. იქვე. გვ. 886.
4. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდები: № 697. № 188. § III № 88, 560.
5. იქვე. § 808.
6. იქვე. § 172, 1195.
7. იქვე. § 1421.
8. ჭავჭავაძე ი. თხზულებანი. ტ. 5. თ. 1991. გვ. 16.
9. „საქართველოს მოამბე“. 1868. № 7.
10. ჭელიძე გ. ქართულ-პოლონური ლიტერატურული ურთიერთობები XIX ს. II ნახევარში 1982. გვ. 80. თ.
11. სენკევიჩი პ. ცეცხლით და მახვილით. „მოამბე“. 1894. № 11-12.

1895. 11-12. 1896. № 1-9.
12. „დროება“. 1874. № 411.
13. იქვე. № № 420-422
14. იქვე. № 420
15. „ივერია“. 1892. № 126
16. დანი ფ. ბრძოლა რომისათვის „ივერია“. 1877. № № 10-89
17. რევიშვილი შ. ნარკვევები გერმანულ-ქართულ ლიტერატურული კავშირებიდან. თ. 1969. გვ. 810.
18. ებერსი გ. რამეთუ კაცნი ვართ: „ივერია“. 1878. № № 81-47. 1879. № 1.
19. ებერსი გ. ფარაონის ასული. „ივერია“. 1885. № № 1-6.
20. რევიშვილი შ. დასახ. ნაშრ. გვ. 821.
21. სკოტი ვ. აივენო. „მოამბე“. 1894 № № 7-12. 1895. № № 1-2.

ეროვნული  
ისტორიული  
მუზეუმი

22. ერკმანი ე. შატრიანი შ. გლეხი  
კაცის ისტორია. „მოამბე“. 1896. № №  
10-12. 1897, № № 1-12, 1899, № № -3.  
23. „ცნობის ფურცელი“. 1897. №  
228.  
24. იქვე. 1899. № 788.  
25. ნიკოლაძე ნ. რჩული ნაწერები.  
ტ. I. თ. 1981. გვ. 276.  
26. ვაზოვი ი. დამონებული. „მო-  
ამბე“. 1898. № № 11-12. 1899. № №  
4-12. 1900. № № 1,5, 6.

27. გვინიძე ო. ივან ვაზოვი  
ფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა.  
ტ. 59. თ. 1972. გვ. 16.  
28. ოტოლინი ვ. ვარიბაღდიელები.  
„მოამბე“. 1899. № № 2-5.  
29. იქვე. № 8.  
30. ვოინიჩი ე. კრაზანა. „მოამბე“.  
1899. № № 6-7. 1900. № № 1, 6, 7.  
31. ჯიოვანოლი რ. სპარტაკი. ტფ.  
1900  
32. „კვალი“. 1901. № 18.



## საქართველო კათოლიციზმის გავრცელების მცდელობის შედეგები XI—XIV საუკუნეებში

XI—XIV სს-ში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას კათოლიკურ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. 1054 წლის საეკლესიო განხეთქილების შემდეგ, როდესაც ქრისტიანული რელიგია 2 მიმდინარეობად გაიყო, საქართველო აღმოსავლეთ საქრისტიანოსთან ერთად მართლმადიდებლური აღმსარებლობის გზას დაადგა, ხოლო დასავლეთ ევროპა — კათოლიციზმის გზას. ქართული ისტორიული საბუთების, ქართველ მეფეთა მიმოწერის (რომის პაპებისადმი), სამონასტრო ტიპიკონების ანალიზის (როგორც ქართული, ისე ევროპული), პაგიოგრაფიული ძეგლების განხილვის შედეგად ნათელი გახდა, რომ ქართული ეკლესია 1054 წლის საეკლესიო განხეთქილების შემდეგი დროიდანვე მართლმადიდებლური იყო.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს კათოლიკურ სამყაროსთან აქტიური ურთიერთობის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ასევე ფაქტია საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების მცდელობის უდაო შედეგების არსებობა.

XI—XIV სს-ის საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა რომის ეკლესიასთან, კათოლიკური აღმსარებლობა ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა საქართველოში, ამ მცდელობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

დაეუბრუნდეთ ჩვენს ხელთ არსებულ მასალას. რუსუდან დედოფალს (1223—1245) აქტიური მიმოწერა ჰქონდა რომის პაპ ონორიუს III-თან. რუსუდანის წერილიდან ჩანს, რომ პაპს თხოვნით მიუმართავს საქართველოს მეფისათვის მონაწილეობა მიეღო ჯვაროსნულ ლაშქრობაში.<sup>1</sup> პაპი აგულიანებდა ქართველებს წმინდა მიწების განთავისუფლებისთვის საბრძოლველად. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა ვერ მიიღო მონაწილეობა ლაშქრობაში, თავად ფაქტი ჩვენი თანამემამულეების ინტერესისა ამ მოვლენისადმი, ცხადყოფს საქართველოს კავშირს ვატიკანთან. დასავლეთი მაინც არ წყვეტს მუშაობას საქართველოს მიმართულებით. პაპი გრიგოლ IX მოუწოდებს დომინიკანელთა ორდენის მისიონერებს არ დაზოგონ ენერგია „ლათინური აღსარების აღიარებისა“ და „წმინდა ტახტის უმაღლესობისთვის“.<sup>2</sup>

1233 წელს გრიგოლ IX წერილს სწერს საქართველოს მეფეს: „ამ წიგნის მომტანმა მინორიტების ორდენის მღვდელ-მონაზონმა, ჩვენმა საყვარელმა შეილმა იაკობ როგსანელმა გვიამბო, რომ თქვენ დიდების ტახტსა, რომელზედაც ახედით, ღვთის ხელიდგან მიღებულადა სთელით და პატივისცემით ეპყრობით ამის ძმათა მონაზონებსაც,

უფროს ერთად მათი მოღვაწეობის ნიჭს დიდად აფასებთ“.<sup>3</sup> ამრიგად, იაკობ როგანელი და მისი ძმა მინორიტები (ე. ი. ფრანცისკანელები) საქართველოში მოღვაწეობდნენ. ე. ი. XIII ს-ის 30-იან წლებში კათოლიკური მისიის ბერები ჩვენს ქვეყანაშიც ქადაგებდნენ. ფრანცისკანელების შემდეგ დომინიკელებიც ჩამოვიდნენ. „პაპი იმავე დროს კვალად გზავნიდა საქართველოში სხვა იმავე ორდენის მონაზონებს და სწორედ ამ წლებიდან იწყება საქართველოში მოსვლა ლათინის მისიონერ-მონაზონებისა და მათ მიერ ტფილისში მონასტრის დაფუძნება“.<sup>4</sup> არსებობს პაპ გრიგოლ IX-ის წერილი ქართველების მიწაზე მოღვაწე დომინიკანელთა ორდენის წევრების, მორჩილი ძმების, სახელზე. წერილში პაპი მოუწოდებს მათ გულწრფელად იმუშაონ „წმინდა ტახტის უმაღლესი ცნობისთვის“;<sup>5</sup> რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო. ამრიგად, XIII ს-ის 30-იან წლებში კათოლიკურ მისიას ფრანცისკანელი და დომინიკანელი ბერები უძღვებოდნენ, რომელთაც საკუთარი მრევლი უნდა ჰყოლოდათ.

1240 წელს თბილისში დომინიკანელმა მისიონერებმა მონასტერიც კი დააარსეს.<sup>6</sup> 1240 წელს საქართველოში ჩამოვიდა გრიგოლ IX-ის მიერ გამოგზავნილი 8 მისიონერი და საკუთარი მონასტერი დააარსებინა. ისინი შეუერთდნენ ფრანცისკანელ ბერებს და ერთად გაშალეს კათოლიკური მისია. ჩვენს ხელთაა პაპის წერილი აღმოსავლეთში მოღვაწე მისიონერების მიმართ. იგი პაპმა ინოკენტი IV-მ 1245 წელს შეადგინა. რომის ეკლესიის თავი აუღლებს მისიონერებს კათოლიკობის პროპაგანდას და სიხოვს სრულ ანგარიშს ამ ქვეყნების მდგომარეობაზე: „ჩვენ დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რათა ყველა ხალხი, რომელიც გაფანტულია ამ მხარეებში, მოექცეს ქრისტიანული სარწმუნოების კალთის ქვეშ; სარწმუნოებისა, რომელსაც მხარს უჭერს, იცავს და ინარჩუნებს რომის უწმინდესი ეკლესია, ამზადებს რა ამით გზას სამუდამო ბედნიერებისათვის“.<sup>7</sup>

XIII საუკუნეში დაწვებული კატოლიკური ურთიერთობა კათოლიკურ მისიასთან XIV საუკუნეშიც გრძელდება. პაპი კლემენტ V (1305—1314) 1307 წელს საქართველოში აგზავნიდა ფრანცისკანელ და დომინიკანელ ბერებს კათოლიკობის გასაუკრებლად. გიორგი V ბრწყინვალის მეფობის პერიოდში (1314—1341) პაპი იოანე XXII 1318 წელს საქართველოში მისიონერებს აგზავნიდა.<sup>8</sup> ჩანს, ქართველთა ნაწილი კათოლიკობას იღებს, სერიოზულად დგება რომის ეკლესიის სამსახურში და უცხოეთში სამოღვაწეოდაც კი ემზადება. ჩვენამდე მოაღწია წერილმა, სადაც საუბარია ქართველ, თბილისელ დიმიტრიზე, რომელსაც კათოლიკობა მიუღია და ევროპელ კათოლიკეებთან ერთად ინდოეთშიც კი უმოღვაწია.<sup>9</sup> ინდოეთშივე დიმიტრი უწამებიათ: „1321 წლის 13 აპრილს, ბზობის წინა ხუთშაბათს, დიდებული წამება განიცადეს მინორიტების წესის ოთხმა ბრწყინვალე მორწმუნემ. ესენი არიან: მორჩილი ძმა ტომაზო ტოლენტინი..., მორჩილი ძმა იაკობ პადუელი, მორჩილი ძმა პეტრე სიენელი და მორჩილი ძმა ერისკაცი, დიმიტრი თბილისელი, ეროვნებით ქართველი, თარჯიმანი, აღმოსავლური ენების კარგი მცოდნე... ისინი აწამეს ინდოეთის ქალაქ თანაში. მათი დიდებული წამება იქვე, აღმოსავლეთში, აღწერეს და ეს აღწერილობა გამოგზავნეს მორჩილმა ძმებმა: იორდანმა და ფრანჩესკო პიზანელმა“.<sup>10</sup> ჩვენ ვაგვაჩნია ამ წამების მეორე საბუთიც, რომელშიც უფრო დამტკიცებულია ამ თემაზე საუბარი.<sup>11</sup>

ძალიან საინტერესოა იოანე XXII-ის წერილი გიორგი ბრწყინვალისადმი. იგი წერს: „ჩვენ ვითხოვთ და ვლოცულობთ უფალ ქრისტესათვის, რათა ჩვენ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეთ ერთიან წმინდა რომის ეკლესიას და ნაკლებად მნიშვნელოვნად არ ჩათვალთ ის, რასაც ჩვენ ამ დღეებში უფლის შთაგონებით და ჩვენი მორჩილი ძმების რჩევით ვაკეთებთ. ეს მორჩილი ძმები დაკავებული არიან თქვენი და თქვენი ხელისუფლების ქვეშ მყოფ ხალხით, განათლებით,

წმინდა საღვთო წერილის ავტორიტეტის დახმარებით, რაც გათვალისწინებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ<sup>12</sup> ამრიგად, კვლავ გრძელდება საუბარი კათოლიკური მისიის აქტიურ მოღვაწეობაზე საქართველოში. გიორგი ბრწყინვალის მეფობაში თბილისში კათოლიკეთა საეპისკოპოსო დაარსდა. 1330 წელს თბილისში კათოლიკეთა საეპისკოპოსო საყრდენი აშენდა. „უფლის მიერ საქართველოს გადარჩენის მიზნით თბილისში დაარსდა საეპისკოპოსო საყდარი და, როგორც თანდართული სიგელიდან ჩანს, საქართველოს ეპისკოპოსად დანიშნულია იოანე დომინიკანელთა სკოლის მოწაფე“<sup>13</sup> – იოანე ფლორენციელად სახელდებული. იგი 1318 წელს ჩამოვიდა საქართველოში, ხოლო 1330 წლიდან თბილისის კათოლიკეთა ეპისკოპოსია. მან 30 წელი იცხოვრა საქართველოში, ქართული ენაც შეისწავლა.

ამრიგად, ქართული ეკლესიის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ფაქტი დაფიქსირდა. თბილისში კათოლიკეთა კათედრალური ტაძარი აშენდა. ეს უკვე მრავალისმეტყველი ფაქტია. კათოლიკურმა მისიამ საქართველოში გარკვეულ მიზანს მიაღწია, მას გაუჩნდა მრევლი ქართველთა შორის. ამავე პერიოდში მოხდა საეპისკოპოსო კათედრის გადმოტანა სმირნიდან თბილისში: „...სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის ტფილისის ქალაქსა. რადგან, უკეთუ სამოციქულო საყდრის მოწყალეობით ამ ადგილს დაინიშნა ეპისკოპოსი, რომელმაც უნდა შეუდგინოს და მოუკლებლიე ასწავლოს კათოლიკე მოძღვრება ერსა, დარწმუნებული ვართ და მტკიცედ ვხასოებთ, როგორათაც ზემორე მოხსენებულადგანცა სჩანს, უფლის შემწეობით მორწმუნენი გამტკიცდენ სარწმუნოებაში და ბევრი ურწმუნოც ადვილად მოიქცეოს ჭეშმარიტების ნათლისაჲში, რომელიც არის ქრისტე“<sup>14</sup> თავის მხრივ, ქ. სმირნაში საეპისკოპოსოს გაუქმება გამოწვეული იყო ოსმალთაგან ქალაქის შევიწროვებით და მოსახლეობის შემცირებით.<sup>15</sup> თბი-

ლისის კათოლიკური სამწყვრქობის და თბილისის გარეშე ტერიტორიების მაგრამ ძირითადად, რა თქმა უნდა, უშუალოდ თბილისის მოსახლეობა შეადგენდა.<sup>16</sup> აქედან გამომდინარე, მრევლს თავისი მღვდელმსახურებაც უნდა ჰყოლოდა: ეპისკოპოსი, კაპიტულები, სამრევლო მღვდლები, გარდა ეპისკოპოსისა (ნიშნავდა რომის პაპი რომიდან), ადვილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ.<sup>17</sup> რა თქმა უნდა, კათოლიკური ცენტრის არსებობა მთავრობის ნების გარეშე წარმოუდგენელია. პაპი იოანე XXII წერს: „ქალაქს ტფილისს ვაწესებთ საეპისკოპოსო ქალაქად ღვთის საქებ-სადიდებლად, კათოლიკე სარწმუნოების გასამდიერებლად.“<sup>18</sup> ამრიგად, თბილისში კათოლიკური ტაძრის აშენება, საეპისკოპოსო ქალაქის სმირნიდან თბილისში გადმოტანა, ქართველი კათოლიკე მრევლის არსებობა უდაოდ მეტყველებს საქართველო-ვატიკანის მჭიდრო კავშირებზე XIV საუკუნეში.

ჩვენს ხელთ არის რომის პაპის წერილი კათოლიკე ქართველებისადმი, სადაც იოანე XXII სთხოვს მრევლს პატივით მიიღოს პირველი ეპისკოპოსი – იოანე ფლორენციელი.<sup>19</sup> ანალოგიური შინაარსის წერილი პაპმა მისწერა კათოლიკე სამღვდლოებას თბილისში:<sup>20</sup> „არა მარტო ერს, არამედ მის სამღვდლოებასაც მასთან ერთად მიუღია კათოლიკობა და მღვდლების რიცხვიც საკმაოდ ბლომად ვოფილა... ეს წერილი შეეხება ქართველი კათოლიკეების სამღვდლოებას და არა იქ მოსულ ლათინის მისიონერ მღვდლებს, რადგან ის მისიონერები მონაზონები იყვნენ, ხოლო ლათინურად ისინი მეტადრე ასეთ Regulares, ესე იგი მოწესენი, მონაზონები; გარნა ლექსი Clero, რომელსაც პაპი ხმარობს, ნიშნავს არა მონაზონებს. ვერც შეეძლოთ შერიცხულიყვნენ ტფილისა და მისის ეპარქიის მკვიდრ სამღვდლოებად, რადგან ისინი მუდამ თავიანთ წესის უფროსთაგან იყვნენ დამოკიდებულნი, ამიტომ ხშირად იცვლებოდნენ და აქეთ იქით სხვა ადგილებში მიდიო-



დენ<sup>21</sup> — წერს მ. თამარაშვილს. ჩანს, მისი მსჯელობა სიმართლეს შეეფერება. შემდეგ წერილში პაპი განაგრძობს თხოვნას გიორგი მეხუთესადმი, რომ კათოლიკობა მიიღოს მთელმა საქართველომ.<sup>22</sup>

1349 წელს პაპმა კლემენტ VI-მ თბილისში კათოლიკების ეპისკოპოსად დანიშნა ბერტრანდო კოლეტი, რომელმაც 7 წელი დაყო საქართველოში. პაპმა წერილი მოსწერა თბილისის ეკლესიის კაპიტულოს, რომელიც არსებობდა ისეთ ეპარქიებში, სადაც მრევლი საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. წერილში კლემენტ VI სთხოვს კაპიტულოს კარგად მიიღოს ახალი ეპისკოპოსი.<sup>23</sup> ასევე პაპი ცალკე წერილს სწერს თბილისის ეკლესიის ყმებს (ეასალებს).<sup>24</sup> მაგრამ 1356 წელს ბერტრანდო კოლეტი კლემენტ VII-მ გადააყენა. საქმე იმაში იყო, რომ ნამდვილ პაპს — ინოკენტი VI-სა და ანტიპაპს — კლემენტ VII-ს შორის ბრძოლა დაიწყო. ბერტრანდო კოლეტი ინოკენტი VI-ის მომხრე იყო. ამიტომ კლემენტ VII-მ იგი გადააყენა და მის მაგივრად დანიშნა თავისი მეგობარი პენრიკო რაცი. შემდგომ ბ. კოლეტი კვლავ თბილისში დაბრუნდა ეპისკოპოსად და 1391 წლამდე, გარდაცვალებამდე ეს პოსტი ეკავა. პაპმა ბონიფაცი IX-მ (1389-1404) თბილისის ეპისკოპოსად დომინიკანელი მისიონერი ლეონარდო და ვილაკო დანიშნა (1391 წელს).<sup>25</sup> ამრიგად, მთელი XIV საუკუნის მანძილზე, გიორგი V ბრწყინვალის მეფობის შემდგომ პერიოდშიც საქართველოში

კათოლიკური მისია მოქმედებდა. თბილისის კათოლიკურ ეკლესიაში ერთმანეთს რომაელი ეპისკოპოსები ცვლიდნენ.

ამდენად, XI-XIV სს-ში ქართულ საზოგადოებას კათოლიკურ სამყაროსთან აქტიური კავშირი ჰქონდა. ამ პერიოდში საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების მცდელობამ გარკვეული შედეგები გამოიღო:

- 1) რომის პაპი ონორიუს III სთხოვს საქართველოს მეფეს მონაწილეობა მიიღოს ჯვაროსნულ ლაშქრობაში.
  - 2) ფრანცისკანელი და დომინიკანელი კათოლიკე ბერები XIII ს-ის 30-იან წლებიდან მოღვაწეობენ საქართველოში და კათოლიკური აღმსარებლობის პროპაგანდას ეწევიან.
  - 3) 1240 წელს თბილისში დომინიკანელი მისიონერები საკუთარ მონასტერს აარსებენ.
  - 4) დომიტრი თბილისელი ინდოეთში კათოლიკობის დაცვისათვის ეწამება.
  - 5) 1330 წელს თბილისში არსდება კათოლიკეთა საეპისკოპოსო ტაძარი. კათოლიკეთა საეპისკოპოსო ცენტრი ქ. სმირნიდან თბილისში გადმოიტანეს.
  - 6) XIV საუკუნის მანძილზე თბილისში ერთმანეთს ცვლიან კათოლიკე ეპისკოპოსები.
- ამრიგად, საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლა შეუძლებელია ქართული კათოლიკური ეკლესიის გვერდის ავლით. საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების მცდელობამ (XI-XIV სს-ში) ნაყოფი გამოიღო.

შ ა ნ ო ბ რ ა ვ ა ნ ი:

1. ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბ., 1984, ტ. I, გვ. 176.  
 2. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 82.  
 3. მ. თამარაშვილი, ისტორია კათო-

ლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 12.  
 4. იქვე, გვ. 13.  
 5. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 82,

6. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ.,  
გვ. 17. ეკონომიკური წინსვლა, 1979, გვ. 658.
7. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 88. 16. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ.,  
გვ. 36, 35, 584.
8. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 28. 17. იქვე, გვ. 36.
9. იქვე, გვ. 28. 18. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ.,  
გვ. 34.
10. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 93-94. 19. იქვე, გვ. 36.
11. იქვე, გვ. 95. 20. იქვე, გვ. 37.
12. იქვე, გვ. 95-96. 21. იქვე, გვ. 37.
13. ი. ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 96. 22. იქვე, გვ. 38.
14. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ.,  
გვ. 32. 23. მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ.,  
გვ. 41.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვე-  
ვები, ბ. ლომინაძე, ქვეყნის სამეურნეო-  
24. იქვე, გვ. 42.  
25. იქვე, გვ. 46.



## ღვთისმშობლის სახე ღიმიტრი მეფის პოეზიაში

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები მის ფერწერულ გამოხატულებათა მსგავსად სხვადასხვა სახისაა. ცნობილია ვედრების ციკლის საგალობლები და ღვთისმშობლის სადიდებელი, რომელსაც „ღვთისმშობლის დაუჯდომელი“ დაედო საფუძვლად, ბიბლიურ-სახარებისეულ მონათხრობთან და საღვთისმეტყველო სახისმეტყველებასთან ერთად.

ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღიმიტრი მეფის (დემეტრე-დამიანეს) სახელით ცნობილ, თეოლოგიური ხილვით გამორჩეულ ოთხ იამბიკოს, რომელთაგან ორი ღვთისმშობელს ეძღვნება, ორიც — შიო მღვდელს. ისინი რამდენიმე ხელნაწერთა შემონახული. არსებული გამოცემები ემყარებოდა გვიანდელ, XVIII საუკუნის ხელნაწერულ მონაცემებს. ღიმიტრი მეფის იამბიკოების შემცველი ყველაზე ძველი ხელნაწერია გელათის მონასტრისა K-564, რომლის მონაცემები არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა გათვალისწინებული. მასში აღმოჩნდა ღიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი აქამდე უცნობი ერთსტროფიანი იამბიკო, რომელიც ამ ხელნაწერში მოთავსებულ ღიმიტრის სხვა იამბიკოთა მსგავსად სახელწაუწერელია. ავტორი თვით იამბიკოსშია დასახელებული. მოვიტანთ ტექსტს:

„ჰოი, დედოფალო, კუნინცა ეხე

ღუწილი

ქუაბსავე თანა იმწუნინე ღიმიტრისი,  
გარნა მახილვე სიმიდრე ღიდებისა,  
ძისა შენისა მარჯუენით მდგომარესა.  
რათა მესმას მე კმა იგი

კურთხევისა“ (302).

ტექსტიდან ჩანს, რომ ავტორს ღიმიტრი ჰქვია. რაკი იგი ღიმიტრი მეფის სხვა იამბიკოებთან ერთადაა მოთავსებული ხელნაწერში და ავტორის სახელად ღიმიტრია მოხმობილი, ვეარაუდობთ, რომ იგი ღიმიტრი მეფეა. აქედან გამომდინარე, ირკვევა, რომ ღიმიტრი მეფეს ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სამი იამბიკო შეუთხზავს. ორი ღვთისმშობლის სადიდებელი საგალობელია და მათში ხარების მისტიური სურათი და თვით ღვთისმშობლის გამორჩეულობა წარმოისახა, ხოლო მესამე, ახლად მიკვლეული, ვედრებას შეიცავს.

ღვთისმშობელი ბიბლიური სახისმეტყველებით, პარადიგმული სახეებითაა წარმორჩენილი. იგი არის ყოვლად პატიოსანი ქალწული დედა, მშვენიერი შრომანი, კუნაზი ახლად აღფრთხილებული, ედემს დანერგული მორჩი კეთილი, სამოთხეს ამოსული ალვა სულნელი, რომელიც თავისი თავით გაბრწყინებული მზეა. იგი არის დედოფალი. ყოველი ხსენებული სიმბოლური სახე



ბიბლიურ-სახარებელი სახისმეტყველებითა და პატრისტიკული თეოლოგიურ-ფილოსოფიური ნააზრევით აიხსნება.

დომიტრი მეფის ყოველი იამბიკო, მიძღვნილი ღვთისმშობლისა თუ შიომღვიმელისადმი, სიმბოლოებით აზროვნების საუკეთესო ძეგლია. ცნობილია, რომ ქრისტიანული ლიტერატურის მახასიათებლად მიჩნეულია სიმბოლური და ალეგორიული გამოხატვა ძირითადი სათქმელისა. პატრისტიკამ სიმბოლო აქცია სამყაროს შემეცნების ქვაკუთხედად, რადგან უხილავსა და ხილულ სამყაროს აერთიანებს სიმბოლური ურთიერთმიმართება, რაც საღვთო წერილით უნდა აიხსნას. შუასაუკუნეობრივი აზროვნება ზოგადის გამოხატვას მიესწრაფვის. სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვა ვახდა ერთ-ერთი მთავარი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალება ქრისტიანობის მიერ წინაქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის გამოყენებისა. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე საკმაო სისრულითაა შესწავლილი ეს ურთულესი პროცესი და მიღებულია თეოლსაზრისი, რომლის მიხედვით, წარმართული სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატვის მთოლოგიური ფორმები შეიცვალა ქრისტიანული სიმბოლურ-ალეგორიული აზროვნების შესაბამისად. ქართულ კულტურულ სამყაროში იგი კარგად გამოვლინდა მზისა და ვახის სიმბოლიკაში, რომელთა განვითარებასაც წარმართულმა კულტმა და წარმოდგენებმა დაუდეს სათავე, ხოლო ქრისტიანული კულტურის გავრცელებამ და განვითარებამ მას ქრისტიანული ხასიათი შესძინა. ქრისტიანული თეოლოგიური და პატრისტიკული ლიტერატურა მთლიანად სიმბოლურ და ალეგორიულ გააზრებას ეფუძნება. საღვთო სახელთა განმარტება მხოლოდ სიმბოლურად და ალეგორიულად იყო შესაძლებელი. ამავე დროს ისინი შემეცნების წყაროცაა; არეოპაგიტულ წიგნებში, რომლებშიც განსაზღვრულია საღვთო, ზეციურ და საეკლესიო იერარქიათა სახელები, სიმბო-

ლო არის ძირითადი განსწავლავალი კატეგორია.

როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, კიმნოგრაფია თავისი სიმბოლური და ალეგორიული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით საღვთისმეტყველო ლიტერატურაზე დაფუძნებული. იგი ღმერთისა და ღვთისმშობლის გამოსახატავად იმ სახელებს მიმართავს, რომლებიც წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, ღვთისმეტყველთა შრომებშია განმარტებული. ღვთისმეტყველება მისტიურია, საღვთო საიდუმლოა მასში ჩადებული. კიმნოგრაფია ცდილობს საიდუმლოს სიტყვით განცხადებას. ამიტომაცაა იგი ასე მდიდარი სიმბოლოებით, რომელთა განმარტება მხოლოდ საღვთისმეტყველო ლიტერატურითაა შესაძლებელი.

დომიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ერთი იამბიკო ასე იწყება: „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული“; იგი ღვთისმშობელს მიემართება, იგია ახლად აღყვავებული ვენახი. საღვთისმეტყველო ლიტერატურაში ვენახი ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლოა, ამიტომ მიიჩნია საჭიროდ რ. სირაძემ ხსენებული იამბიკოს განხილვისას მსჯელობა იმაზე, თუ ვის გულისხმობს კიმნოგრაფი „ვენახში“<sup>1</sup>. იგი იმორწმუნს იოანეს სახარებას, სადაც ქრისტეა ვენახად მიჩნეული. გავიხსენოთ ეს სიტყვები: „მე ვარ ვენახი ჭეშმარიტი, და მამამ ჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან, რომელი ჩემ თანა არს და არა მოიღოს ნაყოფი, აღიღოს იგი, და ყოველმან, რომელმან მოიღოს ნაყოფი, განწმინდოს იგი, რამთა უფროდის ნაყოფი გამოიღოს... დაადგერით თქვენ ჩემ თანა, და მე თქვენ თანა, რამეთუ ვითარცა იგი ნახსლავსა ვერ კელეწიფების ნაყოფისა მოღებად თავით თუსით, უკეთუ არა ვგოს ვენაქსა ზედა, აგრეთვე არცა თქვენ, უკეთუ არა დაადგერით ჩემ თანა. მე ვარ ვენაქი, და თქვენ რტონი“ (იოანე, 15,1-5). დომიტრი მეფის იამბიკოს პირველი ფრაზა — „შენ ხარ ვენახი“ — სწორედ იოანეს სახარების სიტყვებს ეხმიანება: „მე ვარ ვენაქი“.

როგორც ზემოთ მიუთითეთ, ქრისტიანულ მწერლობაში ვენახი არა მხოლოდ ღმერთის, მისი მეორე პიპოსტასის — ძე ღმერთის სახელია, არამედ ღვთისმშობლისაც. არეოპაგიტული მოძღვრებით ცნობილია, რომ საღვთო სახელები არის შეერთებული და განყოფილი, ანუ არსობრივი, როდესაც ერთარსება სამება წარმოქმნილი რომელიმე საღვთო სახელით, და პიპოსტასური, როდესაც იგი მიემართება სამების რომელიმე წევრს და მხოლოდ მისი კუთვნილებაა. არის სახელითა ჯგუფი, რომლებიც მიესადაგება ღმერთს არსობრივად ან პიპოსტასურად და, ამავდროს, იგი ღვთისმშობელსაც აღნიშნავს. ვენახი და მზე ამ რიგის სახელებს განეკუთვნებიან. ღმირთა მეთის „შენ ხარ ვენახი“ რომ ღვთისმშობლისადმი მიმართავა და არა ქრისტესადმი, ამის საბუთად იმის დასახელებაც იქმარება, რომ იამბიკო XVII-XVIII საუკუნეებში შედგენილ სხვადასხვა რედაქციის (გამოკვეთთ ანტონ კათალიკოსის რედაქციას), საღვთისწაულობაში შეტანილი „აწდას“ ტროპარად, რომელიც უთუოდ ღვთისმშობელს ეძღვნება, იგი („აწდა“) ამთარებს ნებისმიერ ვალობას, ვითარცა ღმირთისმშობლისანი. აქედან გამომდინარე, სხვა ლეტალების მიხედვით, შესაძლოა, ზედმეტად იფოს, მაგრამ ორიოდ მომენტს მაინც აღვნიშნავთ. რ. სირამემ დამოწმა იონე დამასკელისა და ანდრია კრიტელის ღვთისმშობლის შობის საკითხავეებიდან იმის დამადასტურებელი ციტატები, რომელთა მიხედვით ვენახში ღვთისმშობელია ნაგულისხმები. მაგ., „კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, საიდუმლოთა და ღმირთა დასხმულო ვენაკო, რომელი მდიდრად მიმადეფინე საზღვართა ეკლესიისათა და ტევანი იგი მწიფე უხრწნელებსაი საშოთ შენით აღმოგვცენე“<sup>11</sup>. ჩვენი მხრიდან დაკუმატებთ ორიოდ ნიმუშს ძლისპირთა კრებულიდან და პარაკლიტონიდან, რომლებიც ბერძნულიდანა თარგმნილი და რაც იმას ადასტურებს, რომ ღვთისმშობლის

ვენახად მოხსენიებას ზოგადად ქრისტიანული ტრადიცია უღვრის და არა მხოლოდ ქართული: „ვიხაროდენ, ქალწულთა სიქალწულო; ვიხაროდენ, ვენაკო რქაშუენიერო: ვიხაროდენ, ტევანი, რომლისაგან მოვისთულეთ სიტკბოება“<sup>12</sup>. „საღმერთთა ვენაკსა, მტრთველსა ცხორებისა ტევანსა, დედასა ანგელოზთა შემოქმედისასა, რომლისა საშოთ მიეფინა ნათელი მსხდომარეთა ბნელსა შინა“... „ქალწულებრივთა წიალთაგან, ქალწულო, აღმოგვცენე მწყაროთა ცხოველსმყოფელი... ქალწულო ღვთისმშობელი, რამეთუ შენ ხარ კიდეთა სოფლისათა დამატკობელი ვენაკი, ვოვლად წმიდათა, აღმავსებელი კაცთა კეთილთა მიერ“ (A-93). ზოგიერთ საგალობელში ვენახი ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოა, ზოგში იგი წმინდანთა შესამკობადა მოხმობილი მათივე ღვთაებრიობის წარმოსახვად. სხვა საგალობლებზე დაკვირვება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ღმირთა მეთის ზემოხსენებული იამბიკოს მიხედვით, ღვთისმშობელია ახლად აღყვავებული ვენახი, რომლის მტევანია ქრისტე, კაცობრიობის მხსნელად მოვლინებული ქალწული დედისაგან.

საყურადღებოა ეპითეტი „ახალი“, რომელსაც, ვფიქრობთ, ღრმა სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. შესაძლოა, იგი „ძველს“ უპირისპირდებოდეს. როდესაც პიპოსტასური ამბობს, რომ ვენახი ახლად აღყვავებულია, ეს იმის ნიშანია, რომ იგი განახლებულია: განახლება, ამ შემთხვევაში „ახალი“, „ახლად აღყვავებული“, ახალი ზორცით შემოსვას უნდა ნიშნავდეს, „ახალი“ ნათლისღების შედეგად სულიერი განახლების მიმანიშნებელია; შესაბამისად, „ახლად აღყვავებული“ სულიერად განახლებულია. დაისმის კითხვა, თუ ვენახი ღვთისმშობელია, რატომ ხდება და როგორ შეიძლება მისი სულიერი განახლება? ცხადია, აქ გათვალისწინებულია შესაქმის წიგნში მოთხრობილი პირველყოფის ჩამდენი ევა, რომელსაც ღვთისმშობელმა „მიუხდა ვალი“, ანუ გამოიხეცა მისი ცოდა. სწორედ ამას გვა-

11. „მითობი“, № 8

მცნობს ბორენა დედოფლის იამბიკოს პირველი ტაეი: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი“<sup>66</sup>. „ახლად აღყვავებასთან“ დაკავშირებით აუცილებელია ბიბლიურ-ეკანგელურ სწავლებათა გათვალისწინება. ესაიას წინასწარმეტყველებაში ნათქვამია: „რამეთუ იფოს ცამ ახალი და ქუეყანამ ახალი“... (ეს. 65,17). განახლების იდეას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ახალ აღთქმაში. ქრისტე თავის მოწაფეებს მიმართავს: „ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისამ, მრავალთათვის დათხუელი მისატყვევლად ცოდვითა“ (მთ, 26,28). „ხოლო გეტყუთქუნ, ვითარმედ: არღარა ესუა მე ამიერიოთვან ნაყოფისაგან ამის ვენაკისა, ვიდრე მუნ დღემდე რაჟამს-იგი ესუა თქუნ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა“ (მთ, 26,29). პავლეს ეპისტოლეებში მრავალგზის მითითებაა ახალი ბუნების შექმნაზე: „შეიმოსებ ახალი იგი კაცი ღმრთისა მიერ დაბადებული სიმართლითა სიწმიდითა ჭეშმარიტებისამათა“ (ეფეს. 4,24). „განიარცუეთ ძუელი იგი კაცი საქმით მისითურთ და შეიმოსეთ ახალი იგი განახლებული მეცნიერებად მსგავსად ხატისა მის დაბადებლისა მისისა“ (კოლას. 3,9-10). განახლების იდეას აკვირვებენ იოანეს გამოცხადება, რომელიც, თავის მხრივ, ესაიას წინასწარმეტყველებითაა ნასაზრდოები: „და ვიხილე ცამ ახალი და ქუეყანამ ახალი, რამეთუ პირველი იგი ცამ და პირველი ქუეყანამ წარქდეს, და ზღუამ არღარა არს. და ქალაქი იგი წმიდამ იერუსალიმში ახალი ვიხილე, გარდამომავალი ზეცით ღმრთისაგან, განმზადებული, ვითარცა სძალი შემკული ქმრისა მიმართ თვისსა“ (გამოც. 21,1-2).

ანდრია კესარი-კაბადუკიელი თავის ეგზეგეტიკურ თხზულებაში „განმარტება იოანეს გამოცხადებისამ“ შემოხსენებულ მუხლებს ასე განმარტავს: „ცისა და ქუეყანისათვის თქუა, ვითარმედ პირველნი წარქდეს, ესე იგი არს, ვითარმედ უმჯობსისა მიმართ შეიცვალნეს. ხოლო ზღვისათვის თქუა, ვითარმედ ზღუამ არღარა იფოს, რამეთუ რად სჯ-

მარ არს ზღუამ, ვინაოთვან მან უმნიშვნელნი არღარა იყვნენ, რამეთუცა მისი რიელთა საქმეთა მოიღებდეს... და აქაცა ჩანს, ვითარმედ განახლებად უმჯობსისა მიმართ შეცვალნეს იტყეს, ვითარცა იხილა იერუსალიმში იგი ზეცისამ, გარდამომავალი ანგელოზთაგან კაცთა მომართ ერთობისათვის მათისა. ხოლო ქალაქად ეწოდების, რამეთუ სამკურნებელი არს წმიდისა სამებისამ, და სძლად – რამეთუ შეერთებულ არს იგი უფლისა სამკაულითა საღმრთოთა“ (გვ. 70).

გამოცხადების ამავე თავში კვლავ საუბარი და დამოძღვრება ღმრთის მიერ ყოველივეს განახლებაზე: „თქუა მჯდომარემან მან საყდარსა ზედა: ამა ესერა ყოველსავე ახალ-ვყოფ. და თქუა: დაწერე, ვითარმედ: ესე სიტყუანი სარწმუნონი და ჭეშმარიტნი ღმრთისანი არიან“ (გამოც. 21,5).

ჩვენი დაკვირებები, იოანეს გამოცხადებაში „ახალი“, „განახლება“, „ახალყოფა“ სულიერ სამყაროში გადასვლას უნდა ნიშნავდეს და აქ მოხსენიებული „ახალი ცა და ახალი ქუეყანა“ ადამიანთა სულიერი საუფლოა, სულიერი სახლია, „ახალი იერუსალიმში“ – ზეცური იერუსალიმია, სულიერი იერუსალიმია, ღვთის სამყოფელია, სადაც ძე ღვთისას, იგივე ძე კაცისას განხორციელების, განკაცების მისტერია აღსრულდა, რითაც დასაბამი დაედო კაცობრიობის სულიერ განახლებას. ყოველივე ეს დიმიტრი მეფის იამბიკოში „ახლად აღყვავებულის“ სიმბოლური მოახრების საფუძველს ქმნის.

ამრიგად, „ახლად აღყვავებული“ სულიერი განახლებაა, ღვთისმშობელმა თავისი სიწმინდე დაუპირისპირა ევას ცოდვას, ისევე როგორც ქრისტეს განკაცებამ საფუძველი დაუდო „ახალი კაცით შემოსვასა“ და „ძუელი კაცისაგან განმარტებას“, ე. ი. კაცობრიობის სულიერ განახლებას. ეს თვალსაზრისი, ეს სიმბოლური გააზრება გრძელდება იამბიკოში, რომლის მიხედვით ღვთისმშობელი არის „მორჩი კეთილი, ედემს შინა ნერგული“. რ. სირამქმ ტაეპზე დაყრდ-



ნობით ღვთისმშობელი გენეალოგიურად დავით წინასწარმეტყველის მორჩად, ყლორტად მიიჩნია.<sup>6</sup> ღიონისე არეობაველის თხზულების — „საღმრთოთა სახელთათუს“ — მიხედვით, მორჩი ქრისტეა: „წყარო ღმრთებისა მამაჲ, ხოლო ძე და სული ღმერთ-მშობელისა მის ღმრთებისა, ესრეთ თუ ჯერ-არს თქუმაჲ, მორჩ ღმრთივ მცენარე და რეცა ყუავილ და ზეშთაარსებისა ნათელ. ხოლო თუ ვითარ არს ესე ესრეთ, ამისი არცა თქუმაჲ, არცა მოგონებაჲ შესაძლებელ არს“<sup>7</sup>. ანდრია კრიტელის საკითხავში სწორედ ქრისტეა ერთგან მიჩნეული მორჩად: „საკუთრებით დავითის წელთაგან არს ქალწული, რომლისა მორჩ არს ქრისტე“ (გვ. 132). „მორჩი კეთილი“ ღვთისმშობლის სახელიცაჲ, საღვთისმეტყველო მწერლობა ამას ადასტურებს. შეიძლება იოანე დამასკელისა და ანდრია კრიტელის საკითხავებიდან შესაბამისი ადგილების მოხზობა: „გიხაროდენ, კუერთხო აპრონისაო, ძირო იესესო, მორჩო დავითისაო“<sup>8</sup>. სხვაგან გენეალოგია იუღამდეც მიდის. ანდრია კრეტელის საკითხავის — „შობისათუს ღმრთისმშობლისა“ — მიხედვით: „მორჩი საკუთრებით არს დავით, ხოლო კუერთხ, ცხად არს, ვითარმედ ყოვლად უბიწო ქალწული, ხოლო ყუავილად თუთ თავადი ქრისტე, რომელი გალობს წიგნსა შინა ქებათასა სახისმეტყველებისა მორჩ შესაბამისად თუსსა სახელის-ღებასა სულნელებისასა. მე, — იტყუს, ვითარმედ, — მე ყუავილი ველისაჲ და შროშანი ღელეთაჲ“ (ქება, 2, 1)<sup>9</sup>. ამავე საკითხავში უფრო ღეტალურადაც არის განმარტებული მორჩი, რომელიც ჰქვია „მხოლოსა მას წმიდასა და წმიდათა ყოველთა უწმიდესსა ყოვლად ყოვლითურთ წმიდად გამოჩინებულსა მის შორის დამკდრებულისა მისდა უბიწოდ სულით და ჯორციით. მარიამს ვიტყვ დიდსა მას და ნამდვლევ სამსახურებელსა სახელსა სიტყუთუა და საქმიოცა, წინასწარმეტყუელებრივსა ძირსა, კუერთხსა იესესსა, მარადის ყუავილოვანსა მორჩსა იუდაისსა, რომლისა მიერ ზესთა სოფლისაჲ ძე ღმრთისაჲ, თანადუხაბამოჲ მშობლი-

სა მამისაჲ ჯორციოთა აღმოცენეს, ქრისტე ზუღის ხელსა ღმრთივკანონმდებლმცნეს, ნახს ღაღადება, როდესაც გამხიარულებული ამბობდა: „ჩემ თანა გიხაროდენ, რომელმან მორჩი აღთქუმისაჲ უნაყოფოასაგან ვშეე მუცლისა და ნაყოფსა კურთხევისასა ლოცვით აღზრდილსა ვაწოებ“<sup>11</sup>. „მისცა ბერწსა ნაყოფი ხარებული და თესლთა მიერ ლოცვისათა აღმოცენებული ქალწული, ხოლო იოვაკიმს — მორჩი სასოებითა ზესთა აღმატებული და ესრეთ ყუავილოვან-ყო შეიღიერებითა ქუეყანაჲ იგი განკმელი უშვილოებისა გუაღვითა და იქმნა შეიღიერ პირველ უშვილოჲ იგი და აღმომაცენებელ ვახისა ყოვლად ნაყოფიერისა, რომელ-იგი არაოდეს ღონიერ იყო არცაღათუ მორჩისაგან აღორძინებულისა“<sup>12</sup>. ცხადია, „მორჩიც“ „ვენახის“ რიგის სიმბოლოა, რომელიც ქრისტესაც მიემართება და ღვთისმშობელსაც.

მომდევნო ტაეპში კიდევ ერთხელაა აღნიშნული, რომ ღვთისმშობელი სამოთხიდანაა გამოსული, იგია ალვა სულნელი. „ედემს შინა ნერგული“, „სამოთხით აღმოსრული“ სულნელი ალვა გულისხმობს უცოდველ ბუნებას ღვთისმშობლისა, რომელმაც გამოისყიდა პირველცოდვა. ალვა, საუკეთესო ადგილზე დარგული და ზეგარდმო განსაკუთრებული ზრუნვით ნახარდი ნერგი, მეტაფორულადაა გასაზრებული; ეს მეტაფორა უძველესია, ბიბლიური წიგნები, შუამდინარული პოეზია ამგვარი მეტაფორული აზროვნების წყაროს წარმოადგენენ. კაცობრიობის არსებობის მანძილზე, იგულისხმება ადამისა და ევას სამოთხიდან გამოდევნის დროიდან ქრისტეს მოვლინებამდე, ზორციელდება ედემს მოშორებული ედემის ნერგის თავის ბუნებრივ სამყოფელში დაბრუნების ურთულესი პროცესი. ადამი და ევა ედემს, ზეციურ სამყოფელს მოაკლდნენ, ღვთისმშობელი კი ედემს შინა დანიერგა, სამოთხეს აღმოსრულია, ალვა სულნელია, რომელიც ღმერთმა შეამკო და რომელსაც ვერავინ სჯობს ქებული. შეიძლება ითქვას, იამბიკოს მეოთხე ტაეპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენ-

იჭება, რადგან თუ იამბიკოში ნახსენები სიმბოლოები თანაბრად შეიძლება მიკუთვნებოდა როგორც ქრისტეს, ისე ღვთისმშობელს, ამ ტაქტით საბოლოოდ ვაირკვია, რომ იამბიკო ღვთისმშობელს ეძღვნება და მისი სადიდებელია.

ღვთისმშობელი — ვენახი, მორჩი კეთილი, ალვა ხუნნელი არის „მზე განზრციანეული“. რ. სირაქემ განსაზღვრა ღვთისმშობლის, ვითარცა ვენახისა და ვითარცა მზისა, მხატვრული ფუნქცია. ღვთისმშობელი ერთადერთია თავისი სიწმიდით. „იამბიკოს დასაწყისი და დასასრული ერთმანეთს აშინაარსიანებს. ღვთისმშობელია „ვენახი“ და ღვთისმშობელივეა „მზეც“. სიმბოლურად „ვენახი“ და „მზე“ ერთმანეთს გულისხმობს. სახისმეტყველებით „ვენახი“ „სისაუხის სიჭარბეს“ მოახსენებს. „ვენახს“ ამ სისაუხეს „მზე“ ანიჭებს. „ვენახი“ მზითაა აღესილი, როგორც ღვთისმშობელი — ღვთაებრიობით. ამიტომ ყოვლადწმინდა მარიამ თავისი ღვთისმშობლობით თავისსავე თავს სჭარბობს. ვენახი ჰყოავის მზის ბრწყინვალეობით, ღვთისმშობელი — ღვთაებრივი ნათლით... ღვთისმშობლის წარმოდგენა ისეთი ხატებით, რომლებიც საღვთო სახელებადაც გვხვდება, ყოვლისშომკველ უნივერსალიტებთან ზიარებას გულისხმობს.“<sup>12</sup>

დიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მეორე იამბიკო თითქოს აკონკრეტებს პირველ იამბიკოში ზოგადად ნათქვამს ღვთისმშობლის გამოჩენულობისა და ერთადერთობის შესახებ:

„ღმრთისმშობელი და ყოვლად

პატიოსანი

დედა ქალწული, შუენიერი შროშანი,  
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი  
„შენგან იმუშბის მეფე ფრგუნოსანი  
და მას ჰმონებდეს მეფე

პრავალყმოსანი“.

იამბიკოში, ფრესკათა დარად, დახატულია ხარების ამაღლებული სურათი, როდესაც გაბრიელ მთავარანგელოზმა ამცნო დედათა შორის გამოჩენულს მი-

ხი ღვთისმშობლობა. განსაკუთრებულ ყურადღებას იამბიკოში იქცევს ღვთისმშობლის სახელები — დედა ქალწული და შუენიერი შროშანი.

მარიამის ღვთისმშობლობას და ქალწულ დედად ყოფნას წინასწარმეტყველება განსაზღვრავს. ესაიას წინასწარმეტყველება გვამცნობს: „ისმინეთ აწ, სახლო დაითისო! ნუ მცირებსა ღუაწლსა მიატყუებთ კაცთა, და ვითარ უფალსა მიატყუებთ ღუაწლსა? ამისთვის თუთ უფალმან მოკცეს სასწაული თქვენ: აჰა, ქალწულმან მუცლად-იღოს და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ერმანული“ (7,13-14). ცხადია, ქალწული ღვთისმშობლისაგან ძის შობის წინასწარმეტყველება ახალ აღთქმაშიცაა ასახული (მთ. 1,23; ლკ. 1,31). მარიამის მარადქალწულობას უდიდეს სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებენ ღვთისმეტყველები, მასში ღვთის ნების განხორციელებას, ღვთის ნების მისტიურობას ზედავენ, რომლის წვდომა წვეულებრივი აღამიანის გონებას არ ძალუძს, მას მხოლოდ ღვთაებრივი სიბრძნით შეიძლება მისწევდეს იგი. ამიტომ იწოდება მარიამ ღვთისმშობელი მარად ქალწულად, ქალწულ დედად, დედათა შორის ქალწულად და ქალწულთა შორის დედად. იგი აუცილებელი იყო აღამიანის ბუნების, ცოდვილი სულის განსახლებლად. იამბიკოში არ არის საუბარი პირველცოდვაზე, აღამიანის ცოდვით დაცემაზე, მაგრამ მარიამ ღვთისმშობლის მარად ქალწულობა და დედაობა არის სიმბოლო პირველცოდვისაგან განთავისუფლებისა და სულიერი განახლებისა. ღვთისმშობლის ერთადერთობა, ღვთისაგან გამოჩენულობა იამბიკოში გამოხატულია მარადქალწულობისა და დედაობის შეხამებით.

ღვთისმშობლის სიმბოლოდ შეენიერი შროშანის გამოყენება ეხმიანება „შენ ხარ ვენახის“ ედემს შინა ნერგულ კეთილ მორჩსა და სამოთხეს აღმოსრულ ხუნნელს. პინოგრაფიისათვის დამახასიათებელია ფერების წარმოდგენა ყვავილთა სახეებით, ამიტომ ფერთა სიმბოლიკისა და ყვავილთა სიმბოლური

სახეების შესწავლა პარალელურად უნდა წარიმართოს. მხატვრული შინაარსის გადმოსაცემად ქრისტიანულ მწერლობაში მიმართავენ შრომანისა და ვარდის მეტაფორულ გააზრებას. შრომანი გამოხატავს ნათელს, სიწმინდესა და სისპეტაკეს, ვარდი — ნათლის, როგორც მიზეზთა მიზეზის, დასაბუთებას მაცხოვრების მიერ დაღვრილი სისხლით. ამიტომ არის წამებული „ვარდი ეკალთა შორის“. შრომანის სიმბოლო ბიბლიურ-ეკანგელური სწავლებიდან მომდინარეობს: „სიძე ეტყვის სძალსა სულისა თვისისათვის: მე ყუავილი ვეღისა და შრომანი ღელეთაჲ. და ვითარცა შრომანი შორის ეკალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი ასულთა“ (ქებ. 2,1-2); „და სამოხლისათვის რამისა ჰზრუნაეთ? განიცადეთნით შრომანნი ველისანი, ვითარიჲც ალორძინდის! არა შურებინ, არცა სთავნ“ (მთ. 6,28). მას იმეორებენ და მხატვრულ ელფერს სძენენ ღვთისმეტყველი მამები: „ვიზაროდენ, სიწმიდო შრომანო ღმრთივ აღმოცენებულო, აღსაესო ყოვლითა სიწმიდითა, რომლისა მიერ აღმოსცენდა სიწმიდე იგი წმიდათაჲ, რამთა განწმიდის სოფელი არაწმიდებისაგან“. „ვიზაროდენ, შრომანო, რომლისა შობილმან შრომანნი ველისანი შემოსნა და აწუნა მშობელი თუი აღსაესედ სულნელებითა სულისა წმიდისათა, რაჟამს მისგან შეიმოსა და უქუსუველი იგი და თესლისაგან მიუზებელი სამოსელი სამოსელსა მას სოლომონისსა დამფარველი თუსითა ბრწყინვალებითა“<sup>14</sup>. „ასულო შუენიერო და ტკბილო! შრომანო შორის ეკალთა აღმოცენებულო აზნაურისა და სამეფუოისა მისგან ძირისა დაეთისისა...“<sup>15</sup> „შრომანი ეკალთა შორის“ (ქებ. 2,2), იმავე რიგის მხატვრული ფუნქციითაა დატვირთული, როგორითაც „ვარდი ეკალთა შორის“, რითაც შრომანის გამოჩენულობა და მისი ეკალთაგან, ხენუმ მცენარეთაგან, განსხვავებაა აღნიშნული. მშენიერი შრომანის სიმბოლიკა მარიამ ღვთისმშობლის ქალურ სისპეტაკეს მიუთითებს, რითაც იგი დაუპირისპირდა ევას.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მამებისადმი იამბიკოში ჰიმნოგრაფი მამარკაშვილის მას, როგორც ღედოფალს და სიხოვს, რომ მისი მცირეოდენი ღვაწლი, „ქებაში“ გაღებული, წვლილად მიიღოს და ღირსი გახადოს ძე ღმერთის ღიდების სულიერ სიმდიდრესთან ზიარებისა. ღვთისმშობლის ღედოფლად მოხსენიება საღვთისმეტყველო ლიტერატურის ტრადიციებიდან მომდინარეობს, რასაც ფსალმუნთა წიგნის წინასწარმეტყველება დაედო საფუძვლად, რომლის მიხედვით, ღვთისმშობელი, ფსალმუნით — ღედოფალი, ღმერთის მარჯვნივ მდგომია: „დაღვეს ღედოფალი მარჯუენით შენსა სამოსლითა ოქროქსოვილითა შემკულ და შემოსილ“ (ფს. 44,10). სახარების მიხედვით, თვით ქრისტე, ძე ღმერთია მამის მარჯვნივ მდგომი: „ამიერიითგან იხილოთ ძე კაცისაჲ მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა“ (მთ. 26,64). იამბიკოს მიხედვით, დიმიტრი მეფეა ძე ღმერთის მარჯვნივ მდგომი, რომელიც ღვთისმშობლის შუამდგომლობით ძე ღმერთისაგან მოელის სიმდიდრეს ღიდებისა.

საკალობელს აქვს ბიბლიოგრაფიული ღირებულება, რადგან იგი ვეამცნობს ავტორის სახელს, დიმიტრის, რომელიც ქებაში ყოფილა დამკვიდრებული; ცნობილია, რომ დიმიტრი მეფე დამიანეს სახელით ბერად აღიკვეცა გარეჯის უდაბნოში. შესაძლოა ეს იამბიკო, აგრეთვე სხვებიც, მას სწორედ გარეჯის მონასტერში ბერობისას შეექმნა. თუმცა ახლად გამოვლენილ იამბიკოში იგი ხაერო სახელით წარმოგვიდგება.

ამრიგად, დიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი სამი იამბიკოდან ორი ღვთისმშობლის ქებას ასახავს, მისი სადიდებელია, რომლებშიც ღვთისმშობლის ქრონოტოპული განუმეორებლობა და ერთადერთობა წარმოჩინდა. ხარების მისტიური სურათით და სიმბოლურ-მეტაფორული სახეებით ამტკვევლებული იამბიკოები პოეტური აზროვნების საუკეთესო ნიმუშებად მოგვევლინენ, მესამე იამბიკო, მიძღვნილი

აგრეთვე ღვთისმშობლისადმი, სავედრებელია, რომელიც ერთგვარად ამთავრებს შემოქმედის მიერ ღვთისმშობლის თემაზე ნაფიქრ-ნააზრების მხატვრულ გარდათქმას. ამიტომ მივიჩნევთ სამივე იამბიკოს თემატურ-აზრობრივ ურთიერთკავშირში, ყოველ იამბიკურ საგალობელს თავისი მხატვრული ფუნქცია აკისრია, დიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ იამბიკოებს შორის ლოგიკური კავშირია დამყარებული თვით ავტორის მიერ.

ამრიგად, დიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოები დახვეწილი სტილის, ფაქიზი ლიტერა-

ტურული გემოვნებისა და მანტანის მხატვრული ღონის ორიგინალური პოეტური ნაწარმოებებია, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს კლასიკური ხანის მხატვრული აზროვნების განვითარებაში. ავტორი ჰიმნოგრაფიული ტრადიციების ღირსეული და გამორჩეული გამგრძელებელია, რაც იმითაც გამოიხატა, რომ დიმიტრი მეფის ორი იამბიკო, მიძღვნილი ღვთისმშობლისადმი, ანტონ კათალიკოსმა ლიტურგიკულ ღვთისმსახურებაში ღმრთისმშობლისანად შეიტანა. დიმიტრი მეფის ყოველი იამბიკო ქართული კლასიკური საგალობლის საუკეთესო ნიმუშია.

#### შ ე ნ ი შ ვ ე ნ ა ნ ი :

1. რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბ., 1992, გვ. 100—101.
2. ძველი მეტაფრასული კრებულები, გამოსაცემად მოამზადა ნ. ვოგუაძემ, თბ., 1986, გვ. 147.
3. ნეემირებულნი ძლისპირნი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დატროს გულნაზ კინაძემ, თბ., 1982, გვ. 675.
4. იქვე, გვ. 341.
5. ვალის მიზღვა ძველ ქართულში ცოდვის გამოსყიდვად, რასაც აღსატურებენ ძველი და ახალი აღთქმის წიგნები. აქვე შევნიშნაეთ, რომ „ვალის“ ცნება ვეფხისტყაოსანში საგანგებოდ

შეისწავლა სოლიკო ციხეშვილმა თავის საკანდიდატო დისერტაციაში.

6. რ. სირაძე, დასახ. შრ., გვ. 98—99.

7. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის გამოც., 1960, გვ. 20-21.

8. ძვ. მეტაფრასული კრ., გვ. 146.

9. იქვე, გვ. 131.

10. იქვე.

11. იქვე.

12. იქვე, გვ. 152.

13. რ. სირაძე, დასახ. შრ., გვ. 100—101.

14. ძვ. მეტაფრასული კრ., გვ. 109.

15. იქვე, გვ. 111.



## პარიულ-კლინური პათოლოგია

ანტიკური სამყაროს ორი თვითმყოფადი — ქართული და ბერძნული კულტურის ურთიერთობას უძველეს წარსულში ჩაეყარა საფუძველი. ამას ძვ. წ.-ის XIII ს.-ში არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის შესახებ შექმნილი მითი ადასტურებს. ბერძნულ მითებს რომ რეალურად არსებული მოვლენები ედო საფუძველად, ჰაინრიხ შლიმანის შემდეგ, 1983 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ტიმ სევერინმა არგონავტების მითის ექსპერიმენტულად გამოკვლევითაც დაადასტურა.

საბერძნეთსა და ძველ კოლხეთს შორის ინტენსიურ ურთიერთობაზე შავი ზღვის ანტიკური ნაშთხაზარების გათხრებისას აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მასალაც მოწმობს. კუნძულების — კიოსისა და თაზოსის პროდუქტია აღმოჩენილია არა მარტო შავიზღვისპირეთში — ბათუმში, ფაზისში, სოხუმში, არამედ ქვეყნის შიდა რაიონებშიც. კოლხეთიდან ხმელთაშუაზღვისპირეთში გაქონდათ ხე-ტყე, რკინა, ოქრო, სელი.

ეკონომიკურმა ურთიერთობამ დაახლოვა ქართველები და ბერძნები. ისინი უკეთ გაეცნენ ერთმანეთს. ეს კარგად ჩანს იმდროინდელ ბერძნულ ლიტერატურაში. კოლხეთის შესახებ უძველესი ცნობა აქვს ძვ. წ. VIII ს.-ის მწერალს ევმელიოს კორინთელს; ჰეროდოტე „ისტორიაში“ ასახელებს ქართულ ტომებს; ჰესიოდე კი „თეოგონიაში“ ახსენებს კოლხთა მეფეს აიეტს, მის შვილს მედეას, კირკეს.

ძვ. წ.-ის IV ს.-ში დაიშალა ალექსანდრე მაკედონელის მიერ შექმნილი იმპერია და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოები წარმოიშვა. პერიოდს ამ დროიდან ძვ. წ.-ის I ს.-მდე ისტორიაში ელინიზმის ხანას უწოდებენ.

ამ დროს კოლხეთის სავაჭრო პარტნიორები არიან სინოპი, პერაკლეა, ეგეოსური ცენტრები, მცირე აზია. მრავალფეროვანია კოლხეთის შესახებ ბერძნულ წყაროებში არსებული ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები. ამ დროის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ავტორი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლისათვის არის სტრაბონი. ელინიზმის ხანაში ძალიან პოპულარულია არგონავტთა მითი. მას თავის შემოქმედებაში ხშირად იყენებენ ლიკოფრონ ქალკიდელი, კალიმაქე კვირინელი, დიოდორე სიცილიელი და სხვ. ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ამ თქმულების მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით არის აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“. ძალიან ჰგავს ერთმანეთს ამ პერიოდის მითოლოგიური წარმოდგენები.

ძვ. წ.-ის II ს.-ში მცირე აზიასა და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რომის იმპერია გაბატონდა. ახ. წ. IV ს.-ში იმპერია ორად გაიყო. დასავლეთ რომის იმპერია V ს.-ში დაეცა. აღმოსავლეთ რომის, ბიზანტიის, იმპერიასთან კი საქართველოს ძალიან საინტერესო და ხანგრძლივი ურთიერთობა ქონდა. ინტე-



ნსიური საქონელგაცვლა მიმდინარეობდა ბიზანტიის სავაჭრო ცენტრებთან. შესაბამისად, დიდი იყო ბიზანტიური კულტურის გავლენა. ფიჭვნარში დადასტურებულ ეკლესიას ანალოგი ქართულ არქიტექტურაში არ მოუპოვება. მისი მსგავსი მხოლოდ მცირე აზიაშია დაფიქსირებული.

ბიზანტიის გავლენა იგრძნობოდა მაღალი ფენის საზოგადოების წეს-ჩვეულებებში, მორთულობაში. საქართველობიზანტიის კულტურული კავშირის მიჩვენებელია ფაზისში რიტორიკული სკოლის არსებობაც. ნიშანდობლივი ფაქტია, რომ აქ თავად ბიზანტიელები იღებდნენ განათლებას.

ბიზანტიაში, შავ მთასა და კონსტანტინოპოლის მონასტრებში, მოღვაწეობდნენ იოანე პეტრიწი, არსენ ივალთოელი, ეფრემ მცირე. ათონის მთაზე დამკვიდრებულმა იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა დახვეწილი ლიტერატურული სტილი შექმნეს. მათ მრავალი ნაწარმოები თარგმნეს ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად.

1453 წელს კონსტანტინოპოლი დაეცა. ბიზანტიის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. მრავალსაუკუნოვანი ბერძნულ-ქართული ურთიერთობა შეწყდა, რამაც საქართველოსთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით მეტად სავალალო შედეგები მოიტანა.

დიდი ხნის განმავლობაში ქართველებისა და ბერძნების ურთიერთობა შეწყვეტილი იყო. ბერძნები საქართველოში კვლავ მხოლოდ XVIII ს.-ში გამოჩნდნენ, როდესაც ერეკლე II-მ ისინი ახტალასა და ალავერდში დასახლა სპილენძისა და ოქროს საბადოებში სამუშაოდ.

ბერძნების მასობრივი გადმოსახლება კი რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შემდეგ დაიწყო. ამ ომში ბერძნები რუსების მხარეს იბრძოდნენ და როდესაც ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსებს ბერძნებით დასახლებული თურქეთის აღმოსავლეთის პროვინციები

უნდა დაეტოვებინათ, მათი განადგურებისგან გადარჩენის ერთადერთი გზა რუსეთის იმპერიაში გადასახლება იყო.

რა მოვლენები უძლოდა წინ ბერძნების წალკაში ჩამოსახლებას, კარვად ახსახა რუსი სამხედრო ისტორიკოსის ე. პოტოს ნაშრომში „კავკასიის ომი ცალკულ ნარკვევებში, ეპიზოდებში, ლეგენდებსა და ბიოგრაფიებში“. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტიებიდან ნათლად ჩანს რუსეთის საიმპერატორო კარის დამოკიდებულება აღნიშნული მოვლენისადმი, დოკუმენტური მასალის გაცნობამ საშუალება მოგვცა რეალური წარმოდგენა შეგვექმნა რუსეთის მიზნებზე და სამოქმედო გეგმაზე კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში.

ადრიანოპოლის ზავის თანახმად, რუსებს უნდა დაეტოვებინათ არზრუმის, ტრაპიზონის, ბაიაზეთის საფაშოები, ახალციხის საფაშოს ნაწილი, ყარსი და არდაგანი, ლტოლვილთა პირველი ტალღა სწორედ ამ ადგილებიდან წამოვიდა. პირველი ჯგუფი — 60 ოჯახი — 1829 წლის სექტემბერში დაიძრა საქართველოსაკენ. ისინი წინწარმოიდა დასახლდნენ. იმავე წლის დეკემბერში კიდევ 95 ოჯახი გადმოსახლდა; 1830 წლის იანვარში ყარსის ოლქიდან დაახლოებით 2500 ოჯახი ჩამოსახლდა. ისინი წალკის რაიონში დაასახლეს. რუსეთის ხელისუფლების გეგმით, ბერძნებს ეს გაუკაცრიელებული ადგილები ეკონომიკურადაც უნდა აეღოძინებინათ და დაეცვათ კიდევ თურქეთთან შესაძლო ომის დროს.

ლტოლვილთა რაოდენობა მოსალოდნელზე გაცილებით მეტი აღმოჩნდა. ამიტომ პასკევიჩის რეკომენდაციით თბილისში შეიქმნა ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტი. მას უნდა უზრუნველყო საქართველოში მოსული ქრისტიანების ახალ ადგილებში დასახლება და მოწყობა.

რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა ახალმოსახლეთათვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა. იმპერია ერთდროულად ქრისტიანებზეც ზრუნავდა და თავის ინ-

ტერესებსაც იცავდა. რუსეთს სურდა საქართველო თავის ორგანულ ნაწილად გადაექცია. აქ მალაქოვი იყო კახაბერის ჩამოსახლება ჰქონდა განზრახული. მაგრამ იმჟამად შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა იგი მათ მავიურად ბერძნები და სომხები ჩამოსახლებინა. რუსეთის ეს განზრახვა კარგად ჩანს იმპერატორის წერილში, რომელიც მან პასკვიჩს გამოუგზავნა. მთავარსარდლისადმი გავზახენილ წერილში იგი გამოთქვამს იმედს, რომ ქრისტიანების იმპერიის ამ მხარეში დასახლება დიდ სარგებლობას მოუტანს რუსეთს.

წალკის რაიონში ბერძნები დასახლდნენ შემდეგ სოფლებში: ბეშთაშენი, კერიკი, ბარმაქსიზი, სემენ-კიხილჩაი, მენევიკი, პეტროვანსი, კენდივი, ჯენისი, კუმბეთლი და სხვ.

XIX ს.-ის მეორე ნახევარში ბერძნები აფხაზეთშიც გადმოსახლდნენ. აფხაზეთში ბერძნების გადმოსახლების მიზეზი გახდა საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობის გამწვავება 1866-67 წლებში. ამ დროს საბერძნეთში მაკედონიაში შესატყრელად ემზადებოდა. მართალია, საბერძნეთმა ეს გეგმა ვერ განახორციელა, მაგრამ ურთიერთობა თურქეთთან მაინც გაურთულდა. თურქებმა თავის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბერძნებს ულტიმატუმი წაუყენეს — უარი ეთქვათ ბერძნობაზე, გამხდარიყვნენ ე. წ. რაიები ან დაეტოვებინათ ქვეყანა. მრავალმა ბერძენმა ეროვნებაზე უარის თქმას სხვაგან გადასახლება არჩია. ბერძენთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამ დროს გადმოსახლდა აფხაზეთში.

აფხაზეთში, ისევე როგორც წალკაში, ბერძნების დასახლების ისტორია შეისწავლა სიმონ ყაუხჩიშვილმა, მან საგანგებოდ იმოგზაურა ამ რეგიონებში, გამოიკვლია ბერძნების აქ მოხვედრის მიზეზები და გზები, გააანალიზა მათი ყოფა, ურთიერთობა თურქებთან. ყოველივე ეს მოხდა 30-იან წლებში, ხოლო ამ მოგზაურობის შედეგად დაწერილი გამოკვლევის პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1942 წელს, მეორე — 1946

წელს. ე. ი. იმ დროს, როდესაც მალაქოვი დაძაბული და, პერსპექტივის თვალსაზრისით, გაურკვეველია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა, ამდენად, საბჭოთა მთავრობისათვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხთა მრავალრიცხოვანი მოსახლეობის დამოკიდებულების გარკვევა მეზობელი ქვეყნის მიმართ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიმონ ყაუხჩიშვილის ამ მივლინებას სამეცნიერო გარდა პრაქტიკული პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა. ახლაც, თანამედროვე ქართული თურქოლოგიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს საქართველოსთვის თურქეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით შეიმუშავოს არა მარტო სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული ღირებულების მასალაც, რომელიც ქართულ დიპლომატიას გამოადგება.

აფხაზეთში ბერძნების დასახლება, როგორც ვთქვით, დაძაბული საერთაშორისო ვითარების ფონზე მიმდინარეობდა. რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას შეიძლებაოდა მათ შორის მორიგი ომი მოჰყოლოდა. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ზღვის სანაპიროს უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა. რუსეთისათვის აუცილებელი იყო აფხაზეთის სანაპირო ზოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რათა სოხუმიდან მტერს ქვეყნის სიღრმეში ვერ შეეღწია. ადგილობრივი მოსახლეობა იმპერიისთვის არასამელო იყო, რუსების ჩამოსახლება კი სასურველი ტემპით ვერ მიმდინარეობდა. ყველაზე საიმედო თურქების მოხისხლე მტრები — ბერძნები — იყვნენ. ამიტომ ბერძნების აქ დასახლებას რუსეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. მათ აქ დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მუჰაჯირობის დროს აფხაზეთიდან თურქეთში დიდძალი მოსახლეობა გაიხიზნა და ეს ტერიტორია დაკლილი იყო. მუჰაჯირებმა დატოვეს მოვლილი მიწები, ბაღები, სახლ-კარი. ასე რომ, მათ ადვილად მოხულ ბერძნებს საყოფაცხოვრებო პრობლემები, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ. მათ

მტკიცედ მოიკიდეს აქ ფეხი და თავისი შრომისმოყვარეობის წყალობით კიდევ უფრო გაიუმჯობესეს მდგომარეობა.

ბერძნების გარდა მეფის მთავრობა აქ ასახლებდა რუსებს, ბულგარელებს, ჩეხებს, გერმანელებს. ესეც საქართველოს ამ მხარეში ეროვნული სხეულის ერთიანობის დამსხვრევის მიზანს ემსახურებოდა.

1869 წელს აფხაზეთში ბერძნების პირველი ახალშენი შეიქმნა. ეს იყო სოფელი ალექსანდროვკა. 1880 წლამდე ღტოლიელები დასახლდნენ შემდეგ სოფლებში: ვეორგიევსკოე, ოლგინსკოე, მარიინსკოე, მიხაილოვკა, ეკატერინოვკა.

როგორც ვთქვით, კომპაქტურად ბერძნები დამკვიდრდნენ წალკაში, აფხაზეთსა და აჭარაში. მაგრამ აქ მოსვლის შემდეგ ისინი იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს და მათი განსახლების არეალი საქართველოში იზრდებოდა. საარქივო მასალების საფუძველზე შესაძლებელია გამოვავლინოთ, კიდევ სად ცხოვრობდნენ ბერძნები, გარდა ამ რეგიონებისა. მათ ვხვდებით თბილისში, ალექსანდროპოლში, ახტალაში, ალავერდში, თბი-

ლისის მაზრის სოფელ ოფანეთში, ნაღველი ქსანდროპოლის მაზრის სოფელ ბაიანში, დურში, თბილისის მაზრის სოფელ პატარა გომარეთში და სხვ. წალკის რაიონში 1832 წელს მთელი სოფლები არსებობს, სადაც ბერძნები სახლობენ. ესენია: ბერძნული გომარეთი, ბულგასონკეივანი, მამულა-სოფელი, ბარმაქსიზი, ბეშთაშენი, შეპეკლი და სხვ.

ყურადღებას იპყრობს ბერძნებით დასახლებული სოფლების სახელები. წალკაში მოსულმა ბერძნებმა ახალშენებს თავისი თურქული სოფლების სახელები უწოდეს. აფხაზეთში კი თითქმის ყველა დასახლებას რუსული სახელი ერქვა: სეობოდა, მინგრელსკოე-გრენესკოე, ანასტასიევსკოე, ალპიისკოე და სხვ. ესეც უთუოდ ამ მხარის რუსიფიკაციის გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. XX ს.-ის 40-50-იან წლებში ამ მხრივ მდგომარეობა ნაწილობრივ გამოწწორდა და მრავალ სოფელს ადრინდელი სახელი დაუბრუნდა. ზოგსაც ახალი სახელი დაერქვა.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია, რომელ სოფელს რა სახელი ეწოდა და როდის.

**ძველი სახელი                      ახალი სახელი                      სახელის შეცვლის თარიღი**

ამბარლო	განახლება		1949
ბოგაზი	ველი		1948
ეკატერინოვკა	ქელასური		1943
მარიინსკოე	ლეკუზონა		1948
დურეკეი	მთისკალთა	7	1948
კონსტანტინოვკა	ოდიში		1944
ოლგინსკოე	ოქტომბერი		1943
კაშკალათა	საკირე		1949
დემირბულახი	სარკინეთი		1949

აჭარაში ბერძნები პირველად გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდნენ. წალკისა და აფხაზეთისგან განსხვავებით, აქ ბერძნების შედარებით მცირერიცხოვანი დიასპორა შეიქმნა.

ერთ-ერთი პირველი სოფელი, სადაც ბერძნები დამკვიდრდნენ, იყო ახალშენი. ამ სოფლის გარდა ღტოლიელები და-

სახლდნენ აგრეთვე სარფში, გონიოში, ბათუმში, ყოროლისთავში, აჭყვაში, დაგვაში, კვირიკეში.

ისევე, როგორც აფხაზეთში, რუსეთის მთავრობას აჭარაშიც სურდა რუსების ჩამოსახლება. ამას ერთდროულად ორი პრობლემა უნდა გადაეწყვიტა: საქართველოში რუსული მოსახლეობა გაემრავ-

ლებინა და ხელი შეეშალა თავად რუსეთში რევოლუციური იდეების გავრცელებასა და 1864 წელს, გაზეთ „დროების“ ცნობით, რუსეთიდან 11000 გლეხის ოჯახი გამოიხმეს ბათუმსა და ყარსის მაზრაში დასახლებლად. კოლონიისტები განსაკუთრებით ინტენსიურად სახლდებოდნენ ზღვის პირას — აჭარასა და აფხაზეთში.

ბერძენების საქართველოში გადმოსახლების ისტორია გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი თითქმის ყოველთვის რაღაც მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენასთანაა დაკავშირებული. წალკაში ისინი რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შემდეგ მოვიდნენ; აფხაზეთში კი საბერძენთსა და თურქეთს შორის გამწვავებულმა ურთიერთობამ აიძულა ეძებნათ თავშესაფარი.

XX ს.-ში მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა, რომელსაც მოჰყვა საქართველოში ბერძენ ლტოლვილთა ახალი და უკანასკნელი ტალღა, იყო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საბერძენეთის აგრესია თურქეთის წინააღმდეგ. ბერძენებმა თითქმის მთელი თურქეთის ოკუპაცია მოახერხეს, მაგრამ ვერ შეძლეს ანკარის აღება. თურქების წინააღმდეგობის ცენტრი კი სწორედ ანკარაში იმყოფებოდა. თურქებმა, რომლებსაც თურქეთის მომავალი პრეზიდენტი მუსტაფა ქემალი მეთაურობდა, ჯერ უკან

დაახევინეს ბერძენებს, შემდეგ კი მთლიანად განდევნეს თურქეთიდან. 1923 წელს ლოზანის სამშვიდობო კონფერენციაზე საბერძენეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს კონვენციას მოსახლეობის გაცვლის თაობაზე. ამ კონვენციის თანახმად, საბერძენეთი უნდა დაეტოვებინათ მუსლიმანებს, ხოლო თურქეთიდან ქრისტიანი მართლმადიდებლები უნდა გადასახლებულიყვნენ. ამ დროს ბერძენთა უმეტესობა ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდა. ასე მოიქცნენ აფხაზეთში მცხოვრები ბერძენებიც, რომელთა ყოფა ომმა ძალიან გაართულა. შედარებით უმნიშვნელო რაოდენობა კი თურქეთიდან საქართველოსკენ გამოემართა. 1949 წელს აფხაზეთიდან ბერძენთა დიდი უმრავლესობა ძალით გადაასახლეს შუა აზიაში. დეპორტირებულთა მიახლოებითი რაოდენობის დადგენაც კი ჭირს, ვინაიდან მათ არც ერთ ოფიციალურ საბუთში არ იხსენიებენ. ერთი რამ კი ფაქტია — ამის შემდეგ აფხაზეთის ის სოფლები, სადაც ბერძენები ცხოვრობდნენ, თითქმის პოლიანად დაიცალა.

1959-1989 წლებში ბერძენთა რაოდენობა საქართველოში მატულობს. ეს ხდება არა გადმოსახლების, არამედ ბუნებრივი მატების ხარჯზე. ბერძენთა ყველაზე მრავალრიცხოვანი დიასპორა ცხოვრობს თბილისში. შემდეგ მოდის აფხაზეთი და აჭარა.

	1970	1979	1989
თბილისის საქ. საბჭ.	10698	16179	21722
აფხაზეთი	13114	13642	14664
აჭარა	6867	7072	7396

	1970	1979	1989
ბერძენთა რაოდენობა	44,7	46	47,3
აფხაზეთი	84,2	83,2	86,8
აჭარა	86,8	83,5	84,3

საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა უმრავლესობას მშობლიურ ენად მიაჩნია ბერძნული. შეიშინევა ერთი ტენდენცია — დიდ ქალაქებში უფრო მეტმა ბერძენმა იცის მშობლიური ენა. პროვინციაში მათი რაოდენობა შედარებით მცირეა. პროცენტულად ეს მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით ასეთია:

	1970	1979	1989
თბილისის საქ. საბჭო	44,7	46	47,3
აფხაზეთი	84,2	83,2	86,8
აჭარა	86,8	83,5	84,3

	1970	1979	1989
ბერძენთა რაოდენობა	44,7	46	47,3
აფხაზეთი	84,2	83,2	86,8
აჭარა	86,8	83,5	84,3

ამასთან, აღსანიშნავია ერთი გარემოება: ბერძნულის შემდეგ რუსული უფრო მეტ ბერძენს მიაჩნია მშობლიურ ენად, ვიდრე ქართული, რაც ამჟამად

მრავალწლიანი რუსიფიკაციური პოლიტიკის შედეგია.

რევიონების მიხედვით ქართულის და რუსულის მცოდნე ბერძენთა პროცენტული რაოდენობა ასეთია:

	ქართული		რუსული			
	1970	1979	1989	1970	1979	1989
თბილისის საქ. საბჭო	21,3	25,5	35	35,8	33,5	30,3
აფხაზეთი	1,6	1,1	1,8	66,1	71,7	76,1
აჭარა	9,9	10,3	16,1	49	58,9	57,9
ყოფილი სამხ. ოსეთი	11,4	18,8	17,4	42,9	29,2	50

ბერძენების საქართველოში დასახლების ისტორიამ წარმოაჩინა რამდენიმე კანონზომიერება. გადმოსახლება თითქმის ყოველთვის რაიმე მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენას უკავშირდება. ამიტომ ეს პროცესი არ შეიძლება განვიხილოთ საერთო ევროპული მოვლენებისგან განსაკეცვებით.

ბერძენების საქართველოში დასახლებას ყოველმხრივ უწყობდა ხელს რუსეთი, რომელიც ცდილობდა საქართველოში ერთიანი ეროვნული სტრუქტურა დაერქვია და ქრისტიანულ მოსახლეობაზე ზრუნვით თავისი ავტორიტეტი გაეზარდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ერთმორწმუნე ერებში.

ახალ გარემოსთან შეგუების რთული პროცესის მიუხედავად, ბერძენებმა საქართველოში ფეხი მოიკიდეს. კონტაქტი ქართველებსა და ბერძენებს შორის წარმოვიდგება მრავალსაუკუნოვანი ქართულ-ბერძნული ურთიერთობების ახლებურ გაგრძელებად იმ მრავალი ახალი ელემენტის გათვალისწინებით, რომელიც განაპირობა ბერძენთა დიდი ხნის ყოფნამ თურქულ გარემოში. პონტოში მცხოვრებმა ბერძენებმა ნაწილობრივ შეინარჩუნეს ეროვნული ნიშნები, შეიძინეს მრავალი ახალი თვისება, საქართველოში გადმოსახლებისა და ქართულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის შედეგად მათი ეთნიკური ყოფა კიდევ უფრო გამარავლდებოდა. თავის მხრივ, ბერძენებმაც გაამდიდრეს ქართველთა კულტურა, საზოგადოებრივი ცხოვრება, ფილკლორი მრავალი ბერძნული და

თურქული ელემენტის შემოტანით. ურთიერთგავლენის ეს პროცესი ძალიან საინტერესო საკვლევ მასალას წარმოადგენს ეთნოგრაფიების, ლინგვისტიკების, ისტორიკოსებისთვის.

ბერძენების საქართველოში დასახლების ისტორიის შესწავლა თანამედროვე რეალობების გათვალისწინებითაც ძალზე აქტუალურია. ცნობილია, როგორი მნიშვნელობა შეიძინა დღევანდელ დღეს კომპაქტურად მოსახლე ეროვნული უმცირესობების საკითხმა. დიდად აქტუალურია იმის დადგენა, თუ როდის, საიდან, როგორ აღმოჩნდა ესა თუ ის ეროვნული უმცირესობა ამა თუ იმ ქვეყანაში. როგორ პირობებში ცხოვრობდნენ ისინი, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალურ უმცირესობათა ბედით დიდად არის „დინტერესებული“ თანამედროვე რუსული მეცნიერება ზოგადად, ეთნოლოგია კონკრეტულად. რუსეთის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტში სპეციალურად სწავლობენ პონტოს საზოგადოებას. ეთნოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს ბერძენებს სწავლობს თანამედროვე ეთნიკურ ურთიერთობათა მეცნიერული ანალიზის, გამოყენებითი და გადაუდებელი ეთნოგრაფიის პრობლემების გააზრების თვალსაზრისით, აღნიშნული კვლევა-ძიების საფუძველზე ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი პროფ. ვ. ტიშკოვი 1989 წელს დაბეჯითებით ახდენდა ქართულ-ბერძნული კონფლიქტის პროგნოზირებას (B. A.

Тишков. Да изменится молитва М. Институт этнографии. 1989.)

ეროვნულ ურთიერთობათა თვალსაზრისით, საქართველოში გადმოსახლებულ ბერძნებს ადგილობრივ მოსახლეობასთან რაიმე მნიშვნელოვანი კონფლიქტი არ ჰქონიათ. ბერძნები ისტორიულად მონაწილე არიან იმ მოვლენებისა. რაც საქართველოში მათი ჩამოსახლების შემდეგ ხდებოდა. ალა-შამხად ხანის შემოსევას შეეწირა ერეკლე II-ის დროს ახტლასში დასახლებული მრავალი ბერძენი; რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომში ბერძნები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ თურქების წინააღმდეგ; II მსოფლიო ომში საქართველოდან ქართველებთან ერთად მრავალი ბერძენი წავიდა ფაშისტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ბერძნები აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ნიშანდობლივია, რომ 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიულ აქტს ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად ხელს აწერს ბერძენი იანის პასალიდისი.

საქართველოში მცხოვრებმა ბერძნებმა საზოგადოებრივი ყოფის სხვადასხვა სფეროში გაითქვეს სახელი. საყოველთაოდ ცნობილი დირიჟორია ოდისეი დიმიტრიადი, მომღერალი — ანასტას ჩაკალიძი.

აქაური ბერძნები ცდილობენ არ დაკარგონ ეროვნული თავისებურებები. ბერძნული სიმღერისა და ცეკვის ტრადიციების შესანარჩუნებლად შეიქმნა ანსამბლები „ელადა“, „სირტაკი“, „ლირა“, „დიოსკურია“ და სხვ.

საბერძნეთთან ისტორიული კავშირის

აღსადგენად საქართველოს მეცნიერებელითა აკადემიის ფილოლოგიის ინსტიტუტის ტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით 1978 წლიდან წელსკამში ტარდებოდა სამეცნიერო სიმპოზიუმები — „არისტოტელესეული კითხვები“.

ისტორიულ სამშობლოსთან იძულებით გაწყვეტილი კავშირის აღსადგენად, 1981 წელს საქართველოს საშუალო სკოლებში კვლავ განახლდა ბერძნული ენის სწავლება. ხოლო 1987 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი ბერძნული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, სადაც ძირითადად ბერძენი სტუდენტები სწავლობენ. მშობლიური ენის უკეთ დაუფლება მათ საშუალებას აძლევს უფრო მჭიდრო კონტაქტები დაამყარონ საზღვრძნეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან. ზოგიერთი მათგანი კი უზრუნველბა ისტორიულ სამშობლოს.

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოსა და საბერძნეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა, რაც ორ ქვეყანას შორის უძველეს წარსულში დაწყებული ურთიერთობას ახალი დროის შესაბამისად ვაკრძელების პერსპექტივას ქმნის. ბერძნულ დიასპორას კი, სხვა ეროვნული უმცირესობების მსგავსად, შეუძლია ეროვნული თვითმყოფადობაც შეინარჩუნოს და სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საზოგადოებრივ, სამეცნიერო, კულტურულ ცხოვრებაში, თავისი როლი შეასრულოს საქართველო-საბერძნეთის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

**გამომყენებული ლიტერატურა:**

ო. ლორთქიფანიძე „ანტიკური სამყარო და კოლხეთის სამეფო.“ თსუ გამომცემლობა. 1966.

ო. ვაუხიშვილი „საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები.“ თსუ გამომცემლობა. 1976.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები  
 II ტ. თბილისი 1973.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები  
 III ტ. თბილისი 1979.

ხ. ვაუხნიშვილი „ბერძნების დასახლ-  
 ების ისტორია საქართველოში.“ ქუთაი-  
 სის ა. წულუკიძის სახელობის პედინს-  
 ტიტუტის შრომები. IV ტ. 1942.

ხ. ვაუხნიშვილი „ბერძნების დასახლ-

ების ისტორია საქართველოში.“ ქუთაი-  
 სის ა. წულუკიძის სახელობის პედინს-  
 ტიტუტის შრომები. VI ტ. 1946.

საქართველოს მოსახლეობის ეროვნუ-  
 ლი შემადგენლობა. სტატისტიკური  
 კრებული. თბილისი. 1991.

В. Потто, Кавказская война в  
 отдельных очерках, эпизодах, ле-  
 гендах и биографиях. Т. IV. СПб.  
 1889.



უიხტონი ნაჩინი

## მ ე მ უ ა რ ე ბ ი

ნაწყვეტი წიგნიდან „მორა მსოფლიო რში“

საბჭოთა გაგონება

თავი მმ-20

იმ დროს მოვესწართ, როდესაც ბრატანეთსა და გერმანიას შორის, ყოველგვარ ურთიერთობას ბოლო მოეღო. ახლა, რა თქმა უნდა, ვიცით, რომ პიტლერის ხელისუფლების სათავეში სოციალისტების დღიდან ამ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არანაირი ალალი ურთიერთობანი აღარ ყოფილა. ის იმაზედა ამყარებდა იმედს, რომ დარწმუნებითა თუ დაშინებით დაეყოლიებინა ბრიტანეთი ხელ-ფეხი გაეხსნა მისთვის აღმოსავლეთ ევროპისაკენ, ჩემბერლენს კი პიტლერის დაოკება, გარდაქმნა და ჭეშმარიტების გზაზე დაყენება ეოცნებებოდა. მაგრამ დაღვა დრო, როცა საბოლოოდ უნდა გაფანტულიყო ბრიტანეთის მთავრობის ილუზიები. კომინტე ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა იმაში, რომ ნაციონალური გერმანია იმართებას მოასწავებდა; პრემიერ-მინისტრი არაერთ ქვეყანას სთავაზობდა გარანტიებს და კავშირებს ამყარებდა ყველგან, სადაც ჯერ კიდევ გზა ხსნილი იყო. — სულაც არ დაგიდევდათ, შეგეძლო თუ არა ქმედითი დახმარების გაწევა ამ ქვეყნებისათვის. პოლონეთის გარანტიას

დაემატა საბერძნეთისა და რუმინეთისათვის მიცემული გარანტიები, ამით კი — თურქეთთან ალიანსი.

ახლა უნდა გაეხსენოთ უბადრუკი ქალაქის ნაგლეჯი, რომელზედაც ჩემბერლენმა პიტლერს რის ვაი-ვაგლახი მოაწერინა ხელი მიუნხენში და რომელზედაც დიდი ზარ-ზეიმით აფრიალებდა თავშეყრილი ხალხის წინ, თვითმფრინავიდან რომ გაღმოდოდა პესტონში, მასში იგი იხსენიებდა იმ კავშირ-ურთიერთობებს, რაც, მისი ვარაუდით, არსებობდა მასა და პიტლერს და ბრიტანეთ-გერმანიას შორის, კერძოდ კი, მიუნხენის ხელშეკრულებასა და ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას. მათგან პირველი ჩეხოსლოვაკიის დაპყრობისთანავე გაუქმდა, ახლა კი პიტლერმა შეორეც თავიდან მოიშორა.

28 აპრილს რაიხსტაგში გამოქველსას მან განაცხადა:

„ვინაიდან ინგლისი დღეს პრაქტიკულად და ოფიციალურადაც მხარს უჭერს გერმანიისათვის ყოველგვარ ვითარებაში წინააღმდეგობის გაწევის თვალსაზრისს, რასაც ადასტურებს კიდევ ჩვენთვის ცნობილი სააღვრ პოლიტიკის წარმოებით, ყველანაირი საფუძველი ეტლება საზღვაო შეთანხმებას; ამიტომ გადავწყვიტე ბრიტანეთის მთავრობას დღესვე გაუგზავნო სათანადო უწყება. პრაქტიკულ-მატერიალური თვალსაზ-



რისით ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მე ვერ კიდევ ვიმელოვნებ, რომ თავიდან ავიცილებთ გამძლე-ბულ შეიარაღებას ინგლისის წინააღმდეგ, ეს საჭიროა საკუთარი ღირსების დასაცავად. თუკაც ბრიტანეთის მთავრობა კიდევ ერთხელ რომ მოიხურებდეს ამ პრობლემასთან დაკავშირებით გერმანიასთან მოლაპარაკების დაწყებას, ჩემსკავით არავეს გაახარებდა ის, რომ ვერ კიდევ შესაძლებელი ყოფილა აზრთა წრფელი და გულთბადი ურთიერთ-გახიარება“<sup>1</sup>.

ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმებას, მართლაც ასე ხელსაყრელი რომ იყო პიტლერისათვის მნიშვნელოვან და კრიტიკულ მომენტში მისი პოლიტიკისა, ახლა ისე სახაუდა იგი, როგორც ინგლისისათვის გაწყულ სამსახურსა და სიკეთეს, რომელსაც უკანვე წაიღებდნენ ნიშნად გერმანიის გულისწყრომისა. ფიურერი იმედს უტოვებდა ბრიტანეთის მთავრობას, რომ იგი, შესაძლოა, მომავალში ინებებდა სამხედრო-საზღვაო პრობლემების განხილვის მისი უდიდებულესობის მთავრობასთან ერთად. ეგებ, იმასაც კი მოელოდა, რომ წინათ მისგან გაბრიყვებული ხალხი არ შეეპუებოდა დაშოშმინების პოლიტიკას. ახლა ეს სრულებით არ აღეულებდა. მისი იყო იტალია, ჰქონდა უპირატესობა პერში; მისი იყო ავსტრია და ჩეხოსლოვაკია ყოველი შენაჯერით; მისი იყო დასავლეთ სიმავრე. პირწმინდად საზღვაო სფეროს რაც შეეხება, არანაირ გარიგებას არ დაგიდეუდა და მუდამ მაქსიმალური სისწრაფით ავებდა წყალქვეშა ნაევებს. ფორმალბობს თვალსაზრისით სულ ერთთავად ხაზს უსკამდა თავის უფლებას, ავეო იმდენი, რაკიუნსაც ავებდნენ ბრიტანელები, მაგრამ ეს სულაც არ ზღუდავდა წყალქვეშა ნაევების მშენებლობის გერმანულ პროგრამას. უფრო დიდ გემებს რაც შეეხება, მას არ ძალუძდა სრულად გამოეყენებინა უხვი შესაძლებლობანი, საზღვაო

ხელშეკრულებით რომ ჰქონდა მისი ბული. ამიტომ ეს შეთანხმება შენაშუარი ურცხვობით ცხვირ-პირში მიახალა მის შემთითხვეულ დოცლაპიებს.

იმავე მოხსენებაში პიტლერმა გაუქმებულად გამოაცხადა გერმანია-პოლონეთის პაქტი თავდაუსხმელობის შესახებ, რისთვისაც მოიმიზეზა ინგლის-პოლონეთის გარანტია, რომელსაც, გარკვეულ ვითარებაში, შეეძლო აეშულებინა პოლონეთი სამხედრო მოქმედებანი წამოეწყო გერმანიის წინააღმდეგ, თუკი გერმანიასა და სხვა რომელიმე სახელმწიფოს შორის კონფლიქტი წამოიჭრებოდა; ეს კი, თავის მხრივ, ინგლისსაც ჩაითრედა. „ეს ვალდებულება ეწინააღმდეგებოდა შეთანხმებას, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დავედ მარშალ პილსუდსკისთან... ამიტომ მიმჩნია, რომ შეთანხმება ცალმხრივად დაარღვია პოლონეთმა და, ამდენად, გაუქმებულია. მე სათანადო უწყება გავუგზავნე პოლონეთის მთავრობას...“

თავის დროზე ეს სიტყვა შევისწავლე და ჩემს ერთ-ერთ სტატიაში დავწერე: „...თავდაუსხმელობის შესახებ 1934 წლის გერმანია-პოლონეთის პაქტის დენონსირება ერთობ სერიოზული და სახიფათო ნაბიჯია. ეს პაქტი სულ ახლახანს დამტკიცდა — იანვარში, როცა რიბენტროპი ვარშავას ეწვია. ინგლის-გერმანიის საზღვაო შეთანხმების მსგავსად, პაქტი დაიდო პერ პიტლერის სურვილით. ისევე, როგორც საზღვაო შეთანხმება, იგი აშკარად მომგებიანი იყო გერმანიისათვის, ორთავ გარიგება ამსუბუქებდა დასუსტებული გერმანიის მდგომარეობას. საზღვაო შეთანხმება ფაქტიურად იმას მოწმობდა, რომ დიდმა ბრიტანეთმა თვალი დახუჭა ვერსალის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამხედრო მუხლების დარღვევაზე... გერმანია-პოლონეთის შეთანხმებამ საშუალება მისცა ნაცისტებს, ვერადლება მიეპყროთ ვერ ავსტრიის, შემდეგ კი ჩეხოსლოვაკიისათვის, რასაც ამ ბედკრული ქვეყნებისათვის დამღუპველი შედეგები მოჰყვა. ამან დროებით

1. Hitler's Speeches, vol-2. p. 1626.



შეხვედრის ხაზგანკვეთ-პოლონეთის ურთიერთობანი და შეაფერხა სოლიდარობის გაღვივება აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორის. ახლა კი, გერმანიას სამსახური რომ გაუწია, ცალმხრივი აქტით თავიდან მოიშორეს. ამითვე მიანიშნეს პოლონეთს, რომ ამჯერად იგი პოტენციური აგრესიის ზონაშია ჩართული“.

ბრიტანეთის მთავრობა უცილობლად უნდა დაფიქრებულიყო პოლონეთისა და რუმინეთისათვის მიცემული გარანტიების პრაქტიკულ მნიშვნელობაზე. ამ გარანტიათაგან არც ერთს არ გაანდა სამხედრო ღირებულება, თუ რუსეთთან საერთო გარიგების ფარგლებში არ მოექცეოდა. ამდენად, სწორედ ამ მიზნით 15 აპრილს მოსკოვში ბოლოს და ბოლოს დაიწყო მოლაპარაკებები ბრიტანეთის ელჩისა და ლიტვინოვს შორის. მუდველობაში თუ მივიღებთ, რაკვარი განწყობილება სუფევდა აქამდე საბჭოთა მთავრობის მიმართ, დიდი იმედი არავეს უნდა ჰქონოდა. თუმცა 16 აპრილს მან წამოაყენა ოფიციალური წინადადება დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთისა და სსრკ-ს შორის ურთიერთდახმარების ერთიანი ფრონტის შექმნისა, რისი ტექსტიც არ გამოქვეყნებულა. ამ სამ სახელმწიფოს — თუ შესაძლებელი იქნებოდა, პოლონეთის მონაწილეობით — აგრეთვე უნდა უზრუნველყო ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის იმ სახელმწიფოების ხელშეუხებლობა, რომელთაც გერმანიის აგრესია ემუქრებოდა. ამგვარ გარიგებას დაბრკოლებად ელობებოდა ამ საზღვრისპირა სახელმწიფოების შიში საბჭოეთიდან ჯარებით დახმარებისა — ამ ჯარებს მათი ტერიტორია უნდა გაეცლო გერმანიელთაგან მათ დასაცავად და, ზედაც, იმ საბჭოურკომუნისტურ სისტემაში მოექცია ეს ქვეყნები, რომელსაც მათებრ მოსისხლე მტერი არა ჰყოლია. პოლონეთმა, რუმინეთმა, ფინეთმა და სამმა ბალტი-  
12. „მნათობი“, № 8

ისპირა სახელმწიფომ თავადაც არ იცოდა, რა უფრო ამინებდათ, რა უფრო ნიის აგრესია თუ რუსეთის მხსნელად მოვლინება. სწორედ ამ შემხარავი არჩევანის აუცილებლობამ დაადაპლაკა ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოლიტიკა.

მაგრამ ახლაც კი არ ეგების ეჭვის შეტანა იმაში, რომ ბრიტანეთსა და საფრანგეთს უნდა მიეღოთ რუსეთის წინადადება, გამოეცხადებინათ სამშავი აღიანსი და თუ ომი ატყდებოდა, მისი წარმართვის ეფექტური მეთოდი მიენდოთ მოკავშირეთათვის, რომლებიც საერთო მტრის წინააღმდეგ შეიკვრიოდნენ. ამგვარ ვითარებაში სხვა სულისკვეთება იმარჯეებს. ომის დროს მოკავშირეები საიმისოდ არიან განწყობილინი, რომ ბევრ რამეში ანგარიში გაუწიონ ერთმანეთის ნება-სურვილს. ფრონტზე ბრძოლის ცეცხლი გიზგიზებს და მიზნის მისაღწევად მისაღები ზდება მშვიდობიანობის დროს მიუღებელი ნებისმიერი საშუალება. დიდი აღიანსი რომ შექმნილიყო, ერთი მოკავშირე დაუპატიებლად ვერც თუ იოლად შედგამდა ფეხს მეორის ტერიტორიაზე.

საქმე ისაა, რომ ნემბერლენი და საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩიხში მოექცნენ სფინქსის ამ გამოცანის წინაშე. როცა მოკლეები ასეთი სიმძლავრითა და სისწრაფით ვითარდება, ვინაიროლია ნაბიჯ-ნაბიჯ მოქმედება. კავშირი ბრიტანეთს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის გერმანიის გაარიან შემოთქებას გამოიწვევდა 1939 წელს და ვერავინ დაიქინებს, რომ ომს ვერც მამინ აიცილებდნენ თავიდან. შემდგომი ნაბიჯის გათავად იმ შემთხვევაში იქნებოდა უპირანი. უპირატესი ძალები მოკავშირეთა მხარეზე თუ აღმოჩნდებოდა. დიპლომატიობით ინიციატივასაც კვლავ ხელში ჩაიგდებდნენ. პიტლარი ვერც ორ ფრონტზე გაანაღებდა ბრძოლას — ამას თავადვე კიცხავდა — და ვერც მარცხს აიტანდა. ძალზე დასანანია, ისეთ საწოთირო მდგომარეობაში რომ არ

ჩაყენეს, რაიც სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. სახელმწიფო მოღვაწეთა დანიშნულება მხოლოდ იოლი საკითხების გადაჭრა როდია. ეს საკითხები ხშირად თავისთავად წყდება. როცა სასწორი მერყეობს და გამოსახულებაც ბუნდოვანია, ხწორედ მაშინ გამოჩნდება ხოლმე იმ გადაწყვეტილებათა მიღების შესაძლებლობა, რომელთაც უნდა იხსნან მსოფლიო. რაკი თვითონვე ჩაივადეთ თავი ასეთ შავ ღღუღე 1939 წელს, ჰაერით ვეჭირდებოდა უფრო საიმედო საგრდენის გამოძებნა, ახლაც კი შეუძლებელია იმ წამის მოხელეობა, თუ საბოლოოდ როდის აიღო ზელი სტალინმა დასავლეთის დემოკრატებთან თანამშრომლობის განზრახვაზე და გადაწყვიტა პიტლერთან მორიგება. თითქოს მართლაც არ არსებულა ასეთი წამი. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივებში მოჩხრეკილი უამრავი დოკუმენტის გამოქვეყნებამ 1939-41 წლების „ნაციტურ-საბჭოურ ურთიერთობებში“ აქამდე უცნობი ბუერი რამ გაგვიჩხილა. როგორც ჩანს, რაღაც მოხდა ჯერ კიდევ 1939 წლის თებერვალში. კაცმა რომ თქვას, ეს თითქმის უეჭველად დაკავშირებული იყო ვაჭრობის პრობლემებთან და კომერციულ საკითხებთან, რაზედაც არასაზარბიელოდ აიხახა ჩეხოსლოვაკიის სტატუსი და რის თაობაზეც აუცილებელი იყო ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკება. მარტის შუა რიცხვებში რაიხში ჩეხოსლოვაკიის ჩართვამ გაართულა ამ სადავო საკითხების გადაჭრა. რუსეთს კონტრაქტები ჰქონდა დადებული ჩეხოსლოვაკიის მთავრობასთან „შკოდის“ ქარხნიდან იარაღის მოწოდებაზე, რა ბედი ეწეოდა ამ კონტრაქტებს ახლა, როცა „შკოდის“ ქარხნები გერმანიის არსენალად იქცნენ?!

17 აპრილს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა ვაიცხეკერმა ჩაიწერა, რომ იმ დღეს პირველად ეწვია რუსი ელჩი მას

შემდეგ, რაც თითქმის ერთნაირად რწმუნების სიგელი წარუდგინა: მას „შკოდის“ ქარხნების კონტრაქტები მოიციოთხა. ვაიცხეკერმა უპასუხა, — ვერ ვიტყვი, რომ ახლა სასურველი ვითარება იყოს საბჭოთა რუსეთის სამხედრო მასალით მოსამარაგებლად, ეინაიდან გვაქვს ცნობები რუსეთ-ბრიტანეთ-საფრანგეთს შორის საპაერო პაქტის დადების თაობაზე და მისთ. ამის პასუხად რუსი ელჩი ვაჭრობიდან მვის პოლიტიკაზე გადაერთო და სახელმწიფო მდივანს კეთიხა, რას ფიქრობდა გერმანარუსეთის ურთიერთობებზე. ვაიცხეკერმა მიუგო, რომ, მისი თვალთახედვით, „რუსეთის პრესა ამ ბოლო დროს არ აუხახვებთ იზიარებდა ამერიკული ვაჭრებისა და ზოგიერთი ინგლისური ვაჭრების ანტიგერმანულ ტონს“. „ამაზე საბჭოთა ელჩმა განაცხადა: „იდეოლოგიური უთანხმოებანი თითქმის არ ასახულა რუსეთ-იტალიის ურთიერთობებზე და არც გერმანიას უნდა უჩნდეს ლოდად შებკოლებისა. საბჭოთა რუსეთს არ უსარგებლია დასავლეთის დემოკრატებისა და გერმანიას შორის უთანხმოებით ამ უკანასკნელის საზიანოდ და არც ახლა აქვს ამის სურვილი. რუსეთს არავითარი მიზეზი არა აქვს საიმისოდ, რომ გერმანიასთან საერთო ენა ვერ გამოიხახოს; ხოლო მერე და მერე ეს ურთიერთობები შესაძლებელია კიდევ გაუმჯობესდეს“.

ეს საუბარი მრავლისმეტყველად უნდა მიეჩინოთ; მით უმეტეს, რომ იმედროულად მოსკოვში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ბრიტანეთის ელჩსა და ლიტენიოვს შორის 16 აპრილს საბჭოეთის მიერ ოფიციალურად წამოყენებული წინადადების — დიდ ბრიტანეთისა და საფრანგეთთან სამმაგი კავშირის შეკერის — შესახებ. ეს იყო რუსეთის ფერისცვალების მომასწავებელი პირველი აშკარა ნიშანი. აქედან დაიწყო გერმანიასთან ურთიერთობის თანდათანობითი „ნორმალიზაცია“, რაც თანამებთვეოდა გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ სამ-

მაგი აღიანის თაობაზე მოლაპარაკებას.

ეთქვით, რუსეთის წინადადებაზე ჩემბერლენს ეპასუხა: „კეთილი, მოდი, სამივე გავერთიანდეთ და კისერი მოუვრიხოთ პიტლერს“ ან რამე ამის მსგავსი დასცდენოდა, — პარლამენტი მოიწონებდა, სტალინი გულისხმას მოვიდოდა და ისტორიის ჩარხი, ალბათ, სხვაგვარად დატრიალდებოდა. ყოველ შემთხვევაში, უარესს რაღას განვეიმზადება?!

4 მაისს მდგომარეობა ასე შეეფარა:

„მოთავრია, დრო არ დავკარგოთ. რუსეთის მიერ წინადადების შემოთავაზების შემდეგ უკვე ათი-თორმეტი დღეა გასული. ბრიტანელმა ხალხმა, რომელმაც საამაყო, რჯულზე უმტკიცესი ჩვეულება გაიღო მსხვერპლად, ახლა სამხედრო ბეგარის პრინციპი გაიზიარა და უფლება აქვს საფრანგეთის რესპუბლიკასთან ერთად მოუწოდოს პოლონეთს, დაბრკოლებად ნუ აღიმართება საერთო მიზნის მიღწევის გზაზე. საჭიროა არა მარტო თანხმობა რუსეთთან სრულ თანამშრომლობაზე, არამედ ამ კავშირში ბალტიისპირეთის სამი სახელმწიფოს — ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის — ჩართვაც. ამ სამი სახელმწიფოსათვის — რომელსაც ჰყავს მებრძოლი სულისკლეთების ხალხი, ჰყავს ერთობლივი ჯარები, გულად ჯარისკაცთა ალბათ ოც დღეზიბას რომ მიითვლის — სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მეგობრობას რუსეთთან, რომელიც იარაღს მიაწვდის და სხვაგვარ თანადგომასაც გაუწევს.

ნაციისტური გერმანიის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის შენარჩუნების არანაირი შესაძლებლობა არ არსებობს რუსეთის ქმედითი თანადგომის თვინიერ. რუსეთი უადრესად დანტერესებულია იმით, რომ ხელი შეუშალოს პერ პიტლერის ზრახვათა ზორცმსხმას აღმოსავლეთ ვერობაში. ეგებ, ჯერ კიდევ არის შესაძლებლობა ბალტიკიდან შვედკამდე ვეულა ხალხთა და სახელმწიფოთა ერთიან მტკიცე ფრონტად გაერ-

თიანებისა ხელახალი ძალადობის შემოსევის წინააღმდეგ. თუკან მსგავსი შედეგები უნდა მივიღოთ, ფრონტი შეიქმნებოდა წრფელი გულთა და გადამჭრელ, ქმედით სამხედრო შეთანხმებათა შემწეობით, დასავლეთ სახელმწიფოების ძალებთან გაერთიანების წყალობით შესაძლებელი შეიქნებოდა პიტლერის, გერინგის, ჰიმლერის, რიბენტროპის, ვებელისა და კომპანიისათვის ისეთი ძალების დაპირისპირება, რომელთაც წინ ვერ აღუდგებოდა გერმანელი ხალხი.

ნაცვლად ამისა, კარგა ხანს გაგრძელდა დღემილი და მასთან ერთად სანახევრო ღონისძიებებისა და კეთილგონივრულ-კომპრომისული გადაწყვეტილებების მიღება. ეს შერყეობა საბედისწერო აღმოჩნდა ლიტვინოვისათვის. მისი უკანასკნელი მცდელობა — დასავლეთის სახელმწიფოთაგან გადამჭრელი პასუხი მიეღო და ამით საქმისათვის ნათელა მოეფინა — განწირული აღმოჩნდა. ჩვერდამი ნდობა ერთობ შეირყა. რუსეთის უსაფრთხოებისათვის საჭირო იყო სრულიად ახლებური საგარეო პოლიტიკა და მისი ახალი გამტარების მოძებნა. 3 მაისს ოფიციალურ კომუნიკეში მოხკვიდან გამოცხადდა, რომ „მ. ლიტვინოვი გათავისუფლებულია საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანამდებობიდან მისივე თხოვნითა და რომ მის მოვალეობას შეასრულებს პრემიერი ვ. მოლოტოვი“. გერმანიის რწმუნებულმა მოსკოვის საქმეებში 4 მაისს ვანაცხადა:

„ივნიადან ლიტვინოვმა ჯერ კიდევ 2 მაისს მიიღო ინგლისის ელჩი და მას. გვარი გუშინდელ პრესაში მოახსენიეს პარაღზე საპატიო სტუმრებს შორის, მისი შეცვლა, როგორც ჩანს, სტალიანს სპონტანური გადაწყვეტილების შედეგია... პარტიის ბოლო ყრილობაზე სტალინიმა მოუწოდა სიფრთხილისაკენ, რათა არ დაეშვა საბჭოთა კავშირის კონ-

ფლიქტში ჩართვა, მოლოტოვი (არა ებრაელი) სტალინის ყველაზე გულთბად მეგობრად და უახლოეს თანამებრძოლად შერაცხული. მისი დანიშვნა, როგორც ჩანს, საწინდარია იმისა, რომ ამას იქით საგარეო პოლიტიკა პირწმინდად სტალინის იდეებს მოერგება“.

საბჭოთა დიპლომატიის წარმომადგენლებმა საზღვარგარეთ მიიღეს მითითებანი, ეუწყებინათ მთავრობებისათვის, რომელთაგანაც რწმუნების სიგელი ჰქონდათ მინიჭებული, რომ ეს ცვლილება არ მოასწავებდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შეცვლას. 4 მაისს მოსკოვის რადიოში გამოაცხადა, რომ მოლოტოვი წარმართავდა უსაფრთხოების პოლიტიკას დასავლეთში, რაც ლიტვინოვს მიხნაღ ჰქონდა დასახული წლების განმავლობაში. სახელგანთქმული ებრაელი, სამიზნე გერმანული ანტაგონიზმისა, ერთხანობას დამსხვრეული იარაღივით მოისროლეს და ისე, რომ თავის სამართლებლად სიტყვის თქმაც არ დაანებეს, მსოფლიო არენიდან ფეხი ამოუკვეთეს, უსაჩინობისა და მათხოვრული შესაწევარისათვის გაწირეს და მეთვალყურედ პოლიცია მიუჩინეს. საგარეო საქმეთა კომისარი გახდა რუსეთის ფარგლებს გარეთ ნაკლებად ცნობილი, სტალინის უახლოესი თანამებრძოლი — მოლოტოვი. იგი თავისუფალი იყო წინანდელი განცხადებების სახით აღმართული დაბრკოლებებისა და ერთა ლიგის გარემოცვისაგან; მას გზა ხსნილი ჰქონდა ყველგან, საითაც კი რუსეთის უსაფრთხოებისათვის საჭირო შეიქნებოდა. კაცმა რომ თქვას, არსებობდა ერთადერთი გზა, რომელსაც, ალბათ, უნდა დასდგომოდა. იგი მუდამ კეთილგანწყობით ეკიდებოდა პიტლერთან მოლაპარაკება-გარიგებას. მიუნხენის ამბებმა და სხვა ბევრმა რამემაც დაარწმუნა საბჭოთა მთავრობა, რომ არც ბრიტანეთი და არც საფრანგეთი არ იყვნენ ომის წამომწყებნი, თუ აქეთ არავინ შემოუტევედა და, რომ არც მაშინ იქნებოდნენ რაიმეს მამისნი. მოახლოებული ქარიშხალი სა-

დაცაა უნდა ამოვარდნილიყო. რუსეთის თავის თავზე უნდა ებრუნა.

ლიტვინოვის დათხოვნა მთელი ეპოქის დასრულებას ნიშნავდა და იმას მეტყველებდა, რომ კრემლი სრულებით აღარ ენდობოდა დასავლეთის სახელმწიფოებთან დადებულ უსაფრთხოების პაქტს და აღარ სწამდა გერმანიის წინააღმდეგ აღმოსავლეთის ფრონტის შექმნის შესაძლებლობას...

ებრაელი ლიტვინოვი წავიდა და აკვიტებული აზრით შეპყრობილ პიტლერს თავი მოუქონეს. ამ წუთიდან გერმანიის მთავრობა თავის პოლიტიკას ანტიბოლშევიზმად აღარ ნათლავდა და საღამომადღადაც პლუტოდემოკრატია ამოვლო მიზანში. საგაზეთო სტატიები არწმუნებდნენ საბჭოეთს, რომ გერმანიის Lebensraum<sup>1</sup> რუსეთის ტერიტორიაზე არ ვრცელდებოდა და წყალი არ გაუვიდოდა იმას, რომ რუსეთის საზღვართან მიახლებისთანავე ნასახიც აღარ რეზოდა მისი. აქედან გამომდინარე, რუსეთსა და გერმანიას შორის კონფლიქტის არანაირი მიზეზი აღარ უნდა ყოფილიყო, თუ საბჭოეთი ინგლისსა და საფრანგეთს არ შეეკრებოდა „გარემოცვის“ საკითხებთან დაკავშირებით. გერმანიის ელჩი ვრაფი შულენბურგი, რომელიც ბერლინში გამოიმძახეს ხანგრძლივი კონსულტაციებისათვის, მოსკოვს დაბრუნდა გრძელვადიანი სარფიანი სასაქონლო კრედიტების წინადადებით. ისეთი პირი უჩანდა, რომ ორივე მხარე შეთანხმებას ესრწაფეოდა.

რუსეთის პოლიტიკის ასეთი მკვეთრი და არაბუნებრივი შემობრუნება ის უცნაური ფერისცვალება იყო, მხოლოდ ტოტალიტარულ სახელმწიფოებს რომ ხელეწიფებათ. სულ რაღაც ორიოდ წლის წინ რუსული არმიის თავკაცები, ტუხაჩევსკი რამდენიმე ათას გამობრძ-

მედილ ოფიცერთან ერთად, მხეცურად ამოეღიტეს სწორედ იმ განწყობილებებისათვის, ახლა მისაღები რომ გამხდარიყო კრემლის ერთ მუჭა თავგზაბნულ მოხელეთათვის. იმხანად პროგერმანიზმი ერთიკოსობად და ღალატად ირაცხებოდა, დღეს კი მყის სახელმწიფო პოლიტიკად იქცა და ის, ვინც განსჯას გაბედავდა ანდა ეამთაცულებს ვერ მისდევდა, თავისთავად იყო განწირული.

ამ საქმისათვის საგარეო საქმეთა ახალ კომისარზე უკეთ ვერავენ აღიჭურვებოდა და მასავით ვერც ვერვინ ივარგებდა.

პირს, რომელიც სტალინმა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სათავეში მოაქცია, ღირსია მივაგოთ ორიოდ სიტყვა, რაც იმხანად არ ხელწიფებოდათ ბრიტანეთისა თუ საფრანგეთის მთავრობებს. ვიანესლავ მოლოტოვი ხალხს ნიჭით ცხებული კაცი ვახლდათ, გულცივობითა და სისასტიკით გამორჩეული. იგი დაუსხლტა ათასწიარ ბიფათსა თუ განსაცდელს, ბოლშევიკთა ლიდერებს — უკლებლივ ყველას — თავს რომ დაატყდა რევოლუციის აღზევების წლებში. თავისი დღე და მოსწრება იმ საზოგადოებაში გაეტარებინა და იქ გაქონდა ლელო, სადაც სულ ერთთავად ინტრიგების ხლართვას მუდამ თან სდევდა საფრთხე პიროვნების განადგურებისა, ზარბაზნის წუმბარისებრი თავი, შავი უღაშები და გამჭოლი მხერა, გაფიქვინებული პირისახე, ენამჭკვრობა და სინდინჯი-სიადარბაისლე მშვენივრად მეტყველებდა მის ღირსებებსა თუ უნარიანობას. ის ყველაზე აღმატებული გახლდათ იმ კაცთაგან, აგენტად ან იარაღად რომ ერგებინა ამოუცნობი მანქანის მიერ წარმართულ პოლიტიკას. მე მხოლოდ როგორც ტოლი ტოლს, ისე შევხვედრივარ მას, მოლაპარაკებებისას, სადაც ზოგჯერ მოსწრებულად ნათქვამი

რამ სიტყვა გაკვესდებოდა, ან კიდევ მან კეტებზე, სადაც დარდიმანდულად გააბამდა ხოლმე გაცვეთილ და უშინაარსო სადღეგრძელოებს. რობოტის ცნების ასე სრულქმნილად გამოიმეტველი მოკვდავთა შორის არავინ შემხვედრია. და მაინც, იმავედროულად, უთუოდ მახვილგონიერი და დახვეწილი დიპლომატი ვახლდათ. ვერ გეტყვით, როგორ ეყრობოდა ხელქვეითებს. ის, თუ როგორ ეჭირა თავი იაპონელ ელჩთან იმ წლებში, როდესაც თეირანის კონფერენციის შემდეგ სტალინმა პირობა დადო, გერმანიის არმიას დაეამარცხებ თუ არა, იაპონიას შეეუტევო, შეიძლება წარმოვიდგინოთ მათი საუბრების მისეული ჩანაწერებიდან. სწოთირო, ნიადაგის მომსინჯავ და უხერხულ საუბრებს სულ მუდამ მისთვის ჩვეული უხადო სადარბაისლით, ჩანაფიქრის შენიღბვის ნიჭითა და ოფიციალური მოკრძალებათავაზიანობით წარმართავდა ხოლმე. ნაბზარს ერთხელაც არ დაუღია პირი, მკვახე კილოთი წამოსროლილი ერთი ფუჭი შემახილიც არ გაჭაჭანებულა. ციმბირული სუსხით აღბეჭდილ ღიმილთან საგულდაგულოდ აწონილ-დაწონილ და ხშირად ბრძნულ სიტყვა-პასუხთან შეჯერებული კრძალულობა საბჭოთაის სრულქმნილ პოლიტიკურ მოდვანედ წარმოაჩენდა მას მომაკვდინებელი საფრთხის მომასწავებელ მსოფლიოში.

წყლის ნაყვ იყო სადავო საკითხებზე მასთან მიწერ-მოწერა, და თუ მეტი სმეტიად გამოიდებდი თავს, მხოლოდ სიცრუესა და შეურაცხყოფას გამორჩებოდი, რის მგალითებიც, ვფიქრობ, ამ წიგნში მოიძებნება. ერთადერთხელ ველირე მისგან ბუნებრივ, ადამიანურ რეაქციას. ეს მოხდა 1942 წლის გაზაფხულში, როდესაც შეერთებული შტატებიდან ბრუნდებოდა და გზად ინგლისში ჩამოხდა. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას ზელი რომ მოაწერეთ, სამშობლოსაკენ მიმავალ სახიფათო გზას უნდა დასდგომოდა. რაკი სააღუმლოს გამგლანებას ვერიდებოდი, პა-

ლის ჰიმეკართან შევეყონდით, დაუნანგ-სტრიტზე; მკლავში ხელი ჩავავლე და თვალი გავუსწორეთ ერთმანეთს. ანაზ-დად, ღრმა ვანცდა დავატყვევ. გარესა-ფარველს მიღმა კაცი გამოჩნდა. მანაც ჩემებრ ღონივრად ჩამჭიდა ხელი. უხ-მოდ ვუჭურდით ხელს ერთმანეთს. მ.-შინ ხომ ყველანი ერთ მუშტად ვიყავით შერკრული და ან გადაჩინა გვეწერა, ან სიკვდილი. რამდენ გავერანება-გაპარტა-ხებას მოსწრებია მის თავს დამ-ტყდარს თუ მისგანვე სხვის თავზე და-ტყვილს! ეჭვს გარეშეა, რომ მოლო-ტოვის სახით საბჭოთა მანქანამ გამო-ჩხრიკა უნარიანი და მრავალი თვალსა-ზრისით სწორედ მისთვის ზედგამოჭ-რილი კაცი — მუდამ ერთგული პარ-ტიისა და მიმდევარი კომუნისტისა. ზი-ბერეს მიტანებულს რარიგ მიხარია, მი-სებრ ჭაპანწყვეტა რომ არ მხვდო-საა წილად; მაშინ მიჯობდა, ხულ არ ვა-ჩენილიყავ. საგარეო პოლიტიკაში მის ღვაწლს თუ ვიტყვი, — მაზარინი, ტა-ლეირანი და მეტერნიხი სიამოვნებით შეიამბანაგებდნენ მას, თუკი არის სად-მე სხვა საუფლო, რომელშიაც ბოლშე-ვიკები თავისი ნებით შებრძანდებიან.

გახდა თუ არა მოლოტოვი საგარეო საქმეთა კომისარი, იმ წუთიდან გერმან-იასთან მორიგების პოლიტიკური კურ-სი აირჩია, რაც პოლონეთის ხარჯზე უნდა განხორციელებულიყო. ამ ამბაკის, არც თუ დიდი დაგვიანებით, საფრანგე-თშიაც ჩააღწია. არსებობს ბერლიანში საფრანგეთის ელჩის 7 მაისით დათარი-ღებული საგულისხმო ოფიციალური უწყება, რომელიც ფრანგულ ყვითელ წიგნშია შეტანილი და რომელიც გვაპ-ცნობს, რომ, საიდუმლო ინფორმაციით, მისთვის სარწმუნო შეიქნა განზრახვა პოლონეთის მეოთხედ დანაწილებისა, რასაც საფუძველი უნდა ჩაეყარა გერ-მანია-რუსეთის დაახლოებისათვის. „მა-იხის თვიდან მოყოლებული, — წერს მ.

დალაღე 1946 წლის აპრილში მან სსრკ-ში მოლაპარაკებას აწარმოებდა უთოდრო-ულად ორ ქვეყანასთან — ცალკერძო სა-ფრანგეთთან და ცალკერძო გერმანიას-თან. მან, როგორც ჩანს, პოლონეთის დაცვას ისევე მისი დანაწილება არჩია. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების უპირველესი მიზეზი; თუმცა იყო სხვა მიზეზებიც“.

8 მაისს ბრიტანეთის მთავრობა ბო-ლოს და ბოლოს გამოეხმაურა 16 აპრი-ლის საბჭოთა ნოტას. რაკი ინგლისური დოკუმენტის ტექსტი არ გამოქვეყნებუ-ლა, 9 მაისს საბჭოთა კავშირის სატე-ლეგრაფო სააგენტომ გამოაქვეყნა გან-ცხადება, რომელშიაც გადმოცემული იყო ბრიტანელთა წინადადებების ძირი-თადი პუნქტები. 10 მაისს ოფიციალურ-მა ორგანომ, ვაზეთმა „იზვესტიამ“ და-ბეჭდა კომუნიკე, რომლითაც ამცნობდა მსოფლიოს, რომ ბრიტანეთის საპასუხო წინადადებების თაობაზე რეიტერის სა-აგენტოს მიერ გადმოცემული განცხადე-ბა — თითქოს „საბჭოთა კავშირმა გარან-ტია უნდა მისცეს ცალ-ცალკე ყველა მეზობელ სახელმწიფოს და დიდი ბრი-ტანეთი ვალდებულია იღებდეს დახმარ-ებებს ხელი გაუწოდოს სსრკ-ს, თუ ამ გარანტიების შედეგად ეს უკანასკნელი ომში ჩათრეული აღმოჩნდება“, — არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. კომუნი-კში ნათქვამი იყო, რომ 8 მაისს საბ-ჭოთა მთავრობამ მიიღო ბრიტანეთის კონტრწინადადებები, მაგრამ მათში არა-ფერი იყო ნათქვამი საბჭოთა კავშირის ვალდებულებაზე ყოველი მეზობელი სახელმწიფოსათვის ცალკეული გარან-ტიების მიცემის შესახებ. არადა, მარ-თლაც იყო ლაპარაკი იმაზე, რომ სსრკ ვალდებული გახლდათ სასწრაფოდ გაე-წია დახმარება დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთისათვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩათრეულნი აღმოჩნდებოდნენ ომში პოლონეთისა და რუმინეთისათვის

მიცემული გარანტიების წყალობით. თუმცა გაკვირთაც არ ყოფილა რაიმე მინიშნება მათგან საბჭოთა კავშირი-სათვის რაიმე შემწეობის აღმოჩენაზე, თუკი იგი აღმოსავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყნის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა გამო იძულებული შეიქნებოდა ომში ჩაბმულიყო.

იმავე დღეს, მოგვიანებით, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მთავრობამ ახალი ვალდებულებანი იკისრა აღმოსავლეთ ევროპაში, ოღონდ ისე, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ მოუწვევია უშუალო თანამონაწილედ, — მიზეზად კი ათასი რამ მოიმიზეზა. მისი უდიდებულესობის მთავრობამ შესთავაზა საბჭოთა ხელისუფლებას, იგივე განეცხადებინა და გამოეხატა მზადყოფნა, — თუკი საჭირო შეიქნებოდა, დახმარება გაეწია იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც შესაძლოა აგრესიის მსხვერპლნი გამხდარიყვნენ და მზად იქნებოდნენ თავიანთი დამოუკიდებლობის დასაცავად.

ლამის იმავედროულად საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა უფრო მრავალმხრივი და მყარი გეგმა, რომელიც — რა ღირსებებითაც არ უნდა ყოფილიყო შემკული, — მისი უდიდებულესობის მთავრობის თვალსაზრისით, უცილობლად წარმოშობდა სწორედ იმ სიძნელეებს, რომელთა თავიდან აცილებასაც ფიქრობდა იმ წინადადებების იმედით, თავად რომ წამოეყენებინა. პოლა, მიუთითა კიდევ საბჭოთა მთავრობას, რომ თავი იჩინა ამგვარმა სიძნელეებმა. ამავე დროს მან რამდენადმე სახე უცვალა თავის პირვანდელ წინადადებებს. კერძოდ, მან (მისი უდიდებულესობის მთავრობამ) დაახუსტა, რომ „თუ საბჭოთა მთავრობას სურს, სხვა ქვეყნების საქმეებში თვისი ჩარევა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ასეთსავე ქმედებებს შეუპირობოს, მისი უდიდებულესობის მთავრობას თავის მხრივ საწინააღმდეგო არაფერი ექნება“.

დასანანი ისაა, რომ ორი კვირის წინ მას მსგავსი არაფერი განუცხადებია არაორაზროვნად.

უნდა აღინიშნოს, რომ 12 მაისს თურქეთის პარლამენტმა ინგლის-თურქეთის შეთანხმების ოფიციალური რატიფიცირება მოახდინა. ამ დამატებით ვალდებულებებს რომ ვკისრულობდით, იმედი გვქონდა კრიზისის შემთხვევაში ხმელთაშუა ზღვაზე პოზიციების გამყარებისა. ეს იყო ჩვენი საპასუხო ნაბიჯი იტალიის მიერ ალბანეთის ოკუპაციისა. როგორც გერმანიასთან მოლაპარაკებამ მოჭამა თავისი დრო, ასევე ჩიხში მოექცა იტალიასთან ჩვენი ურთიერთობა.

მდორედ მიმდინარეობდა რუსეთთან მოლაპარაკება და 19 მაისს ეს საკითხი მთელი სირთულით წამოიჭრა თემთა პალატაში. ხანმოკლე დავა-კამათი, სერიოზულ ხასიათს რომ ატარებდა, ფაქტურად პარტიების ლიდერთა და სახელმწიველებილ ნაწინისტრალთა გამოსვლებით შემოიფარგლა. მისტერ ლოიდ ჯორჯი, მისტერ იდენი და მე დაბეჯითებით მიუთითებდით მთავრობას რუსეთთან სასწრაფო და მიზანმიმართული ვარიანტების აუცილებლობას თანასწორუფლებიანობის პირობით. პირველი ნაბიჯი ვადაღვა ლოიდ ჯორჯმა, რომელმაც მუქზე მუქ ფერებში დახატა ბნელი სურათი სასიკვდილო საფრთხისა:

„...მთელს მსოფლიოში შექმნილია შთაბეჭდილება, რომ აგრესორები ამზადებენ რაღაც ახლებურ თავდასხმას. დაბეჯითებით არავინ უწყის, ეს სად მოხდება. როგორც ვხედავთ, ისინი ჯერ არნახული სისწრაფით იარაღდებიან და პირველ რიგში ამზადებენ სწორედ თავდასასხმელ იარაღს — ტანკებს, ყუმბაროთმფორცნებს, წყალქვეშა ნავებს. ვიცით, რომ იკავებენ და იმტკიცებენ კიდევ ახალ-ახალ პოზიციებს, რაც მათ სტრატეგიულ უპირატესობას შეუქმნის საფრანგეთისა და ჩვენ წინააღმდეგ ომში...“

შემდეგ ლოიდ ჯორჯმა ბრძნულად დასძინა:





„დიქტატორთა უმთავრესი სამხედრო ზრახვა და მიზანია სწრაფი შედეგების მოპოვება და ხანგრძლივი ომის თავიდან აცილება. გაჭიანურებული ომი არც არასდროს ყოფილა ხელსაყრელი დიქტატორთათვის! გაჭიანურებული ომი, პირენეის ნახევარკუნძულზე ომისა არ იყოს, ფიტავს დიქტატორთა ძალებს; რუსთავან მტრის დიდებულმა მოგერიებაში, მათთვის ერთი დიდი გამარჯვებაც რომ არ მოუტანია, ნაპოლეონი წელში გატეხა. გერმანიის იდეალი — უწინაც და ახლაც — ისეთი ომია, ერთბაშად რომ მოთავდება ხოლმე. 1866 წლის ომმა ავსტრიასთან სულ რამდენიმე კვირას ვახტანა, 1870 წლის ომი კი ისე წარიმართა, რომ ფაქტიურად ერთ-ორ თვეში დასრულდა. 1914 წელსაც იგივე დაისახეს მიზნად, რაც, ლამის იყო, აისრულეს კიდევ. და, რუსეთი რომ არა, უთუოდ აისრულებდნენ. მაგრამ რაკილა სწრაფი გამარჯვება ხელიდან გაუშვეს, თამაშიც წააგვეს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გერმანიის დიდი სამხედრო მოაზროვნენი კარგა ხანია ბჭობენ იმ საკითხზე, თუ რაში შეცდნენ 1914 წელს, რა გამოუპართ, რით შეიძლებოდა ხარვეზის შევსება და იადლიშის გასწორება, ანუ მათი თავიდან აცილება მომავალ ომში...“

მის საპასუხოდ გამობრძანდა პრემიერ-მინისტრი, რომელმაც პირველად მაშინ გაგვიზიარა საბჭოთა წინადადებისადმი თავისი დამოკიდებულება. მან ის, უდავოდ, გულგრილად და სწორედ რომ უპატიოდ მიიღო:

„თუ მოვახერხებ ისეთი მეთოდის შემუშავება, რომლის მეშვეობითაც გავინაღდებთ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობასა და მისგან მხარში ამოღებულ კომპარტიის ფრონტის შექმნის საქმეში, ამას მხოლოდ მივესალმებით — ჩვენც ესა ვკსურს და ჯეროვნადაც ვაფასებთ. თვალსაზრისი, თითქოს უუკადრისობდეთ საბჭოთა კავშირისაგან ხელის გამართვას, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. იმისგან დამოუკი-

დებლად, ვირწმუნებთ თუ არა, რუსეთის შეიარაღებულ ძალთა უწყობადად განსახლებრის ან მათი უკეთ გამოყენების შესაძლებლობის ნებისმიერ, ყოველ დაუსაბუთებელ მტკიცებას, ვერსად ნახავთ იმნაირ უგნურს, რომელსაც მიიჩნდეს, რომ ეს კვებერთელა ქვეყანა მილეთის ხალხითა და დიდძალი რესურსებით უმნიშვნელო ფაქტორია ისეთ სიტუაციაში, რომელშიაც ახლა ვიმყოფებით.“

ეს განცხადება იმას მეტყველებდა, რომ არა და არ იქნა საქმის არსის სრულად გასივრძელება სწორედ ისე, როგორც ამ ერთი წლის წინ, როდესაც რუსველტის მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს ცივი უარი შეაგებეს.

შემდეგ მე გამოვედი სიტყვით:

„ვერაფრით ვერ მივიშვებარვარ, რა უნდა გვექონდეს საწინააღმდეგო რუსეთთან წრფელი და უშურველი გარიგებისა, რაც, როგორც თავად აღიარებს, პრემიერ-მინისტრსაც ნებავეს და რასაც გუთავაზობს რუსული საბჭოთა მთავრობა.“

რუსული მთავრობის მიერ წამოყენებული წინადადებები უთუოდ გულისხმობს აგრესიის წინააღმდეგ სამთა კავშირს — კავშირს ინგლისს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ამნაირ აღიანსს შეუძლია თავისი განსაკუთრებული უფლებანი გააერცელოს სხვა ქვეყნებზედაც, თუკი ან როდესაც ამის საჭიროება შეიქნება. აღიანსის ერთადერთი მიზანია აგრესიის შემდგომი გამოვლინებებისათვის წინააღმდეგობის გაწევა და აგრესიის მსხვერპლთა დაცვა. ამაში საძრახისს ვერაფერს ვხედავ. რა არის ცუდი ამ უბრალო წინადადებაში?! ხშირად ვაისმის: „შეიძლება ვენდოთ რუსულ საბჭოთა მთავრობას?!“ მე კი მგონია, მოსკოვში კითხულობენ: „შეიძლება ვენდოთ ჩემპერლენს?!“ იმედი მაქვს, შევვიძლია განვაცხადოთ, რომ ორივე ამ კითხვას დადებითად უნდა უპასუხოთ. გულწრფელად მაქვს ამის იმედი...

თუ თქვენ მზადა ხართ რუსეთის მოკავშირენი გახდეთ ომის — ამ უდიდესი გამოცდის, ამ ყველასათვის ღირსშესანიშნავი მოვლენის — დროს, თუ მზადა ხართ ხელი გაუწოდოთ რუსეთს პოლონეთის — ისევე, როგორც რუმინეთის — დაცვისას, რის გარანტიასაც თაყაძე იძლეოდათ, რაღა ახლა გაურბიხართ რუსეთის მოკავშირეობას, როდესაც შესაძლოა სწორედ ამის წყალობით შეაჩეროთ ომი? ჩემთვის სრულიად გაუგებარია ეს დიპლომატიური მოქნილობა და გაჯანჯლება-გაჭიანურება. და თუ ყველაზე უარესი მაინც მოსახდენია, სულ ერთია, მათთან ერთად აღმოჩნდებით მოვლენების შუაგულში და უკეთესი გამოსავლის ძიებაც მათთან ერთად მოგიწევთ; ხოლო თუ საქმე არ გაჭირდება, უსაფრთხოება წინდაწინვე განადგებული გექნებათ...

ცხადია, რომ რუსეთი არ დასთანხმდება გარიგებას, თუ მას ტოლად და სწორად არ შერაცხავენ და, ამას გარდა, დარწმუნებული თუ არ იქნება, რომ მოკავშირეთა ანუ მშვიდობის ფრონტის მიერ მოშველიებული მეთოდებით შესაძლებელი გახდება წარმატების მოპოვება. არავისა სურს მერყევ ხელმძღვანელობასთან საქმის დაჭერა და ორჭოფული პოლიტიკის აგოლა. ჩვენმა მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ აღმოსავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოთაგან ვერც ერთი ვერ გაუძლებს ომის თუნდაც ერთ წელიწადს, თუ მას ზურგს არ გაუმავრებს მეგობრულად განწყობილი და დასავლეთის ზესახელმწიფოებთან შეკავშირებული რუსეთის სოლიდური და მძლავრი მხარდაჭერა. მისტერ ლოიდ ჯორჯს ვეთანხმები მთავარში: საჭიროა საიმედო აღმოსავლეთის ფრონტი — მშვიდობის ფრონტი იქნება ეს თუ

ომისა; მისი შექმნა კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ყველა მოკავშირეს უკან მდგარი მეგობრულად განწყობილი საბჭოთა რუსეთის ქმედითი მხარდაჭერის წყალობით.

თუ არ შეიქმნა აღმოსავლეთის ფრონტი, რა ელის დასავლეთს? რა ელის იმ ქვეყნებს დასავლეთის ფრონტზე რომლებთანაც, საყოველთაო აღიარებით, დაკავშირებულნი ვართ, თუნდაც რომ გარანტიები არ გვქონდეს მათთვის მიცემული, — ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ბელგია, პოლანდია, დანია და შვეიცარია? დაეუბრუნდეთ 1917 წლის გამოცდილებას. 1917 წელს რუსეთის ფრონტი დამარცხდა და დემორალიზაცია განიცადა. რევოლუციამ და ამბოხმა დათრგუნა ამ დიდებული და მოწესრიგებული არმიის შემართებლობა და ფრონტზე ერთი აუწერელი მდგომარეობა შეიქმნა. და მაინც, სანამ ამ ფრონტის გაუქმების ხელშეკრულება დაიდებოდა, ერთნახევარ მილიონზე მეტი გერმანელი დაატყვევეს; ეს მაშინ, როდესაც ფრონტზე უაღრესად დამორგუნეული და სავალალო მდგომარეობა გახლდათ. მოისპო თუ არა ეს ფრონტი, მილიონი გერმანელი და ხუთი ათასი ქვემეხი დასავლეთისაკენ გადაისროლეს; ბოლო წუთში საომარი ქმედებები ლამის იფოსხვა გეზით არ წარიმართა და, ცოტა დააკლდა, თავს არ მოკვახვიეს დამლუპველი ზავი.

აღმოსავლეთის ფრონტის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვაოცებულნი ვარ, რომ იგი მეტად არ გამფოთებთ. მე, რა თქმა უნდა მოწყალებას არა ვთხოვ საბჭოთა რუსეთს. ახლა იმის დრო არ არის, სხვა ქვეყნებთან იმათხოვო. მაგრამ ჩვენ ისეთ რამეს ვეთავაზობენ, რაც, ჩემის აზრით, მართებულციანა და იმ პირობებზე ხელსაყრელიცა, რასაც ჩვენი მთავრობა ესწრაფვის, — უფრო ნაღდი, მიუკიბ-მოუკიბავი და ქმედითი. ისე ნუ ვიქმთ, რომ უუგანოთ და ვერც ვერაფერს გამოვჩნეთ. მე ვთხოვ მისი უდიდებულესობის მთავრობას, გაათვითცნობიეროს ზოგი რამ, გა-

მომეტეველი ამ უამური ჭეშმარიტებისა. ქმედითი აღმოსავლეთის ფრონტის თვინიერ შეუძლებელია დასავლეთში ჩვენი ინტერესების ჯეროვნად დაცვა, ურუსეთოდ კი ქმედითი აღმოსავლეთის ფრონტი არ შეიქმნება. თუ მისი უდიდებულესობის ხელისუფლება — რომელსაც სრულებით არ ანაღვლებს ჩვენი თავდაცვა, რომელიც განუღგა ჩეხოსლოვაკიას მისი სამხედრო ძალმოსილების მიუხედავად და რომელმაც საერთის ტექნიკური მხარის შეუსწავლელად გვაიძულა ფარად დავსდგომოდით პოლონეთსა და რუმინეთს — შორს დაიჭერს და იუკადრისებს რუსეთის მიერ შემოთავაზებულ აუცილებელ დახმარებას და, გამომდინარე აქედან, უარესთაგან უარესი გზით ჩაგვითრევს უარესთაგან უარესი ომში, იგი ველარ ელირსება ნდობასა და, დავსძენდი, იმ სულგრძელ დამოკიდებულებას, რომელსაც, რახანია, მის მიმართ იჩენენ თანამემამულენი“...

დასავლეთის ზესახელმწიფოთა მცდელობას, შეექმნათ თავდაცვითი კავშირი გერმანიის წინააღმდეგ, მხარს უბამდა მეორე მხარე. მაისის დამდეგს კომოში გამართული მოლაპარაკებანი რიბენტროპსა და ჩიანოს შორის ოფიციალურად და საჯაროდ დაგვირგვინდა ე. წ. „ფოლადის პაქტით“, რომელსაც 22 მაისს ბერლინში ხელი მოაწერა ორმა საგარეო საქმეთა მინისტრმა. ეს საპასუხო ნაბიჯი აღმოსავლეთ ევროპაში ბრიტანული გარანტიების უსუსური ქსელის გასაქაქებლად იყო გამიზნული... პიტლერის კმაყოფილება უკეთ გამქლავნდა, როდესაც 23 მაისს, ფოლადის პაქტზე ხელმოწერის მეორე დღეს, პიტლერმა თათბირი ჩაატარა შეიარაღებულ ძალთა შემადგენლობის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან. ამ თათბირის საიდუმლო ჩანაწერებში ნათქვამია:

„დღეს ჩვენ პატრიოტული გზებითა ერთ განმსჭვალულნი, რასაც განიარსებნი ორი სხვა ქვეყანა — იტალია და იაპონია. განუღვინა პერიოდმა დიდი სარგებლობა მოგვეტანა. ჩვენ მიერ გატარებული ზედმიწევნით თანამიმდევრული ღონისძიებანი სრულად ეხამება ჩვენს მიზნებს. პოლონელი „სახეათა-შორისო“ მტერი როდია. პოლონეთი მუდამ ჩვენი მტრების მხარეზე იქნება. მეგობრობის ხელშეკრულებების მიუხედავად, პოლონეთი მალულად მუდამ იმას ელტეოდა, ჩვენდა საზიანოდ გამოეყენებინა ნებისმიერი ხელსაყრელი შემთხვევა. დავის მიზეზი სულაც არ გახლავთ დანციპი. საუბარია ჩვენი სასიცოცხლო სიყრცის გაფართოებაზე აღმოსავლეთით და სურსათით ჩვენ უზრუნველყოფაზე. ამიტომ ლაპარაკიც არ ეკებინს პოლონეთის დაზოგვაზე; ერთი რამ დაგვრჩენია გადასაწყვეტი — პირველივე ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენება და პოლონეთზე თავდასხმა. ჩვენ ვერ დაველოდებით ჩეხეთის ამბის გამეორებას. ომი გარდუვალია. ჩვენი ამოცანაა პოლონეთის იზოლირება. საქმის წარმატებით დაგვირგვინება მუდამ ჩვენი წინააღმდეგ დაუსევამს. გამორიცხული არ არის, რომ გერმანია-პოლონეთის კონფლიქტმა დასავლეთში ომი ააგოროს, შემდეგ კი პირველ რიგში ინგლისსა და საფრანგეთს უნდა შეეებრძოლოთ. ინგლისსა-საფრანგეთ-რუსეთს გერმანია-იტალია-იაპონიის წინააღმდეგ კავშირი რომ შეეკრა, იძულებული ვიქნებოდი ინგლისისა და საფრანგეთისათვის რამდენიმე გამანადგურებელი დარტყმა მიმეყენებინა. მიეჭვებს ინგლისთან მშვიდობიანი გარიგების შესაძლებლობა. ჩვენ კონფლიქტისათვის უნდა მოვემზადოთ. ჩვენს ზრდა-გამდიერებაში ინგლისი ხედავს საფუძველს ჰეგემონიისა, რომელიც შეარყევს მის ძლიერებას. გამომდინარე აქედან, ინგლისი ჩვენი მტერია და მასთან შეგმა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას მოასწავებს...“



ინგლისმა იცის, რომ ომი თუ წაავო, მსოფლიო გამგებლობას გამოეთხოვება. ინგლისია მთავარი მამოძრავებელი ძალა გერმანიის წინააღმდეგ... თუ ვივარგებთ და ბელგია-პოლანდიას ხელში ჩაივადებთ და დავეპატრონებით, და თუ საფრანგეთსაც დავამარცხებთ, ინგლისთან ომში გამარჯვების მტკიცე წინაპირობა განადღებული გვექნება“.

30 მაისს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის ელჩს მოსკოვში შემდეგი ინსტრუქცია გაუგზავნა: „უწინდელი პოლიტიკის საპირისპიროდ, ამჯერად განზრახული გვაქვს გარკვეული მოლაპარაკებანი ვაწარმოოთ საბჭოთა კავშირთან“.

სანამ ღერძის ქვეყნები საომარი მზადყოფნისათვის დაიარაზებოდნენ, მოისპო სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მაკავშირებელი რგოლი დასავლეთის ზესახელმწიფოთა და რუსეთს შორის. არსებითად განსხვავებული თვალსაზრისი გამოსჭვივის საგარეო საქმეთა კომისრის — მოლოტოვის 31 მაისის სიტყვაში, ჩემბერლენის მიერ 19 მაისს თეშთა პალატაში წარმოთქმული სიტყვის საპასუხოდ რომ გაისმა.

ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში (თქვა მან) საბჭოთა მთავრობა შეუდგა მოლაპარაკებას ბრიტანეთ-საფრანგეთის მთავრობებთან აუცილებელ ღონისძიებათა ვატარების თაობაზე. ეს მოლაპარაკებანი ჯერაც არ დასრულებულა. არც თუ დიდი ხნის წინ ცხადი შეიქნა, რომ თუკი აგრესიის მოსაგერიებლად მართლაც მოწადინებულნი იყვნენ შეექმნათ მშვიდობისმოყვარე ქვეყნების ქმედითუნარიანი ფრონტი, ამისათვის აუცილებელი იყო თუნდაც შემდეგი პირობების დაცვა:

— დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის აგრესიის წინააღმდეგ მიმართული ურთიერთდახმარების ეფექტური პაქტის შექმნა, რომელსაც ექნება მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვითი ხასიათი;

— დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სსრკ-ის წილ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების — მთ შორის სსრკ-ის მოსაზღვრე უკლებლივ ყველა ევროპული ქვეყნის — აგრესორთა თავდასხმისაგან უზრუნველყოფა;

— დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და სსრკ-ს შორის გარკვეული ვარიეტება სასწრაფო და ეფექტური ურთიერთდახმარების ფორმებისა და მისშტაპების თაობაზე — დახმარებისა, რომლითაც უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმწიფოები აგრესორთა თავდასხმის შემთხვევაში.

მოლაპარაკებანი თითქოს ჩიხში მოექცა და გამოსავალი არა ჩანდა. პოლონეთისა და რუმინეთის მთავრობებმა, რომელთაც შეიშნოევს ბრიტანული ვარანტია, ვერ შეიფერეს რუსეთის მთავრობის მიერ იმავე ფორმით ნაკისრი მხგავის ვალდებულებანი. ასეთივე განწყობილება ბატონობდა კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ რაიონში — ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში. საბჭოთა მთავრობამ განმარტა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუერთდებოდა ურთიერთდახმარების პაქტს, თუ საერთო ვარანტიაში ჩართავდნენ ფინეთისა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს. ეს პირობა ოთხივე სახელმწიფოში შორს დაიჭარა, — თავზარდაცემულნი, ალბათ, კიდევ კარგა ხანს არ შეიცვლიდნენ აზრს. ფინეთმა და ესტონეთმა ისიც კი განაცხადეს, რომ მათი თანხმობის ვარუშ მათთვის მიცემულ ვარანტისაგან აგრესიის აქტად მიიჩნეოდნენ. იმავე დღეს, 31 მაისს, ესტონეთმა და ლატვიამ გერმანიასთან ხელი მოაწერეს ურთიერთდავალუსხმელობის პაქტებს. ასე რომ, პიტლერი დაუბრკოლებლად შეიჭრა მის წინააღმდეგ მიმართული ნაკვიანვეი და მერყევი, სუსტად დაცული კოალიციის სიღრმეში.

ინგლისურიდან თარგმნა  
რუსულად მასათაქაძე.



თბილისი არსთაველის ქ. № 25.

ბილეთონები: შთ. რედაქტორი — 99-51-61  
პასუხისმგებელი მდივანი — 99-91-00, და ვაწ.  
უცდილებები — 99-91-00.

გადაეცა ასაწიობად 26.06.97 წ., ხელმოწერი-  
ლია დასაბეჭდად 25.08.97 წ., ინაწიობის ზომა  
71/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108. ფი-  
ზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11,8, პირობითი ნა-  
ბეჭდი ფურცელი 15,5. საიდრ.-საგამომცემლო  
თაბაში 16,8. ტირაჟი 700. შეკვეთა 858.  
ერთნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“,  
კოსტაეას ქ. № 14.

ნ 59/9

17/3



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

შპსი სანქციონირებული

062260

76125